საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დანიელ რამიშვილი

ჭოლა ლომთათიძე

(მონოგრაფია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1960

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დანიელ იოსების ძე რამიშვილის წიგნი „ჰოლა ლომთათიძე“ წარმოადგენს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულ მიმოხილვას. ნაშრომი დაწერილია უშუალოდ პირველწყაროებზე დაყრდნობით, აგრეთვე კრიტიკულად არის გათვალისწინებული ჰ. ლომთათიძის შესახებ არსებული მთელი ლიტერატურა.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი და ამასთან დღემდე ნაკლებ ცნობილი მომენტების გამომზეურებასა და მეცნიერულ შეფასებას.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს ჰ. ლომთათიძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებისა და მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების ჩვენებას; ამ წინააღმდეგობათა ობიექტურსა და სუბიექტურ მიზეზებს.

წიგნის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მწერლის შემოქმედებას, სტრუქტურულად გამართულია ქრონოლოგიურ-თემატიკური პრინციპის შერწყმული გამოყენებით, რაც მიზნად ისახავს ჰოლა ლომთათიძის მრავალმხრივი მხატვრული მემკვიდრეობის ცალკეულ მხარეთა სურათის მეტი სიცხადით აღქმის გაადვილებას.

რედაქტორი: პროფ. აკ. გაწერელია

წ ი ნ ა თ ქ მ ა

საღ ხარ, მორიგევ, ჩქარა, შემცელელს
ითხოვს მამული!
მე კი დავეცი... დამარცხებული არ ვიგონოთ,
არა, მკერდქვეშ გამისკდა გული!

ჰოლა

ქართული ლიტერატურის ისტორიამ საბჭოთა პერიოდში მიაღწია განვითარების სასურველ დონეს. მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი ქართველი ერის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესწავლა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ თავის მკვლევარს ელის ზოგიერთი მწერალი. მათ შორის პირველ რიგში ჰოლა ლომთათიძე უნდა დავასახელოთ.

წინამდებარე წიგნი ამ ხარვეზის ნაწილობრივ ამოვსებას ისახავს მიზნად. იგი ჰოლა ლომთათიძის უაღრესად თავისებური შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა და, ამდენად, ბუნებრივია, ვერ იქნება უნაკლო. ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიის ესოდენ ორგანული ნაწილის — ჰოლა ლომთათიძის რევოლუციური პოეზიის სრული შესწავლის დაწყების პრეტენზია შეიძლება მხოლოდ ჰქონდეს ამ შრომას.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ორიოდე მკვლევარი უაღრესად ზოგადად შეეხო ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებას. მათგან ერთმა ნაწილმა რომანტიკოსად შეიცნო ჰოლა, მეორემ—ნეორომანტიკოსად, მესამემ — სიმბოლისტად, ყველამ ერთად კი — უკიდურეს პესიმისტად, რეაქციის პერიოდში გაძლიერებული დეკადენტურ-ესთეტიკური სკოლების ერთ-ერთ ტრუბადურად.

ჰოლა ლომთათიძე, ისე როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, ძნელია მოვაქციოთ რომელიმე ლიტერატურული სკოლის ჩარჩოში. მისი შემოქმედება უდავოდ შეიცავს როგორც რომანტიზმის, ისე რეალიზმისთვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებებს.

იქ, სადაც გაბედულად შორდებოდა თავის ეპოქას და ისწრაფოდა შერმისისაკენ, ჭოლა ლომთათიძე უსათუოდ უახლოვდებოდა მებრძოლ, რევოლუციურ რომანტიზმს, ხოლო, როგორც დიდი ფსიქოლოგიური წვდომით ამსახველი ეპოქის მთლიანი სურათისა, იგი რეალისტია.

ჭოლა ლომთათიძის სტილის თავისებურებათა განსასაზღვრად საკმარისია გავიხსენოთ, რომ ასე თავისუფლად; უბრალოდ, ამავე დროს შინაარსიანად, მხატვრულად და, ამდენად გულში ჩამწვდომად, იშვიათად თუ ვინმეს უწერია. უფრო მეტიც: შეუძლებელია ასე, ყოველგვარი წესის, ნორმისა და მიჯნის გადალახვით წერა. ამიტომაა, რომ მას, ძნელად მოუძებნით პარალელს ქართულ ლიტერატურაში.

„ვწერ ყველაფერს, რაც კალმის ქვეშ მოეხვდება“, — ამბობს ჭოლა. ეს მართლაც ასეა: იგი წერს ყველაფერს, რაც კი ოდესმე, შეგნებული ცხოვრების დასაწყისიდან სიკვდილამდე უფიქრია ან განუცდია მას, მის მახლობლად მყოფ მოწინააღმდეგეებს თუ თანამებრძოლთ, — პირადი და საზოგადოებრივი ყოფის მოუწესრიგებლობის, რომელიმე ფილოსოფიური სისტემის სისუსტის, თუ ლიტერატურული ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანების შეცნობის გამო; წერს სისხლით, სიცოცხლის წუთების დაუზოგავი ხარჯვით. წერს თვით იმასაც კი, რაც ამ წერისას აღიქმება, რასაც თვით ეს წერის მომენტი იწვევს, წერს პირდაპირ, რასაც ფიქრობს, ყოველგვარი შეფერადების გარეშე.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ძნელია იპოვო მწერალი-მოაზროვნე, რომელიც არასოდეს არ უწევს ანგარიშს დადგენილ სისტემებს, და მუდამ ამბობს მხოლოდ იმას, რასაც საკუთარი გონება უკარნახებს, ამბობს ისე, როგორც პირველად მოუვა თავში და შემდეგ დანაშაულად მიაჩნია ნათქვამისათვის შალაშინის ოდნავი გაკვრაც კი! ასეთი ჭოლა ლომთათიძე.

რამდენადაც შეუძლებელია მოთავსდეს ერთი რომელიმე ლიტერატურული სკოლის, ან ფილოსოფიური სისტემის ჩარჩოებში მხატვრულად ასახული ყველაფერი ის, რაც ადამიანს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე — ბრძოლის, შრომის, დასვენების, გამარჯვების, თუ დამარცხების დროს უგრძვნია და უფიქრია, უფრო მეტიც — რაც მის გარშემო მყოფთ უგრძვნიათ და განუცდიათ, იმდენად ძნელია მოვუძებნოთ გარკვეული ფარგლები ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებას.

„მე საკუთარი კვალი უნდა გავავლო ქართულ ლიტერატურაშიო“, უთქვამს ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობ ჭოლას. მან ზედმიწევნით შეასრულა ეს დანაპირი.

იშვიათია მოაზროვნე, რომელსაც არ დაუფლებოდეს სევდა ან სიამე გარდასულ დღეთა თვალგადავლებისას, არ მიეპყროს ნაღველიანი ან ხალისიანი თვალები აწმყოსა და მყობადისათვის, არ ეგრძნოს მწუხარება განცდილი შარცხის და აღტაცება მომავალ მზიან დღეთა წინასწარ ხილვით. გადასინჯავს რა საკუთარ განვლილ თუ გასავლელ გზას გონების თვალით, მწერალი ასახავს მხოლოდ იმას, რის გამოშზეურებასაც შესაძლებლად (და საჭიროდ) მიიჩნევს გონება, დაფარავს, რის დაფარვის აუცილებლობასაც გონებავე უკარნახებს. და აი, ხშირად თვალწინ გვიდგას ცალმხრივად, მხოლოდ ერთი მხრით განათებული ადამიანის ფიგურა, გაგებული ცხოვრების მხოლოდ იმ მომენტებით, რის დანახვის საშუალებაც მოგვეცა ჩვენ. სულ სხვაა ჭოლა ლომთათიძე. იგი ადამიანის განცდის, გრძნობის ამსახველი მწერალია, გულის უხილავ და ერთმანეთზე არეულად გადანასკვულ ძაფთა გამოხსნის ოსტატი. მისი თვალები წვდებიან გულთან შემაერთ სიმებს და იგი არცთუ იშვიათად წარმოგვიდგება უცნაურ ჯადოქრად, რომელიც ჩირაღდნით ხელში დაბნავარდობს სულის ხვეულებში, მოურიდებლად აღებს იმ კარებს, რომლის გაღებასაც ჩვენ თვითონ, შეიძლება, ვერასოდეს ვერ გავბედავდით.

ჭოლა ლომთათიძე, უპირველეს ყოვლისა, მებრძოლი კლასის — პროლეტარიატის მწერალია, წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, „რომელმაც ქვეყანა უნდა გარდაქმნას“, შეგნებული, პრინციპული და მგზნებარე წევრი, მაგრამ იგი ყოველთვის როდი ახერხებს ემსახუროს მარტოოდენ მის მიერ აღიარებულ პოლიტიკური მიმდინარეობის ძირითად პრინციპს; ადამიანი ხომ ურთულესი საზოგადოებრივი მოვლენაა, მის არსებაში თავს იფარავს უამრავი „იდუმალი“ ძალა: დადებითი და უარყოფითი, ბოროტი და კეთილი, ძლიერი და სუსტი. აი სწორედ ეს, გარეშე პირთათვის „მიუვალი“, სოციალ-ეკონომიური ყოფით შეპირობებული „სტიქიური“ ძალები, ძე კაცისა მთელი შინაგანი არსით იტაცებს ჭოლას, ვითარცა „სულის მხატვარს“.

— „და შეიპარა ვიღაცა ჩემს გულში, შეიპარა და გაიხედ-გამოიხედა, და ეს ვიგრძენი მე!“ — ამბობს ჭოლა. როდესაც მის შემოქმედებას ვეცნობით, თვალწინ გვიდგას უცნაური შემოქმედი რომელიც ზოგჯერ თუ იდუმალად შეპარული იხილება „სხვის“

გულში, ხშირად ჯიქურ შევარდნილი დარბის იქ და საგნებს თავდაყირა აყენებს, უარყოფს რა ყველაფერს ერთხელ მიღებულს და დადგენილს; ამიტომაა, რომ იგი, როგორც თავისუფლების მოსაპოვებლად ამბოხებული სული, შეუპოვრად დანავარდობს ყველგან, ყველაფერზე და ყველაფერში: ხან ბუნების „გამოუცნობა“ საიდუმლოებაზე რომანტიკულად ჩაფიქრებული, მოაზროვნეა, ხან მოუწესრიგებელ საზოგადოებრივ ყოფაზე პესიმისტურად მყოდები; ხან კიდევ ხელხანჯლიანი შებრძოლი, თვითმპყრობელობის მრისხანე მგმობი, ბრალმდებელი ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის, ხანაც აწყვეტილი სტიქიონი, რომელიც ცდილობს „ზევიდან დახედოს“ საზოგადოებრივი ცხოვრების დამორჩილება-შეცნობისა და შეცვლის პრეტენზიის მქონე ყოველგვარ ფილოსოფიურ სისტემას, თავს დაჰხარხარებს „საბრალო ადამის ძეს“, ამ „მარადგამოუცნობი“ საიდუმლოებით მოცულ უსასრულო სამყაროს „უმნიშვნელო ნამცეცს“, „ზეცაში წინასწარ გადაწყვეტილი“ ბედის შეცვლის „უნარმოკლებულს“.

რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული ისე ახრ უნდა გავიგოთ, რომ ჰოლას შემოქმედებით ზოგჯაგებში არ არის ერთი მაგისტრალური ხაზი, მკვეთრად გამოკვეთილი ძირითადი მოტივი, რომელსაც ექვემდებარება შემოქმედის ყოველი ჩანაფიქრი. ეს მაგისტრალური ხაზი არის, ის რასაც ოდითვე უგალობდა ქართული პროგრესული ლიტერატურა — იდეა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისა.

მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიციური რეჟიმის ჭუსლქვეშ მგმინავ მშრომელთა გათავისუფლებისათვის ბრძოლას მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და ჰოლაც ამ პარტიის მგზნებარე მოღვაწე გახდა; მაგრამ, სამართლიანად მიიჩნია რა, რომ ამ დიად მიზანს ემსახურებოდნენ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გაჩაღებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნიც, თავისი მაღალმხატვრული პოეტური შემოქმედება ამ უკანასკნელთა იდეებზე დააყრდნო და დაამკვიდრა.

— „თავისუფლებავ! თავისუფლებავ! მე დავიღალე თავისუფლებისათვის ბრძოლაში!“ — კვნესოდა ნერვებაწეწილი და ფილტვებდაზრული მგოსანი, მაგრამ ცხოვრების „სუფრის თავში“ მოქცეულთა მისამართით ჯიუტად იმეორებდა: — „და დამერწმუნე, ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში, მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა“. არც გაუცვლია. მშრომელთა. გათავისუფლებისათვის ბრძოლას მოახმარა ჰოლა ლომთათიძემ არამარტო სამყაროს მხატვრული ასახვის იშვიათი ნიჭი, არამედ სიცოცხლეც.

ჩაგვრის სამეფოს წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში გაიფურჩქნა ჰოლა ლომთათიძის ნიჭი, საპყრობილეთა დახშულ კედლებში გაისმა მშრომელთა ის ამაზრზენი ძახილი და საბრძოლო ყიჟინა, რაც მწერალმა ლირიკულ პროზაში გადმოღვარა, მაგრამ მაინც არ შეიძლება ჩვეული პირდაპირობით ნათქვამ პუშშარიტებად მივიღოთ მისი შემდეგი განცხადება: „მე მწყრალი როდი ვარ, სხვა დროს და სხვა გარემოებაში შეიძლება ერთი სიტყვაც არ დამეწერა, ვერ მოვიცლიდი".

ჰოლა ლომთათიძე, როგორც ადამიანის უსაზღვრო თავისუფლების განხორციელებული ტრფიალი, როგორც ბოლომდე ერთგული დემოკრატიული ტრადიციებისა, მხოლოდ მწერლად იყო დაბადებული. ამიტომ შესძლო სიდუხჭირეში აღზრდილმა და მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ცოცხლად დამარხულმა ახალგაზრდამ საპატიო ადგილის დაკავება ქართველ კლასიკოსთა გვერდით.

ცხოვრების გზა

ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე ლომთათიძე დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭაჭიეთში (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი).

ჭოლას მამა, ბიბონი, მეტად დაუდგრომელი ხასიათის, პროტესტანტული სულის, ფვითრჯული და ურწმუნო კაცი ყოფილა. იგი არ ინახავდა მარხვას, არ ემორჩილებოდა პოლიციასა და ეკლესიას. გარეგნულად მეტად ლამაზი, საშუალო ტანის, ჩასკვნილი, გრუზა ხუჭუჭთმიანი ბიბონი თანამედროვეთ ახსოვთ მუდამ წვერგაპარსული, სუფთად ჩაცმული, ხელმოკლე აზნაურივით კუდაბზიკა და ღარიბი. ხასიათის სიფიცხით და მწარე ენით დაეჯილდოებია იგი ბუნებას. თავის დროისათვის საკმაოდ გათვითცნობიერებულ ბიბონს ფიზიკური მუშაობა აგრე რიგად არ იზიდავდა, ამიტომ ფეხზე ვაჭრობით ირჩენდა თავს და არცთუ იშვიათად იდგა ძმათა კარებზე დახმარების მისაღებად (ბიბონის სამივე ძმა — ილარიონი, ლავრენტი, იაგორი ვაჭრები იყვნენ).

როგორც ჩანს, ჭოლას ბევრი რამ პირდაპირი მემკვიდრეობით მიუღია მამისაგან.

პოეტის დედა, ბახველი (ამჟამად მახარაძის რაიონი) გალარიბებული აზნაურის იროდიონე ნიკოლაიშვილის ასული, გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, მაშინ, როცა ჭოლა 9 წლისა იყო, და მოურჩენელი ჭრილობა მიაყენა მომავალი შემოქმედის მეტად მგრძნობიარე გულს. ჭოლას ხუთი და და ერთი ძმა ჰყოლია (ნინო, ვაშალა, გულიზარ, ფედოსი, სიდო და ბიქტორი). მათგან, ვაშალა და გულიზარი პატარები დახოცილან, ბიქტორი დედაზე ორი დღით ადრე გარდაცვლილა, ხოლო ფედოსი და სიდო დღესაც ცოცხლები არიან (პირველი ანთაძის მეუღლეა, ცხოვრობს სოფ. ზევში, ხოლო მეორე, აჭარელი უსუფ დადიანის მეუღლე — ჭობულეთში). ადრე დაობლებული, მაგრამ დედინაცვალთან შეგუებისათვის საკმაოდ მოზრდილი ჭოლა მამის ოჯახს გაურბოდა, ბიძებთან და ბიცოლებთან ივანებდა

აფორიაქებულ სულს, ძალიან ხშირად ცხოვრობდა აგრეთვე დეიდასთან[1].

დედის დაკარგვით გამოწვეული მელანქოლია ღრმად დააჩნდა ჭოლას სათუთ გულს და ივი კუბოს კარამდე შეუნელებელი ძალით მიჰყვა.

ჭოლას ნათლობის სახელი ბიკენტი იყო. ივი მონათლა გურიაში ცნობილმა სექსინარიელმა, უკიდურესმა „ნაროდნიკმა“, შეურიგებელმა პროტესტანტმა ეპიფანე[2] კალანდაძემ და თითქოს აწმყო სამოგადოებრივი ყოფის სიძულვილი დაანათლა ყრმას.

შვიდი წლის ჭოლა ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს. აქ მომუშავე მაშინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწენი, წინააღმდეგ ოფიციალური პროგრამისა, უხვად აწვდიდნენ მოსწავლეებს ქართულ წიგნებს, ნერგავდნენ ნორჩთა გულში სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილურ მრწამსს, პატრიოტიზმის საღ გრძნობას უპირისპირებდნენ ველიკორუსული შოვინიზმით მოშხამულ სახელმძღვანელოთა მდაბალ შინაარსს. სოფლის სკოლაში სწავლისას გაითქვა ჭოლამ სახელი, როგორც უნარიანმა და ნათელი გონების მქონე ნიჭიერმა ახალგაზრდამ.

„მახსოვს — ამბობს გ. ლომთათიძე — წირვის გათავების შემდეგ აღსავლის კარების წინ დადგებოდა ერთი ქოჩორა ყმაწვილი, გადაშლიდა რომელიღაც წიგნს და კითხულობდა ლამაზად, ტკბილად და თამამად. ხალხი სმენად გადაიქცეოდა... ეს წიგნი იყო „გაბრიელის ქადაგებანი“.

ობლობით დაჩაგრულმა ჭოლამ ქართულ ლიტერატურაში იპოვა მშობელი დედა, შეიყვარა და შეიტკბო იგი. ფაქიზი ბუნების ბავშვი გატაცებით კითხულობდა ქართული პოეზიისა და პროზის მარგალიტებს, ცრემლით ალბობდა გაბრიელის, ზაქროს, ოსმანალას, მუშა ბოქულაძის დუხჭირი ცხოვრების ამსახველ სტრიქონებს, ფიცს სდებდა მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა ჩაგრულთა გათავისუფლებისათვის. პოეტის მეხსიერებას ცოცხალ სახედ გარდაქმნილი შემორჩა ბოლომდე მშობლიური სოფლის ხეთა ჩეროები, სადაც ბავშვობისას „ქართველ ბულბულთა“ გალობით ტკბებოდა.

ჭოლამ პირველ მოსწავლედ დაასრულა სოფლის სკოლა და

---

[1] ჭოლას დედინაცვალი იყო ასკანელი სიმონ შარაშიძის ასული რიფსიმე, რომელიც ბიბონის სიკვდილის შემდეგ სოფ. დიდვანში გადასახლდა.

ოზურგეთის სამოქალაქო სკოლაში შევიდა[2], მაგრამ ღარიბმა ჰამამ ოჯახს გარეთ მყოფი შვილის რჩენა ვეღარ შეძლო. ობოლი ყმაწვილი შეეცადა შებრძოლებოდა ბედს, — „საკუთარი სახსრებით“ შესულიყო გორის საოსტატო სემინარიაში, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

1893 წ. დაბა ხიდისთავში ბიბლიოთეკა გაიხსნა. ჭოლამ შეძლო ამ ეკანტური (თავის დროისათვის ფრიად დიდმნიშვნელოვანი) ადგილის დაკავება. ცნობილია, რომ იმ დროს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგის თანამდებობის დასაკავებლად განსაკუთრებული ნიჭის საყოველთაო-საზოგადოებრივი აღიარება იყო საჭირო: ბიბლიოთეკას თავკაცების მეშვეობით განაგებდა საზოგადოება და იქ მუშაობის საშუალებას მხოლოდ ნიჭიერებს — მომავლის იმედის მომცემ ყმაწვილებს აძლევდა. ამ წესს უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა: ბიბლიოთეკაში მოხვედრილი უნარიანი ახალგაზრდა თვითგანვითარებას ეწაფებოდა. ამგვარად, მაშინდელი გურულები ნიჭიერ ახალგაზრდას მათ ხელთ არსებული საშუალებით უხსნიდნენ გზას განათლებისაკენ. ჩვენი თანადროულობის თვალთახედვით, თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა ამ წესს: სამკითხველოში მოხვედრილი, წიგნებს დანატრებული მოზარდი, მოკლებული ყოველგვარ ხელმძღვანელობას, უსისტემოდ კითხულობდა ყველაფერს — საჭიროს და არასაჭიროს, კარგსა და ცუდს. 14-15 წლის ჭოლა ლომთათიძემაც უსისტემოდ გადაიკითხა, რაც კი რამ ხელთ მოხვდა და, წინააღმდეგ პედაგოგიური მეცნიერებისა, გვიჩვენა, რომ ნათელი გონება თვით მოიყვანს სისტემაში უსისტემოდ წაკითხულს, სუსტი კი — შექმნილ სისტემათა ტყეობის მეტს ვერას შეიძენს.

აქ, სოფელ ხიდისთავის ბიბლიოთეკაში, შეიძინა ორკლასიანი განათლების მქონე ჭოლამ ფართო ცოდნა, აქ დაეუფლა ის მშობლიურ ენას, შეისწავლა უცხო ენები, რათა ორიგინალში გადაეკითხა ოდოევსკი და დოსტოევსკი, ჰაინე და ჰამსუნი, აგრეთვე ფლობერი, გორკი და ანდრეევი.

ფრიად საინტერესოდ ჩქეფდა ცხოვრება იმდროინდელ ხიდისთავში. აქ თავს იყრიდა „კვალის“ მიმართულების ახალგაზრდობა, ბჭობდა პრაქტიკულ-თეორიულ საკითხებზე, მართავდა დისპუტებს

---

[2] აქ ჭოლას მასწავლებლები იყვნენ: გერასიმე ქიქოძე (ბიძა ცნობილი მწერლის გერონტი ქიქოძისა), სახელგანთქმული პედაგოგი ბართლომე მეგრელიძე (მამა დოც. ი. მეგრელიძისა), ირ. ქიქოძე და სხვა რჩეული პედაგოგები.

და ლიტერატურულ საღამოებს. კამათი ზოგჯერ მუშტი-კრივითაც კი მთავრდებოდა. ბარნაბ შარაშიძისადმი მიწერილ წერილში ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ ჭოლა სწერდა:

«И вот я в гости в Лесах[3]; мы начинаем спорить, как полагается, спор чуть не доходит в энергичную брань[4]».

ასე ებრძოდა ნიჭიერი ახალგაზრდობა უმოძრაობასა და რუტინას.

როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, თავისი საღი გონებით, ტემპერამენტით, ფართო განათლებით, შსჯელობისა და მტკიცების უნარით დაჯილდოებული ჭოლა იმთავითვე საყოველთაო ყურადღებას და მოწონებას იმსახურებდა.

ხიდისთავის მცხოვრებნი ძირითადად გაყოფილნი იყვნენ ორ ბანაკად: ერთის მხრივ იყო ახალგაზრდობა — „კვალის“ მიმართულების მიმდევარნი, მეორეს მხრივ კი — ძველი თაობა ანუ „ბებრები“ ვაჭართა და შეძლებულთა კლასის ინტერესების დამცველნი, რომელთაც ზურგს უმაგრებდა მთავრობის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური აპარატი.

ჭოლა ლომთათიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდათა საქმიანობაში, რაზმავდა „კვალის“ მომხრეებს. მას გესლიანი პამფლეტი დაუწერია ხიდისთაველ ვაჭრებზე და ხელნაწერის სახით გაუვრცელებია კიდეც. ლექსი ხელიდან ხელში გადადიოდა და სწრაფად ვრცელდებოდა. ეს იყო ჭოლას საბრძოლო-ლიტერატურული დებიუტი, მისი პირველი ორიგინალური ლექსი — ფრთაასხმული შხამიანი ისრით, ლექსი, რომელმაც „იმდენი მტერი შესძინა, რომ იძულებული გახდა გასცლოდა ხიდისთავის ჭაობს“[5].

ვაჭრებს გადაუწყვეტიათ ფიზიკურად გასწორებოდნენ გონებრივად ძნელად დასამარცხებელ ჭაბუკს.—„იი ლექსი ბიბონეს ბიჭს დაუწერია და ვაჭრები გალახვას უპირობენო“—უთქვამს თავისი მეუღლისათვის გ. ლომთათიძის მამას, ჭოლას ახლო ნათესავს[6]. მოწინააღმდეგეებს ყოველგვარი ღონე უხმარიათ „თავხედი ყაზილარის“ მოსაცილებლად. ვიღაც ლომაძეს კიდეც დაუბეზღებია ის, როგორც ცუ-

---

[3] ლესა — სოფელია გურიაში.

[4] საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15. 195-6. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭოლა წერილს წერს რუსულად, რადგან საკატორღო მდგომარეობაშია და მშობლიურ ენაზე წერის უფლება წართმეული აქვს, როცა ამის საშუალება ჰქონდა, იგი წერდა მხოლოდ ქართულად.

[5] იხ. გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., №: 218.

[6] იხ. ვ. ლომთათიძის მოგონება, საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15.595-6.

დი მუშაკი (იხ. გაზ. „კვალი“, 1896 წ., № 33). საპასუხო წერილში („კვალი“, 1896 წ. № 34) ჭოლა ლომთათიძე ააშკარავებს „ბიბლიოთეკისათვის გულდამწვარი“ მოწინააღმდეგის ნამდვილ მიზნებს: — „თუ თქვენ ბიბლიოთეკის სიღარიბე გულს გწვავთ, — წერს ის, — რატომ საწყალ ბიბლიოთეკარს შესწამეთ სუსტობა, რომელიც მთელი ნახევარი წლის განმავლობაში თითქმის უსასყიდლოდ ემსახურებოდა ამ საქმეს, ათასგვარი ტანჯვა აიტანა და, ასე გასინჯეთ, წესიერების დაცვისათვის ერთმა რაინდმა კიდევაც სცემა ქუჩაში ავადმყოფ ბიბლიოთეკარს“.

1896 წლიდან ჭოლა ლომთათიძე „კვალის“ აქტიური თანამშრომელი გახდა. ვაჭრების წინააღმდეგ ზეპირსიტყვაობით დაწყებული ბრძოლა მან ოფიციალურ ორგანოში გადაიტანა და რამდენიმე ფელეტონი მოათავსა გაზეთში. მათ შორის საყურადღებოა ხიდისთავის შესახებ „კვალში“ (1898 წ.) მოთავსებული კორესპონდენცია. აქ ჭოლა ერთმანეთს უპირისპირებს ორ ხიდისთავს — პატარას (ვაჭართა საცხოვრებელს) და დიდს, სადაც მშრომელი გლეხობა ცხოვრობს. მისი თქმით, — „ეს პატარა ხიდისთავი წამოჯდომია თავზე დიდ ხიდისთავს და შეუბრალებლად აძრობს ტყავს... აძრობს, როგორც ყასაბი ძროხას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყასაბი ჯერ დაჰკლავს და მერე აძრობს, პატარა ხიდისთავი კი ისე, დაუკლავად, რომ მეორეჯერ, როდესაც ეს ტყავი გამთელდება, ხელახლად გააძროს“. პირველი ხიდისთავი მეორეს გასატყავებლად სამგვარი იარაღით აღჭურვილა: არშინით, ყანთარით და დავთარით. არჩევს რა თითოეულ ამ „იარაღთაგანის“ „ღვაწლს“ მშრომელთა გატყავების საქმეში, ჭოლა ასრულებს ლექსით:

„ოჰ, ყანთარი, ყანთარი,
არშინი და დავთარი;
სხვა რათ მინდა ამქარი,
ამითაც ბევრს ავკარი“.

ეს ლექსი, უსათუოდ არის ნაწილი ჭოლას იმ ლექსებისა, რომელნიც ხიდისთავში ზეპირად ვრცელდებოდა და ჩვენამდე არ მოუღწევია.

საარაკო საქმენი ჩაუდენიათ ამ საგნებს. მათ უქცევიათ მღებავი ივანიკა დიდ ივანედ, მოუციათ მისთვის „კნიაზის“ ქალი, „წამოუჭიმვინებიათ“ ორსართულიანი სახლი. კორესპონდენციის ავტორი დასცინის ადგილობრივი მოსახლეობის გულგრილ დამოკიდებულებას ვაჭართადმი, არ მოსწონს № 2 ხიდისთავის მცხოვრებთა შემრიგებლური მოქმედება. — „ახლა რას შვრება ეს მეორე ნომრის ხი-

დისთავი? — კითხულობს ჭოლა და თვითვე პასუხობს: „ის ფილოსოფოსობს... შეიყრის ერთად თავს ეკლესიის გალავანში, როცა ახლად ტყავგამძვრალია და ამტკიცებს, რომ პირველი ნომრის ხიდისთავი მისი მტერი უნდა იყოს“.

— „არა, ძმავ, ასე არ გვარგია, ჩვენ უნდა დავუფიქრდეთ თავს... ჩვენი ჭუკები მაინც ნუღარ იქნება მონები!“ — ათქმევინა ჭოლამ გლეხს კორესპონდენციის დასასრულს და ამ სიტყვებით გამოჩნდა იგი, როგორც ერთ-ერთი დამნთებთაგანი იმ ცეცხლისა, რომელსაც უთანასწორობაზე დაყრდნობილი ქვეყანა უნდა გადაებუგა.

ეპრეხის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლასთან ერთად ჭოლა ხიდისთავში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა. მართავდა საღამო-წარმოდგენებს, მონაწილეობდა სასოფლო სპექტაკლებში, როგორც აქტიორი. «Помнишь спектакли и меня в роли Моурави кажется,» — წერს ის ბარნაბ შარაშიძეს. უკანასკნელი სიტყვა „кажется“ მიგვითითებს, რომ ჭოლას არაერთ სპექტაკლში მიუღია მონაწილეობა და არა ერთი როლი შეუსრულებია.

მიუხედავად იმისა, რომ ხიდისთავის ბიბლიოთეკაში მუშაობის პერიოდი ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებაში იყო ხანა არა ერთი იმედის გაცრუებისა, უმადური შრომის და ათასგვარი დაუმსახურებელი შეურაცხყოფისა, — იგი მაინც ჩაითვლება მწერლის ბიოგრაფიის ისეთ მონაკვეთად, რომელსაც ის „ბედნიერი ცხოვრების ხანას“ უწოდებდა[7].

1896 წ. „ომგადახდილმა“ ჭაბუკმა ხიდისთავი დასტოვა. იგი ქველმოქმედ ინტელიგენტთა დახმარებით ქუთაისის სამეურნეო სკოლაში მოეწყო. რადგან გამოცდები კარგად ჩააბარა, ჭოლა სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხეს — უზრუნველყვეს საჭმელ-სასმელით, ტანსაცმელით, ბინით. „განსწავლის პირველი წლები“, კლასობრივი ბრძოლის მარტივი საფეხურები ამ დროს უკვე განვლილი ჰქონდა ჭოლას. ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, განსხვავებით მის ამხანაგთაგან, ჭოლამ მოიტანა ჩამოყალიბებული კონცეფციები, ქართულ-რუსულ-ევროპული კლასიკური ლიტერატურის დიდი ცოდნა. პოეტ ვარლამ რუხაძის გადმოცემით, ჭოლა მის წლოვანებასთან შედარებით დიდად

---

[7] იხ. ბარნაბ შარაშიძისადმი 1911 წ. მოწერილი წერილი, საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15. 595-6.

ნაკითხი იყო; რუსეთის ყველა გამოჩენილ მწერალს იცნობდა, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა გორკი და ანდრეევი[8].

ამ დროს ქუთაისის ხსენებულ სკოლაში ეკონომ-მეთვალყურედ მუშაობდა მიხა ცხაკაია, რომელიც მოწინავე მოსწავლეთა მარქსისტულ წრეს ხელმძღვანელობდა. ჭოლა ლომთათიძე გატაცებით ჩაება წრეში და მიხა ცხაკაიას გაძევების შემდეგ ჩქარა ამ წრის მუშაობის წარმმართველიც გახდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჭოლა ამ დროს იქვე არსებულ მეორე (ეროვნული) წრის მუშაობაშიც იღებდა მონაწილეობას, უფლება გვექნება მის აზროვნებაში სოციალ-დემოკრატიული და ნაციონალური კონცეფციების შეუთანხმებლობაზე მივუთითოთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალისტური და ეროვნული იდეალები შეუთანხმებელი დარჩა ჭოლაში ბოლომდე და, სამწუხაროდ, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა მარქსიზმში მან ვერ ჰპოვა, რამაც განაპირობა მისი „თერგდალეულებთან“ დაბრუნება.

ქუთაისის სამეურნეო სკოლაში არსებული წრე, რომელსაც მიხა ცხაკაია ხელმძღვანელობდა, სცემდა ხელნაწერ ჟურნალს, რომელშიც ჭ. ლომთათიძეც მონაწილეობდა.

„ამ წრის მიერ გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალში მეც ვთანამშრომლობდი, ლექსებს ვათავსებდი, ამ გარემოებამ ძლიერ დაგვაახლოვა მე და ჭოლა“, — წერს პოეტი ვარლამ რუხაძე[9].

მიხა ცხაკაიას გაძევების შემდეგ შაერაზმელი პედაგოგები კიდევ უფრო გათავხედდნენ, ისინი უსასტიკეს რეჟიმს ამყარებდნენ სკოლაში, რომლის მოსწავლეთა უმრავლესობა უკვე რევოლუციურ-გამათავისუფლებელი იდეებით სუნთქავდა. ჭოლა ლომთათიძის მეთაურობით მოეწყო გაფიცვები რეაქციონერ ბიჩიკოვის წინააღმდეგ, რომელიც იმხანად უაღრესად აღვირახსნილად იქცეოდა.

გაფიცვების მეთაური სკოლიდან გააძევეს მოსწავლეთა დიდ ჯგუფთან ერთად. ჭოლა ლომთათიძე ამ დროს II კლასში იყო. მისი მდგომარეობა ყველა ამხანაგის მდგომარეობაზე გაცილებით რთული იყო: მას არ ჰქონდა თავშესაფარი და ლუკმა-პური.

როგორც ჩანს, ჭოლა ლომთათიძის საქმიანობა სკოლიდან გარიცხვის პერიოდში მარტო მოსწავლეებით შემოფარგლული არ ყოფილა, იგი მშრომელთა ფართო მასებშიც ეწეოდა საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამით აიხს-

---

[8] იხ. ჟურნალი „ხელოვნება“, 1925 წ., № 22.

[9] იქვე.

ნება, რომ იგი ქუთაისს არ ტოვებს და მუშაობას იწყებს ლიმონათის ქარხანაში. აქ მის მოვალეობას შეადგენდა ჩარხის ტრიალი. ფიზიკურად სუსტი „ბუნტარი“ ორი დღის შემდეგ ტოვებს ამ სამუშაოს და ტუშუალო შთაბეჭდილების ქვეშ წერს მოთხრობას — „კაცი და მანქანა“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სამუშაოზე ხელმოცარული ჭოლა მაინც ქუთაისში განაგრძობს ცხოვრებას და ერთხანს იკვებება რუხაძის სამიკიტნოში სამადლოდ მიწოდებული პურით.[10]

როგორც ჩანს, უფროსთა შორისაც დიდი ტემპერამენტით მუშაობდა ჭოლა. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ქუთაისელი მეგობრების უსაზღვრო სიყვარული მისდამი[11].

1897 წელს ჭოლა ტოვებს ქუთაისს. იგი მიემგზავრება დაბა სუფსაში, სადაც მისი ბიძა იაგორი ვაჭრობდა და იქ ცდილობს „მუდმივი სამუშაოს“ შოვნას. დაბა სუფსის მახლობლად, სოფელ წყალწმინდაში ურისკაცს სიმონ ქორიძეს ამ დროს „სკოლა“ ჰქონდა გამართული. იგი 18-20 წლის ყმაწვილებს სიმღერას ასწავლიდა და ჩაქურაში გაჟღწყობილი ახალგაზრდები ქალაქებში ფასიან საღამოებზე დაჰყავდა. თავისი გუნდისათვის ნამდვილი სკოლის სახის მიცემის მიზნით ქორიძემ მასწავლებლად ჭოლა ლომთათიძე მოიწვია (ცხადია, იაგორის შეგონებით), მაგრამ მან ეს ადგილიც ჩქარა მიატოვა. ქორიძე კაი კაცი არ არის, მასთან ვერ ვიმუშავებო, — უთქვამს ჭოლას ბიძაბიცოლასათვის. უსინდისო კომერციულ გარიგებებს, რასაც ქორიძე ეწეოდა, ჭოლა ლომთათიძის უმწიკვლო ბუნება, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა.

ჭოლა ლომთათიძე არ იყო წვრილმანი საქმოსნობისათვის დაბადებული. მას ფართე სამოქმედო ასპარეზი ეძახდა და ისიც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოდა, რათა ეპოვა ცხოვრების ფართე სარბიელზე გასასვლელი ბილიკი. იროგლიე კი ის წყვდიადი სუფევდა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ეგნატე ნინოშვილი ულუკმაპუროდ მოაშთო. ჭოლა ლომთათიძეც ეგნატე ნინოშვილისეული ხერხით ცდილობს გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, ყოველგვარ ეკონომიურ საშუალებას მოკლებული მიემგზავრება იგი შორეულ ბესარაბიაში და იქ შედის სამეურნეო სკოლაში. ვერც აქ დაჰყო ჭოლამ

---

[10] ჟურნალი „ხელოვნება“, 1925 წ., № 22.

[11] მუშა ხარიტონ ბერიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე — მოგვითხრობს დამსწრე — მოხსენება ვინმე ჯუმბურიძემ ასე დაამთავრა: „მელიტონ ბერიშვილი — ეს მეორე ჭოლა ლომთათიძე იყო საერთო საქმისადმი სიყვარულში“... აქ ცრემლები ვეღარ შეიკავა და სცენიდან აქვითინებული გავიდა (იხ. „ხელოვნება“, 1925 წ., № 22).

დიდხანს. როგორც „ბუნტოვშჩიკი“ და თავისუფალი მოაზროვნე იგი სკოლიდან გარიცხეს და ბესარაბიიდანაც გამოისტუმრეს. ამის შემდეგ ჭოლამ კურსი რუსეთისაკენ აიღო; მისი მიზანი იყო კვლავ განეგრძო სწავლა. ულუკმაპუროდ, უკაპიკოდ, მკაცრი ბუნებისათვის სრულიად შეუფერებელი ტანსაცმლით მიადგა იგი შიდა რუსეთის შუა ზამთარს; ხარკოვში საშინლად ყინავს. სასტუმროში ღამის გასათევად საჭირო ფული ჭოლას არა აქვს, გარეთ დარჩენა კი სიკვდილს უდრის. იგი შედის ერთ სასტუმროში. კითხულობს „ნაცნობ ქართველს“ და რაკი გაიგებს, რომ ასეთი იქ არ არის, ეიემგზავრება მეორე სასტუმროში. ასე, სასტუმროდან სასტუმროში გადასვლით და „ნაცნობის მოძებნამდე“ ცოტათი შეთბობით ატარებს ღამეს.

აი როგორ გადმოგვცა ცხოვრების ეს სტრიქონი მწერალმა მოთხრობაში „უბის წიგნიდან“:

„— ხა, ხა, ხა! იცით, ერთხელ რა ღამე გაატარა მან რუსეთში? ვერ გადაიხადა ილიკომ ბინის ქირა ერთხელ და აი ერთ საღამოს დიასახლისმა კარში გაუძახა მას. იანვრის ღამის ოცდათხუთმეტი გრადუსიანი ყინვა სასტიკობდა ქუჩაში. და აი, ასეთ ღამეში ილიკო დარჩა ქუჩაში, მაგრამ გაუჭირა მას ყინვამ საქმე. კბილები შეეკრა, მისდა უნებურად თვალებიდან მოდის ცრემლი და იქვე სახეზე აყინავს. ძნელია, ძნელი ასეთ ღამეში გარეთ დარჩენა, მოშლის კაცს. მაგრამ ილიკომ იხმარა ხერხი. მან შეაღო კარი და შიგ სასტუმროში შევიდა, უჰ, დედილო, რა კარგია ახლა ამ კუთხეში მიწოლა და ძვლების გათბობა, რა თბილა აქ!

ილიკოს სადად, მაგრამ სუფთად აცვია და შვეიცარი ზრდილობიანად ეკითხება მას:

— ვინ გნებავთ?

არ ჩქარობს ილიკო პასუხის გაცემას, ის იხედება დაფისკენ, რომელზედაც სტუმრების გვარებია ჩამოწერილი — დროს იგებს, თან კი ცდილობს, კიდევ გააგრძელოს აქ ყოფნა.

— თქვენ ვინ გნებავთ? — უმეორებს კითხვას შვეიცარი.

— მითხარით რომელ ნომერშია გაჩერებული სოკოლოვი?

— ასეთი აქ არავინ არის...

— მაშ, სასტუმრო შემეცვალა ვითომ? ეს ხომ „ბელვიუ“ არის?... არა, აქ უნდა იყოს.

— არა, არ არის! შეიძლება მოვიდეს, ერთი მატარებელი მოდის ამაღამ თორმეტ საათზე...

— საიდან მოდის?

— მოსკოვიდან.

—არა, ის მოსული იქნება, ალბათ, „გრანდ-ოტელში“ გაჩერდა. ხომ არ შეგიძლიათ მაბხოვოთ ტელეფონი, მეზარება იქ წასვლა და ისიც ვინ იცის, იქნება თუ არა იქ.

ინებეთ! აი აქ არის ტელეფონი.

ტრ-რ-რ-რ... აკაპასდა ტელეფონი...

გრანდ-ოტელი? მანდ ხომ არ არის ჩამომხტარი ბატონი სოკოლოვი? სოკოლოვი, დიახ! პეტრე ივანეს-ძე... მანდ არის? (აკი ვიფიქრე!) გმადლობთ, გმადლობთ, ამ წუთში ეტლით წამოვალ.

ილიკო გათბა და თან სოკოლოვიც აღმოაჩინა, ის ჩამოხტა „გრანდ-ოტელში“. მართალია, ამ ერთი წუთის წინათ სოკოლოვის არსებობა არ იცოდა, მაგრამ ახლა იცის, დიდი მადლობა დიასახლისს... და მხიარული, შემობარი ილიკო მიაბიჯებს ქუჩაში, კიდევ შედის რომელიღაც სასტუმროში და ახლა პეტროვს დაეძებს. შემდეგ ივანოვს და ასე ერთხანს, მაგრამ სოკოლოვის მეტი ვერავინ აღმოაჩინა ამაღამ სასტუმროებში. უკვე პირველი საათი იწყებოდა დიდი ქალაქის ქუჩაზე ხალხი თხელდება, მხოლოდ პროსტიტუტკები რჩებიან ქუჩაზე. პროსტიტუტკები და ილიკო“.

მიუხედავად დუხჭირი ეკონომიური მდგომარეობისა, ჭოლა ლომთათიძე ჯიუტად ცდილობდა შესულიყო რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, რაც მან ვერ შესძლო. დიდი წვალების შემდეგ ჭოლა ჩარიცხეს ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, მაგრამ ერთ თვეში გარიცხეს მოსწავლეთა საიდუმლო კრებაზე მონაწილეობისათვის და ეტაპით გამოგზავნეს ოზურგეთის მაზრის უფროსის განკარგულებაში.

ჭოლამ ჩქარა დააღწია თავი ოზურგეთის მაზრის უფროსის მეთვალყურეობას, ჩამოვიდა თბილისში და ამხანაგთან, ალექსანდრე მითაიშვილთან ერთად თვითგანვითარებას დაეწაფა.

ეკონომიური სიდუხჭირე სრულებითაც არ უშლის ხელს ჭოლას დღეღამეში 15-16 საათი იმეცადინოს და ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასა და ბრძოლაში. საკუთარი ცხოვრების ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით გააკეთა მან დასკვნა: „თუ კი გსურს, რომ რამე გააკეთო, თუ კი გსურს, რომ სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნიო — კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს“ („მატლი“).

ჭოლა ლომთათიძე უსათუოდ ეკუთვნოდა იმათ რაცხვს, რომელთაც „ძილშიაც არ სძინავთ ქვეყნის უბედურებით გულაგზნებულთა“. იგი დაჯილდოებული იყო საქვეყნო საქმისათვის პირადი ინტერესების დათრგუნვის ნიჭით, ხოლო ამგვარი ნიჭის გასაფურჩქნად 900-იანი წლების საქართველოში (მეტადრე გურიაში) ფრიად ხელსაყრელი ტაროსი იდგა.

ჭოლა ლომთათიძის ცხოვრება 1900 წლამდე ერთგვარ მოსამზადებელ მუშაობას წარმოადგენდა. ამასთან ეს მზადება წარმოებდა უაღრესად ფართო მასშტაბით — ლიტერატურულ და პოლიტიკურ ფრონტზე, სოფლად და ქალაქად, სამშობლოში და უცხოეთში, სამუშაოზე და სასწავლებელში. ამ მზადების პერიოდში ჭოლა დარწმუნდა, რომ მისი სტიქია მხოლოდ ლიტერატურა იყო, რომ მშრომელი ხალხის სამსახურში ჩაყენებული ლიტერატურა მისცემდა საშუალებას სამშობლოს ხსნისათვის პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად. ლიტერატურული შრომა დაჩაგრული მშრომელი ხალხის სასარგებლოდ, ლიტერატურა ჩაგრული ხალხის სამსახურში! — ეს იყო ჭოლა ლომთათიძის ცხოვრების დევიზი და არა გარეშე ძალის მიერ თავს მოხვეული იდეალი, ან „მოვალეობის შეხრულების“ კაზიონური სურვილი. ჭოლას მგზნებარე გალაშქრება არსებული წყობილების წინააღმდეგ იმდენად მძლავრი და ბუნებრივი იყო, რომ არავითარ ძალას არ შეეძლო მისი შეჩერება.

1900 წელს ჭოლა ლომთათიძე თბილისის გამომცემლობებში გამოცხადდა, როგორც ჩამოყალიბებული მწერალი.

მისი ნაწარმოებები „ცხოვრების გულიდან“[12] და „დავითი“ 1901

---

[12] ამ სათაურის ქვეშ ჭოლას ორი ნაწარმოები აქვს. ამათგან მკითხველთათვის ცნობილია მხოლოდ მეორე, თუმცა პირველი გაცილებით საინტერესო და ღრმა შინაარსის შემცველია. „ცხოვრების გულიდან“ (პირველი ნაწარმოები ჭოლასი) 1901 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, მაგრამ იგი არ გავრცელებულა, რადგან საცენზურო კომიტეტის განკარგულებით (15/1. 1901 წ.) აიკრძალა «в виду непочтительного обращения к духовенству». ამავე წლის 21 დეკემბერს ჭოლას „ცნობის ფურცელში“ დაუბეჭდავს სხვა „ცხოვრების გულიდან“, რომელიც შედის მის ტომებში და რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო „მოამბეში“ აწყობილ და აკრძალულ ამავე სათაურის მქონე ნაწარმოებთან. პირველი „ცხოვრების გულიდან“ გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილმა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ 1928 წ. (№ 12), მის მიერ საცენზურო კომიტეტშივე ნაპოვნ ჭოლას მეორე ნაწარმოებთან („ამონაკვნესი“) ერთად.

პ. გუგუშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი პირველი ნაწარმოების შესახებ („ცხოვრების გულიდან“), უსათუოდ მართებულია, მაგრამ „ამონაკვნესის“ შესახებ იგივე არ ითქმის. „ამონაკვნესი“ — წერს ის — უნდა მოთავსებული ყოფილიყო 1904 წლის ჟურნალ „კვალის“ № 4-ში, მისი საკორექტორო ფურცელი, რომელიც ახლა ცენზურის არქივშია, აკრძალულ იქნა. „ამონაკვნესისათვის“, როგორც ჩანს, ავტორს შემდეგ თავი მიუნებებია, ისევე როგორც „ცხოვრების გულიდან“-ისთვის, ანუ სულ სხვა სახითა და შინაარსით კკლაკ გამოეყენებია მასალად“. პროფ. პ. გუგუშვილისათვის, ცხადია, უცნობია, რომ „ამონაკვნესს“ ავტორმა აკრძალვის შემდეგ მხოლოდ სათაური შეუცვალა და „ივერიის“ 1904 წლის № 252-ში სპ. მცირიშვილის ფსევდონიმით მოათავსა სათაურით „სნეულის ფიქრები“, ცენზურის მიერ აკრძალულ „ამონაკვნესსა“ და, „ივე-

წელს გამოქვეყნდა. პირველი დაიბეჭდა „მოამბეში“, მეორე—„ცნობის ფურცელში“. ამავე წელს ჭოლა ლომთათიძე გამოდის პროგრამით პროლეტარული მწერლობის არსის შესახებ და მებრძოლი პროლეტარიატის ჩანასახში მყოფი ლიტერატურის სახელით უპირისპირდება ესთეტიკურ ფორმალიზმს, როგორც მოაზროვნე-წარმომადგენელი გათავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ახლად შემდგარი მშრომელი ხალხისა.

ეს წერილი მიმართული იყო კიტა აბაშიძისა და ი. ფანცხავას წინააღმდეგ, რომელთა შეხედულებებსაც ქართული ლიტერატურის განვითარების პერსპექტივების შესახებ იმ დროს უსათუოდ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ. 900-იან წლებში ლიტერატურა კი არ დაცემულა, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, არსი იცვალა, რამდენადაც ჩაგრულთა სამსახურში ჩადგა, მიაგნო თავის ნამდვილ დანიშნულებას, — ასეთი იყო ამ წერილის (აბაშიძე-ფანცხავას მოსაზრებათა დიამეტრალურად საპირისპირო) დედააზრი[13].

1903 წელს ჭოლა ლომთათიძემ რუსულიდან თარგმნა ლეონიდ ანდრეევის ლირიკული პროზის იშვიათი ნიმუში, დიდტანიანი ფსიქოლოგიური მოთხრობა „აზრი“ და მოათავსა კიდეც „კვალის“ № 11-18-ში. დოქტორ ანტონ ეგნატეს-ძე კერჟენცევის მეამბოხე სული, მიმართული ყოველიე და ყოველგვარი არსებულის წინააღმდეგ, აი რამ მიიზიდა ამ ნაწარმოებში ჭოლა.

კერჟენცევში ჭოლამ იპოვა თანამოაზრე და ხარბად დაეწაფა მას, როგორც უდაბნოში მიმავალი მგზავრი შემთხვევით მიგნებულ დიდი ხნის ნანატრ ოაზისს.

— „ჩემთვის არ არის მსაჯული, — მიმართავს კერჟენცევი მისი სულიერი მდგომარეობის შემმოწმებელ სასამართლო ექსპერტიზას, — არ არის კანონი, არ არის აკრძალული, ყველაფერი შეიძლება. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ისეთი ქვეყანა, სადაც არ იყოს მიმზიდველობის კანონი, არ იყოს არც მაღლა, არც დაბლა, სადაც ყველაფერი ემორჩილება მხოლოდ ჟინსა და შემთხვევას? მე დოქტორი კერჟენცევი ვარ ეს ახალი ქვეყანა. ყველაფერი შეიძლება, და მე,

---

რიაში“ დასტამბულ „სნეულის ფიქრებს“ შორის განსხვავება სრულიად უმნიშვნელოა. აი ისიც: „მე იგი მახსოვს, აბა, იმას რა დამავიწყებს“ („ამონაკვნესი“); „ოჰ, მახსოვს, მახსოვს, აბა, იმას რა დამავიწყებს“ („სნეულის ფიქრები“); „გეცოდინება, თუ რასა იქმს, რა გადაუკრია მის ბოროტ ხვედრსა“ — („ამონაკვნესი“); „გეცოდინება, თუ რასა იქმს, რა გადაუკრია იმის კისერზედ ჯაჭვის აშიყს, მის ბოროტ ხვედრსა“. („სნეულის ფიქრები“). „ნაღველ-ნარევის სიმღერებით“. („ამონაკვნესი“), „ნაღველ-ნარევის ჰანგებითა“, („სნეულის ფიქრები“).

[13] იხ. „კვალი“, 1907 წ.

დოქტორი კერჟენცევი დავამტკიცებ ამას. მე მთელ ადამიანად მოგაჩვენებთ თავს. მე ვიპოვი თავისუფლებას და მთელ აწინდელ სიცოცხლეს მოვანდომებ სწავლას. მე შემოვიხვევ გარშემო ყველა თქვენს წიგნებს, მოგტაცებთ თქვენი ცოდნის ძალას, რომლითაც თქვენ ამაყობთ, და ვიპოვი ერთ საგანს, რომლის საჭიროებას დიდი ხანია გრძნობენ. ეს იქნება ნივთიერება ისეთი ძლიერი, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს ქვეყნიერებას. მე ნიჭიერი ვარ და ვიპოვი მას, და როცა ვიპოვი, მაშინ მე ავაფეთქებ ჰაერში თქვენ წყეულ დედამიწას"[14].

აფეთქება „წყეული დედამიწისა", რომელზედაც მისი სამშობლო ხელფეხშეკრულია და დამონებული, ნაცარტუტად ქცევა ყოველივესი, რაც ბორკავს მთელ ქვეყანას, ცალკეულ პიროვნებას, ნესტან-დარეჯანის დაზსნა ქაჯთა ხელიდან შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლის გზით, — ეს იყო ჭოლას სტიქია, ამ სტიქიისაკენ უბიძგა მას ანდრეევის კერჟენცევის მეამბოხე სულმა. ამგვარად, რამდენადაც არ არის მართებული ჭოლა ლომთათიძის მიჩნევა ეგ. ნინოშვილის სკოლის მწერლად, იმდენადვე უმართებულოა მისი გამოცხადება თავისთავად მოვლენად, „იშვიათ საკრალობად", რომელსაც არც წინაპარი ჰყავს და არც მემკვიდრე, განსაკუთრებული სტილის ადამიანად, „რომლის მსგავსად არავის უწერია" ამქვეყნად[15].

არა, ჭოლა ლომთათიძეს ამოსავალიც ჰქონდა და დასაყრდენიც. დიდ გამარჯვებად კი ჩვენ სწორედ ის მიგვაჩნია, რომ ჭოლა მტკიცედ დგას მშობლიური ლიტერატურის მძლავრ საყრდენებზე, რაც საშუალებას აძლევს მას ეროვნული მოტივი საკაცობრიო — მარადიულ სიმაღლემდე აიყვანოს რევოლუციური ეპოქის სადარი ფორმით.

ლეონიდ ანდრეევის წერის მანერამ უბიძგა ჭოლას, ლირიკულ პროზაში გადაეტეხა ადამიანთა შინაგანი განცდების სიღრმეში შესვლის იშვიათი ნიჭი, მაგრამ ამ მხრივ მან ძლიერ შორს მოიტოვა ანდრეევი.

---

[14] იხ. „ქვალი", 1903 წ., №№ 11, 12, 13, 14, 15, 17, 18, თარგმანი ჯ. ლომთათიძისა.

[15] პირველობა რიტმული პროზის წერაში რასაც ხშირად მიმართავს ჭოლა, ია ეკალაძეს ეკუთვნის. კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ წერის ეს მანერა არ მოიწონა, „როგორც ლექსს, ისე პროზას თავისი კანონი აქვს — წერდა იგი — და როგორც პროზა ლექსის სახით დაწერილი, ისე ლექსი პროზის სახით დაწერილი, მკითხველს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს... ამ შემთხვევაში თვით ენაც მახინჯდება, რადგან, ის, რაც ლექსს ეპატიება, პროზას როდი ეპატიება" (იხ. „მოამბე", 1900 წ., № 2). ჭოლა ლომთათიძემ არ გაიზიარა კრიტიკოსის აზრი და მტკიცედ დაადგა ია ეკალაძის „მიგნებულ" გზას.

ჩვენ აქ სრულებითაც არ გვსურს ვილაპარაკოთ გავლენაზე. არჯ. მეამბოხე ჰოლა თვით გამოვიდა ლირიკული პროზის გზაზე, და, რაკი ავტორიტეტული ანდრეევის კერქენცეეიც შემოხვდა იქ, უფრო მედგარი ნაბიჯებით განაგრძო სვლა.

ქართული ლირიკული პროზის საამაყო სარდალი ჰოლა, ლიტერატურული ფორმის მხრივ ქართველ კლასიკოსთაგან ყველაზე მეტად შიო არაგვისპირელს ენათესავება. ამ უკანასკნელის ფსიქოლოგიური ნოველა ჰოლა ლომთათიძის ფსიქოლოგიურ მოთხრობებში პოულობს თავის სრულყოფას, მაგრამ თემატიკითა და იდეით ჰოლა ლომთათიძე შორს გასცდა არაგვისპირელს: შიო არაგვისპირელი ძირითადად ასახავს ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ დაღდასმულ, ბრძოლის უნარმოკლებულ, მამულისადმი რწმენადაკარგულ ინტელიგენტთა სახეებს, ჰოლა ლომთათიძის შემოქმედების მთელ პათოსს კი კაპიტალისტური საზოგადოების წყობის შემცველი პროგრესული ფორმაციისადმი ღრმა რწმენა შეადგენს.

— „ოხ, მომეცით რწმენა მომავლისა და აი ამ მთას მეორე ნაპირზე გადავდგამ!“ — ასე ჰგოდებს შ. არაგვისპირელის გმირთა დიდი უმრავლესობა. ჰოლას გმირები კი გადაჭრით ადგანან „ცისკენ მიმავალ გზას“ და თავიანთი მიზნის მისაღწევად საჭირო ძალთა არასაკმარისობის გამო კვნესიან. შიო არაგვისპირელი თანამედროვე ადამიანის შინაგანი ბუნების, ადამიანში არსებული წინააღმდეგობების ახსნას „სიყვარულის საიდუმლოებათა“ გახსნით ცდილობს, ჰოლა ლომთათიძე კი იმ უფსკრულის ჩვენებით, რაც მახინჯმა საზოგადოებრივმა ფორმაციებმა გრძნობასა და გონებას შორის შექმნეს.

90-900-იანი წლების მწერლების ერთი ნაწილი აზვირთებული რევოლუციური ტალღების შუაგულში ტრიალებდა, მეორე ნაწილი ტალღათა ხეთქებას თვალს არიდებდა და შორეულ წარსულში იხედებოდა, მესამე კი მერყეობდა და, მეფის რუსეთის პოლიციური რეჟიმის მანკიერებას ამჟღავნებდა, მაგრამ მის წინააღმდეგ მებრძოლთა სახეებს ვერ ქმნიდა, ჰეშმარიტებას ვერ აგნებდა და ადამიანურ ძალთა განსაზღვრულობაზე ჩიოდა; მათ შორის პირველ ნაწილს ეკუთვნოდა ჰოლა, მესამეს — შიო არაგვისპირელი, როგორც წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მწერალი.

1903 წლიდან ჰოლა ლომთათიძე უკვე მოჩანს, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკთაგანია გურიაში.

ვფიქრობთ, დაახლოებითაც ვერ შევქმნიდით სწორ წარმოდგენას ჰოლა ლომთათიძის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შესახებ, თუ ვიტყოდით, რომ იგი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობა-

შიო. არა, ჭოლა ლომთათიძის მიერ თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამ ტერმინით შეიძლება გამოიხატოს. ჭოლა ლომთათიძე მოვარდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში როგორც გრიგალი, რომელსაც ამიერიდან ასჯერ უფრო მძლავრი ძალაც ვერ დააბრუნებს უკან, იგი ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში არა ყოყმანით, თანდათან, შეუმჩნევლად, საჭირო შემთხვევისათვის უკანდასახევი გზების დატოვებით, არამედ გულწრფელად, მთელი არსებით, მთელი შეგნებით, ხუთიოე გრძნობით. ამიერიდან მისთვის მთლიანად წაიშალა პირადი ცხოვრება, საკუთარი მე, ყველაფერი მასში დაემთხვა და დაექვემდებარა სამშობლო ქვეყნის რევოლუციური გზით გამოხსნის ნათელ იდეალს. პირდაპირი, მიუდგომელი, ფიცხი, შეუდრეკელი, ხან მრისხანე და ხან სათუთი ჭოლა ყველა ამხანაგისთვის თვალსაჩინო პიროვნებად ხდება. ნაკითხი, განვითარებული, „სხვადასხვა პარტიათა მოძღვრების მცოდნე“ ჭოლა, მშრომელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თანამოაზრეთა წრეში მას კიდევ უფრო ამაღლებს ის გარემოება, რომ მისთვის არ არსებობს პირადი მეგობრობა — მოკლებული საზოგადოებრივ იდეალს. ყველაფერი რევოლუციისათვის, არაფერი რევოლუციის გარეშე, — ასეთია მისი ურყევი მრწამსი. „ცოცხალი, მოკამათე, ხან გესლიანი, მწარე დამცინავი, ხან კი მოსიყვარულე, საამო, მაგრამ მუდამ გულწრფელი. რაც გულში აქვს, ენაზე ადგებაო — ამაზე ითქმოდა... ზოგჯერ ერთი სიტყვით ისე დაახასიათებდა ათვალწუნებულ კაცს, რომ როგორც იტყვიან, მოსპობდა ხოლმე“, — ასე ახასიათებენ მახლობელნი მის პიროვნებას[16].

ჭოლა ლომთათიძე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მაგრამ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მარქსისტული ფილოსოფია მან ვერ შეითვისა, ვერ გაიგო, ერთადერთი, რაც მან ამ ფილოსოფიიდან უყოყმანოდ იწამა — ეს იყო კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების სიბინძურე და შეიარაღებული აჯანყების გზით მისი დამხობის აუცილებლობა, სამშობლო ქვეყნის გათავისუფლება სოციალისტური რევოლუციის საშუალებით. ეს მრწამსი იყო ურყევი, მტკიცე და მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში იგი არ ცნობდა არავითარ კომპრომისს, უკანდახევის თუ გადახვევ-გადმოხვევის არავითარ ხელოვნებას. კალმით, იარაღით, მის ხელთ არსებული ყოველი საშუალებით იბრძოდა ჭოლა ლომთათიძე სამშობლო ქვეყნის

---

[16] იხ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47.

გასათავისუფლებლად და ამ ბრძოლაში იგი არ ზოგავდა სიცოცხლის არც ერთ წუთს, სისხლის არც ერთ წვეთს.

პოლიტიკურ ბრძოლაში ჭოლა ლომთათიძე ჩაება ისევე წმინდა გულით, როგორც ლიტერატურულ საქმიანობაში. თუ ჩვენს მწერლობაში მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება ეწოდოს ლიტერატურაში პოლიტიკოსები, პოლიტიკაში ლიტერატორები, მათ შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს უსათუოდ ჭოლა დაიჭერს.

ღრმად შეიგრძნო რა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეთა წმიდათა წმიდა იდეალი „ნესტანის ქაჯთა ტყეებიდან“ დახსნისა, ჭოლა დარწმუნდა, რომ ეს „დახსნა“ მხოლოდ სოციალისტურ მოძრაობაზე დაყრდნობით შეიძლებოდა და შეუერთდა ამ მოძრაობას მთელი არსებით, უჩვეულო მგზნებარებით.

ჭოლა ლომთათიძე ქმნიდა არა მარტო მხატვრულ სახეებს, არამედ მხატვრულ საბრძოლო-პროპაგანდისტულ სტრიქონებსაც, რომელნიც საგანგაშო დაფდაფის ხმად ესმოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატს.

— „პირველი მაისი! პირველი მაისი! სალამი პირველ მაისს!

მორთულ-მოკაზმული გამოდით ქუჩაზე, ამხანაგებო, და წითელი დროშით გაისეირნეთ! მორთულ-მოკაზმული გამოდით ქუჩებზე და დასძახეთ სიმღერა! შეიარაღებული გამოდით ქუჩებზე, ამხანაგებო. და სიკვდილი მათ, ვინც არ დაგანებოს სიხარული და სიმღერა! ხედავთ, — გაზაფხული, ელირსა ძველს, ჩაგრულთა სისხლით მორწყულ ქვეყანას! ეკლესიებში ისევ ქადაგებენ მოთმინებას და მორჩილებას, ისევ აქებენ დღევანდელ წესრიგს და ისევ ყიდიან ქუჩებში სხეულს მშიერ-მწყურვალი ადამიანები, ისევ იღვრება სისხლი პატიოსანთა და ისევ ისმის ლხენის ხმა მაღალ სასახლეებში. აქ ადამიანის სისხლს სვამენ და თვრებიან, აქ ადამიანის ხორცს სჭამენ და ძღებიან, და ეს ადამიანები, ჩვენ ვართ, ამხანაგებო! ისევ არ იტეხს გულს ქვეყნის მჩაგვრელი... ქვეყანას ძველს, ქვეყანას ტიტველს ისევ იმედი უღვივის გულში და ეს იმედი უნდა მოვუკლათ ჩვენ, ამხანაგებო! ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! აქ ერთი მეორეს ართმევს ლუკმას და არც კი რცხვენიათ! აქ ერთი რომ ლხინობს, ათასს ლუკმა-პური ენატრება და არც კი რცხვენიათ! აქ ერთის ნამუშევარს ითვისებს მეორე და არც კი რცხვენიათ! აქ სამეძაო სახლებია აშენებული, სადაც შიმშილით გაპირუტყვებულ ადამიანებს ამღერებენ და კოცნიან და არც კი რცხვენიათ! აქ იყიდება სიყვარული, აქ იყიდება სინდისი, აქ იყიდება ნამუსი და არც კი რცხვენიათ! აქ სატრფოს კოცნაც მოწამლულია, აქ უმანკო ბავშვის

ტიტინიც არ ალბობს გაქვავებულ გულს... ისიც გრძნობს, რომ დახშულია გული დღევანდელი ადამიანისა,... აქ საკუთარი ბავშვების გასაძღომად სხვისი ბავშვები უნდა დაამშიონ...

ფუი, რა ბინძურია დღევანდელი საზოგადოება! აქ მათხოვრები და ქურდები ჰყავთ, აქ მკვლელები და ავაზაკები იბადებიან, აქ ადამიანი ასამართლებს ადამიანს და სატუსაღოში აჯენს... და არც კი რცხვენიათ ეს! თოფებითა და ზარბაზნებით იცავენ ამ საზოგადოებას, მღვდლებით და მოყიდული მეცნიერებით ამტკიცებენ ამ წყობილების უაღრესობას, ეკლესიებით და სასამართლოებით ამაგრებენ მას. ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა დავამარცხოთ ისინი. ამიტომ ჩვენ უნდა გავიწაფოთ ბრძოლაში — მაშ, ქუჩაზე, ამხანაგებო! ბრძოლის დროშით ხელში, შეიარაღებულნი, სადღესასწაულო ტანსაცმელებით — ქუჩაზე, ამხანაგებო!... მოვდივართ შენზე, ძველო ქვეყანავ, გზა მოგვეცი! ვანთხევთ სისხლს, რომ ნიადაგი გავაპოხიეროთ — დაგვხვდითო! ჩვენ გავიმარჯვებთ და ამიტომ მხიარული ვართ ჩვენ. მომავალი ჩვენია, — მაშ, სიმღერა, ამხანაგებო! აფრიალდი მხიარულად, წითელო დროშავ! — შენს ქვეშ სიკვდილი ჩვენი! აფრიალდი, წითელო დროშავ — შენს ქვეშ გამარჯვება ჩვენი! ქუჩაზე, ქუჩაზე, ამხანაგებო! პირველი მაისია დღეს!

პირველი მაისი! პირველი მაისი! შეხედეთ, როგორ იცინის ბუნება! იმას უხარია, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს"... („პირველი მაისი").

აქ თვითონ მწერალი დგას ბრძოლის ველზე და არა მისი გმირი. აქ მწერალს ხელში ხმალი უჭირავს და არა კალამი. აქ ყოველი სიტყვა სუნთქავს ბრძოლის ეშხით, გაჟღენთილია აწმყოს სიძულვილითა და მომავლის გულწრფელი სიყვარულით.

1904 წ. ჭოლა ლომთათიძე პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად მივლინებულ იქნა ქ. ფოთში. რადგან იმდროინდელ ფოთში თავის შეფარება პროფესიონალ რევოლუციონერისათვის არცთუ ადვილი მოსახერხებელი იყო, ჭოლა საბუხჰალტრო კურსებზე მოეწყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროფესიის დაუფლება მისი მიზანი არ იყო და კურსებზე სწავლით რევოლუციურ საქმიანობას ნიღბავდა, ჭოლას ნიჭი სპეციალისტების აღტაცებას იწვევდა. „ბევრი მინახავს ნიჭიერი მსმენელი, მაგრამ ჭოლასთანა მე არავინ შემხვედრიაო", — უთქვამს ამ სკოლის მასწავლებელს გიგინეიშვილს[17].

---

[17] საქ. ლიტ. მუზეუმი, აპ. წულაძის მოგონება ჭოლა ლომთათიძის შესახებ.

1904 წლის დასასრულს ჭოლა ლომთათიძე კვლავ გურიაშია და განაგრძობს ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვულ პარტიულ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას. იგი აღტაცებით მიჰყვება აღმავალ რევოლუციურ ქარიშხალს და მრავალრიცხოვან კრებებზე მოუწოდებს მშრომელთ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. დაუღალავია ჭოლა, როგორც მებრძოლი-პროპაგანდისტი: „რამდენადაც მეტს ჰნერგავ ადამიანის გულში ზიზღს (არსებული წყობილებისადმი. დ. რ.), იმდენად ძლიერი მჭადაგებელი ხარ სიყვარულისა, ვინაიდან წარმოუდგენელია სიყვარული, თუ სიძულვილი არ შეგიძლია“, — ამბობდა იგი.

ჭოლა შეუპოვრად იდგა ტრიბუნაზე და ამაყად მიმართავდა მშრომელთ თავისი მგზნებარე ლიტერატურულ-პოლიტიკური სიტყვით: „თქვენ, ვინც შრომობთ და ნაშრომს გართმევენ, ვინც ოფლს ღვრით და მაინც გშიათ, ვისაც მღვდლები გიქადაგებენ მოთმინებას, მორჩილებას, მდიდრები — შრომას და ნაშრომის იმათ საკუჭნაოში დატოვებას, თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, მაღლა, მაღლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა და მედგრად, ამაყად შემოკრბით მის გარშემო! შემოჰკარით ზარს ბრძოლისაკენ მომწვევს და დასძახეთ ქვეყანას გაბედულად და უშიშრად! დასძახეთ, ბიჭებო, ყიჟინა და მიესიეთ მტერს!... ასწით, მაღლა ასწით დროშა ბრძოლისა... დაუძახეთ ქვრივებსა და ობლებს, ჩაგრულთა და ტანჯულთ, ერთად შეაგუბეთ ცრემლი კაცობრიობისა, ქვითინი დედათა, ოფლი მუშაკთა და ოხვრა შეურაცყოფილთა!... შეჰკარით მჭიდრო წრე და ბედნიერების სახელით შემუსრეთ ნადიმი ბედნიერთა!... მაშ, მაღლა ასწით ბრძოლის დროშა, მედგრად, ამაყად დასძახეთ სიმღერა ბრძოლისა და გასწით წინ!...“

შემდეგში, პატიმრობისას, მზურვალე გულიდან მომდინარე ეს სიტყვები ლიტერატურულ ნაწარმოებებში გადმოიღვარა.

ბრძოლის ველზე მდგარი მწერალი ესალმებოდა „ზღვას მედგარს, ძლიერს, მოუსვენარს, მუდამ მღელვარეს, ტალღას ტალღაზე დაჯახებულს“, ელოლიავებოდა „ცოცხალ სიტყვას, კმაყოფილთა მოსისხლე მტერს“, ანათემას უგზავნიდა „კმაყოფილთ“ და კმაყოფილებას, როგორც კაცობრიობის წელკავს, „შემფერხებელს კაცთა ცხოვრების“. „ან სიკვდილი, ან გამარჯვება, შერიგება კი არასოდეს!“ — ასეთი იყო მისი მუდმივი და წმინდა დევიზი.

ამაყი, უკიდურესად თავმოყვარე, შეუპოვარი როგორც ტყვია და პირდაპირი როგორც შურდული. კაცი, რომლის მოსყიდვა, მის ღირსად სწორად დასახული გზიდან გადაყვანა არავითარ ძალას არ

ძალუძს, რომელიც მეხივით დაეცემა ყოველგვარ უსამართლობას და გასრესს, რომლისთვისაც მახლობელია ყველა, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის და საზიზღარია ყველა, ვინც ამ ბრძოლას გაურბის, — ასეთია ჭოლა ამ დროს.

რამდენადაც ძლიერი მებრძოლი სული ბობოქრობდა მასში, იმდენად სუსტი იყო იგი ფიზიკურად, ამიტომ ცდილობდა საზრიანად გამოეყენებინა სიცოცხლის ყოველი წამი, რათა მოესწრო სამშობლო ქვეყნისათვის სათანადო სამსახურის გაწევა, ნავალის აღუბეჭდავად არ განელო ცხოვრების გზა.

შიში უკვალოდ გაჭრობისა აჩრდილივით დასდევდა მწერალს, ხდიდა მას მეტისმეტად ფიცხს, ნერვიულს, გადაჭარბებით იჭვიანს და თითქმის ყველასადმი შეურიგებელს. მისი გატაცება რევოლუციურ-ლიტერატურული შრომის პათოსით იქცა იმდენად მიდიოდა, რომ ახერხებდა არავითარი საერთო არ ჰქონოდა იმასთან, ვინც კი მშრომელთა გათავისუფლების საქმეს პირნათლად არ ემსახურებოდა, ვისაც საზოგადოებრივ საქმეში პირადულის გარევის სურვილს შეამჩნევდა. ჭოლას ცხოვრების კანონში უცნობი იყო დიპლომატიის, ადამიანთა შორის ზოგჯერ საჭირო პირფერული განწყობილების ანბანი. იგი არ ესალმებოდა და არ ელაპარაკებოდა იმას, ვისი საქციელი, ლაპარაკი, განწყობილება, ან პოლიტიკური მიმართულება არ მოსწონდა.

თუმცა თანამედროვეთ მეტად ძუნწი ცნობები დაგვიტოვეს ჭოლას პიროვნების გასაცნობად, მაინც მოვუსმინოთ მათ:

„ჭოლასთანა ზნეობრივად ფაქიზი ადამიანი ჯერ არ მინახავსო,— უთქვამს ძველ ბოლშევიკს, ხიდისთაველ გიგო ლომთათიძეს. — კაპეიკი რაა, ერთ კაპეიკსაც კი არ შეირჩენს სხვისას, უთუოდ გადაიხდის. ხიდისთაველი ვაჭრები გაკვირვებულნი არიან... ორგანიზაციის ფულებიდან კაპეიკს არ დახარჯავს თავისთვის“... „ჩვენი სოფლის კანცელარიაზე მოვიდა ბიულეტენი: — უთქვამს შეძლებულ გლეხს იაგორ გოგიბერიძეს, — ვისაც წლიური სახელმწიფო გადასახადი გადაუხდელი ექნება, ის ჰკარგავს სახ. სათათბიროს დეპუტატის კანდიდატობის უფლებასო... გავასინჯინე კანცელარიის მწერალს და სწორედ 10 მანეთი ჰქონდა ჭოლას გადაუხდელი. მე გადავიხადე ეს ფული, მაგრამ, როგორც კი გაეგო ჭოლას, იმ წუთშივე დამიბრუნა“[18].

გურიის გლეხობაში ჭოლა დიდის სიმპათიით სარგებლობ-

---

[18] იხ. გ. ლომთათიძის მოგონება ჭოლაზე, საქ. ლიტ. მუზეუმი, საქ. № 13465.

და[19]. ოზურგეთის მაზრის უფროსმა დაიბარა მისი ბიძა, ოზურგეთელი ვაჭარი, ილარიონი და უთხრა: „თქვენი ძმისწული ჭოლა, როგორც გამიგია, ნიჭიერი ახალგაზრდაა... მას არ შეჰფერის რაღაც უაზრო პროლეტარულ მოძრაობაში მონაწილეობა, მე მინდა მას... სიკეთე ვუყო: მოიყვანე ჩემთან და ჩემს მდივნად დავნიშნავ. ჯამაგირიც კარგი ექნება და სახელიც.“ ილარიონი სიხარულით ცას ეწია, სასწრაფოდ მონახა ძმისწული და მაზრის უფროსის „უმაღლესი რესკრიპტი“ აღტაცებით გადასცა. — „გადაეცი მაზრის უფროსს ჩემი „მადლობა“ და თან მოახსენე, რომ მაგ „სიკეთის“ მიღება მე არ შემიძლია-თქო,“ — იყო ჭოლას პასუხი. გაოცებულმა და გამწარებულმა ბიძამ შეაჩერა „უმადური“ ძმისწული, ნაკუწ-ნაკუწად აქცია წინასწარ შედგენილი ანდერძი, რომლითაც ის, როგორც უშვილო, თავის ქონებას ჭოლას უტოვებდა[20].

ჭოლა უარს ამბობდა, მიეღო მდიდარი ბიძისაგან ფულადი დახმარება. ვაჭარი კაცია, დამამადლისო, უთქვამს მას ამის შესახებ ბიცოლასათვის, ლავრენტის მეუღლე ლესასათვის. ამიტომ მამამისი თვითონ ართმევდა თურმე ძმას ფულს და მუდამ უფულო და ულუკმაპურო შვილს უგზავნიდა.

ჭოლას პირდაპირობა იქამდე მიდიოდა, რომ მასთან ურთიერთობისა ყველას ერიდებოდა და ეშინოდა. ამიტომ იყო, რომ ვერსად შეძლო ფეხის მოკიდება და თავის შეკავება — ვერც სასწავლებელში და ვერც სამსახურში. ორი რამ, რასაც ის შეეწყო და ბოლომდე შერჩა, იყო — რევოლუციური ბრძოლა და ლიტერატურული მუშაობა.

არაერთხელ ჩაჰკვირვებია თავის პირად მდგომარეობას მწერალი. „საკვირველია, რატომ არავის ვუყვარდები, არავის მოვწონვარ. ბუნებრივად ხომ არა მიშავს-რა, ყოველთვის გულახდილობისა, სინდისიერებისა და გულწრფელობის მოტრფიალე ვარ“[21]...—გაკვირვებული ამბობდა ის.

„ძალიან საინტერესო კაცი იყო ჭოლა, — იგონებს ბიცოლამისი, ლავრენტი ლომთათიძის მეუღლე, — როგორც კი ამოვიდოდა სახლში ჩვენსას, ის არ გაჩერდებოდა უსაქმოდ არც ერთ წუთს: ან

---

[19] სხვათა შორის, ჭოლასადმი უსაზღვრო სიყვარული მკვეთრად გამოიხატა გურიაში მისი სახელის არაჩვეულებრივი გავრცელებით. თანამედროვეთა ცნობით გურიაში სახელი „ჭოლა“ ადრე იშვიათად თუ ვისმე რქმევია.

[20] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, ჭოლა ლომთათიძის წერილი ს. რემონაძისადმი.

[21] იხ. გ. ლომთათიძის მოგონება ჭ. ლომთათიძეზე. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქ. № 13-465-6.

კითხულობდა, ან წერდა. ყველა წიგნი, რომელსაც კითხულობდა ჰოლა, ჩვენსას სახლში იყო, თუ ბიბლიოთეკიდან მოჰქონდა, სულ აჰრელებული იყო შენიშვნებით. წერდა ბევრს. სად მიდიოდა ეს დაწერილი არ ვიცი“...

ჰოლა ლომთათიძის მდიდარ არქივს, რომელიც პოეტის სულის მოძრაობის შესასწავლად მრავალ საყურადღებო მასალას მოგვცემდა, ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი შეუგროვებიათ, შეუკრავთ, ოზურგეთში ჩაუტანიათ და, უკეთ შენახვის მიზნით, ილარიონ ლომთათიძისათვის მიუბარებიათ. 1918 წელს ოზურგეთი თურქებმა დაიპყრეს და დაარბიეს. ევაკუაციიდან დაბრუნებულ ილარიონ ლომთათიძეს გაძარცული დახვდა თავისი ბინა, ჰოლას ბიბლიოთეკა თურქ ოფიცრებს გაეტაცნათ[22].

1904 წელს ჰოლა ლომთათიძე სპეციალური დავალებით ჩავიდა ქ. ნოვოროსიისკში. აქ მან მუშათა კრებაზე გაიცნო რევოლუციონერი ქალი, ოდესელი ებრაელის, მილიონერ ბენიამინ გიდიმირსკის ასული ცილია და დაუახლოვდა მას.[23]

გიდიმირსკების ოჯახი ცილიას არჩევანმა ძლიერ შეაშფოთა, მაგრამ ქალის გატაცება ჰოლათი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მშობლების წინააღმდეგობა დაუძლევია. ბენიამინ გიდიმირსკის ნება მიუცია ასულისათვის წარედგინა მაღალი წრის ვაჭართა ოჯახში რევოლუციონერი ქართველი. სასიმამროს გარეგნულად ძლიერ მოსწონებია ჰოლა.

---

[22] საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 13464-6. გამორიცხული არ არის თურქების მიერ წაღებული ბიბლიოთეკის გაუნადგურებლობა. ვინ იცის, იქნებ ჰოლას მოამავალ მკვლევარს წილად ხვდეს მისი დამუშავება.

[23] ცილია გიდიმირსკაიას გაცნობამდე ჰოლა გატაცებული ყოფილა ლანჩხუთელი წილოსანის ქალით — თინათი. ჰოლას დების გადმოცემით, თინა წილოსანს პყოლია ქალიშვილი, რომელსაც ხალხი ჰოლას ქალიშვილს ეძახდა თურმე. როგორც ჩანს, „შერცხვენილ“ ქალს ლანჩხუთი მიუტოვებია და აჭარაში „გადაკარგულა“ პედაგოგად. იგი ჯამეში შეხვედრია ჰოლას დას — სიდოს და ცრემლთა ფრქვევით გადაუცია საკუთარი რომანის ისტორია. ჰოლა რომ ჩემი იყო, ქვეყანამ იცოდა, მაგრამ ებრაელის ქალის ჩამოყვანის შემდეგ არა მეთქმოდა-რა და გავჩუმდიო — უთქვამს მას. თინას სახელი ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში მართლაც რომ ძალიან თბილად იხსენიება. ამ სახელს ატარებს მტკიცე რევოლუციონერი ქალი, რომელიც ბიქტორთან ერთად აღტაცებული ეგებება პროლეტარიატის საბრძოლო დღესასწაულს — პირველ მაისს. თინას დუმილით გადასცემს პოეტი თავისი გულის უძვირფასეს განძს — სიყვარულს. საგულისხმოა, რომ თინა ბრძოლის დროს დაღუპული ამხანაგების გვერდით ქალაქის მახლობლად გათხრილ ორმოში მოათავსა პოეტის მგზნებარე ოცნებამ და მისკენ მიიმართება იგი საუკუნეებზე გადამწვდენი ძახილით — „სად ხართ, მოკლულო ამხანაგებო, გამომეძახეთ, რამდენი ხართ თქვენ!“. („პირველი მაისი“).

— „ჩვენს ქალიშვილს ისე უყვარხარ, რომ მზად არის თუნდაც ჯოჯოხეთში წამოგყვეს, მაგრამ ვინ, სადაური, ან რა პროფესიის ხართ თქვენ? — შეეკითხა იას.

ქართველი ვარ, გლეხის შვილი, პროფესიით რევოლუციონერი! — უპასუხა ჰოლამ.

— რა ქონების პატრონი ხართ?

ჩემი ქონება ტანზე მაცვია: თეთრეული და ბლუზა-შარვალი, მეორე ხელი კი ამხანაგთან მაქვს შენახული.

— სულ ეს არის შენი ქონება?

— სულ ეს არის.

— ჩვენი ქალი რომ წაიყვანო, რით უნდა არჩინო?

— ჩვენებური ჯადით და თქვენებური ტარანით, ზოგჯერ ისიც არ ექნება.

— ბინა საკუთარი გაქვთ?

— არა.

მაშა ქალს მიუბრუნდა: — და შენ გინდა მისთხოვდე ასეთ კაცს?

— დიახ.

— შენს საქმროს ბინა არ ჰქონია, მაშასადამე, არც საწოლი ექნება, და შენ გინდა გაბდე ასეთი კაცის მეუღლე?

— მე შევიყვარე კაცი და არა საწოლი“.

ჰოლას უსარგებლო საუბარში დიდი დრო არ დაუკარგავს. წამოდგა და „მტერ-მოყვარეს“ სამუდამოდ გამოეთხოვა.

— „მშვიდობით!

— ჯანდაბას! — გააყოლა სიმამრმა.

— მალე გნახავთ იქეთ მიმყვალს!“ — უპასუხა სახიძომ და კარები გაიხურა.

მამამ ქალი დატუქსა და ცემაც დაუპირა ასეთი საქმროს მოყვანისათვის. ქალმა ძვირფასი ავეჯეულობა დააშსხვრია და მამის ოჯახიდან სამუდამოდ გაიქცა[24]. ჰოლა ახლადშერთული მეუღლით ჩამოვიდა გურიაში 1904 წელს. გარდა მშობლებისა ცილიამ დაჰგმო საკუთარი სარწმუნოებაც და ეზიარა ქრისტიანობას. იგი მოინათლა მეწიეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და იქვე დაიწერა ჯვარი. მისი ნათლიები იყვნენ: გოგოლია ბერეჟიანისა (გურიაში ცნობილი ჯიშერ ბერეჟიანის მეუღლე) და ემელიანე ლომთათიძე. ჯვარი დასწერა

[24] 1906 წელს, რეაქციის დროს, ცილიას მამამ ბ. გიდიმირსკიმ გურიის დაბა ჯელი რაზმის უფროსს პოლკ. კრილოვს მისწერა: „გურიაში იმყოფება ჩემი ქალი ცილია. ისიცა და მისი ქმარი ჰოლა ლომთათიძე რევოლუციონერები არიან. ათასი მანეთის მომცემი ვარ, თუ ჩემს ქალს თავს მოსჭრით“. (გ. ლომთათიძის მოგონებიდან).

მღვდელმა სერაპიონ კალანდაძემ, დაარქვეს ქრისტიანული სახელი — ოლღა. ამ ჯვარისწერით სამი კურდღელი დაიჭირა ცილია გიდიმირსკაიამ: დაარწმუნა მშობლები, რომ სამუდამოდ დაუკავშირდა ჰოლა ლომთათიძეს და მისი ნაბიჯი უბრალო ქარაფშუტული გატაცება არ იყო, გამოიცვალა გვარი და ამ გზით აიცდინა დევნა, როგორც რევოლუციონერმა, სამუდამოდ დაიზღვია თავი იმ რბევა-აწიოკებისაგან (პოგრომი), რასაც არცთუ იშვიათად განიცდიდნენ ებრაელები ანტისემიტიზმით მოწამლულ ჰეფის რუსეთში.

ამგვარად, ფუფუნებაში სათუთად აღზრდილი მილიონერის ასული გურიის უღარიბესი გლეხის ოჯახის წევრი გახდა. მაგრამ ეს უსათუოდ აღემატებოდა მის ფანტაზიას ღარიბთა ცხოვრებაზე, გაცილებით ძნელი იყო ეს უღელი, ვიდრე მას შეეძლო წარმოედგინა. პირველი გატაცება გაქრა, მწარე ცხოვრებამ მოითხოვა მაგარი ნერვები, რაც ოლღად წოდებულს არ აღმოაჩნდა. ჰოლას დის სიდოს გადმოცემით, ცილია არაიშვიათად იჩენდა „უტაქტობას", უკულტუროებს, ველურებს უწოდებდა ქართველებს, აითვალწუნებდა რომელიმე პიროვნებას და მის მაგალითზე ლანძღავდა მთელ ერს, იწუნებდა ქართულ საჭმელებს, უპატივცემულობას იჩენდა ეროვნული ზნე-ჩვეულებებისადმი.

„გიჟივით უყვარდა ჩემი ძმა ცილიას და ამიტომ ვაპატიებდით ხოლმე ამ ლანძღვას, არ ვეუბნებოდით ჩემს ძმას, რომ გვეთქვა, მოჰკლავდაო", — იგონებს ჰოლას და.

მართლაც, ჩანს ცილია ისე შესანიშნავად ასრულებდა სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ქართველი მწერლის მეუღლის როლს, რომ რამდენიმე წლის მანძილზე ერთხელაც არ შემჩნევია სიყალბე, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა მეუღლისთვის ერთადერთი წმიდათა წმიდას ხელყოფა ეპატიებინა ჰოლას.

დადგა 1905 წელი. ჰოლა ლომთათიძე ბოჰემური თავდავიწყებით გადაეშვა რევოლუციის გრიგალში და ლიტერატურული მუშაობა მთლიანად შეწყვიტა. იგი იარაღით ხელში გვერდში ამოუდგა აბობოქრებულ მშრომელთა მასებს. ახლა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების მზე ამოდიოდა და მაგიდასთან დასაჯდომად აღარ ეცალა მწერალს.

აი როგორ ახასიათებს იგი ცხოვრების ამ პერიოდს: „კრებიდან კრებაზე დავრბოდი და აუარებელ ხალხს ვითანხმებდი — გაგვეშალა ქუჩაში ჩვენი დროშა, ჩვენი ძალა, ჩვენი გავლენა. გვეჩვენებინა ბეტრისათვის, რომ არ ვხუმრობდით... და თვითონვე მაკვირვებდა

თუ სადა ვპოულობდი ამდენ ძალას, ამდენ ახალ სიტყვებს, სხვადასხვა კრებებზე ამდენ გატაცებას. მე კი ერთიან ჩაბმული ვიყავი მუშაობაში, დილიდან საღამომდე დავრბოდი ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში. ვყლაპავდი თუთუნის ბოლს. საათობით ვიჯექი ნოტიო სარდაფებში, ვუხსნიდი ხალხს მის ისტორიულ დანიშნულებას. ვქმნიდი წრეებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს. სად იყო ვაშინ მოსვენება და ძილი".

ჰოლა ლომთათიძის ცხოვრებას 1905 წლის რევოლუციის დროს შესანიშნავად გვაცნობს მისი მეუღლის ნათქვამი — „ქმარი მყავს და ქმარი მენატრებაო".

პრაქტიკული მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციაში. ბარიკადებზე დგომა იარაღით ხელში — იყო ის ერთადერთი ბედნიერება, რომელიც ჰოლამ მისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე განიცადა.

რეაქციის დროს, როცა მრავალმა „თანმიმდევარმა მებრძოლმა" გადააფასა განვლილი გზა, სამუდამოდ დაგმო რევოლუციური ბრძოლა, როცა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სევდა-ვაებას მისცა თავი, ჰოლა ლომთათიძის ტანჯვას მხოლოდ განვლილი გმირული პრძოლების მოგონებანი აამებდა. — „ბედს კი არ ვემდური მგანა! — ამბობდა ის, — ის კი არა. ხელახლა თავიდან რომ დავიწყო სიცოცხლე, ისე რომ ყოველივე ეს მახსოვდეს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისევ აქ მოვალ. არა, ბედს არ ვემდური. მე ვიცოცხლე ისე, როგორც მე მინდოდა და მესმოდა სიცოცხლე. თუ ვინმე დამტკბარა სიცოცხლით, მეც ერთი იმათგანი ვარ, თუ ვისუფს გამოუცდია შვება და სიხარული, მეც გამომიცდია.

ჩემი სიყვარულიც სრული იყო და სიძულვილიც, რწმენაცა და უარისყოფაც. აბა, ერთი ის რად ღირს, რომ მე ვიცი ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა. განა მე არ ვიყავი ბედნიერი, რომლის გატაცებულ სიტყვებზე იმდენს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი აღგზნებია, სისხლი ამუშავებია. აჩქარებია! მე ერთი იმ ბედნიერთაგანი გახლავართ, რომელსაც მიმიღია რწმენა, ატოკებული, გატაცებული შემოთვისებია ის და შემდეგ სხვებისათვის გადამიცია და ამნაირად მეც გადამიბამს ახალი რგოლები იმ დიდი და მჭიდრო ჯაჭვისთვის, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება, მუშათა მებრძოლი არმია! მე, რომელსაც ისეთ ჯანსაღ, ისეთ მომავალი ბედნიერების მატარებელ წრეში მიმუშავია და მისი სიყვარული მინახავს, განა მე არა ვარ

ბედნიერი? არა, ბედს არ ვემდური, ასეთ ცილს ვერ დავწამებ მას, ასეთი უმადური მე არ შემიძლია ვიყო“ („სახრჩობელას წინაშე“).

1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გამეფების შემდეგ ჭოლა ლომთათიძე არალეგალურად ცხოვრობდა. მან გურიის ტყეებს შეაფარა თავი და იქედან განაგრძო ბრძოლა საძულველი თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის წინააღმდეგ. არალეგალურად მომუშავე ჭოლას მდგომარეობა ნასაკირალის ცნობილი ოპერაციის შემდეგ მეტისმეტად გამწვავდა. თუმცა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ჩანს, იგი ამ თავდასხმის მომხრე არ ყოფილა. ამის შემდეგ მისმა დევნამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო. ჭოლამ დასტოვა გურია და თბილისში გადმოვიდა, აქ იგი ცხოვრობდა გურიიდანვე გამოქცეულ მებრძოლ ამხანაგ მეგრელიძესთან ერთად.

1906 წლის დასაწყისში ჭოლა ისევ გურიაშია და არალეგალურ ცხოვრებას განაგრძობს.

1906 წლის თებერვალში ჭოლა ლომთათიძის მამის სახლ-კარი ცეცხლს მისცეს. დამსჯელმა რაზმმა, რომელსაც სიმკაცრით ცნობილი პოლკოვნიკი კრილოვი და ურიადნიკი დიმიტრი მოგელაძე სარდლობდნენ, მთლიანად გადაბუგა ის მიდამო, რომელმაც ჩვენი საყვარელი პოეტი აღზარდა და დაავაჟკაცა. ბიბონ ლომთათიძის ცოლშვილი მეზობლებმა შეიფარეს[25].

იმ დროს, როდესაც ბიბონ ლომთათიძის სახლ-კარი იწვოდა, ჭოლა ლომთათიძე არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ამხანაგთან ერთად იმყოფებოდა მდ. ლუგუშეს ნაპირზე ნაგებ საცეხველაში. ჭაბუკები საკუთარი თვალით ხედავდნენ დამსჯელი რაზმის „გმირულ საქმეს“.

1906 წელს ჭოლა ლომთათიძე გურიის ორგანიზაციის მიერ არჩეულ იქნა რსდმპ სტოკჰოლმის ყრილობის დელეგატად. როგორც ცნობილია, ბელგიის მთავრობამ ყრილობას მუშაობის განგრძობის უფლება არ მისცა და სხდომები გადატანილ იქნა ლონდონში.

---

[25] ჭოლას სახლის დაწვისას პოლკოვნიკს თავი მოუყრია ხალხისათვის და უთქვამს, თუ თქვენ შეესევით მის სახლ-კარს, დაანგრევეთ და დაინაწილებთ, არ დავწვავთო. მეზობლებს ზიზღით უარუყვიათ ეს წინადადება (სიდო ლომთათიძის მოგონებიდან).

ჰოლა ლომთათიძე მონაწილეობდა სტოკჰოლმის და ლონდონის სხდომებშიც. იგი აქ ვორობიოვის ფსევდონიმით გამოდიოდა[26].

ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ ჰოლა რევოლუციურ მუშაობას განაგრძობს.

1907 წ. 22 თებერვალს არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ჰოლა ლომთათიძე ქუთაისის გუბერნიის მიერ არჩეულ იქნა დეპუტატად მეორე სახელმწიფო სათათბიროში.

რამდენადაც ჰოლა ლომთათიძე არ იღწვოდა საკუთარი კანდიდატურის სასარგებლოდ (ამის საშუალება მას არც ჰქონდა), ამდენად ჰოულოდნელი იყო მისთვის არჩევნებში გამარჯვება.

დეპუტატად არჩეული დევნილი ზეიმით ჩამოიყვანეს სოფ. ხიდისთავში, ვახშამი გაუმართეს და ზეიმითვე გააცილეს. პეტერბურგში გამგზავრების წინ ჰოლამ ახალი ტანსაცმელი შეაკერინა გურიაში განთქმულ მკერავს ს. კალანდაძეს და „ჩაქურაში“ გამოწყობილი წარუდგა ოზურგეთის ვაზრის უფროსს ტოლმაჩევს, რომელიც 3 წელი დასდევდა მას დასაპატიმრებლად და წარმატების შემთხვევაში დიდ ჯილდოსაც ელოდა.

— „გთხოვთ მიცნობდეთ. მე გახლავართ ბიკენტი ლომთათიძე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, — უთხრა ღიმილით ჰოლამ — ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, რომ ჩემი, როგორც დეპუტატის, დაპატიმრების უფლება აღარა გაქვთ.

„ნაჩალნიკი“ სამხედრო სალმით გაეცალა.

---

[26] ჰოლა ლომთათიძის მონაწილეობის შესახებ ყრილობის მუშაობაში საკმაო მასალები მოიპოვება. «Товарищ Воробьев сказал — ამბობს ვ. ი. ლენინი — что с нами, «большевиками», «меньшевики» не могут работать в одной партии. Я рад, что первым заговорил на эту тему именно товарищ Воробьев, что это слово послужит «агитационным материалом» я не усомнился бы».

რადგან ლენინის ეს განცხადება მენშევიკებმა გაიგეს, როგორც მხარდაჭერა ჰოლა ლომთათიძისადმი, ვ. ი. ლენინმა ყრილობაზე შემდეგი წერილობითი განცხადება გააკეთა: «Не верно, что я «поддержал» товарища Воробьева (Ломтатидзе) сказавшего, что работать вместе в одной партии большевики и меньшивики не могут. Я отнюдь не разделяю такого взгляда. Смысл моих слов: «Я рад, что товарищ Воробьев сказал это первым» — был исключительно иронический, ибо победители, имеющие большинство на съезде, обнаружили лишь свою слабость, заговаривая первые о расколе». (В. И. Ленин, Сочинения, издание третье, стр. 165, IV том. 1936 г.).

— ბედი გქონია, ბიჭი იყავ და ერთი კვირის წინ ვობრძანებულიყავი![27]“ — უთხრა მან.

ნაძალადევი, მაგრამ აუცილებელი აუდენცია დასრულდა. დარცხვენილ მაზრის უფროსს სახეზე მოუშორებელი ირონიული ღიმით გამოეთხოვა დეპუტატი, რომელსაც გარეთ უამრავი ხალხი ელოდა.

რადგან ჭოლა ლომთათიძე სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩეულ იქნა რსდმ პარტიის მენშევიკური ორგანიზაციის მიერ და ამ „მენშევიკობამ“ შემდეგში გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი ლიტერატურული ღვაწლის დაფასების საქმეში, — აუცილებელი ხდება საფუძვლიანი განხილვა მწერლის პირადი ურთიერთობისა რსდმ პარტიის ფრაქციებთან.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ჭოლა ლომთათიძე, თავისი უმწიკვლო მებრძოლი სულით, პრაქტიკული საქმიანობით, იდეურ-პოლიტიკური კრედოთი და, რაც მთავარია, შემოქმედებით, ნამდვილად არ ეკუთვნოდა რსდმპ მენშევიკურ-ოპორტუნისტულ ფრთას.

არსებული დოკუმენტური მასალების შესწავლისა და მხატვრული შემოქმედების ანალიზის გარეშე ჭოლა ლომთათიძე გამოცხადებულია მენშევიკად და მასზე მსჯელობაც ამ წინასწარი პოზიციიდან წარმოებს. ეს არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ქართველი ხალხი მას დღემდე ალმაცერად შესცქერის.

მხატვრული მემკვიდრეობისადმი მარქსისტულ-ლენინური დამოკიდებულება უფლებას არ გვაძლევს მებრძოლი შემოქმედისადმი სასტიკნი ვიყოთ. ჩვენი საუკუნის ცხრაასიანი წლები მშრომელთა ხსნის გზის ძიების პერიოდი იყო და ჭოლაც ეძებდა წრფელი, წმინდა გულით, ეძიებდა და ყოველთვის ვერ ჰპოვებდა, მაგრამ მისი მხატვრული შემოქმედება და პირადი ცხოვრება, ნათლად ამსახველი ამ მტვრევა-მსხვრევა-ძიებისა. ჩვენი თანადროულობისათვის უაღრესად მახლობელია და საღი, რამდენადაც მასში, როგორც სარკეში, მოჩანს ჩაგრულთა ამბოხება არსებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ.

ჭოლა ლომთათიძისათვის, ამ დაუდეგარი სულის შემოქმედისათვის, ამქვეყნად არა იყო რა მყარი, ერთხელ დადგენილი და დაურღეველი. იგი თავისი შინაგანი არსით ეძებრობოდა ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც კი არსებულის დანგრევისაკენ ისწრაფვოდა, არ ეკუთვნოდა არც ერთ ორგანიზაციას, რამდენადაც ეს უკანასკნელი

---

[27] იხ. ი. მანწკავა. ჯ. ლომთათიძე. გამომცემ. „განათლება“. 1925 წ.

მისგან მოითხოვდა მორჩილებას გარკვეული წესდებისადმი, სახავდა მომავლის პროგრამას — განსხვავებულს „საზოგადოებისა და პიროვნების აბსოლუტური თავისუფლების“ ჭოლასებური გაგებისაგან.

ინტერესმოკლებული როდია ვიცოდეთ ჭოლა ლომთათიძის ფრიად „ორიგინალური“ (სრულიად ანტიპარტიული და ამდენად არასაყურადღებო) დამოკიდებულება რსდმ პარტიაში არსებული უთანხმოებისადმი.

ამ მხრივ ბევრის მთქმელია მწერლის თანამედროვეთა მოგონებანი: „ჭოლას ხშირად ვხედავდი მიტინგზე. — იგონებს 1905 წ. რევოლუციის პერიოდს გ. ლომთათიძე. — ის ფრაქციულ ბრძოლებში ნაკლებ ერეოდა. ზოგი ამას ჩამორჩენილობით ხსნიდა. ერთმა სთქვა: ეს იმიტომ, ამხანაგო, რომ ის მთავარ ყურადღებას აქცევს არა ფრაქციულ კინკლაობას, არამედ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობას“[28].

ზემოთქმულის დასასაბუთებლად გ. ლომთათიძეს მოჰყავს ცნობები ჭოლა ლომთათიძის ერთ-ერთი გამოსვლის შესახებ 1905 წელს: არსებულ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევის თვალსაზრისით გურულ გლეხებს კომიტეტიდან პროპაგანდისტი — ბოლშევიკი თევდორე კალანდაძე მოუთხოვიათ. მენშევიკურ კომიტეტს ჭოლა ლომთათიძე გაუგზავნია. გლეხობა მოითხოვდა შემდეგ საკითხთა განმარტებას: 1) რა სჯობს არსებულ მომენტში მუშათა კლასისათვის — მთავრობის გამარჯვება თუ დამარცხება მიმდინარე ომში? (რუსეთ-იაპონიის ომი, 1904 წ.), 2) მთავრობის დაცემის შემდეგ ახალი მთავრობის არჩევისას ბლოკი თუ ბოიკოტი ბურჟუაზიასთან? 3) კაპიტალისტურ-ფემამულური მთავრობის მოსპობისთანავე ახალმა მთავრობამ დემოკრატიზმის გზით უნდა მოამზადოს ნიადაგი სოციალიზმისათვის, თუ ჯობს ერთბაშად გადაიდგას ნაბიჯი სოციალიზმისაკენ? — „შეიკრიბა პაიჭაძესეული და წიფლნაგვარა, — გადმოგვცემს ამ კრების მონაწილე გ. ლომთათიძე — მოვიდა ჭოლა მაგრამ, წინააღმდეგ კომიტეტის დირექტივისა (ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მენშევიკური თვალსაზრისით გაშუქება), დაამუშავა სულ სხვა თემა, სახელდობრ — რატომ გავრცელდა მასიურად სიტყვა „ამხანაგი“. მისი საუბრით ჩვენ გავერკვიეთ იმაში, რომ დღემდის ამხანაგი შეიძლებოდა ყოფილიყო ორი ვაჭარი, ან ხელოსანი ერთ დუქანში, მაგრამ დღეს უცნობი უცნობს თამამად მიმართავს

---

[28] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 13465-6.

ამ სიტყვით — „ამხანაგო“ და ეს მაშინ, როცა მათ არც—სავაჭრო აქვთ საზიარო და არც სახელოსნო. რაშია საქმე? ამხანაგობა ხომ რაღაცის საზიაროს, საერთოს გულისხმობს და დღეს სწორედ ამ საერთო-საზიაროს აქვს არა მატერიალური, არამედ იდეური საფუძველი. ეს იდეა, ეს ახალი იდეა, რომელიც ეს-ეს არის გავრცელდა ჩვენს ხალხში, ჰგულისხმობს ახალ მოძრაობას, პოლიტიკურ მოძრაობას. ამ მოძრაობის მიზანია დაამხოს რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა, რომელიც ემსახურება არა მშრომელი ხალხის ინტერესებს, არამედ ერთი მუჭა ბურჟუაზიის,—მშრომელთა კლასობრივი მტრების — ინტერესებს. და ამ ძველი წყობის ნანგრევებზე უნდა შეიქმნას ახალი მთავრობა, მუშებისა და გლეხების მიერ არჩეული მთავრობა... ეს იქნება პირველი საფეხური მოძრაობის მიერ გაკეთებული, ხოლო შემდეგი საფეხური კი არის ამაჟე მოძრაობის მიერ ნიადაგის მომზადება სოციალიზმში გადასასვლელად.

აი ეს ახალი მოძრაობა, თავისი მახლობელი და საბოლოო მიზნებით, არის დღეს ყველასათვის საინტერესო და ამიტომაც ვრცელდება ეს მოძრაობა ჩვენს ხალხში ჯერ სწრაფად. აი ამ ახალი მოძრაობის აზრი, ანუ სხვანაირად რევოლუციის იდეა, არის ჩვენი ხალხის უმრავლესობისათვის საერთო-საზიარო და აი ამ ნიადაგზე დაჰკარგა „ამხანაგმა“ ძველი, ვიწრო მნიშვნელობა, მიიღო ახალი, ფართო მნიშვნელობა“. ამ თემის გარშემო ჭოლამ დაახლოებით ორი საათი ილაპარაკა მაგრამ ფრაქციული მიმართულების სხვადასხვაობას ერთი სიტყვითაც არ შეხებია“[29].

ჭოლა ლომთათიძეს არ სურდა ყოფილიყო მენშევიზმის პროპაგანდისტი. აი ერთადერთი დასკვნა, გამომდინარე ზემოთ თქმულიდან.

ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მთლიან ასპექტში გააზრება გვაიძულებს ვენდოთ გ. ლომთათიძის ამ ცნობას: შემდეგშიც, რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის პერიოდში, მაშინ, როცა ტუსაღ ჭოლას უფლება (და საშუალებაც) ჰქონდა გულდასმით გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება მეუმრავლესე-მეუმცირესეთადმი, მან აშკარად არ თანაუგრძნო პარტიათა შორის ბრძოლას, უკან დაიხია, მაგრამ... მივიდა არა საერთოდ ბრძოლის უარმყოფლებთან, არამედ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გაჩაღებულ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეებთან,

---

[29] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 13465-6.

მთლიანად გაიზიარა მათი კონცეფცია ეროვნული მთლიანობის შესახებ.

ამ უკანდახევაში უსათუოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა ილ. ჭავჭავაძის მკვლელობამ. ზემოთქმულის მეტად მკაფიო დადასტურებაა ჭოლა ლომთათიძის მოღვაწეობა „ნიშადურში“, საიდანაც აქ სანიმუშოდ ჭოლა ლომთათიძის მხოლოდ ერთ ლექსს მოვიყვანთ.

„ნეტავ მოვესწრო იმ ჟამსა, ოდეს ჩაგრული ერია
ურთიერთს არა სძიძგნიდეს, არ იყოს ძმა ძმის მტერია.
ნეტავ მოვესწრო პარტიებს, გზას დაშდგომოდნენ სწორესა,
არ ჩხირკედლებდნენ უგონოდ, არ ლანძღავდნენ ერთ-მეორესა.
არ გვაგონებდნენ იგავსა, თევზ-კიბო-გედის წვალებას;
ფუჭი კამათის მაგიერ შეუდგნენ ხალხის სწავლებას.
საგანი ისე განსაჯონ, როგორც რიგი და წესია
და ბოროტება არ მკიდეს, რაც კეთილს დაუთესია.
ნეტავ შევესწრო იმ დროსა, აზნაურ-თავადებია
გრძნობდნენ, რომ გლეხნი მათთვისა ჭირში და ლხინში ძმებია.
გლეხმაც არ იგრძნოს მათდამი შური და მტრობა წოდების,
თანასწორობა, მერწმუნეთ, უსისხლოდ მალე მოხდების.
ნეტავ მოვესწრო იმ დროსა, რომ ჩვენი ძალად მაცხონე
მოიკალათებს სოროში, გამოლეული ძალ-ღონე.
კიდევ ვინატრებ სანატრელს, კიდევ ვინატრებ ერთ რამეს,
რომ განთიადი რიჟრაჟი მალე შეჰყროდეს ბნელ ღამეს“[30].

განთიადი, რიჟრაჟი (რევოლუცია) მთელი ერის გამოსახსნელად მეფის რუსეთის კოლონიალური უღლისაგან და არა მხოლოდ ჩაგრული კლასის, პროლეტარიატის გასათავისუფლებლად, სხვადასხვა წოდებათა დაძმობილება, მეუმცირესე-მეუმრავლესეთა შორის არსებული ბრძოლის გადაჭრით უარყოფა „ეროვნული მთლიანობის“ სასარგებლოდ, რევოლუციის შედეგად გათავისუფლებული სამშობლო ქვეყნის მოწყობა არა სოციალისტური იდეების შესაბამისად, არამედ ილ. ჭავჭავაძის კონცეფციებზე დაყრდნობით, — აი, ჭოლა ლომთათიძის შეხედულებანი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, შე-

---

[30] იხ. „ნიშადური“, 1907 წ.

ხედულებანი. დიამეტრალურად საპირისპირონი მარქსისტული ფილოსოფიისა.

რასაკვირველია, ისტორია არ ვითარდებოდა ჭოლა ლომთათიძის სურვილისამებრ, ბოლშევიკთა და მენშევიკთა პარტიები თავიანთი პროგრამებით უკვე არსებობდნენ და ამდენად საჭიროა გავარკვიოთ სოციალ-დემოკრატი მწერლის დამოკიდებულება მათდამი ცალ-ცალკე.

„ჭოლას პაექრობა — წერს ს. ჭილაია — ხშირად მეუმცირესეების პოზიციებიდან მეუმრავლესეების წინააღმდეგ, რაც ასე მიკერძოებულად არის გამოხატული მის ნაწერებში, კიდევ უფრო ამჟღავნებს მის ტენდენციურობას. ჭოლა გრძნობდა და ძლიერადაც გრძნობდა მეუმრავლესეების პოზიციების ძალას და ღირსებასაც, გადმოსცემდა მას გულწრფელად, მაგრამ მაინც, მეუმცირესობას, მენშევიკების პოზიციას იცავდა. ეს ჩანს არა მარტო „პირველ მაისში“, არამედ „ჩემს დღიურშიც“ და სხვა მის ნაწერებშიც. ამ მიკერძოებულმა, ხშირად მცდარმა პოზიციამ ჭოლას პოლიტიკურ პოზიციას უთუოდ ავნო... და მაინც ჭოლას მთელი არსებით სძულდა თვითმპყრობელობა, ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც ბადებდა ქურდსა და ავაზაკს“[31].

რადგან ეს შეხედულება ზედმიწევნით სრულად და ამომწურავად გამოხატავს თითქმის ყველა კრიტიკოსის დამოკიდებულებას ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებისადმი, ჩვენ მასზე რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდებით, მიუხედავად იმისა, რომ მწერლის პარტიული კუთვნილება მისი შემოქმედების გასაღებად სრულებით არ მიგვაჩნია.

საგულისხმოა, რომ მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის პაექრობა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში („პირველი მაისი“, „უსათაურო“) ატარებს არა პრინციპულ, არამედ ზერელე და იუმორისტულ ხასიათს. მაგ. მოპირდაპირე მეუმრავლესე, ლიზა, ჭოლასათვის არის არა მტერი, არამედ უახლოესი და უსაყვარლესი მეგობარი. მწერალი მას ახასიათებს, როგორც რევოლუციისათვის თავდადებულს, წმინდა, უანგარო, მუშების საყვარელ ადამიანს. ამასთან, სწორედ ეს საბე (ბოლშევიკი ლიზასი) აიღო მწერალმა, როგორც ძირითადი მასალა რევოლუციის მიერ შობილი მომავალი ქართველი ქალის ხვარამზეს სახის გამოსაძერწად[32].

---

31 „XX საუკუნის ქართელი მწერლობა“, 1956 წ., გვ. 296.

32 იხ. ამავე ნაშრომის თავი — „ქალისა და სიყვარულის პრობლემა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში“.

ნათქვამის დასადასტურებლად მოგვყავს ეს ადგილი ბოლიანად.

„ნატაშას უკვე დაეძინა, ის ხვრინავს.

ვერ ვითმენ და მივდივარ ნატაშასთან, ვკიდებ ხელში ხელს.

— შავთვალა! ეს როგორ ხვრინავ შენ. გაიღვიძე, შავთვალა!

ლიზა აცხადებს სასტიკ პროტესტს.

— რა მხეცობაა, ეს დაღლილ-დაქანცული ადამიანის გაღვიძება...

— კი, მაგრამ ის ხვრინავს, ლიზა, ის ხვრინავს... მე კი არ შემიძლია ყურის გდება, მე ჰირივით მეჯავრება როცა ადამიანი ხვრინავს.

— ერთი ამას შეხედეთ, ამ ნაზ ქმნილებას! — მაყრის ქოქოლას ლიზა, — აბა, შეხედეთ ამას! რა სთქვი? გაიმეორე კიდევ!..

გათავდა, ერთი მომაკვდინებელი ცოდვა კიდევ აღმოჩნდა ჩემში — მე არ მომწონს, როცა ადამიანი ხვრინავს და ეს კი იმის ბრალია, რომ მე ვარ მეუმცირესე, ოპორტუნისტი, პლეხანოვისტი, კადეტი და ვინ იცის კიდევ რა. მე რომ მეუმრავლესე ვიყო, მაშინ... ოჰ. მაშინ არც ერთი ნაკლი არ იქნება ჩემში და არც ადამიანის ხვრინვის ხმა აშიშლის ნერვებს, ლიზა და მე ძალიან მახლობელი მეგობრები ვართ ერთმანეთის და რამდენადაც ის კარგი მეგობარია, იმდენად სწყენია მას, რომ ჰეშმარიტების გზას აცდენილი ვარ, მეუმრავლესეთა ფრაქციას არ ვეკუთვნი. კარგი ქალია ლიზა, თავდადებული ქალია ის, დაუღალავი მუშაკია ის და ძლიერ უყვარს მუშებს... ფანატიკური მომხრეა მეუმრავლესეების და ყოველთვის, როცა მოცლილია, თუ კი შემხვდება, იწყებს ჩვეულებრივ სიმღერას, „მრეცხს“. სამაგიეროდ არც მე ვრჩები ვალში, არც მე ვაკლებ სიტყვებს — იაკობინელი, ბლანკისტი, უტოპისტი, როდის ნიშნავს, ლიზა, თქვენი ხელმძღვანელი ლენინი ერთდროულ შეიარაღებულ აჯანყებას? გადააცმევენ ისინი მუშებს ჯარისკაცების ტანსაცმელს და, როცა შეტაკება მოხდება, ამ გადაცმულ მუშებს გამოიყვანენ ბარიკადების წინააღმდეგ. ბარიკადებიდან ლიზა სიტყვით მიმართავს მათ და დაჯერებს—ხალხის მხარეზე გადმოვიდნენ ჯარისკაცები, ისინი დააგდებენ სამფეროვან დროშას და წითელ დროშის ქვეშ მოიყრიან თავს... აი, ასეთია მეუმრავლესეების ტაქტიკა. — როდის ნიშნავთ, ლიზა, შეიარაღებულ ერთდროულ აჯანყებას?..

კაპასობს ლიზა — სიცრუეა, სიცრუეა, ეს სიცრუეა... სამაგიეროდ წაიკითხე რას სწერს პლეხანოვი, ბებერი პლეხანოვი, კადეტებს შეუერთდითო — აი რას სწერს იგი, რას სწერს მარტოვი — რევოლუცია — პროცესიაო, არც კი გრცხვენიათ — მარტინოვი, ჩერევანინი, აი თქვენი ტაქტიკოსები, აი თქვენი ბელადები... და აღარ თავდება, აღარ თავდება! პროლეტარიატის მტრები ვართ ჩვენ. ჩვენ რევოლუციას დათვურ სამსახურს ეუწევთ, ჩვენ... ნუ ათქმევინებთ

ლიზას ჩვენ სიკეთეს, მოიცათ, მალე მოგსპობთ თქვენ პარტიაში, დაიცათ... მე დაღლილი ვარ და მშვენიერ ხასიათზე კი ვდგები...

— იცი, რას გეტყვი, ლიზიკო?

— რა უნდა მითხრა?

— არაფერი არ არის იმაზე უფრო სასაცილო, როგორც ის, როცა ქალი სერიოზულ ლაპარაკს დაიწყებს...

— ეხ, შენ.. ენამოტეხილო! და იცინის ლიზა თავისი წმინდა, წკრიალა სიცილით, — მშვენიერად იცინის ლიზა, მიყვარს მისი სიცილი" („ჩემი დღიური").

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთთან შეხუმრებული ორი განუყრელი მეგობრის ლაღობაა მოცემული და არა პარტიული კრიტიკა, მტრობა..

მოვიყვანთ მსგავს სხვა ადგილსაც:

„მივდივართ ერთ დილას ჟენევის ერთ ქუჩაზე და უცებ ვხედავ. მოდის ვერა ივანოვნა, ვერა ივანოვნა ჰქვია ზასულიჩის ქალს:

— კატია, იული ოსიპოვიჩი ხომ არ იცი სად არის? — მკითხა, იული ოსიპოვიჩი მარტოვის სახელია.

— არა, არ ვიცი.

წავიდეთ ერთი, გიორგი ვალენტინოვიჩი (პლეხანოვი) ვინახულოთ, ეგები იქ არის.

წავედით. იქ დაგვიხვდა პავლე ბორისოვიჩი (აქსელროდი), ფედორ ილიჩი (დანი), ლევ დევიჩი და სტაროვერი... გიორგი ვალენტინოვიჩმა მითხრა — გავიგე, კავკასიაში მიდიხართო.

— მართალია-მეთქი.

— ჭკუიანად, ფრთხილად იყავით, თავი არ დააჭერინოთ და თქვენ იცით — კავკასიაში, ერთი რა არის, ერთი მეუმრავლესე არ უნდა ჰაჰანებდესო.

გამოვედი იქედან და მოდის ვლადიმერ ილიჩი, ვლადიმერ ილიჩი ლენინის სახელია, დამინახა — მომაშურა.

— ეჰ, ამხანაგო კატია, კავკასიაში თურმე მიდიხარ. განა იქ არ კმაროდა მეუმცირესეები, რომ თქვენც ემატებით?"...

აქ კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეთა სახეებს ვხედავთ მხოლოდ.

ჭოლას არც ერთ ნაწარმოებში არ მოუცია სიძულვილი მეუმრავლესეებისა, უფრო მეტიც — მათი შეხედულებების კრიტიკაც კი.

ასეთი სალაღობო ტონით შეფერილი კრიტიკა მენშევიკისა კი უფრო მკვეთრია და სახასიათო:

— „მართლა, ნინო, სულ მინდა გკითხო და მავიწყდება — სად

არის, თუ იცი, ჩვენი სიამაყე, გრაციისა და სინაზის განხორციელება, ჩვენი მზეთუნახავი...

— დილვარდისას კითხულობ?

— ხა, ხა, ხა! დილვარდისა! დასწყევლოს ღმერთმა, მახსოვს..

— რაზე შემოსწყრა გიორგის?

რაზე და... ჩემ გახსოვს რა უკიდურესი მეუმცირესე იყო იგი, ჟენევიდან რომ დაბრუნდა.

— მახსოვს და მერე როგორ? პლეხანოვი, გიორგი პლეხანოვი, გიორგი ვალენტინის-ძე პლეხანოვი... პლეხანოვს, პლეხანოვმა. პლეხანოვთან... მარტოვი, ნოე ჟორდანია... ხა ხა,. ხა! ჯვარცმას უპირებდა მეუმრავლესეებს.

— ეხლა კი ის ისეთივე უკიდურესი მეუმრავლესეა.

— რას ამბობ?

— და ეს მოხდა სრულიად მოულოდნელად, ვიღაც მეუმრავლესის კანონიერი ცოლი შეიქნა.

— და ქალიშვილობასთან ერთად მეუმცირესეობაც დასტოვა? ხა, ხა, ხა! სულსაც შენ გიძღვნი, გულსაც შენ გიძღვნი, მიმართულებასაც შენ გიძღვნი, ჩემო სულისდგმავ!"

(„ძე კაცისა").

ახლა საჭიროა გავიგოთ, ასევე არამტრულად, მეგობრულად და ამხანაგურად ელაღობება ჰოლა მეუმცირესეებს თუ არა? ამ საკითხის გასარკვევად, ჰოლას ცხოვრების ბილიკებზე ცოტაოდენი ექსკურსიის გაკეთებაა საჭირო.

ჯერჯერობით ნაპოვნი მესამე რვეული ჰოლა ლომთათიძის დღიურებისა ამ 24 წლის წინ გამოქვეყნდა[33]. იგი დაწერილია 1907 წელს პეტერბურგის საპყრობილეში (პედვარილკა), სადაც ჰოლა მოთავსებული იყო სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის შემდეგ[34]. მის სხვა მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად იგი წარმოადგენს

---

[33] იხ. ჟურნ. „მნათობი", 1934 წ., № 7.

[34] სათათბიროში ჰოლა ცნობილი იყო თავისი მრისხანე, დამჯერებელი გამოსვლებით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, 1907 წ. 3 ივნისს მთავრობამ სათათბირო გარეკა, დემოკრატიული ფრაქციის 55-ვე წევრი დააპატიმრა და კოდექსის 102-ე მუხლის ძალით სისხლის სამართალში მისცა შეიარაღებული აჯანყების გაწზრახვისა და არსებული წყობილების დამხობისაკენ მოწოდებისათვის. დაპატიმრებულთა შორის იყო ჰოლა ლომთათიძეც.

სასამართლოს განაჩენით დეპუტატებს უფლება აჰყარეს და ციხე-კატორღებში გაგზავნეს. ჰოლას 5 წლის კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ როგორც მძიმე ავადმყოფს (ცლექიანს) 7 ½ წლის ციხედ შეუცვალეს.

უტყუარ დოკუმენტს მწერლის პოლიტიკური პროფილის გარკვევისათვის.

რადგან ამ დღიურებს გამოქვეყნებისთანავე არასწორი, საკმაოდ ტენდენციური შეფასება მიეცა[35] და ჯეროვანი ყურადღება მისთვის დღემდე არავის მიუქცევია, ჩვენ მას შედარებით ვრცლად განვიხილავთ.

უტყუარი ფაქტები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჭოლა არცთუ ორგანულად ყოფილა დაკავშირებული მენშევიზმთან და მის ანტიმენშევიკურ მოსაზრებებს (ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებულთ „დღიურში") ჰქონდა სათანადო წინამძღვრები, იგი მუშავდებოდა წლების მანძილზე. სრულებითაც არ იყო აფექტური, ერთჯერადი და შემთხვევითი.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება ზემოთქმულის თვალნათლივ

---

[35] „მნათობის" რედაქციამ ჭოლა ლომთათიძის დღიურებს შემდეგი განმარტება დაურთო: „ჭოლა ლომთათიძის დღიური, რომელიც უკანასკნელ ხანებში იქნა აღმოჩენილი და პირველად ქვეყნდება, წარმოადგენს მეტად საყურადღებო დოკუმენტს. მისი მნიშვნელობა მრავალმხრივია. იგი იძლევა მდიდარ მასალას ჭოლას ბიოგრაფიისათვის, მას აქვს წმინდა ლიტერატურული მნიშვნელობაც იმ მხრივ, რომ გზადაგზა ჭოლას გამოთქმული აქვს თავისი შეხედულებები მხატვრული შემოქმედების ცალკეული მოვლენების შესახებ (ჰაინეს და ბერანჟეს შეფასება, მოსაზრებანი ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ, თუ რომელ მწერალთა ნაწარმოებებს კითხულობდა სატუსაღოში და სხვ.), მაგრამ ეს დღიური, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, როგორც პოლიტიკური მოღვაწის საზოგადოებრივი და პარტიული შეხედულებების გამომხატველი. დღიური დაწერილია პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ — 1907 წ. ამ დროს ჭოლა დატუსაღებული იყო, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სხვა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებთან ერთად. დღიური დაწერილია პეტერბურგის სატუსაღოში.

დღიური წარმოადგენს ნათელ დოკუმენტს იმის გასაგებად, თუ რა წინააღმდეგობებს და შინაურ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი იმ დროს მენშევიკურ ბანაკში. განსაკუთრებით მათ ბელადებს შორის. დღიურში საკმაოდ მოჩანს ამ ბელადების წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტული სახე, აღსანიშნავია, რომ ჭოლა თავის დღიურში ცდილობს გამოამჟღავნოს მათდამი „კრიტიკული" დამოკიდებულება, მაგრამ ამას იგი სათანადოდ ვერ ახერხებს. ეს გასაგებიც არის: როგორც ცნობილია, თვითონ ჭოლა ორგანულად (ხაზგასმა ჩვენია დ. რ.) იყო დაკავშირებული მენშევიკურ ფრაქციასთან.

„კრიტიკა", რომელსაც მიმართავს ჭოლა მენშევიკების ბელადების მიმართ (ი. წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე და სხვ.), მეტისმეტად „შინაურულ ხასიათს ატარებს, მიუხედავად ცალკეული მწვავე სიტყვებისა და გამოთქმებისა. იგი მას არ გამოაქვს საჯაროდ, არ აძლევს მას პრინციპულ ხასიათს, თუმცა თავის დღიურში ჭოლა აშკარავებს იმ მოღალატურ გზას, რომელზედაც მაშინ უკვე შემდგარნი იყვნენ მენშევიკების ბელადები" (იხ. ჟურნ. „მნათობი", 1934 წ., № 17).

დამადასტურებელია. მისი ნაწარმოებები, 1905 წლის რევოლუციის შემდგომი პერიოდისა, რევოლუციისდროინდელი პრაქტიკული მოქმედების მხატვრულ ანგარიშს წარმოადგენს. თუ მათ მივმართავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ნაწერალი ისტორიის წინაშე „მიუტევებელ სისულელედ“ რაცხდა ძირითად მენშევიკურ დებულებებს. გადაჭრით ილაშქრებდა ამ დებულებების წინააღმდეგ მხატვრულ ნაწარმოებებში. აქაა მისი არსებითი დავა მენშევიკურ პარტიასთან. ამ დავის მკაფიო გამოძახილი ისმის „დღიურებში“.

მოგვცა რა პლასტიკური სურათი გოლოვინის პროსპექტისა, სადაც ბურჟუაზიას ასე თავხედურად გამოუფენია თავისი სიმდიდრე, მწერალმა ასე მიმართა საყვარელ ქალს:

„შევცქერი ყველა ამას და მაგონდებიან ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი საშუალებებით ჰფიქრობენ, მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-სიღარიბეს შორის. მართლა ასე ფიქრობთ, ყმაწვილებო? აი ესენი დათმობენ რამეს ნებაყოფლობით? თუ მაგარი მუჯლუგუნი არ უთავაზეს იმათ, მიჰხვდებიან განა ისინი, რომ ცხოვრების სუფრაზე სხვათაც უნდათ ალაგი? დიდება შენს სახელს, ღმერთო, რომ ასეთ ჰკუათხელ ხალხს აჩენ ქვეყნად — მშვიდობიანი საშუალებებით უნდათ მოსპონ ომი შრომასა და შრომის პარაზიტებს შორის. შუშანიკა! შუშანიკა! ეპატიოს თუ არა ასეთი ფიქრი ამ ხეპრე ხალხს! არა, შუშანიკა, არ უნდა ეპატიოს! ანათემა იმათ, ანათემა! სისულელე რა მათი ბრალია. ეს ღვთისაგან არისო. მეტყვი შენ. ღვთისაგან არის. მართალია, მაგრამ არის დრო, არის ისეთი წამი ისტორიაში, როცა სისულელე დიდი დანაშაულია, მაშინ სისულელე არ ეპატიება არავის და ეს წამი დგას ახლაც. მაშ, ძირს ყველა სულელი — კეთილია ის თუ ბოროტი — ანათემა, ანათემა იმათ, შუშანიკა!“ — („თეთრი ღამე“).

რეფორმისტულ გზაზე დამდგარ მეუმცირესეებს ჰოლა პირდაპირ მიმართავდა: „გალესეთ და დალიეთ თქვენი მშვიდობიანი გაფიცვა! ჩვენ ქუჩაში გვინდა გავიდეთ და დროშა ჩვენი გამოვამზეუროთ, გავშალოთ წითელი დროშა. შემოვეხვიოთ მას და შევძახოთ ქვეყანას — დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთო!

წავიღოთ თან ჯოხები, წავიღოთ რევოლვერები, წავიღოთ ქვები და როცა ჩვენ გვესვრიან, ჩვენც ვესროლოთ. როცა მოგვკლავენ, ჩვენც მოვკლათ და ამნაირად ვიდღესასწაულოთ დღესასწაული ჩვენი მომავალი გამარჯვებისა. სიგიჟეა ესო, ამბობთ თქვენ. ანარქისტობა არის ესო, სცდებით, საჭიროა ეს, ამიტომ სოციალ-დემოკრატიულია. ანარქისტები არ არჩევენ დროსა და გარემოებას, ისინი

ქორწილშიც და ტირილშიც ყველგან მაყრულს ამბობენ, - - აი ვინ არიან ანარქისტები, ჩვენ კი სოციალ-დემოკრატები ვართ“ („პირველი მაისი“).

იმ დროს, როდესაც მეფის კუდმოკვეცილი მანიფესტით დამტკბარი მენშევიკები სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ მუშათა კლასს, ჭოლა ასე მიმართავდა მშრომელთ: „ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა დავამარცხოთ ისინი. ამიტომ ჩვენ უნდა გავიწაფოთ ბრძოლაში — მაშ, ქუჩაში ამხანაგებო! ბრძოლის დროშით ხელში შეიარაღებულნი, სადღესასწაულო ტანსაცმელებით — ქუჩაზე, ამხანაგებო! მოვდივართ შენზე, ძველო ქვეყანავ, გზა მოგვეცი! ვანთხევთ სისხლს, რომ ნიადაგი გავაპოხიეროთ — დაგვხვდით!“ („პირველი მაისი“).

ფრიად საგულისხმოა, რომ ჭოლა აგდებული ტონით იხსენიებს მენშევიკური პარტიის წესდების პირველ მუხლსაც კი. აი რა ათქმევინა მან უდრეკ რევოლუციონერს, ციმბირსა და ციხეებში გამოწრთობილ „ბებერ არწივს“ ივანე სანადირაძეს: „არა, არა ვარ მე იმ ქადაგობის მომხრე... ჰო, თვეში მეც ვიხდი ერთ ორ შაურს, ფული საჭიროა, უფულოდ საქმე არ გაკეთდება და მოქადაგეები საქმის კაცებია, მეც ვიცი, მარა... კაცს ვერ არჩევთ თქვენ, კაცს... ვინც მაღლა ხელს ახწევდა მიტინგებზე, ყველა აფხანაკია, აბა იგენის გულში ჩაიხედეთ?“ („შიში“).

რაკი ჭოლა ლომთათიძე არ იზიარებს მეუმცირესეთა ძირითად სამოქმედო პროგრამას და პრაქტიკულ საქმიანობას, პრინციპულად ემიჯნება „თანამებრძოლებს“ და ედავება მათ,—შეუძლებელია არ ვხედავდეთ ამ დავის მკვეთრ გამოძახილს „დღიურებში“, თუმც დავა სწარმოებდა არა მეუმრავლესეთა პოზიციებიდან, არამედ იგი თავისი შინაარსით უახლოვდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეთა პრინციპებს.

მეუმცირესენიც არ თვლიდნენ ჭოლას თავიანთ თანამებრძოლად, ანარქისტად ნათლავდნენ მას. ამიტომაა, რომ ჭოლა ხან სერიოზულად მიმართავს ანარქიზმის რაობის განმარტებას, ხან მრისხანედ წამოიძახებს: — „ანარქიზმი ჟუპელი კი არ არის, რომ ამ სიტყვით დაგვაშინოთო[36]“, ხანაც მისი მსოფლმხედველობის „სწორად დამფასებელთა“ გამოსაჯავრებლად ფსევდონიმად ირქმევს მას.[37]

მეუმცირესეებს არ შეიძლება არ სცოდნოდათ, რომ ჭოლა ლომ-

---

[36] იხ. „პირველი მაისი“ ჰ. ლომთათიძისა.

[37] ანარქისტის ფსევდონიმით ჭოლამ მრავალი ნაწარმოები გამოაქვეყნა.

თათიძეს მათ იდეებთან ძლიერ ცოტა ჰქონდა საერთო. ამიტომ იყო. რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ჭოლას არჩევამ „ავტორიტეტულ“ ბელადთა აღშფოთება გამოიწვია. მათ არჩევნების პროცესში მწერლის წინააღმდეგ მდაბალ ცილისწამებას მიმართეს და, რა ხალხში დამარცხდნენ, „პარტიული ამხანაგის“ მთავრობის წინაშე დაბეზღებასაც კი არ მოერიდნენ.

აი რას სწერს ჭოლა სილ. თავართქილაძეს სარატოვის ციხიდან 1911 წელს: „შენ იცი თუ არა, რა მიყვეს სათათბიროში როცა გამგზავნეს ამ პატიოსნებმა? მომიგონეს, ბიჭო, რომ თითქოს მე ბარდელში ე. წ. ვიშიბალად ვიყავი და ამ ყოველად უუმსგავსო ცილმა ამასწრო პეტერბურგში“[38].

ეს მეტად ბინძური და დამამცირებელი ცილისწამება გამიზნული იყო ჭოლას ენერგიის მოსაშლელად, მის მორალურად გასანადგურებლად. მართლაც, ამ ყოველად უმსგავსო და მოულოდნელ თავდასხმას თვით, გაუტეხელი ჭოლაც კინაღამ გაუტეხია... „უჰ, ჩემმა მტერმაც ნუ გამოსცადოს, — განაგრძობს ის, — რაც მე გამოვცადე ამის გამო. და, თუმცა წინეთ არ მეგონა, თუ ცილისწამება დამძლევდა — ამან დამძლია, მოწყვეტილი და ყოვლად უსარგებლო გამხადა. მინდოდა წამსვე უკან დავბრუნებულიყავი, მაგრამ ვძლიე თავი იმიტომ რომ, რომ დავბრუნებულიყავი — მკვლელი გავხდებოდი, სირცხვილით ვერას ვამბობდი და ისე ვიხარშებოდი ჩემს გულში“[39].

ამ, სხვა შემთხვევაში ყურადღების არაღირსი, ჭორის სათავე ამჯერად მეტად საინტერესოა, რადგან, როგორც ირკვევა, იგი მეუმცირესეებიდან მომდინარეობს. მოვუსმინოთ თვით ჭოლას: „ასეთი ბიჭები ურევიან ჩემს მოწინააღმდეგეებში და ესენი რომ ფედერალისტების, ან სხვა პარტიის ბანაკიდან ყოფილიყვნენ, კიდევ ჰო, მკლავს დღემდის ის, რომ ესენი ჩვენებია, ჩვენი პარტიის... ეეჰ, ახლაც ხელი ამიკანკალდა, მაგათი ქოქი გაწყდა!... რაკი ასეთი ცუდი კაცი ვარ, რომ ჩემს წინააღმდეგ ყოველგვარი ზომების მიღებაა საჭირო, დეე, ასე იყოს“[40].

ამის შემდეგ მწერალი სამართლიანად აძლევს თავს უფლებას ტერმინი „პარტიული ამხანაგები“ მოათავსოს ბრჭყალებში. — „ვინ დამარწმუნებს მე, წერს ის პეტერბურგის სატუსაღოში, რომ

---

[38] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15 597-6.

[39] იქვე.

[40] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15. 597-6.

ეს ხმა (ცილისწამება „ვიშიბალობის“ შესახებ. დ. რ.). ჩემი „პარტიული ამხანაგებიდან“ არ გამოვიდა პირველად“[41].

მეუმცირესეთა ბელადები ამ არასაკადრის ცილისწამებამდე მიიყვანა იმ მარცხმა, რაც მათ არჩევნების დროს ჰოლა ლომთათიძის წინააღმდეგ ბრძოლაში განიცადეს. მეუმცირესეებმა ყოველგვარი ზომები მიიღეს, რათა სათათბიროში აერჩიათ არა „უზნეო ანარქისტი“ ჰოლა, არამედ სხვა, ერთგული პარტიული ამხანაგი. მათ ისე მკაცრად გაულაშქრიათ ჰოლას წინააღმდეგ, რომ გლეხობის გაოცებაც კი გამოუწვევიათ. — „გაშტერებული შემხვდნენ მოსული დელეგატები (ქუთაისში. დ. რ.). — წერს ჰოლა. — კაცო. მეასედი თუა მართალი, რაც თქვეს შენზე, გვიკვირს, მიწამ რაფერ გზიდაო. ყველაფერი სისაძაგლე მომახვიეს თურმე თავზე და მეორე დღეს, საღამოს, რაჭველი ამომრჩევლები მათვალიერებდნენ და სიცილით მეუბნებოდნენ — კაცო, მართლა ასეთი ხომ არა ხარო“[42].

რომ „თავისი პარტია“ ჰოლას ბრალს დებდა მეუმცირესეთა ძირითადი დებულებების უარყოფაში, ამას მწერლის შემდეგი სიტყვებიც გვიდასტურებს: „რა თქმა უნდა, გაშავებამ იმ მოტივით, რომ მე არაპარტიული და უზნეო კაცი ვარ, ძალიან გამწყვიტა წელში“[43].

ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მეუმცირესეთა „ავტორიტეტულ წრეებს“ კარგად ესმოდათ, რომ ფორმალურად მეუმცირესე ჰოლა ფაქტიურად აღარ იზიარებდა ამ პარტიის მოღალატურ პლატფორმას, ისინი ყოველგვარ ზომებს იღებდნენ მისი თავიდან მოსაშორებლად და მწერალი მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად არჩეულ იქნა მათი ნების წინააღმდეგ.

დღიურიდან ჩანს, რომ პეტერბურგის (პედვარილკა) საპყრობილეში ჰოლამ გონების თვალით განსაჯა მენშევიკთა ბელადების მოქმედება და ნათლად დაინახა ის ზღუდე, რომელიც მას — თავისუფლების მომღერალ სპეტაკ შემოქმედს — აშორებდა ამ, როგორც თვითონ ამბობს, გაქუცული ინტრიგანებისაგან. და ეს დაშორება, ეს მარტოობა, მკვეთრად აისახა მის შემოქმედებაში.

ჰოლა შედგრად იბრძოდა არსებული „ქურდების დამბადი“ საზოგადოების წინააღმდეგ, სოციალისტური წყობილების დასამყარებლად; მაშასადამე, ჰქონდა ნათელი მიზანი, მაგრამ მაინც უჩვეულო

[41] იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1334 წ., № 7.

[42] იქვე.

[43] იქვე.

და დაუძლეველ სევდას გრძნობდა. ეს გარემოება აოცებდა თვით მას. „საკვირველია მაინც... ვებრძვი საზოგადოებას, ბოლომდე ვებრძოლები, იმიტომ რომ მე ადამიანი მიყვარს, და... რათ ვგრძნობ ასე მარტოობას, სიობლეს და განთვითებას.“ — წერდა იგი.

მართლაც და, განა შეიძლება მარტოობას გრძნობდეს ის, ვისაც თავი გარკვეული მიზნით მოქმედი ადამიანების პარტიისათვის მიუყრდნია და ასაგებ შენობას დასრულებული სახით ხედავს? ჩვენ მართებულად მიგვაჩნია თქმა: „ალბათ, მეტი იყო მოთხოვნილება მისი სულის, ალბათ, არ აკმაყოფილებდა ის ზედაპირი ამხანაგობის, მეგობრობის, რომელსაც ხედავდა მის გარშემო საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე“[44].

დიახ, მას არ აკმაყოფილებდა მენშევიკი ამხანაგები. ამიტომ დაეძებ და ის მღდამ თავის მეგობარს „ერთადერთს“, მას, „ვინც ცისკენ ეძებს გზას“. „ვისაც სკრიპკა აქვს და ამ სკრიპკის შემწეობით სურს ცაზე ავიდეს“, ვინც „ჩამოჰკრავს სიმებს და ატუსაღებს ჰაერში გაბნეულ თავისუფალ რითმებს, ხმებს, ატუსაღებს მათ და ალაპარაკებს, — ჰგონია: ისინი ეტყვიან, თუ სად არის ცისკენ მიმავალი გზა“. ეს მეგობარი — ნაყოფი მისი საღი ოცნების, ცხადია, არ არის მის პარტიულ ამხანაგებში. ამიტომ მოისმის პოეტის ცრემლიანზარიანი ძახილი: „მეგობარო, სად ხარ შენ... გამომეძახე!“[45].

მეგობრის პოვნა არ ხერხდება, აქედან: „სევდა, სევდა, სევდა, რომელსაც თმის ბალანიც კი გრძნობს, მარტოობა აღრჩეული სულისა“.

ეს სევდა, ეს მარტოობა ჰოლას შემოქმედებაში ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფამდე არასოდეს არ მისულა და მის პოეზიას — „რა სიძნელეც არ უნდა ეხვიოს ირგვლივ, რა მძიმე ტვირთიც უნდა ედოს მხრებზე, ის მაინც შესძლებს გაიხედოს წინ, მაინც შესძლებს სადღაც დაინახოს მზის სხივი, მაინც დაინახავს ალაგს, სადაც ამ ტვირთს მიიტანს და გადაიგდებს მხრიდან...“. მისი ღრმა სევდისაგან შუდამ გამოდის ერთი დასკვნა: „დიდისაგან დიდია ქვეყანა და (ადამიანი) სადღაც, ერთ ალაგას, სადაც ის ხვალ თუ ზეგ მივა, ყველაფერს რიგიანად მოაწყობს“.

მენშევიკური პარტიის წევრი ჰოლა დარჩა მარტოდ. უანხანაგოდ, უთანამგრძნობოდ. თავისი პარტიულ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ლიტერატურული იდეალები მეუმცირესეთა პარტიის ეიწრო ნაჯუჯ-

---

[44] იხ. ჯ. ლომთათიძე, ტ. II, 1925 წ.

[45] იქვე.

ში ველარ ჩატია. აქედან მოდის მისი „სევდა, აუტანელი შავი სევდა და მარტოობა, მარტოობა!“.

„რატომ არ მყავს მე ამხანაგები?“ დასვა კითხვა ჭოლამ და ასეთი პასუხი გასცა მას: „როცა დავფიქრდი ამ კითხვაზე, გამოდგა, რომ ანაგებ[46] ჩვენში არავის არ ჰყავს ამხანაგები. ამ გაქუცული ინტრიგანების ბრბოს არ შეუძლია ამხანაგობა, ამ შურითა და სიბინძურით გაჟღენთილ სხეულებს არ შეუძლიათ ამ გრძნობის სისპეტაკემდე ამაღლება“[47].

ყურადღებას იპყრობს ის მდგომარეობა, რომ ჭოლა მეუმცირესეებს ანსხვავებს სოციალ-დემოკრატიისაგან და იმ დროს, როდესაც უკიდურესობამდე ამუქებს საღებავებს „პარტიული ამხანაგების“ პორტრეტების დასახატავად, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, პროლეტარიატს და მის ბრძოლას კვლავ წმიდათა წმიდად სახავს.

— „ხანდახან გული მიკვდება, — ამბობს ის, — რად არის ასე ღარიბი ჩვენი მდიდარი ქვეყანა-მეთქი? ასეთ ბუნებით მდიდარ ხალხს, ასეთ სათაყვანებელ პროლეტარიატს, როგორიც არის ქართველი პროლეტარიატი, რათ ახვევია ასეთი უშნო, რაც უველაზე უსაძაგლესია, ასეთი შურიანი, ასეთი ენატანია და გველაძუა, დიახ, გველაძუა ინტელიგენცია? მე მიკვირს, ზოგიერთი მათგანისაგან მაინც, რანაირად ამაღლდნენ ისინი სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებამდე“[48].

ხედავს რა მეუმცირესეთა · გახრწნა-გადაგვარებას, გადახვევას პროლეტარიატის საბრძოლო გზიდან, ჭოლა ლომთათიძე შიშობს მათმა უზნეობამ არ დასცეს რსდმ პარტიის პრესტიჟი. „ძალიან ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ უნიჭო ინტელიგენციის წყალობით თვით სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟი დაეცეს მუშების თვალში. აი რას მოველი მე უველაზე უფრო და რისი მეშინია“, — წერს ის[49].

„გველაძუა“ მეუმცირესეთა მკაცრი კრიტიკით არ კმაყოფილდება მგოსანი. იგი გაცილებით შორს მიდის, მეუმცირესეთ მეუმრავლესეებს უპირისპირებს და გულახდილად აღიარებს, რომ ეს უკანასკნელნი ოპორტუნიზმის ჭაობში არ ჩაფლულან, რომ მხოლოდ მათ

---

[46] ანაგებ, ანაგებად — გურულ დიალექტზე ნიშნავს „აბსოლუტურად“, „სრულიად“, „მთლიანად“. დ. რ.

[47] იხ. ეურ. „მნათობი“, 1934 წ., № 7.

[48] იქვე.

[49] იქვე.

შესწევთ უნარი გაუძღვნენ პროლეტარიატს გადამწყვეტ ბრძოლებში: „ისევ ბოლშევიკებს (ცოდვა გამოტეხილი ჯობია), ისევ ბოლშევიკებს არა უშავთ ამ მხრით, — განაგრძობს ის, — მათ იციან ამხანაგობა, შეუძლიათ გააკეთონ მჭიდრო წრე, მჭიდრო კავშირი. ისინი... არ გადაქცეულან ორდენის წევრებად“...

ჭოლა ლომთათიძე, პირველი თანამებრძოლთა შორის, დარწმუნდა, რომ მენშევიზმი გაიხრწნა, რომ მხოლოდ მეუმრავლესენი დარჩნენ ბოლომდე ერთგულნი პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებისა და გულწრფელად აღიარა ეს.

„რუსეთში მენშევიკები თანდათან წყალდებიან, გარბიან პარტიიდან და, ვინ იცის რას ებღაუჭებიან: დღეს მუშათა სიეზდი, ხვალ პროფკავშირები, ზეგ კოოპერატივები, უზნეო ქალივით იცვლიან სათაყვანებელ საგნებს, ჩვენში ეს არ ხდება ჯერ, ალბათ, იმიტომ, რომ მუშები უფრო მეტი ინიციატივის პატრონები არიან ჩვენში და ისე ვერ თარეშობენ ბატონი ინტელიგენტები. — რუსეთში კი ყველას ყოფნის ჯერჯერობით მუშათა მასა... ძალიან დასცინიან ბოლშევიკები მენშევიკებს. ერთმა ბოლშევიკმა მითხრა პეტერბურგში: მე ერთი შეხედვით ვიცნობ კაცს. ბოლშევიკია თუ მენშევიკი.

— რანაირად? — დავეკითხე მე.

— მენშევიკებს მეოცნებე თვალები აქვთო.

ეს მშვენივრად ახასიათებს რუსეთელ მენშევიკებს და ახლა კი, ხელჩართული ბრძოლის დროს ოცნებობა, როგორც გენებოთ, მაგრამ რაღაც ეხამუშება ყურებს“.

როგორც ვხედავთ, ჭოლა სდმპ-ის ფრაქციებს უპირისპირებს ჭრთმანეთს, სასტიკად ამათრახებს მენშევიკებს, აშკარად იხრება ბოლშევიკებისაკენ. ქართველი და რუსი მენშევიკების განსხვავება მისი პოეტური ოცნებაა. პეტერბურგის ციხეში ჩაკეტილი მგოსანი საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობას ვერ ცნობს და სურს გონების კუნჭულებში შემოინახოს ქართველ მენშევიკთა „მებრძოლი“ სახეები რუსი მენშევიკების საპირისპიროდ. შემჩნეველია, მუშათა კლასის ინტერესებზე ხელის აღება, ოპორტუნიზმი, ბრძოლის ნაცვლად რეფორმატორობა, უბადალებული ეკონომიკა რევოლუციის ნაცვლად, — ყველაფერი ეს ჭოლას ბუნებას, რწმენას არ შეეფერებოდა, „ეხამუშებოდა მის ყურს“.

ცხადია, უყურადღებოდ ვერ დატოვებდა ის ჯილეტ ფაქტს, რომ მენშევიკთა „სიბინძურე“, როგორც თვითონ აღნიშნა, და არარაობა, „გველაძუობა“ და მშრომელთა ინტერესებისადმი ღალატი ჭოლასათვის მხოლოდ პეტერბურგის საპყრობილეში არ გამხდარა ცნობი-

ლი, ამაში ის ადრეც ყოფილა დარწმუნებული. „ეს მე — ამბობს ის — ყოველთვის ასე მწამდა დაახლოებით, მაგრამ სავსებით დავრწმუნდი, როცა ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს სახელმწიფო დუმაში“.

საყურადღებოა, ბუნება მგზნებარე პოეტისა, რომელიც გონების თვალით იცქირებოდა არც თუ ისე შორეულ მომავალში და სანუკვარი სოციალიზმის კონტურებს ოცნებაში ხატავდა, ვერ შეურიგდებოდა პარტიას, რომელიც რეფორმიზმამდე დაქანდა.

1905 წლის რევოლუციის მარცხის შემდეგ ჭოლას ცხოვრებაში ფრიად კრიტიკული მომენტი, შეხედულებათა გადაფასების მწვავე პერიოდი დადგა: მას კვლავ სწამდა სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაზე დაყრდნობით მშობელი ერის ხსნა, რჩებოდა უდიდეს ოპტიმისტად მუშათა მომავლისადმი, მაგრამ არ სწამდა ხსნის მენშევიკური გზა, ეზიზღებოდა მისი პარტიული „ამხანაგები“, რომელთა შორისაც უკვე მტრებს ხედავდა და არა მეგობრებს.

—„დღეს დაწოლის წინ, — წერს ჭოლა „დღიურში“, — წარმომეპრა კითხვა: რამდენ კაცს დასწვავს გულს ჩემი სიკვდილი „ამხანაგებში“-მეთქი. ერთხანს არ მინდოდა ამაზე მეფიქრა, მაგრამ დაბოლოს შემიპყრო. მივედი იმ დასკვნამდე, რომ მთელ საქართველოში ჩემს პარტიულ ამხანაგებში დასწვავს გულს ჩემი სიკვდილი სამს თუ ოთხ კაცს. დიდი გაჭირვებით გამოვნახე ეს რიცხვი და ისიც იმდენად საეჭვოა ჩემთვის, რომ იმათ არ ვახსენებ აქ, რომ ვინმემ, თუ კი ეს დღიური ოდესმე ხელში ჩაუვარდა, არ გადაიხარხაროს“.[50]

სამი თუ ოთხი კაცი მთელ პარტიაში (ეს რიცხვიც უდიდესი კითხვის ქვეშ), რომელმაც შეიძლება დაინანოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით მოქანცული პოეტის სიკვდილი, — აი ფიქრით ნავარაუდევი შედეგი. მისი ურთიერთობისა მენშევიკურ პარტიასთან.

„ინტრიგანების ბრბოა ეგრედწოდებული პარტიული ამხანაგები და არა სხვა რამე“, — აღნიშნავს ჭოლა თავის „დღიურში“.

პეტერბურგის საპყრობილეში ჭოლასა და ხელმძღვანელ მენშევიკებს შორის ურთიერთობა მეტისმეტად გამწვავდა. იგი ვერ იტანდა მათ არამებრძოლ, შემრიგებლურ ბუნებას, მას სულს უხუთავდნენ ეს მოწუწუნე ინტელიგენტები, რომელნიც ყოველწუთში მზად იყვნენ გადაეფასებინათ თავიანთი შეხედულებანი და ხმალჩაგებული გასულიყვნენ ბრძოლის ველიდან.

„კინაღამ გამოვიქეცი სეირნობიდან, ისე გამიჭირდა. — ეკითხულობთ 10 დეკემბრის დღიურში, — ამასთანავე ყველა დასძლია

[50] იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 7.

სევდამ, ჩაფიქრდნენ, თავები ჩაღუნეს, ვერ არიან მებრძოლი ბიჭები ჩვენი ყოფილი ფრაქციის უმრავლესობა“ (ლაპარაკია სათათბიროს ს. დ. ფრაქციაზე. დ. რ.).

თავის მხრივ ეს „პარტიული“ „ამხანაგებიც“ ვერ იტანდნენ ჭოლას, აშკარად ამცდავნებდნენ მისდამი შტრობას. — „რატომ მემტერებიან არ ვიცი — ამბობს ჭოლა. — მე იმუთებას რიცხვს არ ვეკუთვნი, რომლებიც პირადი ინტერესების გამო სხვის ღირსებას ამცირებენ“.

პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დაყენება, საკუთარ ნაპუპში ჩაკეტვა, გულქვაობა, დაუნდობლობა, მუშათა კლასის საქმისადმი ორგულობა, შემართების ნაცვლად ბრძოლის ველიდან გაქცევისაკენ სწრაფვა — აი მენშევიზმის ჭოლასეული გაგება, რაც მას „თავისი“ პარტიიდან ყოველდღიურად აშორებდა.

გასამართლების წინა დღეებში პეტერბურგის საპატიმროში ჭოლა ლომთათიძესა და მისი ფრაქციის მენშევიკ-ბელადებს შორის ურთიერთობა ძლიერ დაიძაბა.

ჯაფარიძე-წერეთელი და კომპანია ამ პროცესს რაღაც განსაკუთრებულ, თითქმის იდუმალ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ჩახმახიკით შემართულ ჭოლასათვის კი იგი იყო ბრძოლის ასპარეზი, სადაც გათოკილი პოეტი გაბედულ სიტყვას მიახლიდა მტერს, ნერვებს დაიმშვიდებდა, გულს მოიოხებდა, რადგან მისთვის თანამოაზრეებთან ერთად ბრძოლა უკვე დასრულებული იყო.

„დღეს სეირნობის დროს — წერს ის 24 ნოემბრის დღიურში — ჯაფარიძემ გაგვაცნო ც. კ.-ის წინადადება — ვისაც სურს სასამართლოსთვის მოსამზადებელი „რეჩების“ დაბეჭდვა. გამოგზავნეთო. მე თუმცა მზად მაქვს, მაგრამ არ ვგზავნი — რა მნიშვნელობა აქვს! სასამართლოში პროკურორს ვუკბენდი, ვინმეს გავაჯავრებდი, ახლა კი ყოველივემ ფასი დაკარგა ჩემთვის“.

ჭოლა, წინააღმდეგ „ბელეძღვანელთა“ სურვილისა, ახირებულად შეხვდა პირველსავე სასამართლო პროცესს, რითაც მენშევიკთა ბელადებისაგან გაცილებით მეტი რისხვა დაიმსახურა, ვიდრე თვით მეფის სასამართლოსაგან.

«Ломтатидзе Викентий Би-би-кович!

ვამოიძახა ის სასამართლოს თავმჯდომარე მეიერმა.

— Да!

— Вы мещанин гор. Озургети?

— Нет, такого звания я не признаю. Я гражданин, житель города Озургети!

— უპასუხა ჭოლამ. მეიერი შეიჭმუხნა.

— Православный?

— Считаюсь православным.

— Ах, только считаетесь?

— Совершенно верно».

ჭოლას ეს შეუპოვარი პასუხები ლახვარივით მოხვდა გულში ღაჩარ მენშევიკებს. ამის შესახებ დღიურში ვკითხულობთ:

„— რათ გვიფუჭებ, კაცო, შენ ყოველგან საქმეს? რა სთქვი ის— Считаюсь православным-о, — მეუბნება ჯაფარიძე;

— მერე რა, რომ ვთქვი? — ვეკითხები მე. გულში მწყინს, მაგრამ კარგ ხასიათზე ვარ, გული გადამეწმინდა ერთი-ორი ენერგიული სიტყვების შემდეგ და ვუფრთხილდები თავს.

— Это оригинально, но глупо, очень глупо — მეუბნება ჯაფარიძე.

— რა ვუყოთ, თუ გლუპოა, იყოს გლუპო, მე კი შიამა და!“

ამ გაბედულ პასუხებს არანაკლებ შეუშფოთებია წერეთელიც.

— „გაეედი თუ არა სასეირნოდ, — განაგრძობს ჭოლა, — მომეკრდა წერეთელი, გაბოროტებული, დაშტიმული თვალებით, ის სულ ახლო, როგორც რუსები იტყვიან вплотную გამიჩერდა წინ, გააქნია თავი და დაიძახა:

— ლომთათიძე, ლომთათიძე... რა ხულიგნობა ჩაიდინე შენ გუშინ... ხულიგანი ხარ შენ!

სისხლი ამივარდა თავში, არც ერთხელ ჩემს სიცოცხლეში არ გამომიცდია წყურვილი, ადამიანისათვის გამერტყა სილა, დავხუჭე თვალები, ხელი ავიღე კიდეც, მაგრამ გამახსენდა, რომ გარშემო დარაჯებ- გვიცქერდნენ, გამახსენდა, რომ სატუსაღოდან ათასი თვალი გვიყურებდა, დავწიწმატდი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი და, რამდენადაც შემეძლო, დავიწყე ლანძღვა: Подлец... Мерзавец... Сволочь! ცრემლები წამომივიდოდა მეგონა, გული გასივდა“...[51].

ჭოლას შეჯახება მენშევიზმის მესვეურებთან თანდათან მწვავდებოდა. იგი მზად იყო კბილით დაეგლიჯა ეს „ინტრიგანების ბრბო“. წერეთლის სიტყვებზე — „შენ არავის არ უჯერებ, შენ ხულიგანი ხარო“ — ჭოლა ჩვეული აღზნებით, წმინდა გულის ნათელი გამოსხივებით პასუხობს: — „ვუჯერებ კი არა, რომ ვიცოდე შენისთანებისაგან შესდგება პარტია, მე იმ პარტიას მივაფურთხებდი, რამდენიც კი შემეძლებოდა“.

---

[51] იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1934 წ., № 7.

— „მოიცა, შენ ამას მალე ჩაიდენ! — შეეშველა წერეთელს ჯაფარიძე.

— არა, ჯერ არა მგონია, თუ თქვენისთანები ყველა პარტიაში და მახალდე კი თქვენ ახლა გაფურთხებთ ამ წუთში".

რა თქმა უნდა, პოლას დასკვნები იყო არა შედეგი ერთჯერადი აფეთქებისა, რაც თვითვე შეიცავს შერიგებისათვის საჭირო მასალას, არამედ გამომდინარე შინაგანი ღრმა რწმენისაგან. მწერალი შეეცადა დაესაჯა თავისთავი, გაეპართლებინა მოწინააღმდეგენი, მაგრამ საამისო სიბუთები მან ვერ ჰპოვა და ამ შემთხვევაში არავითარ ძალას არ შეეძლო უკან დაეხევინებინა მისთვის.

„ვერავინ ქვეყანაზე ვერ დამაჯერებდა, — სწერს ის „დღიურში" — რომ ოდესმე არჩილ ჯაფარიძესთან ახლო დამოკიდებულებაში ჩავდგებოდი. ღმერთმა იცის, რომ მე ის მიყვარდა და დღესაც მიყვარს, დიდ პატივს ვცემდი ყოველთვის... ღმერთმა იცის, სულითა და გულით მინდა, მე მტკუანი ვიყო იმათთან; მე არ შემრცხვებოდა არჩილის წინაშე ბოდიშის მოხდისა, მე დავსჯიდი თავს, თვითონ დავსჯიდი, მაგრამ მე მართალი ვარ, მართალი ვარ, მართალი. ერთი იოტის ოდენა ეჭვიც არ შემდის ჩემი საქციელის სისწორეში და ასეთ შემთხვევაში მე ვერ დამახევინებს უკან ვერავითარი ძალა, ვერავითარი სიმპატია".

არავითარი ავტორიტეტი არ წარმოადგენდა ზღუდეს, რომელსაც პოლას შეჩერება შესძლებოდა. ყოველდღიურ საქმიანობაში აკვირდებოდა ის თანამებრძოლთ და თანდათან რწმუნდებოდა მათ აზრთა სიმრუდეში.

„წერეთელი კი? — წერს ის, — бог с ним, — კარგი ორატორია და თუ ოდესმე მომიწია შემთხვევა ხმა მივცე მას სადეპუტატოდ, დიდის სიამოვნებით... ამაში კარგია, რასაც გააგებინებენ, ლამაზად, გაბედულად იტყვის... დანარჩენი კი, ის მისდა, მე ჩემდა, არც მომაკლდება იმის დამდურებით, არც მომემატება... არც მწყინს, რომ შეელანძღე, კვლავაც შეელანძღავ, თუ შემთხვევა მომეცემა... მე ავტორიტეტების მჯერა იქამდე, სანამ ავტორიტეტი не зазнался და ამასთან какой он авторитет? პარტიულ სტარუხებს ავტორიტეტი ჰგონია, მე კი მაშოროს უფალმა".

პოლა თავს დაესხა ამ ავტორიტეტებს, ამ სოციალურ დიქტატორებს, რომელთაც, როგორც თვითონ ამბობს, თავი „ხალხის რჩეულებად" წარმოედგინათ, „კანონებს სხვებისათვის ქმნიდნენ" და არ სურდათ თვითონ ყოფილიყვნენ პატივისმცემელნი იმ „დემოკრატიზმისა", რომელსაც სხვებისათვის ასე გატაცებით ქადაგებდნენ.

წერეთელი და ჯაფარიძე საპატიმროში მეფის სასამართლოს ბოიკოტის წინააღმდეგნი იყვნენ. რაკი კენჭის ყრის შედეგად მათი წინადადება უარყოფილ იქნა, განაცხადეს, ჩვენ ორნი მივიღებთ მონაწილეობასო. — „რამდენი მუშაობაა საჭირო, — უკეთებს ჰოლა რეზიუმეს მთელ ამ ამბავს.—რომ პარტიაში ასეთი თავხედობა ჯრ გამეორდეს. ეს პატიოსანი „დემოკრატები“ მანამდე სცნობენ დემოკრატიზმს, სანამ ეს მათი სურვილების წინააღმდეგ არ მიდის, ხოლო, თუ მათ არ მიჰყევით, მაშინ 30 კაცში 28 კაცს ორი კაცი აცხადებს პარტიის გარეშე“.

რომ საბოლოოდ და დაუბრუნებლად დასცილდა მენშევიკ „თანამებრძოლთ“ და აღარასოდეს აღარ სურდა მათი ხილვაც კი, ამას შესანიშნავად გვიჩვენებს უკვე კატორღამისკენილი ჰოლას შემდეგი სიტყვები: „ყველაზე უფრო იმის მეშინია, ჯაფარიძე-წერეთელთან არ მომიწიოს ყოფნა. «Это будет двойное наказание». („დღიურები“).

ნათელია, მთელი თავისი არსებით, პრაქტიკული ცხოვრებით და ლიტერატურული შემოქმედებით ჰოლა ლომთათიძე ანტიმენშევიკური მოვლენა იყო და მაინც ეს ერთ დროს ფორმალური კუთვნილება მეუმცირესეთა პარტიისადმი იქცა რაღაც გადაულახავ ზღუდედ, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილამდე ორი წლით ადრე მწერალმა ოფიციალურად ამცნო ქვეყანას ძველი გზის უარყოფა.

— „ბევრს ალაგას ჩემი გული დღეს პარტახს წარმოადგენს. — წერდა ის 1913 წ. მის მიერ თარგმნილ ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში, — იქ, სადაც მას ჟანია შინა ყვაოდა რომელიმე ძვირფასი ყვავილი, დღეს ამ ყვავილის საფლავი-ღა დარჩენილა ჩვენს გულში. იქ, სადაც დუღდა და ცელქობდა რწმენა ადამიანისადმი, სიყვარული მეგობრობისადმი, იქ ახლა ჩემი გული ტირის. ან მწარედ იცინის, ანდა დიდი ქართველი პოეტის მშვენიერ ლექსს ღიღინებს:

„ნეტავ ვისთვის შენ კისკასობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა,
— შენი რაა, რომ ამშვენებ
შენს დამლუპველ ოსმალეთსა“.

ძნელია, მეგობარო მკითხველო, როცა „დამლუპველი ოსმალეთის“ ბანაკში ხედავ იმათ, ვინც შენთან ერთად ერთ დროს ოსმალეთს ებრძოდა, იმათ ხომ ერთ დროს ეალერსებოდი! ძნელია. როცა

ტკბილი მოგონება უცებ საზიზღარი რენეგატის სახეს დაგიყენებს წინ! რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება! გაჭრა, წავიდა დრო ახალგაზრდა უზადო რწმენისა“.[52]

გამოაცხადა რა მენშევიზმი „დამღუპველი ოსმალეთის“ ბანაკში გადაბარგებულად, ცხადია, ჭოლა ბოლშევიზმამდე არ ამაღლებულა, პირიქით, მან გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი უკან. კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის რწმენას დაუპირისპირა „ოსმალეთის“ ხელიდან სამშობლო ქვეყნის გამოხსნის იდეა, „რწმენა და ტრფობა კაცისა“. — „ვკვდები, — წერდა ის აკიმ ჭოჩარიანს სიკვდილის წინ, — მაგრამ ჩემში გაცისკროვნებული რწმენა და ტრფობა კაცისა, საქმისა და სიყვარულისადმი მარად იცოცხლებს“.

ითვალისწინებს რა ჭოლა ლომთათიძის დაშორებას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისაგან, მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობს გაითიშოს მწერლის პრაქტიკულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა, რათა ამ გზით „შეცვალოთი“ მოუპოვოს მგოსანს.

ის. მანწკავა, პირველი მიმომხილველი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებისა, წერს: „ჭოლა იყო... თავისუფლების და რევოლუციის უდიდესი ენთუზიასტი... მაგრამ ჭოლა ამ მხრივ არ უნდა დაფასდეს, ჩვენთვის ჭოლა არაა საინტერესო, როგორც პარტიის წევრი, როგორც სათათბიროს დეპუტატი და სხვა და სხვა... ჩვენ გვაინტერესებს ჭოლა, როგორც პოეტი, ხელოვანი და შემოქმედი“.[53]

„სულაც არ მოეთხოვება იმას (ჭოლა ლომთათიძეს. ე. რ.), — წერს ს. დეედარეანი, — რომ მოეცა ჩვენთვის პროგრამა-პერსპექტივები „ნესტან-დარეჯანის“ გამათავისუფლებელი ბრძოლის“.[54]

რამდენადაც ეს ჯუმაღლებლობა მარქსისტულ-ლენინურ რევოლუციურ მსოფლმხედველობამდე არ ქმნის არავითარ სიძნელეს მწერლის მხატვრული შემოქმედებისა და პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის მთლიანობაში განხილვისათვის, იმდენად ზემოთ მოყვანილისდაგვარ „შეღავათს“ ჭოლა ლომთათიძე არ საჭიროებს.

მართალია, ჭოლა ლომთათიძემ ვერ დაინახა მშრომელთა გათავისუფლების მარქსისტულ-ლენინური გზა, მაგრამ მის შემოქმე-

---

[52] ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან ჭოლას დაბრუნების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

[54] იხ. ჭ. ლომთათიძე, ტომი I. 1924 წ., გვ. XXI.

[53] იხ. ის. მანწკავა, ჭოლა ლომთათიძე, 1924 წ., გვ. 9.

ლებაში დაუძლეველი ძალით გადმონთხეული ღრმა ზიზღი თვით-მპყრობელობისადმი, ადამიანის ძიერ ადამიანის დამონებისადმი და დაუცხრომელი სწრაფვა წინ „ცისკენ მიმავალი გზის“ მოსაძებნად — მხოლოდ ამ გზისაკენ უთითებდა მშრომელთ.

ცნობილია, რომ რუსეთის დიდმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ ვერ გაიგო 1905 წლის რევოლუცია, მაგრამ, ვ. ი. ლენინის გენიალური განჭაზვრით, მისი იდეები—„ეს სარკეა ჩვენი აჯანყების სისუსტისა და ნაკლოვანებებისა. ეს არის ანარეკლი პატრიარქალური სოფლის უხერხემლობისა და „უაირათიანი გლეხების“ დახავსებული ლაჩრობისა“...

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ის მწვავე წინააღმდეგობანი, ის ძერანი და გარდატეხანი, შეხედულებათა ის ჩამოყალიბება-გაყალბებანი, ნათელი იდეალებით გატაცებანი და ფასეულობათა სწრაფი გადაფასებანი, რაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას ცხრაასიან წლებში ახასიათებდა, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებამ მეტად ნათელ ფერებში შემოგვინახა. ჭ. ლომთათიძემ ახალი მხატვრული ხერხებით, ახალი კუთხით, ღრმად და სრულიად ორიგინალურად ასახა იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ყოფა, უაღრესად რეალისტურად დახატა საზოგადოების სხვადასხვა ფენების ის ტიპები, რომელნიც ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ამბოხებული ქართველი მშრომელი ხალხის წიაღში 900-იან წლებში ჩამოყალიბდნენ. ამაშია მისი ძალაც და ღირსებაც.

ერთი მხრივ უდიდესი ოპტიმიზმი სამშობლო ქვეყნის მომავლისადმი, მეორე მხრივ ღრმა პესიმიზმი მწერლის შეხედულებაში ერთმანეთს ორგანულად ერწყმოდა. ქმნიდა მის განსაკუთრებულ ორიგინალობას, უაღრესად თავისთავადსა და რთულს.

ჭოლა ლომთათიძის მთელი შემოქმედება 1907 წლის შემდეგ არის ამსახველი დაუნდობელი, უთანასწორო ბრძოლისა საზოგადოებრივი და ფიზიკური მტრების — გამარჯვებული რეაქციისა და ჭლექის წინააღმდეგ.

მწერალს კარგად ესმოდა, რომ მეფის სასამართლომ მას 5 წლის კატორღის საბურველქვეშ მიუსაჯა სიკვდილი. „კატორღა, ვნახოთ ერთი, რა არის ეს კატორღა, თუმცა, ვიცი რომ იქიდან ცოცხალი ვერ გამოვალ, **куда уж при моем здоровьи**, ჩემთვის კატორღა ეს სიკვდილით სასჯელია“ — წერდა ის „დღიურში“.[55]

1907 წლიდან გარდაცვალებამდე სატუსაღოში ჩაკეტილი ჭოლა

---

[55] „მნათობი“, 1934 წ., № 7.

იდგა სიკვდილის წინაშე და ნათლად ხატავდა განწირული ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობილებას. „რა სისაძაგლეა კატორღაში სიკვდილი... — წერდა ის დღიურში 1907 წლის დეკემბერში, — თავისუფალ ჰაერსაც ვერ დაინახავ, ისე დაგეხუჭება თვალები, არცერთი მოყვარული ადამიანი არ იქნება შენს გვერდით! ფუ!... არ მინდა სიკვდილი არ მინდა!...“ მარად თავისუფლებისაკენ მსრბოლი გონება მებრძოლი პოეტისა ვერ ურიგდებოდა ბორკილებში სიკვდილს. — „მე შეურაცხყოფას მაყენებს ამ მყრალ ოფლისაგან სიკვდილი, წერს ის „დღიურში“ იმავე დღეს, — არიან ჭლექიანები, კვდებიან, მაგრამ რა წყნარად, რა სუფთად, რა ლამაზად. მე ამ ოფლში უნდა ვცურავდე... ოჰ, რა აუტანელი რამ არის, რა საბინძურეა, მეტის მეტია, ეს უსამართლობაა!“

მაგრამ პოეტის მებრძოლი სული როდი ურიგდებოდა ამ უსამართლობას; მისი პატიმრობა — ეს იყო პატიმრობა ხორციელი, ბორკილებში მოთავსება ჭლექის ბაცილების მიერ დაღრღნილი, ჩონჩხადქცეული სხეულისა, არავითარ ძალას არ შეეძლო ჭოლას პოეტური სულის შებორკვა. მეფის საპყრობილე უძლური გამოდგა გაეთოკა პატრიოტული მგზნებარება დაუდგრომელი სულისა, რომელიც ჟამისჟამ სცილდებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის, ასტრახანისა და სარატოვის საპყრობილეების დახშულ კედლებს და თავისუფლად დაქროდა სამშობლოში. „ზეცაწართმეული“ ჭოლა შიმშილით სინათლედაკარგული თვალით უფრო მეტს ხედავდა ზეცაში თავისი საკნიდან, ვიდრე რომელიმე „ტურემშჩიკის“ თვალს შეეძლო დაენახა:

„ჯარისკაცს ჰგონია მე ვერ ვხედავ ზეცას, — ამბობს ჭოლა, — სცდება, ის ვერ ხედავს ზეცას, თორემ მე კი ვხედავ, შენ ბრიყვი ხარ, ბიძია, შენ არაფერი იცი. აი ახლა მე ვწევარ გულაღმა და შენ გგონია, ზევით ჭერს ვუცქერ მხოლოდ. მე ვხედავ ზეცას, მოჭედილს ვარსკვლავებით, და მათ შორის დინჯად მოცურავე მთვარეს, ამ ყინვის ალს, როგორც ამბობს შელლი. მე ვხედავ ყველას, რაც თვალით მოსჩანს, და იმასაც, რაც არ მოსჩანს თვალით... დგახარ შენ მანდ, გიჭირავს ხელში ვინტოვკა და გგონია წამართვი ზეცა, მაგრამ ცდები, შენ ის არ გქონია და ვერც წამართმევ. აი ამ წუთს მე ვწევარ აქ და გონების თვალით ვხედავ მზეს, რომელიც ასიათასჯერ დიდია ჩვენს მზეზე“ („ჩემი დღიური“).

საპყრობილე — ჭოლას პოეტური ნიჭის აყვავების უდიდესი მიზეზი და საშუალება იყო. აქ, საპყრობილეში, კვლავ იპოვა თავისთავი პოეზიის გზას დროებით აცდენილმა პოეტმა, იპოვა ისე კარ-

გად, რომ ამის შემდეგ კუბოს კარამდე არ გასხლტომია იგი ხელიდან. საკმარისია ჩავიხედოთ მხოლოდ პეტერბურგის ციხეში დაწერილ დღიურებში, რომელიც სულ რაღაც 20—25 დღის მანძილს მოიცავს, რათა ნათლად დავინახოთ შემოქმედებითი წვა პატიმრისა, რომლის პოეტური ფანტაზია მუხთალმა ბედმა სატუსაღოს ჯურღმულებში მოაქცია.

როგორც დღიურიდან ჩანს, ამ ოცი დღის განმავლობაში უძილობით შეპყრობილ სნეულს გადაუკითხავს მაქს ბახის «Австрия в первой половине XIX века», დოსტოევსკის „იდიოტი“, ანდრეევის „Тьма“, ბოლესლავ პრუსის მოთხრობა „ქრონიკები“. ბაირონის პოემები, პშიბიშევსკის «Вечерняя сказка». პოლ გეიზეს «Мария из Магдалины», კამილ ლემუნიეს «Мертвец», «Руки» და «Глаза, которые видели», შნიცლერის «Зеленый попугай», ბეირნსტერ ბიერნსტერნის «Свыше наших сил», ამფითეატროვის რომანის «Восьмидесятник»-ის II ნაწილი («Крах души»).

ცხადია, ციხეში წაკითხული ლიტერატურის მიხედვით პოეტის ლიტერატურულ ინტერესთა ფარგლებს ვერ შემოვსაზღვრავთ, რადგან პატიმარს არჩევანის საშუალება არა ჰქონდა და ამგვარი კითხვა ხშირად იძულებით ხასიათს ატარებდა,[56] მაგრამ წაკითხულის ძუნწ შეფასებას, რაც „დღიურებშია“ შემოგვინახეს, მწერლის ფსიქო-იდეოლოგიის გახსნისა და შემეცნებითი ჰორიზონტის გარკვევისათვის დადებითი მნიშვნელობა აქვთ.

როგორც ჩანს, მის მიერ ბავშვობაში შეყვარებული ჰაინრიხ ჰაინე სატუსაღოში სულიერად კიდევ უფრო მახლობელი გამხდარა ჭოლასათვის: „გიჟივით მეხასიათება ჰაინეს გადაკითხვა, — წერს ის 24 ნოემბრის თარიღით, — ციხეში მაინც სენად გადამექცა ეს. სულ ვზეპირობ იმის ლექსებს“.

მართალია, ჭოლა ლომთათიძე მხოლოდ ჰაინრიხ ჰაინეს კითხვასას არის აღტაცებული, მაგრამ ზოგიერთ სხვა მწერალთაც იხსენიებს დადებითად, თუმცა იშვიათად და ძუნწად. ასე მაგ... 16 დეკემბრის დღიურში მას აღუნიშნავს: პშიბიშევსკის „Вечерняя сказка“, პოლ გეიზეს „Мария из Магдалины“, კამილ ლემუნიეს „Мертвец“, „Руки“ და „Глаза которые видели“ ყველა კარგია, მაგრამ ეს უკანასკნელი მარგალიტია“... საზოგადოდ „Универсальная библиотека“-ს ეს გამოცემანი კარგი გამოცემანია, კითხულობ მსუბუქად, ენა კარგია“.

[56] ასე მაგ. პოლესლავ პრუსის მოთხრობების კითხვის დროს ჭოლა დღიურში წერს: „ვკითხულობ... არ მაქვს მეტი არავითარი წიგნი“.

აქვე, პაინრიხ ჰაინესთან დაკავშირებით. იგი ფრიად ორიგინალურ შეხედულებებს გამოთქვამს რუსული და ქართული ლიტერატურის განვითარების გზების შესახებ საერთოდ და 900-იან წლებზე განსაკუთრებით. „მიკვირს, — ამბობს ჭოლა, — რუსეთმა რომ ვერ დაბადა ერთი ვერც პაინე, ვერც ბერანჟე... საქართველოზე ხომ არ ღირს ლაპარაკი, გადაშენებული ქვეყანაა. წინ მივალთ, გვგონია. ნამდვილად კი ჭავჭავაძე-წერეთლის პოეზიის ნასუფრალით იკვებებიან ჩვენი მელექსეები, იმეორებენ და მერე. რა უნიჭოდ, უშნოდ. არა, ჩვენ როდი მივდივართ წინ — წინ მიდიან სხვები და ჩვენ მიეჩანჩალებთ მათ უკან — ლიტერატურაში და ცხოვრებაში, არავითარი ორიგინალური ნაბიჯი არა გვაქვს. ხანდახან გული მიკვდება, რათ არის ასე ღარიბი ჩვენი მდიდარი ქვეყანა-მეთქი“.[57]

საგულისხმოა, რომ მის მიერ წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოებების აბსოლუტურ უმრავლესობას ჭოლა უარყოფითად აფასებს. ამის მიზეზი მისი სიახლის მაძიებელ სულში უნდა ვეძიოთ. იგი ვერ იტანდა ეპიგონობას, სხვის გადამღერებას, მიბაძვას. მხოლოდ ორიგინალური, საკუთარი ხმა, — აი რა სწამდა მას პოეზიაში. ჭავჭავაძე და წერეთელი ჭოლას სათაყვანებელი პოეტები იყვნენ. მაგრამ მათი მიმბაძველები სძაგდა.

რადინის ნაწარმოებს ციმბირიდან გამოქცევის თემაზე თითქოს უნდა აღეფრთოვანებინა ჭოლა. როგორც რევოლუციონერი ტუსაღი, მაგრამ იგი ვერ იტანს შაბლონს, სიყალბეს ხელოვნებაში, ამიტომაა, რომ ამ მოთხრობის შესახებ მას „დღიურში“ აღუნიშნავს: „ავი და კარგი — ყველა სწერს ახლა გაქცევის შესახებ, არაფერი არ ყრია შიგ“. შნიცლერის „Зеленый попугай“-ის შესახებ ჭოლას „დღიურში“ ასეთი რეცენზია ჩაუწერია: „სისულელეა უდიდებულესი“. პშიბიშევსკის «Снег»-ის შესახებ კი დღიურში ვკითხულობთ: „ნიჭიერად დაწერილი სისულელე“. თითქოს პასუხად იმ კრიტიკოსებისა, რომელნიც მის შემოქმედებაში სიმბოლიზმის „ძლიერ ნაკადს“ ხედავენ, ბავშვობიდან ანდრეევის მოტრფიალე ჭოლა 3 დეკემბერს (1907 წ.) „დღიურში“ ნაღელიანად აღნიშნავს: „დღეს წავიკითხე ანდრეევის «Тьма», — მიდის უკან ანდრეევი, ეხვევა სიმბოლიზმის ბურუსში“.[58]

როგორც ჩანს, ჭოლა პეტერბურგის საპყრობილეში ბიბლიასაკ კითხულობდა: 1907 წლის 12 ნოემბერს იგი დღიურში წერს:

---

[57] „მნათობი“, 1934 წ., № 7, „ჯ. ლომთათიძის დღიურები“.

[58] ჭოლა ლომთათიძე ლეონიდ ანდრეევის «Мои записки»-ს «Рассказ о 7 повешенных»-ის წაკითხვის შემდეგ კატეგორიულად ემიჯნება ამ უკანასკ-

— „ვთხოვდი, დაჩქარებით გამოეგზავნა ჩემთვის ცილიას წიგნები. ოცი დღის შემდეგ წერილი უკან დამიბრუნეს წარწერით «указать адрес» (თუმცა მისამართი გარკვევით ეწერა. დ. რ.). მეორეჯერ «убедительно» ვთხოვდი, ოთხ დღეში ეშოვა ჩემთვის ბიბლია, მჭიროდა მაშინ ძალიან“.

ცხადია, ჰოლას ბიბლია სჭირდებოდა როგორც შემოქმედს და არა როგორც მორწმუნეს.[58]

ამიტომ ჰოლას სიტყვებში — „დღეს ტუსაღი ვარ, ხვალ თავისუფალი ვიქნები, ჯერჯერობით კი ავიღებ ხელში სახარებას და ვიკითხავ, მაკურთხე, მამაო!“ — ბედის უკუღმართობიდან ძალდატანებით გამონაყოფ ოპტიმიზმს ვხედავთ და არა „მწერლის გაწვევას წინააღმდეგობათა ქსელში“.

პეტერბურგის საპყრობილეში ზოგჯერ ჰოლას ბედნიერი დღეებიც უთენდებოდა. ეს მაშინ, როცა მას ხელთ უვარდებოდა ქართული წიგნი, ჟურნალი და თუნდაც გაზეთის ნაგლეჯი. დახარბებული პოეტი პირდაპირ ჰამდა ქართულ შრიფტს, ეალერსებოდა და კოცნიდა მას.

— „ჩამივარდა ხელში ქართული გაზეთი „წყაროს“ ნომერი. აბანოში გადმომცეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, ძველი, მაგრამ ჩემთვის ახალი იყო ქუთათური „ცისკარი“ და „ახალი ქვეყანა“ — აღტაცებით აღნიშნავს ის „დღიურში“.

როცა სამშობლოდან სულიერი საზრდოს მიწოდება გვიანდებოდა, ჰოლას იპყრობდა საშინელი სევდა, რომლის მოშორებასაც იგი სამშობლო ქვეყნის წიაღში ოცნებით მიმოსვლაში ჰკლავდა. „მოწყენილობა... — ვკითხულობთ დღიურში 1907 წ. 27 ნოემბრის ჩანაწერს,—ისეთი მოწყენილობაა, რომ ვეღარ ვწვდები ამ უზარმაზარ მწუხარებას... ეს სიცალიერე მძიმეა და აუტანელი... დავიძინებდე მაინც... მაგრამ ძილი დიდი ხანია იქცა ჩემთვის მიუწვდომელ ოცნებად — მე ხომ სამ საათსაც არ მძინავს დღეღამეში... თავში რაღაც

ნელს. როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოებებში აშკარა გახდა ჩვენი მწერლისათვის ერთ დროს სათაყვანებელი ანდრეევის იდეური დაცემა. «Мои записки»-ს გვირები იზიარებენ ლ. ტოლსტოის თეორიას ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ, უარს ამბობენ თავისუფლებაზე სატუსაღოს კარების გაღების შემდეგაც კი, უფრო მეტიც — ოცნებობენ თავიანთი სახსრებით ააგონ საპყრობილე და ა. შ.

[58] იხ. „სახრჩობელას წინაშე“, „ცის წიგნიდან“ და სხვ.

ხვაურობს, შხუის და ამ ხმაურში, ამ შხუილში მე გარკვევით მესმის ერთი გურული სიმღერის შორეული ჰანგები“[60].

გასამართლების შემდეგ ჭოლა დიდხანს არ დარჩენილა პეტერბურგის სატუსაღოში. მას განსაკუთრებული უმაღლესი რესკრიპტით მიენიჭა უფლება მისჯილი 7½ წელი გაეტარებინა იმპერიის სხვადასხვა ციხეში. დაიწყო ჭოლას „მოგზაურობა“ საპატიმროდან საპატიმროში. მისჯის დღიდან (1907 წ.) სიკვდილამდე (1915 წ.) იგი იჯდა პეტერბურგის, ასტრახანის, სარატოვის, ბაქოს, თბილისის, ბათუმის, ახალციხის საპყრობილეებში[61]. ამ საპყრობილეთა დახშულ კედლებში დაიწერა მისი საუკეთესო ქმნილებანი — „სიკვდილით დასჯილის დღიური“ („სახრჩობელას წინაშე“) (1907 წ.), „საპყრობილეში“, „უსათაურო“ (1909 წ.). „ჩემი დღიური“, „პირველი მაისი“, „დუმილი“, „სიკვდილი“, „მოლალატე“, „აღრჩევა სულისა“, „უბის წიგნიდან“, „მამასახლისი თუაძე“, „გრამაფონი“, „წერილი“ (1910 წ.), „გზაში“, „თეთრი ღამე“ (1911 წ.), „შიში“, „ჰონორარი“. „უბედური“, „ივანე გარგანელი“, „ძე კაცისა“ (1912 წ.), „მარინე მონაზონი“, „მღვდლისას“ (1914 წ.), და სხვ. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ პერიოდში ჭოლა ლომთათიძის კალმის ნაყოფად მხოლოდ ჩამოთვლილი ნაწარმოებები მიგვეჩნია. არა, ეს მხოლოდ ის „ბედნიერი“ ნაწარმოებებია, რომლებიც გადაურჩა ციხის ადმინისტრაციასა და მეფის ცენზურას, საპყრობილიდან რედაქციამდე მოსასვლელ ათასგვარ დაბრკოლებას, და ქართულმა პერიოდულმა პრესამ შემოგვინახა. ჭოლას უამრავი ნაწერები ისპობოდა სატუსაღოში, იკარგებოდა გზაში, რედაქციებში.

---

[60] „მნათობი“, 1934 წ., № 7, ჯ. ლომთათიძის „დღიურები“.

[61] კატორღამისჯილ ჭოლას მეუღლისათვის შემდეგი წინადადება მიუცია. გათხოვდი, შენს ქმარს ისე მივიღებ, როგორც სიძეს, ამდენი ხნის ასკეტიზმი უაზრობა იქნება და ისე რომ რაიმე გავიგო, უარესად იმოქმედებსო. ეს წინადადება, რომლითაც ცოცხლად დამარხული კატორღელი უსათუოდ თავს იმშვიდებდა, როგორც გადმოგვცემენ, კატეგორიულად უარჰყო მისმა მეუღლემ და შეეცადა უბედური ქმრისათვის მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა. იგი ყველგან დაჰყვებოდა ჭოლას და პატრონობდა. ცილია ზრუნავდა მისთვის „ჰაერის გამოცვლაზე“. ყველა ქალაქში, სადაც კი საპყრობილეში გადაჰყავდათ ჭოლა, მიემგზავრებოდა ცილიაც, შეულობდა იქ კერძო გაკვეთილებს და საკუთარი შემოსავლით ასაზრდოებდა მეუღლეს: „კარგი ქალი იყო ცილია — იგონებენ ჭოლას ნათესავები — ...ქართველი არ იზამს იმას... ბავშვს ცალკე პატრონობდა, ჭოლას ცალკე, ახლა კიდევ ჭოლა ბავშვზე ძლიერ ძნელი მოსავლელი იყო — მიზეზიანი, ფიცხი“... (იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი. გ. ლომთათიძის მოგონება).

მწერალი ყველა თავის ნაწარმოებს ციხიდან უგზავნიდა გამომცემლობებს, ხოლო რედაქციებში მომუშავენი, რაკი არავითარ ვალდებულებასა და უხერხულობას არ გრძნობდნენ კატორღელის წინაშე, არცთუ იშვიათად უდიერად ექცეოდნენ ჰოლას ნაწერებს. „არც ამხანაგებს (რედაქციებში მოხუშაველებს) ემადლიერებოდა დიდად, — იგონებს პოეტი ვარლამ რუხაძე, — და ხშირად უკიდურესი სიტყვებით იხსენიებდა: „იმათ რედაქციას კი არა, ბატს არ მიაბარებს კაციო“, და ამის საბაბიც ჰქონდა, მას ხშირად უკარგავდნენ ნაწერებს“.[62] ვ. რუხაძის ცნობას ადასტურებს ი. არამათიელიც (ივედაშვილი), რომელიც კარგა ხანს ჰოლასთან ერთად მეტეხის ციხეში იჯდა. — „ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: მაგათი სული კი არ იყოს. რა გაჰპირვებით ვუგზავნი ნაწერებს და ეგენი კი... ან ჰკარგავენ, ან... ეშმაკმა წაიღოს... ერთი გავიდე!“ — უთქვამს მისთვის ჰოლას [63-64].

ჰოლა ლომთათიძის ნაწარმოებების ჩვენამდე სრულად მოღწევას, გარდა ობიექტური მიზეზებისა, ხელი შეუშალა წმინდა სუბიექტურმა მიზეზებმაც: სხვებისადმი მკაცრი, მომთხოვნი ჰოლა ასეთსავე სიმკაცრეს იჩენდა საკუთარი შემოქმედებისადმიც. მას იშვიათად გაუსხლტებოდა ხელიდან მხატვრული ქვნილება, რომლის აბსოლუტურ წარმატებაში დარწმუნებული არ იყო. აი რა ჩაუწერია ჰოლას დღიურში 1907 წ. 5 დეკემბერს: „დღეს დავხიე, ლუკმა-ლუკმად ვაქციე ყველა მოთხრობა, შავად დაწერილი. დასაბეჭდად

---

[62] იხ. ჟურ. „ხელოვნება“, 1925 წ., № 22.

[63] იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47.

[64] რედაქციის მიერ დაკარგულ მრავალ ნაწარმოებს შორის განსაკუთრებით გულსაკლავია „ძე კაცისას“ II ნახევრის დაკარგვა. ეს ნაწარმოები რედაქციებისათვის ვერ უნდვია ჰოლას, იგი ვარლამ რუხაძისთვის გამოუგზავნია და უთხოვია ფელეტონებად (ნაწილ-ნაწილ) მიეწოდებინა რედაქციისათვის, რათა არ დაკარგულიყო. რუხაძეს კი ერთად დადუცია და ჰოლას შიშიც ამხდარა: იგი რედაქციის ჩხრეკის დროს ჟანდარმებს წაუღიათ. ამის შესახებ ვ. რუხაძე წერს: „ამ ბედს (დაკარგვას. დ. რ.) ვერც მისი საუკეთესო მოთხრობა „ძე კაცისა“ აცდა... მეორე ნახევარი დაკარგულია. სამწუხაროდ, ამაში მეც მიმიძღვის ბრალი და ეს დანაშაული ლოდივით მაწევს გულზე. ეს დიდი მოთხრობა მე გამომიგზავნა და თან მთხოვა, რომ ფელეტონებად გადამეცა რედაქციისათვის. ერთხანს მეც ვასრულებდი დავალებას, მაგრამ შემდეგ რედაქციამ გადაჭრით მომთხოვა, რომ მისთვის გადამეცა მთლიანად. სამწუხაროდ, მოვტყუვდი მეც და გადავეცი. და მოხდა სწორედ ის, რისაც ასე ეშინოდა ჰოლას: ხელნაწერი ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში და სამუდამოდ დაიკარგა“. (იხ. ჟურნალი „ხელოვნება“, 1925 წ., № 22).

არ ღირდა და გადათეთრებას კი ვინ მოესწრება. მთელი გროვა შედგა, როცა დარაჯს ნაგავი მიჰქონდა — გაჰკვირდა — ამდენი ქაღალდები სად იყოო. ჩემი სიცოცხლე იმე მოეწყო, რომ ვერასოდეს ვერ გადავათეთრე ის, არათუ ხელნაწერები, თვით ჩემი სიცოცხლეც".

საპყრობილეში მყოფი ჭოლა დიდ მზრუნველობას იჩენდა საკუთარი შემოქმედებისადმი, ერთადერთი მემკვიდრისადმი, რომელსაც მან სამშობლო ქვეყნისთვის ფიქრის უწმინდესი ნაწილი ანდო. — „ყველა ჩემს ძველ ნაწერებს ვაგროვებ და ხელახლა შევუდექი იმათ გადაწერა-შესწორებას, რომ ჩვენი რედაქციების ყიზილბაშური ხელი არ აჩნდეს, თუ ვინიცობაა ოდესმე გამომცემელი გამოუჩნდა იმათ",[65] — წერდა ის ციხიდან ს. თავართქილაძეს. მწერლს ეს განზრახვა იმით იყო გამოწვეული, რომ რედაქციები ძლიერ ამახინჯებდნენ მის მოთხრობებს. ჭოლა კი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ოდნავ გაეკრათ შალაშინი მისი ნაწერებისათვის (თუნდაც ენობრივი თვალსაზრისით, სადაც ეგი არცთუ იშვიათად სცოდავდა). — „არ მწამს ბელეტრისტული ნაწარმოების შესწორება. არ უნდათ. ნუ ბეჭდავენ და ეს არის, ამას ვთხოულობ გადაჭრით", — წერდა ბათუმის ციხიდან ამხანაგს, რომელსაც „პირველი მაისი" გაუგზავნა „ახალი სხივის" რედაქციაში წარსადგენად. გაუგია რა, რომ რედაქცია აპირებს მისი ნაწერების გასწორებას, ჭოლა შეშფოთებული წერს ამხანაგს: „თურმე საჭიროდ უცვნიათ „შეასწორონ „ჩემი ხელნაწერები: არამც და არამც, იმასაც მივწერ და შენც გთხოვ ახლა მისწერო ჩემ მაგიერ, არ შეასწორონ, თუ არ მოსწონთ — ნუ დაბეჭდავენ, სამივე გადასცეს (ორი ლექსი და ერთი მოთხრობა. დ. რ.) „ახალ სხივს", ეგებ იქ დაბეჭდონ, რა თქმა უნდა, შეუსწორებლად, დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ფიზიონომიის გასწორება უნდათ, მაგრამ მე მირჩევნია ისეთი ვიყო. როგორც ღმერთმა გამაჩინა—დიდება მის სახელს. ამიტომ, კიდევ გიმეორებთ. ჩემმა სახელმა და გვარმა აგოს პასუხი, თუ, რამე სუსტია და მახინჯია ჩემს ნაწერებში"[66]. „პირველი მაისისათვის" ავტორს წაუწერია მამია გურიელის „ადამიანიდან" თავისებურად გადაჰუშავებული სტროფი:

„ვინც გინდა იყო ჩემი კორექტორი, —
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი;
შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი,
გთხოვ, ამისრულო ეს სათხოვარი:

[65] იხ. საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15, 596-6.

[66]. იქვე.

ქრისტიანულად გაასწორო კორექტურა და არა ყიზილბაშურად". (ხაზი ავტორისაა)[67].

გვირგვინი ყველა იმ დაბრკოლებათა, რომელთაც ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებების ჩვენამდე მოუღწეველობა განაპირობეს, რა თქმა უნდა, მეფის ცენზურა იყო. იგი მასზე დამოკიდებულ ყოველ ზომებს იღებდა, რათა მშრომელ ხალხამდე არ მიეღწია იმ საბრძოლო ყიჟინას, ცეცხლოვან მათრახებს, რომელთაც ჭოლა საპყრობილეში ქმნიდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რედაქციებს, რომელთაც მწერალი ზოგჯერ, ალბათ, დაუმსახურებლადაც ემდუროდა, დიდი ღვაწლი მიუძღვით ჭოლას ნაწარმოებთა გადარჩენაში. აი რას წერს ჭოლა ს. თავართქილაძეს სარატოვის საპყრობილედან: „ვერ ჩავიგდე ხელში მხოლოდ ერთი (ნაწარმოები), რომელსაც ჰქვია „სახრჩობელას წინაშე", ამ მოთხრობის ბეჭდვა დაიწყეს 1907 წლის შემოდგომაზე და, როგორც იქნა დაასრულეს 1908 წლის ზამთარში. თვეში ბეჭდავდნენ ერთსა თუ ორს ფელეტონს, ასვრილად, არეულად, რომ ერთიანად გაეჭარწყლებინათ მისი გავლენა"[68]. რა თქმა უნდა, „ნაწილ-ნაწილ" და „არეულად, ასვრილად" ბეჭდვით შესძლო მხოლოდ რედაქციამ ამ ნაწარმოების გამოქვეყნება, რაც იმ დროს უსათუოდ გმირობას უდრიდა.

პეტერბურგის ციხიდან ჭოლა ბათუმის ციხეში გადმოიყვანეს. ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია მგოსნის ჯანმრთელობას და სამხრეთის ჰავით სუნთქვის საშუალება მისცა მას. ბათუმის ციხის კამერა № 13, რომელშიც ჭოლა მოათავსეს, ბიბლიოთეკას დაემსგავსა — გაივსო უამრავი წიგნებითა და რვეულებით. შწერალი ამ საკანში ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მის შრომას აადვილებდა ცოლ-შვილის სიახლოვე, ნაცნობ-მეგობართა ყურადღება, რის საშუალებაც ამ უკანასკნელთ ამჯერად ჰქონდათ.

„რამდენი მოვსულვართ — იგონებს ჭოლას და, — ყოველთვის ისე ვხედავდით, ან კითხულობდა, ან სწერდა... იმდენი წიგნები ჰქონდა, ბიბლიოთეკა მეგონა ის და არა კამერა"[69].

ყველაზე მეტად ჭოლას პატარა ჭოლიკოს ნახვა სიამოვნებდა. ბავშვი ყოველდღე დაჰყავდა დედამისს ციხეში. ჭოლას კამერაში შეჰყავდა პატარა, ეფერებოდა, ეთამაშებოდა, მაგრამ არ ჰკოცნიდა, ეშინოდა ჭლექი არ გადავდოო.

ცხოვრების ლამაზი წუთი — სისაზიზღრის შეხვედრა უბიწოებასთან ანუ ჭოლიკოს თამაში საპყრობილის საკანში — მშვენივრად

---

[67] იხ. ჯ. ლომთათიძე, თხზულებანი, 1925 წ., გვ. 306.

[68] საქ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15. 596-6.

აისაწა ნაწარმოებში „ძე კაცისა“: ცოლის ღალატით გამწარებულმა გიორგიმ „შემოიბიჯა თავზე ხელები და მიაშტერდა წინ კედელს. კედელზე ეკიდა მისი ბავშვის სურათი... ეს ხომ მისი შვილია, გიორგის შვილია და გიორგის ის ძლიერ, ძლიერ უყვარს და ამ ბავშვს ის ხშირად ნახულობს რამდენიმე საათით. დიდი ვაი-ვაგლახით აიღო მან ეს ნებართვა, მასთან საკანში შეუშვან ბავშვი. და სატუსაღო აღმერთებს ამ პაწია არსებას. დიდი ამბებით ეგებებიან ტუსაღები ამ უჩვეულო სტუმარს ამ სასტიკ და გულქვა სახლში. სადაც ყველაფერი — სულიერი და უსულო — ცივია და უთანაგრძნობო. უაღრეს ულოგიკობად, ანაქრონიზმად გაისმის წკრიალა ხმა აქ, ამ ყრუ შენობაში, სადაც მხოლოდ გმინვა და მუქარა უნდა ისმოდეს...

— სალამი ჟორჟიკს!

— გამალჯობა! — დინჯად უპასუხებს ჟორჟიკი და თავის მბრით უწვდის პაწია ხელს.

— როგორ გიკითხოთ, ჟორჟიკ?

— ემადლობთ.

და აღტაცებული სიცილი ფარავს ამ პაწია მამულიშვილის ხმას.

— ა, ა! გიორგი გიორგიჩ, როგორ ხარ, გიორგიჯან! ტუსაღების ჯგუფი ირღვევა შუაზე და წინ დგება ილიკო სიამაშვილი, როგორ არის საქმე. ჰა? რა აზრის ხარ შენ, ამხანაგო ჟორჟიკ, ჰერბერტ სპენსერის სინთეტური ფილოსოფიის შესახებ?

პირად შეურაცხყოფად ღებულობს ჟორჟიკი ამ ახირებულ და ეშმაკურ სიტყვებს... ჰო, რაკი სპენსერი არ გსურს, ვისაუბროთ, ამხანაგო, ემანუილ კანტის კრიტიკულ ფილოსოფიაზე. აქ უკვე მოთმინებიდან გამოსული ჟორჟიკი აღარ ზოგავს მტერს“.

ბათუმის ციხეში ჭოლა ინახულა ბავშვობის მეგობარმა ვ. რუხაძემაც. ამ შეხვედრის შესახებ იგი იგონებს: „ჭოლა ბათომის ციხეში გადმოიყვანეს დაჭლექებული. მე ეს გავიგე და სასწრაფოდ წავედი, ჩვენი შეხვედრა უცნაური იყო: ორივე ბავშვივით ავტირდით. ჩემს წინ ჭოლა კი არა, ჭოლას ლანდი იდგა ჩონჩხად ქცეული, მაგრამ სულით მაინც მტკიცე და ფოლადივით მოუდრეკელი“[69].

ბათუმის ციხეში ჭოლას ხშირად ნახულობდნენ სხვა ნათესავებიც, განსაკუთრებით ბიძები. ჭოლას ბათუმის ციხეში ყოფნის დროს გაუმჯნურდა აჭარელი მუსულმანი უსუფ დადიანი ჭოლას დას სიდოს, რომელსაც თავისი ტარიელისათვის უთქვამს: ცოლად გამოგყვები, თუ მოინათლები, ჩადრს არ დამხურავ და, თუ ჩემი ძმა — ჭოლა ნებას დამრთავსო. მუსულმან დადიანს პირობები მიუღია და

[69] იხ. ჟურნალი „ხელოვნება“, 1925 წ., № 22.

თავის მხრივ უთხოვია, ღორის ხორცს ნუ მაჭმევთო, ბიძები—ლავრენტი და ილარიონი ჭოლასთან ჩასულან ბათუმში ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. გოგო თანახმაა, ბიჭიც კარგია, მაგრამ ეგ არის, თათარიაო, — უთქვამს ლავრენტის ძმისშვილისათვის. ბიძებისთვის სრულიად მოულოდნელად დის არჩევანი მოუწონებია ჭოლას.

— თათარი რას ჰქვია! დადიანი აჭარიდან სადაური თათარია. ეგენიც ჩვენსავით გურულებია, ქართველებიო, — უთხრა თურმე ბიძებს და დას მიუბრუნდა: —

— ყოჩაღ, გოგო, სიდო! გაბედული უნდა იყო ცხოვრებაში, გაბედული, ჩემო დაია, რავარც მამა იყო ჩვენი, და გაჭარჯვებაც შენი იქნებაო.

როგორც ჩანს, უდრეკი ხასიათის და ქალთა გათავისუფლებისათვის დაუღალავ მუშაკს დის გაბედულება და პრინციპულობა უფრო მოსწონდა იმჟამად, ვიდრე სასიძო, თუმცა არც ამ უკანასკნელს გაუცრუებია იმედი: უსუფ დადიანს საკუთარ ძმასავით შეუყვარებია, როგორც თვითონ უთქვამს, იდეისთვის წამებული ცოლისძმა. იგი თითქმის ყოველდღე დადიოდა ჭოლასთან სურსათ-სანოვაგით დატვირთული, არ ივიწყებდა ახალციხის სატუსაღოშიც, სადაც ჭოლა ბათუმიდან გადაიყვანეს,[70], და, როცა თვითონ ვერ იცლიდა, სპეციალური კაცის ხელით უგზავნიდა ქართულ პურ-მარილს.

ახალციხის საპყრობილეში ჭოლა განაგრძობდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას. განუწყვეტლივ კითხულობდა, წერდა, აქვე დაბადებია მას აზრი შეეკრიბა თავისი ნაწერები, დაეტოვებინა ისინი საიმედო ხელში (ჩანს ასეთი აზრი შერყეულმა ჯანმრთელობამ შთააგონა). ამ მიზნით მიუწერია წერილი აპ. წულაძისადმი. აი ეს წერილიც:

„ძმაო რიჟა![71] მე არ ვიცი, რა ღირს ბორჯომამდე ბილეთი, ბორჯომიდან აქამდე კი ეტლი ღირს სამი მანეთი. პირობას გაძლევ, გადავიხადო გზის ფული, ოღონდ მოდი და მნახე. ისეთი საქმე მაქვს, რომ ჩემი დალუპვა თუ დარჩენა მასზე ჰკიდია. ვფიქრობ, რომ შეგიძლია დამეხმარო, ამიტომ გთხოვ, მოდი, მნახე, ამ სიშორეზე წერილს ვერ ვანდობ ვერაფერს და რა ვიცი კიდევ მიიღებ თუ არა. გთხოვ მოხვიდე, თუ შეგიძლია და დამეხმარო. იცოდე ხუმრობა არ არის ეს

---

[70] ბათუმის ციხეში ჭოლა ლომთათიძე დარჩა 5 თვეს, შემდეგ იგი ახალციხის საპყრობილეში გადაიყვანეს.

[71] აპ. წულაძის პარტიული სახელი იყო.

და თვით გაიგებ, რამოდენა სათხოვარი მჭონია და რა შეიძლება მი-შველო. მეტს არას გწერ, გელი.

შენი ხასან"[72]

— „მის ნ-წერებზე მიბარებდაო — ამბობს აპ. წულაძე (იხ. საქ. მუზეუმი, ა. წულაძის მინაწერი ჰოლას წერილზე), მაგრამ მას მისვლა არ შეეძლო: თვითონაც პატიმარი იყო და ეს ჰოლამ არ იცოდა.

საქართველოს ციხეებში ჰოლა გატაცებით ეწაფებოდა მხოლოდ ქართულ ლიტერატურას. ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვაში, ქართულ ენაზე წერაში პოულობდა ის სიცოცხლის უდიდეს საზრდოს. ახალციხის სატუსაღოში ყოფნისას შემოლეგია მას ქართული წიგნი და უთხოვია ცილიასათვის ჩაწერილიყო ადგილობრივ ბიბლიოთეკაში. ცილიას ბიბლიოთეკიდან ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა ტომი გამოუტანია და ჰოლასთვის შეუგზავნია. რამდენიმე წლის წინ გამოსული ილიას ტომი გაუჭრელი იყო, რამაც პოეტის აღშფოთება გამოიწვია.

ის გაცეცხლებული ატრიალებდა თურმე ხელში ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომს და ადგილობრივ მოსახლეობას უდიერად იხსენიებდა.

ეს შემთხვევა იმდენად ამაღელვებელი ყოფილა ჰოლასათვის, რომ, როგორც გ. ლომთათიძე გადმოგვცემს, ხიდისთავშიც კი მიუწერია მის შესახებ: „დღეს ცილიამ ბიბლიოთეკიდან გამოიტანა ილია ჭავჭავაძის ერთი ტომი, წიგნი სრულიად ხელუხლებელია — გაუჭრელია გვერდები... რუსთაველის მშობლიურ მხარეში ისე დაქვეითებულა ხალხი, რომ სახელი „რუსთაველი" არც კი იციან რა არის. ამათ იციან მხოლოდ ვირის უკან ჩამოდგომა, სახრით ხელში" (იხ. გ. ლომთათიძის მოგონებანი, საქ. ლიტ. მუზეუმი).

ამ შემთხვევამ წარმოუდგინა პოეტს გრანდიოზული სურათი ორი ათასი წლის ქართველი ვაჟკაცისა, რომელიც წარსდგა ყველა სულდგმულისათვის ჩვენების ჩამორთმევის უფლებაშეინიშნებული ზენაარსის წინაშე.

„მე არ ვიცი, როდის ვნახე ის ვაჟი, — ასე იწყებს ჰოლა ამ დიდებული პატრიოტული სურათის ასახვას, — შეიძლება დედაჩემმა მიამბო, ან ვინმემ ისეთმა, რომელსაც მე ისე ვუყვარდი, როგორც დედაჩემს. მე არ ვიცი, შეიძლება მაშინ მომელანდა ის, როცა „სურამის ციხე" წავიკითხე... ანდა შეიძლება მაშინ, როცა ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავაძის ტომი გაუჭრელი ვნახე" („უბის წიგნიდან").

[72] ჰოლას პარტიული სახელი იყო.

სამხრეთ საქართველოს გადაგვარება (პესიმიზმისათვის საკმაო მასალის შემცველი ფაქტი, რამაც შთააგონა მას „უბის წიგნიდან“), ვერ სძლევს ჭოლას ღრმა რწმენას სამშობლო ქვეყნის მომავლისადმი: „და წამოდგა ის, ვინც იჯდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს, და გადაკოცნა ის, მოწყვიტა მწიფე ყურძენი და აჭამა მას, და კიდევ აჭამა მას თაფლი, და შეჰკრა გვირგვინი ია-ვარდისა და ყვავილებისაგან და შეამკო თავი მისი და მისცა მას ხმალი ხელში და უთხრა: — წადი, განაგრძე და კურთხეული იყოს გზა შენი. ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო!“

„წადი, განაგრძე!“ — ასე ოპტიმისტურად დაასრულა ჭოლამ „უბის წიგნიდან“...

ახალციხის საპყრობილიდან ჭოლა მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. — „ჩვენი ციხე მაღლდება, ღირსება, ემატება!“ — წამოუძახნია ერთ ტუსაღს, როდესაც მეტეხის ციხეში ელვის სისწრაფით გავრცელებულა ხმა, ჭოლა ლომთათიძე მოჰყვათო.

„ერთ ჩვეულებრივ დღეს, — იგონებს იმდროინდელი მეტეხის „მკვიდრი“, — როდესაც ორმოციოდე პოლიტიკური ტუსაღი ციხის თონისებრ ეზოში ირგვლივ ვიდოდით, როგორც კალოში შებმული დაქანცული საქონელი, ვიღაცამ გადმოგვძახა: „ეტაპი მოვიდა, ჭოლა მოიყვანეს!“... გამარჯობა, ამხანაგებო! — გადმოგვძახა ერთმა ხმელხმელმა, აწოწილმა გამხდარ-გატეხილმა გრუზა ტუსაღმა... ამხანაგებმა ერთმანეთი გადაკოცნეს... მორიგე ყვირის, მაგრამ ყურს არავინ უგდებს.

— «Депутат с нами!» — ვიღაცა უპასუხებს. გაატარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ „ძველ შენობაში“ მოათავსეს,—ძველი შენობის მკვიდრთ გვიხარიან, ვამაყობთ!“[73].

ჭოლა ციხეშიც განაგრძობდა შეუპოვარ ბრძოლას „ტვირთმძიმეთა და დამშვრალთა“ ხვედრის შესამსუბუქებლად. ეს ბრძოლა სწარმოებდა მის ხელთ არსებული ყოველი საშუალებით — კალმით, პრაქტიკული მოქმედებით, საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე.

მეტეხის ციხიდან მან ქუჩაში ისროლა მისთვის მირთმეული თეთრი პური. როცა დაინახა, რომ ტუსაღებს მატლიანი შავი პურით ჰკვებავდნენ[74]. მესამე დღეს ერთი ამბავი მოახდინა მნახველთა

---

[73] იხ. „თეატრი და ცხ“., 1915 წ., № 47, ი. იმედაშვილის მოგონება.

[74] უნდა ითქვას, რომ უმაღლესი ბრძანებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, უკეთეს პირობებში აყენებდნენ ჭოლას, ათავსებდნენ შედარებით ნათელ ოთახში მარტოდ, კვებავდნენ უკეთ, არ სვამდნენ კარცერში.

მისაღებ ოთახში უზრდელური საქციელისათვის, თუმცა მას მეცხოვნენი რიდითა და კრძალვით ექცეოდნენ".

ჭოლას დაუმორჩილებელი სული კარგად მოჩანს შემდეგ მოგონებაში:

„ერთხელ რაღაცაზე კარცერში წაყვანა მოუნდომეს.

— ახლავე კარცერში! — მოისმა უფროსის მაღალი ხმა.

— სცრუობ, ვერ წამიყვანთ! — იყო ჭოლას პასუხი.

ყველა საკნის კარი ჩაკეტილია, სანათურებთან მომდგარი ტუსაღები ყურგამახვილებული ვიცქირებით — აცა, რა იქნებაო.

— წაიყვანთ! — ბრძანა უფროსმა.

— ვერ წაიყვანთ, არ შეიძლება!—მოისმის აქეთ-იქიდან... გაახლეს კარი, ძალით გაიყვანეს ჭოლა, კარცერისაკენ გაუყენეს...

— შვიდი დღეღამით ჩაჰკეტეთ! — გაიცა ბრძანება. ყველას ელდა გვეცა: ეს ხომ აშკარა სიკვდილია, ჩანს მაგის მოკვლა სურთ, — მოისმის აქეთ-იქითიდან!

— მიჰქარავ, შვიდ წუთსაც ვერ ჩამსვამ...

არ გასულა ხუთიოდე წუთი, ჭოლა ისევ უკან ამოიყვანეს, — რა მოხდა? — უმაღლესი ბრძანებაა, კარცერში არ ჩასვათო... ციხე დაწყნარდა..."[75]

ცხადია, ეს „უმაღლესი ბრძანება" მოპოვებული იყო ცილიას დაუღალავი მეცადინეობით. პატიმარი ჭოლა ახერხებდა გამოსარჩლებოდა არა მარტო მეტეხის ციხეში, არამედ მთელი იმპერიის სატუსაღოებში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებს" სერიაში — «Из № 1345 «Россия» დაბეჭდილია წიგნაკი «Мнимые притеснения заключенных в русских тюрьмах» (ს. პეტერბურგი, 1910 წ. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო). ამ ჟურნალში ნათქვამია, რომ ჭოლა ლომთათიძეს 1909 წლის აპრილში შეკითხვა მიუცია სახელმწიფო სათათბიროსათვის რუსეთში სიკვდილმისჯილი პატიმრების წამების შესახებ განაჩენის სისრულეში მოყვანის წინ. სათათბიროს შეკითხვა არ განუხილავს, რადგან ს. დ. პარტიისათვის სხვა პარტიებს მხარი არ დაუჭერიათ (გვ. 8). მაგრამ მას ფართოდ გამოხმაურებია საზღვარგარეთის პრესა: ევროპაში ამ საკითხზე პირველი წერილი გამოაქვეყნა კარლ კაუცკიმ („ლუმანიტე", 1910 წ. 18 იანვარი). კარლ კაუცკის წერილს გამოეხმაურა „Journal de genêve" „Le Peuple", „Journal du Soir", „Arbeiter Zeitung", „Vita", „Ie Ga-

[75] იხ. „თეატრი და ცხ"„ 1917 წ.„ № 47.

boro", „Deily News" და სხვა. ანალოგიური შეკითხვები III და IV სათათბიროსადმი დაბეჭდილია „Царский правовый журнал"-ში [76].

ზეპირი გადმოცემით, ჭოლა ლომთათიძის მიერ სათათბიროში გაგზავნილი შეკითხვის ასლი ცილია გიდიმირსკაიამ გაუგზავნა ბებელს და აქედან გახდა იგი ევროპისათვის ცნობილი.

მეტეხის ციხეში ჭოლა, როგორც გადმოგვცემენ, განუწყვეტლივ მუშაობდა, წერდა, თარგმნიდა და „რაღაც მანქანებით" ახერხებდა ნაწერების ციხის გარეთ გამოგზავნას. „იშვიათად მინახავს ასეთი მოწადინებული, ბეჯითი, ჭკვიანობრობის მოყვარე.—წერს ი. იმედაშვილი, განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას: „ენა უნდა შევისწავლოო"[77].

ჭოლა საპყრობილეში ორიგინალური შემოქმედებასთან ერთად დიდ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. 1913 წელს დაასრულა მან საკუთარი ნაწარმოების „თეთრი ღამის" რუსულ ენაზე თარგმნა და იმავე წელს გაუგზავნა გამოჩენილ მწერალს ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკოს. „გიგზავნით რუსულად თარგმნილ ჩემსავე ნაწარმოებს „თეთრ ღამეს" — წერს ის კოროლენკოს — და უმორჩილესად გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ. გარდა თქვენს პატივცემულ ჟურნალში ჩემი ნაშრომის დაბეჭდვის სურვილისა, ასე მოქცევას მავალებს ისიც, რომ შეჩაჩეროება გავიგო თქვენი გადამწყვეტი აზრი, შემიძლიან თუ არა თარგმნა? ქართულ ლიტერატურაში არის. ბევრი იქნეთი რამ, რომლის გაცნობა რუს მკითხველთათვის საჭიროა, და თუ პირველად ჩემი ნაწარმოები ვთარგმნე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სტილის, აზრისა და გრძნობის გადმოცემა უფრო მეადვილებოდა, ვიდრე სხვისა".

მაგრამ ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა ჭოლას მოწოდება არ იყო. მას ხიბლავდა დიდი გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე თავისი სევდით, საბრძოლო განწყობილებით, პატრიოტიზმით და ჭოლაც თარგმნიდა მას მთელი გატაცებით, სავსე გრძნობითა და ქართულ ენაზე ამეტყველების დიდი სურვილით.

პატიმრობისას არ დაუწყია ჰაინეს თარგმნა ჭოლას. ეს არსებული წყობის დაუცხრომელი პროტესტანტი მისი სიყრმის მეგობარი იყო. აი რას ამბობს მის შესახებ ჭოლა: „აქვს სიყვარულს ერთი დიდი შეურყეველი კანონი, ეს კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ის, ვინც გიყვარს, მუდამ გიყვარდა, გგონია, რომ ეს სიყვარული დაიბა-

---

[76] იხ. ი. მეგრელიძის მოგონება ჭოლა ლომთათიძის შესახებ (საქ. ლიტ. მუზეუმი).

[77] „თეატრი და ცხ.", 1917 წ., № 47.

და შენთან ერთად, რომ შენს სიცოცხლეში, გგონია, არ ყოფილა ისეთი წამი, როცა ის, ვინც გიყვარს, არ გყვარებოდეს... და სწორედ ასეთი სიყვარულით მიყვარდა და მიყვარს დღესაც დიდი მგოსანი მსოფლიო სევდისა, დიდი მგოსანი სიყვარულის მიერ შობილი ტანჯვის, გერმანელების დიდებული პოეტი ჰაინე. არ მახსოვს, როდის შევხვდი პირველად მას, რომელი იმის ლექსი წავიკითხე პირველად, როდის დაიწყო ჩემი მისდამი სიყვარული — დღეს მგონია, რომ ის იმთავითვე იჯდა ჩემს გულში და გალობდა."[78]

ჭოლაჰ 1913 წელს გამოგზავნა ციხიდან მისმიერ თარგმნილი „ჰაინეს ლექსების კრებული", რომელიც ამავე წელს დაიბეჭდა კიდეც. პირველად ჭოლა ზუსტად თარგმნიდა ჰაინეს. წლების მანძილზე მუშაობდა მასზე, ადარებდა, აზუსტებდა, ასწორებდა, მაგრამ, ამ ნაშრომს ჩვენამდე არ მოუღწევია, ციხეში დაწვეს. „შემდეგ გული აღარ მიმდიოდა, — ამბობს ჭოლა, — ხელახლა შევდგომოდი შრომას, ახალ შრომასაც შეიძლებოდა ძველის ხვედრი ხვდენოდა. მხოლოდ დროგამოშვებით, მომაგონდებოდა რა ჰაინეს ლექსი, საჩქაროდ გადამქონდა ქაღალდზე ნაჩქარევი თარგმანი და ვგზავნიდი სამშვიდობოს. არც დამუშავება, არც დედანთან შედარება, არც შესწორება, — არაფერი ეს არ შემეძლო, სურვილიც რომ ყოფილიყო. ეს იყო ვარჯიშობა მოწყენილი სულის, უფრო დროს გატარება... „თუ თავს იქცევდი, თუ შენვე ხედავ, რომ შრომა შენი ზეზეურია, მაშ, რაღად ბეჭდავდი, მკითხველი ხარჯში რად შეგყავდა?" მკითხავს მკითხველიო — განაგრძობს პოეტი და დაასკვნის:

„ჩვენში დღეს რამდენიმე ახალგაზრდა, ნამდვილი პოეტური ნიჭის პატრონი მწერალი ცხოვრობს და დიდ იმედებს იძლევა. შეიძლება რომელიმე მათგანმა მოინდომოს „სირცხვილი მაჭამოს", გამოეპარჭლოს ჰაინეს, შეუდგეს იმის შესწავლას და თარგმნას... დიდი სიხარულით, დიდი მადლობისა და ვაშას ძახილით ვუწვდი ხელს ამ ჩემავალ ჩემს მტერს — მეგობარს და ვეუბნები: „ღმერთი იყოს შენი შემწე."[79]

ეს ვრცელი ციტატი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მიმართებაში იმყოფებოდა ჭოლას თარგმანები ორიგინალთან. ისინი უფრო ეკუთვნიან ჭოლას-„მთარგმნელს", ვიდრე ჰაინე-„ავტორს". „ჩემი პირადი განცდის, ჩემი სულის შფოთვის დაღი არ შეიძლება არ აჩნდეს ამ ლექსებს, „თარგმანებს" — დაასკვნის პოეტი.

---

[78] იხ. ჰ. ოლია, ჰეინრიხ ჰეინეს ლექსების თარგმნები, ბარ. ხელაძის სტამბა, 1913 წ.

[79] იქვე.

მეტეხის ციხეში ჰოლას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მეუღლე. მაშინდელ ტუსაღთა გადმოცემით, ცილიას გამოჩენა საპყრობილეში ყველა ტუსაღისათვის ზეიმი იყო. „ჰოლა გამხიარულებული შეეგებებოდა სანოვაგით და წიგნებით დატვირთულ ცოლს, დემონსტრაციულად გადაჰკოცნიდა, შვილს გულზე მიიკრავდა და სამმართველოში შევიდოდა ცოლ-შვილიანად. ყველანი მოწიწებით პატივს ვცემდით იმ უცხო ქალს,—„ჩვენს რძალს“, რომელიც ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადადიოდა, სადაც კი ჰოლას გადაიყვანდნენ და ფარვანასავით თავს ევლებოდა“.[80]

გადაპარბებით ეჭვიანმა და ნერვებგაფაქიზებულმა ჰოლამ მეტეხის ციხეში ინტუიციით იგრძნო, რომ ოდესელი „ფარვანა“ აკრძალულ ყვავილსაც დაჰფარფატებდა თავს. უნდა ითქვას, რომ ამას ადრეც გრძნობდა იგი. ჯერ კიდევ პეტერბურგის სატუსაღოში ყოფნისას დაწერილ დღიურში ვკითხულობთ: „ცილია კი არ მოვიდა- არ ვიცი რატომ, ეგეგ დაიჭირეს, ეგეგ ავად არის, ან ეგეგ, რაც ადვილი მოსალოდნელია, შეეზარა მოსვლა. ამ ბოლო დროს მე ვამჩნევ, აუტანელი გავხდი — წერილი მივწერე სასტიკი. მის ალაგას მე ამდენხანს ავიკრავდი გუდა-ნაბადს და წავიდოდი ჩემგან — Куда глаза глядят, от этого урода. ვინ იცის, ეგებაც ეს კიდეც მოხდა, მაგრამ ციხეში, ასეთ პირობებში არ მეუბნება... საწყალი ცილია.. რა მიეე იმდენი იმას, რომ ჩემი გულისათვის ამდენ ტანჯვა-დამცირებას იტანს? ერთი დამანახვა ჩემი ცილია სამ-ოთხ წელიწადს მერე ჩემი სიკვდილისა“.

ცდებოდა ჰოლა: დეპუტატისა და „ბრწყინვალე მომავლის“ იმედისმომცემი მებრძოლი ლიტერატორის მეუღლე ჯერ არსად არ აპირებდა წასვლას და ჩინებულად თამაშობდა თავის როლს.

„ოჰ როგორ მიყვარხარ, ჩემო ბედნიერებავ, როგორ გიჟურად მინდა ვკოცნო შენი თვალები... დღეს მაინც განსაკუთრებით მიყვარხარ, მე არ გადავცემ ქსენიას იმ ორ შენ მიერ უკან დაბრუნებულ წიგნაკს, იმათზე შენი სახელია შენი ხელით დაწერილი, ოჰ, რამდენჯერ ვაკოცე იმას და მერე შევინახე — დავმალე.. გესმის? არ გძინავს ახლა, ღამის ორი საათია, იძინე, გენაცვალე, ღეთაებავ, იძინე!“ -— სწერდა ის ქმარს სწორედ ამ დღიურის წერის დღეებში.

როცა ავადმყოფი ქმარი ციხეში გარედან მოყვანილ ექიმს გაასინჯვინა და გაიგო, რომ მას განუკურნებელი სენი — ჭლექი ღრღნიდა, ანგარიშიანი მეუღლის „სიყვარულიც“ მაშინ დამთავრდა. მან

[80] „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47.

კარგად იცოდა, რომ გათავისუფლების შემთხვევაშიც ჭლექიანი ქმრად არ გამოადგებოდა. „ეჰვადაც არ მოსდიოდა ცილიას ჩემი ფილტვებით ავადმყოფობა, საცოდავი, რა მწარედ სტიროდა“, — ჩაუწერია ჰოლას ამ შემთხვევის შესახებ დღიურში.

მეტეხის ციხეში ჰოლამ გაიგო, რომ მისი მეუღლე სადილს უზიდავდა იქვე მყოფ პატიმარს რუბენ კატანიანს, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ოდესიდან იცნობდა, და მასაც ისევე „ეელებოდა თავს“. როგორც ჰოლას.[81]

ერთსა და იმავე დროს ორი კაცის „სიგიჟემდე სიყვარულს“ ცილია დიდხანს წარმატებით ახერხებდა. ჩანს, მისი გატაცება ჰოლათი არც ისეთი ძლიერი ყოფილა, როგორც შორიდან მაყურებელს და, შესაძლოა, თვითონ მასაც, ერთ დროს ეგონა.

„1913 წელს — წერს ი. იმედაშვილი — ერთ დღეს რაღაც ცვლილება შევნიშნე მუდამ მხიარულ ჰოლას. თითქმის ორ კვირას გულით ზიდავდა ბოღმას: საზიზღარი უსახელო წერილი მიეღო ოჯახზე“.[82] ეს „საზიზღარი წერილი“, სამწუხაროდ სიმართლის მაუწყებელი იყო, მაგრამ უსახელო არ ყოფილა, შეურაცხყოფილი ბიძა ატყობინებდა პატიმარ ძმისწულს რეალურ მდგომარეობას.

ჰოლაზე გამანადგურებლად იმოქმედა მეუღლის ამ ნაბიჯმა, შეუმოკლა ისედაც დათვლილი სიცოცხლის დღეები. ისე შეშფოთებული არ მინახავს: ექვსი წელიწადია ვზივარ და მხოლოდ ახლა გავიგე სასჯელიო — მითხრა, — იგონებს ი. იმედაშვილი.[83]

ერთ დღეს, როცა საკანში შევიდა ციხის უფროსი და უთხრა, თქვენი ცოლი მოვიდა სანახავადო, ჰოლა არ გავიდა. კარგა ხანს შემდეგ მეორედ მოვიდა ციხის უფროსი და მოაგონა, რომ მეუღლე ელოდებოდა. ჰოლა გასვლას კიდევ არ აპირებდა. ტუსაღები გაოცდნენ. ბოლოს იგი ადგა და გაემართა. როცა ცილია ჩვეულებრივ წა-

---

[81] მსახიობ შ. გომელაურის ცნობით, რომელიც ჰოლასთან ერთად იჯდა მეტეხის ციხეში, 1911 წელს რევოლუციონერებმა კატანიანს, როგორც ადკოკატს, სთხოვეს გასცნობოდა ჰოლა ლომთათიძის საქმეს. მან დაიბარა ცილია, მოეწონა, გადაიბირა და შეირთო კიდეც. პატიმრისათვის პატიმრის საქმის მინდობა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ, რა თქმა უნდა, სრულიად შესაძლებელი იყო. გომელაურის ცნობას ისიც აძლიერებს, რომ, როგორც ცნობილია, ცილიამ მადლობის წერილი მიაწერინა კატანიანისთვის ქმარს. ი. იმედაშვილისა და შ. გომელაურის თქმით, ამ წერილის მოგონებას სიგიჟემდე მიჰყავდა ჰოლა.

[82] იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47. ი. იმედაშვილი თარიღში-ცდება. 1913 წელს ჰოლა მეტეხის ციხეში აღარ იყო.

[83] იქვე.

მოვიდა საკოცნელად, ჭოლამ ხელით აირიდა, მოტანილი ამანათი გა-მოართვა, სახეში მიახალა... კატანიანს მიუტანე ეს ამანათიო.

ამ დღიდან პოეტის ტრაგედიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ცოლი აღარ მოდიოდა, შვილს არ უშვებდნენ. ერთ დღეს მარტოკა მოსულა 6 წლის ბავშვი, შეუტირნია მამისთვის, არ მიშვებენო. „მთლად გაჭარხლებული ჭოლა. — გადმოგვცემენ ამ სურათის მნა-ხველნი, — დაჭრილ ლომივით ბრდღვინავდა... ცდილობდა შვილიც მასთან მიეყვანა, მაგრამ ვერაფერი გააწყო“.[84]

ჩქარა რ. კატანიანი გაათავისუფლეს. ცილია მისი კანონიერი მე-უღლე გახდა. იგი კვლავ განაგრძობდა ქმარყოფილზე ზრუნვას, მაგ-რამ მის მიერ გაგზავნილ ამანათებს ჭოლა ფანჯრიდან პირდაპირ ქუ-ჩაში ისროდა[85].

ცილიასა და ვეგობრის მონაწილეობით გათამაშებული ტრაგ-კომედია ჭოლამ შესანიშნავად ასახა ჰხატვრულ ნაწარმოებში „ძე კაცისა“.

---

[84] იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 47.

[85] ცილია შემდეგშიც ზრუნავდა ჭოლაზე. ერთხელ მეტეხის ციხეში ტუსაღე-ბი აჯანყებულან. ჭოლა, რომელსაც კამერებში თავისუფალი მიმოსვლის ნება ჰქონდა, უფროსთან მისულა და პროტესტი განუცხადებია. გაცხარებულ ჭოლას ნაგიდაზე დაურტყამს ხელი და მინა დაუმტვრევია. ციხის უფროსმა ის კარცერ-ში ჩასვა. კატანიანის მეუღლე ამის გაგებისთანავე გამოცხადდა უფროსთან და მიაღწია ჭოლას კარცერიდან გამოყვანას.

მეორედ ცილია გიდიმირსკაია ჭოლა ლომთათიძის დასაცავად გამოვიდა მოს-კოვში მალაქია ტოროშელიძის მოხსენების გამო. მოწუწუნე ინტელიგენტი, მხდალი, რეაქციონერი, — დაახლოებით ასე იყო დახასიათებული ჭოლა მალაქია ტოროშელიძის მოხსენებაში. იქვე დამსწრე ცილია ლომთათიძეს (იგი, კანონიერი მეუღლე კატანიანისა, ბოლომდე ატარებდა ლომთათიძის გვარს), ჯერ ზეპირად გა-ნუცხადებია პროტესტი, ხოლო შემდეგ წერილობითაც: „შვიდი წელიწადი ეცხოვ-რობდი ჭოლასთან, თუ ვინმე იცნობდა მას, ჩემზე უკეთესად ვერავინ და მე ვაცხა-დებ, რომ ჭოლას ასეთი შეფასება ქართველი მწერლების მიერ არ არის სწორი, მიუხედავად იმისა, რომ ჭოლა სიცოცხლეში გამეყარა (sic), ასეთ მომენტში არ შემიძლია დავდუმდე და პროტესტი არ გამოვთქვა ამ შეფასების გამო“.

(იხ. გ. ლომთათიძის ცნობა, და ი. მეგრელიძის „მასალები ჭოლა ლომთათი-ძის შესახებ“, საქ. ლიტ. მუზეუმი.). მ. ტოროშელიძის მიერ წამოყენებულ არგუ-მენტთა სისუსტეზე თავისთავად მეტყველებს ისიც, რომ ცილია გიდიმირსკაიას მოსაზრებათა გაბათილება ჭოლა ლომთათიძის პირადად მცნობთაც კი არ უცდიათ.

„დაატუსაღეს თუ არა გიორგი, მეორე დღეს ვახო ამბის გასაგებად მოვიდა. რა უნახეს გიორგის? რა ედება ბრალად გიორგის, იცის თუ არა ნინომ? საშიში ხომ არაფერია? ალბათ, მალე გაათავისუფლებენ, ნინო არ შეწუხდეს! ვერ წარმოიდგენთ რა დანაკლისია ახლა გიორგის დატუსაღება — იმედც ცოტა დარჩა მუშა. იცით, კარგად მოუარეთ გიორგის, ხელი შეუწყვეთ, კარგია ტუსაღისათვის მოყვარული ადამიანი რომ დარჩება გარეთ!... ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ შეამჩნიე თუ არა შენ, ნინოჯან, ამაებს გარდა კიდევ რაღაც სხვა ვასოს? შეამჩნიე, არა? შენ პატიოსანი ქალი ხარ, თქვი სიმართლე! შეამჩნიე... მერე? შენს გულში არ დაბადებულა, ნინო, პროტესტი, შენ არ აღშფოთებულხარ, ნინო. როცა იგრძენ, რომ შენი ქმრის დატუსაღება, შენი საყვარელი ქმრის დატუსაღება, ერთი ჰხრით, არც იმე სწყენია შენი ქმრის მეგობარს... რამდენად მხეცია თურმე ადამიანი! ვინ უწოდა მას ძე კაცისა, როცა ის სისხლსისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არის მხეცისა, რამდენად მხეცია თურმე ადამიანი! აკი ის აცეკვდა, ათამაშდა მეგობრის საფლავზე, — მისი ქონება დაჰრჩებაო! („ძე კაცისა“).

რომ მისი მეუღლის მიჯნური „მხეცი“ ადრევე მეგობრობდა ჭოლას, ამაზე იმედაშვილის შემდეგი თქმაც მიუთითებს: „მეგობარმა არ დაინდო“.

ამასვე გვიდასტურებს ჭოლას შემდეგი თქმაც: „სიცრუეა, როცა ამბობენ დედაკაცი მაშინ ღალატობს ქმარს, როცა ფიზიკურად ღალატობსო. არა. დედაკაცი პირველად ღალატობს საყვარელს, როცა რწმუნდება —ამას და ამას მე ვუნდივარო და როცა ეს მას ჰგვრის სიამოვნებას. აი პირველი ღალატი, ნამდვილი ღალატი, შემდეგ კი გაგრძელებაა ამ ღალატისა და მეტი არაფერი“. („ძე კაცისა“).

ჭოლას ტრაგედიას ახასიათებდა ის, რომ ჰკარგავდა ბავშვს, რომელიც ცოლთან ერთად სწყდებოდა მშობლიურ ნიადაგს, ქართულ კულტურას, იკარგებოდა მისი ქვეყნისათვის. იგი სიგიჟემდე მიჰყვებოდა ფიქრსაც კი იმის შესახებ, რომ მისი შვილი უცხო ნიადაგზე გაიზრდებოდა. პატიმარმა ყოველგვარი ზომები მიიღო ერთადერთი ნუგეშის გადასარჩენად. მან დაიბარა გურიიდან მეგობარი ალ. მითაიშვილი და შეევედრა, აღეზარდა მისთვის შვილი ქართულად.

— მე უფლება არა მაქვს, წავართვა შვილი დედას. თუკი მომცემს, სიამოვნებით აღვზრდიო, — უპასუხნია მას.

ცილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უკანასკნელი სათხოვარი შეუსრულა პატიმარს — თვითონვე მიჰგვარა შვილი მითაიშვილების ოჯახს, მაგრამ... ჭოლას თბილისიდან გაგზავნისთანავე წაარ-

თვა, წაიყვანა და შემდეგში ყოველგვარი ზომა იხმარა მის „დასაცავად“ მშობლიური კულტურის გავლენისაგან[88].

ჰოლა ლომთათიძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა მეორედ 1956 წელს განხორციელდა და ჰოლიკო კატანიანი-ლომთათიძეც მეორედ ეწვია თბილისს.

ამგვარად, ავმა წინასწარგრძნობამ არც აქ უმტყუნა ჰოლას: ქართულ კულტურას მოსწყვიტა ბედმა ჰოლიკო.

---

[88] ცილიამ მოახერხა აღეზარდა ჰოლიკო ისე, რომ მას წარმოდგენა არ ჰქონოდა არა თუ მშობლიურ კულტურაზე, თვით გვარტომობაზედაც კი. მან კატანიანის გვარზე ჩასწერა შვილი და ჩააბარა აღსაზრდელად მოსკოვის ერთ-ერთ საბავშვო სახლს. 1925 წელს, როდესაც ჰოლას ნაწარმოებთა ორტომეული გამოვიდა, გიდიმირსკაია-კატანიანი შვილის პირდობილობით ჩამოვიდა თბილისში პონორარის მისაღებად. როგორც შემდეგ გამოირკვა, მას თან წამოეყვანა შვილიც **на всякий случай** ;და ქალაქის განაპირა სასტუმროში დაემალა ის. როგორც გადმოგვცემენ, ერთ ნაცნობთაგანს ენახა ქუჩაში დედა-შვილი და ეცნო ჰოლიკო.

1939 წელს ჰოლას დაი სიდო (უსუფ დადიანის მეუღლე) თანასოფელ, რუსული ენის მასწავლებელ მუხამედ მეგრელიძესთან ერთად გაემგზავრა მოსკოვს ძმისშვილის სანახავად. მე საჭირო არა ვარ, შენ გადი სადგურზე, ისე გავხარ მამას, მამიდაშენი დანახვისთანავე გიცნობსო — ეთქვა შვილისათვის ცილიას, მაგრამ, ნაცელად სადგურზე დახვედრისა, იმავე დღეს შუა ატლანტიკაში მიცურებდა მოწყო „მამა-შვილისა“. ასე რომ, 2 თვე მოუხდა მოსკოვში ლოდინი სიდოს, მაგრამ ჰოლიკოს ჩამოსვლას ვერ ეღირსა. სიდო გამოემგზავრა საქართველოში, ფრიად დაინტერესებული მუხამედი კი იქ დარჩა, მაგრამ დაბრუნებული ჰოლიკოს ნახვა მაინც არ მოხერხდა: ხან სტუმრადაა, ხან კრებაზეა, ხან შეუძლოდაა — მეუბნებოდა ცილია და არ მახვედრებდაო — გადმოგვცემს ის.

სხვათა შორის, მუხამედის კითხვაზე — როგორ მისცა თავს ნება გათხოვილიყო ქრის სიცოცხლეში, ცილიას უპასუხნია: „უნდა მოგახსენო, რომ ჰოლა უკანასკნელ დროს, ან ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელ წლებში, მეტად ხშირად და ზედმეტად უსიამოვნოდ, ან უკეთ აღვირახსნილ ველურობამდე ნერვიულობდა... აუტანელი იყო ჩემთვის ეს. მე ხომ ძალიან ბევრი მოვუთმინე კიდეც ,ვაპატიე კიდეც და დავუთმე კიდეც. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს, განშორების კარგა ხნით ადრე, მე აღარ მიყვარდა უკვე ჰოლა... ის იყო მეტად აზიელი (азиат) და მის ჰქონდა პირდაპირ ველურის შეხედულება ქალზე, რასაც მე ვერ ვუძლებდი. უკანასკნელ ხანებში მე არ ვგრძნობდი ჰოლასადმი სიყვარულს სრულიად, მხოლოდ მეცოდებოდა, თანაგუგრძნობდი, როგორც კაცს, რომელიც იტანჯებოდა და, ამავე დროს, პატივს ვცემდი, როგორც ყოფილ ქმარს და წამებულ ადამიანს“. (ი. მეგრელიძის მოგონებიდან). 1936 წელს ჰოლიკოს სანახავად მისულა მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძეც (მას ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში ყოფნის დროს სპეციალური წერილით სთხოვა ჰოლამ ქართული ესწავლებინა ჰოლიკოსათვის), მაგრამ ჰოლას ცოლყოფილს არ მიეღო—თბილისიდან სტუმრებს არ ვღებულობო, — მოეხსენებინა მოსამსახურის პირით. „შამათქვენმა თქვენი თავი მე მანდო, მაგრამ დედათქვენი წავიდა წინააღმდეგიო“ — უთხრა მან ჰოლა კატანიან-ლომთათიძეს 1957 წელს.

ორი საყურადღებო მოტივის გამო ჩვენ საჭიროდ ჩაითვალეთ ჰოლასა და ცილია გიდიმირსკაიას ურთიერთდამოკიდებულებაზე აქ რამდენადმე დაწვრილებით შევჩერებულიყავით. ჯერ ერთი, თუ კი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში არა ერთი ფურცელი ეთმობა ამ დედათა ღვაწლის ასახვას, რომელთაც თავიანთი მოწამებრივი ერთგულებით მეუღლეთა წარმატება განაპირობეს, არც საწინააღმდეგო მოვლენას უნდა ავუაროთ გვერდი — მით უმეტეს, რომ ამ მოვლენამ ხანმოკლე სიცოცხლის საუკეთესო წუთები წარსტაცა ნიჭიერ მგოსანს; მეორეც, საყვარელი მეუღლის ეს ღალატი, ოდნავ გარდაქმნილი მწერლის მდიდარი ფანტაზიით, ფართოდ აისახა ჰოლა ლომთათიძის მთელ შემდეგდროინდელ შემოქმედებაში. „თეთრ ღამეში“ ვკითხულობთ:

„ვასოს ცოლი მოვიდა ერთხელ ქმართან და უთხრა: მე ვიშოვე ოთახი აფიცრის ქუჩაზე, მე ის მოვრთე, რამდენადაც შემეძლო. იქ თბილა, მაგრამ შენ იქ არა ხარ და ამიტომ მგონია, რომ საშინაფლაოზე ვარ, მგონია სიცივით ვკვდები, არ გეცოდები, ვასო? როდის მოხვალ, შე უღმერთო, სახლში?

და ისეთი ალერსით, ისეთი სინაზით შეხედა ქმარს თვალებში, რომ აცახცახდა ვასოს მკერდში გული და შერცხვა იმას თავისი ფიქრების...

შერცხვა იმ უსახელო წერილის მიერ გამოწვეული ფიქრების, რომლებიც ხანდახან ებადებოდნენ თავში. და უთხრა ვასომ თავისთავს: „შეგრცხვეს, შენ მხეცო, განა შეიძლება, ასე ტყუოდეს ადამიანი! არ შეგრცხვება ახლა!.. გამოდგა რომ სტყუოდა ლიზა, სრულიადაც არ გრძნობდა თურმე მარტოობას და სევდას ახალ ბინაზე. გამოდგა, რომ სტყუოდა, ატყუებდა ქმარს. ქურდი! ქურდი!

....ერთ კვირა დღეს ვასოსთან მივიდა ცოლი და უთხრა მას: „აბა, ვასო, თუ მიხვდები, ხვალ რა დღეა, რა დღესასწაული!

ვასო ვერ მიხვდა.

— მოიგონე, ჩემო ვასო, ხვალ ხომ ჩემი დაბადების დღეა?

— ახ, მართლა, რა ოხერი მეხსიერება მაქვს...

— აი ამიტომ დღეს მე უნდა ზედმეტი გავკოცო, ხვალინდელი დღის სანაცვლოდ, ხვალ ხომ ვერ მოვილოცავ და არც მე მოვიშვებენ შენთან...

ასე იყო ეს. და შემდეგ გამოდგა, რომ, როცა ეს ქალი ასეთ რამეებს ამბობდა, ის უკვე სხვისი საყვარელი იყო, მთელი ეს ალერსი იყო სიცრუე და მეტი არაფერი.

სიმართლე არ შეიძლებოდა ეთქვათ კაცისთვის, რომელიც სატუსაღოში იჯდა. სიმართლე თუ არა, სიცრუე რა საჭირო იყო, ხომ შეიძლებოდა ზემოხსენებული კომედია სრულებით არ ეთამაშნა ვასოს ცოლს? ხომ შეიძლებოდა?...

და ამის გარდა მითხარით... ერთი მითხარით, ძმებო და მეგობრებო, რატომ გგონიათ, რომ სიცრუით უმჯობესია ადამიანის მოკვლა, ვიდრე სიმართლის თქმით? საიდან სადაო ასეთი შეხედულება. ჩემო ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ, რომელნიც გაიღიმებთ ჩემს სიტყვებზე, შეგიძლიათ მიპასუხოთ?“

(„თეთრი ღამე“).

თუ „ძე კაცისა“ პატიმრის ცოლის შემცდენელს, ამხანაგის მოღალატეს ვასოს სახელით იხსენიებს, „თეთრ ღამეში“ ჭოლა პირდაპირ გვაცნობს თავს ვასოდ, რომლის ცოლმაც „ღორობა“ ჩაიდინა, ხოლო მისი „ოჯახის ქურდი“ საკუთარი სახელით გვევლინება.

„...კამფეტები (ძმათა კრახმანილოვთა ნაწარმი. დ. რ.). ისე გაქრა, ვითარცა გაქრა ამხანაგი ვასოს ცოლი.

და დადის ამხანაგი ვასო კუთხიდან კუთხეში, დადის დილიდან საღამომდე და სწევს, სწევს თუთუნს. რამდენ თუთუნს სწევს ის! ისიც გაქურდეს, და გაქურდეს ის ამხანაგებმა — ცოლმა და მეგობარმა, ლაჩრულად, მდაბლად, ისე როგორც უნდა მოიქცეს ქურდი, მიეპარნენ ვასოსა და გაქურდეს იგი... და ამ ქურდობის შესახებ მე ყველას, ყველას ვუამბობ. ვასომ მე გამომიგზავნა ადგილობრივი მუშათა გაზეთის ნომერი — იქ არის სტატია იმ ყმაწვილის, რომელმაც ვასო გაქურდა. ის სწერს, რომ აღდგომა მოახლოვდა, რომ ჩვენში ჩვეულებაა — ბატკნებს ჰკლავენ სააღდგომოდ და სასურველია პაწია ბავშვებს არ აცქერინონ ამ სურათზე, რათა იმათ გული არ გაუქვავდეთ, სისხლს არ შეეჩვიონო. აი რა რბილი, რა კეთილი კაცია ჩვენი კ. (კატანიანი. დ. რ.), რომელმაც ვასოს ცოლთან ერთად ვანო გაქურდა“ („თეთრი ღამე“).

ამ „გაქურდვის“ შემდეგ ჭოლამ შეადგინა ფრიად ორიგინალური აზრი ქურდობისა და ქურდის შესახებ, მისცა რა ამ ქმედებას ორი მნიშვნელობა: ნივთიერი და სულიერი. პირველი სახის ქურდი, როგორც პროდუქტი მოუწესრიგებელი საზოგადოებისა, მასში მხოლოდ სიბრალულს იწვევს, ხოლო მეპარავი ადამიანთა სინდის-ნამუსისა, ე. ი. საგნისა, რომლის აღდგენა თუ უკან დაბრუნება არავითარ ძალას არ ძალუძს — ჰბადებს გააფთრებას, რომელსაც არა აქვს საზღვარ-ფარგალი.

პირველი სახის ქურდნი ჭოლამ შეამკო ეპითეტებით: „საწყალი“,

„უსაწყლესი“. — „ერთმა საწყალმა, უსაწყლესმა ქურდმა — მოგვითხრობს ის,—კინალამ ცრემლებით მატირა. ის შევხვედი ჩემს საკანში... ისარგებლა მარჯვე დროით და მოპარა კამფეტები ეს (კამფეტები. დ. რ.) ჩემთვის საბუთი იყო იმისა, რომ გარეთ ცოცხალი ადამიანები არსებობდნენ... ამიტომ ამ კამფეტების შეჭმა არ შეიძლებოდა... მაგრამ... მაგრამ ის, რომ მოვიდა ერთი საწყალზე უსაწყლესი ქურდი და ჩემი კამფეტები თითქოს არ ყოფილიყოს, ისე გაქრა“. („თეთრი ღამე“). ასევე სიბრალულით ასახა მან ცხოვრება ქურდი მაკროუსოვისა, რომელიც ფიქრობდა პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე, რასაც რამდენიმე დღე აკლდა, პატიოსანი შრომისათვის მოეკიდა ხელი, მაგრამ სიკვდილმა დაასწრო. (სატუსაღოში“).

ქურდთა ორიენტი დასს ქმნის არსებული კაპიტალისტური საზოგადოება, რომელსაც მთელი შესაძლებლობით ებრძვის მწერალი. „იცით თუ არა, რად მძულს ასე ღრმად, რად ვებრძვი არსებულ წესრიგს, არსებულ საზოგადოებას? არსებული საზოგადოება, მისი წესრიგი ჰბადებს და წვრთნის ქურდს... ქურდი! ქურდი! რა საშინელი რა დამამცირებელი სახელია ეს სახელი! ქურდი — ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია, ეს სიკვდილის განაჩენია იმ საზოგადოების, რომელიც ქურდს ჰბადებს.. და მე მძაგს ეს საზოგადოება, მე ვებრძვი მას და ბოლომდე ვებრძოლები — დიახ, ვიბრძოლებ ქურდების შემქმნელ საზოგადოებასთან, იმიტომ რომ მე ადამიანი მიყვარს“ („თეთრი ღამე“).

ქურდობა და ღორობა! — აი ორი ტერმინი, რომელიც გამონახა ჭოლამ ცოლისა და მეგობრის ღალატის არსის მხატვრულ სახეებში გადმოსაცემად, მათთვის საჯაროდ მძიმე ბრალდების წასაყენებლად.

— „მე ვამბობ, მე საჯაროდ ვაცხადებ — განაგრძობს ის — რომ ეს ღორობაა, ეს განუსაზღვრელი ღორობაა და ისევ ღორობა! ნუთუ ამას კიდევ მტკიცება სჭირია, ნუთუ ეს დღესავით ნათელი არ არის?

„მე არ მომასვენებს, მე არ დამაცალეს ჩემს სევდასთან, ჩემს მარტოობასთან ერთად ვყოფილიყავი და ეს იმიტომ, რომ ვასოს ცოლი უსვინდისო ქალია, დიახ, უსვინდისო ქალია, რომელიც ვჭოს უყვარდა და რომელიც, გამოდგა, ღალატობდა და ატყუებდა ქმარს, ამხანაგს. ყოველნაირი ღორობაა, თუ ამ ღორობას იდენს არა ნამდვილი ღორი, არამედ ღორზე უარესი ღორი—გაღორებული ადამიანი“. ვასოს ცოლის და მისი საყვარლის მიერ ჩადენილი „ღორობის“ გამართლება კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ატყუებდნენ ვასოს დროებით, სანამ ის სატუსაღოში იჯდა, რომ ტუსაღობა ერთიორად

მძიმე არ ყოფილიყო იმისათვის... აი ამიტომ ის ცრუობდა ტუსაღი ადამიანის წინაშე, ტყვე ადამიანის წინაშე. რომელიც მისი ქმარი იყო, ნუთუ ეს ღორობა არ არის"? (თეთრი ღამე").

ჰოლა თითქოს შეეცადა „გაემართლებინა" ცოლყოფილის მოქმედება". რა მოხდა, რომ ცოლმა ქმარს უღალატა? რა არის აქ არაჩვეულებრივი? რა სავალდებულო იყო, რომ ქალი, რომლისთვისაც. სიმართლე რომ ითქვას, მას არა მიუცია-რა, ზიარებოდა ასკეტურ ცხოვრებას? ხომ არ არის ბრალდებული ქმრის საქციელში ეგოიზმი. ბოროტება. გაუბედურებულის მიერ სხვისი ბედნიერების დაწრხელის სურვილი? მწერალი ჰყვება:

„წერილი, რომლითაც ვასოს ცოლის ღალატს ატყობინებდნენ, სიამოვნებით წაეკითხა პროკურორს, რასაც ის თავის ბეჭდით ადასტურებდა. სიამოვნებით წაეკითხა ციხის ადმინისტრაციას, რადგან თვითონ შინაარსი იყო წერილისა ისეთი, რომ იმას დიდი სიამოვნებით იკითხავდნენ გზაში და დიდი სიამოვნებით გადასცემდნენ ვასოს. ამ წერილში ვიღაც ოხუნჯი შეჰნატროდა სოციალ-დემოკრატებს და სხვა ასეთ პირებს, რომელთაც „მომავლის კლიტე" უპირავთ ხელში. სოციალ-დემოკრატები „ბედნიერი ხალხიაო, თუმცა იბრძვიან. მაგრამ გული საგულეს აქვთ. აბა, სატუსაღო იმათ როგორ შეაშინებთ. როცა ამხანაგები რჩებათ კარში, თანამოაზრენი და ხელის შემწყობნი. რომლებიც შიმშილით არ მოჰკლავენ არც იმათ. არც იმათ ცოლ-შვილა. იმათი ცოლები უქმრობას ვერც კი იგრძნობენ და რომ ღამ-ღამობით არ შეეშინდეთ იმათ მარტო დარჩენა, ღამესაც კი ათევენ იმათ ოთახში; როგორც, მაგალითად. ამას ჩადის ვასოს მეგობარი კ. (კატანიანი, დ. რ.). მეტსახელად, მფრთხალი კურდღელი. ლაჩარიო. ამბობენ იმის შესახებ ზოგიერთები. მაგრამ ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, რომ ბნელ ოთახში უმწეო ქალთან შეუძლია ღამე გაათიოს და არ შეეშინდეს..." (თეთრი ღამე").

ზემოთ მოყვანილი ციტატი ცხადყოფს, რომ ცოლის ღალატი ჰოლას ესახებოდა ღალატად მშობელი ქვეყნის გამათავისუფლებელი ბრძოლისადმი, ხელის შეწყობად თვითმპყრობელობისათვის, რომელიც მშრომელთა უკეთესი მერმისისათვის უდრეკ მებრძოლთა გატეხას ცდილობდა არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც. ამიტომ მიუთითებდა ის ნაცოლარზე ყველას, ამიტომ მიმართავდა ის მეციხოვნეს:

„ჰეი, მცველო, მეციხოვნევ, მეგობარო, აბა, აქ მო... ხედავ თუ არა იქ ზღვის პირას ორ არსებას — ქალსა და კაცს? ხომ ხედავ? გესმის თუ არა ის სამუდამო სიყვარულს ეფიცება იმ კაცს, ხომ გესმის? ის... ის მეც ასე მეუბნებოდა ერთ დროს, მეც აგრე მეუბ-

ნებოდა... წადი იმათთან, ჩემო მცველო, წადი იმასთან! ჩაუარე იმას გვერდში, გაუღიმე. მიესალმე... და უთხარი: ჩემო მშვენიერო, დაგავიწყდა. რომ ქვეყნად სატუსაღოები არსებობენ?... განა დაგავიწყდი მე, მეციხოვნე, ბებერი ქოფაკი? მაშინ რას იზამ, რომ შენი საყვარელი ასე ერთი ხუთი წლით სატუსაღოში დააბრძანონ? განა შეიძლება მუდმივ სიყვარულზე ლაპარაკი, სანამ ქვეყანაზე სატუსაღო და მე, ვარსებობთ? ხე! ხე! ხე! განა დაგავიწყდა შენი წინანდელი ფიცი? მცველო, მეგობარო, წადი, ასე უთხარი მას! მეციხოვნეე. ამისრულე ეს თხოვნა! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ ახლა — მე, ისე როგორც შენ, ბოროტი ვარ, ძმაო მეციხოვნე... პატივი ეც ბოროტ ტუსაღს. ბოროტო მცველო, აუსრულე თხოვნა". („თეთრი ღამე").

ამ თვალთახედვიდან გამოდიოდა ის, როდესაც ცოლყოფილს შესძახა: „წადი, მომშორდი... შენ, რომელიც ატყუებდი არა თუ ქმარს, არამედ ყველას, ყველას"... („თეთრი ღამე").

ამიტომ იყო იგი მართალი, როდესაც ცოლის პასუხზე — განა მე არ ვიტანჯები? ერთხელ ვცოცხლობთ ამქვეყნადო — აღელვებულმა წამოიძახა: „სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ ვცოცხლობთ ამ ქვეყნად, ღორობას უნდა ვერიდოთ... ხა! ხა! ხა! ერთხელ. მხოლოდ ერთხელ მოხვიდე ამ ქვეყნად და წაიღო უნდა თან ღორის სახელი! ფუ!" („თეთრი ღამე").

ცოლის ღალატის შემდეგ ჰოლას სენი გაუძლიერდა. თბილისის ინტელიგენციისა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ხშირად ნახულობდნენ მას ციხეში. პატიმრობის ვადაც იწურებოდა და დღე-დღეზე გათავისუფლებასაც ელოდნენ. მაგრამ. როგორც ყოველთვის, ახლაც გაუცრუვდა ჰოლას იმედები: გათავისუფლების ნაცვლად თავი ასტრახანში უკრძა.

გაგზავნის წინ ჰოლასთვის ი. იმედაშვილს უთხოვნია. დაეწერა ავტობიოგრაფია, — „შენც გინახავს რაღა ისტორიული პირი" — მიპასუხა მან და ჩვეულებრივად გადაიხარხარა". — მოგვითხრობს იგი. ქართული კულტურის მეცენატს ი. იმედაშვილს დავალება მიუცია ასტრახანაში გასაგზავნად გამზადებული ჰოლასთვის — ენახა ქართველ მეფეთა და ისტორიულ პირთა საფლავები და მოეწოდებინა ცნობები მისი ლექსიკონისათვის. ჰოლას პირნათლად შეუსრულებია ეს დავალება: 1914 წლის 25 ივნისით დათარიღებული წერილით იგი იტყობინება:

„ძმაო იოსებ! „თეატრსა და ცხოვრებას" ვღებულობ, მივიღე აგრეთვე ბესიკის ლექსთა კრებულიც. ყველა ამაების გამო დიდ მა-

დლობას გწირავ... ახლა ჩემი დაპირება უნდა შევასრულო: მე, მოვნახე აქ ჩვენი მეფეების საფლავი.

არსებობს ასტრახანში ძველი, დღეს გაუქმებული სიმაგრე. ევრეთწოდებული კრემლი. ამ სიმაგრის ეზოში დგას საკმაოდ ლამაზი, დიდი შენობა, ორსართულიანი სობორო. უკანა კარებით (რა თქმა უნდა, ქვემო სართულში) მარცხენა კედლის დასაწყისს კედელზე აწერია: „აქ ასაფლავია ქართველი მღვდელმთავარნი: არქიეპისკოპოსი იოსები+1 სექტ. 1850 წ. მიტროპოლიტი რომანოზი+30 იანვარი 1750 წ. მიტროპოლიტი ტომოთე+28 ივლისი 1764 წლ. წარწერა რუსულია... წარწერა კედელზეა. ხოლო იატაკზე არავითარი ნიშანი არ არის, რომ აქ ვისიმე საფლავი იყოს. გაივლი წინ. საკურთხევლისაკენ, საკურთხევლის წინ დგას ვეებერთელა ბოძი. ამ ბოძის მარცხნივ, თუ პირი საკურთხევლისაკენ გაქვს, აწერია რუსულად: «Здесь погребено тело грузинского царя Теймураза + 28 декабря 1861 г.»

ეს 1861 წ. რა თქმა უნდა. შეცდომა არის. საკურთხევლის წინ. მარჯვნივ დგას მეორე ასეთივე ბოძი და ამ ბოძის მარჯვენა მხარეზე არის მეორე წარწერა რუსულადვე: «Здесь погребено тело грузинского царя Вахтанга + 26 марта 1836 г. 88 лет».[87]

გარდა ამ წარწერებისა არაფრით არ ჩანს. რომ აქ საფლავებია. თუმცა ასეთივე ნიშნებით მხოლოდ გაიგებ, რომ ამ ტაძარში სხვაც ბევრი მარხია. განსაკუთრებით ადგილობრივი ეპისკოპოსები.

თუ რამეთ გამოგადგება ეს ცნობები შენი შრომისათვის — ფეშქაში. ამ ცნობების შეკრება დამიჯდა 10 შაური ვერცხლის ფული, მეკარეს კარი გავაღებინე. თან გავიყოლე და სხვ. ასე რომ თუ ვინმემ ჩემზე გითხრას სამშობლოსათვის მსხვერპლის გაღება არ შეეძლოო, ჩემი ათი შაური წამოსძახე და შეარცხვინე ასეთი უპირო. ხუმრობის გარეშე, — გისურვებ ჯანმრთელობას და კიდევ გმადლობ ჟურნალისათვის. „კლდისა“, „სახალხო ფურცლისა“ და კიდევ ქუთათურ „იმერეთის“ გარდა ყველა გაზეთს ვკითხულობ, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ. ნახვამდე.

შენი პოლა“.

---

[87] ცხადია. მცდარია როგორც პირველი, ისე მეორე თარიღიც (თეიმურაზ II გარდ. 1762 წ., ვახტანგ V კი — 1737 წელს. ჩანს მეორე თარიღში შეცდომა დაშვებულა რედაქციის მიერ).

ჩვენს მიერ თითქმის მთლიანად მოყვანილი ეს ბარათი ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, მიუხედავად განცდილი უბედურებისა, ჰოლას მეტეხის ციხიდან გაგზავნის შემდეგაც შეუნარჩუნებია ჩვეული ცოცხალი იუმორი, მჭიდრო კავშირი დედა-სამშობლოს ლიტერატურულ ცხოვრებასთან, ცხოველი ინტერესი საქართველოს მდიდარი ისტორიისადმი, რაც მას იმთავითვე ახასიათებდა.

ჰოლა დაჭილდოებული იყო ფართო განზოგადების ნიჭით, უნარით აეყვანა პირადული საზოგადოებრიობამდე და პირიქით, თავის ძნელბედობაზე დაყრდნობით გამოუმუშავდა ასტრახანში მყოფ პოეტს ფრიად ორიგინალური შეხედულება მოპირდაპირე სქესთა შეუღლების საკითხზე. წინააღმდეგ მარქსისტული მსოფლმხედველობისა, მან კატეგორიული ტონით დაასკვნა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუღლდნენ და ქართველი, თუ კი ერთგულია თავისი ეროვნული თვისებურებებისა, სხვა ეროვნების ქალს არ უნდა შეუუღლდეს. აი რას სწერს ის 1912 წ. ძველ მეგობარს აკიმ ჭოჩარიანს: „თავისუფალიც რომ ვიყვე, უცხო ეროვნების ქალს მაინც არ შევირთავდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია, მით უფრო, რომ ყოველივე ჩემი მშობლიური, ეროვნული ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემიძლიან... რას იზამ, ყოვლის უძლიერეს საკვირველებას წარმოადგენს გული, რომელსაც თავის შინაგან ყველაფრის მოქცევა შეუძლიან“[88].

ჰოლას ასტრახანიდან სამშობლოში დაბრუნების დიდი იმედი ჰქონდა. მართლაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს საქართველოში დაბრუნებისა.

საქართველოში ჩქარა გაუგიათ ეს სასიხარულო ამბავი (თუმცა არა ზუსტად) და პრესაშიც გამოუქვეყნებიათ[89]. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა: მეფის ნაცვალმა საჭიროდ სცნო არ მიეღო „თავის სამეუფოში“ ცნობილი რევოლუციონერი. პირიქით, მას მოუთხოვნია გადაეკარგათ იგი უფრო შორს. ნაცვლად კავკასიისა, ჰოლა სარატოვში გადაგზავნეს. „კავკასიაში დაბრუნების ნება მოპქცა მინისტრმა, — წერს ის ბიძას ილარიონს, — მაგრამ ჩემი იმედი არ გამართლდა. ნამესტნიკმა სამხედრო წესების მოხსნამდე

---

[88] იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 51.

[89] 1915 წ. 19 აპრილის „თეატრსა და ცხოვრებაში“ მოთავსებულია ჰოლას სურათი წარწერით. „ბიკენტი ლომთათიძე (ჰოლა), მეორე სათამბიროს დეპუტატად ნამყოფი, მეფის მოადგილემ ნება დართო კავკასიაში იცხოვროს“.

არ მომცა ნება კავკასიაში დავბრუნდე. ახლა კავკასიის მაგიერ სარატოვში ამოვყავი თავი.“

იმ დროს, როცა მეფის მთავრობამ შიში გამოსთქვა მწერლის კავკასიაში დაბრუნებაზე, ჭოლა ლომთათიძე ფიზიკურად იმდენად დაუძლურებული იყო, რომ ფეხზე დგომაც არ შეეძლო, ამიტომ სარატოვში ჩაყვანისთანავე იგი დავრდომილთა თავშესაფარში მოათავსეს.

„გეთაიმანიის მწვანით მოსილი ბაღის“ კარებზე მდგომი ჭოლა ხელიდან არ უშვებს კალამს, განუწყვეტლივ მუშაობს მხატვრულ ნაწარმოებებზე, წერილებით ესაუბრება ნაცნობ-მეგობრებს საქართველოში, იჩენს დიდ ინტერესს ქართული კულტურისადმი საზოგადოდ, კერძოდ — იატორიისადმი. მას ეჩვენება, რომ ქართველები გულგრილობას იჩენენ საკუთარი ქვეყნის წარსულისადმი.

„მოგეხსენებათ, — წერს ის სილ. თავართქილაძეს, — რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ჩვენგანი დაუტოვებდეს მომავალს თავის ნახულ-გაგონილ-ნაფიქრალ-გამონაცადს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას ისტორიისათვის: მით უმეტეს გაფაციცებით და გულმოდგინებით უნდა ვაგროვებდეთ ასეთებს და ვინახავდეთ... გვეყო ჩვენ, ქართველებს, რაც დაუდევარი ვიყავით, ჩვენ ხომ ნამდვილი ისა ვარ, ვისაც რუსები «Непомнящий родства-ს». ეძახიან. გვაქვს შენახული ბარათაშვილის, ორბელიანის, ჭავჭავაძეების, წერეთლების, ყაზბეგის, ნინოშვილის, ჭონქაძის, არდაზიანის და სხვების და სხვების წერილები, ხელნაწერები და ასეთები? სად არის ჩვენი მოძრაობის ისტორიული საბუთები, ფურცლები და სხვები? ერთი სიტყვით, დროა ასეთებზე ვიფიქროთ და ვიმუშაოთ, პირველხარისხოვანი საქმეა“[90].

რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატი დიდ მზრუნველობას იჩენდა სარატოვის დავრდომილთა თავშესაფარში ჩაკეტილი მომაკვდავი ქართველი მგოსნისადმი, უვლიდა და პატრონობდა მას. „ძლიერ მივლიან ეს დალოცვილი რუსი ამხანაგები, ისე მატანენ თვალს, რომ ამ წერილს გამთენიას ვწერ, მიეძინა იმას, ვინც წუხელის ღამეს მითევდა. აბა, დაწერის ნებას ვინ მომცემს,“[91]—წერს ის ბიძას 1915 წ. 22 აგვისტოს.

ჭოლა ლომთათიძის დაუდეგარი სიცოცხლის პატრუქი იფერფლებოდა, სამშობლოს მონატრებული პოეტის სული უკვე კუბოს სარქველზე ფარფატებდა. „ოცი დღეა მძიმე ავად ვარ, — წერს

[90] საქ. სსრ. ლიტ. მუზეუმი, საქმე № 195595-6.

[91] ლიტ. მუზეუმი, საქმე № 15.587-6.

ის ბიძაა. — სიცხე ორმოცამდე ადის. ვერავითარი წამლით ვერ შესძლეს სიცხის დაკლება. საქმე ალალბედზეა. გეიარს უველაფერი, ან და მშვიდობით".

სიკვდილის წინ ჰოლა არ ივიწყებს ჟურნალ-გაზეთებია გამომცემლებსაც. იგი კვლავ უკავშირდება ი. იმედაშვილს, რომელსაც ატყობინებს: „ძმაო იოსებ! თბილისის მაგიერ სარატოვში ამოვყავი თავი... ძლიერ ცუდადა ვარ, მაგრამ ეს ჩვეულებრივია, არა ახალი.."

ჭლექით მომაკვდავი პოეტი სიკვდილს ეგებება სალი გონებით, ურყევი რწმენით, რომ გაიმარჯვებს უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი კაცობრიობა. მიაღწევს დიად მიზანს — თავისუფლებას, სრულყოფას. „ვკვდები, მაგრამ ჩემში განმტკიცებული რწმენა და ტრფობა კაცისა, საქმისა და სიყვარულისადმი მარად იცოცხლებს!" — დაბეჯითებით ამბობს ის.

საპიკვდილო სარეკელზე მიჯაჭვული ჰოლა კი არ კვნესოდა, გრგვინავდა. ქუხდა. მოახლოებული წამი „უფლის წინაშე" წარდგომისა მისთვის სრულებითაც არ იყო მოულოდნელი. პირიქით, ერთი ათეული წლის წინ ესმოდა მას სიკვდილის ცივი ქშენა.

საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ თუ კი ვისმეს ამ ქვეყნად ცხოვრების ადრეულ წლებში კითხვა ყოფნა-არყოფნა დაუფლებია, ჰოლას ჭაბუკობის წლებიდან ამ რთული საკითხის მხოლოდ მეორე ნაწილი იპყრობდა. ყოფნა მისთვის კარგა ხანია მოხანილი იყო და მახვილივით ბასრი ენით მოძმეთ აცნობებდა „მალე მოვკვდები". მაგრამ იქვე უმატებდა: „სიკვდილი იგი არ იქნება დეკადენტური — ისეთი, როგორსაც სოლოგუბი და შნიცლერი გვიხატავენ. — არამედ მძლავრი... რეალური, რომლისაც არავის არ უნდა ეშინოდეს. რადგან სპეტაკი და მომხიბლავია".

სიკვდილი საპყრობილეში, სამშობლო ქვეყნისა და ნაცნობ-ნათესავებისაგან დაშორებით. სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო კანონების ბრჭყალებიდან „გათავისუფლება" პოეტის მგრძნობიარე სულმა წინასწარ განჭვრიტა ანდერძისებურ სილუეტში „სიკვდილი"[92].

„მეზიზღება სატუსაღოში სიკვდილი — ამბობს აქ პოეტი — და მგონია, რომ სწორედ აქ მოვკვდები. და თუ ეს გამართლდა, მე მაპატიეთ, ამხანაგო, მკვდარი მაინც დამმარხოს შენმა მოყვარულმა ხელმა! ჩემს „სიმწრის ოფლს" სიკვდილის წინეთ ვერ მომწმენდ შენ!

---

[92] „სიკვდილი" დაიბეჭდა 1910 წელს გაზეთ „საქმის" № 23-ში. ეს შესანიშნავი ნაწარმოები არ შესულა ჰოლა ღომთათიძის არც 1925 წ. გამოცემულ ორტომეულში და არც 1956 წელს გამოცემულ „თხზულებათა სრულ კრებულში".

ჩემს უკანასკნელ ამოოხვრას ვერ მიიღებ შენ! ჩემს თაფლის სანთელისფერ გამხმარ თითებს ვერ დაიჭერ შენ!

შენს მოყვარულ თვალებს, ცრემლით აღსავსეს, ვერ დამაშტერებ შენ!

შენ ვერ უყურებ ჩემს სიკვდილს... მე მკვდარი ვიქნები, როცა ქალაქის საავადმყოფოში მოხვალ შენ და მიხილავ მე უსულოსა და უგულოს, გულზედ მორჩილად დაწყობილი ხელებით...

მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია დამისაკუთრო შენ. არავისი გულგრილი ხელი არ მომაკარო, კანონი დაგანებებს შენ ამას და ამიტომ მე მსურს, ამხანაგო, შენ დამმარხო მე! შენ დამმარხე, შენ დამაყარე მიწა გულზე... ამისრულებ თუ არა ამ თხოვნას?... („სიკვდილი“).

და მაინც, გულის საძირკვლამდე აღშფოთებდა ორი რამ: სიკვდილი მყრალ ოფლში, სიკვდილი სამშობლოს გარეთ — უცხოეთში. სამშობლოსაკენ მოიწევდა მომაკვდავი პოეტის ცხოველი სული.

— „ცუდად ვარ, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ, — წერს ის უკანასკნელ ბარათში ბიძას, — და მჯერა, რომ სიკვდილამდე ერთხელ მაინც მოვეპყრები სამშობლო ქვეყნის ნახვას...“

ვერ მოესწრო. ეს იმედიც არ გაუმართლდა მიწყივ ბედკრულს.

1915 წლის 4 ნოემბერს. საღამოს 9 საათზე, ჭოლა ლომთათიძე გარდაიცვალა.

საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო მარტვილობაში ჭოლას სიკვდილის ამბავი.

„ნომერი უკვე დასაბეჭდად გამზადებული გვქონდა, ტელეგრაფმა საშუხარო ამბავი რომ გვაცნობა: გარდაიცვალა ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე[93], ასეთი განცხადებებით გამოვიდა 5 ნოემბერს შავ არშიაში ჩასმული ქართული გაზეთები.

ქართველმა ერმა მძიმედ განიცადა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებისათვის თავგანწირული მგოსნის სიკვდილი, სამართლიანად დაინახა მასში ერის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

„გავა დრო, — წერდა „თეატრი და ცხოვრება“, — გაიზრდება ქართველი დემოკრატია და მაშინ იცნობს თავის გაზაფხულის მერცხლებს ბრძოლის ველზე დაცემულებს და ხალხი მადლობით მოიხსენიებს თავისუფლებათა მოპოვებისათვის მებრძოლთ“.

ჭოლას გადმოსვენება სარატოვიდან საქართველომდე გადაიქცა ანტიმონარქიულ მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად. სარატოვის

---

[93] „თეატრი და ცხოვრება“, 1915., № 4.

სადგური გაიჭედა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. „აბა, რუსის საზოგადოებას სცოდნია მისთვის თავგანწირული ადამიანის პატივისცემა, ბატონო, ჩვენზე უკეთესი, — იგონებს ჰოლას დაი სიდო, — დართო თუ არა მთავრობამ ნება ჰოლას ცხედრის წამოსვენებისა საქართველოში. სარატოვი აივსო დელეგაციებითა და გვირგვინებით“[94]...

რუსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა სარატოვში მრავალი გვირგვინით შეამკეს დაცემული მებრძოლის კუბო. გვირგვინებს შორის იყო ერთი ჰოლას გულზე მდებარე გვირგვინი წარწერით: „ძვირფას მამას პატარა ჰოლიკოსაგან“[95].

9 ნოემბერს მოხერხდა გამოსვენება სარატოვიდან. 14 ნოემბერს ქაშვეთის ეკლესიაში დაასვენეს საყვარელ სამშობლოში მოსვენებული უბინაო შვილი.

როგორ შეაფასა ქართველმა ერმა ჰოლას ღვაწლი იმ დროს, როდესაც ბრძოლით დაქანცული ჯერ კიდევ ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა?

„სამშობლოში“ ვკითხულობთ:

„ხალხის სამსახური ზოგიერთ ქვეყანაში მაინც. თავისთავის განსაცდელში ჩაგდებით თავდება, ვისაც განსაცდელის და ტანჯვა-წამებისა ეშინია, ის ხალხს ვერც გაუწევს სამსახურს, სული ტკბილიაო. ნათქვამია, ამის გამო ხალხის ნამდვილ მოღვაწეებს ძლიერ ცოტასა ვხედავთ. თავიდანვე ამ „სულის სიტკბილეს“ რომ არ შეეშალა ხელი, ხალხის საქმე ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა და მის ერთგულ მოსამსახურეებსაც სულ სხვანაირ გაუმჯობესებულ პირობებში მოუხდებოდათ ხალხის სამსახური. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ასეც მოხდა, მაგრამ საუბედუროდ ჩვენს საერთო სამშობლოში ეს ასე არ არის და საქმეს, თითქმის ახლა ვიწყებთ, ამისათვის ჩვენ დიდი მსხვერპლის შეწირვა გვჭირდება. ჩვენი პატარა და ლამაზი საქართველო კაცობრიობის ბედნიერებისათვის მსხვერპლის შეწირვას არასოდეს არ ერიდებოდა და დღესაც იგი ამ გზას ადგია. ჰოლა ლომთათიძის უდროო გარდაცვალება ხალხის კეთილდღეობისათვის

---

[94] პოლიციის სპეციალურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ მუშებისა და სტუდენტების სელა საერობო საავადმყოფოსაკენ, სადაც ჰოლა ლომთათიძის გვამი ესვენა, მძლავრ დემონსტრაციაში გადაიზარდა. გვირგვინებზე გაკრულ წითელ ლენტებს პოლიციის მოთხოვნით თეთრი ლენტებით ცელდნენ, მაგრამ წარწერები მაინც წითელი ფერისა რჩებოდა.

[95] ჰოლას ცოლყოფილმა ჩამოიყვანა შვილი მოსკოვიდან სარატოვში და ბაქომდე მოაცილა ცხედარი, ბაქოდან კი, იმის შიშით, რომ თბილისში ჰოლას ნათესავები შვილს წაართმევდნენ, უკან დაბრუნდა, დასაფლავებას არ დასწრებია.

უტყუარი ნიშანია იმის, რომ საქართველოს თავისთავის დაცვა შეუძლია და ამისთვის მახვერპლის გაღებას არ ერიდება".

სრულიად სამართლიანად უწოდა ჭოლას „სამშობლომ" „განხორციელებული ტრფიალი მშრომელი ხალხისა"[98].

ჭოლა — ქართველი ერის უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი, ჭოლა — შემოქმედი, ჭოლა—ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ გულწრფელად და შეურყეველად მდგომი კარგად დახასიათა „თეატრმა და ცხოვრებამ" და „სამშობლომ".

„გლეხის ღარიბ კერამ წარმოშვა იგი, ცხოვრებამ უდედინაცვლა—გერად აღიარა, მაგრამ მან წარბი არ შეიხარა, ცხოვრების ტალღები გადალახა. გამათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მოექცა, ძილში მყოფთ მოუხმო და ძველ წყობილებას სასტიკი ომი გამოუცხადა.

სასტიკი ომი — ყველაფერს, რაც მაჯლაჯუნასავით დასწოლია ბედკრულ, ბეჩავ ხალხს.

დაჭრილ ირემს სისხლი სდიოდა. მაგრამ იგი არ დრკებოდა.

ან სიკვდილი, ან გამარჯვება, შერიგება-კი — არასოდეს! —

აი რა იყო მცნება მისი, ხალხის რჩეული შვილისა...

ასე მოქმედებენ მხოლოდ თავზე ხელაღებულნი, თანამედროვეთაგან „გიჟად" ცნობილნი.

ვინ იცის, ქრისტე რომ არ ეწამებინათ, კაცობრიობას არც კი ეხსომებოდა მისი რჯული...

მართალია, იგი (ჭ. ლომთათიძე. დ. რ.), ქრისტე არ იყო, არც დიდებული პიროვნება, მაგრამ თავისი რწმენის განმტკიცებას მანაც თავი შესწირა: მთელი შვიდი-რვა წელიწადი ეწამებოდა.

და ერთხელაც არ ამოუკვნესია — ვაიო!

ის ხომ ჩვენი გაძვალტყავებული ხალხის სისხლი სისხლთაგანი. ძვალი ძვალთაგანი იყო და მისთვისაც გაიწირა. ოჰ, რა დიდებულია ასეთი თავგანწირვა, ასეთი სიკვდილი! ვითომ ძლიეს იგი! არა ,მან სიკვდილითა თვისითა განამტკიცა ახალი ცხოვრების ბილიკი.

ნუ ვიფიქრებთ, ვითომც დღეს იგი ერთი რომელიმე დასის დანაკლისი იყოს, — არა! მისი მოწამებრივი სიკვდილი ჩვენი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთი მძიმე. თავბრუდამხვევი მოვლენათაგანია... და. მიმართულების განურჩევლად ყველას გულის მომწყვლელი... და ვისაც ჩვენი მწერლობა რამე უღირს, გამათავისუფლებელი მოძრაობა რამე ღირებულებად მიაჩნია, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას უმანკო რწმენით შეჰხარის... ბი-

[98] იხ. ჟურნალი „სამშობლო", 1915 წ., № 227.

კენტი (ჭოლა) ლომთათიძესაც მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს, როგორც ხალხის ერთ უბიწო ზვარაკთაგანს. და მოწიწებით მუხლს მოიყრის ამ ახალი ჯვრის **წამებული ადამიანის ცხედრის წინაშე**[97]. შენ კი, ჩემო სამშობლოს ბედკრულო მშრომელო ხალხო, ამ დანაკლისით ნუ კი დაეცემი. არამედ იამაყე და წელში გაიშალე, რომ ჯვთი სულით მაღალ შვილთა წარმოშობა შეგძლებია და ეცადე მის ნაკვალევს ბალახ-ბულახი, გვირილა-ჭიოტა არ მოერიოს".[98]

ჭოლას დაკრძალვა დაინიშნა 15 ნოემბრისათვის. გაზეთებმა სრული ცნობები შემოგვინახეს ამ დაკრძალვის შესახებ.

„დილიდანვე იწყო ხალხმა დენა ქაშვეთის ეკლესიისაკენ. — წერდა „სამშობლო", — დელეგაციები ჩამოვიდნენ ბათომიდან, გურიიდან, ქუთაისიდან, ბაქოდან და სხვ. იყვნენ თბილისის მუშების, სხვადასხვა სასწავლებლების, რედაქციების წარმომადგენელნი. თვით ეკლესია, ეკლესიის ეზო და მახლობელი ქუჩები ხალხით გაიჭედა. წირვა, პანაშვიდი და სიტყვები დასრულდა. მიცვალებული გამოასვენეს, პროცესიას მიუძღვოდა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე".

უზარმაზარი სამგლოვიარო პროცესია კუკიის სასაფლაოზე მიტანგად იქცა. აქ სიტყვები წარმოთქვეს გორის, ბათუმის, გურიის წარმომადგენლებმა, თბილისელ თანამგრძნობ მოსწავლეთა მინდობილობით ერთმა შეგირდმა და, აგრეთვე, რუსულ ენაზე ბ-მმა კუზნეცოვმა და აზატიანმა... გვირგვინები იყო: I, II, III, IV სახელმწი-

---

[97] იხ. „სამშობლო" № 227, 1915 წ. „თეატრი და ცხ.", 1915 წ. № 227.

[98] „თეატრი და ცხოვრება", №№ 46; 1915 წ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმდროინდელ პრესაში დაახლოებით სწორად იყო განსაზღვრული ჭოლა ლომთათიძის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში, შემდეგში კი პროფ. მოსე გოგებერიძე თითქმის მთლიანად იმეორებდა „თეატრი და ცხოვრების" აზრს, როცა სწერდა: „ქართველი მოპასანი გარდაიცვალა მეფის სატუსაღოში. რუსეთის დემოკრატიისათვის ჭოლა ლომთათიძე იყო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ჩვენთვის კი იგი, გარეშე ყოველივე ამისა, იყო ქართველი მწერალი... რუსეთის მთავრობა იძულებული იყო დემოკრატიული ძალებისათვის დაეთმო და ნება დაერთო სატუსაღოდან გამოტანილი კუბო აპოთეოზით ჩამოესვენებინათ სამშობლოში... მთელი საქართველოს თანხლებით აიტანეს ჭოლას ცხედარი კუკიის სასაფლაოზე... ამ ქვეყნად მწერლად და ენის ოსტატად გამოგზავნილი პარნასიდან, ჩვენი ცხოვრების თავისებურების გამო, მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკოსად და პროპაგანდისტად ქცეული, საქართველომ იგი საფლავზე მიიტანა, როგორც მწერალი და ხელოვნების მსახური. იგი ეროვნულ გმირად იქნა აღიარებული დასაფლავების დღეს..." (იხ. საქ. სსრ ლიტერატურული მუზეუმი, ი. მეგრელიძის მოგონება).

ფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან. მოსკოვის, პეტროგრადის, სარატოვის, როსტოვის, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის და სხვა მუშათა კორპორაციებისაგან, ბაქოს მოსამსახურეთაგან, ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების მკერვალთაგან[99]. არც ერთი სოციალისტის გასვენებაზე იმდენი გაბედული სიტყვა არ თქმულა, რამდენიც ჭოლას კუბოსთან ითქვაო, იგონებენ დამსწრენი. განსაკუთრებით აღელვებელი იყო პოეტ ნოე ჩხეიძის სიტყვა, ახალგაზრდა პოეტ სიო ხიდისთაველის ლექსი „ჭოლას ცხედართან“ და სხვ[100]. სამართლიანად აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ ჭოლა ლომთათიძის სიკვდილმა და დასაფლავებამ საგრძნობლად გააძაფრა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში. ქართველი მშრომელი ხალხი მჭიდროდ შემოკრბა მწერლის კუბოს გარშემო და უამრავ პროტესტებსა და სიტყვებში აშკარად გამოთქვა ზიზღი მთავრობისადმი, რომელმაც მისი ერთ-ერთი უნიჭიერესი მესიტყვე საპყრობილეში მოაშთო.

დასაფლავებისას გავრცელებულმა ხმამ, ქალაქში ვერ გაბედეს, თორემ კუკიის სასაფლაოზე პოლიცია სროლას ასტეხსო — ვერცერთი კაცი ვერ ჩამოაშორა პროცესიას. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მრისხანე საბრალმდებლო სიტყვების წარმომთქმელ ორატორთა თავისუფლად გაშვებამ აშკარად დაანახვა მებრძოლთ, რომ სისხლიანი იმპერიის დღეები დათვლილი იყო.

ნამუადლევის 3 ½ საათზე ჭოლა ლომთათიძის ცხედარი მიწას მიაბარეს. პოლიცია დასაფლავების შემდეგაც განაგრძობდა ყარაულობას ჭოლას საფლავთან და მიტინგის ბოწყობის შიშით დამფრთხალი, ერთდროულად მხოლოდ სამ კაცს უშვებდა იქ.

დაკრძალვის დღიდანვე თბილისში მასობრივად ვრცელდებოდა ჭოლა ლომთათიძის სურათები. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინიციატივით თბილისში შეიქმნა ჭოლა ლომთათიძის სახელობის ფონდი.

— „ქართველი მშრომელი ხალხი — წერდნენ თბილისელი ასოთაწყობები ჭოლას დაკრძალვისადმი მიძღვნილ წერილში — არ დაივიწყებს ჭოლა ლომთათიძის ბრინახულობას, მზე ამოვა და მის გაყინულ, მიტოვებულ საფლავს შარავანდედით შეამკობს“[101].

---

[99] იხ. „სამშობლო“, 1915 წ., № 227, „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წ., № 76.

[100] ჭოლა ლომთათიძის დამკრძალავ კომიტეტს სიო ხიდისთაველისათვის მიუბარებია ჭოლასადმი მიძღვნილი გვირგვინების ზედმინაწერები, რომელნიც ამ უკანასკნელის დაპატიმრებისას დაწვრილებით აუწერია ჟანდარმერიას და თან წაუღია (1916 წ.).

[101] „სამშობლო“, 1915 წ., № 223.

მუშათა ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა: ჭოლას დაკრძალვის ორი წლისთავზე ამოანათა თავისუფლების მზემ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ მოხერხდა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების შეცნობა-დაფასება. მისი თანადროულობა უძლური აღმოჩნდა დაენახა ძვირფასი ძარღვალიტები, რაც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში უპატრონოდ იფანტებოდა.

— „თუ გინდ დედა შეეგინებინა ვინმეს, ოღონდ რაღაც ეთქვა ჩემზეო“, — ნატრობდა ჭოლა. მისი თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა დამუნჯდა უცხო, სრულიად უჩვეულო შემოქმედებისადმი.

ჭოლას ოცნებას — მიეწოდებინა სამშობლოსათვის მისი ნაწარმოებები ერთად შეკრებილი და დაბეჭდილი — მხოლოდ ჩვენს დროში შეესხა ფრთა.

თავისუფლების შზე „გაყინულ-მიტოვებულ“ საფლავსაც დაადგა 1957 წელს ჭოლა ლომთათიძის ნეშტი კუკიის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. მარად უბინაო და მოუსვენარმა პოეტმა ბოლოსდაბოლოს სამშობლოსათვის ღვაწლმოსილთა გვერდით იპოვა ბინა — „საუკუნო განსასვენი ალაგი“.

ჭოლა ლომთათიძე — რევოლუციურ-დემოკრატიული სატლის მწერალი

ფრიად ღირსშესანიშნავ ეპოქაში მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ჭოლას. ეს იყო ეპოქა რევოლუციური მარქსიზმის გავრცელებისა საქართველოში.

მხატვრულ სახეებში ამსახველად რთული სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის სწრაფი აღმავლობის შედეგად შექმნილი ახალი სოციალური წინააღმდეგობების გამწვავებისა და ძველი, ფეოდალური წყობილებისათვის ნიშანდობლივ წინააღმდეგობათა ძალაში დარჩენის შედეგად აღმოჩნდა, ლიტერატურულ არენას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძალები მოევლინა (გ. წერეთელი, ეგ. ნინოშვილი, ან. ერისთავ-ხოშტარია, შიო არაგვისპირელი, ლალიონი და სხვ.).

კიდევ უფრო გაიზარდა მწერალთა რიცხვი, რომელთაც, თავიანთი ინტელექტისა და საზოგადოებრივი ყოფის შესატყვისად, სცადეს იმ სინამდვილის ასახვა, რაც საქართველოში 1905 წლის რევოლუციის მარცხის შედეგად შეიქმნა (ირ. ევდოშვილი, ნ. ჩხიკვაძე,

ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, დ. თურდოსპირელი, შ. დადიანი, ია ეკალაძე და სხ.).

ამ მწერალთა უმრავლესობამ მხატვრული ფორმისათვის ნაკლები ყურადღების დათმობით (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად), განაგრძო რა კლასიკური მწერლობის ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ტრადიციები, შექმნა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ძლავრი ნაკადი, ასახა ფართოდ გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა, გვიჩვენა მშრომელნი — არამარტო აკნესებულნი ეროვნულ-სოციალური ჩაგვრით, არამედ შემცნობნი თავიანთი ისტორიული მისიისა, გამსჭვალულნი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ფორმაციის დამხობის ურყევი რწმენით. ამ ეპოქის პროგრესულ მწერლობას იმდენად წარმართავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ტიტანებისა, ახლებურად ამეტყველებული პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ფონზე, რამდენადაც 900-იანი წლებისათვისაც რჩებოდა ძალაში კოლონიური ჩაგვრის სისტემა.

რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჭოლა ლომთათიძეს. ბევრ მის თანამედროვე მწერალთან ერთად, მან. მტკიცედ დაყრდნობილმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეთა მემკვიდრეობაზე, გამოიმუშავა სრულიად ორიგინალური სტილი, რითაც საკუთარი, უაღრესად თავისებური აღგილი დაიმკვიდრა მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში.

უდიდეს მსგავსებასთან შერწყმული დიდი განსხვავება ქმნის ნოყიერ ნიადაგს ორი საგნის, ორი მოვლენის შესადარებლად. ჭოლა ლომთათიძე თავისი მსოფლმხედველობით ყველა თანამედროვეზე მეტად უახლოვდებოდა „თერგდალეულთა“ კონცეფციებს, ხოლო გამოსახვის თავისებური ხერხებით ყველაზე ძლიერ სცილდებოდა მათ სტილს.

ქართულ პატრიოტულ ლიტერატურაზე აღზრდილი ახალგაზრდა ჭოლა, ხიდისთავის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ხარბად დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას, რევოლუციური ბრძოლის გზით მშრომელთა გათავისუფლების მაუწყებელ ფილოსოფიურ სისტემას. იგი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც სიამის ცრემლით დანამული თვალებით ფიჩხის სინათლეზე უკითხავთ დიდის გაჭირვებით ხელში ჩაგდებული ცალკეული ფურცლები კარლ მარქსის

„კაპიტალი“, ბევრი „თეთრი ღაწე“ შეუწირავთ ამ ფურცელთა გადაწერისათვის.

ამ პირველ შთაბეჭდილებათა პათოსით დაიწყო მწერლობა ჭოლამ და, ნანატრი თავისუფლების ნაცვლად ბორკილებში ჩაჰედვის მიუხედავად, ბოლომდე ემსახურა მშრომელთა გათავისუფლების საქმეს.

ქრონოლოგიურად ორ პერიოდად ყოფენ ჭოლას შემოქმედებას: პირველ პერიოდად მიიჩნევენ 1901—1904 წლებს, მეორედ — 1907 — 15 წლებს, და ამტკიცებენ, რომ „ადრინდელი ხანის დამახასიათებელია სოციალური საკითხი, მეორე პერიოდისათვის კი უმთავრესი თემა მისი შემოქმედებისა არის მეფის საპყრობილის ცხოვრების სურათები“[102].

ეს დაყოფა ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად ვერც ქრონოლოგიური და ვერც თემატიკური თვალსაზრისით. ჭოლა ლომთათიძის სამწერლო დებიუტად უნდა მივიჩნიოთ 1898 წელი, რადგან „კვალში“ მოთავსებული მისი ნაწარმოები სოფელ ხიდისთავის — შესახებ[103] სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებია. შექმნილი ჭოლას ადრეულ ნაწარმოებთათვის ნიშანდობლივი წერის მანერით და წარმოადგენს იმ ჩვენამდე მოუღწეველი შემოქმედებითი შრომის გაგრძელებას, რომელიც ხიდისთავში წარმოებდა.

ხელოვნურად გამოიყურება ჭოლას შემოქმედების თემატიკური დაყოფაც. ჯერ ერთი, ეროვნული და სოციალური მოტივი ის განუყოფელი ნიშანსვეტია, რომელსაც არ დასცილებია მწერალი კალმის ხელში აღებიდან სიკვდილამდე, თავისუფლების თუ პატიმრობის დროს შექმნილ არც ერთ ნაწარმოებში. ამასთან, მეფის სატუსაღოში ცოცხლად დამარხულ ადამიანთა ბედს იგი ასახავდა 1904 წლამდე შექმნილ ნაწარმოებებშიც („სიცრუე“), ისე როგორც თავისუფლებისთვის ბრძოლის მადლით დამტკბარ რევოლუციონერთა და მეფის ერთგულ „ჯკუიანთა“. „ქმაყოფილთა“ არა ერთ დასამახსოვრებელ სახეს ქმნიდა საპყრობილეში ჩაკეტილი. მეორეც, წარმოუდგენელია სოციალური საკითხის დაუნახავობა „საპყრობილის ცხოვრების სურათებში“ („სახრჩობელას წინაშე“, „პირველი მაისი“, „ივანე გარგანელი“, „უბის წიგნიდან“, „უსათაურო“, „საპყრობილეში“ და სხვ.).

რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის მკვრივი ჯაჭვის ერ-

---

[102] ს. ჭ ი ლ ა ი ა, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა. 1956 წ., გვ. 267.
[103] „კვალი“, 1898 წ., № 30.

თი მთლიანი რგოლია ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება, გამსჭვალული ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსით, და მისი პერიოდებად დაყოფა მხოლოდ იმ მოტივით თუ მოხერხდება, რომ იყო წყვეტილი 1905 წლის რევოლუციის დაწყებიდან დამთავრებამდე — მწერლის პრაქტიკულ ბრძოლაში მონაწილეობის გამო. სხვა გამართლება მას არა აქვს.

1901 წელს ჭოლა ლომთათიძე „კვალის" ფურცლებზე გამოდის თეორიული წერილით მებრძოლი პროლეტარიატის რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის არსის შესახებ, უპირისპირდება კიტა აბაშიძის შეხედულებებს, როგორც მწერალი და მოაზროვნე, წარმომადგენელი გათვითცნობიერების გზაზე შემდგარი ხალხისა.

რადგან ამ უაღრესად საინტერესო დოკუმენტის შესახებ ლიტერატურული კრიტიკა დღემდე დუმს. მოგვყავს ის მთლიანად:

„არიან ისეთი ჯურის მწერლები, რომლებსაც ან არ შეუძლიათ რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის დანახვა, ან-და, თუ დაინახეს — ახსნას მაინც თავის დღეში ვერ მოახერხებენ, რაღაც უნდა სთქვან, ხოლო ეს „რაღაც" ავი იქნება თუ კარგი, სისულელე თუ სიჭკვიანე — იმათთვის სულერთია. ამასთანავე მათ ერთი ახირებული ზნე ჰირთ: ჩაგციებიან, მაინცდამაინც ჩემი რწმენით იხელმძღვანელეთო, ჩემი შეხედულება შეითვისეთ, მომისმინეთო! აი ამ ჯურის მწერლებს ეკუთვნის ჩვენი ქება-ძაგების კრიტიკოსი თავ. კიტა აბაშიძე. ის თურმე დარწმუნებულა. რომ ჩვენი ლიტერატურა გათახსირდა, რომ მწერლები აღარ გვყავს, რომ მკითხველი საზოგადოება ან მოისპო, ან-და უცხო ენაზე კითხულობს. ჰეშმარიტი მწერალი სალიტერატურო ასპარეზს შორდება და მის ალაგს ყოვლად უნიჭო და უვიცი იქერს, ასე რომ, თუ კიტა აბაშიძეს ვერწმუნეთ, ახლო მომავალში საოცარ ამბებს უნდა მოველოდეთ. ასეთივე შეხედულების ყოფილა ჩვენს ლიტერატურაზე ბ-ნი ი. ფანცხავა, რომელსაც კიტა დაპკითხებია: რა აზრის ხარ ჩვენი ლიტერატურის გასული საუკუნის ისტორიაზე და მის მოსალოდნელ და სასურველ მომავალზეო. მხოლოდ ერთ რამეში ვერ ეთანხმება ბ. ფანცხავა კიტას. მას, როგორც კიტა აბაშიძეს, თუმცა აწმყო გულს უკლავს და საიმედოს ვერაფერს აძლევს, მაგრამ მომავალი მაინც წამს; კიტა აბაშიძეს კი მომავალიც ვერ ანუგეშებს და გულდაწყვეტილი შესჩივის ბ. ფანცხავას: „ღმერთმა ხეირი მოგცეს და იმედები გაგიმართლოს, მაგრამ თქვენგან აღნიშნული მიზეზები ჩვენი ლიტერატურის დაქვეითებისა არა თუ არ კლებულობს, იზრდება და მატულობს". ფანცხავას აზრით, ჩვენი ლიტერატურის დაცემის მიზეზი ორნაირია:

გარეშე და შინაური. გარეშე ის არის, რომ ჩვენს მწერლობას საგანი შეუმცირდა და მას უცხოური მწერლობა მეტოქეობას უწევს; შინაური-კი ის არის, რომ ჩვენი შეუძლებლობის გამო ქართველობის უმეტესმა ნაწილმა გული აიცრუა ჩვენს მწერლობაზე, რადგანაც უმრავლესობას თუთიყუშობა უფრო ეადვილება, ვიდრე დამოუკიდებელი აზრის და გემოს ქონება. ამის მიზეზია (თუ შედეგი?), რომ ჩვენს მწერლობას თითქმის აღარ ჰყავს ინტელიგენტი მკითხველი. ეს გარემოება კი მწერალს გულს უცრუებს გულმოდგინედ მოეპყრას თავის საგანს (დაიცათ, მწერლებო, მალე, სულ მალე ჩვენ გაევროპიელდებით და მერმე სწერეთ, მანამდე კი იძინეთ!). ამას-კი ის მოჰყვა, — ვგანაგრძობს ბ. ფანცხავა, — რომ ახლა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე თარეშობენ სრულიად უვიცნი ყველაფერში: **მათ არც ქართული ენა იციან**, არც სწავლა-ცოდნა მოეპოვებათ, ეს გარემოება კი ნამდვილ ნიჭიერსა და მცოდნეს აიძულებს გვერდი აუაროს (ყოჩაღ! ყოჩაღ!) ჩვენს მწერლობას და სხვა რაშიმე ეძებოს მყუდროება „აღშფოთებული სულისა“[104].

აბა, ამაზე მეტი უბედურება იქნება? უნიჭოები ნიჭიერებს სჯობიან, უცოდინარნი მცოდნეთ სდევნიან ლიტერატურიდან, აღარ გვყავს არც მკითხველი, არც მწერლები, ერთი სიტყვით, მეორედ მოსვლა ახლოვდება, მეორედ მოსვლა! ახლა ვიკითხოთ — ყველა ეს, რასაც კიტა აბაშიძე და ი. ფანცხავა მოგვითხრობენ, მართლა ხდება თუ არა? არა, ეს კი არ მომხდარა, მოხდა მხოლოდ ის, რაც უნდა მომხდარიყო. და რისგანაც მათ ასეთი უკუღმართი დასკვნა გამოიყვანეს, დღემდის ჩვენს ლიტერატურას არისტოკრატიის ინტელიგენტი ნაწილი ჰფლობდა, მკითხველიც იგივე არისტოკრატია იყო, — მაშასადამე, იმათ ერთმანეთის ესმოდათ და ამის გამო მკითხველსა და მწერალს შორის სრული თანხმობა იყო. მწერლობის სიმძიმის ცენტრი ამ არისტოკრატიას ეცემოდა. მაგრამ დრო შეიცვალა, ცენტრი ხალხისაკენ გადაიწია და იმის შუაგულში მოიკალათა, სწავლა-განათლება ინტელიგენტ არისტოკრატიიდან ხალხში, დემოკრატიაში გადავიდა, ამან მოსპო არისტოკრატ-ინტელიგენტთა ლიტერატურული მონოპოლია. სხვადასხვა საზოგადო საქმეებში არისტოკრატიზმს და ლიბერალიზმს გვერდში ამოუდგა ძლიერი მეტოქე — დემოკრატიზმი, დღემდის მკითხველ საზოგადოებას ინტელიგენცია-არისტოკრატია წარმოადგენდა, დღეს კი მკითხველი თვით ხალხში დაიბადა, ხალხმა გაღვიძება იწყო, სრულწლოვანების

---

[104] ავტორს მხედველობაში აქვს „ცნ. ფურც“. 1901 წ. № 1389-ში გამოქვეყნებული წერილები ზემოხსენებული ავტორებისა.

კარს მიადგა და „ოპეკუნის“ მოქმედებასაც კრიტიკულად შეხედა, აქამდე თუ მას, რაც თვითონ სურდათ იმას მიაწოდებდნენ, ახლა იგი რაც სურს, იმის მიწოდებას თხოულობს და, რაკი ამას არ უსრულებენ, ის, რასაკვირველია, გვერდს უვლის თავის „პირისუფალს“ და სხვაგან ეძებს ხსნას. რაკი ხალხი ამ მიმართულებას დაადგა, ცხადია, არისტოკრატული ინტელიგენცია უნიადაგო დარჩა, მას აღარაფერს ეკითხებიან. მის სურვილებს გვერდს უვლიან და თავის საკუთარი გზით მიდიან... რაღა დარჩა ამ ინტელიგენციას? რა-და, ერთადერთი მოთქმა-გოდება. გაუვალი პესიმიზმი. გლოვა, ზარი და სხვ. და სხვა რაც კი მიცვალებულის დასაფლავებამდე საჭიროა.

ამ გლოვის საუკეთესო წარმომადგენელია ჩვენს ლიტ-ში ბ. კიტა აბაშიძე და დანარჩენები იმას „ტონს“ აძლევენ. ისინი იმიტომ კი არ სტირიან, რომ ლიტერატურა თითქოს დაქვეითებულიყოს, არამედ იმიტომ, რომ ლიტერატურამ მათი იდეალები უარჰყო და ახალი წამოაყენა და, რომ ქვეყანას თვალი აუხვიონ, თავიანთ სატირალს საერთო ხასიათს აძლევენ და გაიძახიან: „გვიშველეთ, ვღუპებითო!“ „ოპეკუნი“ ყოველთვის გვარწმუნებს, რომ მისი საოპეკუნო ძალიან უყვარს, თუმცა სულით და გულით მოწადინებულია, რომ თავის დღეში არ დაწლოვანდეს, ვინაიდან სრულწლოვან ობოლსა და „ოპეკუნს“ შუა უთანხმოება ჩნდება. ეს ასეა ოჯახსა და ცხოვრებაში, ასევე ხდება ლიტერატურაშიც და თუ ეს კიტა აბაშიძეს და კომპ. ქვეყნის დაქცევად მიაჩნიათ,—მათი ნებაა, იტირონ, რამდენიც სურთ! «У всякого свое горе», ხოლო ჩვენ კი უბრალო მკითხველთ, სასიხარულოს გარდა, სამწუხარო არაფერი გვაქვს ამ შემთხვევაში“[105].

წერილს ხელს აწერენ: გ. შავდია, გივი ქავთარაძე, ბ. ლომთათიძე და დაბ. რუხაძე.

მოცემულ ისტორიულ ასპექტში ამ წერილის გადაჭარბებით შეფასება ძნელია. მართალია, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში საგრძნობ ძალად მოჩანს ინტელიგენცია, რომელიც თავის ბედს მუშათა კლასის გათავისუფლების საქმეს უკავშირებს, მაღლა აჰყავს „მესამოციანელთა“ ესთეტიკური შეხედულებანი და, ნაცვლად საზოგადოდ ხალხის სამსახურისა, რასაც „თერგდალეულები“ აკისრებდნენ ლიტერატურას, ამ უკანასკნელისაგან მოითხოვს ჩაგრული მშრომელი ხალხის სამსახურს. ეს იდეა მკვეთრად აისახა ირ. ევდოშვილის „მუზა და მუშაში“, მაგრამ ისიც სწორია, რომ ამ უკანასკნელს 4 წლით წინაუსწრო პოლა ლომთათიძემ — ზოგადად მოხაზა რა

---

[105] ჟურნალი „კვალი“, 1901 წელი, № 14, გვ. 230.

კონტურები ტენდენციური ლიტერატურისა, რომელიც მებრძოლ დემოსს „არისტოკრატ-ინტელიგენტთა“ საპირისპიროდ უნდა შეექმნა.

ცხადია, ეს ფაქტი ამაგრებს ირ. ევდოშვილის „მუზა და მუშის“ საყრდენ საფუძვლებს და სრულებითაც არ ამცირებს მას. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ჭოლა ლომთათიძემ უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი მხატვრული ლიტერატურის არსის შესახებ. მისი აზრით, მებრძოლ მშრომელთა ლიტერატურამ უნდა შექმნას „ცოცხალი სიტყვა, კმაყოფილთა მოსისხლე მტერი“, „ჭკვიანთა და ბედნიერთა“ შემმუსვრელი. ამ შეხედულებათა წინათქმას წარმოადგენდა აბაშიძე-ფანცხავას წინააღმდეგ მიმართული ზემოთ ხსენებული წერილი, რომელსაც სრულიადაც ვერ ბღალავს ოდნავი ნიჰილიზმი, დამახასიათებელი ამ ეპოქისათვის.

როგორ შესძლო ჭოლა ლომთათიძემ პრაქტიკული განხორციელება მის მიერ აღიარებული თეორიისა?

მდიდარ საღებავთა მფლობელი შემოქმედი ხშირად იწვევს აზრთა სხვაობას, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არცერთი მწერლისთვის არ შეუხედავთ ისეთი ელამი თვალით, როგორითაც ჭოლას შეხედეს.

ითვალისწინებდა რა თანამედროვეთა მიერ ლირიკული პროზის გაგების სირთულეს, ჭოლა წერდა: „ვთხოვ მკითხველს ერთნაირი ავტობიოგრაფიული ხასიათი არ მისცეს ყველა ქვემორე აღწერილს“[106].

ეს თხოვნა არვინ იღო ყურად. ლიტერატურულმა კრიტიკამ უარყო მწერლის მიერ ობიექტური სინამდვილის რეალისტურად ასახვის ჯიუტი ფაქტი და „საკუთარი სულის“ მხატვრად გამოაცხადა იგი.

ს. დევდარიანი, ჭოლას ერთ-ერთი პირველ კრიტიკოსთაგანი, წერდა: „ავტობიოგრაფიულია თავიდან ბოლომდე ჭოლა. მისი „მე“ შედის ყოველ სტრიქონში, როგორც, ქრისტიანული რწმენით, იესო ქრისტე ყოველ ზიარებაში მთელი სისხლით და ხორცით“[107].

დაახლოებით იგივე ჰქონდა მხედველობაში ი. მანწკავას, როცა ამბობდა: „იგი (ჭოლა. დ. რ.) მთვარეულივით შორდება ურდულით დარკინულ საპყრობილის კარებს და მიჰყვება ფიქრს, ფიქრს აზღვავებულს, და ასე სწერს საკუთარი სულის მისტერიებს“[108].

---

[106] ჭ ო ლ ა ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მოთხრ., ტ. II, 1952.

[107] ჭ ო ლ ა ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მოთხრ., ტ. II, 1925.

[108] ის. მ ა ნ წ კ ა ვ ა, ჭოლა ლომთათიძე, გამომცემლობა „განათლება“, 1925.

ეს შეხედულებანი თითქმის უკრიტიკოდ გაიზიარეს თანამედროვე მკვლევარებმა. „ჰოლას თავის მოთხრობებში—ამბობს პროფ. შალვა რადიანი — გამოჰყავს სხვადასხვა მოქმედი პირი, მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო მხატვრული ხერხია, ძირითადად კი მას ერთი მთავარი მოქმედი პირი ჰყავს მთელ თავის შემოქმედებაში. ეს მოქმედი პირი თვითონ არის. ჰოლას შემოქმედებისათვის შეიძლებოდა გეეწოდებინა დღიური, რომელიც წლიდან წლამდე იწერებოდა და ივსებოდა იმით, რაც აღელვებდა, რაც უშუალოდ ეხებოდა მწერალს“[109].

დოც. სერ. ჭილაია მართებულად აღიარებს, რომ ჰოლას მოთხრობების გმირები „მეტნაკლებად ან რევოლუციონერები არიან, თანმიმდევარნი, ერთგულნი თავიანთი საქმისა, ან სევდით შეპყრობილი ინტელიგენტები“. და დაასკვნის: „თვითონ ჰოლა იყო თავისებურად გაორებული და ამიტომაც ასე სხვადასხვანაირად დახატა თავისი ავტოპორტრეტი სხვადასხვა გმირების სახით“[110].

რა თქმა უნდა, ჰოლას „თხოვნაში“ ნახმარი სიტყვა („ყველა“) ეპვმიუტანლად ადასტურებს, რომ იგი არცთუ იშვიათად ეყრდნობა ავტობიოგრაფიულ მასალებს, მაგრამ აქცენტი „მე“-ზე. რაც ლირიკული პროზის დამახასიათებელია საერთოდ, არ გვაძლევს უფლებას ავტობიოგრაფიულად მივიჩნიოთ მწერლის ყოველი ნაწარმოები, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იქ დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა სოციალური ფენის და კლასის ტიპიური განსახებანი, გმირები, რომელნიც არაფრით არ ემსგავსებიან ავტორს (კოლია დროზდოვი და ქერქაძე, ჯამულეთი და ჯიბილო, ლიზა, ხვარამზე და სხვ. მრავალი). უკრიტიკოდ რომ მივიჩნიოთ ავტორად „მე“ (ჯეირან ვარდოსანიძე, ილიკო იაშვილი, ხასანა, მცირეშვილი), არ მოხერხდება ავტორადვე დავსახოთ „ისინიც“ — ამ „მესთან“ დაპირისპირებული გმირები. ჯერ ერთი, რევოლუციის ბოლომდე ერთგულ ჯეირან ვარდოსანიძის, მოწუწუნე კოლია დროზდოვის, იდეალური ქართველი ქალის ხვარამზეს, ფუქსავატი ლოლა დაიძის, შეუპოვარი მებრძოლი სანადირაძის, სოფლის წურბელა ჯამულეთისა და ჯიბილოს მოთავსება ერთ „მე“-ში ყოველგვარი მოსაზრების ფარგლებს

---

[109] რ ა დ ი ა ნ ი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, 1951 , გვ. 343.

[110] ჭ ი ლ ა ი ა, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, 1956, გვ. 276-277. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოსაზრება ჰოლას ნაწარმოებებში სხვადასხვა კლასებისა და ფენების ტიპიურ განსახებათა არ არსებობის შესახებ კატეგორიულად უარჰყო მხოლოდ ერთმა კრიტიკოსმა — ვარ. ხუროძემ (იხ. „საქართველოს განათლების მუშაკი“, № 4, 1924 წ.).

სცილდება. მეორეც. მწერლის მიერ თითქმის ყოველ ნაწარმოებში გამოყენებული მხატვრული ხერხი — კონტრასტი, ანტაგონისტურად განწყობილ ძალთა მკვეთრი შეპირისპირებანი აშკარად მიგვითითებენ ჭოლას მოთხრობებში სხვადასხვა კლასების და ფენების ტიპიურ სახეთა არსებობაზე. ჭოლა ლომთათიძე კონტრასტს ხედავს ყველგან და ყველაფერში — ბუნების უმარტივესი მოვლენიდან თვით ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობამდე. ღვთისა და კაცის მორჩილ დავითს იგი უპირისპირებს გაბედულ და შეუპოვარ მუშას, გაბატონებული კლასების წინაშე ქედდრეკაში აღზრდილ ინტელიგენტს, რევოლუციურად განწყობილ მოწაფეს („დავითი“), არსებული უკუღმართობით აკვნესებულ ვანოს, გებრძოლი სულის სანდროს („მატლი“), გაპირუტყვებულ ჯამულეთს, ზემგრძნობიერ პატრიოტს („დასაფლავება“), სიბნელის ღმერთს, სინათლის ღმერთს („აქრე სინათლე, აქრე...“), მშრომელთა ხსნისათვის ჯოლგოთაზე მიმავალ ნაზარეველს, ფარისეველთა და სადუკეველთ და ასე ბოლომდის.

და ბოლოს, ჭოლა ლომთათიძის მოთხრობაში გვხვდება სალი ოცნებით შექმნილი ისეთი გმირიც, რომელიც მომავალ თავისუფალ საზოგადოებას ეკუთვნის და თავისი ფსიქო-იდეოლოგიით მწერლის „მე“-ს დიამეტრულად უპირისპირდება, ამ „მე“-ზე მთელი ეპოქით ამაღლებას გვამცნობს.

რომ მწერლის „მე“-ში მოქცეული გმირები არა მარტო თავიანთ შინაგან სამყაროს ასახავენ, არამედ გარე ობიექტურ გარემოს განასახიერებენ და ტიპებს წარმოადგენენ, ამაზე აშკარად მიგვითითებს მწერლის შემდეგი თქმაც: „განა მარტო მე ვიწვი ამ ტაფაში, განა ჩემს გარშემო იგივე არ ხდება? მაშ, რაღა არის ეს ქალაქი თავისი უამრავი სიმდიდრითა და შვებით ერთი მხრით და აუტანელი სიღარიბითა და წვალებით მეორე მხრით? განა ეს მეორე მხარე ქალაქისა გამრავლებული მე არა ვარ? განა ეყოლება კი იმდენი მეგობარი ვისმეს, რამდენიც მე მყავს ამ ყოფაში?“ („მატლი“).

ამგვარად, ჭოლა ლომთათიძის ლირიკულ პროზაში მკვეთრი ასახვა ჰპოვა გარე ობიექტურმა სამყარომ, მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში არსებულ კლასთა და ფენათა ტიპებმა.

რას წარმოადგენს ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებებში ასახული ობიექტური სამყარო?

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ჭოლა ლომთათიძე ერთხმად გამოაცხადა მხოლოდ მეფის სატუსაღოს ცხოვრების ამსახველ

ძწერლად და უგულვებელჰყო მისი ძირითადი თემაც კი — ქართველი ერის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა[111].

გადავავლოთ თვალი ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებას. რა არ გადაიშლება აქ ჩვენს თვალწინ. მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელქვეშ გათანგული სოფელი და ქალაქი, შემმართებელი ტალღისა და ღელვის მოძულე ობივატელები და არსებული ყოფის შეცნობით აკვნესებული, ჯერ კიდევ ბრძოლის გზის უმეცარი ინტელიგენტები; ჩახმახშემართული თოფებით ბრძოლის ველზე მდგარი მუშები, გლეხები და ჯალათი მეფის გაწვრთნილი ერთგული ჯარები; „მოთმინების", „დაჭკვიანების" მქადაგებელი ტახტის ერთგულნი და გოლგოთისაკენ წარბშეუხრელად მიმავალი რევოლუციონერები; ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩადუღაბებულ ფუძეზე მდგარი სოციალ-დემოკრატები და კოსმოპოლიტი მახინჯები, რეაქციონერები, ანარქისტები, მკვლელები, ქორ-ვაჭრები, ბურჟუაზიული თბილისისა და პეტერბურგის ჭუჭები დამახასიათებელი „სიშიშვლითა და ავხორცობით"; თითქოს კინო აფსკზე აღბეჭდილნი გაირბენენ მკითხველის თვალწინ სხვადასხვა კლასთა და ფენათა ტიპები: ბებერი გენერალი, აკანკალებული რომ კითხულობს რევოლუციონერისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს; პროკურორი, სიკვდილმისჯილი მებრძოლის ნაცვლად რომ ძრწის; ციხის უფროსი, იას რომ სრესს საკნის კუთხეში, რათა მცირედი სიამეც წაჰგვაროს ტუსაღს; მაბეზღარა ზედამხედველები გადინი და სუკინი, წუნკალი ძაღლის ერთგულებას რომ იჩენენ პატრონის წინაშე; ავარიელი გენერლის ცეცხლწამკიდებელი ჯარების მიერ გადაბუგული სოფლები და ქალაქები; მტკიცე მებრძოლი ივ. სანადირაძე და მამასახლის თუაძის გაწვრთნილი გველაძუა გლეხი, საჯაროდ რომ კოცნის ტუჩებში სოფლის წურბელას; რევოლუციის წმინდა საქმისათვის წამებული გმირი ქართველი ქალები და ტუსაღ მებრძოლთა სიყვარულის ერთ ყუთ ტკბილეულში გამცვლელი მეძავები; ქართლელი „ტარშინა"—გულადი გლეხთან და ოთხადმოკაკვული „კნიაზის" წინ; ბორჯომელი იოსებ ზაზაძე, ქვეყნის ბედისადმი დაბრმავებული და სონა-კამეჩის სიკვდილით აცრემლებული; რევოლუციონერთა მაწყევარი დედაბრები და საპირველმაისო დემონსტრაციის დროს დახოცილი მუშე-

---

[111] სერ. ჭ ი ლ ა ი ა, მეოცე საუკუნის ლიტერატურა, 1956, გვ. 276; შ. რ ა დ ი ა ნ ი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა 1951, გვ. 335; ჰ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტ. II, 1925, (ს. დევდარიანის წინასიტყვაობა); ის. მ ა ნ წ კ ა ვ ა, „ჰოლა ლომთათიძე", 1925 წ., გვ. 15. და სხვ.

ბი და გლეხები, მრეცხავის მოკლულ შვილთან ერთად რომ ჰყრიან ქალაქის განაპირას გათხრილ ორმოში, რომელსაც მეფის ერთგული ჯარისკაცები დარაჯობენ; ყოველგვარ ღირსებააყრილი და ყრუ კედლებში ცოცხლად დამარხული კატორღელები, დროდადრო რომ მოდგებიან წყვდიადით მოცული საკანის დარკინულ ფანჯრებთან და ზურაბის დედასავით მიემართებიან სასაფლაოსაკენ ძახილით: „სად ხართ, მოკლულო ამხანაგებო, გამოგვეძახეთ, რამდენი ხართ თქვენ!“

ესაა მთლიანობაში მოცემული იმპერია მეფის რუსეთის, **საპყრობილე აზრთა და ხალხთა**, და არა მხოლოდ ამ საპყრობილის ერთი კუნჭული — სატუსაღო.

საღი თვალით გასინჯვა ჭოლა ლომთათიძის მიერ ფართო ტილოზე დახატული თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიისა, სადაც ყველა და ყველაფერი, როგორც ჩაგრული, ისე მჩაგვრელი, თვალწარმტაცი ბუნების ყოველი ქმნილება და თვით ქვის მუნჯი კედლებიც კი — შეშინებულია და შეწუხებული, სადაც მიწაში მკვდარი, ტყეში ჩიტი და მთაში ბალახიც კი არ არის მოსვენებული — მოგვცემს საშუალებას დავინახოთ მებრძოლი რეალისტი, გარეობიექტური სამყაროს პროგრესულ ძალთა მომღერალი, არსებულის მოძულე. მომავალი სოციალისტური რევოლუციის რომანტიკით გატაცებული, კაცთა სულის მცოდნე ფსიქოლოგი მწერალი და არა „თავისებურად გაორებული“ ერთი კაცი სხვადასხვანაირად დამხატველი ავტოპორტრეტისა.

ჭოლა ლომთათიძის ის გმირებიც კი, რომელნიც ერთი შეხედვით საკუთარ „მე“-ს სიღრმეში იძირებიან, თავიანთი კლასობრივი შეგნების შესატყვის საერთო-საზოგადოებრივ სწრაფვას გამოხატავენ და არა პირადს. ისინი თავიანთი განცდებით უახლოვდებიან საყოველთაო-საკაცობრიო იდეალებს და არა ინდივიდუალიზმს, პირად ნაჭუჭში ჩაკეტილს და საზოგადოებრივის უარმყოფელს.

„მე“-დან ამოსული ჭოლა ლომთათიძე მთელი თავისი მხატვრული და ფიზიკური შესაძლებლობით უპირისპირდება „მე“-ში ჩაკეტილთ და, მიაჩნია რა ამგვარი ჩაკეტვა უმდაბლეს მოქმედებად, გატაცებული ისწრაფვის პიროვნების თავისუფლებისაკენ, რაც მისი ღრმა რწმენით, მიღწეული იქნება მხოლოდ საზოგადოებრივ-საკაცობრიო იდეალებისადმი უანგარო სამსახურით.

ეყრდნობოდა რა საკუთარ „მე“-ს, თავის აზრებსა და მისწრაფებებს, ჭოლა ლომთათიძე ქმნიდა უფლებააყრილ და დამონებულ მშრომელთა წრიდან გამოსულ მებრძოლთა და არამებრძოლთა

ტიპებს და, სრულიად ბუნებრივია თუ ბევრი მათგანი ჰგავს მას, პროფესიონალურ რევოლუციონერთა რაზმის ერთ-ერთ წევრს.

უეჭველად არაობიექტურად მოჩანს პირად „მე“-ზე მითითებით ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების მნიშვნელობის დამცირების ყოველი ცდა; ცნობილია, რომ აქცენტს საკუთარი სულის მოძრაობაზე არ შეუმცირებია სიდიადე იმ ქართველი და უცხოელი მწერლების შემოქმედებისა, რომლებიც ამასთან საზოგადოებრივი წყლულების წვდომასაც ახერხებდნენ.

უაღრესად ვიწროპიროვნულმა განცდამ, ბიძის, ილია ორბელიანის დატყვევებით გამოწვეულმა, მისცა ბიძგი ნ. ბარათაშვილს ქართველი ერის უკეთესი მერმისისაკენ მარადიული სრბოლის ამსახველი „მერანის“ დაწერისა, ფიქრად არავის მოსვლია ნ. ბარათაშვილის სულის დრტვინვაში არ დაენახა ეროვნული სულის ამხედრება „თვალბედითი შავი ყორანის“ წინააღმდეგ.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში

1901 წელს ჭოლა ლომთათიძის სამი ნაწარმოები გამოქვეყნდა: „დავითი“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი“ და „ცხოვრების გულიდან“ („სწორედ ღამის 11 საათი იქნებოდა“...).[112]

სოციალური საკითხის მძაფრად დაყენებაში ხედავენ პირველი და მესამე ნაწარმოების ნათესაობას ეგ. ნინოშვილის შემოქმედებასთან. რადგან ამ მოტივის წინ წამოწევა, საერთოდ დამახასიათებელი ალმავალი რევოლუციური ეპოქისათვის, ჭოლა ლოთათიძის შემოქმედების ნინოშვილის შემოქმედებასთან შესადარებლად არ გამოდგება, ამიტომ ჩვენ მისი მხატვრულად აღქმის მანერაზე შეჩერებას ვარჩევთ.

მხოლოდ ორი ნაწარმოები აქვს ჭოლა ლომთათიძეს „დავითი“ და „ცხოვრების გულიდან“ („ქრის, ქრის...“), სადაც საკუთარ „მე“-სგან დამოუკიდებელი და განსხვავებული ობიექტური რეალობაა ასახული, ისე რომ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებობენ გმირი

[112] რადგან „ცხოვრების გულიდან“ ჭოლა ლომთათიძის ორ ნაწარმოებს ასათაურებს, ამასთან ამ სათაურით პირველად ის ნაწარმოები დაიწერა, რომელსაც ავტორმა შემდეგში სხვა სათაური გამოუძებნა („ქრის, ქრის“...) საჭიროდ ვრაცხთ, მათი ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით, სათაურთან ერთად ნაწარმოების პირველი წინადადებაც მოვიყვანოთ.

და ავტორი, ამასთან ავტორი ახასიათებს გმირს, მის საუბარში და მოქმედებაში ავლენს თვისებას — საკუთარი სულის თვისებისაგან დიამეტრულად საპირისპიროს და განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომს. ამ მოთხრობებში მხოლოდ ჩანასახის სახით ჩანს ის ორიგინალური ნიჭი ლირიკული პროზისა, რაც შემდეგ ნაწარმოებებში (ორიოდე წლის შემდეგაც შექმნილ ნაწარმოებებშიც) ასე სრულყოფილად გაიშალა და გამოვლინდა.

მოთხრობის მთავარი გმირი დავითი საკუთრებას მოკლებული და უკვე მუშის მდგომარეობაში ჩამდგარი, ჭუთაისში ლუკმაპურის მოსაპოვებლად ჩამოსული პროლეტარია და არა საკუთარი მიწის ნაგლეჯზე მიჯაჭვული გლეხი, რაჭველია და არა გურული, ამითაც სცილდება ეს მოთხრობა ეგ. ნინოშვილის დამახასიათებელ თემატიკას, მაგრამ სამყაროსადმი რეალისტური დამოკიდებულების კოლორიტულად ასახვით ჰოლა ლომთათიძე აქ უსათუოდ ენათესავება ნინოშვილს.

ნაწარმოები მკაცრი ზამთრით დამზრალი ბუნების ასახვით იწყება. „მკვდრული და საიდუმლოებით სავსე, სევდის მომგვრელი“ ბუნების ფონზე ეძლევა საშუალება მწერალს თავიდანვე გვაგრძნობინოს თავისი ანტიპათიური დამოკიდებულება საზოგადოებრივი წყობილებისადმი, სადაც „ყოველმხრივ უიმედობა, სიტიტვლე, მოსაწყენი სურათებია“ მხოლოდ. ასეთი გარემოს შექმნის შემდეგ ნაწარმოებში მეტად ბუნებრივად შემოდის მთავარი გმირი — სამოცი წლის დავითი, ჩულით მოსილი მსახური, საზარელ ახმახ არსებას, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან, სასწავლებლის დარაჯად რომ უქცევია; ამ ბაღს თვეში შვიდ მანეთად დარაჯობს დავითი, მაგრამ უბადრუკ ყოფას მასში პროტესტანტი როდი აღუზრდია! პირიქით, ღმერთს მადლობს მოხუცი, რომ ალაგი უშოვა, და „სამათხოვროდ არ გააწვდენინა შრომისათვის გაჩენილი ხელები“. ავტორმა მეტისმეტად მორჩილი სულის კაცად წარმოგვიდგინა დავითი. სასწავლებლის დირექტორი, რომელიც ინტრიგებს უწყობს მეფუტკრეობის მასწავლებელს, ფარულად აფუჭებს საფუტკრეში ნამუშევარს და თვითონვე სჯის დარაჯს. დავითმა ბოროტმოქმედებაზე წაასწრო „დერექტორს“. მაგრამ მისდაუნებურად „მინავათად“ სცნო თავი და დადუმდა. ეს დუმილი, მიუხედავად მაშინ არსებული ველური რეჟიმის მძვინვარებისა, ძალზე არაბუნებრივი მოჩანს.

პროტესტანტულ სულს და საღი აზროვნების უნარს მოკლებული, მაცხოვრის მმოსავი დარაჯი, ვის ყურსაც სანუგეშოდ ესალბუნება სიტყვები ჯვარცმულისა, „მოვედით ჩემდა ყოველი ტვირთმძიმენი და

დამაშვრალნი და „მე განგისვენოთ თქვენ“, სასწავლებლის ბაღში იყინება სწორედ ქრისტეშობის წინა ღამეს. როცა ქვეყანა ემზადება სამეჯლისოდ და საზეიმოდ, როცა „ღვთის მოყვარე“ „დერექტორი“ ქადაგებს: „გარეშე ქრისტიანობისა არა არს და არც შეიძლება იყოს ჰეშმარიტება და ბედნიერება, ის — ერთი გაბედნიერებს ყველას, როგორც მთელ ერს, ისე კერძო ადამიანს“.

უენო და მორჩილი მონის ბედის ჩვენებით როდი გამოირჩევა ჰოლას ეს ნაწარმოები მისსავე სხვა ნაწარმოებთაგან. აქაც ისმის თავისუფლებისათვის თავგანწირვისა და ბრძოლისაკენ მომწოდებელი ყიჟინა, მაგრამ ერთი განსხვავებით: ამ ყიჟინას ავტორი სცემს და არა გმირი, მწერალი უსახავს გზას „მუნჯაძეებს“, გადაუშლის მათ ნათელ სურათს და უჩვენებს, თუ რა მოსდევს „ხვთისა და კაცის“ ბრმა მორჩილებას, ბოროტებისადმი წინაღუდგომლობას.

ავტორმა თვინიერ დავითს დაუპირისპირა გამოფხიზლებული მუშა, რომელიც, ადამიანისადმი უსულგულო დამოკიდებულებით შეძრწუნებული, გაბედულად ამბობს: „შეშლილია ვინცხაა, აი ოჯახდაქცეული... დელეხტორი თუა, თქვენი დელეხტორია, თვარა ჩემი კი არა, იმის მე არ მეშინია!“

დირექტორს ესარჩლება და მუშას ეწინააღმდეგება ინტელიგენტი მასწავლებელი უბადრუკი არგუმენტით: „რაც სიმართლეა, არ ითქმება, პოლიტიკაა საჭირო“.

უღვთოდ დაღუპული მოხუცისადმი დირექტორის უკაცურმა დამოკიდებულებამ აღაშფოთა ჯერ კიდევ შეუბღალავი, წრფელი გული მოსწავლისა:

„— მართალია მუშა, ღმერთს ვფიცავ მართალია! — წამოიძახა ცრემლმორეულმა ყმაწვილმა და წინ დაუდგა მასწავლებელს“... მაცხოვრის იმედით მცხოვრები მორჩილნი ჭინჭველებივით ეცემიან და ნადგურდებიან უღვთოდ და უსახელოდ, „ჭკუიანი“ ინტელიგენტები საკუთარ ლუკმას დარაჯობენ და „პოლიტიკით“ „ცხოვრობენ“, ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც ისწრაფვის წინ აღუდგეს უსამართლობასა და ბოროტებას, არის მუშა — უწიშარი და „უჭკუო“. მას მხარს დაუჭერს ახალ იდეებზე აღზრდილი ინტელიგენცია. ასეთია 900-იანი წლების სინამდვილე, უაღრესად ეპიზოდურად, მაგრამ უსათუოდ რეალისტურად ასახული ჰოლას ამ ნაწარმოებში.

ცენზურის მიერ თავის დროზე აკრძალული „ცხოვრების გულიდან“ („ჭრის, ჭრის!!“), „ყოველის მხრიდან“ შევიწროვებული კაცის, ღვთისა და მკაცრი ბუნების მიერ მიწასთან გასწორებული გურული გლეხის უბადრუკი ყოფის ამსახველი ნაწარმოებია. ეს მოთხრობაც

გლეხის სამტროდ აღძრული ბუნების მოვლენების „შავი ძალების“ ფონზე იშლება. „გულმოსაკლავად“ აკვნესებული ცივი ქარი მუსრს ავლებს გოგიას წლის სარჩოს — სიმინდის ყანას და ვენახს. იმდენად დაუნდობლად უმოქმედნია ამ ძალებს, რომ გურულსაც კი „დაუტოვებია თავისი განუშორებელი, თანდაყოლილი სიმხიარულე“ და მოღუშულა. სწორედ ამ დროს პრისტავთან ერთად დაადგა მას თავზე მევალე პავლე. პავლესა და გოგიას დიალოგი ნინოშვილის გოგიასა და ნაცვალს („გოგია უიშვილი“) შორის გამართული დიალოგის ახლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— „მადროვე, პავლე, შენი ხეთის გულისათვის, მადროვე და მოგცემ შენს ვალს! — ემუდარებოდა გოგია.

— „მადროვე, მადროვე!“ სანამდი უნდა გადროვო, ჩემო ძმაო, რაც გადროვე, ისიც კმარა!

— თხუთმეტი დღე მადროვე და მოგცემ, დაგეწინდრები და მოგცემ.

— აღარ შეიძლება, მეც ანგარიშები მაქ, მეც ჩემი მოვალე მყავს...

— მაი კი შეგიძლია, პავლე, ნუ წაიწყმენდ სულს! სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის... მეც კაცი ვარ!...

— ღმერთი — დიდება მის სახელს—ტყულე არაფერს იძლევა, ხელი თუ არ გააქანე... ბატონო პრისტავო, აბა, აი კარდალე, ნოხი და ფარდაკი — ერთ თუმანში ჩავაგდოთ.. შემდეგ ბეღელი ავწეროთ, მგონი ათავდეს 25 მანეთში.

— ღმერთმა შეგარგოს, პავლე, მარა!...

„ძლიერმა ქარმა გოგიას აღარ დაამთავრებინა სიტყვები და სახლის თავზე აახედა, საიდანაც რამდენიმე კონა ისლი მოძვრა და ჰაერში გაიპნა“.

ასე ამოდგომია მჩაგვრელებს გვერდში ბუნება, ვნებული სულის მესაიდუმლედ რომ ესახებოდათ რომანტიკოსებს. მოვალე-პრისტავმა ყველაფერი წაიღო და წავიდა. და კვლავ „ჰქრის, ჰქრის, არ ცხრება ამინდი. ის ისე სასტიკობს, როგორც გუშინ“.

„— აბა, გოგია, გადასახადის ფული! ახლა „პოპოშნიკა“ და იასაული მიადგა მას... მამასახლისმა რომ ფული შეჯამა, იმის „ედოიმკა“ არის გადასახადი...“ „პრიკაზია მოსული“ მამასახლისის შეჯმული ფული სოფელმა გადაიხადოსო.

— რავა გუუჩენია ღმერთს!—კითხულობს გოგია,—მამასახლისმა ფულები შეჯამოს და გოგიამ გადაიხადოს?... მოდით, აბა, გამყიდეთ, შემჯამეთ“...

ვერც გაჰყიდიან, ვერც შესჯამენ, ბატონყმობა აღარ არსებობს, ვახტანგის კანონი, რითაც „ყმისა თვინიერ სულისა ყოველივე ბა-

ტონისა არს“—ძალაში აღარაა, მაგრამ რასაც „თავისუფალი“ კაპიტალისტური საზოგადოების კანონები მოითხოვენ გლეხებისაგან, ბევრად აღემატება ყოველივე იმას, რაც ამ უკანასკნელს გააჩნია, მაშასადამე, თვით სულიც ახლა ახლადმოვლენილი „ბატონისა არს“.

— „შეგვეწიეთ, ღმერთი შეგეწევათ, შეგვეწიეთ, მონასტერს ევშენებთ! სწორედ იმ დროს ჩამოიძახეს ეზოში მონაზვნებმა, როცა ის-ის იყო „მოხარკენი“ მოსცილდნენ გოგიას სახლ-კარს.

— ღმერთი, მეეალე, ხელმწიფე, ჯანდაბა და კურმუხეთი — ყველას მე რაფერ გუუძლო, ყველას ერთმა კაცმა, რაფერ გაუსწორდეს!... მომშორდით, გამეცალეთ აქედან!... გადით, გადით, თქვენ კუდიანებო, გადით-მეთქი აქედან. — აღრიალდა გოგია.

— ვის უბედავ, შენ მურტალო ყაზახო, მაგას, ჩვენ, ნაკურთხი მონაზვნები ვართ კუდიანები?

— კუდიანები ხართ, ჰო. კუდიანები!... ჰაუჰო აქედან, თფუი, თფუი!

— ხომ კი ასე, ხომ ასე!...

— კიდევ არ მშორდებით, რა გინდებიან ამ ჩემს სახლში! თქვენ... ქარის კივილს ერთი განდეგილთაგანის კივილი შეუერთდა“...

გოგიას აფეთქება სასოწარკვეთის შედეგია და არა შეგნების, შინაგანი უძლურების მაჩვენებელია და არა ძალისადმი დაპირისპირებული ძალის.

„—შევცდი, ბატონო და მაპატიე... ვერ შევიკავე თავი, მაპატივე, შენი ჭირიმე, ბატონო! — ჩიფჩიფებს ის პრისტავის წინაშე მდგარი.

— შესცდი, აი შეცდომის წამალი! გოგიას ზურგზე აწივლდა „ერთგული მათრახი კანონის შემსრულებლისა“.

როგორც ვიცით, გოგია უიშვილი გამოაფხიზლა „ნაჩალნიკის“ მათრახმა, შეაგნებინა ის, რაც მან აქამდე არ იცოდა, მიახვედრა, რომ „ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა!“ ეს გოგია კი თვით უიშვილზეც დაბლა დგას. „შეგცოდე და შემინდე, ბატონო!“ — ჩიფჩიფებს ცემის შემდეგაც იგი და „ნაობახტიდან“ განთავისუფლების დღიდან ლოგინზე მიჯაჭვული კვლავ ღმერთს ევედრება: „ღმერთო, ნუ დამიქცევ ოჯახს, ნუ მიზამ მტრის გასახარელს“. ბუნება კვლავ „სასტიკობს და სასტიკობს, ძლიერი ქარი ებრძვის გოგიას სახლს, მინდვრის შუაგულზე წამოჭიმულ მუხას, ებრძვის გაღმა დაფენილ გატიტვლებულ ტყეს, ებრძვის ყველაფერს... და სევდა, გაუვალი შავი სევდა იპყრობს გოგიას, მის ცოლს, მთლად მის ოჯახს, ამ საერთო მოწყენილობის და უიმედობის დროს“. ეს „შავი სევდა“ ეუფლება მშრომელთა ავი ყოფით აკვნესებულ მგოსანს, რომელიც გოგიას

ახალგაზრდა საფლავთან წამოიძახებს: „შენ დაამშვიდე საცოდავი, სამშობლო მიწავ!“. ეს სევდა ეუფლება მკითხველს. როდესაც მოთხრობის ფინალში ისმენს ავტორის კვნესას შიმშილისა და სიცივისაგან გაწამებული გოგიას შვილების ბედის გამო: „მოუსწრებს იმათ გაზაფხული, გათბებიან ობლები? არ ვიცი, მხოლოდ ჯერ კი ქრის და ქრის, ჯერ კიდევ სცივათ სამშობლო ქვეყნის ობლებს“.

განხილულ ნაწარმოებებში ჩანასახის სახით მოჩანს ლირიკული პროზის წიაღსვლანი, აქცენტის გადატანა ფსიქოლოგიურ მომენტზე, ხშირი განმეორებანი შთაბეჭდილებათა გაძლიერების, გულის საძირკვლამდე ჩაწვდომის და ადამიანის შეგნების სასურველი გზით წარმართვის მიზნით, რითაც განსხვავდება ჭ. ლომთათიძის შემოქმედება ეგ. ნინოშვილის ანალოგიურ ნაწარმოებთაგან.

მიუხედავად პასიური, სასურველ შეგნებამდე აუმაღლებელ და ჯერ კიდევ ბრძოლის გზის უმეცარ მორჩილთა სახეების დახატვისა, აქ უკვე ნათქვამია 900-იანი წლების შესაფერი მხატვრული სიტყვა, უკვე გვესმის ჭოლას ძახილი, რომ „მხდლები ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას“ და „სამშობლო ქვეყნის ობლების“ გასათბობი მზის მოპოვება მხოლოდ მედგარი ბრძოლით შეიძლება.

მხოლოდ ეს ორი ნაწარმოები „დავითი“ და „ცხოვრების გულიდან“ („ქრის, ქრის“) ხვდება ზოგიერთ ხაზებში ეგ. ნინოშვილისა და მისი სკოლის მწერალთა (ლალიონი და სხვ.). შემოქმედებას, თუმცა თხრობის მანერა და საერთოდ ყურადღების გამახვილება სამშობლო ქვეყნის ჩაგრულებზე (და არა მხოლოდ გლეხებზე), აქაც აშკარად გვაგრძნობინებს, რომ ჭოლა ლომთათიძე არ არის ნინოშვილის სკოლის მწერალი, რომ ის მიზნად არ ისახავს მხოლოდ დაბეჩავებულ გლეხთა სახეების შექმნას. ჭოლას შემდეგმა ნაწარმოებებმა ნათლად დაადასტურა ეს. მისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი მგზნებარე ბუნება და შორსმჭვრეტელი თვალი ერთი საგნის, ერთი მხარის, საზოგადოების ერთი ფენის თუ კლასის ცხოვრების ასახვაზე ვერ შეჩერდებოდა. იგი უპირველეს ყოვლისა, მწერალია არა გლეხობის (ისიც მხოლოდ საქართველოს.ერთი კუთხის გლეხობისა), არამედ მთელი საქართველოსი, რომელსაც „დანგრეულს და დანაცრებულს, გულშეკუმშული დაჰყურებს მაღლიდან“, მისი შინაგანი მოწოდებაა — ასახოს ერის წყლულები, მშობელ ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზმის ყოველი კლასისა და ფენის ცხოვრება, მხატვრული სიტყვით გაუნათოს გონება ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავ მშრომელებს, თავისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმოს ყველა „უპკუო და გამოუცდელ“, ყველა „ვინც

მაღალია, ვისაც მეხი ეტანება", ვისაც თავისუფლების მადლი აკლია, ამამაღლოს ამ შეგნებამდე თითოეული პიროვნება ცალ-ცალკე, ყველა ერთად და, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, უჩვენოს ერს „ცისკენ მიმავალი გზა". ამაშია ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების დიდი ღირსება, ამით არა ჰგავს ის. უპირველეს ყოვლისა. მის თანამედროვე ბევრ ქართველ მწერალს, რომელიც თავისი შემოქმედებით ვერ ცილდება ვიწრო გეოგრაფიულ არეს.

ჯერ კიდევ 900-იან წლებში გაემიჯნა ჭოლა იმ „ურა" რევოლუციონერ-დემოკრატებს, რომელთაც ნამყოს ნიჰილისტურად შეხედეს და ყოველივე ეროვნულისა და ეროვნულობის უარყოფის მოლიპულ გზას დაადგნენ.

აი ბიქტორი გეშით: უახლოვდება საქართველოს სანაპიროებს. „სამშობლო ქვეყანავ. განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდე ვინმეს? შენ, და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე, შენ და მარტო შენ შეადგენ ჩემს მიზანს. შენ და მარტო შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან!" — წამოიძახა მან გულში და თითქოს თავს იმართლებსო, განმარტა: „თუმცა დოქტრინა წამდაუწუმ ჩამძახოდა ყურში, რომ კაცი ყოველგან კაცია და მთელი ქვეყანა იგივე სამშობლოა, მეც, შენზე დაშორებულს, უფრო მატად მიყვარდი, ვიდრე მენატრებოდი, მაგრამ მაინც უბედური და ცხოვრებისაგან გარიყული მეგონა ჩემი თავი უცხოეთში" („დაბაფლავება").

ჭოლა გადაჭრით უარყოფს კოსმოპოლიტიზმს და კატეგორიული ტონით აცხადებს, რომ მისი სატრფიალო საგანი მხოლოდ სამშობლოა და ის მიაგავს მცენარეს, „რომელიც ხმება, თუ უცხოეთში გადარგეს". „ვისაც რამდენიმე ხნის დაშორება არ გამოუცდია თავისი სატრფოსი, იმას არ გამოუცდია არც ნამდვილი სიყვარული."

როგორი გამოჩნდა 900-იანი წლების საქართველო ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებით ლაბორატორიაში, როგორ შეძლო მან სამშობლოს აწმყოსა და მომავლის წარმოსახვა?

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ასაზრდოებს უდიდეს სიძულვილს იქ დამკვიდრებული ჩაგვრისა და მონობისადმი, იგივე სიყვარული წარმოშობს უძლიერეს სურვილს ჩვენი ქვეყნის ულამაზეს მკერდზე არსებული უსაზარლესი სურათების ხატვისას. „მამულის სიყვარულის დიდი პოემა" ესმოდა სამშობლოსაკენ მომავალ მგოსანს თვით გეშის ხმაურშიც კი, მაგრამ მოადგა თუ არა ნაპირს, მოემზადა თუ არა გადასახტომად, „რათა ეკოცნა მისი მიწისთვის", „უცბად ჯაშულეთის ხმაზე ოცდაათამდე კურტანი წამოეჭიმა წინ."

„ცივი წყალი გადაევლო“ მის აღტაცებას, „კურტანმა, ოხერმა კურტანმა მტვრად აქცია“ მისი ოცნება, „რომელიც, ვინ იცის, რანაირ ტანისამოსში ხატავდა მშობელ ქვეყანას“.

„კურტანი! — ეს ხომ შენი უნაგირია, სამშობლო მხარეც! არსებობა შენი — ეს ხომ კურტანს ქვეშ წოლაა და ბრძოლა ამ კურტანთან, ბრძოლა გაუთავებელი, უღმერთო, მაგრამ დაუბოლოვებელი კი და, აი, ჯამულეთიც, ჩემი მეზობელი, შენი შვილი, ჯამულეთი, წინამძღვარი გამხდარა შენი კურტნისა!...

დაფიქრდი ამაზე, ჩემო სამშობლოვ, და იქნება მითხრა განაჩენი!“ — ასე მიმართავს ის თავის ქვეყანას („დაფლავება“).

„ჯამულეთს უნდა ვუჩივლო შენთანო!“ ეუბნება სამშობლოს ჰოლა. როგორია შინაარსი მისი საჩივრისა? გარეშე ძალა, შეფის რუსეთის კოლონიალური რეჟიმი სულს უხუთავს საქართველოს, ძარცვავს მას ეკონომიურად და მორალურად.

ამ მტერს, ვერაგსა და დაუნდობელს, გვერდში ამოდგომია ქართველი კაცი, ჯამულეთი. ისიც ძარცვავს და ჩაგრავს სხვის ხელში მკვნესარ მოძმეებს, ნაცვლად იმისა, რომ მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდეს.

ჯამულეთი განზოგადებული სახეა უკვე გაძლიერებული ქართველი ვაჭრისა, რომელსაც გაუმაძღრობის სენი დაუფლებია, კრავის ტყავში გახვეული იტაცებს ცხვრებს. მწერალს თვალწინ წარმოუდგება „ჯამულეთი თავის ნაცრისფერ ჯორზე“ ამხედრებული: „დაუპირდაპირდებოდა თუ არა ეკლესიას“, იგი „ჩამოხტებოდა ჯორიდან, გადაიწერდა პირჯვარს და ხმამაღლა იტყოდა:

— ღმერთო, შენ შემეწიე!

ისევ შეჯდებოდა ჯორზე და მიადგებოდა ვისმე ჭიშკარს.

— გოგიე ხარ შენ, გოგიე?

სახლის კარი გაიღებოდა და გამოვიდოდა ქალი, რომელიც, დაინახავდა თუ არა ჯამულეთს, თავსახურს გაისწორებდა, კისერს განზე გასწევდა სირცხვილისა თუ შიშისაგან და კაბას დაიბერტყავდა.

— გოგიე სადაა, მარინე?

— უანაში გეახლა, ბატონო. ჩამობრძანდი სახლში, ბატონო, დაიმუხლე.

— არა, გმადლობ! თუ ქალი ხარ, უთხარი, რომ მეორეთ ნუღარ მომიყვანს! მალე მიშოვოს ფული, თვარა!..“ მწერლის თქმით, მარინემ მშვენივრად უწყოდა მნიშვნელობა ამ უკანასკნელი სიტყვისა („თვარა“), „ამ სიტყვაში ჩამალული იყო ბოქაული, ოჯახის აწიო-

კება, ტირილი, შიმშილი და სხვა ასეთი მშვენიერება სიღარიბისა.“ აღასრულებდა თუ არა თავის საქმეს, ე. ი. გაატყავებდა თუ არა თავის მსხვერპლს, ეკლესიასთან გავლილი ჯამულეთი კვლავ ჩამოხტებოდა ჯორიდან და შეევედრებოდა უზენაესს: „ღმერთო, მიხსენ!“

ჯამულეთს ასაფლავებენ. ძინ! ძი-ი-ინ! ძი-ი-ინ — „გადასძახოს ზარის ხმა და მას ბანს აძლევს ჯამულეთის ნათესავთა მწუხარების ხმა.“ მწერალი კი ვერ მალავს აღტაცებას და მთელი ხმით წამოიძახებს: „შენ გააძღე გაუმაძღარი, სამშობლო მიწავ!“ იმდენად ძლიერია მწერლის სიძულვილი ჯამულეთისადმი, რომ სიკვდილიც კი ვერ არიგებს მასთან, და ამ „გულაძუობას“ იგი სათანადო განმარტებასაც აძლევს:

„არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც სიკვდილს შემდეგაც გძულს, და სიკვდილის შემდეგ რომ სიყვარული და სიძულვილი არ შეიგრძნოთ ადამიანისადმი, მაშინ ისტორიაც ხომ უნდა წაშალოთ, რადგან ეს ორი ნიჭი სწერს მას.“

ჯამულეთი, როგორც ვთქვით, ტიპიური სახეა მოძმეთა მჩაგვრელებისა, მისი სიკვდილი და დასაფლავება კი როდია ტიპიური 900-იანი წლებისთვის. მაგრამ ეს მჩაგვრელებისადმი უსაზღვრო ზიზღითაა შობილი და ეყრდნობა აფორიზმს — „რამდენადაც მეტს ნერგავ ადამიანის გულში ზიზღს რაიმე საგნისადმი, იმდენად ძლიერი მქადაგებელი ხარ სიყვარულისა“.

მწერალს კარგად ესმის, რომ არას ნიშნავს ჯამულეთის სიკვდილი, სანამ არ დანგრეულა მისი წარმომშობი საზოგადოებრივი სისტემა, მაგრამ ამ კერძო მოვლენაში იგი ზოგადს ეძებს და წინა პლანზე აყენებს „სოლელურ კითხვას“:

„ჯამულეთი ხომ მოკვდა და დღეს მარხავენ... რამდენხანს გაგვაბედნიერებს ჯამულეთი თავის სიცოცხლით, კიდევ რამდენხანს იცოცხლებს ის?“

კაპიტალიზმმა, რომელიც „ისე ეაჭრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორცით“, 900-იან წლებში უკვე მოასწრო „ზედმეტი ადამიანების“ გამოყოფა, ცხოვრების სახსარსა და სამუშაო ძალას მოკლებულ გაძვალტყავებულ მშრომელთა გამოყრა ქუჩაში. „ცხოვრების გულიდან“, რომელიც ამ სათაურის ქვეშ აკრძალული მეორე ნაწარმოების ნაცვლად („ქრის, ქრის...“) დაიწერა, ლუმპენპროლეტარების ბედს გვიხატავს. ამ მოთხრობასაც სამშობლო ქვეყნისა და მისი ბუმბერაზი ბუნების“ ასახვით იწყებს მწერალი. საქართველოს ულამაზესი და უდიადესი ბუნების ფონზე მოჩანს მახინჯი

სახე „შეღამურა ადამიანისა“, რომელიც ლუკმაპურის საძებრად გამოსულა ქუჩაში. „გინახავს განა შენ ის ძვალტყავა ადამიანი, შივშილს რომ ეძახიან? — კითხულობს ის, — გაგიგონია რა ენაზე ლაპარაკობს, ის? მე დედა გყავ ლოთი ქმრისაგან მიტოვებული!.. შენ, პატიოსანო ბატონო, როდის იყო, რომ შვილების საზრდო გამომიგზავნე, როდის იყო რომ ზომები მიიღე — არ გავრყვნილიყავი... შენ, შენ უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და არა მე... მე შვილებს ვარჩენ!“ („ცხოვრების გულიდან“).

ამ ქალის სახით მწერალი გვიჩვენებს კაპიტალიზმის მიერ გაუბედურებულ ადამიანს და მის გარემოს, „ქუჩას მთელი ძალით და სიძულვილით“. კონტრასტების საშუალებით გვარწმუნებს იგი, რომ ძვირფასი ფარჩეულობით მოსილი ბურჟუა გაცილებით ბინძურია, ვიდრე მჩვრებში გახვეული მეძავი, რომ ნამუსზე ხელაღებულნი დედანი უფრო სათნო და პატიოსანნი არიან, ვიდრე ის საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელმაც აიძულა ისინი გარყვნილების გზას დადგომოდნენ, „სწორედ ანგელოზი იყო იმ დროს ის დედაკაცი“ —დასკვნის მწერალი. სანდროს მსმენელი „ქალბატონები“ უაღრესად კოლორიტულად წარმოგვიდგენენ საშუალო ინტელიგენციის იმ ფენას, რომელსაც არ ძალუძს ჩასწვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების უმარტივეს კითხვასაც კი.

სამშობლო ქვეყნის მჩაგვრელი კლასის, ბურჟუაზიის, სამსახურში მყოფი ინტელიგენციის ეს ფენა ჭოლამ ორ ქვეფენად გაჰყო. პირველ ფენას მიაკუთვნა ჯგუფი ინტელიგენტებისა, რომელნიც უფრო მკაცრად, მოხერხებულად და აშკარად ჩაგრავენ ცხოვრების ფსკერზე მოქცეულთ, ვიდრე თვით მათი გამწვრთნელი ბურჟუაზია, და დარწმუნებული არიან, რომ ასრულებენ იმ „წმინდათაწმიდა“ ცნებას, რაც სასწავლებელში შეიძინეს.

ეს ფენა კარგადაა განსახიერებული ვექილისა და ექიმის სახეებში. მოთხრობაში „ერთი საღამო ბატონ ადვოკატთან“ მთავარი გმირია მარტოობით სნეული ვექილი, ვისი „სიმართლის მეტყველი ბაგე(სამსაჯულოში) გატაცებით იცავს... „საკუთარი ჯიბის ინტერესებს“. მწერალს შესწევს ძალა პირველივე წინადადებით გამოაფინოს ამ დიპლომიანი პირუტყვის შინაგანი სიცარიელე და სულიერი არარაობა.

„ეჰ, რა საძაგლობაა, როდესაც ადამიანი თავისთავის ანაბარა დარჩება და იმდენ შინაარსსაც კი ვერ იპოვის თავის გულში, რომ არ მოეწყინოსს ეს შედეგია სულიერად სიკვდილისა, ცხადი ნიშანია სი-

ნიდისის სამუდამოდ დაძინებისა ღა რა ბედნიერია ის, ვინც ამგვარ მოწყენილობას არ გამოცდის".

ბატონი ადვოკატის „მდიღრულად მორთული კაბინეტის თაროები გატენილია წიგნებით", რომელნიც შეძენილია არა საზრდოდ მღვიძარე სულისა, არამედ იმიტომ, რომ მათი „შეძენა ჩვეულებად აქვთ ამ ხელობის კაცებს".

ერთ დროს პროგრესისკენ მიმსწრაფ ინტელიგენტს ზურგი შეუქცევია „საცოდავი წიგნებისათვის" და მათ ხვეწნა-მუდარას თუ საყვედურს არად აგდებს.

მწერალს კარგად ესმის, რომ ვექილი საზოგადოებრივმა გარემომ აღზარდა ასე. წიგნების ჩივილზე „ერთხანს თითქოს პასუხსაც იძლეოდა ყოფილი სტუდენტი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ერთ მშვენიერ დღეს შეჰანიშნავი მჭერმეტყველებით დაიცვა ახალგაზრდა ქალის შემცდენელი... ეს მცირედი ყურადღებაც მოუსპო წიგნებს", იქცა ლუკრისად თათქარიძეზე დაბლა მდგომ პირუტყვად. ცნობილია, რომ უქნარობისა და მცონარეობისაგან გონებადაჩლუნგებული ლუკრისები არაფერს აკეთებდა, მაგრამ არც აშაენებდა; კაპიტალისტური წყობილების მიერ გაპირუტყვებული დიპლომიანი ადამიანი კი თავისი ხელქვეითების მარტო ეკონომიური ექსპლოატაციით როდი კმაყოფილდება. „ადვოკატმა გრიშა ქოქიაშვილმა ერთი ბავშვი და ერთი პანღური" უთავაზა მოსამსახურე გოგოს და ქუჩაში გააგდო. ახლა მეორე მოსამსახურეს „მიჰსწრო" საქმროსთან ალერსის დროს, შეყვარებული ვაჟი გააძევა და ახალგაზრდა სოფიოს დაუფლების მიზნით წაეპოტინა.

„— სოფია, ნუ ჯიუტობ.. ფულს მოგცემ, მხოლოდ ერთს.... ლუღლუღებს ის.

— ფუი შენცა და შენს ფულებსაც! — ზიზღით მიაფურთხა გოგომ და გულამოჯდარი ქვითინით გაეკრდა გარეთ".

ამ ცხოველის გაადამიანება უკვე არავითარ ზიზღსა და გაკიცხვას არ ძალუძს. აი რას გვაგრძნობინებს მწერალი სიტყვებით:

„ბატონი ადვოკატი დიდხანს იდგა ერთ ალაგას... ჰფიქრობდა რამეს? არაფერს! მხოლოდ უაზროდ მიშტერებოდა ერთ წერტილს... ბოლოს როგორც იყო გამოერკვა, გაიღვიძა, მაგრამ, ალბათ, ის კი არ ახსოვდა, რაც ამ წუთს მოხდა... გაიხედა, გამოიხედა და დაამთქნარა..."

მეორე ინტელიგენტი ექიმი გამსხვავებას ვერ ნახულობს „თავის ცოლის ზურგსა" და „დარაბანდს" შორის და მეზობლებს დილიდან საღამომდე ყურს უჭედავს ამ ახირებული „დარაბანდის ხმით". („ალსარება").

„ძროხასავით ჩასუქებული“ ადამიანის მაგვარი არსება საპყრობილის „მკურნალი“, უარს ამბობს საავადმყოფოში დააწვინოს სისხლისაგან დაცლილი ჭლექიანი პოლიტიკური პატიმარი იმ მოტივით, რომ კატორღელია და შეიძლება გაიქცეს. შენიშვნაზე — ეს თქვენ საქმე არ არის, მაგისთვის არსებობს დაცვა, ადმინისტრაციაო — ის პასუხობს: „რატომ, რატომ იტყვით მაგას, განა მე კი არ ვარ ერთგული ჩემი მეფის?!“

სულ სხვაა ინტელიგენციის მეორე ფენა, ეპიზოდურად მოცემული ჭოლა ლომთათიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში. შედარებით პირველ ფენასთან იგი საღია და თვალხილული, აქვს არსებულის კრიტიკულად ათვისების უნარიც, მაგრამ პასიურია, არამებრძოლი, კმაყოფილდება ჭვრეტით, მომხდარი ამბების აღნუსხვით, მხოლოდ საკუთარი ცხოვრების ნავს დაჰკანკალებს და „გონიერულობას იჩენს“. ამ ფენის ინტელიგენტებისათვის ქვეყნად არსებობს არა ბოროტება და სიკეთე, არამედ „მე“-ს სასარგებლო და საზარალო.

—„ შენ მაინც არაფერი დარდი გაქვს, კაცო, — მიმართავს მეზობელს ასეთი ინტელიგენტის საქციელით აღშფოთებული მეზობელი ექიმისა, რომელიც ცოლს სცემს, — დაგითხოვენ ალაგიდან თუ არა — შენთვის სულერთია, ცოლი არ გაწუხებს და შვილი, მაშ, მოდი და დასწერე რამე ამის შესახებ“ („აღსარება“).

მწერალს შეცნობილი უკულმართობის დარაჯი უფრო აღშფოთებს, ვიდრე ბნელეთის უგუნური მსახური.

„დაწერე, დაწერე! — გაცხარებული წუხმოიძახებს ის, — მიბრძანდით და დასწერეთ, თუ ასე გაღელვებთ უსამართლობა!“ კერძო მოვლენა (ექიმის მიერ ცოლის ცემა) როდი აღშფოთებს ჭოლას. ამ პატარა ფაქტში ხედავს ის ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის დამახასიათებელ ეგოიზმს, საერთო სისუსტეს და უმოქმედობას. „თქვენ მხდალი ხართ, — ასე მიმართავს ის მათ, — თქვენ ყველაფერი გაშინებთ, თქვენ გეზიზღებათ მისი საქციელი, მაგრამ მაინც გინდათ მისი ხელის ჩამორთმევა იმიტომ, რომ ის ექიმია, ის დიპლომიანი და გავლენიანი კაცია... და ისიც გინდათ, რომ სხვისი ხელით ნარი მოგლიჯოთ... თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადაშხტარი ბაყაყიც კი აგიტეხთ გულის კანკალს“.

რა იქნება, რომ ყველა ასე მოიქცეს — მხოლოდ თავისთავს გაუფრთხილდეს და საქვეყნო-საზოგადო საქმეს კი თავი ანებოს? — აი „თავსამტვრევი კითხვა“, რომელიც დაუსვა ჭოლამ მის დროინდელ ინტელიგენციას. დიახ, ყველას აწუხებს თავისთავი, თავისი ცოლ-შვილი, ყველას უნდა თავისუფლად ისუნთქოს, თავისუფლად

იცხოვროს, მაგრამ საკითხავია — შეიძლება თუ არა ამ გზით მავალმა მიაღწიოს თავისუფლად „განსასვენსა ალაგსა?“

„ჰო, მეც კაცი ვარ, ღმერთმანი! — განაგრძობს მწერალი, — და მეც მინდა, რომ ალაგი შემრჩეს, არ დამეკარგოს, მეც მინდა ვიცოცხლო და ვიარო ამ ქვეყანაზე, მინდა ჩავყლაპო წმინდა ჰაერი, მინდა ლოგინზე დავწვე და მაგიდა გავანთავისუფლო. დიახ, მინდა და კიდევაც მივაღწევ ამ მიზანს. დღეს არაფერს დავწერ ბატონ ექიმზე, ხვალ გავუჩუმდები საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ფულს უგალობს ჰიმნს, ზეგ იუდა-ისკარიოტელს ვეტყვი „რეჩს“, დავლევ იმის სადღეგრძელოს და შიგ შუა ტუჩებში ვაკოცებ, მეც თქვენსავით მოვიქცევი, მეც თქვენსავით ვიცი და აღარ მომაქცევენ ყურადღებას? დიახ, ასე მოვიქცევი, ვინაიდან ადამიანს სჭირია სიცოცხლე, სჭირია სასუნთქი ჰაერი, სჭირია ჭამა-სმა“... („აღსარება“).

ასეთია ინტელიგენცია, რომლის პირიდანაც უნდა ისმოდეს ხმა ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვისა, უსამართლობისა და მონობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა, საქვეყნო საქმისათვის თავდადებისა. რარიგ დაცემულა და დაკნინებულა ის, — საზოგადოებრივიდან კერძოობითზე ჩამომხტარი და საცოდავი ლუკმის ყარაულის!

ამ უბადრუკობის შემცნობი პოეტისათვის „არე-მარე შავ ბურუსს მოუცავს, ქარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაჰქრის“ და მას ეჩვენება, რომ „სადღაც შორს“ მისი „გულის ერთ კუნჭულში, ვიღაც უცნობი, მაგრამ... ძალიან მახლობელი, უხილავი, მაგრამ განუშორებელი ადამიანი მიმჯდარა და მწარედ, მწარედ ქვითინებს“.

ეს „უხილავი“, — „ძალიან მახლობელი“, მარად „განუშორებელი ადამიანი“, ჭოლას გულის ერთ კუნჭულში მიმჯდარი და „ქვეყნისათვის ანაკვნესი“ არის ის, ვინც მოუხმობს ადამიანებს წუმპიდან მზეზე ამოსასვლელად, ქვეყნის გათავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში ჩასაბმელად.

— „მეგობარო, შენ სად ხარ ამდროს? რატომ არ გამამხნევებ, რატომ არ შემომიდგები მხარში, რატომ არ შემომსუბუქებ მძიმე ტვირთს, რომელიც ვიკისრე? რატომ, ჩემო მეგობარო, რატომ?“ („აღსარება“).

შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყების პირველ წლებშივე შეიცნო ჭოლამ საზოგადოებრივი ორგანიზმის დიდი სირთულე. იგი იმთავითვე დარწმუნდა, რომ ცხოვრება არაა ორ ბოძს შუა გაბმული თოკი, რომელზედაც მხოლოდ ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის უბედურება ჰკიდია, ჩამოხსნი და საყოველთაო ბედნიერებაც ოქ-

როს ტახტზე დაბრძანდება. თვითმპყრობელურ ძალადობაზე დაფუძნებულმა კაპიტალისტურ-მემამულურმა წყობამ უკვე განამტკიცა ადამიანთა შეგნებაში ბევრი რამ უხამსი, რის შემდეგაც ადვილი არ იქნება უკან დაბრუნება და აღმოცენებული სიმახინჯის გასწორება. ეგოიზმმა ჩაახშო ყოველი კეთილი არა მარტო ბურჟუასა და მემამულეში, ინტელიგენტსა და მოხელეში, არამედ საერთოდ ადამის ძეში; ადამიანთა ეგოიზმის გამუქებული სურათები ერთმანეთს სცვლიან პატარა ესკიზში-„აღსარება“, ღამდება, ოჯახი მხიარულად თავსდება აგუზგუზებულ კერასთან. — „ქმარი ალერსით ჩახედავს თავის ცოლს თვალებში, ცოლიც თამამად გაუსწორებს მას თვალს და პაწია, უცოდველ ბავშვს გულში ჩაიკრავს — შეშინდება, ქმარმა არ გამომტაცოს ხელიდან ეს ბედნიერებაო... ქმრისთვისაც კი შურს შვილის ალერსი, იმას არავინ უნდა მოზიარედ ამ საკუთრებაში“.

აი მეორე დედა, რომელიც „ტირის დაკარგულ ქალწულობას, ტირის ადამიანის შეურაცხყოფას, ტირის შეგნებულ გრძნობას, შელახულ დედობას, ტირის, რომ ის უკანონო დედაა“... „რა უბედურ დღეზე გამიჩნდი შენ!“ — შესძახებს მოძულებულ შვილს.

პოეტს თვალწინ უდგას შეყვარებული. ის გაათავებს წერას, დააწერს მისამართს და თვალებმიბნედილი დიდხანს, დიდხანს რჩება ამ მდგომარეობაში... „იმას სრულიადაც არ ახსოვს ახლა, რომ გარეთ, ამ სიბნელეში, ამ ცივ დარში, ერთი ფარაჯაში გახვეული ბებერი დედის და დროგამოშვებით თავის მსხვილთავიან ჯოხს არაკუნებს ქვაფენილზე... არაკუნებს და თვის ბოლოს გაეღება კარები, იმას მისცემენ რვა მანეთნახევარს“. მწერალი განაგრძობს: „დაღამდება. ყველა ცდილობს, შეძლებისდაგვარად, ბედნიერად იგრძნოს თავი, ყველა ცდილობს რაიმე ამბით გაართოს, დაამშვიდოს ნერვები...“

და ეს საკუთარ ნაჭუჭში მორთხმა არის შეუმცდარი საბუთი ადამიანთა მორალური დაქვეითებისა.

მოწოდებითია მათდამი მიმართვა მწერლისა: „ეჰ, გაიყავით, გაიყავით, გეთაყვა თქვენი სიმდიდრე, ნუ ხარბობ შენ, ბედნიერო დედავ, შვილი შენია, ვერავინ წაგართმევს, რა გენაღვლება, მამაც მიეალერსოს თავის შვილს?“ — მიმართავს ის ქმრისადმი შურით აღვსილ დედას.

„ეჰ, კეთილო ადამიანო, ასე უცბად ნუ გაასამართლებ ადამიანს! განა იმას კი არ უყვარდა თავისი შვილი, განა იმას კი არ უნდოდა, ჩაეკრა ის გულში? განა იმას კი არ ჰგვრიდა ტანში ნეტარების ჟრუანტელს, როცა მისი პაწია თავის პაწაწკინტელა ხელებს მოუთათუ-

ნებდა სახეზე?“ — ეუბნება ის „ბედნიერ დედას“, რომლის აზრითაც ჩამოსახრჩობია შვილის გამწირველი „უკანონო დედა“.

— „მეც კაცი ვარ, ღმერთმანი! მეც ისეთივე ხელები მასხია, როგორიც სხვებს, მეც ისევე ვლაპარაკობ და დავდივარ, როგორც სხვები, ამიტომ მეც, როგორც სხვებს, ხანდახან მომინდება ხოლმე, რომ შეყვარებული ვიყო... გვერდში ვინმე ნაზი არსება მყავდეს... მეც მინდა, მყავდეს მეგობარი, ერთგული, საიმედო მეგობარი“... — ეუბნება ის ყველა თავისთავზე მზრუნველს და საერთო-საკაცობრიოს უარმყოფელს.

რასაკვირველია, მართებული არ იქნებოდა. ამ ნაწარმოებში დაგვენახა ავტორის, ინდივიდუალისტის „მე“. აქ მწერალი პირად „მე“-ში ჩაკეტილ და საქვეყნო ასპარეზზე გამოსულ ადამიანებს უპირისპირებს ერთმანეთს და მეორეთა რიცხვის გამრავლებისათვის თითქმის ყოველი წინადადების ბოლოს იმეორებს: „მეგობარო, შენ სად ხარ ამ დროს?!... მოუხედავად იმისა, რომ „წვიმა შემომისინებს ნაღვლიან სიმღერას“, „არემარე შავ ბურუსშია გახვეული და ტრიალ შინდორში ქარი ღმუის“, შას ღრმად სწამს, რომ სწრაფად გამრავლდება რიცხვი ადამიანებისა, რომელნიც ჩაგრულს „მხარზე ხელს ჩამოადებენ“, „გაამხნევებენ“ და ეტყვიან: „მეგობარო, ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია! გამოვა დარი... იმედი და სულ იმედი დაისადგურებს“.

ასეთია 900-იანი წლების სინამდვილე, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში გამოხატული. უსათუოდ რეალისტურია ამ სინამდვილის ჭოლასეული ასახვა.

900-იან წლებში აქტიურად წარმოებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიერ დარაზმულ რევოლუციურ ძალთა პირველი დათვალიერება. საქართველოზე უკვე გადაიარა თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშების 1898 წლის გაფიცვის ტალღამ, ტრამვაის, ადელხანოვის ტყავის ქარხნის, ბოზარჯიანის ფაბრიკის მუშების, მლაშე ტბის რაიონში შეკრებილი 500 მუშის ფართო პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა. რევოლუციური შეგნების მაღალ დონეზე მდგომნი უკვე ხედავდნენ მკაფიო სურათს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისას, რომელიც მტკიცე ნებისყოფის მშრომელთ მომავალში მოელოდათ. ჭოლა ლომთათიძის მძაფრი პოეტური სიტყვის მთელი ძალა ამ დროს მიმართულია მებრძოლ კლასთა შეგნებაში იმ რწმენის შემუშავებისაკენ, რომ თვითმპყრობელურ-კაპიტალისტურ სახელმწიფოს მიერ საუკუნეების განმავლობაში ნაგები შენობის დანგრევა აუცილებელია ქართველი ერის განახლება-სიცოცხლისათვის. ეს შესაძლებელია მხოლოდ ძალისადმი ძალის დაპირისპირებით, რევო-

ლუციური ბრძოლით და არა დროებითი წარუმატებლობის გამო წუწუნითა და მოთქმა-გოდებით.

— „მაშ, როგორ გეგონა, — ეუბნება სანდრო ბრძოლის სიძნელით შეძრწუნებულ ვანოს, — დაუშტვენ და მოვა, დაუძახებ და შენს წინ გადაიშლება სამოთხის ბედნიერება, მოისურვებ და ციური სამეფოს ბოგდიხანი გახდები? აგრე ფიქრობ განა? ჰა, ჰა, ჰა! ბავშვი ხარ, ბავშვი, ჩემო ვანო!“ („მატლი“).

რითაა ნასაზრდოები ის „სევდა და ვარამი“, რაც გადმოანთხია ვანომ სანდროს წინაშე, და ამ უკანასკნელისაგან თანაგრძნობა მოითხოვა?

— „აბა ერთი დაფიქრდი, მინდა ვიშრომო, მინდა თავი ვირჩინო, მინდა მეც კაცებში გავერიო და ამის მაგიერ გსრესენ, ტყავს გაძრობენ, ფეხ-ქვეშ გთელავენ“, — ამბობს ის.

სანდრო სისულელედ ნათლავს ვანოს სევდას. „იმას არ წამს ბედის სამდურავი... უღონობის გამხელას ვერ ითმენს, ...წინააღმდეგია ისეთი კვნესისა, რომელშიც მუქარა არ გამოისმის, მასში ზიზღს იწვევს სულით დაცემა“ და მეგობრის წუწუნს მაღალ რევოლუციურ შეგნებას უპირისპირებს.

— „ტირილითა და ვიშით ისე ვერას გააწყობ, — ეუბნება ის ვანოს, — როგორც ჩვენ ბატონებთან ვერ დაამტკიცებ, რომ ეს გეჭირია და არა ის, რასაც ისინი გვაწოდებენ. მაგის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგანაც საწინააღმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს?“

ვანო განსახიერებაა იმ გათვითცნობიერებული წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენციისა, რომელიც ბრძოლის პირობებს მოითხოვს, უმოქმედებას სათანადო საშუალებათა უქონლობით „ობიექტური მიზეზებით“ ხსნის... „როგორ უნდა იბრძოლო მშიერი კუჭით, როდესაც ისე გაქვს გადაფარებული თვალებზე ნისლი რომ ცხვირის წინ საგანი ვერ გაგირჩევია“, —ასეთია მისი ფილოსოფია.

მწერალმა ამ საცოდავ ფილოსოფიას დაუპირისპირა „წინასწარმეტყველებით თვალებანთებული“ სანდროს მრწამსი: „— არაფერია! — ეუბნება იგი ვანოს, — ეშმაკი არც ასეთი საშიშია, როგორც გვიხატავენ, თუ კი გსურს, რომ რაიმე გააკეთო, თუ კი გსურს, რომ სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნიო — კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს... სამაგიეროდ გული უნდა ასაზრდოვო, გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდამ უნდა გიზგიზებდეს, და ეი მაშინ, დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება, ის ისეთი საიმედოა, როგორც დედის სიყვარული, და ისეთი მძლე, როგორც უკვდავება“.

ეს წინადადება ის კვარცხლბეკია, რომელზედაც ჰოლა ლომთათიძემ დააყრდნო მებრძოლ უპოვართა მიზანსწრაფვა და დიდ მხატვრულ სიმძაფრესაც მიაღწია, დამფრთხალი კურდღელივით გაიგდო რა წინ ობივატელთა სიცოცხლის არსის განმსაზღვრელი სამი სიტყვა, სამი ანტირევოლუციური და უნიათო ბგერათა კომპლექსი: „დაჭკვიანება“, „მოთმინება“ და „კმაყოფილება“. მწერლის ღრმა რწმენით სულის ამ სამ თვისებას უნდა გაეთხაროს ღრმა სამარე, რათა გზა გაეხსნას მებრძოლ ძალებს, შემმართებლობის ნიშსა და შეუპოვრობას.

სულის სიკვდილი, „დაჭკვიანება“, — ეს წელკავია ჩვენი, ეს ისეთი მათრახია, რომელიც, სოფლურად რომ ვთქვათ, ღდინს ართმევს, არაქათს ულევს კაცობრიობას“. ამ სენის წყალობით არის, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეულა. შეგნებული, პატიოსანი ნაწილი საზოგადოებისა სიმაძღრის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალღონით უნდა ამხედრდეს. „ისტორია კაცობრიობისა — ეს განუწყვეტელი ბრძოლაა „დაჭკვიანებასთან!“ ვის ებრძოდა ვოლტერი, შილლერი, ჰიუგო, დიკენსი — „დაჭკვიანებას!“ ვინ აწამა ბრუნო, გალილეი და სხვები? — „დაჭკვიანებულებმა!“ ვინ სდევნის დღეს მეცნიერებას, კულტურას,ნათელ აზრს? — იგივე „დაჭკვიანებულები“. „დაჭკვიანება“! — ამ სიტყვაზე მე თვალწინ მიდგება უსულო ადამიანი, ცოცხალი მიცვალებული, მგლური თვალებითა და კბილებით, მიდგება თვალწინ გაბატონებული მუცელი და დამონებული სული, ადამიანი, რომელსაც ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს თავისუფლებასთან, რომელიც მომკვდარა—როგორც ადამიანი და ცოცხალია — როგორც პირუტყვი. „დაჭკვიანება“ — ეს დღესასწაულია ღორის და წესის აგება ადამიანის, მე ვერ წარმომიდგენია „დაჭკვიანება“ და ადამიანობა ერთად, დღიდან ადამიანის გაჩენისა ეს ორი ელემენტი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია და აი, ეს ბრძოლა არის წითელი ზონარი ისტორიისა, ამ ზონარზეა აკინძული ყველა ფაქტი ადამიანის წარსულისა... ბედნიერია ის კაცი, რომელიც ისე მომკვდარა, რომ არ „დაჭკვიანებულა“, თუ ინატროს კაცმა, ასეთი სიკვდილი უნდა ინატროს!“... („მატლი“).

ეს ლეშით გალაღებული, სულიერად მკვდარი თვინიერი „ჭკვიანები“ იყვნენ სიკვდილმისჯილ უშიშარ რაინდს, ჯეირან ვარდოსანიძეს რომ წარუდგნენ და თავიანთი კმაყოფილება ასე გამოთქვეს: „ჩვენ არავინ ჩამოგვახრჩობს, ათასი მეხი რომ დაგვარდეს ჩვენ არ

დაგვეცემა, იმიტომ რომ ჩვენ დაბალი ვართ, მეხი კი მაღალ საგნებს ეტანება... მაღლობა ღმერთს, ჩვენ არავინ დაგვახრჩობს... ჩვენ არ გვიშავს რა, იმიტომ რომ ჩვენ ჭკუიანები ვართ, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა თამაში, ვიცით ცხოვრების ხვრელები და დავძვრებით, მაღლობა ღმერთს, დავძვრებით ისე, რომ ფეხს არ წაიტეხთ, არაფერი დაგვიშავდება" („სახრჩობელას წინაშე").

პოლას შეხედულებით, „დაჭკვიანება" ადამიანის მოსყიდვაა და დამორჩილებაა, თუ ვინმე სურთ გაახუმრონ და სიმართლე არ ათქმევინონ, მას სადილად პატიჟობენ; „მგელი ორწილად გაბედული და ღონიერი მაშინ არის, როდესაც შია".

დაჭკვიანების პირმშოა მოთმინება — უნარი ბოროტებასთან შეგუებისა, უარყოფა თავისუფლებისათვის ბრძოლის გზისა, უებარი მალამო მახინჯი საზოგადოებრივი ფორმაციის მარადიული არსებობისათვის.

„ — ჰმ, მოთმინება, — განაგრძობს სანდრო, —აი ის წყეული ჯაჭვი ამირანისა, რომლისგანაც არ იქნა და არა, ვერ გაითავისუფლა თავი ამ უებრო გმირმა. მოთმინება — ეს თითქოს ჩაქუჩია, რომელმაც უნდა ამსხვრიოს ადამიანის სურვილიცა და მისწრაფებანიც! აი, ამ წყეული „დაჭკვიანების" მკვიდრი შვილი — მოთმინება! არა, ძმავ, მოთმინებით ჩვენ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყანას, ეს დრომოჭმული მცნებაა, რომელიც სამუდამოდ უნდა ამოიშალოს თავიდან. მოთმინება და იმედი კი არა, ბრძოლა და იმედი!" („მატლი").

კმაყოფილება კიდევ უფრო მტკიცედ აკავშირებს ერთმანეთთან მონობის ჯაჭვის რგოლებს. იგი წელში გასდგომია კაცობრიობას, როგორც განუკურნებელი სენი და მუსრავს დიად მცნებას — თავისუფლების სიყვარულს, თავის მოვალეობას ავიწყებს ამ ქვეყნად მარადი მოძრაობისა და განახლებისათვის დაბადებულს ძეს კაცისას.

„კმაყოფილებავ, შენ წელკავო კაცობრიობის, მოსისხლე მტერო კეთილშობილთ გულის ტკივილთა, სატანის შვილო, მომწამველო ჩვენი ცხოვრების, შავ ძალთა მიერ ამა ქვეყნად წარმოგზავნილო ღვთის დიდი მცნების — სიყვარულის — შესამუსრავად"... ასე მიმართავს მას მწერალი („ზღვა").

ეს მებრძოლთა მოქმედების ფილოსოფიაა, სამშობლოს ხსნისათვის პრაქტიკულ ბრძოლაში ჩაბმისაკენ მომწოდებელი ძახილი, აყვანილი მხატვრულ დონემდე, და არა ცარიელი სიტყვები, კვნესა, მოლიბერალო ინტელიგენტის ფრაზებით ვარჯიში. სანდროს ბრძო-

ლა იტაცებს და არა ბრძოლის შესახებ ღალადისი, მისი ლამაზი სიტყვები მწერლის გამმარტებით, „ლამაზივე გულიდან“ მოდის, რათა გამანადგურებლად შეუტიოს „ლამაზი სიტყვის ჯურჯლებს“... რომლებიც „გამოძვრებიან... ამბობენ ლამაზ სიტყვებს, ზრდილობიანი რევერანსით დაგიკრავენ თავს და მიდიან“, რათა შემდეგ შეჯგუფდნენ და შებრძოლთა ნაცვლად შექმნან „ვეებერთელა ციფრი — მეოცე რიცხვი“... რომელიც ნთქავს ლამაზ სიტყვებს, ისე როგორც ლამაზ ქალებს ნთქავს ხოლმე სხვადასხვა მოდები, ტკბილეულობა“.

„მატლი“ გონიერული დიდაქტიკით შეზავებული მძლავრი პროტესტია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ბუნების წინააღმდეგ მიმართული, ხოლო მისი ავტორი — ახალი რევოლუციური დემოკრატიის მებუკე და „ჰკუიანთა“ ბრალმდებელი.

900-იანი წლების რევოლუციურმა სინამდვილემ ბრწყინვალე ასახვა ჰპოვა „მატლში“. ამ ნაწარმოების ორი გმირი ვანო და სანდრო უაღრესად რეალისტურად გვისურათებენ იმდროინდელი ინტელიგენციის ორ ფენას — მებრძოლს, რევოლუციურს და მოწუწუნეს, წვრილბურჟუაზიულს.

უკუაგდო რა „ჰკუიანთა“ მონური „ფილოსოფია“, ჰოლა ლომთათიძემ 900-იან წლებში შეძლო სინამდვილის ასახვა რევოლუციურ პერსპექტივაში, შექმნა აწმყო და მომავალი რევოლუციური ბრძოლების საღი რომანტიკა, გამოთქვა აღტაცება და სევდა მომავალი წარმატება-წარუმატებლობის გამო მშრომელთა გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. მწერალი წერის საკუთარ მანერას მოხუცს პირით ასე გვაცნობს: „მე, გარშემო საზოგადოებაში მყოფი მხოლოდ ლეშით, სულით სანატრელი მომავლის ჭუჭრუტანებში ვიცქირებოდი და ჩემი არსება სტკბებოდა სხვადასხვა მომხიბლავი სცენების ჭვრეტით. ეს ცალი ფეხით მომავალში ყოფნა, მე ხშირად წაპოვაძახებდა რაღაც ისეთ რამეებს, რასაც სხვები ვერ გაიგებდნენ, ვინაიდან არასოდეს არ ენახათ იმათ ის“ („სიცრუე“).

ჰ. ლომთათიძის შემოქმედების ამავე პერიოდს ეკუთვნის: „ზღვა“ (1902 წ.), „ტალღები“ (1902 წ.), „ნაზარეველი აღსდგა“ (1903 წ.), „აქრე სანთელი, აქრე, მე მაინც ავანთებ მას“ (1902 წ.), „კვლავ ფიქრი, ფიქრი“ (1903 წ.), „სიცრუე“ (1903 წ.).

მღელვარე ზღვა და დაუდეგარი ტალღები სიმბოლური სახეებია გალვიძებული ცხოვრების, ბრძოლის, შემართების, რაც „ჰკვიანების“ მოთმინებას და კმაყოფილებას უნდა დაუპირისპირდეს. „ჰკვიანთა“ მიერ ნაქადაგევი კმაყოფილება და მოთმინება რომ ძლიერებასაც კი მჩვრად აქცევს, ამას ნათლად გვიჩვენებს დაძინებული ზღვა, სიბინძურით და სივაგლახით ამოვსებული.

პოეტის ცოცხალი სიტყვა მილიონების აღმაფრთოვანებელი და „ბნელეთის შვილთა“ დამაფრთხობელი მართალი, რევოლუციური სიტყვაა — „ცოცხალო სიტყვავ, კმაყოფილთა მოსისხლე მტერო. სად იყავ, სადა, დიდებულო მშვენებავ კაცთა, რომ არ აუწვი ზღვას სირცხვილით შუბლისა კანი?... ოჰ, შენ სიწითლევ სირცხვილისა, რა კარგი რამ ხარ, როგორ უხდება ცხოვრების კანს შენი პერანგი! განა შენ არ ხარ საძირკველი პატიოსნების? შენ არ ანათებ სინდისის სავალსა გზასა? კეთილშობილთა კვნესის შემდეგ შენ არ გეეწვევი? შენ არ აწევხარ მძიმე ტვირთად საუკუნეთა? შენ არ აშინებ და ძილს უფრთხობ ბნელეთის შვილთა?... და დააძინა რა დიდი ზღვა „კმაყოფილებამ“, შენ დაგამარცხა, სანატრელო მერცხალო ცისა“ (ზღვა“).

როგორც ვიცით, „აშიკთ შეფე“ მთვარემ, ძირში დალექილი სიბინძურის დანახვებით, გამოაღვიძა კმაყოფილების მიერ დაძინებული ზღვა, დააყენა მოძრაობის და თვითგაწმენდის სწორ გზაზე. პოეტს ღრმად წამს, რომ საზოგადოებაც გაიწმინდება-განახლდება. ამ განახლებისათვის მიმართავს ის ცოცხალ რევოლუციურ, გამომაჯანსაღებელ სიტყვას და განთიადის დადგომის, „მიზნად სახული სიყვარულის“ დამკვიდრების ღრმა რწმენასაც გამოთქვამს.

— „შენ, სიყვარულო, ამა ქვეყნად მიზნად სახულო, შენ ერთადერთო საფუძველო ჩვენი იმედის, შენ მაშინ მოხვალ, როცა, ვით ზღვა, გავიწმინდებით!... ძუძუ მსუქანი მოუცია შენთვის ბუნებას, მაგრამ უბადრუკთ ჯერ მის გემო არ გვიწვნევია!... ჰო, მოხვალ, ვიცი, მაგრამ როდის, როდის, იმედო, როდის იქნება დაღალულნი ჩაგეკრათ გულში!“ („ზღვა“).

რადგან „ჯერ თაის სრულ უფლებაშია“ „კმაყოფილება“ და ჩვენი გულის სიღრმეში ჩაფლულ სიბინძურეს ნანატრი სხივი ოდნავადაც არ მინათებია, მწერალი მოუხმობს მებრძოლ სახეებს — ტალღებს.

— „ოჰ, დიდებულო, ტალღავ, რა მიყვარხარ შენ! მოდი, სანატრელო!“... მიმართა მან ტალღას, რომლის წინამეც ყოველის შემძლემ — სიმშვიდემ და სიწყნარემ — „თავისი სისუსტე აღიარა“ („ტალღები“).

მეტად ცოცხალი და მიმზიდველი სახეა ჭოლოსთვის ტალღა. იგი შეუმჩნეველად წამოეპარა მგოსანს, როცა ეს უკანასკნელი ზღვას გაჰყურებდა, მღვრიე წყალი შეაჩქეფა თეთრ შარვალზე და, თითქოს დასცინისო, „ხარხარით უკანვე გასწია“. მაშინ არ იცოდა პოეტმა ტალღის ფასი და სძულდა იგი, მაგრამ შემდეგ, გაიგო, რომ „გული ჩვენი იგივე ბუდე არის ტალღებისა“, „ძმობილი და მონათესავეა“ მისი, „კმაყოფილებით“ დაჭიანებული გული სიბინძუ-

რეს ქმნის, ხოლო აზეირთებული ტალღებით სავსე მუდამ ბრძოლისკენ მიიწევს.

ბრძოლა მშრომელ ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის ჰოლას პოეტურ ფანტაზიას სამართლიანად ესახება სინათლესა და სიბნელეს შორის ბრძოლად.

ზამთრის ბნელ ღამეში ჩაფლული ადამიანები „მომავალი განთიადის მოლოდინში" „შეძლებისდაგვარად საშუალებას არ ზოგავდნენ", რათა ბედნიერად ეცხოვრათ, მაგრამ „ავი ღმერთი სიბნელისა, ღმერთი, რომელსაც დაეპყრო ბნელეთი, ხელს უშლიდა ამ კანონიერ ცდას". ეზოში მიმალული ის ელოდებოდა სინათლის გამოჩენას, რომ იმას „გაეღო კარი და შევარდნილიყო შიგ". იგი „შეუბრალებლად აქრობდა" სინათლეს, მაგრამ „სინათლის ღმერთი" იმ წამსვე ანთებდა და დაბეჯითებით იმეორებდა: „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას". ბოლოს სინათლის ღმერთი დარჩა გამარჯვებული, მის ანთებულ სინათლეს განთიადმა მოუსწრო. „ჰზე ამოვიდა. ახლა აღარ იყო საჭირო ცეცხლი და ამაო იყო სიბნელის ღმერთის გულმოდგინებაც", — ასე ოპტიმისტურად განსჯვრიტა პოეტმა გამარჯვება რევოლუციისა, ხსნა სინათლისათვის მებრძოლი ჩაგრული ხალხისა („აქრე სანთელი, აქრე, მე მაინც ავანთებ მას").

უაღრესად ოპტიმისტურია ჰოლა ლომთათიძის „ნაზარეველი აღსდგა". ეს ნაწარმოები მართლაც ორიგინალური მხატვრული წინასწარჯვრეტაა 1905 წლის რევოლუციის დროს აბობოქრებული მშრომელი ხალხის მარცხისა და თავისუფლებისთვის თავდადებულთა კვლავ აღდგომა-გამარჯვებისა, ქრისტეს წამებისა და აღდგომა-ამაღლების სიმბოლური ჩვენებით.

მწიგნობრებმა და ფარისეველებმა გაამტყუნეს იესო. „მართლის მთქმელი სიცრუის მთქმელად დასახეს". „ტყვირთმძიმენი და დამშვრალნი" დამარცხდნენ. რაბინები ზეიმობდნენ გამარჯვებას, მაგრამ გეთსიმანიის ბაღი გაანათა ნათელმა, ქრისტე აღდგა.

„ჩვენ ხუ დავინახავთ, თვალები დავხუჭოთ! — წამოიძახა რაბინმა და პირქვე დაემხო.

— ნურც დავინახავთ ნურაფერი სიკეთე! — დაიკვნესა ბუჩქებში მიმალულმა ტოროლამ, ფრთა ფრთას შემოჰკრა და მხიარული გალობით აინავარდა ზეცისაკენ.

პირქვე დამხობილი რაბინი და ფარისეველები კი ჩუმი წყევით შეხვდნენ გათენებას. მათთვის ახლა იწყებოდა საღამო..." („ნაზარეველი აღსდგა").

ნაზარეველის აღდგომისა და ფარისეველთა აუცილებელი განადგურების ეს სიმბოლური სურათი 1905 წლის რევოლუციის და-

მარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის მთელი ათეულ იწლის განმავლობაში ყველა ჟურნალ-გაზეთის, პროგრესულად განწყობილი ყველა ქართველი მწერლის მუდმივ თემად იქცა. თითქმის ყველ· რედაქცია და ყველა მწერალი ამ გზას მიმართავდა ყოველ აღდგომის მებრძოლ მშრომელთა გასამხნევებლად.[113] უფრო მეტიც, არაერთ მწერალს პირდაპირ გადაჰქონდა ჭოლას სახეები. ზოგიერთი კი მის მითვისებასაც არ ერიდებოდა.

„ცხოვრების საქმის“ სააღდგომო ნომერში წაიკითხავდით ილია ბახტაძის „დამნაშავეას“—წერდა ჭოლა 1901 წელს სარატოვის ციხიდან სილ. თავართქილაძეს, — გთხოვ მონახო „კვალის“ 1902 წ. სააღდგომო ნომერი და იქ მცირიშვილის „ნაზარეველი აღსდგა!“ ნახავთ მაშინ, რომ ქურდი აღდგომასაც ქურდია“... ჭოლა მართალი იყო. ილია ბახტაძის „დამნაშავეა“ მთლიანად გადაწერილია ჭოლასაგან. საილუსტრაციოდ მოგვყავს ადგილები ორივე ნაწარმოებიდან.

„ნაზარეველი აღსდგა“:

„გაამტყუნეს!... მართლის
მთქმელი სიცრუის მთქმელად
აღიარეს,
მერცხალი უკეთესი ცხოვრებისა
სატანის კერძად მიიჩნიეს!...
მეგობარი კაცთა—იესო ტკბილი-
დამარცხდა და გოლგოთის მთა,
ავაზაკთა სისხლით მორწყული,
უნდა გაპოხიერებულიყო წმინდა
სისხლით. გაამტყუნეს იესო!...
მას ერთ დღეს ასამართლებდნენ.
ერთდღეში უნდა ძლეულიყო ძმა
„ტვირთმძიმეთა და დამაშვრალ-
თა“. რაბინი მხიარულობდა.
ბოროტებასაც აქვს ნიჭი მხიარუ-
ლებისა. შესანიშნავი წამი იდგა.
ორი ძალა — კეთილი და ბოროტი — პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს და ამით ისტორიაში მოიკალათეს...
რაბინი რამდენიმე ფარისეველთან ერთად სახლის მოაჯირზე გადაწოლილიყო, დიდხანს დას-

„დამნაშავეა“:

„გაამტყუნეს! იესო ქრისტე კაცობრიობის მხსნელად მოვლინებული, პირდაპირი, მართლის მთქმელი მოღალატედ და სიცრუის მთქმელად აღიარეს. საამურად მოჭიკჭიკე მერცხალი, მახარობელი უკეთესი, მშვენებით აღსილი ცხოვრებისა, სატანის კერძად დასახეს. გოლგოთას მთა, ავაზაკთა სისხლით მორწყული, სპეტაკი ქრისტეს სისხლით შეღებეს. იესო გაამტყუნეს!! ტვირთმძიმეთა და დამაშვრალთა ძმა ჯვარს აცვეს, მშვენებით აღსილი ქრისტეს თავი ეკლის გვირგვინით შემოსეს, ნათელი შუბლი „ნაზარეველისა“ უმანკო

[113] მაგალითისათვის იხ. 1911 წ. „ცხოვრების საქმის“ სააღდგომო ნომერში ალ. აბაშელის „აღდგომა“, გ. ქუჩიშვილის „სააღდგომო“. უცნობი ავტორის ლექსები, უცნობი ავტორისეე მოთხრობა — „აღდგომა დღეს“ და სხვ.

ცინოდნენ ისინი იუდას, რომელსაც თავი ჩამოეღრჩო, დიდხანს დასცინოდნენ იესოს, რომელიც ღმერთად აღიარებდა თავის თავს და ახლა კი გულხელდაკრეფილი ასვენია შავ სამარეში. ეჰსობაში შუაღამემაც მოატანა. ფარისევლებმა წასვლა დაიპირეს, რომ უცბად ერთმა არაჩვეულებრივმა მოვლენამ მიიქცია იმათი ყურადღება.

იმ მხარეს, საითაც გეთსიმანიის ბაღი იყო, რაღაც ნათელი გამოჩნდა, რომელიც თანდათან მატულობდა. იმათ უცქეროდათ ეს, და უფრო დააკვირდნენ. იმათ თვალებს ვეღარ თელა ალი დაუდგა წინ.

—არიქა, ვუშველოთ, იერუსალიმი იწვის! — წამოიძახა რაბინმა და ზეზე წამოიჭრა. სხვებიც წამოდგნენ.

— იერუსალიმი კი არა, ეს ნაზარეველი აღდგა მკვდრეთით!— ჩასჩურჩულა იმათ რაღაცამ და გაქრა.

— ეს ვინ იყო, რაბინ! — იკითხა ზარდაცემულმა ფარისეველმა.

— ვინ იყო, ნაზარეველი აღდგაო რომ გვითხრა?—წამოიძახა მეორემ.

— ვინ იყო? ვინ იყო? — დაიღრიალა რაბინმა.

—იესო ნაზარეველი, რომელიც თქვენ აწამეთ, მკვდრეთით აღსდგა! ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო!... მკაფიოდ გაისმა ჰასისხლით დანამეს.

რაბინი მხიარულობდა, ფარისეველნი და მწიგნობარნი განცხრომას მისცემოდნენ. შესანიშნავი, დიახ ფრიად შესანიშნავი წამი იდგა, — ბოროტი და კეთილი — პირისპირ შესცქეროდნენ ერთმანეთს. რაბინი მხიარულობდა, უტიფრად დასცინოდა იესოს გულხელდაკრეფილს შავ სამარეში...

„აი ეგ არის თქვენი ღმერთი, ღმერთი სათნოებისა და სიყვარულის!“ ბოროტად იცინოდნენ ფარისეველნი და მწიგნობარნი. მხიარულებას ბოროტებისას საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ ჰა, შუაღამემ მოატანა. გეთსიმანიის ბაღში ნათელი გამოჩნდა. ნათელი გადიდდა, გაიზარდა!!! ვუშველოთ, იერუსალიმი იწვის! დასძახა რაბინმა.— მას ბანი მისცეს მწიგნობარ- ფარისევლებმა, „იერუსალიმი კი არა, ეგ იესო აღდგა მკვდრეთით“. ჩასჩურჩულა მათ იდუმალმა ხმამ. რაბინი გაფითრდა, მწიგნობარ-ფარისეველთ ელდა ეცათ.

— ბოროტება დამარცხდა, სიმართლემ გაიმარჯვა!!!

ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო!

თქვენ კი, მკითხველო, გიხაროდეთ, მზე კაშკაშებს, ჩიტები ჟღურტულებენ, პეპელა საამოთ დაწაფებია ყვავილს, ბუნება მხიარულია, საამური ზარის რეკვა გვამცნევს ძე კაცის აღდგომას; რაბინი ტირის, ბოროტება

ერში და ალიც საყოველთაოდ კეწესის, ჰეშმარიტება იმარჯხილულ იქნას ვებს“.[114]

ი. ბახტაძეს გამოუტოვებია პირველი აბზაცი ჰოლას მოთხრობიდან, აგრეთვე ჰოლას შესანიშნავი თქმა, არაერთხელ გამოყენებული და ორიგინალურად გასაღებული ჩვენს დროშიც: „ისტორიას აქვს ისეთი კანონი, რომლის წყალობით უდიდესი ბოროტებაც კი ხდება უკვდავად, მისი სახელი ისეთი ასოებით აღიბეჭდება ხოლმე, რომ იმას ვერც ჟამი და ვერც მანძილი ვერ დაჩრდილავს, ვერ გადააფარებს თავის კალთას. უკვდავებას ქრისტესას გვერდში ამოუდგა შავით მოსილი უკვდავება იუდა ისკარიოტელისა, ერთმა კოცნამ მოციქულისამ გაჰკაფა გოლგოთაზე მიმავალი გზა“... და მიუცია ნაწარმოებისათვის აგრეთვე „ორიგინალური“ დაბოლოება. ეს ოპერაციები, როგორც ამას ჰოლაც შენიშნავს, ამ ნაწარმოების ღირსებას მხოლოდ ამდაბლებს.

უაღრესად საღია ის ფანტასმაგორია, რომელსაც ჰოლა ლომთათიძე „სიცრუეში“ მიმართავს. მომავალ რევოლუციაში დამარცხებულ მებრძოლთა მომავლის ასახვის ეშვიათ ნიმუშთან გვაქვს აქ საქმე. ძლიერ, ნათელ გონებას და ჭლექის ბაცილებით დაფლეთილი ნერვების თრთოლვას თუ შესწევთ უნარი დაუბადებელ წლებში ასეთი უტყუარი პოგრიტით ცქერისა.

როგორც ვნახეთ, ავტორი დასაწყისშივე მიუთითებს, „რომ ცალი ფეხით მომავალში“ დააბიჯებს მხატვრული ნაწარმოებების შექმნისას. ამიტომაა, რომ მის მოთხრობებში სიუჟეტის განვითარებას ხშირად შინაგან განცდათა გადმოცემა ცვლის.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა პოლიციელმა დაპატიმრებული რევოლუციონერი „ქალაქის განაპირას აშენებულ, მოწყენილსა და სასტიკ შენობის რკინის კარებს“ მიაყენა. მტკიცე ნებისყოფის მებრძოლი ადამიანური უფლების არც ერთ „წვრილმანს“ არ სთმობს. ორლესული მახვილით ტრიალებს მკითხველის წინ ავტორი: იგი ძლიერ გამუქებული საღებავებით ხატავს სატუსაღოს ადმინისტრაციას, ყოველგვარ „ნორმებსა“ და „წესებს“ მოკლებულს და მათ თანამგრძნობთ „თავისუფალ“ საზოგადოებაში, მიუთითებს უფლებამოსილ ჯალათთა უკაცურ ქცევაზე; მწერალი ახერხებს ერთი ფრაზის მოქნევით დაგვანახოს შინაგანი სილატაკე „ზოგიერთი ნათესავის, მისი დედინაცვლისა“ და მათი თანამგრძნობი „ქმაყოფილებისა“,

[114] იხ. „ცხოვრების საქმე“, 1911 წ., № 1, 10/IV.

რომელთაც ჰგონიათ „ციხე და სალდათობა საუკეთესო სკოლაა ისეთი გიჟებისათვის“, როგორიც რევოლუციონერები არიან.

ადამიანის დამცირებაში დაგეშილმა მეციხოვნეებმა „ძაღლივით მიაგდეს“ პატიმარი და წავიდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა შესძლო დაერწმუნებინა თავისთავი მწუხარების უსაფუძვლობაში:

არა არის რა სამწუხარო და სავალალო, თუ კი ადამიანი ჰკარგავს იმას, რაც არასდროს არა ჰქონია, მეფის რუსეთის იმპერიაში ხომ ყოველი ნათელი და თავისუფალი აზრი, ყოველი ადამიანი ტყვე არის მუდამ.

„რა მიზიდავდა გარეთ ასე ძლიერ მაშინ, — კითხულობს ის, — განა ეს ქვეყნიერებაც იგივე საპყრობილე არ არის და ადამიანები იგივე მცველები არ არიან ამ ვეებერთელა საპყრობილის, რომ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ფეხი არ დაადგმევინონ ზედ?“

მაშასადამე, მეფის რუსეთის სატუსაღოში ყოფნა ჭოლას ტუსაღობის ახალ ფორმად ესახება და არა თავისუფლების დაკარგვად. პოეტის მოწოდება—„წავიდეთ, წავიდეთ წინ, ნუ გეშინია! არ შეირცხვინო თავი, არ შეშინდე, ლაჩრებს რა უნდათ წინ? ლაჩრები ყოველთვის უკან არიან! შენ კი წინ ხარ — შენ არ ხარ ლაჩარი. მაშ, გავწიოთ წინ!“ — მიმართულია იმპერიის ყველა (სატუსაღოში და მის გარეთ მყოფ) პატიმრისადმი.

ჱწერლის „მე“-სთან დამეგობრებული ჭლექიანი ლევანის ცხოვრება 1905 წლის შემდგომდროინდელი ავტობიოგრაფიაა ამ ნაწარმოების ავტორისა; ავტობიოგრაფია — საკმაო სიზუსტით შედგენილი, მოკრძალებული და პოეტიზირებული. 1903 წლის „კვალში“ დასტამბული „სიცრუის“ საკუთარი თვალით გასინჯვისას თითქოს მზადა ხართ ირწმუნოთ საიქაოდან მობრუნება ავტორისა 1907-1915 წლების საკუთარი ცხოვრების აღსაწერად.

ეს პირველი ნაწარმოებია, სადაც ჭოლამ დაკარგა ზღვარი პირად „მე“-სა და ნაწარმოების მთავარ ვმირს შორის, მიმართა ხერხს, რომელიც შემდეგ მთელი მისი პოეტური ამეტყველების დამახასიათებელ ფაქტორად იქცა.

ლევანი იგივე ტუსაღი ჭოლაა, კოხის ჩხირების მიერ დახრული ფილტვებით და მონოლითური სულით, ცხოვრების დაღმართზე შემდგარი ფიზიკურად, ისტორიის წარმმართველი აღმავალი კლასის ტრიბუნი და დაჯერებული სოციალ-დემოკრატი, ყოველი კითხვის პასუხად ჯიუტად რომ იმეორებს:

— „აბა, წინ, ძმებო! წინ მედგრად, წინ საერთო ძალით! მან საკუ-

თარი თვალით „წინასწარ დაინახა“, თუ როგორ გაიმართა წელში მშრომელთა არმია „და მედგარმა გმირულმა სიმღერამ შეანძრია მიდამო, დატრიალდა ჰაერში. მისი ტალღები დაეჯახა ერთმანეთს და გუგუნით მოეფინა მთასა და ველს:

...მაშ, წინ, ძმებო
წინ, გმირებო!
ავასრულოთ ღვთისა თქმული,
ქვეყანაზე გავამეფოთ
ერთობა და სიყვარული“ („სიცრუე“).

ლევანმა დაინახა, თუ როგორ დაირაზმნენ მის გარშემო მშრომელნი და „მასთან ერთად მიდიოდა ათასი სხვა, ახლა ათასნაირი ხმა ესმოდა, ათასნაირი იმედი სხვადასხვა ენაზე“; დაინახა, თუ როგორ მიდიოდა წინ გამოფხიზლებულ რევოლუციურ ძალებთან ერთად ყველაფერი — ცაც და ხმელეთიც, ზღვაც და მდინარეც, იძროდა ყველაფერი ის, რაც მუდამ უძრავი იყო... და „სადღაც შორს, უკან“, რჩებოდა... „შავი და მრისხანე შენობა“, ხალხთა საპყრობილე, იმპერია — ტუსაღთა მცველი ტუსაღებით.

ლევანის სახით დახატული „მე“-სთვის სისხლხორცეულია ყოველივე ის, რაც საზოგადოებრივ ცხოველს აღელვებს და ამოქმედებს. „მე იმთავითვე შევატყვე მას, — ამბობს ავტორი ლევანის შესახებ, — რომ ის რაღაცას მიფარავდა, რაღაც ისეთს, რომელიც თავისუფლების წართმევაზე ნაკლებ არ სტანჯავდა მას“. ეს დაფარული „რაღაც“ იყო სიყვარული იქ, „იმ მოსაწყენ და ველურ საზოგადოებაში, მაძღართა რიცხვში“ მყოფ მაროსადმი.

რევოლუციურ-დემოკრატიულ მწერალთა აბსოლუტური უმრავლესობის შემოქმედებას უაღრესად ცალმხრივად გაგებული სოციოლოგიზმი ახასიათებდა. 900-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში უმეტესად მოჩანან მებრძოლნი — იდეით გატაცებულნი, დახახული მიზნის სასწრაფებლოდ ყოველგვარი პირადულის გამწირველნი; უპირატესად პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯახებით ქმნიან ამ დროის მწერლები კოლიზიას. პირველი დათრგუნვისა და მეორის გამარჯვების ჩვენებით აღწევენ სასურველ მხატვრულ შედეგს.

ჰოლასთან ვერ ვხედავთ პირადულისა და საზოგადოებრივის მკვეთრ დაპირისპირებას, ასე დამახასიათებელს მისი ეპოქისათვის; პირიქით იგი ცხოვრების ამ ორ მხარეს ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს და აგდებულად იხსენიებს ავტორიტეტებს, რომელთა აზრით, ყოფის ჟანტიმით საზოგადოებრივი მახინჯდება.

„ჩვენ რად გვრცხვენია, — გაკვირვებით კითხულობს ის, — ცოტათი მაინც ვუწილადოთ ჩვენი გრძნობა ჩვენს პირად სურვილებს. პირად გატაცებებს? განა ცრუმორწმუნეობა არ არის ეს — გრძნობათა დაბორკვა?“ („საპყრობილეში“).

„აბა ყოველთვის ზედმეტი ღირებულების თეორიაზე ხომ არ უნდა ვილაპარაკოთ“, — ეუბნება ვაჟი ქალს, რომელსაც ეუხერხულა „ასეთ დროს“ პირად გრძნობებისაკენ დახევა („უსათაურო“).

სრულყოფილი სიცოცხლისათვის, თავისუფლებისათვის თავგანწირული რევოლუციონერის სიყვარულიც სრულია და ისევე ამაღლებული, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“ მოცემული, მაგრამ „მაძღართა საზოგადოებაში“ მცხოვრებ მარადისათვის გაუგებარია მიჯნურისათვის თავგანწირვა. „სიმაძღრის“ გაცლა სიყვარულზე. ის დაბლიდან შესცქერის სპეტაკ კვარცხლბეკზე მდგომ რევოლუციონერს. როცა სწერს: „ძლიერ ვნანობ, მაგრამ ჩემი სიყვარული უბრალო გატაცება გამოდგა და გთხოვ დამივიწყო“ („სიცრუე“).

ავტორს გულის სიღრმემდე აღშფოთებს მისი სიცრუით გამოწვეული სურვილი ლევანისა — აკოცოს სატრფოს წერილს. იგი იძულებულია ბოლომდე მიიყვანოს სიცრუე და მიაქვს კიდეც მეგობრის ტუჩებთან დაკეცილი ქაღალდი, მაგრამ... ამას ვერ დაუშვებს რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი, „ნუთუ ეს შხამი უნდა გაეკრას იმის პატიოსან ტუჩებს?“—ამ სიტყვებით მან სისხლის ნაკადულს გაატანა ობივატელთა დამდაბლებული არსებობის კიდევ უფრო დამამდაბლები დოკუმენტი — მოღალატე მიჯნურის უსტარი.

„გალმერთებული“ სიყვარულის მიერ უარყოფილი, მტკიცე რწმენის ანაბრად მიტოვებული საპყრობილეში, უმწეოდ და უნუგეშოდ გარდაცვლილი ჭლექიანი ტუსაღი, — ასე გაიაზრა წინასწარ ჰოლამ თავისი შემდგომი ცხოვრება და ეს საოცარი წინასწარხედვა კიდევ უფრო გვიტაცებს. როცა ვითვალისწინებთ, რომ „სიცრუე“ რევოლუციის აღმავლობის დროს, მწერლის პირადი ცხოვრების „თაფლის თვეებში“ იწერებოდა.

მარტო ოპტიმისტური ენერგიაა როდი ახასიათებს ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებას 900-იან წლებში, აქ არც თუ იშვიათად გვხვდება სევდა, საშობლო ქვეყნის ბედუკულმართობით ნაკვები „შავი ფიქრები“ „წვერმოშხამული ისარივით“ რომ „მიმოქრიან გულის სივრცეში“. უკმარი სულის შემართება მაღალმხატვრულადაა გადმოცემული პროზად დაწერილ ლექსში „კვლავ ფიქრი, ფიქრი“.

„კვლავ ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, სულ მუდამ ფიქრი, მწარე ნაღველი იმთავითვე ჩემი ძმობილი!.. კვლავ ის წყურვილი სიყვა-

რულის, ძმობა-ერთობის, რაის წყალობით მე ვშთენილვარ ქვეყნად გმობილი“. ცხოვრების გერებს, მშრომელებს შეუქმნიათ ყველაფერი და, ნაცვლად ბედნიერი ცხოვრებისა. მოუპოვებიათ ბორკილები, ხოლო მონობის დასამსხვრევად გამზადებული ძალები „ჯერ კიდევ ისე მძლავრად არ აღელვებულა“. ჩაგრულნი და მჩაგვრელნი კონტრასტულ ფერებში უპირისპირდებიან აქ ერთმანეთს:

„თქვენ ჩემო ძმებო, მეგობრებო, ცხოვრების ბუშნო, სულყველაფერი თქვენი უღლით გაკეთებულა. ციხე, დარბაზნი, ოქრო-ვერცხლი, პური და ღვინო, თქვენი ძლიერი მარჯვენითა გამზადებულა. ამის ნაცვლად კი თქვენი ცრემლები დიდოკეანედ გადაქცეულა, ერთ ადგილას შეკავებულა და რომ იხეთქოს, გადმოლახოს დიდი კედლები, ჯერ კიდევ ისე მძლავრად არ აღელვებულა“. — მიმართავს ის ჩაგრულ მშრომელთ.

დღევანდელ ქართველს აღარ ახსოვს წმინდა მცნება წინაპარისა — უყოყმანოდ თავგანწირვა მამულისათვის, მას აღარ ესმის „ის სიმღერა“, ქვეყნის სახსნელად რომ მოუხმობდა: „შენ, — მიმართავს მას მგოსანი, — აღარ გესმის აღარაფერი, ის ძველი ხმები არ ატოკებს შენს მძინარ გულსა, მე მაინც ვმღერი— გამიგონებს და შემითვისებს მშრომელთა მოძმე სახელოთ რომ იწმენდს შუბლსა“.

ნესტიან ჭოხში დაიბადა და აღიზარდა მარადმტრიანი ქართველი. ყოველგვარი სიკეთით შემკული ქვეყნის შვილს უცხო დაჰპყრობელნი და მოძმე მუქთახორანი სტაცებდნენ საცხოვრებელს და გამქვარტლულ ჭოხში „მზისა ნათელი აკვანს არსდროს არა სწვდებოდა“. „პურის ნატვრას არაოდეს არ სცილდებოდა“ ნანა იმ ქვეყნის მკვიდრთა, სადაც თვის კალთა დაუბერტყია თვით ქრისტე-ღმერთს.

მაგრამ საქართველოს ლაღმა „ბუნებამ ყბად აიღო კაცთ ჯოჯოხეთი“, არ დაამახინჯა ის, გამოზარდა „მშვენიერი და ეშხით სავსე“. მგელს გადაურჩა შეუპმელი, ივერთ ქვეყანა, მაგრამ აღარ დაინდო თვითმპყრობელურ-კაპიტალისტურმა იმპერიამ, დასცა იგი მიწაზე. და შრომის ნაცვლად ქუჩა-ქუჩა ხეტიალი არგუნა მშრომელს. მთლიანობაში ესახება პოეტს სამშობლო ჭვეყნის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა, ერთადერთი მიზეზი მძიმე სევდისა. იგი მზად არის საკუთარი სისხლის ყოველი წვეთი მოახმაროს სამშობლო ქვეყნის მშრომელთა თავისუფლებას, თანაც ბოდიშობს ამ „მცირე ძღვნისათვის“:

„თქვენთვის, ჰაერო და ფილტვებო არსებობისა, თქვენთვის მიძღვნია ჩემი სული და გული. ვფიცავ თქვენს ცრემლებს, მწარე ცრემლებს, რომ თქვენი კვნესით შეცა მჭონია ეს თვალები დაბიევე-

ბული... ნუ. ნუ დამძრახავთ, მეგობარნო, თუ ჩემი ძღვენი მცირე გამოდგეს, ბევრი რამე ვერ უთხრას თქვენს გულს... მეც კარგათ ვიცი — თქვენს გარშემო ყინვის გალხობა სად შეუძლია მცირე კაცის მცირე სიყვარულს".

სამშობლო ქვეყნის მშრომელთა მწარე აწმყოთი აკნესებული მგოსანი იმედის თვალს მიაპყრობს ნათელ მომავალს და ამ მომავლისათვის შეუპოვარ ბრძოლას სახავს ცხოვრების მიზნად:

„დაე, ვიტანჯო, ამა ქვეყნად ვინ არ ტანჯულა, თუ სიყვარულზე გაფურჩქვნილა მისი მიზანი... დაე. ვიტანჯო, არ მაშინებს მე არაფერი".

პოეტს სურს ეს ტანჯვა „შხამი სისხლში" შერთული" გამოთქვას მწარე სიტყვებში, მაგრამ სიტყვები, გულის ყოველი კუნჭულის აღმაშფოთი სიტყვებიც კი უძლურნი არიან მისთა „ფიქრთა გამომეტყველად".

სამშობლოს ხსნისათვის ამხედრებული მგოსანი ეტრფის, ეძახის ძლიერ ტალღებს სიყვარულისას, მოელის მათ ერთურთზე დაჯახებას, ჰქქას და ქუხილს, მაგრამ, სანამ უყურებს „მოწყენილ სახეს მშრომელისას, არ შეუძლია უკუაგდოს სევდა-ნაღველი.

„ამის მნახველი, მოწყენილო ლამაზო სახევ, კვლავ დასტრიალებს შენს ბედ-იღბალს ჩემი გონება, და ფიქრი, ფიქრი, მწარე ფიქრი, მწარე ნაღველი ჩემს დაძმარებულს გულს ეკერის და აღარ შორდება".

ასეთია საყრდენი ფუძე მწერლის სევდისა 900-იან წლებში.

ᲐᲚᲚᲐ ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ 1907-14 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ

1903-დან 1907 წლამდე ჭოლას საწერ მაგიდასთან საჯდომად აღარ ეცალა. მხოლოდ 1907 წელს, მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვისა და სატუსაღოში ჩაკეტვის შემდეგ, მიუბრუნდა იგი კალამს. მაგრამ მართებული არ იქნებოდა ეს სამწლიანი ნაფლეთი მისი ცხოვრებისა შემოქმედებითი გვალვის ხანად მიგვეჩნია.

პირიქით, ჭეშმარიტად ამ დროს იქმნებოდა ის სახეები, ის პათოსი, ის განცდანი, რაც ასე ძალუმად ასახა 1907 წლიდან 1915 წლამდე საპყრობილეში ჩაკეტილმა მგოსანმა. აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ შემართებაში, იარაღით ხელში დგომა ბრძოლის ველზე კლასობრივ მტერთა პირისპირ, გამარჯვების სიტკბოებისა და დამარცხების სიმწარის განცდა ჭოლა ლომთათიძისათვის იყო სწორედ ის, რაც მწყემსთა შორის ტრიალი ალ. ყაზბეგისათვის, რამდენადაც შეუძლებელია „მოძღვარის" ავტორის შემოქმედების გაგება

მწყემსობისას უშუალოდ განცდილ შთაბეჭდილებათა გაუთვალისწინებლად, იმდენად ძნელი იქნებოდა ჭოლას ლირიკული პროზის გმირთა გამწარებული კივილის შეცნობა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ავტორის პირადი მონაწილეობის გაცნობის გარეშე.

როგორც ზემოთ ითქვა, 1905 წლის რევოლუციის შემდეგდროინდელი შემოქმედება ჭოლა ლომთათიძისა არ სცილდება რევოლუციამდელ თემატიკას, არ შეიცავს ისეთ განმასხვავებელ ნიშნებს, რომ უფლება გვქონდეს ვილაპარაკოთ ცალკე პერიოდზე. ქართველი ერის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლება რევოლუციური გზით, ტყვეობიდან დახსნა უთანასწორობაზე დამყარებულ წყობილებათა ძიერ დამახინჯებული, დამფრთხალი ადამიანის პირადი „მე"-სი და გამოყვანა შეცნობილი ბედნიერების ფართო გზაზე, — მისი შემოქმედების განმსაზღვრელ მოტივად რჩება რევოლუციის შემდეგაც, მაგრამ ერთი განსხვავებით: რამდენადაც ეპოქა შეივსო 1905 წლის რევოლუციის ტკბილი და მწარე განცდებით, რამდენადაც 1907-14 წლებში დასრულებულად წარმოსდგა საზოგადოებრივი ცხოვრების ის მხარეები, რომელთა მხოლოდ ჩანასახები ჩანდა რევოლუციისათვის მზადებისას, იმდენად მძლავრად სუნთქავს ახლა მისი ნაწარმოებები, იმდენად სრული და ძლიერია ის, ახლა იქ უფრო გარკვევით მოჩანან მტერნი და მოყვარენი, რევოლუციის მუდმივი მამოძრავებელი ძალები, ხვალინდელი შეჯახებისათვის რომ ლესავენ მახვილს; შემთხვევითი თანამგზავრები, პირველი დარტყმისთანავე რომ მოძებნეს სორო; თავისთავში ჩაკეტილი ობივატელები, ჰკვიანები და მომთმენნი, რევოლუციის გრიგალში რომ ჩაუწყდათ ხმა და რეაქციის დროს ნიშნის გებით ალაპარაკდნენ; მონურ ქედდრეკაში გაზრდილი მოხელენი, მშრომელი ხალხის გამარჯვებისას უწყინარ „ბატკნებად რომ იქცნენ" და დამარცხებისას ისევ მგელთა ბუნაგში გამოცხადნენ სრული საჭურველით.

როგორ დაინახა ჭოლა ლომთათიძემ 1905 წლის რევოლუციის დროინდელი და რეაქციის გამარჯვების შედეგად შექმნილი სინამდვილე საქართველოში?

მშრომელთა წიაღში აღზრდილი თანმიმდევარი რევოლუციონერნი კლავ შეუპოვრად იმეორებენ: „და დამერწმუნე, ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში, მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ცხოვრების გზასა". ისინი მტკიცე ნაბიჯებით ადიან სახრჩობელებზე და არ თხოულობენ შეწყალებას, რადგან, გამარჯვების შემთხვევაში, არც თვითონ პირდებიან მოწინააღმდეგეს ამგვარ რასმე; მეორენი, უარმყოფელნი გუშინდელი მიზნისა, რწმენათა გადაფასების გზით საკუთარი სულის ჯურღმულებში იკარგებიან, ეძლევიან „ვაკხანალიას", უარყო-

ვენ რეალურ სინამდვილეს, „ღვინოსა და ბოზებში“ ეძებენ ხსნას; მესამენი, რევოლუციის დროს სარდაფებში დამალულნი და „მშვიდობით გადარჩენის“ გამო ბედით კმაყოფილნი, აივანზე დგანან და განუშორებელი ირონიული ღიმილით დაჰყურებენ „მოუსვენარ“ მეზობელთა დანაცრებულ ოდებს; მეოთხენი, „მოწყალე ხელმწიფის“ ჩინ-მედლებით აღკაზმულნი, მათრახით ხელში ყარაულობენ „ხალხთა საპყრობილის“ „ღვთიურ კანონებს“, ერთმანეთს ეჯიბრებიან ერთგულების გამოჩენაში; სხვანი კიდევ — ყველაზე დაცემულნი და გაპირუტყვებულნი — ვეებერთელა საპყრობილეში არსებულ პატარა საპყრობილეების პაწაწკინტელა მსახურებად ქცეულან და პატიმართა პატიმართ ძაღლური ერთგულებით ყარაულობენ.

ბუნებრივია, რომ პატიმარი მგოსანი სევდიანად დაჰყურებს ამ სინამდვილეს; სატუსაღოს ხელისგულისტოლა სარკმელიდან იცქირება მშობელი ქვეყნის სივრცეში და მძაფრი ექსპრესიით გვიჩვენებს დამარცხებულთა სულიერ დრამას, ქმნის ცეცხლოვან სტრიქონებს, მხატვრულ საბრალმდებლო აქტებს, ძერწავს საზოგადოების სხვადასხვა კლასთა და ფენათა ტიპიურ სახეებს — სამშობლო ქვეყნის მტერთ და მოყვარეთ. ამ ძერწვისას საშუალო ხაზი — ღია და ბნელი ფერების შეხამება უცხოა მწერლისთვის, რადგან მკვეთრი პოლიტიკური მიზანსწრაფვა განსაზღვრავს მთელ მის შემოქმედებას.

1907 წელს ჭოლა ლომთათიძემ საპყრობილეში შექმნა ფსიქოლოგიური მოთხრობა „სახრჩობელას წინაშე“. ეს ნაწარმოები ღრმა შინაგანი ექსპრესიითაა დაწერილი.

პირველად აქ გამოჩნდა ჭოლა — ფსიქოლოგიური პროზის ოსტატი. მძაფრი დრამატიზმი, ფსიქოლოგიური დაძაბულობა, არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა ცოდნა, მებრძოლი რევოლუციური რომანტიკა, ლირიკულ განცდათა ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობამდე ამაღლება, — აი რით ხასიათდება ძირითადად „სახრჩობელას წინაშე“.

ამ ნაწარმოებში მიაგნო პირველად ჭოლამ იმ განსაკუთრებულ სტილს, რასაც, შესაძლოა, ლეონიდ ანდრეევის ფსიქოლოგიური მოთხრობის („აზრი“) თარგმნისას ეძებდა; აქ მიმართა ადამიანთა სულიერი ვითარების ანალიზის იმ მეთოდს, რაც 1903 წელს „აზრის“ თარგმნისას აითვისა, აქვე გამოიყენა კლასთა ბრძოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი ის გამოცდილება, რაც 1905 წლის რევოლუციის მსვლელობაში შეიძინა.

1915 წელს სასიკვდილო სარეცელზე მიკრული მწერალი სილიბისტრო თავართქილაძეს სწერდა: „ყველა ჩემს ძველ ნაწერებს ვაგროვებ და ხელახლა შევუდექი გადაწერა-შესწორებას, რომ ჩვენი

რედაქციების ყიზილბაშური ხელი არ აჩნდეს იმათ. თუ ვინიცობაა გამომცემელი გამოუჩნდა. ვერ ჩავიგდე ხელში მხოლოდ ერთი, რომელსაც სახელად ჰქვია „სახრჩობელას წინაშე“, ამ მოთხრობის ბეჭდვა დაიწყეს 1907 წლის შემოდგომაზე და, როგორც იქნა დაასრულეს 1908 წლის ზამთარში, თვეში ბეჭდავდნენ ერთსა თუ ორს ფელეტონს, ასვრილად, არეულად, რომ ერთიანად გაეჭარწყლებინათ მისი გავლენა. **ეს მოთხრობა უველას მირჩევნია** (ხაზი ჩვენია—დ. რ.). ხოლო თუ შეუსწორებელი დარჩა, გადაბეჭდვა მისი შეუძლებელია“[115].

ამ წერილში ორი გარემოება იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას:

პირველი, რედაქცია იძულებულია არეულად, არათანმიმდევრობით ბეჭდოს „სახრჩობელას წინაშეს“ ცალკე თავები, რათა დააბრმაოს ჭოლას მიმართ „მუდამყურადღებიანი“ მეფის ცენზურა და, მეორეც, მწერალი თავის მრავალ ნაწარმოებთა შორის უპირატესობას ამ მოთხრობას ანიჭებს.

ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი ცხადყოფს, რომ ორივეს, მწერალსაც და ხელისუფლებასაც, კარგად ესმოდათ თავიანთი დანიშნულება. ჭოლას იმისათვის „ერჩივნა უველას“ ეს ნაწარმოები, რისთვისაც ასე დაბეჯითებით იდევნებოდა იგი—ღრმა იდეურობისათვის.

საყოველთაო გულგატეხილობისა და დაცემულობის ეპოქაში, რაც რეაქციის პერიოდში არათანმიმდევარ ინტელიგენტთა წრეში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ჭოლა ლომთათიძემ მოწუწუნეთა გვერდით პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით დახატა შარავანდედიდ მოსილი სახეები სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის ადამიანებისა, რომელნიც, ძლიერი ქარბუქის მიუხედავად, რჩებიან მებრძოლთა რიგებში და უკან არ იხევენ თვით სიკვდილის წინაშეც კი. ასეთებია: ჯეირანი, პავლე, კოზმა, ვოინოვი („სახრჩობელას წინაშე“), მცირიშვილი, ნატაშა, იურკა, ორეშკო, თინა (საპყრობილეში“), ვანო, ხვარამზე („უსათაურო“), ბოლშევიკი ქალი ლიზა, ილიკო, კესანე („ჩემი დღიური“), ბიქტორი, კოლია, თინა, გიორგი („პირველი მაისი“), მიხა, ვასო, ელენა („თეთრი ღამე“), არჩილი, ივანე სანდირაძე („შიში“) და სხვ.

მათ შორის თავისი ნათელი მრწამსით, უდრეკი რევოლუციონერის ფსიქო-იდეოლოგიითა და აწმყოსა და მომავლისადმი დამოკიდებულების მკვეთრი განსაზღვრით პირველ ადგილზე უსათუოდ ჯეირან ვარდოსანიძე დგას.

---

[115] წერილი დაცულია საქ. ლიტ. მუზეუმში, ფ. № 15. 596-ნ.

რამდენადაც ჯეირანი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ეპიზოდურად მოცემულ მრავალ რევოლუციონერთა ქმედებას, მათ ფსიქო-იდეოლოგიას, დასრულებულად წარმოგვიდგენს ერთსახეში, ამდენად მას შეიძლება სახეთა სახე ვუწოდოთ.

„სახრჩობელას წინაშე" ფსიქოლოგიურ ასპექტში იშლება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და სოციალიზმისათვის შეგნებით მებრძოლ მოწინავე თანამედროვეთა სიმაღლეზე მდგომი ჯეირანი ამაყად წარსდგა მეფის სასამართლოს წინაშე და ბოლომდე ღირსეულად დაიცვა უდრეკი მებრძოლის ღირსება — ნათელჰყო დახურულ კარებში მოქმედი სასამართლოს სიყალბე, თვით იქცა ბრალმდებლად.

მშვიდად მოისმინა ჯეირანმა სიკვდილის განაჩენიც, მაგრამ ღამით, თვალი გადაავლო რა განვლილ გზას, შეკრთა და იმდენად შეშფოთდა სიკვდილის წინაშე პირისპირ მდგომი, რომ, როცა დერეფანში ფეხის ხმა გაიგონა, ტაბტქვეშ დამალვა დააპირა. ღამის სიბნელესთან ერთად შიშიც გაქრა. ნაირფრად აღაჟღაჟებულ განთიადს ეშაფოტისკენ მიმავალი 25 წლის ჭაბუკი შეხვდა თავისთავზე გამარჯვებული, რევოლუციური შეგნების მწვერვალამდე ამაღლებული.

რომ თანამებრძოლთათვის უსიამოვნება აეცილებინა, ჯეირანმა დაარწმუნა ისინი ჩაეხრჩობა სამუდამო კატორღაზე შემიცვალესო და ამაყად ავიდა სახრჩობელაზე. ასეთია ამ ნაწარმოების ჭარგა.

უაღრესად მკვეთრია აქ მხატვრული სატყვის მახვილი. მწერალი ილაშქრებს საზოგადოდ ცოცხალი არსების მკვლელობის წინააღმდეგ, რასაც ბუნების ჰარმონიის დიამეტრალურად საპირისპირო მოვლენად სახავს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს თვითმპყრობელურ სახელმწიფოს, დიდი ექსპრესიით აფენს დამარცხებულ მებრძოლთა სულიერ დრამას.

ადამიანის სიკვდილით დასჯა გაცილებით რთული მოვლენაა, ვიდრე სასიკვდილო განაჩენზე ხელისმომწერს ან შორიდან მჭვრეტელს წარმოუდგენია. ლიტერატურის ისტორია იცნობს ბევრ მწერალს, რომელმაც ეს სამარცხვინო მოვლენა მხატვრულად ასახა. ცხადია, ჭოლას არ შეუძლია იამაყოს მათ შორის პირველობით, მაგრამ, ჭოლა ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე" მაინც ფრიად ორიგინალურად ჟღერს, მას არა აქვს-რა საერთო სიკვდილ-სიცოცხლის არც ილიასებურ, არც ვაჟასებურ და არც ჰიუგოსებურ

გაგებასთან, რომ არაფერი ვთქვათ ამ თემის ამსახველ სხვა ქართველ და უცხოელ მწერლებზე.

ეს ორიგინალობა სიკვდილ-სიცოცხლის მარადთავსამტვრევი კითხვის ახლებურად გაგებაშია და არა დაყენებაში, იგი თვით ჭოლას პიროვნებაშია, წერის მანერაშია, მისსავე სტილშია გადატეხილი.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისადმი ჭოლასეული მიდგომის გაშუქების მიზნით, ზედმეტად არ მიმაჩნია ზოგად ხაზებში გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „სახრჩობელაზედ“ და ვიქტორ ჰიუგოს „93 წელი“.

ილიამ თავის ცნობილ მოთხრობაში („სახრჩობელაზედ“) აღზრდის მნიშვნელობასა და სოციალურ მიზეზებზე გადაიტანა აქცენტი, ცხადყო, რომ საზოგადოება, რომელიც უგულებელყოფს შვილთა აღზრდის საქმეს, ხელს უწყობს მკვლელ ავაზაკთა გამრავლებასა და პასუხისმგებელიცაა ამ უკანასკნელთა უკაცური ქმედებისათვის. სოფლელმა პეტრემ თავისი თვალით ნახა, თუ როგორ შეაყენა ჯალათმა სკამზე სიკვდილით დასასჯელი, გამოაცალა ფეხჭვეშ სკამი და დაეკიდა ფეხებზე, რათა სწრაფად მოეშთო განწირული. ავტორი დაწვრილებით აღწერს ჩამომხრჩვალის ძმის და დამსწრეთა სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა მძიმე სულიერ განწყობილებას, მაგრამ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა სიკვდილის მისჯის დღიდან, ან სიკვდილით დასჯის მომენტში თვით დასჯილის გულში, მოთხრობაში არაფერია ნათქვამი. ამის ჩვენება მწერლის მიზანს არც შეადგენდა.

ვიქტორ ჰიუგო თავის რეალისტურ ნაწარმოებშიც კი („93 წელი“) რომანტიკოსად რჩება სიკვდილმისჯილი გოვენის ფსიქოლოგიური განცდების აღწერისას. თუ ილიას მიზანს არ შეადგენდა ეჩვენებინა დასასჯელის შინაგანი „მე“, ვიქტორ ჰიუგომ გოვენის სულიერი დრამის ასახვას მრავალი თაბახი მოანდომა, მაგრამ, ნაცვლად უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანისა, დამჯერებლობას მოკლებული სქემის დახატვა შესძლო მხოლოდ.

საფრანგეთის ძლევამოსილი რევოლუციის ღვიძლი შვილია ვიკონტი ბრეტანისა — გოვენი. იგი პირველი დღიდანვე დადგა რევოლუციის მხარეზე და თავისი ბრწყინვალე ნიჭი მის სამსახურში ჩააყენა, პირადი ცხოვრება საზოგადოებრივ-სახალხოს მთლიანად დაუქვემდებარა. რევოლუციის ღირსების დაცვის მაღალი სურვილიდან მომდინარეობდა ის „ღალატი“, რაც მან მარკიზ დე ლანტენაკის გათავისუფლებით ჩაიდინა და რისთვისაც რესპუბლიკის უმაღლესი რისხვა — გილიოტინით თავის მოკვეთა დაიმსახურა.

გ. ჰიუგო სასჯელის გამოცხადების შემდეგაც დააფრენს ღრუბლებს მაღლა თავის გმირს და ერთხელაც არ სურს „ცოდვილ მიწაზე“ ფეხი დააკარებინოს მას.

— „ის თავის ფიქრებით იყო გატაცებული. შორს გაჰყოლოდა თავის ოცნებას, იმისთანა თავდავიწყებით შესცქეროდა თავის ოცნების გაკაშკაშებულ კამარას, რომ სუნთქვა აღარ ემჩნეოდა. ტკბილი თრთოლვა მორევოდა. კაცობრიობის მომავალი განთიადის სხივი უბრწყინავდა თვალში. ... ეშაფოტზე იყო და მაინც თავის ოცნებას მისდევდა. ეშაფოტიც მწვერვალია და მამაცად იდგა ამ მწვერვალზე, დიადი, მშვიდი, მზის შუქი ეხვეოდა და დიდების სხივით მოსავდა“. — ასე ახასიათებს ავტორი გოვენის სიკვდილის წინა წუთებს.

ვის შეუძლია იდაოს, რომ ლამაზია ეს დახასიათება, სულიერი და გონებრივი სისპეტაკის მწვერვალია ის, მაგრამ მოკლებულია რეალურობას, ადამიანურობას. აქ ცხოვრება განხილულია ცალმხრივად, პირადი ინტიმის სრული უგულვებელყოფით, რამდენადაც სიკვდილის წინაშე მდგომ გოვენს ერთხელაც არ გახსენებია საკუთარი სიცოცხლე, ერთი წუთითაც არ ჩამოსცილებია მისი ოცნება ფიქრს ქვეყანაზე, რომლის სახელითაც სიქველის შემცნობი ერთგული შვილი ეშაფოტზე აჰყავდათ.

სულ სხვაა ჭოლა. სიკვდილ-სიცოცხლის ურთულეს პრობლემებზე მსჯელობისას მას ყურადღება ფსიქიოლოგიურ მომენტზე გადააქვს და გმირის ფსიქოლოგიური წყობის ანალიზით ეპოქის მოწინავე ადამიანთა სულის სისუსტესაც დიდი დამაჯერებლობით ავლენს.

თუ ვიქტორ ჰიუგო გოვენს სიკვდილის წინა წუთებშიაც მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ორგანიზმის და ჯერ კიდევ სუსტი რევოლუციური ძალების შესახებ ამსჯელებს, „სახრჩობელას წინაშე“-ს ავტორი დროს არ კარგავს უხეშ ძალაზე დაყრდნობილი თვითმპყრობელური რეჟიმის უვარგისობის მტკიცებისათვის. ეს მისთვის აპრიორულად დამტკიცებულია და მზის სინათლეზეა გამოტანილი შეუვალი ჭეშმარიტების სახით.

— „გამიგონია, ბატონო მსაჯულნო, — ამბობს სასამართლოს წინაშე მდგომი ჯეირანი, — ძველად თურმე, ერთ საღამოს, ვიღაც მქადაგებელი განშორდა ადამიანებს, დასასვენებლად მთაზე ავიდა. მზე უხვად აპნევდა გარშემო ოქროსფერ სხივებს, ჩიტები გალობითა და მხიარული ჟრიამულით ავსებდნენ ბუნებას, ჰაერი მომხიბლავი ყვავილების სუნით გაჟღენთილიყო... ყველაფერი ტკბებოდა და სიამოვნებდა, ყველაფერში ჩანდა აზრი, სიბრძნე. ჰარმონია

და წესრიგი; თავისუფლად სუნთქავდა ყოველივე და ვეღარ გაუძლო თურმე აღგზნებულმა მქადაგებელმა დიად სურათს, ააღო მან ბაგე და სიტყვა ჭეშმარიტებისა უქადაგა მოუკიდებელ ჩიტებს, ყვავილებსა და ბუჩქებს, მზის სხივებსა და ტყეს... ეს მოხდა, ბატონო მსაჯულნო, ჩიტთა და ყვავილთა ისმინეს სიტყვა ჭეშმარიტებისა, მაგრამ, აბა, ერთი მითხარით, ვის მოუვა აზრად, ჭეშმარიტება უქადაგოს ქვეწარმავალთ, გველთა და ბაყაყთ, მხეც..“

ასე მოკლედ სჩრის ავტორი მოქმედი პირის სიტყვას არსებული საზოგადოებრივი წყობილების შესახებ და სიკვდილით დასჯილის სულის სიღრმისაკენ მიიმართება; ანთებული ლამპარით შედის იგი განწირულის გულში, რათა დაგვანახოს არა მრავალჯერ დანახული, ზედაპირული სქემა ადამიანისა, არამედ მისი შინაგანი „მე“, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომის გულის უღრან ტყეში ჩაფლული იდუმალი.

სხვადასხვაა ადამიანი პროგრამის, წესდების შესისხლხორცებული ჩვევის მსახური, გამოფენილი საზოგადოების წინაშე, გამარჯვების მოლოდინში ტრიბუნაზე ასული აღმგზნები სიტყვის სათქმელად და ადამიანი — მდგომი ცხოვრების ნამდვილი სარკის წინ, საკუთარი თავის წინაშე; ადამიანი—სხვის გასაგონად მარჯვედ მტყორცნელი ლოზუნგისა — „სიკვდილი, ან გამარჯვება!“ და ადამიანი დამარცხებული, გარდუვალი სიკვდილის წინაშე მდგომი.

ძე საზოგადოებისა ცდილობს ამაღლდეს ყოველგვარ პირადულზე, ძე კაცისა შუდამ რჩება იმადვე, რადაც შექმნილა და ყოფილა — დარაჯად სხეულის, მსახურად გარეგნულად ამაღლებული პირადი „მე“-სი, „მდაბალ“ არსებად. ეს (ძე კაცისა) იგივე ბოროტი სულია, რომელიც მჯდომ ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში მყოფს და წინ მიმსწრაფ ძალას — ძეს საზოგადოებისას ფეხში ბორკილად ედება და მთელი ძალით ეწევა უკან, არ აძლევს საშუალებას დაადგეს „ცისკენ მიმავალ გზას“. ეს ორი „მე“ ერთ „მე“-ში—ძე საზოგადოებისა და ძე კაცისა მუდამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს და, რაც უფრო ახალ-ახალ პოზიციებს იპყრობდა ამ ბრძოლაში პირველი, იმდენად უფრო სრულყოფისკენ მიდიოდა ადამიანი, იმდენად უფრო უახლოვდებოდა ზღვარს შენივთებისას. გარდაქმნას ერთ მთლიან „მე“-დ, რაც შექმნის საშუალებას გარეთ გამოიფინოს შინაგანის ნამდვილი და არა ყალბი სურათი. ეს შენივთება, ორი „მე“-ს „გამთელება“ პირველის ბაზაზე, საზოგადოების იდეალია, იდეალი ჯერ კიდევ შორეული და ძნელად მისაწვდომი. რევოლუციური მოძრაობა ხმავე დროს არის ძლევამოსილი სვლა ამ „გამრთელებისაკენ“, განკაცებისაკენ, გზა სრულყოფისაკენ და ამ

გზაზე ჯერ კიდევ ტაატით მიდიან თვით მოწინავე რევოლუციონერებიც კი.

ამ უკანასკნელთ შესანიშნავად შეუთვისებიათ თეორიულად თუ როგორ უნდა სძლიოს ძემ საზოგადოებისამ მხოლოდ პირადი „მე"-ს მსახური ძე კაცისა, მაგრამ, რამდენადაც ეს თეორია ჯერ კიდევ არ გამხდარა სისხლხორცეული მათთვის, ამდენად საზოგადოებრივ იდეალებამდე სიტყვიერად ამაღლებულნი საქმით ძველ ადგილს ტკეპნიან და თავიანთი მოქმედებით ნათელყოფენ, თუ რაოდენ რთული, ძნელი და ხანგრძლივია ბრძოლა ამ ორ ძალას შორის. ერთ „მე"-ში მიმდინარე საპირისპირო საწყისებს შორის წარმოებული შერკინების პროცესის და მისი შედეგის მაღალმხატვრულ სახეებში ჩვენება-გამოქანდაკება და არა მიჩქმალვა — აი ხელოვნების პირდაპირი დანიშნულება, მხატვრული სიტყვის უპირველესი ღირსება და სიდიადე.

ჰოლა ლომთათიძის ამ მრწამსს უსათუოდ ასაზრდოებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმცირესი ნაწილის ყოფის იმდროინდელი სინამდვილე. ამ მრწამსის მხატვრულ აღქმას ისახავს მიზნად ჰოლა არა ერთ ნაწარმოებში და მათ შორის პირველია დიდი პირდაპირობითა და უშუალო განცდით შექმნილი „სახრჩობელას წინაშე"

იმისათვის, რომ დამაჯერებლად გადმოეცა ზოგადკაცობრიული ხასიათის ჭიდილი ორი „მე"-სი ერთ კაცში, ჰოლამ მთავარ მოქმედ პირად აირჩია არა უბრალო, ჩვეულებრივი პიროვნება, არამედ ეპოქის მოწინავე ადამიანი — ს. დ. მ. პ. ერთ-ერთი ზელმძღვანელ-მოღვაწეთაგანი, პროფესიონალი რევოლუციონერი ჯეირან ვარდოსანიძე — „უშიშარი" მებრძოლი მშრომელთა ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის, თვითმპყრობელობის შეგნებული მტერი, რომლის დროშაზეც სწერია: „მხოლოდ წინადაშეუპოვრად". მისი სულიერი ვითარების ანალიზის საფუძველზე მწერალი გვიჩვენებს, რომ გარეთ გამოტანილი და შიგნით არსებული არ შეესატყვისებიან ერთიმეორეს, რომ ადამიანის პიროვნება ჯერჯერობით არ არის მთლიანი და თვალით ხილული შირმაა, რომლის უკან იფარება რაღაც უფრო ნამდვილი, არც თუ მაღალი და საამაყო.

ჯეირან ვარდოსანიძის შინაგანი სისუსტის დემონსტრაცია, ფსიქოლოგიურ-მხატვრული ჩანაფიქრისათვის ღირსშესანიშნავი და მანამდე უჩვეულო განცდანი გმირისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოცხადების წუთიდან იწყება და მწერალიც მისი ცხოვრების ამ წუთს ჩაუდგა კვალში.

ჰოლას გაგებით, „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აქვს ადამიანს ერ-

თი თვისება. რა მდგომარეობაშიც არ უნდა ჩავარდეს ის, რა სიძნელეც არ უნდა ეხვიოს ირგვლივ, რა მძიმე ტვირთიც არ უნდა ედოს მას მხრებზე, ის მაინც შესძლებს გაიბედოს წინ, მაინც შესძლებს სადღაც დაინახოს მზის სხივი, ალაგი, სადაც ამ მძიმე ტვირთს მიიტანს და გადაიგდებს მხრებიდან". რაც უნდა ღრმად იყოს დარწმუნებული პყრობილი, რომ სიკვდილით დასჯა არ აცდება, გულის ტევრის რომელიღაც ბილიკზე მისდაუნებურად ატარებს იმედს, რომ რაღაც მისთვის უცნობი (იდუმალი თუ მოულოდნელი) შეიძლება მოხდეს. ამასთან, ბუნებრივია, არ შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს მარად უცვლელი დროის კატეგორიისათვის სრულიად ერთნაირი ორი წუთი — სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოცხადების წინა და შემდეგი წუთი. ეს წუთია სიკვდილ-სიცოცხლის ყრუ მიჯნა, როდესაც ადამიანი ცოცხალია და არცერთი „ალაგის" დანახვა არ ძალუძს არც წინ და არც უკან. ამ, მანამდე გაუზომავი და აუწონავი წუთის უშუალო განცდას გვთავაზობს აქ მწერალი დიდ მხატვრულ შედეგსაც აღწევს.

„არ ვიცი, რა ვიგრძენი მე ამ წუთს,—ამბობს ჯეირანი,—არ მახსოვს. ვიდექი და მხოლოდ ვხედავდი, რომ ბებერი გენერალი აკანკალებული ხელებით ფურცლავდა ქაღალდს, აღებდა პირს და რაღაცას ლაპარაკობდა, რაიც მე არ მესმოდა... შემდეგ ვიღაც მოვიდა და გადამკოცნა, კიდევ მოვიდა და მან სამჯერ მაკოცა: ეს ემშვიდობებოდნენ გამართლებული ამხანაგები".

ეს სტრიქონები იწერება საკანში მეორე დღეს, გმირის გონზე მოსვლის შემდეგ, როდესაც მან „ყოველივე ოგრძნო". ამგვარი უჩვეულო წუთის არაჩვეულებრივი ხილვა, ფსიქოლოგიურად მისი განცდა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც მსგავსი რამ „უგრძვნია და გამოუცდია". ამ ხილვით გადალახულია ყოველგვარი მწიგნობრული, სქემატური და რიტორიკული ზღვარის ყალბი ზღუდენი, დანახულია სინამდვილის ჩაშავებული, მაგრამ ნამდვილი და, ამდენად ლამაზი წერტილები. რამდენად მაღალი და დამაჯერებელია იგი ჰიუგოს იმ ყალბ სცენასთან შედარებით, როცა გოვენმა აიღო სიტყვა და სიკვდილით დასჯის მომთხოვნ მსაჯულს მშვიდად მიმართა: „სრულიად მართალი ხართ, გენშან, და მადლობას მოგახსენებთ", ხოლო სასჯელის გამოცხადების შემდეგ, თითქოს მშვენიერ აგარაკზე დასასვენებლად მიემგზავრებაო, ალტაცებით წარმოსთქვა: „მადლობას მოვახსენებ სასამართლოს".

ჰოლას მიერ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომი ახალგაზრდის ქმედების ასახვისას თვალში გვეცემა ფსიქოლოგიური სიმართ-

ლე და მოვლენის ბუნებრიობა; მიუხედავად იმისა, რომ ჯეირანისთვის ასეთი სასჯელი მოულოდნელი არ იყო, ვგრძნობთ აღქმულის რეალობას, ეხედავთ ისეთ სურათს, რის ასახვაც ჰეშმარიტ ნიჭს ძალუძს მხოლოდ. თვითმპყრობელობის ზიზღია და არა შიში საფუძველი ნაწარმოების გმირის გაოგნებისა და ელდისა, ამდენად დიადი და მუნჯია იგი—წუთი უსაზღვრო მრისხანების, წუთი დიადთა გულისთქმათა.

სასჯელის გამოცხადებას ტუსაღის ადგილსამყოფელის უნებლიე გამოცვლა მოსდევს: ტუსაღი საპყრობილეში მიჰყავთ ქვეითად. მოძრაობას კი სისხლის ამოძრავება და, მაშასადამე, გონების ამოქმედება მოჰყვება ხოლმე. მაგრამ ჯეირანი თავის მდგომარეობას მხოლოდ მეორე დილით, დასვენებისა და გამოძინების შემდეგ, ჩაუფიქრდა.

ხომ არ ღალატობს ჭოლა ლომთათიძეს მხატვრული ალღო, როდესაც მეორე დილამდე სტოვებს თავის გმირს გაურკვეველ მდგომარეობაში?

არა. ადამიანის ფსიქიკის ნიჭიერ მხატვარს კარგად ესმის შეუძლებლობა სამსჯავრო დარბაზიდან სუფთა ჰაერზე გამოსული ჯეირანის იმ მდგომარეობაში დატოვებისა, რომელშიც იგი სასჯელის გამოცხადების პირველ წუთში იმყოფებოდა, მაგრამ ამ წუთის განცდის სიძლიერის შეცნობა აიძულებს მწერალს თანმიმდევრობით ასახოს გმირის შეგნებაში ლოგიკურად მსჯელობის უნარის აღდგენის რთული პროცესი. აი რას გვეუბნება ჯეირანი ამ პროცესის შესახებ:

„შემოდგომის გრილმა ჰაერმა ცოტათი გამომაფხიზლა. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, რის გამო ჯარისკაცებს ვთხოვე ნელა წასულიყვნენ. სიკვდილზე კი ოდნავადაც არ ვფიქრობდი, ოდნავადაც არ ვგრძნობდი, რომ ის მხარდამხარ მომყვებოდა ვეცქერდი ცას, ხოლო ანკარა ცის ტალღებში მსგავსი არაფერი სჩანდა. მხოლოდ ქუჩის ბოლოში ატეხილი მხიარული ჭიკჭყინი რუსული გარმონიკისა ცოტათი მიკაწრავდა ნერვებს, ცოტათი მეხამუშებოდა ყურში. არავინ შემიმჩნევია გზაში, არავის დავკვირვებივარ, არც ამხანაგებისათვის მითქვამს რამე, და, მარდალი ვთქვა, არც მახსოვდა იმ დროს, რომ ისინი ჩემთან ერთად მოდიოდნენ“.

როგორც ჩანს,მწერალს მხედველობიდან არ გამოპარვია ადამიანის სხეულის ფიზიკური ამოძრავების შედეგის ფიზიოლოგიური გაგება. მან დაგვანახა, სუფთა ჰაერზე გამოსვლამ თუ როგორ მოიყვანა გონს ნაწილობრივ ჯეირანი, განაცდევინა ბუნების მშვენება და მხიარული მუსიკის ჰანგებიც, მაგრამ თავისთავს, ნორმალურ აზროვნებას მთლიანად ვერ დაუბრუნა იგი. ცხადია, სინამდვილის ასახვის უნარი არც აქ ღალატობს მწერალს. სიკვდილის კართან მდგომის

აფორიაქებული გონების სწრაფი გათავისუფლება მძიმე შთაბეჭდილებათაგან არაბუნებრივი და, მაშასადამე, არადამჯერებელიც იქნებოდა სიკვდილი, „ეს შავი და ბნელი მოვლენა“, იმდენად რთულად მიაჩნია მწერალს. რომ მოქანცულ და დაუმშვიდებელ გონებას უმწეოდ სთვლის მასზე ფიქრისათვის.

ამრიგად, ის ფსიქოლოგიური ჰიდილი, რასაც მწერლის აზრით, ადგილი აქვს ერთ „მე“-ში მოქცეულ ორ „მე“-ს შორის, ნაწარმოებში ფაქტიურად იწყება ჯეირანისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მეორე დღეს—პირველი მძლავრი სულიერი ტრავმის გავლის. გამოძინებისა და ნორმალური აზროვნების უნარის სრული აღდგენის შემდეგ.

„ეხლა ყოველივეს ნათლად ვგრძნობ — მე დამპახრჩობენ. დიახ. დამპახრჩობენ! იყო კაცი და აღარ არის კაცი... მხოლოდ დღეს დილას, ძილში ვიგრძენი ყველაფერი: ნათლად, გარკვევით წარმოვიდგინე: მე დამპახრჩობენ!“ — ასე იწყებს მის შესახებ თხრობას მწერალი.

სიკვდილმისჯილ და ცალკე კამერაში ჩაკეტილ ჯეირანის „მე“-ში მოთავსებული ძე კაცისა ულმობელი მსაჯულივით თავს წაადგა ძეს საზოგადოებისას და წარსულ ქმედებათა შედეგების გადაფასება მოითხოვა მისგან. ახლა ჯეირანს როდი აინტერესებს, თუ როგორ წარიმართება შემდეგში სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა თვით მპყრობელობის წინააღმდეგ. რა გზით და ბრძოლის რა ტაქტიკით მიაღწევს პროლეტარიატი საბოლოო გამარჯვებას მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებაზე. ეს კითხვები მაშინალურად მოიხსნა აზროვნების არეწიდან და მისი ადგილი პირადმა „მე“-მ. მთლიანად სრულიად სიცოცხლეზე ზრუნვამ დაიჭირა:

„მე დამპახრჩობენ. გულგრილად გამომიყვანენ აქედან განთიადისას, წინდაწინ დამიმზადებენ საფლავს: ხელებს ზურგს უკან გამიკრავენ, მომიყვანენ სახრჩობელასთან. ერთხელ კიდევ წამიკითხავენ განაჩენს, რათა არ დამავიწყდეს, რომ ამ სიკეთეს ყაჩაღი კი არ სჩადის, არამედ კანონი, ჩამომაფარებენ სახეზე ტომარას, შემაყენებენ სკამზე და ორ ბოძშუა გამოკიდულ გასანთლულ ბაწარში გამიყოფენ თავს, ჯალათი გამომაცლის სკამს ფეხ-ქვეშ. დამეკიდება ფეხებზე, რომ თოკი უფრო შემომეხვიოს კისერზე და შემდეგ გამაკონწიალებს... მე შემეკმევა სული, მოვინდომებ კისრისკენ ხელის წაღებას, მაგრამ ხელები მაგრად იქნება გაკრული, დავწვრილდები, დავიღმანჭები, მოვინდომებ ყვირილს, კვნესას, ვერ შევძლებ, ენას ძაღლივით წამოვაგდებ, თვალები გადმომცვივა ბუდიდან, დავიწყებ ტრიალს და რამდენიმე წუთს შემდეგ გავჩერდები ჰაერში. ყველაფერი გათავებული იქნება... იყო კაცი და აღარ არის

კაცი! და წავა კვლავ ცხოვრება თავისი გზით; მომავალ ზამთარს კვლავ შესცვლის გაზაფხული, მორცხვი ია კდემამოსილი ღიმილით გაუცინებს გამაცოცხლებელ მზის სხივებს, გაყინულ გულში კვლავ შეიტანს სითბოს, კვლავ გაცოცხლდება სიყვარული და მხიარული სიმღერა შეყვარებულისა კვლავ გაისმის არე-მარეში... ვერ გავიღვიძებ მხოლოდ მე, დამახინჯებული სახით და სახრჩობელას თოკით კისერში, მე, რომელსაც ერთი თვის შემდეგ ოცდახუთი წელი შემისრულდებოდა, რომელსაც არც მაციებს, არც მაცხელებს, არც წელი მტკივა, არც გული, რომელსაც მიყვარს და მწყურია სიცოცხლე; არ ვიქნები მე. მე. რომელიც სახრჩობელას თოკით კისერში, სახედაღრეჯილი, ენაგადმოგდებული. თვალებგადმოცვენილი და ხელებშეკრული გულაღმა ვეგდები მიწაში უშნოდ, ულაზათოდ, მაშინ, როცა ყველაფერი გალამაზდება და გაარშიყდება, აყვავილდება და ამწვანდება და მკვდარსაც მე ვერავინ მომილოცავს გაზაფხულს, ვერავინ მიაგნებს ჩემს საფლავს, რომ ყვავილები გადმომაყაროს... ყველაფერი გათავებული იქნება“...

ამგვარად, ძე კაცისა ისწრაფვის გამოვიდეს პირველ პლანზე, დაამარცხოს ძე საზოგადოებისა, რომელსაც ჯეირანის სახრჩობელასთან მისვლამდე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა პატიმრის არსებაში, წყვდიადისაკენ დააბრუნოს პროგრესისაკენ მიმსწრაფი ძალა, საქვეყნო-საკაცობრიო საქმისათვის აღძრული ენერგია დააქვეითოს მხოლოდ თავისთავზე მზრუნველობამდე, მაგრამ საამისო მასალას მას არსებული ობიექტური სინამდვილე — მახინჯი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი არ აძლევს. ამიტომაა, რომ საკუთარი სულის ზიგზაგებში ჩაღრმავება ნაწარმოებში პროგრესულ იდეალთაგან მოწყვეტით არ წარმოგვიდგება და ჯეირანის სულიერი დრამა სახოგადოებრივ-საკაცობრიო ძალების გამარჯვებით მთავრდება.

ძე კაცისა უღრმავდება ცხოვრების განვლილ გზას, გადახედავს თავისი ხანმოკლე ყოფის ყოველ ბნელ და ნათელ წუთს, პირადი ცხოვრების ყოველ შავ და თეთრ სტრიქონს, ესალმება, ეალერსება და ელოლიავება მას, რადგან აწმყო და მომავალი აღარ არსებობს მისთვის; ძეს საზოგადოებისას კი მხოლოდ შრომის თავისუფლებისათვის ბრძოლის ყიჟინა, მედგარი შემართების სურათები იტაცებენ წარსულში. პირველს პირადი ცხოვრების სიტკბოება, „ჰკუადამჯდართა“ და „გამოცდილთა“ ინდივიდუალიზმი კვებავს, მეორეს — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცე სურვილი, გამაჯვების ღრმა რწმენა და მყობადისათვის თავგანწირული შეძახილი.

„—აკი გეუბნებოდით—ესმის ძეს საზოგადოებრივად ობივატელთა ნიშგებითი სიტყვები — აკი გაფრთხილებდით!... მე შენ სიძეც მინდოდი. ფულებს მოგცემდი. ლამაზ ქალიშვილს... რად წაიხდინე თავი... ვინ დაგიკვებდა შენ ადგილსა და ჯამაგირს... ეხლა კი შენა თავს დააბრალე ყოველივე. შენა თავს დაემდურე... მადლობა ღმერთს, ჩვენ არავინ დაგვხრჩობა. ათასჯერ რომ იშველოს მეხმა. ჩვენ არაგვიშავს-რა. იმიტომ რომ ჩვენ ჰკუიანები ვართ. ჩვენ ვიცით. როგორ უნდა თამაში. ვიცით ცხოვრებია ხვრელები და დავძვრებით. მადლობა ღმერთს. დავძვრებით ისე. რომ ფეხს არ წავიტეხთ. არაფერი დაგვიშავდება“.

მაშასადამე, მხოლოდ „მე“-ში რჩება მიმდინარეობს ეს ბრძოლა. ორივე ძეს — ძეს საზოგადოებისაც და ძეს კაცისაც აქვს თავისი სფერო, ჰყავს თავისი მომხრე და მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ სისტემაში.

ძეს კაცისას უფრო ფართო წრე უპირისპირდება, იგი წუთითაც არ ტოვებს მარტოდ განწირულს. სასამართლოდან დაბრუნდა თუ არა ჯეირანი, სატუსაღო ამბოხებამ მოიცვა.

„— ამხანაგო ჯეირან! ამხანაგო ჯეირან! ჯეირან!

— რა. ამბავია? დავიყვირე მე. რამდენადაც შემეძლო.

— ამხანაგო ჯეირან, სად ხარ, რომელ ნომერში?

— ძირს... მეშვიდე ნომერში. მეშვიდეში.“

პატიმრები მოითხოვენ დააბრუნონ სოკვდილმისჯილი წინანდელ საკანში. „სანამ ეს არ აბრუნდება, არ დავწყნარდებითო“. — აცხადებენ ისინი და იმარჯვებენ კიდეც.

ღამდება. განწირული რჩება მარტო თავისთავთან და შინაგანი ბრძოლაც ახალი ძალით ჩაღდება: ძეს კაცისას იპყრობს „სევდა. გაუვალი შავი სევდა, რომელსაც თმის ბალანიც კი გრძნობს“. ძეს საზოგადოებისას კი სურს, რომ ამ სევდას, ამ „გატყდომას“ არ გრძნობდეს მტერი და არ ხარობდეს მით.

ძეს კაცისას იპყრობს სურვილი არ დაიძინოს. უდარაჯოს სიცოცხლეს; ძეს საზოგადოებისას კი მიაჩნია, რომ გონივრულად და უნარიანად დახარჯა სიცოცხლის ყოველი დღე. მოახმარა რა იმას, რისთვისაც იყო იგი მოწოდებული. რისთვისაც „უბოძა ის მაღლიდან ღმერთმა“. ძე კაცისა იმალება ტახტის ქვეშ. რათა იხსნას სიცოცხლე მოახლოებული ჯალათის ხელიდან. თუმცა იცის. თავიდან რომ დაიწყოს ცხოვრება. ისევ აქ. სახრჩობელასთან მოვა. ძე საზოგადოებისა კი სამარცხვინოდ თვლის სოკვდილის წინ ჯვთომას და პირუტყეულს უწოდებს მას.

ეს ორი „ძე“ ერთ პიროვნებაში მოქცეული, ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მიმსწრაფი ორი ძალა, დაუნდობლად ებრძვის ერთმანეთს ერთი ღამის განმავლობაში.

ეს უკანასკნელი ღამეა განწირულისათვის. მასში თავსდება ანგარიში ჰთელი სიცოცხლის, ამდენად მთელი საუკუნეა იგი, საუკუნე გონებაში გადატანილი და განსჯილი.

ადამიანის სულში ერთი ღამის მანძილზე წარმოებული ბრძოლის მძაფრ და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სწორ ასახვაში დიდ სიმაღლეზე ადის ჰოლა.

ორ „მე“-ს შორის გამართული ბრძოლა, რომელიც ასე დიდი მტკრევა-მსხვრევით მიმდინარეობს, იმავე დროს გრძნობასა და გონებას შორის წარმოებული ბრძოლაც არის. საღი გონება იდეალისთვის თავგანწირვას კარნახობს, გრძნობა კი ებღაუჭება სიცოცხლეს, ვერ თმობს მას. გაფაქიზებული გრძნობისა და გამახვილებული გონების თვალით იცქირებიან ჰოლას გმირები წარსულში, აკვირდებიან აწმყოს და ხედავენ იქ არა მარტო ინტიმური ცხოვრების სტრიქონებს, არა მხოლოდ თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდებს, არამედ ორივეს ერთად, ერთმანეთში შერწყმულთ და ერთმანეთის შემსვებთ.

ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს ჰოლა, რომ თანამედროვე ადამიანების „მოწინავენიც“ კი, მეუმცირესეთა წრიდან არ არიან მთლიანად აჰაღლებულნი საზოგადოებრივ იდეალებამდე, პიროვნულის საერთოსადმი დაქვემდებარების პრაქტიკულ შესაძლებლობამდე, რომ პირადობა მაგრად ზის ყოველ მათგანში და მოწინავე ლოზუნგების ზეპირი ათვისება კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების მიერ დასახიჩრებული ფსიქიკის სრულად განკურნვას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

ამაშია ფსიქოლოგიური სიმართლე, აქ ვხედავთ ჩვენ ჰეშმარიტ ნიჭს, რეალისტურ ხედვას, მწერლის უნარს — გვიჩვენოს მაჩი ეპოქის, მაჩი წრის რეალური სახე.

საკანში თავისთავთან დარჩენილი ჯეირანის „გულის კუნჭულიდან გამოძვრა“ ერთ დროს „მთრთოლვარე ხელით დაწერილი“ სამიჯნურო ლექსი და დაუდგა წინ.

„ვინმე კი გეტყვის, როს უდროოდ დავხუჭავ თვალებს,
ტოლ-ამხანაგებს გამომაკლებს შავი სიკვდილი;
ნუ დაიჯერებ, თუ ვინმემ თქვას, რომ თითქოს სენმა,
რომ თითქოს სენმა, შომგვარა მე მუდმივი ძილი.

ოჰ, რომ ნახავდე გაზაფხულზე ჩემს ობოლ საფლავს,
იქს შეამჩნევ, ჩემო იავ, მასზე ამოსულს,
ის ია გეტყვის, რომ არც სენსა, არც რამე მაგვარს,
მე მოუკლავარ შენზე ფიქრსა და შენს სიყვარულს“..

ამ ლექსმა მოაგონა ჯეირანს ოდესღაც განცდილი ცალმხრივი სიყვარული, განაცდევინა სინანული იმის გამო, რომ ეს წვინდა გრძნობა გულში დაიმარხა და თავის დროზე „მისებურად“, „ბოსიაკურად“ ვერ გაუმხილა ქალწულს.

გარდასული ცხოვრების სურათებს, გონების სფეროში შრეებად დალაგებულთ, ნელ-ნელა, რიგ-რიგად ეცლებათ დავიწყების ფერფლი. ისინი ყალყზე დგებიან, ცოცხლდებიან, ცხოველდებიან და ელვის სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს.

ჯეირანის მოგონებაში ცოცხლდება სამშობლო, ტკბილ-მწარე ბავშვობა, დედის სიკვდილი, დედა-თბილისი, ერთი წვიმიანი საღამო დედაქალაქში, ხალხით სავსე ქუჩები, „გაპირუტყვებული ადამიანის“, ჯამუშის, ყასბური ცქერა, გოლოვინის პროსპექტზე მოსეირნე, „ლოყა-წითელი, მხიარული და ტლანქი ქალიშვილები“, მამადავითზე შეფენილი სხეულით მოვაჭრე ქალები, საროსკიპოებში მოგზაურობა „მეცნიერული“ მიზნით. საბებიო სკოლის მსმენელ ქალიშვილთა გამოჯავრება, „მაქციერას“ საიდუმლო ცქერის დაჭერის მომენტი და, ბუნებრივია, სურს ხანგრძლივი იქნეს ეს მრავალფეროვანი მოგონება, რადგან არასდროს აღარ გამეორდება ის.

იქ, სამშობლოში, დაფრინავს უცხოეთში კუბოს სარქველზე მოფარფატე სული რევოლუციონერისა, რომელსაც ისიც კი არ დარჩენია სანუგეშოდ, რომ ვინმე მოიგონებს სიკვდილის შემდეგ. აი როგორ გადმოგვცემს ის ამ სევდიან განწყობილებას:

„ღამეა. წვიმა სისინებს, ტირის,
ზეცას ჩამოსდის ცრემლისა ღვარი,
გლოვა-გოდებას მოუცავს არე
და სახურავზე სასტიკობს ქარი.
ფანჯარასთან ვარ გაჩუმებული,
შორს, სამშობლოსკენ მიპყრია თვალი,
არა მოსჩანს-რა, მხოლოდ გარშემო
გულის საკლავი ისმის ღრიალი.
და ჩემ თვალთაგან ქურდულად, ფრთხილად
მოწყდა, დაგორდა ცრემლი ობოლი,
სახეს გამეკრა, ჩამიჩურჩულა:
— სადა გყავს, სადა გულისა ტოლი?

ვიცი... იქ მთვარე კაშკაშებს, ეხლა,
ბულბულის ისმის სტკენა-გალობა,
ყვავილში მცურავ ტურფა სიმშობლოს
ატკბობს ბუნების უხვი წყალობა.
ეხედავ გულის ტოლს — ფანჯარასთან დგას,
შორს იცქირება და ფიქრი მწარი
შემოხვევია, ეჩურჩულება:
ადა გყავს ეხლა. სად მეგობარი?!

ესე იგი მინდა. რომ აგრე იყოს, ნამდვილად კი არავინ არ დგას სამშობლოში ფანჯარასთან და არავინ არ ფიქრობს ჩემზე".

საგულისხმოა, რომ თვით უალრესად ინტიმური განცდანიც კი არ შორდებიან ჯეირანის გონებაში საერთო-საზოგადოებრივ კითხვათა მდინარებას და ისინი მჭიდრო ურთიერთმიმართებაში წარმოგვიდგებიან.

„მაქცერასადმი" სიყვარულს გრძნობის გაუმჟღავნებლობიდან გამომდინარე ჯეირანი ედგება იმ დასკვნას, რომ „მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას". საკუთარი ცხოვრების სტრიქონებს პოგონ-ებს უკავშირებს იგი ქურდობის, ჯაშუშობის და მეძაობის სოციალური მისეზების ანალიზს. საზოგადოებრივისა და პირადის ეს მთლიანობა ნაწარმოებში კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება, როცა შეეცნობთ ბრძოლას მთელ იმ მგზნებარებას, რასაც ჯეირანია, როგორც უდრეკ რევოლუციონერის, პიროვნება შეიცავს.

ჯეირანს ღრმა სევდა შეპარებია ძალთა აიცილებ ეყრდნობა და არა ცხოვრების აბსოლუტს შეცნობას. რევოლუციის მარცხით გამოწვეულ საშინელებათა განცდით იკვებება და არა „მე"-ს უბედობით. რამდენადაც იგი ბოშაობელთა კლასის, პროლეტარიატის და მაშასადამე, ზოგად-სკვანობრივი პროგრესული ძალების დროებითმა მარცხმა წარმოშვა. იმდენად საღია და დიდი, იმდენად დაუშვებელია მისი გათანაბრება იმ სევდა-ვაებასთან, რომელიც რეაქციის პერიოდში სხვადასხვა დეკადენტური სკოლის მესვეურებმა გამოხატეს ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ ტკბილ ბოგონებათა ბურუსში დაცურავდა ჯეირანი, როდესაც კოზმას ღრიალმა სატუსაღო შესძრა: „ამხანაგებო, მცემენ ამხანაგებო. მცემენ ეს ჯალათ..." მხოლოდ ერთი წუთით „გადაავიწყდა სატუსაღო და მისი ინსტრუქციები" და „ახალგაზრდა, წკრიალა ხმით სიმღერა შემოსძახა". ეი რისთვის სცემენ კოზმას. მწერალი ანზოგადებს ამ კონკრეტულ ფაქტს. ქმნის ძლიერ მხატვრულ მუხლს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო კოდექსისას.

— „დიახ, როცა უნდათ, აგვიხვევენ პირს, ხელებს შეგვიკრავენ და მათი მურტალი ხელებით გვცემენ. რამდენიც უნდათ. როგორც ძაღლს, გაგვათრევენ კარცერში და ჩაგვამწყვდევენ შეურაცხყოფილსა და დამდაბლებულად. დიახ. მათი მურტალი ხელებით გცემენ შენ. პირახვეულსა და ხელგაკრულს. გაგიხსნიან გულს და შიგ გულში ჩაგიფურთხებენ. გაგიხსნიან გულს და მათი ბინძური ხელებით ჩაგიყრიან შიგ სიბინძურეს... დიახ. ყველაფერს ჩადიან!“

ველურმა ძალაც გააოგნა კერპადი. ეს გაოგნება თითქმის ბადალია იმ ელდისა, რაც სიკვდილით დასჯის განაჩენმა გამოიწვია მასში.

— „გაშტერებული. აკანკალებული ვიღაც ერთ ალაგას — გადმოგვცეშა ის — და ხმაც კი ვერ ამოგველო. მაშინ, როცა მთელი სატუაღო ღელავდა... იმიტომ რომ იმღერა. აუხვიეს ამხანაგა პირი. შეუკრეს ხელები და მათი მურტალი ხელებით სცემ-ს. სანამ დაიღლებოდნენ. შეურაცხყოფილი და დამდაბლებული გაათრიეს ის, როგორც ძაღლი...

— სევდა! სევდა! სევდა! აუტანელი სევდა, რომელსაც თმის ბალანიც კი გრძობს!

როგორც ღალატი საყვარელი ადამიანისა იმე იკბინება შიგ გულში, როგორც განწირულება“...

ეს კბენა შეტევის ჟინა. გამძარცვებისაკენ მიმსწრაფ ძალებს ყვებავს. ბრძოლის წყურვილს ბადებს და არა ამქვეყნიური ყოფნის უარმყოფელ და ირეალური სამყაროს რეალურად მაღიარებელ შეხედულებებს.

— „სად ხართ ეხლა. ამხანაგებო. რად არ ხედავთ. თუ როგორ დაგვამცირეს დღეს? თუ როგორ გაგვხსნეს მკერდი და შიგ გულში ჩაგვაფურთხეს. თავიანთი ბინძური ფეხებით ჩაწიხლეს ყვავილი ჩვენი გულისა. ჩვენი წმინდათა-წმინდა შელახეს და შებღალეს თავიანთი ყაზახლბაშის ხელებით.“

შეუბღალებელია პესიმისტურ-დეკადენტური გოდება დავინახოთ ამ კაცის ღრიალში. რომელსაც ბრძოლა აწყურია და ხელები კი მტრის მიერ შეკრული აქვს.—„პირი აგვიხვიეს, ხელები შეგვიკრეს და ისე გვცემეს... ჩვენ ვერაფერი ვუთხარით. ვერაფერი შევძელით. ჩვენი კარები გარედან იკეტება და გასაღები მათ ხელშია. როცა უნდათ. მაშინ გააღებენ, შემოვლენ. გადაგვიხსნიან მკერდს და შიგ სინდისში ჩაგვაფურთხებენ. შეგვიკრავენ ხელებს და მერე გვცემენ... და სევდა! სევდა! სევდა! მახსოვს და აუტანელი სევდა შემოხვევია გულს. მძიმე, როგორც განწირულება, მახსოვს, როგორც სილაჩრე და აუტანელი, როგორც ნოტიო, როგორც ღალატი საყვარე-

ლი ადამიანისა, შუბლგადარეცხილი, თმა აბურძგვნილი, ახმახი და საზიზღარი სევდა გამეფდა გულში!“

მშრომელთა უმწეო მდგომარეობის შეცნობით ნაკვები მწარე განცდანი, რა თქმა უნდა, პესიმიზმი არ არის. არავის შეუძლია სადაოდ გახადოს ჰეშმარიტება, რომ იმდენად დიდია მხატვარი, რამდენადაც ამაღლებულად, ძლიერად და გულში ჩამწვდომად შესძლებს იგი ძახოს სურათი მშრომელთა დაბეჩავება-დაჩაგვრისა, გააძლიეროს ზიზღი მჩაგვრელთადმი.

პროგრესის მტერმა გაიმარჯვა. რევოლუცია დამარცხდა. გამარჯვებული არ სცნობს დამარცხებულის არავითარ უფლებას. „ოჰ, რა უბედური ყოფილა ის, ვინც სუსტია... ვინც დამარცხებულია!— წამოიძახა ჯეირანმა —... იცინის, ვიღაც იცინის გულში, სიცილით კვდება. უბედური! უბედური! უბედური! იძახის ის და იცინის, იცინის, იგემე თუ არა? გემრიელია? მიირთვი, გენაცვალე! მიირთვი და შეირგე! და ის იცინის. იცინის, სიცილით კვდება. იგემე, გენაცვალე, გემრიელია? ასეთია გამარჯვებული, ის სულშიც ჩამოგყურებს, გულშიც. რასაც უნდა იმას ჩაიდენს. ვინაიდან მის ხელშია შენი ოთახის გასაღები. ვინაიდან არ დაწერილა უფლება დამარცხებულისა. ასეთია გამარჯვებული: შენ სიმღერა გსურს? მაგრამ ვინ მოისწრა სიმღერა დამარცხებულისა? სიყვარული გნებავს? ხა! ხა! ხა! სიყვარული ნებავს ამას, დამარცხებულს... და ის იცინის, იცინის.., დიახ, ასეთია გამარჯვებული! შენ კი სუსტი ხარ და უღონო, შენ დამარცხებული ხარ... ასეთია ნადიმი გამარჯვებულისა, ასეთია სურვილი მისი, ვინც ღონიერია და მძლავრი“...

სახრჩობელას წინაშე წარმდგარი დამარცხებული რევოლუციონერი, ბუნებრივია, ღრმად განიცდის დროის დაუდგრომლობას, მწუხარებით აღნიშნავს იმ წამის სწრაფ გადასვლას, როცა გამარჯვებით სტკბებოდა. ჯეირანი გულის საძირკვლამდე შეუძრავს იმის ღრმა განცდას, რომ ნაცვლად თავისუფლებით დამტკბარი აღთქმული ქვეყნისა, უახლოვდება „სახრჩობელას, ჯალათს“, რომელიც „სანთლავს ბაწარს“ და ელოდება, რომ დაახრჩოს, შემდეგ გახადოს ტანზე, მისი ტანსაცმელი დაისაკუთროს, ის კი ტიტვლად სამარეში გადაუძახოს“.

არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ჯეირანი, ძე კაცისა, სიცოცხლის სიყვარულის ბუნებრივი გრძნობებით დაჯილდოებული, ღამით, თავისთავთან მარტოდმარტო დარჩენილი, შეკრთა და შეშინდა. „ყველაფერი გათავდება. — ფიქრობდა ის, — იყო კაცი და აღარ არის კაცი და წავა კვლავ ცხოვრება თავის გზით; შომავალ ზამთარს კვლავ შესცვლის გაზაფხული... ვერ გავიღვიძებ მხოლოდ მე.., რო-

მელსაც მიყვარს და მწყურია სიცოცხლე.“ ეს ფიქრი — საღი მსჯელობა თანდათან გოდებაში გადადის: „არა, არ დავიძინებ ამაღამ. მე სიფრთხილე მმართებს, ვინ იცის, იქნებ მომეპარნონ... დედა, სადა ხარ, ჩემო დედა! ამხანაგებო, მე მარტო ვარ, მარტო ვარ სიკვდილის წინაშე!... დედა!... არა, არ დავიძინებ ამაღამ“.

გაჭირვების დროს აგონდება სრულწლოვანს დედა და უფალი, თუმცა ნორმალურ პირობებში შეიძლება პირველი სრულებით არ ახსოვდეს და მეორე სრულიადაც არ სწამდეს. ეს ფსიქოლოგიურად დადასტურებული მომენტი ადამიანის ცხოვრებისა კარგად აქვს დაჭერილი ჭოლას. დედისადმი ძახილისას ჯეირანი შესაბამის ადგილს იხსენებს „დაბადებიდან“.

„რაისთვის ბოროტი უყავ მსახურსა შენსა და რაისთვის არა ჰპოვე მადლი წინაშე შენსა და დასდევ სიმძაფრე ერისა ამის ჩემზედა.

ნუ უკუენ მუცლად მყვანდა ესე ერი, ანუ მე ვშვენ ესენი, რომ მეუბენ მე შთაისვენე ეგენი წიაღთა შენდა, ვითარცა დედამ ძუძუმწოვარი ჩვილი და შეიყვანენ ეგენი ქვეყანასა მას, რომლისათჳს ეუფიცე მამათა მათთა.

ვითარ მივცე მე ხორცი ყოველს ამას ერსა?

ვერ ძალმიძს მე მარტოსა ტვირთად ერი ესე. რამეთუ მძიმე არს ჩემდა ესე.“[116]

მაგრამ რევოლუციონერ-ათეისტი იქვე სვამს კითხვას:

— „აჰ, გავტყდი ნეტავი? რად წამოვიძახე ეს სიტყვები, რად გამახსენდა ახლა, ამ წუთში?“ და დაასკვნის: „ეჰ, შენ, დიდო ბაღო, მწვანით მოსილო დიდო ბაღო გეთსიმანიისა! შენ, რომელსაც შეგიძლია უკვდავება მიანიჭო ადამიანს და იმის სულს, რა ძნელი ყოფილა შენს მწვანეზე მუხლის მოდრეკა მაშინ, როცა ირგვლივ ყველას სძინავს, რა ძნელი ყოფილა ღამის დუმილში ბეჯითი, ამაყი სიტყვების თქმა: „აღსრულდეს ნება შენი. მეუფეო!“ რა ძნელი ყოფილა, რა ძნელი“...

მთვლემარე ჯეირანს ელანდება ჩამომხრჩვალი პავლე, რომელმაც „რამდენიმეჯერ გააქნია თავი და სთქვა: —ე —ე! არ მოველოდი, მართალი გითხრა, შენგან არ მოველოდი მაგას!“

„მე მიეხვდი. — განაგრძობს ჯეირანი. — ის არ მოელოდა, თუ მე ასე შემეშინდებოდა სიკვდილის. მე ხომ ერთიან კანკალი დავი-

---

[116] მოსე წინასწარმეტყველი. წიგნი მეოთხე „რიცხვთა“, თავი II, მუხლი 11 და შემდ. (შენიშვნა ჭოლა ლომთათიძისაა. დ. რ.). საგულისხმოა, რომ ავტორის მითითება აქ არ შეესატყვისება სიმართლეს. ჩანს ნაწარმოების წერის დროს მას ბიბლია ხელთ არ ჰქონია და მეხსიერებას ეყრდნობოდა.

წყე. გუშვით ვიცქირებოდი გარშემო. პირუტყვულმა შიშმა შემიპყრო და, როცა ძირს ვიღაცების ფეხის ხმა მომესმა, გადავწყვიტე ჩემთან მოდიან-მეთქი და ლოგინის ქვეშ მინდოდა დავმალულიყავ... დიახ, დიახ, მე ჯეირანს. მინდოდა ტახტის ქვეშ შეძრომა და ჯალათისაგან თავის გადარჩენა."

რა ეუწოდოთ ჯეირანის ამ მოქმედებას? თვით ჰოლა, რომელიც ამ შიშს „პირუტყვულს" უწოდებს, არაერთხელ სვამს კითხვას: „სიმხდალე იყო ვითომ?, შიშია ეს?" და პასუხობს: „რა ვიცი, რა ვიცი."

ჩვენის აზრით, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს სიცოცხლის სიყვარულის ბუნებრივ გრძნობასთან, იმდენად იგი არც შიშია და, მითუმეტეს, არც პირუტყვული გრძნობა. „მე სიცოცხლე მიყვარს!", „მე სიცოცხლე მიყვარდა" — ამ სიტყვების ხშირი გამეორებით გვაგრძნობინებს ჰოლა, რომ სიკვდილის წინაშე წუთიერი შეკრთომა ქვეყნიურ ცხოვრებასთან ცრემლიანი გამოთხოვება, წარსულის ტკბილი და მწარე სურათების თვალის გადავლება ეშაფოტზე ასვლის წინ — უაღრესად ადამიანურია, თითქმის ყოველი ადამიანის ფსიქიური წყობის ნიშანდობლივი თვისებაა და არა შეგნებული მოვლენა. ამიტომ შეცდომა იქნებოდა მისი მიზეზი გვეძებნა გმირის წვრილბურჟუაზიულ ფსიქიკაში, მწერლის არათანმიმდევრულ რევოლუციონერობაში. მიუხედავად ივისა, რომ როგორც ეს მწერლის შემოქმედების მთლიანობაში განხილვით აშკარავდება, ჰოლა ლომთათიძე არასოდეს არ ამაღლებულა მარქსიზმამდე, მარქსისტული რევოლუციური თეორიის თანმიმდევრულ აღიარებამდე.

ნაწარმოებში ასახული სულის ეს კრთომა პიროვნებაში მოთავსებულ ორ „მე"-ს შორის წარმოებული ბრძოლის პროცესია და არა შედეგი: მწერლის (და მისი გმირის) ფსიქოიდეოლოგიაზე მსჯელობა კი შეიძლება მხოლოდ მისი ნამოქმედარის შედეგების მიხედვით.

ღამის სიბნელესთან ერთად ჰქრება „გატყდომის" წუთები, რევოლუციის უშიშარი რაინდი უბრუნდება მისი იდეის სადარ სიმაღლეს.

„ღმერთო! რა მიხარია! რა სიხარულსა და აღტაცებას ვგრძნობ. მთელი არსება ნეტარებას განიცდის" — წამოიძახა ჯეირანმა.

რითაა გამოწვეული ეს აღტაცება? ბრძოლა მის პიროვნებაში არსებულ ნათელსა და ბნელ, პროგრესულ და რეგრესულ ძალთა შორის პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ძემ საზოგადოები-

სამ სძლია ძე კაცისა და დაფნის გვირგვინით შეიმოსა ნატანჯი შუბლი.

— „ეხლა სად არის ჩემი პროკურორი, აბა ერთი ნახოს — დამძლია თუ არა! აბა ერთი ჩამოიხედოს ჩემს გულში! აბა ერთი ჩამოიხედოს და დაინახავს, თუ რა დარცხვენით მიიპარება მის მიერ შექმნილი ცილისწამება ჩვენს შესახებ. მაში კანონი, რომლითაც ის სახრჩობელაზე მგზავნის". — ამაყად წარმოთქვამს გამარჯვებული ჯეირანი და მრისხანე საბრალმდებლო სიტყვით მიმართავს ამჯერად არა მარტო მეფის სასამართლოს, არამედ პოლიციურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს მთელ სისტემას, ძებრძოლი პროლეტარიატის კლასობრივ მტერს.

„...ბევრი ხართ თქვენ! ფულები გაქვთ თქვენ, და ღმერთიც თქვენს მხარეზეა... თქვენ ბევრი შეგნატრით, ბევრი გაქებთ და გეშხრობათ. იმიტომ რომ ფულები გაქვთ თქვენ. თქვენ ბედნიერნი ხართ იმიტომ, რომ გაქურდეთ, გაძარცვეთ უბედურნი, თქვენ ტყავი გააძვრეთ მუშას, იმიტომ ფულები გაქვთ თქვენ. ამიტომ ბედნიერნი ხართ, ამიტომ თქვენსკენ არის კანონი და სამართალი. მღვდელი და ეკლესია. ამიტომ ძლიერნი ხართ თქვენ! მაგრამ ჩემს სახრჩობელას მე არ გავცვლი თქვენს ბედნიერებაზე. თქვენ, რომელთაც ბედნიერება აგიშენებიათ სხვის უბედურებაზე, რომელთაც ატირეთ ქვეყანა, დედას დაუკარგეთ ალერსი მშობლისა და ქმარს წაართვით ცოლი, რომელთაც მოჰპარეთ ლუკმა ულუკმოთ, ნაშრომი — მშრომელთ, და, როცა იხილეთ კონკი თქვენს მიერ გაძარცვულსა, დასცინეთ. სულელი უწოდეთ! თქვენ, რომელთაც ისე მოაწყეთ საზოგადოება, რომ საროსკიპოც კი ამშვენებს თქვენს წუხრიგს, რომელთაც ნამუსი ახადეთ ქალებსა და ქუჩას აჩუქეთ ისინი. თქვენს ბედნიერებაზე მე არ გავცვლი ჩემს სახრჩობელას. ეს თქვენი ჰკუაა. ასე რომ აწყობა ქვეყნიერება. თქვენმა ჰკუამ შექმნა ვშიერთა არმია. თქვენმა ჰკუამ მოწამლა ჰაერი. ეს თქვენი ჰკუაა!.. ვინ გაგამართლებს თქვენ. როცა პასუხს მოგთხოვენ, ვინ გაბედავს თქვენს სასარგებლოდ ხმის ამოღებას?... აბა, ერთი მიმოიხედეთ გარშემო. აბა დაფიქრდით. რა იქნება, თუ თქვენ მიერ გაუბედურებული ქვეყანა ალაპარაკდა. თუ მან ამოიღო ხმა და ანგარიშის გასწორება მოითხოვა!.. ეკედრეთ. ევედრეთ ღმერთს. რომ მოშავალმა მსაჯულებმა თქვენი მსაჯულებიდან არ გადაიღონ სასჯელი დამნაშავეთა. ევედრეთ ღმერთს!.. ეჰ, იცოდეთ ერთი, რა მძაგხართ თქვენ! მე არ გავცვლი ჩემს სიგიჟეს თქვენს ჰკუასა და გამოცდილებაზე. ჩემ მწარე ფიქრებს სიკვდილის მოლოდინში —

თქვენს ლამაზ ცოლებზე, ყასაბურ შემოსხედვას ჩემი ჯალათისას... თქვენი ქალიშვილების მწველ თვალებზე! თქვენი სიყვარულიც მძაგს და სიძულვილიც, თქვენ მიერ შექმნილი ზნეობაც და კანონიც, მძაგს თქვენი ღმერთი, რომელმაც იქადაგა ყოვლად ბინძური სიტყვა — მოთმინება თქვენი სისაძაგლისა! იუდა ვერ იქნებოდა იუდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, თქვენ, რომლებიც ასე აძაგებთ და ანათემას უთვლით მას ახლა, როცა ქრისტე აღარ არის საშიში თქვენთვის, როცა ის თქვენი მომხრეა, ახლა აღარ გჭირდებათ იუდა და აძაგებთ მას!... ქურდები ადამიანის ბედნიერებისა, თქვენ სჯით იმას, ვინც ნაქურდალისკენ ხელს გაიწვდის, გამყიდველნი, გამაუპატიურებელნი მეცნიერებისა და ნათელი აზრის, თქვენ კანონს იხმარიებთ მაშინ, როცა პატრონი თავის საქონელს მიაგნებს და თავის უფლების აღდგენას მოინდომებს... ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგაძახებთ მე თქვენ:

— ანათემა თქვენ, ანათემა, ანათემა!

ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგაძახებდით მე თქვენ: სიკვდილი თქვენ, მკვლელებო! ბრძოლა თქვენ, ქურდებო და ავაზაკებო!

თქვენმა წრემ დაბადა და აღზარდა სიცრუე, ეს თქვენ გამოიგონეთ ეკლესია, რათა მიწიერი ქურდობა თქვენი ციური სიცრუით დაგეფარათ! ეს თქვენ შეჰქმენით სახელმწიფო და კანონები, რომ თქვენი დამნაშავე არსებობა დაგეცვათ, რომ თქვენი სიცოცხლე დღეგრძელ-გეყოთ.

ასი ათასი ენა რომ მქონდეს, ასი ათასი ენით შეგაძახებთ მე თქვენ: გაფურთხებთ თქვენ, ჰკუიანებო და გამოცდილებო, ბედნიერნო და კმაყოფილნო, ზიზღი და შეჩვენება თქვენ აწ და მარადის!..."

ციტატი, რომელიც ასე ვრცლად და სრულად მოვიყვანეთ აქ ჩვენ, ისე ნათლად მეტყველებს ჯეირან ვარდოსანიძის „მე"-ში საზოგადოების ძის, მტკიცე რევოლუციონერის გამარჯვებაზე, რომ კომენტარებს სრულებით არ საჭიროებს. ძნელია მისი რევოლუციური მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი იწერებოდა ნახევარი საუკუნის წინ, რეაქციის თარეშის დროს, სატუსაღოში გამოკეტილი მომაკვდავი პწერლის მიერ.

ჰოლა (იგივე ჯეირანი) ძველი საყაროს გმობაზე არ შეჩერებულა და იქვე გამოხატა ჩაგრულთა ბრძოლისა და გამარჯვების თავისი კრედო:

„ისევ თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, უპკუონო და გამოუცდელნო, გაძარცულნო და შეურაცხყოფილნო!... — მიუბრუნდა ის მშრომელთ — თქვენ, ვინც ვერაოდეს ვერ ისწავლით სხვის უბედურებაზე ბედნიერების აგებას, სხვისი ნაშრომით ცხოვრებას; თქვენ, ვინც შრომობთ და ნაშრომს გართმევენ, ვინც ოფლს ღვრით და მაინც გშიათ, ვისაც მღვდლები გიქადაგებენ მოთმინებას, მორჩილებას, მდიდრები — შრომას და ნაშრომის იმათ საკუთნაოში დატოვებას, თქვენ, ჩემო ძმებო და ამხანაგებო, მაღლა, მაღლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა და მედგრად, ამაყად შემოკრბით მის გარშემო შემოჰკარით ზარს ბრძოლისაკენ მომწვევს და დასძახეთ ქვეყანას გაბედულად და უშიშრად! დასძახეთ, ბიუებო, ყიჟინა და მიესიეთ მტერს! ასწიეთ, მაღლა ასწიეთ დროშა ბრძოლისა, მოიწვიეთ ყველა უპკუო და გამოუცდელი, ყველა ის, ვისაც შეხი ეტანება, ვინც მაღალია, დაუძახეთ ქვრივებსა და ობლებს, ჩაგრულთა და დატანჯულთ, ერთად შეაგროვეთ ცრემლი კაცობრიობისა, ქვითინი დედათა, ოფლი მუშაკთა და ოხვრა შეურაცყოფილთა!... შეჰკარით, მშიდრო წრე და ბედნიერების სახელით შემუსრეთ ნადიმი ბედნიერთა!

ეს მაგათ გასჭედეს ბორკილი და ააგეს საპყრობილე! მაგათ აწოვეს ძუძუ ჯალათს და უმღერეს ნანინა, მაგათ აღმართეს სახრჩობელა და გასანთლეს ბაწარი, მაგათ შეურაცყვეს ცხოვრება!.. ეს მაგათ გამოიგონეს უსაძაგლესი და უგარყვნილესი სიტყვა — მოთმინება!... მაშ, მაღლა ასწიეთ ბრძოლის დროშა, მედგრად, ამაყად დასძახეთ სიმღერა ბრძოლისა და გასწიეთ წინ!...“

გრძნობისა და გონების, ე. ი. პირადულ და საზოგადოებრივ ძალთა ჰიდილი დასრულებულია. ერთჯერადი გრძნობა კაცისა დამარცხებულია, ხოლო ძე საზოგადოებისა, დიდების მწვერვალზე მდგარი, დაჰყურებს წუხანდელ სიმდაბლეს და თავის საბოლოო გამარჯვებას გვამცნობს სიტყვებით: „რა იქენი, სახრჩობელავ, ჯალათო! რად დაჰკარგე შენი საშიშარი სახე. რად მიცქერი აგრე უფერული და უშინაარსო?... და შენც, სიკვდილო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ?... რად ვეღარ მაშინებს შენი გულგრილი სახე, შენი ცივი ჭშენა?... ვერა, ვეღარ დამძლევ, ბებერო, ვეღარ! ამაყად, უშიშრად გიყურებ თვალებში, ამაყად, უშიშრად ავაბიჯებ ფეხს სკამზე!... ვერა, ვერ დამძლევ, ბებერო სიკვდილო, ვერ დამძლევ!“..

ის სიმაღლე, რომელზედაც თავისთავზე გამარჯვებული ჯეირანი დგას, ჩადუღაბებულია ცოცხალი საქმით, მოქმედებით და არა მხოლოდ ლამაზი სიტყვებით, დეკლამაციით.

— „ბურჟუაზიულმა შარლატანებმა შეგაბრალონ თქვენ სიკვდილით დასასჯელნი, იმათ ითხოვონ მოწყალება! მე კი მოვკვდები,

როგორც შეშვენის სიკვდილი დამარცხებულ მებრძოლს... ჩვენ არ დაგზოგავთ თქვენ. ამიტომ არც თქვენგან ვთხოულობ დაზოგვას... მოვკვდები, როგორც დამარცხებული სოციალისტი... ჰე, ჯალათო, მზათაა კისერი...“

ამ სიტყვებით უარყო მან პროკურორის წინადადება პატიების თხოვნის შეახებ. დაარწმუნა ავხანაგები სიკვდილით დასჯის გაუქმებაში, რათა ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინა რევოლუციურ ძალთა უაზრო ხარჯვა, და ზეადამიანური ენერგიით აღსავსე ავიდა სახრჩობელაზე.

რამდენადაც შეუძლებელია უარვყოთ ფაქტი ჯეირანში რევოლუციურ ძალთა გამარჯვებისა, იმდენად შეუსაბამოა ვიმსჯელოთ მის წვრილბურჟუაზიულ ფსიქო-იდეოლოგიაზე. ის ჯოჯოხეთური ღამე, რომელიც სიკვდილმისჯილმა ჯეირანმა საპყრობილეში გაატარა, გაორების წინააღმდეგ ბრძოლისა და გამარჯვების აშკარა დადასტურებაა და არა გაორება.

გაორებული, საუკუნეების მანძილზე დამახინჯებული ადამიანის ბრძოლა მთლიანობისათვის, სულის მონოლითურობისათვის, და ბრწყინვალე გამარჯვება ამ გზაზე. — აი რა გვიჩვენა მწერალმა ამ მაღალმხატვრულ ფსიქოლოგიურ ნაწარმოებში.

1905 წლის რევოლუციის მარცხის შედეგად გამეფებული რეაქციის პერიოდი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეური დაბნეულობისა და ლიტერატურაში სხვადასხვა ესთეტიკური სკოლების გაბატონების ეპოქა) ყოველ დროზე მეტად მოითხოვდა ნაწარმოებში მწერლის იდეურ-მორალური ტენდენციის გამომჟღავნებას. „სახრჩობელას წინაშე“ უაღრესად მნიშველი ტენდენციურობის გამომხატველი მოთხრობაა.

აქ ჩვენ სარკეევი არა გვაქვს მწერლის მიზანდასახულობა. არ გვჭირდება იმის ძიება, თუ რას გმობს და რას ემხრობა იგი, ან ვისკენ იხრება მისი სიმპათია-ანტიპათია. მაგრამ ეს აბსოლუტურად შეუფერავი ტენდენციურობა იმდენად მაღალმხატვრულ ფერებში ჩნთქება, რომ ნაწარმოების ღირსებას ოდნავადაც ვერ ჩრდილავს.

ავტორის თხრობა „სახრჩობელას წინაშე“ მიმზიდველი, ხატოვანი და ლაღია. მაგრამ ამავე დროს ისეთივე მღელვარე, სწრაფი და დაუდეგარი, როგორც ეპოქა აღმავალი რევოლუციისა და ცხოვრება ამ ეპოქის ტანჯული შვილის ჯეირან ვარდოსანიძისა. აქ არ გვხვდება არც ერთი ნაძალადევი წინადადება, არც ერთი ყალბი და არაბუნებრივი განცდა, არც ერთი შტრიხი, რომელიც ქართული ან უცხოური ლიტერატურის რომელიმე ნაწარმოების ცალკეულ დეტალებს მოგვაგონებდეს.

ქალისა და სიყვარულის პრობლემა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში

ჭოლა ლომთათიძე, როგორც მხატვარი და მოაზროვნე 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალს მოჰყვა და მთელი თავისი ფიზიკური და სულიერი ძალა მან ამ რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას მოახმარა. ყოველდღიური ცხოვრების არსი და მიზანი. მოქმედ ადამიანებრივ ძალთა მინუს-პლიუსი ჭოლამ რევოლუციური თვალსაზრისით გაზომა და გაჩხრიკა. ცხადია. ასევე რევოლუციური თვალთახედვით შეუდგა ის იმ მარადუკვნობი გრძნობის ლაბირინთში. რასაც სიყვარული ეწოდება.

ლიტერატურის ისტორიაში ძნელად თუ ვიპოვით მოტივს. რომელსაც არ ჰქონდეს საწყისი და საყრდენი. სათავე. საიდანაც ამოვიდა. რათა ახალი გაშუქება. ახალი ელვარება მიეღო.

როგორც კი მივაპყრობთ გონების თვალს ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში მოცემული სიყვარულის გრძნობის მოტივს. დავინახავთ. რომ სიყვარული რაობის გაგების საკითხში ჩვენი პოეტი უშუალო მემკვიდრეა ყველა იმ შეხედულებათა კომპლექსისა. რომელიც შოთა რუსთაველის. ილია ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის შემოქმედებამ გვიანდერძა. მიუხედავად ამისა ჭოლას მიერ სრულად ორიგინალურადაა ეს მოტივი გახსნილი და გააზრებული.

ქალის ფიზიკური სიტურფე და სულიერი სიმშვენიერე. როგორც მოპირდაპირე სქესის ამამაღლებელი და გრძნობის წარმართვის უნარის მქონე დიადი ძალა. ნაირფერადი სიდიადით ელავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში და მაინც ჭოლა ლომთათიძემ ქალის შესახებ ახალი. მანამდე უცნობი სიტყვა თქვა.

ქალის როლი რევოლუციის გზით ერის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულება კლასობრივ საზოგადოებაში. უთანასწორობასა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე დაფუძნებულ საზოგადოებათა ფორმაციების გამანადგურებელი გავლენა ქალის ფსიქიკაზე. საუკუნეების განმავლობაში დამცირებული ქალი და კაცი მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში. აი ეს არის ფრიად მოკლე ამა საკითხებისა. რომელთა გადაჭრასაც თავისებურად ლამობს ჭოლა ლომთათიძე სიყვარულის რაობის გარკვევისას.

თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით განსჯისას ჭოლა მამაკაცთან შედარებით მეტ სიმახინჯეს დედაკაცში ხედავს. მაგრამ. ეურდნობა რა იმ დებულებას: რომ „კარგი მაჯული ის არის. ვინც ბრალდებულისათვის მეტ გაასაჭირთლებელ ადგილებს ეძებს“. ამ სიმახინჯის მიზეზთა ფეს-

ეებსაც სწვდება. „თუ სადმე ადამიანის ცრემლი იკრებს თავს, — ამბობს ის, — თუ სადმე შეურაცყოფილთა და დამდაბლებულთა კვნესა არის შეგუბებული, — იქ ბედკრული დედაკაცის ცრემლსა და კვნესას საპატიო ალაგი ექნება დათმობილი, და თუ ოდესმე აივსო ეს „მოთმინების ზღვა“, თუ ოდესმე გადმოილახა ის მაღალი კედელი. რომელსაც ადამიანის გულცივობასა და გულქვაობას ეძახიან, მაშინ დააკვირდით, ვინც მოესწროთ ამ ბედნიერ დღეს.— ერთ-ერთი იმ ძლიერ ნაკადულთაგანი, რომელიც იმ დროს გადმოხეთქავს, იქნება დედაკაცის ცრემლი. ის იქნება მდუღარე, რომელიც სხვა ნაკადულებთან შეერთებული, ყველაფერს მოსწვავს დედამიწაზე და ნიადაგს მოუმზადებს ახალ ცხოვრებას... დიახ, დიდია, დიდი უსამართლობის დანაშაული ქალის წინაშე...“

ერთის მხრივ პირად „მე“-ში ჩაკეტილი მამაკაცები და დედაკაცები, რეაქციის დამხმარე ბნელი ძალები, მოღალატენი და გაუტანელნი, რომელნიც ისევე ვაჭრობენ სიყვარულით, როგორც სულმდაბალი ვედუქნეები წვრილმანი ნივთებით; კაპიტალიზმის მხეცური ექსპლოატაციის შედეგად ქუჩაში ულუკმაპუროდ გამოყრილი საკუთარი სხეულით ურცხვად შოვაჭრე „ველამურა“ ქალები, ხოლო, მეორეს მხრივ, რევოლუციის რომანტიკით გატაცებულ ქალთა და კაცთა სახეები, რომელთა მიჯნურობას სოციალიზმის საქმისადმი ერთგულება წარმართავს, აშშვენებს და განაპირობებს. — ასეთია ძირითადად ის წრე, რომლის ფონზე ჰოლა სიყვარულის მოტივს ასახავს.

უთანასწორობასა და ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოების მიერ სულიერად დასახიჩრებულ ქალთა ტიპები, თანამედროვეობის მსახვრალი ხელისაგან გამოხსნილი, თავისუფალი, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი ქალები, რომელნიც ინტელექტუალურად ამაღლებულან და ღირსნი გამხდარან მამაკაცთა ჭეშმარიტი სიყვარულისა — კინო ლენტის სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებით ლაბორატორიაში.

სანამ დავახასიათებდეთ არსებული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბებულ რევოლუციონერ ქალთა ტიპებს და რევოლუციისადმი მტრულად განწყობილ ობივატელ ქალთა სახეებს, ვფიქრობთ საჭიროა ზოგადად მიმოვიხილოთ პოეტის დამოკიდებულება საერთოდ სიყვარულის მოტივისადმი.

ჰოლა ლომთათიძე ისევე ამამაღლებელ და დაუძლეველ ძალად წარმოგვიდგენს სიყვარულს, როგორც შოთა რუსთაველი და ალ. ჯავჯავაძე, ისევე დიდ როლს ანიჭებს იგი ქალს საზოგადოების განახლება-განვითარებისათვის წარმოებულ ბრძოლაში, როგორც

ილია და როგორც აკაკი. ეს ჩანს არა მარტო მის მიერ დახატულ დედათა სქესის მოქმედებაში, არამედ თვით პოეტის ცალკეულ გამოთქმებშიც, რომელთაც ხშირად დეკლარაციული ხასიათი და ფრიად დამაჯერებელი ტონი ახასიათებთ.

— „ვიცი მე წიგნები, რომლებიც იმდენად ახლოა ჩემთან, ხანდახან მიკვირს, რომ ისინი ჩემი დაწერილი არ არის, რომ სხვამ მომასწრო მისი დაწერა. ერთი ასეთი წიგნი „ვეფხისტყაოსანია“. თუ რუსთაველი ქმნიდა მას, მეც ვქმნი, მეც სულს ვუდგამ თინათინს. ავთანდილს, ნესტანს, ტარიელს, ნურადინ ფრიდონსა და ფატმანს... მე ვუცქერი იმ სურათებს, რომელთაც ერთ დროს უცქერდა პოეტი რუსთაველი, ვფიქრობ იმის გმირებზე — ის ბედნიერი კაცი იყო მისი ნაცნობი ქალი ასე ეუბნებოდა სატრფოს: „ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“, — ამბობს ჭოლა.

ზემოთ მოყვანილი ციტატი აშკარად მიგვითითებს ჭოლა ლომთათიძის დამოკიდებულებაზე სიყვარულის რუსთველური გაგებისადმი, რაც გამოიხატა იმ ახალი ნესტან-თინათინების იდეალიზაციაში, რომელთაც იერიში მიჰქონდათ თავიანთი საუკუნის ქაჯეთზე — ვეფის რუსეთის თვითმპყრობელურ-ბეჰშულურ რეჟიმზე.

ითვალისწინებდა რა იმ როლს, რასაც რუსთაველი ანიჭებდა ქალს საკაცობრიო კულტურის განვითარების. სამშობლოს ხსნის საქმეში. ჭოლა გადაჭრით აცხადებდა: „მე დიდ ძალას ვაძლევ დედაკაცს საზოგადოებრივ ბრძოლაში... მას დიდი ძალა აქვს მგონია, რადგან კაცობრიობის ნახევარს შეადგენს ის... სიცოცხლე სიყვარულის გარეშე. სიცოცხლე არ არის...“ მისი აზრით, ბუნების დამმორჩილებელი ადამიანისათვის უძლეველია ძალი სიყვარულისა. ეს უკანასკნელი შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ბუნების მხოლოდ იმ ძალებს, რომელთა დამორჩილებას ადამიანები ვერასოდეს ვერ შესძლებენ, რადგან „ძლიერია სიყვარული ვითარცა სიკვდილი, დიდნი წყალნი ვერ დააქრობენ იმის ცეცხლს და დიდნი მდინარენი ვერ დააოკებენ მას“, ედისონები უძლურნი არიან გამოიგონონ. შექმნან მისდაგვარი, მისი მსგავსი რამ.

ჭოლა ლომთათიძე გადაჭრით ილაშქრებს იმ „ურა სოციალისტების“ წინააღმდეგ, რომელნიც მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთობის, სიყვარულის საკითხს ზერელედ უყურებდნენ, მხოლოდ გონებას თელიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველ ძალად, უარყოფდნენ გრძნობას. „დაიკარგოს გული შორს, მე ჰკუა მომეცით და გული კი ქალიშვილებს გაუგზავნეთ, ინსტიტუტებისათვის და-

მითმია!" — ასეთი ყოფილა მათი დევიზი. მწერალი შენიშნავს, რომ ასეთი მოსაზრების ადამიანებს ტაშს უკრავდნენ შეცდომებისა და შეცოდებების მორევში შეცურებული ადამიანები და ამით უაღრესად დიდ შეცდომას აკანონებდნენ. — „აბა, დაფიქრდით, რა მოსასმარია ჭკუა უგულოდ, ვინ წააქეზოს გონება, თუ არა გულმა, ვინ მისცეს სისხლი მკლავებს გონების გადაწყვეტილებების სისრულეში მოსაყვანად? არა და არა! უგულოდ ცხოვრება — ეს მანქანად გადაქცევაა ადამიანის და, მაშასადამე, გაუმარჯოს გულს!" — აეთია ჰოლას შეხედულება გრძნობა-გონების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

გრძნობადობის სრულიად უარყოფელთა წინააღმდეგ ამხედრებულმა ჰოლამ ძლიერ შორა შეუტოპა. იგი მეორე უკიდურესობამდე მივიდა და საკაცობრიო იდეალების წარმმართველ ორგანოდ მხოლოდ გრძნობა აღიარა: „საწყალი გული!... ეს ის მონაზონია, რომელიც თურმე ცისა და ქვეყნის სატირალს სტიროდა! საწყალი გული! ადამიანი როდი ტანჯულა — ის იტანჯა, ადამიანი კი არ იტანდა დამცირებას — ის ითმენდა. ადამიანი კი არ სტიროდა, ის სტიროდა. ის ღვრიდა ჭვარე ცრემლებს. ადამიანი კი არ ქვნიდა სასწაულებს. გული ქმნიდა!... და მტერი ადამიანისა — მტერი იყო გულისა! საწყალი გული! მას სდევნიდნენ მშობლები, როდესაც ჩასცივებოდნენ: შენი თავი ჯამაგირში გაჰყიდე და ჩვენ გვარჩინეო, მას სდევნიდა სატრფო, როდესაც ეუბნებოდა: უარჰყავ ყველაფერი და შემომიდექ მეო. მას სდევნიდა ბრბო მწიგნობართა და ფარისეველთა, ბრბო ძლიერთა ამაქვეყნისათა, როდესაც მან აღაგო ბაგე ჭეშმარიტების საღაღადებლად. მე მას ვხედავ გოლგოთაზე — უწმინდესი ინკვიზიციის კოცონზე. მე იქ ვერც გუსსა ვხედავ, ვერც ბრუნოს, იქ ვხედავ მხოლოდ გულს და მარტო გულს!... საწყალი გული!..." („ტალღები").

ჰოლას თქმით, თვით „ბაზაროვიც ვერ გაუმაგრდა გულს", ეს გამოფიტული, მშრალი რაციონალიზმის მიმდევარი ბაზაროვიც კი იძულებული გახდა გონებით დამძიმებული თავი მოეხარა გრძნობის (გულის) წინაშე. პოეტი გრძნობისა და გონების დაპირისპირებისას შოპენჰაუერის ფილოსოფიას ეხება და აცხადებს: „სცდება ბებერი შოპენჰაუერი, როდესაც უარყოფს ქალის მაღალ დანიშნულებას, როდესაც უარყოფს ქალში ამხანაგს". სიყვარულის, როგორც დაუძლეველი კეთილშობილი ძალის, ჯანაღ ფერებში გამოსახვის მიზნით, ჰოლა მძლავრ შედარებებს მიმართავს.

— „წარმოიდგინეთ თქვენი თავი ბუჩუსში მთელი დღეობით

და წლობით, წარმოიდგინეთ, რომ არც ელით უკეთეს დროს. არ ფიქრობთ, რომ ბურუსი თავიდან გადაგძვრებათ და უცბად მზიან სამყაროში კი გადააბიჯეთ, უცბად განათდა ყველაფერი და თქვენმა სხეულმა იგრძნო გამაცოცხლებელი გავლენა მზის სხივებისა"... ჯადოქრულს. დაცემულის განმანახლებელ და განადგურებულის აღმდგენელ ძალას შეიცავს მხოლოდ ერთი სიტყვა „მიყვარხარ!" წარმოთქმული სუსტი ქალის ნაზ ბაგეთაგან. თითქოს ეშინია, ვაი თუ კიდევ ვერ გამოვთქვი ის, რაც მინდოდა. ვაი თუ კიდევ მეტის თქმაა საჭირო ამ უშრეტი ენერგიის მომნიჭებელი ძალის ასასახავად, და ჭოლა იქვე მეორე შედარებას მიმართავს:

„ვთქვათ, შენ ხარ ზღვის თვალგადაუწვდენელ სივრცეში, სადაც მისი შავი ტალღები წამისწამ ჰლამის შენს ჩანთქმას, შენ არ იცი, როდის მოგიქცევს ქვეშ ნავი და აი, ამ დროს შენ გკიდებს ხელს ვისიმე ძლიერი ხელი და ნაპირისკენ მიგეზიდება, მიგეზიდება ისე მაგრად, რომ შენ დარწმუნებული ხარ, — ტალღების ცდა შენს დასაღუპავად ამაოა". აი ამგვარ მაგარ ხელს წარმოადგენს სიყვარული, ნაზი არსების ბაგეთაგან წრფელად ნათქვამი ერთი სიტყვა — „მიყვარხარ!"

უსიყვარულოდ გულში არ ინთება ცეცხლი არც რწმენის, არც სიძულვილის, სურვილი წინსვლისა და გამარჯვების; უსიყვარულოდ არ შრიალებენ მომავლის გეგმები, არ ჟღერს პოეზიის ქნარი და უიმისოდ გული, ეს უდიდესი ენერგიის შემცველი ბრძმედი, წარმოადგენს გუბეს, დატბორებული სისხლის მშრალ საგუბარს. ავ-კარგის შეცნობის უნარმოკლებულ მჭვარს, რომელიც პიროვნებას მიზნისაკენ ვერ უბიძგებს. როდესაც ადამიანი იგრძნობს, რომ „სადღაც, ცის კიდეში არსებობს არსება", რომელიც მასზე ფიქრობს. რომელსაც ის აინტერესებს. აი სწორედ მაშინ ედება ფახი სიცოცხლეს და საერთოდ არსებობას. სიყვარული იწვევს „აღტაცებას იმისადმი, რაც ღირსია აღტაცებისა" და „უსაზღვრო ზიზღს საზიზღარისადმი". სიყვარული ანთებს გულში ცეცხლს, რომელიც, მებრძოლი მწერლის გაგებით, ყოველგვარ პრობლემას განიხილავს რევოლუციისათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით, სიყვარულს აქვს უშრეტი ძალა აღადგინოს დაცემული, ახალი ენერგია შეჰმატოს დაღლილსა და დაქანცულს. — „როცა მე ძლიერ ვიღლებოდი — გადმოგვცემს ის რევოლუციონერი ვანოს შეხედულებას თავის სატრფოზე, — ვიღლებოდი ისე, რომ სატუსაღოში მყოფ ამხანაგებს შევნატროდი — ნეტავ მათ, ისინი დასვენებული მაინც არიან-მეთქი, ამ დროს საკმაო იყო ხვარამზე მომგონებოდა... და

სად იყო დაღლილობა — მავიწყდებოდა მახორკის სუნი, დაუმსახურებელი საყვედური, აუცილებელი ინტრიგები და კვლავ მიპყრობდა წყურვილი სიცოცხლისა, ბრძოლისა, თავდადების, გამარჯვების. სიკვდილის"...

სიყვარული ჯ. ლომთათიძის შემოქმედებაში წარმოდგენილია როგორც გრძნობის ისეთი სფერო, რომელსაც სიტყვებით გამოთქმა, დამტკიცება-დასაბუთება არა სჭირდება. იგი აღიქმება როგორც რწმენა, მოკლებული საბუთების საჭიროებას და, რწმენასავით მთავრდება მაშინვე, როცა მის დასაბუთება-დამტკიცებას იწყებენ. — „მოღალატეა ის მოღალატე, რამდენიც არ უნდა მაჯეროთ, მაინც ვიტყვი, რომ მოღალატეა!" — ჯიუტად იმეორებს პოეტი ლოლა დაიძის მიმართ, რომელიც მხოლოდ ერთხელ შეხვდა და ერთხელ მიესალმა მას: „თქვენ მეტყვით, რა საბუთი გაქვსო. მე რა ვიცი რა საბუთი მაქვს, რად მინდა მე საბუთი? საბუთი მტყუან ადამიანებს სჭირიათ, მე კი არა... გალესეთ და დალიეთ თქვენი საბუთი. მე უსაბუთოდ ვამბობ. რომ ის მოღალატეა და ვემართლები იმას გადავაფურთხო. მე მწამდა, რომ ჩემსა და იმას შუა არსებობდა კავშირი, არსებობდა პირობა. რომლის დარღვევაც არ შეიძლებოდა, აი ეს არის ჩემი საბუთი". შეყვარებულთა სულები მიუხვდებიან ერთმანეთს, შეიცნობენ, შეიგრძნობენ, შეერწყმიან ერთურთს, იქცევიან ერთარსებად და ეს ორთა შეყრა, ორი სულის ერთ სულად, ორი გულის ერთ გულად ქცევა იმდენად არ საჭიროებს მეტყველებას, რამდენადაც ადამიანს არ სჭირდება მეტყველება თავისთავისათვის რაიმეს დასამტკიცებლად. ორი სულისა და გულის ერთ სულად და გულად ქცევა არის სულიერი, ზეგარდმო, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ მრავალ კაცთათვის შეუცნობელი ნიჭით ცხებული და არა ფიზიკური. ამიტომ. ბუნებრივია. მასზე მანძილი და დრო არ მოქმედებს. დუმილი, მწერლის აზრით, საუკეთესო მეტყველებაა შეყვარებულთა სულებისა, საუკეთესო და მჭერმეტყველური გადმოცემაა იმისი, რასაც ისინი გრძნობენ. „მთელი ერთი საათი ვუცქერდი იმათ, — გვეუბნება მწერალი შეყვარებული წყვილის შესახებ. — და ამ დროის განმავლობაში არც ერთი, არც მეორე არ განძრეულა, არც ერთსა და არც მეორეს ერთი რა არის, ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, ისხდნენ გაჭვივებულებივით და დასცქეროდნენ მორევს, იმის ხხივებსა და კიდევ იმას, რაზედაც ისინი ფიქრობდნენ, იცქირებოდნენ ისინი, დუმდნენ და... და საუბრობდნენ ისინი, დიახ, საუბრობდნენ ეს,

რა გულწრფელად, რა გარკვევით ამბობდნენ ისინი იმას, რასაც გრძნობდნენ...“

აი რა ესმის მწერალს შეყვარებულთა დუმილში: „ჩვენ ერთი არსება ვართ ახლა, ჩვენ ერთი ვართ, ჩვენში ერთი სულია და ერთი გული, ერთი შინაარსი, ერთი არსება, ერთი სიმღერა. ჩვენ, ერთმანეთზე გადახვეულნი, განუყრელად ვართ მუდამ, მუდამ! ერთმანეთის ვართ, ერთმანეთის ვართ! ჩვენში არაფერი ერთიმეორისთვის დამალული არ არის და ჩვენ არ გვრცხვენია ერთმანეთის იმიტომ, რომ ჩვენ ერთი არსება ვართ, ერთნი ვართ, ერთნი ვართ, ერთნი ვართ. ჩვენ არ მივუახლოვდებით ერთმანეთს — რა საჭიროა ეს! სულიერ ქვეყანაში რას ნიშნავს მანძილი? განა ცალ-ცალკე, ერთი ჩრდილოეთის და მეორე სამხრეთის პოლუსზე რომ დაგვსვან ჩვენ, მაინც ერთად არ ვიქნებით? ჩვენ არ გადავეხვევით ერთმანეთს იმიტომ, რომ თავისთავს კაცი ვერ გადაეხვევა, ჩვენ არ ვაკოცებთ ერთმანეთს იმიტომ, რომ თავისთავს ვერ აკოცებს კაცი... არ ვსაუბრობთ იმიტომ, რომ არ არის საჭირო ენით ლაპარაკი, როცა გული ლაპარაკობს ჩვენ არ ვიტყვით. რომ გვიყვარს ერთმანეთი, განა ისედაც არ ვიცით ეს? და არ დავიწვებით ამაღამ ერთად იმიტომ, რომ ჩვენ ისედაც ერთად ვართ, განუყრელი ვართ, ერთმანეთის ვართ“ („დუმილი“). მრავალგზის გამეორება სიტყვებისა „ერთნი ვართ“, „ერთმანეთის ვართ“, „განუყრელი ვართ“ კარგად გკამცნობს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მათ ავტორი.

ჰ. ლომთათიძეს დამამცირებელ სისაძაგლედ, არაბუნებრივად, მახინჯ მოვლენად ესახება სიყვარულის. ამ ღვთაებრივი ნიჭის, დაფარვა-დამალვა. მისი აზრით, საუკუნეებით დაკანონებული ეს ჩვევა, შედეგია ადამიანის გონების დაფრთხობა-დამახინჯებისა. არსებობისათვის მარადიული ბრძოლით დამონებული, დაშინებული ადამიანი მალავს იმ ერთადერთ ნიჭსაც კი, რომელიც უსასყიდლოდ ეძლევა მხოლოდ ერთხელ და უმაღლეს ნეტარებას განაცდევინებს. ნაცვლად იმისა, რომ ცხვენოდეს უსიყვარულობის, ცარიელი გულის ტყარების, მას ცხვენია სიყვარულის და ეს დარცხვენა უაღრესად არაბუნებრივი მოჩანს.

— „ჩვენ რად გვრცხვენია ცოტათი მაინც ეუწილადოთ ჩვენი გრძნობა ჩვენს პირად სურვილებს, პირად გატაცებებს? განა ცრუმორწმუნეობა არ არის გრძნობათა ეს დაბორკვა?... ვიღაცამ დამბორკა მე, შემიბოჭა სული, ფრთები შეაჭრა ჩემს თავისუფლებას“, — დაასკვნის მწერალი.

ეროვნული და სოციალური თავისუფლება ბედნიერებას ანიჭებს ქვეყანას. ამ ქვეყნის ცალკეულ პირთა ბედნიერება კი გვირ-

გვინდება სიყვარულის გრძნობით. სიყვარულის გარეშე არ არსებობს ბედნიერება და, მაშასადამე, აზრი ეკარგება ყოველგვარ თავისუფლებას, ყოველგვარ ბრძოლას. ბრძოლა სიყვარულის გასათავისუფლებლად ისევე აუცილებელია პიროვნების ცხოვრებისათვის, როგორც ეროვნულ-სოციალური თავისუფლება ერისათვის. როგორც არაბუნებრივი იქნებოდა შერცხვენოდა ერს მოპოვებული ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისა, ისევე არაბუნებრივია. როცა პიროვნებას ცხვენია სიყვარულისა, რადგან მხოლოდ ამ უკანასკნელს ძალუძს გადაავიწყოს ადამიანს ყოველდღიური ურვა, საკაცობრიო თავსამტვრევი საქმენი და კითხვანი, მიანიჭოს სრული ბედნიერება წუთიერად მაინც.

ჟანდარმების მიერ დევნილი რევოლუციონერი, რომელსაც ისის იყო უნდა დასწეოდნენ „წესრიგის დამცველნი“ და ბრუყალები ჩაეცლოთ, ვიღაცის ღია ფანჯარაში გადაეშვა. აქ იგი წააწყდა ქალვაჟს, რომელნიც „ერთმანეთს ჩაჰკონებოდნენ და გიჟივით კოცნიდნენ“. ამ სურათის მნახველ მებრძოლს გადაავიწყდა ყველაფერი, თვით მის კვალში ჩამდგარი ჟანდარმებიც კი, და უდიდესი ნეტარება იგრძნო. — „შევხედე ამ სურათს — მოგვითხრობს იგი — და გავქვავდი, ვერ მოვახერხე უკან დახევა. მთელი ქვეყნის ბედნიერება აქ, ამ პაწია ოთახში იყო, ალბათ, ამ წუთს, ამ ორი ადამიანის თავში ყოველივე კითხვა ახსნილი იყო და გათავებული. არ არსებობს არც სოციალური კითხვა, არც სიმდიდრე, არც სიღარიბე, არც ბრძოლა... ყოველივე ამაოა, ყოველივე სისულელეა, სიმართლეა მხოლოდ ერთი რამ, ის, რომ იმათ ერთმანეთი უყვართ...“

სიყვარულის გრძნობის დაფარვის საჭიროების უარმყოფელმა მგოსანმა არაბუნებრივად მიიჩნია უცხო კაცის დანახვაზე შეყვარებულთა განცალკევება, უეცრად წარმოიდგინა, რომ იგი ახლა ამ ნეტარი წამების წამრთმევი და ძნელად საძაგელი იყო. საშინლად ეწყინა ეს და ასე მიმართა მათ: — „მე რევოლუციონერი ვარ, მე ჟანდარმები მომსდევენ, სახურავზე არიან... თქვენმა ფანჯარამ გადამარჩინა მე. გმადლობთ და მაპატიეთ! იცოცხლეთ, ბედნიერი იყავით, გიყვარდეთ ერთმანეთი, ეს არ არის სირცხვილი“.

რამდენადაც სიყვარული ადამიანის ნებისყოფის გარეშე არსებული ძალაა, იმდენად აქვს მას უფლება იყოს დაუფარავი ყოველ ფორმაში. „დუმილის“ გმირმა იხილა მისი ცოლი სხვასთან მჯდომარე, დაინახა, თუ როგორ მოჰკიდა ხელი მიჯნურმა და მიუახლოვდა მას საკოცნელად.

„— არა, ეს ნუ იქნება, ნუ იქნება ეს, ძვირფასო, სიცოცხლეც ნუ, ნუ იქნება ეს-“ — მოესმა ცოლის მუდარა, ამ სიტყვებმა მისი

აღშფოთება გამოიწვია. „ეეხ, თქვენ ლაჩრებო, თქვენ დედაბრებო. თქვენ! — წამოიძახა მან — რატომ „ნუ იქნება“ და რად იხდი ბოდიშს, რად იხდი, რა დააშავე? ეეჰ, თქვენ მხდლებო, თქვენ, რომელთაც გეშინიათ სიცოცხლის და ბედნიერების. ვინ, ვინ ჩანერგა თქვენს გულში ასე მტკიცედ ცრუმორწმუნეობა. ვინ „დაგაგონავათ თქვენ? ეჰ, თქვენ მონებო. მონებო, მონებო!“ არსებული ნორმები და კანონები მეძავად გარდაქმნიან ხოლმე სიყვარულისთვის დაბადებულ დედაკაცს, იძულებულს ხდიან მას მოერიდოს საყვარელ არსებას, ლოგინში ჩაწვეს „კანონიერ ქმართან“. „რად ჰქვია იმას ჩემი ცოლი, რა უფლებით მქვია მე მისი ქმარი... როგორ შეიძლება ეს!“ ასე პირდაპირ აცხადებს პროტესტს დადგენილი საზოგადოებრივი ნორმებისაგან თვითგათავისუფლებული პიროვნება.

სიყვარულს უდიდესი როლი ენიშება თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, ამიტომ ქადაგებს ჰოლა ლომთათიძე სიყვარულის გათავისუფლებას „წესიერების“ ყალბი ნორმებისაგან.

ჰოლას გმირებს, რევოლუციისათვის მებრძოლ ქალ-ვაჟთ. სიყვარული აღაფრთოვანებთ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სიყვარული, ჰოლა ლომთათიძის გაგებით, ის ბერკეტია, რომელიც სოციალისტური იდეებით შთაგონებულ მებრძოლებს მხარში უდგას და სულიერ სიმტკიცეს მატებს, წინსვლა-გამარჯვების რწმენას უნერგავს. საკმარისია ჯეირანის, ვიქტორ აგიაშვილის, გიორგის, ვანოს და სხვა გმირების ქმედებაზე ზერელე დაკვირვებაც კი, რათა აშკარად დავინახოთ ის ძალა, რასაც ისინი „საყვარელი არსების“ დიდბუნებოვნებითა და სიახლოვით იძენენ, ხოლო მათივე სულმდაბლობითა და სიმორით ჰკარგავენ. აქედან. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, იმ დასკვნის გამოტანა, რომ ჰოლა ლომთათიძეს პოლიტიკური ბრძოლის მთელი სიმძიმე სიყვარულზე გადააქვს. არა, სიყვარული მისთვის მაინც გრძნობისმიერი მოვლენაა და მხოლოდ იმას ასალკლდევებს, რასაც საღი გონება ცხოვრების კრედოდ მიიღებს და აღიარებს.

სიყვარულის რაობის გარკვევისას ჰოლა ლომთათიძეს აქცენტი გადააქვს უმეტესად ქალზე.

რევოლუციურ ბრძოლას, მისი აზრით, ქალები ხელს უწყობენ არა მარტო უშუალო მონაწილეობით ბრძოლაში, არა მარტო ბრძოლით, რასაც ისინი მამაკაცთან ერთად აწარმოებენ, არამედ, მათდაუნებურად, თავიანთი შინაგანი ბუნების ძალით, სტიქიურად; მამაკაცები არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ უმოქმედობისა და ცხოვრე-

ბის სუფრაზე კუთვნილი ადგილის მოუპოვებლობის შემთხვევაში არ შეიძლება დედათა სქესის ყურადღებას იქცევდნენ, რომ ქალებს უყვართ მებრძოლი, ისეთი მებრძოლი, რომელიც იმარჯვებს; მაშასადამე, მათ გამარჯვებულები უყვართ, „ქალები გამარჯვებულთა კუთვნილება ყოფილა ყოველთვის“. ამიტომ, ვისაც ქალის გულის დაპყრობა სურს, მას გამარჯვებამდე ბრძოლაც უნდა შეეძლოს. ტუსაღ რევოლუციონერს ტკბილი მელოდია მოესმის. ეს მელოდია ამაეე დროს ის საბრძოლო ყიჟინაა, რომელსაც ქალი სცემს ბრძოლის ველზე მამაკაცთა შემოსაკრებად. — „და ხტის და ბუქნას გადადის ვიღაც ამ სიმღერაში, ვიღაც მღერის და კისკისებს, დღესასწაულობს და გაჰკივის, რომ უყვარს ბედთან მებრძოლი, უყვარს და არ შეუძლია არ უყვარდეს, ვინაიდან ის არის ქალი, ქალი!... რა მიყვარხარ შენ, ჩემო მებრძოლო, იმიტომ, რომ მე ქალი ვარ! გახსოვდეს, რომ ქალებს არ უყვარდათ განა დავით მეფე? ქალები არ უმღეროდნენ მას, რომ დავითმა მოჰკლა ათიათასი და საულმა კი მხოლოდ ათასიო... ქალებს გვიყვარს ის ვინც უფრო ძლიერია, და მე შენ მიყვარხარ, ჩემო ძლიერო და ამაყო! მიიღე გვირგვინი, ჩემი ხელით ყვავილებისგან დაწნული, ჩემი ხელით დაკრეფილი მინდორში. მიიღე გვირგვინი, ბატონო ჩემო, და კოცნაც ჩემი მიიღე, ალერსი — შენ ხომ შეგიძლია გაიმარჯვო! მღერის და თამაშობს ვიღაც ამ სიმღერაში — მას უყვარს, მას უყვარს და არც შეუძლია არ უყვარდეს ბედისადმი მებრძოლი, იმიტომ რომ იგი არის ქალი“!

ქალის სიმღერა, ეს სიყვარულის ჰიმნი, დაბეჯითებით ჩასძახის ტუსაღ რევოლუციონერს: „ვერა, მხდლები ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას!“, „გაბედე, ძმაო, გაბედე და შენია გამარჯვება!“

არაერთ მებრძოლ ტუსაღს აცოცხლებს ციხეში ცხოვრების ის ფურცლები, რომელთაც სიყვარულის ბეჭედი აზით. ეს ფურცლები თუ ზოგჯერ დაბურულ ბაღში, ან მდინარის პირას იწერებოდა, ზოგჯერ უშუალო ბრძოლაში, პოლიციელებისა და ჟანდარმების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში იქმნებოდა, ამიტომ იყო იგი ასე ლამაზი, აღმაფრთოვანებელი და ახალ-ახალი ენერგიის მომცემი. „თეთრი ღამის“ მთავარმა გმირმა მისდაუნებურად შემოჰკრა ტაში და მთელი ხმით წამოიძახა: „თინა! თინა!“.

„შემდეგ დაეცი პირაღმა ტახტზე, — განაგრძობს ის, — გავხვიე პირსახე ბალიშში და ვტიროდი მე, და გადავწყვიტე, რომ თინასათვის ეს არ მეთქვა.—მითხარით, რა იყო ეს,—სიგიჟე? რა იყო ეს — სიმთვრალე? რა იყო ეს?

რა იყო და სიყვარული იყო...

იცით თქვენ რა არის სიყვარული? მე არ ვიცი, რა არის ის. მე მოვკრიბე მინდვრის ყვავილები და დავწვანი გვირგვინი და თინას თავზე ჩამოვაცვი... საღამო იყო და მზე ალმაცერად გვესროდა სხივებს".

სად არის ახლა თინა? იგი საფლავშია, საძმო საფლავში, ჟანდარმების მიერ დახოცილი რევოლუციონერების გვერდით, საერთო ორმოში, რომლის ნახვაც ერთადერთი ნატვრაა ტუსაღ აგიაშვილისა, რომელიც დაბეჯითებით იმეორებს: „...როცა საფლავებს ეძებენ, როცა საფლავებზე მიაქვთ ყვავილები, როცა საფლავები უყვართ და იქ მიდიან სალოცავად, სატირლად, შურისძიების წყურვილის გასაძლიერებლად. გეშინოდეთ თქვენ ამ საფლავის. ის არ არის საფლავი დამარცხებულის". სიყვარული სოციალიზმის ნათელი საქმისადმი და ამ საქმისათვის თავდადებული რევოლუციონერი ქალის თინასადმი წარმოშობს იმ ცეცხლს, რომლის ჩაქრობაც ტყვიებითა და სახრჩობელებით არ შეიძლება, ქმნის იმის რწმენას, რომ მომავალი თავისუფლებისათვის მებრძოლთ ეკუთვნით.

— „არა, ბიძია, არ ვართ დამარცხებულნი ჩვენ, მოკალით ჩვენი რწმენა? მოკალით ჩვენი სიყვარული? მოკალით ჩვენი თქვენდამი ზიზღი? მოკალით ჩვენი დიდი სურვილი? ტყვია ხომ გულში გვირტყით, ბაწარი რომ კისერში მოგვიჭირეთ. ამით მოკალით რომელიმე სურვილი ჩვენი, რომელიც თქვენ არ მოგწონდათ? მაშ, რად ამბობთ. გავიმარჯვეთო".

სიკვდილი უძლურია დააშოროს ერთმანეთს რევოლუციური იდეებით შთაგონებული შეყვარებული ქალ-ვაჟი. აი რაზე ოცნებობს შეუდრეკელი მებრძოლი ტუსაღი აგიაშვილი:

„კაცს რაც გიყვარს, იმისთვის არავითარი მსხვერპლი არ უნდა გშურდეს. ის საფლავი კი მე ისე მიყვარს, ისე მიყვარს, რომ... რამდენიმე ვაჟკაცი მარხია იმ საფლავში, ერთად, ძმურად აწყვია ერთ ორმოში და მათ შორის მარხია თინაც, ჩვენი თინაც!..." გათავისუფლებისთანავე „ავალ მაღლობზე, წამოვწვები გულაღმა, შევაშტერდები ზეცას და მოვნახავ საზიარო ვარსკვლავს, იმ ვარსკვლავს. რომელიც ერთ აღდგომა ღამეს დავისაკუთრეთ მე და თინამ..."

ეს როდია რომანტიკული გოდება, განწირული უიმედობა როდი ახასიათებს რევოლუციონერ ვაჟკაცს, რომელიც ურყევად დგას თავის რწმენაზე „დავამარცხებთ! გავიმარჯვებთო"!

ეს ძიებაა მოკვდავის უკვდავებისა, ეს ძებნილია შეყვარებულისა დაცემული მებრძოლისადმი; მხოლოდ ამ უხილავ წვდომას ძალუძს გულწრფელად და სერიოზულად წამოიძახოს:

„სად ხართ, მოკლულო ამხანაგებო, გამომეძახეთ“!

საყვარელი მებრძოლი ამხანაგის სახე აღაგზნებთ არა მარტო იმ ტუსაღ-რევოლუციონერებს, რომელნიც ხვალ გათავისუფლებას ელიან და ახალი ბრძოლის გეგმებს ადგენენ, არამედ იმათაც, რომელთაც ზღვის კიდეზე უკვე დაუშვეს იალქანი, „ცხოვრება დაასრულეს“ და წინ უდგათ „სახრჩობელა, ჯალათი“.

ჯეირან ვარდოსანიძე, ჩამოხრჩობამისჯილი ოცდახუთი წლის ჭაბუკი. სიკვდილის წინა წუთებში აღადგენს საყვარლის სახეს, სიყვარულის ნეტარი წუთებით აღბეჭდილი დროის მონაკვეთს, ტკბილად ეალერსება ოცნებაში გამოსახულ საყვარელ არსებას, რომლისთვისაც თავისი გულისნადები არც კი გაუნდვია, და მასთან ჟღურტულში უდრტვინველად უახლოვდება ბნელ და გარდუვალ ხვედრს.

— „დღეს სულ სიყვარულზე ვფიქრობ, — ამბობს, ჯეირანი. — ერთხელ, როცა მაციებდა და ქალაქიდან სოფელში წავედი, ერთ მოგონებას, ერთ სურათს მე, მწოლარემ, ერთი ლექსი ვუძღვენი, დაეწერე მთრთოლვარე ხელით და... შევინახე გულში... ახლა გულის კუნჭულიდან გამოძვრა ის და აი ჩემს წინ დგას:

„ვინმე კი გეტყვის, როს უდროოდ დავხუჭავ თვალებს,
ტოლ-ამხანაგებს გამომაკლებს შავი სიკვდილი...
ნუ დაიჯერებ, თუ ვინმემ თქვას, რომ თითქოს სენმა,
რომ თითქოს სენმა მომგვარა მე მუდმივი ძილი.

ოჰ, რომ ნახავდე გაზაფხულზე ჩემს ობოლ საფლავს,
იას შეამჩნევ, ჩემო იავ, მასზე ამოსულს,
ის ია გეტყვის, რომ არც სენსა, არც რამე მაგვარს, —
მე მოუკლავარ შენზე ფიქრსა და შენს სიყვარულს!...“

ეს ლექსი არ გადაუცია ავტორს ადრესატისათვის და ეს ფაქტი, პოლიტიკურ ბრძოლასთან პარალელის გავლებით, ერთხელ კიდევ უმტკიცებს მას, რომ „მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას“. სიყვარულის ნათელი სახე — „მაქციერა“ თვალწინ უდგას ჯეირანს სასიკვდილო აგონიის ყოველ წამში და გმირობისაკენ უბიძგებს მას. როგორც ვიცით, ჯეირანმა გაიმარჯვა და გაუტეხელად, შეუდრეკელად ავიდა სახრჩობელაზე. უდავოა, რომ შიშის კომშარის დაძლევის, სიკვდილის წინ სულიერი განახლებისა და რევოლუციონერისათვის შესაფერ მორალურ დონემდე ამაღლების საქმეში მცირედი როლი არ ითამაშა მიჯნურის ნათელმა სახემ, სიყვარულის მარადუბერებელმა გრძნობამ.

ამამაღლებელმა სიყვარულმა და დამონებული საზოგადოების

გაბავისუფლების საქმეში ქალის როლის მართებულმა წარმოდგენამ ათქმევინა ჭოლას შემდეგი სიტყვები:

„მე იმდენად არ მაკვირვებს რეაქციონერი კაცი, რამდენადაც ქალი. რეაქციონერი ქალი — ეს ბუნების კანონების თავდაყირა დასმა მგონია, უდიდებულეს ულოღიკობად მიმაჩნია. მე ვიცი, რომ სისულელეა ეს, მე ვიცი, რომ დედაკაცზედაც ისევე მოქმედებენ წრე და კლასიური ინტერესები, როგორც მამაკაცზე, ვიცი, რომ დედაკაცი არ ჩამოუვარდება მამაკაცს სისასტიკესა და სიწამხდრეში, როცა საჭიროა, მე ყველაფერი ეს კარგად ვიცი, მაგრამ მე მაინც გაშფოთებს დედაკაცი — რეაქციის მომხრე“.

დედაკაცი, დედა — საწინდარია განახლების, ახალ-ახალი სიცოცხლის წარმოშობის, წინსვლის, სიმბოლოა ნათელის, პროგრესულის. ჭეშმაგონებელია ბრძოლის ჟინის, გამარჯვებებისაკენ სწრაფვის, — აი, რატომ აშფოთებს პოეტს ქალი — რეაქციონერი, ქალი დაცემული, უკან, შავი წუვდიადისაკენ მიპყრობილი თვალებით.

ქალის სიყვარულს რევოლუციონერი კაცისთვის იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც ის ბრძოლისაკენ, თავისუფლებისათვის თავდადებისაკენ ეძახის მას.

აი რა გრძნობას იწვევს პოეტში სომეხ ქალ შუშანიკისადმი სიყვარული. — „გულში, ცეცხლი ინთება, შუშანიკა! შეხე მე ბრძოლის ველზე ვდგავარ, იცი თუ არა რამდენი საქმე გვაქვს წინ? რამდენი მუხა უნდა წავაქციოთ, რამდენჯერ უნდა იჭექოს მეხმა! იცი თუ არა შენ, რომ მე ჯარისკაცი ვარ და ომების მონაწილე?... უჰ, რა ძლიერებია ისინი, შუშანიკა, ჩვენი მტრები, ძლიერნი არიან ისინი. მაგრამ ჩვენ დავამარცხებთ, მდიდარნი არიან—ვერ უშველის მათ სიმდიდრე მათი. ჰკუიანნი არიან და ბრძენნი ისინი, შუშანიკა, მაგრამ ვერც ჰკუა, ვერც სიბრძნე ვერ იხსნის მათ. ისინი უნდა მოკვდნენ და ვერავითარი ძალა ვერ იხსნის მათ. მათ ხელში აქვთ ძალა და უფლება, მათ ხელში აქვთ ბრძოლის იარაღები, მოსყიდულ მეცნიეთა რაზმები, მორალისტები და მქადაგებლები, არტისტები და მომღერლები, მწერლები და ტექნიკის განმვითარებლები, ყველაფერი ეს მათ ეხმარება, მათ იციან ბორკილების ჭედვა, მათი თითქოს სათუთი და სუფთა ხელით უკმეხი და უსულო სატუსაღოები შენდება, მაგრამ მაინც მათი აღსასრული ახლოა. ისინი მოკვდებიან და ისე მოკვდებიან, რომ ჭირისუფლები, დამტირლებიც კი არ დარჩებათ ამ ქვეყნად, ისინი კვდებიან უმემკვიდროდ“ („თეთრი ღამე“.)

იმდენად აქვს სიყვარულს ფასი პოეტისათვის, რამდენადაც მსგავს აზრებს ბადებს, რამდენადაც სრულყოფილისკენ, გამარჯვე-

ბისაკენ, თავისუფლებისაკენ მწველა ადამიანის სასიცოცხლო ძალასა და უნარს. აქედან, სრულიად გასაგებია ჭოლას დასკვნა: „სიყვარული ეს ერთადერთი წყაროა კეთილშობილების, ერთადერთი წამალია, რომელიც ჩვენს მოუხეშავ და ბოროტ გულს ალბობს, ჩვენს პროზაიკულ და მატერიალური ინტერესებით აღსავსე ცხოვრებას აფერადებს. სილამაზეს აძლევს“.

ყველას როდი ძალუძს სიყვარულის სანუკვარ კვარცხლბეკამდე ამაღლება, ყოველ შემოქმედს როდი შეუძლია სიყვარულის წარმტაცი სურათების შექმნა.

„ვკითხულობ, პოეტი სიყვარულზე ლაპარაკობს, მთვარიან ღამეზე. „იმასთან“ სეირნობაზე, კოცნაზე... ღმერთმანი. მოთმინებიდან გამომიყვანს, აბა, რა იცი, შენ ბრიყვო, რა არის სიყვარული? განა შეგხვედრია შენ ვინმე ქუჩაზე? გაწითლებულა ის შენს დანახვაზე? და შემდეგ ამისა შენ გაქცეულხარ ბაღში? და სული შეგხუთვია ბაღში? მტკვარმა მოგაძულა განა თავი? გიგრძვნია გულის ფართხალი, სიხარული, სევდა, შიში ერთად არეული, სიცილისა და ტირილის მოწოლა გულზე? იცი შენ, რა არის სიყვარული?

და კიდევ შეჯიბრების გრძნობის მაგვარი ვიგრძენი მე პოეტი-სადმი, თითქოს ის მედავებოდა ჩემს სიყვარულში... აბა, აბა, სცადე, თუ ბიჭი ხარ!“ („თეთრი ღამე“). ჭოლა მართალია, ყალბ პოეტს ჭოლას გრძნობებთან შეჯიბრება ჭეშმარიტად არ ძალუძს. მწერალმა გადააგდო პოეტის წიგნი, გამოვიდა გარეთ და დაინახა, რომ ახლადანთებულ ვარსკვლავებს გაეცინათ, „იმათ დასცინეს ალბათ სიყვარულის გაუთაჟებელ და მუდამ სპეტაკ ზღაპარს“.

რატომ ითვალისწუნებს ჭოლა ამ პოეტის სიყვარულს? რატომ დასცინის მას თვით ბუნებაც კი?

„აბა ერთი შეხედეთ ამ ყმაწვილს, რა მშვენიერი რამ არის — ამბობს ის, — ოთხმოცდახუთი სტრიქონია წიგნაკი და სულ სიყვარული! სულ სიყვარული! ირგვლივ ბრძოლისა და თავგამოდების წყურვილით არის გაჟღენთილი ყველაფერი, ეს ყმაწვილი კი მხოლოდ დედაკაცის ტუჩებზე და კოცნაზე გალობს, ვიღაცა ორგულსა და მოღალატეზე ჩივის, ვიღაც საყვარელი ქალების შესახებ, რომელთაც მან ღვთაების ხარისხი მიანიჭა“.

მაშასადამე, ჭოლა უარყოფს სიყვარულის თვითმიზნად, განყენებულად წარმოდგენის ცდებს, უარყოფს სიყვარულს, რომელსაც მაღალი იდეალები, ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მისწრაფება არ აცისკროვნებს. სიყვარული, რომელიც მხოლოდ ქალის ფიზიკურ მშვენებას ეყრდნობა და აღმერთებს, ჭოლასთვის გაუგებარია და საზარელიც კი. ასეთი სახის სიყვარული აუტანელია თვით ქალისთვი-

საც, რომელსაც ღვთაება-ქალად ყოფნის ჩვეულებრივი ქალობა ურჩევნია, რადგან „ღვთაება ქალსა ეშინიათ, ჩვეულებრივ ქალებს კი გულში იკრავენ“.

პოეტს ისე შეებრალა მომჩივანი ღვთაება-ქალი, რომ სიტყვა მისცა თავისთავს, გაწყეპლოს ყველა, მათ შორის პოეტებიც, რომლებიც საყვარელ ქალებს გააღმერთებენ. მან მასხრად აიგდო ახალგაზრდა პოეტის. „პათეტიური ფრაზები“, უშნო სურათები, შედარებანი, მისი ლექსის ნაძალადევობა და არაბუნებრიობა.

პოლა აქ აღ ჩერდება და პირდაპირ შედარებას მოჰართავს. იგი ერთმანეთს ადარებს ყალბ, გამოფიტულ, თვითმიზნურ და უშინაარსო სიყვარულს. დაყრდნობილს მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეზე და სიყვარულს, რომელსაც „აღაფრთოვანებს მშვენიერება სულისა“, რასაც მას თავისუფლებისაკენ მგზნებარე მისწრაფება ანიჭებს.

„დეე, დაიბეჭდოს ეს, — ამბობს ის მის მიერ დაწერილი რეცენზიის შესახებ, — მიიღოს ახალგაზრდა პოეტმა... ნუ წერს სისულელეს და არც არავინ რამეს ჰკადრებს, ყველა სულელს როდი შეუძლია სიყვარული... სიყვარული და მისწრაფება ქალისადმი ერთი და იგივე როდია... აი აგერ მეც მიყვარს, ვაგრამ.. ეს სულ სხვა რამ იყო მაშინ. ის მე წინ მწევდა, მიზნისაკენ მასწრაფებდა უფრო ძლიერ, უფრო თავგამოდებით, ამ სიყვარულით მე უფრო მივიხაროდა მსხვერპლისა და ტანჯვისაკენ, ის ჰაერი იყო, სუფთა მთის ჰაერი, რომელიც ძალსა და მხნეობას მმატებდა“.

ასეთია ჰეშმარიტი სიყვარულის არსი და დანიშნულება, ახალგაზრდა პოეტის მიერ გადმოცემული სიყვარული კი პოლას აგონებს პაპიროსის ყუთზე დახატულ ქეკ-უოკის მოთამაშე წყვილს, რომელიც მიუხედავად შენი სულიერი განწყობილებისა, მუდამ გიცინის და გემანჭება. — „შენ გშია, შენ მიცვალებული გისვენია სახლში, ისინი მაინც მხიარულნი არიან და მოღიმარე,—ამბობს მათ შესახებ პოლა, — სულელური ფიზიონომია მათი შემოგცქერის სახეში, აი ამ ფიზიონომიებს შევადარე მე ჩვენი პოეტი... მიწისძვრა იყო, სოფელ-ქალაქები ნაცარ-ტუტად იქცნენ, ხოლერა მუსრს ავლებს მტყუანსა და მართალს — პოეტს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი, ის შეყვარებულია; ყველაფერი ირგვლივ სიხარულითა და ტკბილი მოლოდინით გაჟღენთილა — რას ჩადის ჩვენი პოეტი! ეხლა ის ტირის. დიდისაგან დიდი მწუხარება ხვევია მას — ვიღაც ლამაზ ქალს გადაეყარა, რომელმაც არც კი შემოხედა ჩვენს პოეტს...“

ის საღამოს „სტიოპამ“ „ამნისტია გაავრცელა“ ახალგაზრდა პოეტზე — დასწვა რეცენზია, გაათავისუფლა „ბეღურა“ რომელმაც სცა-

და, თავი ამოეყო „ქართველ ბულბულთა რიცხვში“, მაგრამ ეს „გათავისუფლება“ ჰეშმარიტი სიყვარულის სახელით მოხდა და არა თავის შეხედულებათა გადაფასების გზით.

ამგვარად, ჰოლა ლომთათიძე, სიყვარულის რაობის გააზრებისას ქართული ლიტერატურის საბელოვანი ტრადიციიდან ამოვიდა და ამ მარად უჭკნობ თემას, მასში რევოლუციური თვალსაზრისის შეტანით, ახალი ელვარება შესძინა.

საგულისხმოა, რომ სიყვარულს ჰოლა განიხილავს არა მარტო როგორც მოპირდაპირე ორ სქესს შორის დამყარებულ აუცილებელ ურთიერთობას, არამედ როგორც ადამიანურ საწყისს — საზოგადოების წევრებისა და სხვადასხვა ხალხის მეგობრულ შეკავშირებას, რაც სოციალური და ეროვნული საკითხების მოწესრიგების შედეგად უნდა დამყარდეს, მისი აზრით, სიძულვილი ადამიანებსა და ხალხებს შორის შედეგია დედამიწაზე ცხოვრების მოუწესრიგებლობისა, სიყვარულს კაცსა და ერებს შორის დაამკვიდრებს ცხოვრების სოციალისტური წესი.

— „და როცა ჩვენ, ძმებო, შეგვიყვარდება ერთმანეთი, ისე როგორც გიყვარს ბავშვები, მაშინ ჩვენ ერთმანეთშიც ზღაპრებით ვილაპარაკებთ, მაშინ ჩვენშიც გაჩნდებიან ანდერსენები, ძმები გრიმები და სხვ... ამ წუთში კი მე ყველა თქვენგანი მიყვარს, მე მინდა გადაგისვათ შუბლზე ხელი, მოგეალერსოთ... და მივდივარ წინ, მხვდება წინ ინგლისელი, ფრანგი, ოსმალო, სპარსი. ძმურად ვართმევ ყველას ხელს, ვეხვევი, ვკოცნი“...

ჰოლას განსაზღვრით, კაპიტალისტური საზოგადოება ერთმანეთს აცილებს ადამიანებს, მთელ საზოგადოებებს, ხალხებს, ცალკე ღობეს ავლებს მათს სურვილებს, განცდებს, აზრებსა და მისწრაფებებს. ამით ადამიანის სული ნამცეცდება, კნინდება და იგი ეძებს მსგავსს, ნაცნობს, ნათესავს.

„განა საჭიროა იცნობდე ვისმე პირადად, როცა ყველა ადამიანი ძმებია, ერთ მზის ქვეშ დაბადებული?“ — წამოიძახებს ის.

სიყვარული, რაც თავისთავად სულის ერთობაა, შერწყმასა და შეკავშირებას გულისხმობს, ჯერ ადამიანთა საზოგადოებებს და შემდეგ სხვადასხვა ერებს ერთ ოჯახად აქცევს, სიძულვილი კი აშორებს მათ. აი წამოეწია პოეტი ადამიანს და მიმართა მას:

„მე შენთან მოვდივარ, ძმაო, ადამიანო, მე შენთან მსურს ლაპარაკი, შენი ხმა მინდა ვისმინო... რად, რად მიდიხარ ასე თავჩაღუნული ქუჩაზე, რად არ იხედები ზევით, მთვარისაკენ, მე რად არ შემხედავ, ჩემო კეთილო!...

აჰ, შენ ამბობ, რომ მე ვერ მიცნობ და არ გსურს ჩემი ლაპარაკი მოისმინო...

ვერ მიცნობ მე? მე ხომ ადამიანი ვარ?“ მომავალი სვებედნიერი საზოგადოების გაჭვრეტის სვებედნიერ წამში პოეტი შედის ფოსტაში, ართმევს დეპეშის ფურცელს და ზედ ჰხვეული ასოებით წერს: „გისურვებთ ბედნიერებას და კარგად ყოფნას“.

— სად აგზავნით თქვენ ამ დეპეშას?

— სად? როგორ თუ სად?

— აქ არც ადრესია და არც ადრესატი...

—განა ასე არ შეიძლება?

— მე ამ დეპეშას ვუგზავნი მთელ ქვეყნიერებას, მსოფლიოს... გისურვებ ბედნიერებას და სხვა ასეთებს-მეთქი... განა არ შეიძლება ეს? მთელ ქვეყნიერებასა და მსოფლიოს!...“

გაოცებული მოხელე მეორე ოთახში შედის და მოჰყავს იქედან მეორე „განსწავლული მოხელე“. „შევატყვე რომ ვერაფერს მივახვედრებდი და გარეთ გამოვედიო“ — შენიშნავს პოეტი. ის მართალია. ეს შორეული. და ამავე დროს რეალური მომავლის გონებით წვდომა უბრალო მოკვდავთათვის ადვილი გასაგები როდია! — „გამარჯვება თქვენი, შეყვარებული ხართ განა? ბედნიერი იყოს თქვენი კავშირი... მეც ვიყავი ერთ დროს შეყვარებული. მეც მყავდა ერთ დროს მეგობარი, მე ის მიყვარდა და იმასაც ვუყვარდი მე!“ — მიმართავს პოეტი ქუჩაში მიმავალ წყვილს.

— ვინ არის ეს, გიჟი ხომ არ არის? — შეშინებული ხმით კითხულობს ქალი და ვაჟს ეკვრის.

— არაფერია, ცოტათი შექეიფიანებული უნდა იყოს! — იბანავებ. ჩემო მეგობარო! ღამე მშვიდობის, იძინე მაგრად, გაიცლის! — ეუბნება ის და მიდის.

ასეთები არიან თანამედროვე ადამიანები. მათ არ შეუძლიათ ბედნიერი მომავლის წარმოდგენაც კი. მათ სიგიჟედ ეჩვენებათ ჭეშმარიტება, სიბრძნედ ესახებათ სიგიჟე, — ერთი მეორის სიძულვილი, ერთმანეთში ქიშპობა, მტრობა, ერთურთის ბღვერა, ერთურთის დალახვრა.

აქედან: ჭოლას ძახილი ნამდვილი ადამიანისადმი, სევდა არსებული საზოგადოების სიმახინჯის გამო. — „მე შენ გეძახი, შენ დაგეძებ. სად მოგნახო შენ! და თუ ჩემს ირგვლივ ვერ გიპოვი შენ. მაშ, სადაური ვარ მე? საიდან მოვსულვარ? ვისი ბოროტი ხუმრობით მოვქცეულვარ ამ უკეთო ქვეყანაში? და, თუ აქაური არ ვარ მე, მაშ რად. რად მიყვარს მე ყველაფერი ასე ღრმად. ასე ძლიერად. ასე უსაზღვროდ! რად, მიყვარხართ მე თქვენ, სამშობლო ქვეყნის ზეცავ

და ვთებო. თქვენ მინდვრებო და ტყეებო.. და თუ მე. ადამიანის სახით მოვლენილი თქვენში. ადამიანის მონატრებაც არ ვარ, რად მიყვარს მე ადამიანი. რად მიყვარს? და თუ მიყვარს. რად ვარ მე ასე მარტო. ასე ობოლი და უბედური. რად?". ეს სტრიქონები ჭოლას შეხედულებათა შემუშავების პერიოდში იქმნებოდა და არა უველა ღირებულებათა გადაფასების ხანაში. ამიტომ მასში ჩაქსოვილი ღრმა სევდა ბრძოლაში მიმავალია და არა ბრძოლის ველიდან გამოქცეული.

„შ-შ-შ-უ-უ-უჰ, ჩუმად! ჩუმად ამხანაგო, საყვარელო ამხანაგო. ნუთუ მართლა ვერ გნახავ მე შენ?" — ასე დაეძებს ის ნამდვილ, მის დროში თითქმის არარსებულ ადამიანს. არა. ჭოლა არ არის უიმედო. პესიმისტურად განწყობილი მომავლისადმი. მას სწამს ადამიანის სულიერი განახლება. რასაც სოციალისტური რევოლუცია მოიტანს, მას სწამს პროგრესი. მის სულის შფოთვას, მის სულიერ დრტვინვას და უკმაროზას საშინელ გრძნობას თანამედროვე ადამიანების შეზღუდულობა იწვევს მხოლოდ.

ამ შეგნებიდან მოდის არა ერთხელ დაბეჯითებით გამოთქმული რწმენა: „შეგობარო, ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია! გაივლის ღრუბლები... იმედი და სულ იმედი დაისადგურებს".

— „მე არ ვიცი, გემართლებით თუ არა თქვენ. — ასე მიმართა მან წყვილს, რომელმაც იგი გიჟად ჩათვალა, — აი რას გეტყვით ძმებო, ადამიანებო! თქვენ არ ხართ ღირსი შეყვარებისა! ღმერთი მარტო იმიტომ უნდა უყვარდეთ, რომ თქვენ ხატად და მსგავსად ღვთისა ხართ გაჩენილი. აბა, რა ღმერთი უნდა იყოს ის, რომელიც თქვენ გგავს!... არ მინდა მე ის, არ მინდა"...

ამიტომ ეძახის მწერალი ნამდვილ, ჰეშმარიტ ადამიანს, რომელიც ამჟამად არ არის, რომელიც მომავალ სოციალურ-ეროვნულ განმაახლებელ პროცესს მოჰყვება.

„შეგობარო, ჩემო ერთადერთო მეგობარო. სად ხარ შენ, საღ ხარ!". ის კი, ვისაც ეძახდა. მომავალში იყო. ამიტომ ვერ ეღირსა პოეტის მღვიძარე სული მის ნახვას, ამიტომ იყო მისი სული ეგზომ შეშფოთებული.

— „სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა და ელის ვიღაცას, რომელიც მას უყვარს. ელის და ვერ ეღირსა იმის ნახვას"...

წამოადგენს თუ არა ზემოთ აღნიშნული სულისკვეთება, კვნესა, წუწუნი, უიმედობა, რომელიმე დეკადენტური სკოლისთვის ჩვეულ ზმანებებსა და სწრაფვას ირეალური სამყარისაკენ. როგორც ეს ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების „სიმბოლისტური-

ინტერპრეტაციის მოშხრეთ ესმით? ნუთუ მებრძოლ რეალისტთა შორის პირველია ჭოლა ლომთათიძე — თანამედროვეთა უბადრუკობის შეცნობის შედეგად განმარტოებული და ქაშანაქამ უომედოდ აკვნესებული!? განა თვით დიდ ილიასაც არ ეუფლებოდა ზოგჯერ „განწირული სულისკვეთება?"

„მაგრამ. მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო".

ცხადია, დღეს არავის მოუვა აზრად დაინახოს ამ სტრიქონებში უიმედობის, პესიმიზმის აპოლოგია, ბრძოლის ველიდან გაქცევის სურვილი უყიჟინოს სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის უდრეკ მებრძოლს. მაგრამ ერთ დროს ილიას „კრიტიკოსები" კი სწერდნენ: „განა რა დარდი აქვს პოეტს, რომ ვერავისთვის უნდია. ვერავინ უცვნია ღირსად მისი გაზიარებისაო".

დიახ. ჭოლას ვერ ვესაყვედურებთ უკეთესი მერმისის დაუნახაობას, ამ მერმისისათვის მედგარი ბრძოლის აუსახველობას. რა ვუყოთ. რომ ბრწყინვალე მომავალთან მისასვლელ სწორ გზას ყოველთვის ვერ აგნებს პოეტი. იგი ეძებს ამ გზას გულწრფელად, გულმართლად. შეუპოვრად. იგი თავის გარშემო შემოკრებილ მეუმცრესეთა შორის ვერ ხედავს სიწრფელეს. სულიერ სისაღეს. ამიტომ ხშირად შორდება ობიექტურ რეალობას, ეხვევა მისტიკურ ბურუსში, მაგრამ. კვლავ მხილველი „ცისკენ მიმავალი გზისა", რაინდული გაბედულებით უბრუნდება რეალიზმს. მისი ძიების სიწრფელეში ეჭვის შეტანა არ შეიძლება და სწორედ ამაშია ჭოლას შემოქმედების ძალა, ღირსება. — „ვიბრძოლო? მაგრამ მე ხომ ვიბრძვი! ვიშრომო? განა არ ვშრომობ? ვიტანჯო? განა შეიძლება მეტი ტანჯვა?", — გვეკითხება სამშობლოს მომავლისაკენ სავალ გზათა მაძიებელი მწერალი. იქნებ ეს ბრძოლა, შრომა და ტანჯვა სძლევს მას და იმიერ ქვეყნად აძებნინებს „სულის სავანეს?" არა. შავი აჩრდილი, ყოფის უკუღმართობის შეცნობის შედეგად დაბადებული. ღამის სიბნელესთან ერთად ქრება და ხელს ვერ უშლის მღვიძარე სულს გამოვიდეს რეალიზმის ნათელ გზაზე. როდესაც „განწირული სულისკვეთება" იპყრობს, ჭოლას გმირები „მაშინ უბედურნი და საცოდავნი" არიან, მაგრამ როცა თენდება და „ასხმოვანი ცხოვრება" ჩაითრევს და დაატრიალებს, მაშინ მათ იციან „სად წავიდნენ, რა უნდა ქნან, ვის გამოეხმაურონ", იციან. რომ ქვეყანაზე „ორი მოპირდაპირე ძალა არსებობს — „სიმდიდრე და სიღარიბე", რომ „მა-

გარი მუჯლუგუნის მოუხვედრებლად“ ღარიბებს ცხოვრების სუფრაზე არავინ მისცემს ადგილს. ამ მუჯლუგუნის წარმართვისათვის, სხვა ფაქტორთა შორის, ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ ფაქტორად ესახება ჰოლას სიყვარული, უაღრესად ფართოდ გაგებული და პოეტიზირებული. სიყვარული „ყველა ადამიანისადმი“, ვინც ატარებს სახეს „კაცის ძისას“, ჰოლა ლომთათიძეს უხვად აქვს მიმობნეული თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს „ყველასადმი“ სიყვარული ღრმა კლასობრივი ხასიათისაა და არა აპოლიტიკური.

ანტისაზოგადოებრივი ფორმაცია — კაპიტალიზმი კი კრძალავს რწმენას, მეგობრობას, სიყვარულს... ჯოჯოხეთად აქცევს სიცოცხლეს, საშიშრად აცხადებს ურთიერთობას იმ ადამიანებთან, რომელთაც ეს წყობა არ მოსწონთ.

„კაცი გიყვარდეს. მისი შეხვედრა გესიამოვნოს და ისე კი უნდა ჩაუარო გვერდით, თითქოს ვერ იცნობდე! გულგრილად შეხედო და ჩაიარო? რწმენა, მიმართულება იქონდეს და ისე უნდა ჰფარავდე, როგორც ნაქურდალ ნივთს? კმარა, ვინა სთქვა ეს, ვინ შეთხზა ადამიანის საზოგადოებაზე ასეთი ზღაპარი? ვინ დასწამა ცილი ადამიანს?“, — აღშფოთებით წამოიძახებს ჰოლა.

მწერალი ეკუთვნის ყველას, რამდენადაც საზოგადოებრივი წყობილება, რომლისთვისაც ის იბრძვის. განკაცებას მოუტანს არა მარტო ჩაგრულებს, არამედ მჩაგვრელებსაც. ამ უკანასკნელთ ყველაზე მეტად სჭირდებათ იგი, ასეთია ჰოლას აზრი.

„არა. ჩემთვის გასართობად როდი ვწერ ამ სტრიქონებს, არც იმათთვის, ვინც მე მიყვარს — სრულიადაც არა, მე ხომ ყველა ადამიანი მიყვარს“, — გულწრფელად აცხადებს ის.

ამ „ყველაში“ ხომ არის რევოლუციონერი და რეაქციონერი, პატიოსანი და მეძავი, მებრძოლი და მხდალი, ჩაგრული და მჩაგვრელი, საზიზღარი მეციხოვნე და ასეთივე ჯაშუში?

როგორ შეიძლება ყველა მათგანი უყვარდეს კაცს, კლასობრივ ნიადაგზე მდგარ შემოქმედს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს, რომელმაც „მსოფლიო უნდა გარდაქმნას?“.

პოეტი ქუჩაში დგას „მეღამურა ადამიანის“ წინაშე. „რა მინდა? — მიმართავს ის პოეტს, — ღმერთი მინდა... არის კი ჩემთვის ღმერთი? ან თუ გამაჩინა, რად მიმატოვა... გინახავს განა შენ ის ძვალტყავა ადამიანი, შიმშილს რომ ეძახიან? გაგიგონია რა ენაზე ლაპარაკობს ის? მე დედა ვარ ლოთი ქმრისგან მიტოვებული! შენ, პატიოსანო, ბატონო, როდის იყო, რომ შვილების საზრდო გამომიგზავნე, როდის იყო რომ ხომები მიიღე — არ გავრყვნილიყავი! და

შენ მეუბნები... „ღმერთი, ღმერთიო!“ შენ, შენ უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და არა მე... მე შვილებს ვარჩენ!“.

პოეტი ჰკოცნის ამ „ღმერთის მაძიებელ ადამიანს!. „სწორედ ანგელოზი იყო, ქალბატონებო, ის დედაკაცი“. — დაძენს იგი.

აი, მწერალს აედევნა ადამიანის გამყიდველი, იუდა, თვითმპყრობელობის დარაჯი — ჯაშუში.

„შია და სცივა ადამიანს, — გვეუბნება მის შესახებ ჭოლა, — ობოლია და უპატრონო ის. რაც დაიბადა, არ უნახავს ალერსი შეყვარებულისა. არ სმენია ტკბილი სიტყვა, ის გაძარცვეს, ცაატიტვლეს, მოჰპარეს სული და გული, მოჰპარეს გრძნობა, ქუჩაში გაუძახეს... მოშივდა, მოსწყურდა მას, შესცივდა, სიცოცხლე მაინც შეეხარბა, და ამიტომ ის ჯაშუშია, პირუტყვია, მოღალატეა და დამზვერავი, კაენის ბეჭედი შუბლზე აზის მას...“

ერთადერთი დამადასტურებელი ნიშანი იმისა, რომ ციხის გარეთ ადამიანები კიდევ არიან, სიცოცხლე თავისი გზით მიდის — „ძმათა კრახმალნიკოვების“ ნაწარმოები კამფეტები ტუსაღ პოეტს ტუსაღმა ქურდმა მოჰპარა, მიუხედავად დიდი დანაკლისისა. პოეტში ეს ქურდი სიბრალულს იწვევს და არა ზიზღს.

ერთმა საწყალზე უსაწყლესმა ქურდმა კინაღამ ცრემლებით მატირა... მან ისარგებლა მარჯვე დროით და მომპარა კამფეტები... ჩემი კამფეტები თითქოს არ ყოფილიყოს, ისე გაქრა, ვითარცა გაქრა ამხანაგი ვასოს ცოლი“.

პოეტში ღრმა სიბრალულს იწვევს ქალი, რომელიც იძულებული გახდა ქმრის პატიმრობის პერიოდში სხვას დაახლოვებოდა, უკანონო კავშირი დაეჭირა მამაკაცთან. იგი მზად არის ჩამოხრჩობის წინ შიგ ტუჩებში აკოცოს ჯალათს, დაუტოვოს მას მხურვალე სალამი მომავალი ბედნიერი კაცობრიობისათვის გადასაცემად.

— „შია და სწყურია ადამიანს, ყველა მას ახრჩობდა, ისიც მე მახრჩობს. ყველა ძარცვავდა და ისიც მე მძარცვავს ყველა ჰკიდებდა მას ყანყრატოში ხელს და ისიც აგრე იქცევა, და თუ ყველა ასე, ამნაირი გზით ირჩენს თავს, მან რა დააშავა, ის ვისი ანგელოზია? მასაც შია და სწყურია, მასაც თბილი ბინა უნდა...“ — ასე დამაჯერებლად მსჯელობს პოეტი თვით ჯალათის შესახებაც.

ყველა მათგანს მწერალი განიხილავს როგორც უსამართლობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაციის მსხვერპლს და დარწმუნებულია, რომ უკეთესნი იქნებიან ისინი, თუ მოვუპოვებთ უკეთეს საზოგადოებრივ ყოფას.

დასკვნა ერთია: ჭოლასათვის საყვარელია ყოველი ადამიანი, ყოველი პროფესიის და რწმენის მოქალაქე და ეს მხოლოდ იმიტომ,

რომ ის ადამიანია, ძე კაცისა, გაჩენილი „ხვთის სახით". ერთადერთი, რაც მას ძაგს, რასაც ებრძვის და რაც ეზიზღება — ეს არის კაპიტალისტური წესი ცხოვრებისა, კაპიტალისტური ფორმაცია, რომელიც ზოგ ადამიანს პირუტყვად, ჯაშუშად ხდის, ზოგს სამეძაოში ისვრის, ზოგს კიდევ აიძულებს იქურდოს.

დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ამ სისტემას პოეტი, რადგან „არსებული საზოგადოება, მისი წესრიგი ჰბადებს და წრთვნის ქურდს", ჭოლას თქმით კი ქურდი „საშინელი დამამცირებელი სახელია"... „ეს ადამიანის საზიზღარი ჩირქია",... „ეს სიკვდილის განაჩენია იმ საზოგადოებისა, რომელიც ქურდს ჰბადებს".

სიყვარული კაპიტალიზმის მიერ განწირული ადამიანებისა, სიძულვილი მისი დამმახინჯებელი საზოგადოებრივი წყობილებისადმი და მგზნებარე, დაუცხრომელი სურვილი ებრძოლოს ამ წყობას, ერთხელ კიდევ ზედმეტად ადასტურებს ჭოლას ღრმა რწმენას ადამიანის მომავლისადმი, საზოგადოების აუცილებელი პროგრესისადმი, რაც რეაქციის პერიოდში დეკადენტური სკოლის არც ერთ წარმომადგენელს არ მოუცია. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. როდესაც სხვადასხვა ესთეტიკური სკოლის პოლოგეტები, დეკადენტები გუნდრუკს უკმევდნენ სხვადასხვა სიმახინჯეს, უარყოფდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას და ირეალური სამყაროს „შეცნობისაკენ" სწრაფვას ასაბავდნენ, — ჭოლა ლომთათიძემ სიყვარულის დიადი ჰიმნი უმღერა ამქვეყნიურ სიცოცხლეს, უმღერა ისე ძლიერად, ისე ლამაზად, როგორც ბევრს არ უმღერია არა მარტო რეაქციის პერიოდში, არამედ რევოლუციის მძლავრი აღმავლობის წლებშიც კი.

«Что бьется за стеною
Не все ли мне равно?
Только смертью лишь открою
Потайное окно!» —

ესმის პოეტს პესიმისტური ამონაკვნესი და ასე აფასებს მას:

„აი სისულელე და სიცრუე! რა უნდა დაანახვო სიკვდილს, როცა ის ბრმაა, რა უნდა უთხრა მას, როცა ის ყრუა, რა პასუხს მოგცემს, როცა ის მუნჯია და რას მიხვდება, როცა ის უგრძნობია... არა, სიცოცხლეს, სიცოცხლეს სალამი, სიცოცხლეს გაუმარჯოს. მან გაიგოს ყველაფერი. მან შეაღოს საიდუმლო კარები. მან ჩაიხედოს გულში და მან განსაჯოს ყოველივე! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ! სიცოცხლისაკენ გასწიოს ყველამ, ის გაამდიდრეთ. ის შეამკეთ, ის შეაყვარეთ ყველას! დღე, რომ დაამძიმებს ის ნურავის, დღე ნუ იხილავს ის ცრემლებს ცოცხალთა! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ, იქ ყველაფერი კარ-

გი უნდა იყოს, ის უნდა მოეწყოს, მოწესრიგდეს! მაშ, ასწიეთ, მაღლა ასწიეთ დროშა სიცოცხლისა და ბრძოლა სიკვდილს! ასწიეთ მაღლა დროშა სიცოცხლისა და სიკვდილი სიკვდილს! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ, ამხანაგებო, დაუტოვეთ სიკვდილი მკვდართ!.. ასწიეთ. მაღლა ასწიეთ ზარი სიცოცხლისაკენ მიმწვევი და მედგრად, უშიშრად შემოჰკარით მას, შემოჰკარით მას რომ ყველამ ისმინოს. ყველამ გაიგოს, ყველამ იქით ჰქნას პირი! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ და ბრძოლა სიკვდილს!“

სიცოცხლის სიყვარული ნიშნავს თავისუფლების სიყვარულს, თავისუფლების გარეშე სიცოცხლით აღტაცება წარმოუდგენელია, ჭოლას მიერ ასახულ თავისუფლებას კი არა აქვს ზღვარი და ზღუდე; იგი უსასრულოა და განუსაზღვრელი, როგორც სამყარო; უზადო. მარტივი, ნათელი და ბუნებრივი, როგორც ბავშვის მისწრაფებანი. სრულყოფილად თავისუფალი სიცოცხლით (მაშასადამე, სიყვარულითაც) დამტკბარი ადამიანი თავისი ბუნებით დაუახლოვდება ბავშვს, გახდება მასავით ბედნიერი, ნამდვილი ბედნიერება — თავისუფლება, რომელიც არავითარ დადგენილ წესსა და ნორმას ანგარიშს არ უწევს, გააჩნია მხოლოდ ბავშვს და ასაკოვანნიც მაშინ იქნებიან სრულად ბედნიერნი. როდესაც შეეძლებათ ბავშვივით აშკარად განიცადონ სიხარული და აღტაცება. ბავშვივით თავისუფლად გამოხატონ საკუთარი გრძნობა.

„რად არ შეგვიძლია ჩვენ, ვიყოთ, როგორც ბავშვი, როგორც ოთხი-ხუთი წლის პატარა! მე მსურს ახლა შევხტე. შეკინავარდო. მინდა გავშალო ხელები და ჩამოვიარო, ავცეკვდე და ვიმღერო, ქვეყანა გავაკვირვო. სალამი, სალამი მზის სხივებს, სალამი მზეს, სალამი სიცოცხლეს! რად, რად არ უნდა ვიყოთ ჩვენ როგორც ბავშვი, რა სირცხვილია მათი მიბაძვა. ბავშვს არ შეუძლია, გვითხრას, რად გაშალა ხელები. რად შეიძახა წკრიალა ხმით. როცა მინდორში გავარდა. რად წაიქცა, გადაკოტრიალდა, და რად გაუბრწყინდა თვალები. არავინ დასცინებს ბავშვს, რომელიც მთელი გულით ხარობს, არავინ დასცინებს კვიცს, რომელიც „ყრის კვინტებს“, „ბუქნაზე გადადის“, არავინ დასცინებს შაშვს, როცა ის გალობს შარაგზაზე“. ადამიანი კი.. საცოდავი ადამიანი... ხელებშეკრულია და დამონებული, დაჩაგრული და დაბეჩავებული... ადამიანი მონაა ხელისუფლების, კაპიტალისტის, მემამულის, ცოლის, ქმრის, შვილის, მამის, მეზობლის, ათასგვარი წესის, ნორმის, ადათის, იგი ყველა მწერზე, ყველა ფრინველზე საცოდავია და საბრალო. ის მუდამ ცხოვრობს ისე, როგორც „უნდა ცხოვრობდეს“ — თანახმად დადგენილი ნორმებისა, და არა ისე. როგორც მას სურს

ცხოვრება. აი ახლა ადამიანს სურს ავიდეს მაღალ ხეზე, ჩამოჯდეს მის წვეროზე და გადასძახოს იქედან, რაიმე ლექსი სთქვას; მას სურს შეუკრას გზა რუს, დააგუბოს წყალი, შემდეგ მისცეს დინების საშუალება და ყიჟინით დაედევნოს მის ტალღებს, ააგოს პატარა წისქვილი და ჩალის ბორბალი დაატრიალოს... მაგრამ „ცხოვრების არსებულ წესრიგით“ ასეთი ქმედება ნორმალურად არ ჩაითვლება. ბედნიერება კი საკუთარ სურვილთა შესრულებაშია და არა სხვის მიერ დადგენილ წესთა მონობაში.

ველური საზოგადოებრივი წყობილება ბედნიერებას სასირცხვოდ თვლის, აიძულებს ადამიანებს იყვნენ მუდამ გულჩათხრობილნი და საცოდავნი. აქედან — ჰოლას მოწოდება ნამდვილი სიცოცხლისაკენ, ბედნიერებისაკენ:

„ეჰ, ძმებო, კეთილებო, მეგობრებო, ნუ დაგიშვიათ ცხვირები, არ არის სირცხვილი ცხოვრებით აღტაცება. არ არის სირცხვილი სიცილი და მხიარულება, არ არის სირცხვილი თამაში!... თუ შეგხვდებათ შემთხვევა, სიცოცხლეს გამოსწუწნოთ სიტკბოება. გაბედულად და აღტაცებით დაეწაფეთ მას! ნუ შეგრცხვებათ, ითამაშეთ, იმღერეთ, იცეკვეთ! აკოცეთ იასა და ვარდს, დატკბით ყვავილებით, გამოდით მინდვრად, დაუარეთ და დატკბით“.

არსებული საზოგადოებრივი წყობილების პირობებში ეს შეუძლებელია. მაგრამ სიცოცხლის თანდაყოლილი სიყვარული მაინც აქეთკენ ეწევა ადამიანებს.

„რა ვუყოთ, რომ დღესდღეობით ცუდად გვაქვს მოწყობილი ცხოვრება, — შენიშნავს პოეტი, — რომ ტანჯვაც მეფობს ამ ქვეყნად, ჩვენ ხომ ვებრძვით მას! ჩვენ ხომ არ ვზოგავთ სიცოცხლეს, ჩვენ ხომ უკან არ ვიხევთ!“ და ამ ბრძოლაში პოეტი სიყვარულს დიდ როლს ანიჭებს.

ასეთია ზოგადად სიყვარულის რაობის ის გაგება, რასაც თავის შემოქმედებაში ჰოლა ლომთათიძე გვთავაზობს, მაგრამ მისი სურათი სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ მაღალი აზრები ქალის როლზე, ასე უხვად ბიმობნეული ჰოლა ლომთათიძის ნაწერებში, ეკუთვნის არა არსებული უკუღმართობით ხელდებულ ქალს, არამედ მომავალ დედასა და მამაკაცის ნამდვილ მეგობარს.

ჰოლა ლომთათიძე მკაფიოდ განასხვავებს თანამედროვე ქალს, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის პროდუქტს, მიზანსწრაფვასა და საკაცობრიო იდეალებს მოკლებულს, მომავალი თავისუფალი სოციალისტური საზოგადოების მიერ აღზრდილ, მამაკაცის ნამდვილ მენახევრე „გაუბზარავი და მონოლითური“ სუ-

ლის მქონე, ქალისაგან, რომელიც ღრმად ნავარდობს თავისუფალ ადამიანთა ბედნიერ საზოგადოებაში. პირველი — მისი თანამედროვე (კაპიტალისტური) საზოგადოების ტიპია, მეორე — კი მწერლის საღი ოცნებით შექმნილი. ღვიძლი შვილი იმ საზოგადოებისა, რომელსაც მომავლისაკენ თვალმიპყრობილი მგოსანი გონებით წვდებოდა.

როგორ აისახა ისინი მწერლის შემოქმედებაში?

ბედნიერი მყობადისათვის ბრძოლის სიმბოლო ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში არის ტალღა. პოეტი სულიერ სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა „ტალღა ტალღას ეკახება. ღელვა მატულობს და მისი მედგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჰაერში. ამოძრავებს გაჩერებულ სივრცეს და როცა შორს „შავი და მიუვალი ხევ-ხუვი აძლევს მას ყრუ გამოძახილს...“ მთელი ხმით, მთელი პოეტური შესაძლებლობით სურს პოეტს გამოხატოს სიყვარული ძლიერი ტალღისადმი, რომელიც დამყაყებულ საზოგადოებრივ წყობილებას დაეჯახება და წალეკავს. მისთვის ტალღა ის არის, რაც ილიასთვის თერგი, შაის კლდის გულიდან გადმომსკდარი „დაუდეგარი და მღვრიე“ და ირ. ევდოშვილისათვის — ქარიშხალი, გველ-ბაყაყებთან შეჯახებული. საკითხავია: თანამედროვე ქალი რა მიმართებაში იმყოფება ტალღასთან ე. ი: თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლასთან?

— „ქალის სიყვარულს ხომ უარი უთქვამს ძლიერი ტალღისათვის. მას ხომ არა სწყამს არავითარი ტალღა მის საკუთარ გულის გარეშე... თუ გიყვარს ქალი — უარჰყო უნდა სუყველაფერი. ძლიერი ტალღაც, თავისი თავიც და მარტოოდენ გწამდეს უნდა იმ. ვინც გიყვარს, მის მხურვალე მკერდზე უნდა ნახო ნავთსაყუდელი. მარტო მის გულს უნდა სცემდე თაყვანს, როგორც ღმერთს და დასთმო უნდა გარეშე ქვეყნიერება“ („ტალღები“).

მამაკაცი დგას მაღლობზე და ემზადება გასაფრენად. მისთვის ქალს ფეხებში ხელი ჩაუვლია და არ უშვებს. სად მიდიხარ, სად? — კაპასობს ის, — მე ხომ ჭამა მინდა, სმა და ტანსაცმელი მინდა. ცოლ-შვილს ხომ რჩენა უნდა... ქალი ბორკილია იმ მამაკაცის, რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი იდეალი ამოძრავებს. იგი უკან წევს კაცს, აკნინებს და ანამცეცებს მის სულს, აქცევს უღელში შებმულ პირუტყვად, რომლის ერთადერთი მიზანი პატრონის კვებაა. საზოგადოებაში, სადაც ლუკმა-პურის შოვნა ყოფილა მთავარ პრობლემად გამხდარა, სიყვარულიც გროშებადაა დახურდავებული.

პოეტი გადმოგვცემს, რომ მშვენიერი ასულის გულის ასატკბილად მან, ერთხელ გასულელებულმა, დასწერა „მხურვალე“ წერილი, ისეთი, როგორსაც „ბევრი ვერ დასწერს“, მწერლის თქმით, „ეს ნამდვილი პოემა იყო“, მაგრამ თურმე გამორჩენოდა უმთავრესი, დავიწყებოდა მიწერა უჩხრიალებს თუ არა ჯიბეში ბევრი ფული.

„როგორ ბედავ, შე ბრიყვო!“ — ასეთი პასუხი მიიღო მან.

ასეთია ქალი თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

მებრძოლის სული დაეძებს ქალის თანაგრძნობას იმ დროს, როცა „ქარი სისინებს“ და არემარე ბურუსშია გახვეული, სწადია ანუგეშოს მან, ახალი ძალა და ენერგია შემატოს უკუღმართობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ...

აი ლევანი სატუსაღოს საავადმყოფოშია. კოხის ჩხირებით დახრულ ახალგაზრდა მებრძოლს ერთადერთი იმედი, ერთადერთი ნუგეში გააჩნია, ნათელი წერტილივით შემაერთები ამქვეყნიური სიამის ძაფებთან. ეს იმედია — შეყვარებული ქალი მარო, რომელიც „იქ თავისუფალ ადამიანებში... იმ მოსაწყენ და ველურ საზოგადოებაში ცხოვრობს, რომელიც „ხან ჭორებით იქცევს თავს“, ხან კიდევ „არშიყობით, ცეკვაობით“, „ბანქოს თამაშით“ და მაროს სიშორე ისევე ტანჯავს. ახალგაზრდა ტუსაღს, როგორც თავისუფლების წართმევა.

სპეტაკია და ძლიერი რევოლუციონერი ტუსაღის სიყვარული: იგი გატაცებით დასცქერის ქალაღდზე აღბეჭდილ სახეს მიჯნურისას, ამ დროს „ნაკადულივით იჩქეფა“ პირიდან სისხლმა და „მისი მაროს“ სურათი შეიღება. „ის წამოიპრა და წყალს მიაშურა“, მაგრამ „პირის ამორეცხვა კი არ გახსენებია, სურათს დაუწყო რეცხვა“.

„იცი, ვინ არის ჩემი მარო? — აღტაცებით ეუბნება ლევანი მეგობარს, — ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი“. მაღალ წრეს ეკუთვნის მარო, იმ საზოგადოებას, რომელიც რევოლუციონერებს „გარყვნილებსა და გიჟებს“ უწოდებს, მაგრამ, ლევანის თქმით, „სიყვარული ნამდვილი დემოკრატიული გრძნობაა, ის არავის არ არჩევს“, თავის კალთის ქვეშ „იფარებს ყველას“, ვინც შემწეობას თხოვს“.

მომაკვდავი ლევანი დიდ საბუთს მოითხოვს შეყვარებულისაგან. ატყობინებს მას ეტაპით გაგზავნის შესახებ გადასახლებაში და ეკითხება — გაჰყვება თუ არა იგი. ლევანი სრულიად დარწმუნებულია დადებითი პასუხის მიღებაში, მაგრამ თავისი რწმენის ახლად დადასტურებით კიდევ უფრო ამამაღლებელ ნეტარებას მოელის, ამიტო-

მაც მოუთმენლად უცდის პასუხს. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როცა უკვე „სიკვდილი ეალერსებოდა“, მიიღო ლევანმა მეორე ბარათის პასუხი: „ძლიერ ვნანობ, რომ ჩემი სიყვარული უბრალო გატაცება გამოდგა და გთხოვ დამივიწყო“. ასეთია თანამედროვე ქალის ბუნება.

ლევანის შეყვარებული მარო რომ ტიპიური სახეა თანამედროვე ქალისა და არა გამონაკლისი, ამას ავტორი ამავე ნაწარმოებშივე („სიცრუე“) გვანიშნებს, როცა გვეუბნება, რომ მისი შეყვარებულიც დაახლოებით ასევე მოიქცა, ასევე გაუცრუა იმედი და მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „არაოდეს ადამიანი არ უნდა გაალმერთო“, რათა განწირულებამ არ შეგიპყროს „თუ ის შენი ღმერთი უსულგულო კერპი გამოდგა“.

მაროს ტიპის ქალთა სახეები ჭოლას სხვა ნაწარმოებებშიც არის დახატული საკმაოდ მუქი საღებავებით.

სატუსაღოდან გათავისუფლებული მიხა გაეშურა „იქ, სადაც ეგულებოდა „ის“, ქალი, რომელთანაც მას ჰქონდა „პირობა, რომლის დარღვევაც არ შეიძლებოდა“ და რომელიც „დაფუძნებული იყო ღრმა შინაგან რწმენაზე“. წარმოუდგენლად უხაროდა სუფთა ჰაერზე ახლად გამოშვებულ ნატუსაღარს, უნდოდა მხოლოდ ეხილა ის, მისი „ერთი ღიმილი“ დაენახა, მხოლოდ ხელი ჩამოერთმია“ და „მისი პაწია, ნაზი ხელი“ ჩაედო ხელში, მხოლოდ ერთ წუთს დარჩენილიყო მასთან და ჩაეხედა მის ლამაზ თვალებში. იგი ემდუროდა მატარებელს, რომელიც ნელა მიიზლაზნებოდა... ძლივს მიფორთხავდა. რადგან „სოციალ-დემოკრატიისაგან ხალხის დასაცავად“ ჯარისკაცები გაემრავლებინათ, მიხამ გადასწყვიტა ღღე ქალაქის გარე უბანში მდინარის პირად გაეტარებინა და საღამოს სწვეოდა მიჯნურს, მაგრამ ლოდინი არ დასჭირდა: იქ, ბუნებაში განმარტოებულს, მას თავს წაადგა მასთან „ღრმა საიდუმლო კავშირით შეკრული“ ასული ლოლა დაიძე, რომელსაც ყაზახის ოფიცრისთვის გამოეღო ხელი და მოსეირნობდა. მიხამ დანახვამ მიხას საპატიმროს ეზოში ადამიანის ჩამოხრჩობაზე საყურებლად ოფიცრებთან ერთად მოსული ქალები მოაგონა. შემდეგ თვალთ დაუბნელდა და ბაგეზე შეახმა სიტყვები: „ეს ვინ არის? ნუთუ ლოლა? ნუთუ ლოლა არის ეს ქალი?“.

ლოლამ აფიცერს თავი მიანება და მისკენ გამოეშურა, მაგრამ... „თქვენ შეცდით, ქალბატონო, მე თქვენ ვერ გიცნობთ, ჩემი მეგობრები ოფიცრებთან როდი დადიან!“ — შეაგება მან; ლოლა უდრტვინველად გაბრუნდა, ოფიცერს ხელი გამოსდო და გასწია...

ასევე უსულგულო, ცრუ. ყალბი და გაუტანელია სომხის ქალი მანუშაკი, რომელიც სტიოპას გაუმიჯნურდა და სამუდამო სიყვარული აღუთქვა მთაწმინდაზე, სხივებქვეშ მოციმციმე ვარსკვლავების, რომელნიც იმთავითვე „დასცინოდნენ... სიყვარულის მუდამ ახალს, მუდამ ტკბილს, მუდამ გაუთავებელსა და მომჯადოებელ ზღაპარს“ („თეთრი ღამე“).

მანუშაკი სტიოპას ცხოვრებას ორგანულად დაუკავშირდა. როგორც ვაჟი ამბობს, იგი მისთვის იყო „სუფთა მთის ჰაერი“, რომელიც მხნეობას, ახალ-ახალ ძალას და ენერგიას მატებდა, აღაფრთოვანებდა შრომისათვის, წინ მიუძღოდა შრომის პარაზიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მის ალერსში სტიოპას დედის ალერსიც ესმოდა და დამატებით რწმუნდებოდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ „საყვარელი ქალის ალერსში აუცილებლად დედის ალერსიც უნდა ერიოს“. მანუშაკი კეთილი ანგელოზი იყო სტიოპასი—თავისუფლების პერიოდში, დარჩა მის მფარველად და ქომაგად ტუსაღობის დროსაც. „ძილშიც უარს ვამბობდი სიცოცხლეზე, მელმაც ყოველიე ღირებულება დაჰკარგა ჩემს თვალში, — გვეუბნება სტიოპა, — სანამ ერთმა სურათმა არ წამოჰყო თავი, ერთმა უბრალო წამმა ჩემი წარსულიდან... აბა, რა დიდი რამ არის, რომ ოდესღაც რომელიღაც ქალიშვილმა მაკოცა! და ამ ქალიშვილის სახემ, შემთხვევით გაღვიძებულმა ჩემს გონებაში, ამ სახემ მომაბრუნა სიცოცხლისაკენ... მხოლოდ ერთი შავგვრემანი გოგოს მოგონებამ დამიბრუნა სიცოცხლის სურვილი, სულ ყველაფერი სხვა დამავიწყდა იმ ღამეს...:“ ეს „ერთი შავგვრემანი გოგო“ „დაღლილი, ნერვებმოშლილი სტიოპას“ მაცოცხლებელი კეთილი სული — მანუშაკი იყო, რომელსაც „საღმა გონებამ“ უკარნახა თავი არ გაეწირა ციხეში მჯდომი მოუსვენარი რევოლუციონერისათვის და ცხოვრების „რეალური გზები“ ეძებნა. „საღი გონების და ნერვების“ მანუშაკი მოღალატე გამოდგა. მას, როგორც ყოველ ჯანსაღ ადამიანს, დასჭირდა ალერსი... პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სტიოპა პეტერბურგის მუზეუმშია. მან შეამჩნია ქალ-ვაჟი. რომელთაც. წინააღმდეგ პერსპექტივის კანონისა, „ცხვირი დაედოთ სურათზე“ და ისე უყურებდნენ. ისინი შეყვარებულნი იყვნენ, ერთი მათგანი იყო მანუშაკ, რომელსაც მისი ყოფილი მიჯნური არც კი შეუმჩნევია.

იქნებ მხოლოდ ის ქალები იქცევიან ასე. რომელთაც მიჯნურები პატიმრობაში ჰყავთ და ბუნების მძლეთა მძლე კანონი აიძულებთ ეძიონ სხვა, შემცვლელი? ასე რომ იყოს, მათი სახეებიც ნაკლებ მახინჯი იქნებოდა, მაგრამ პოეტი თითქოს ხაზს უსვამს, რომ ღა-

ლატი და გარყვნილება, ორპირობა და მიჯნურის გაუტანლობა თვისებაა თანამედროვეობაში აღზრდილი ქალისა საერთოდ და არა მარტო იმისი, ვისაც ქმრის ან მიჯნურის პატიმრობამ მარტოობა არგუნა. აი თავისუფალი მეუღლე. „ის შეუმჩნეველად გაპყვა კვალდაკვალ ორ ადამიანს“, ერთი მათგანი იმისი ცოლი იყო, მეორე კი მეგობარი. ქუჩიდან ქუჩაზე მისდევდა იმათ, შეჰყვა ბაღში და როდესაც ისინი ჩამოჯდნენ კუთხეში სკამზე, როდესაც იმათ აკოცეს ერთმანეთს, მან მიიდო რევოლვერი საფეთქელზე და თავი მოიკლა... და ამ კაცსაც უყვარდა ცოლი, ძლიერ უყვარდა და იმას ეგონა, რომ იმის ცოლს ჰქონდა სუფთა, ღრმა და სანდო თვალები და რომ ის არასოდეს, არასოდეს არ იცრუებდა. და ამ თვალების გამო. ამ სუფთა და პატიოსანი თვალების გამო მას კიდევ უფრო უყვარდა ახალგაზრდა ცოლი, და ჰქონდა ნდობა მისდამი, განუსაზღვრელი ნდობა“... იმთავითვე დაჩაგრული ქალი გაიწვრთნა, გაეშმაკდა, ქამელეონის სახე მიიღო, რაღაც იდუმალი, ამოუცნობი.

აი კუთხიდან კუთხეს აწყდება პატიმარი ვასო, სწევს უამრავ თუთუნს და დადის. დადის განუწყვეტლივ. ის ამხანაგებმა გაჭურდეს — ცოლმა და მეგობარმა. რომელთაც, იაგოს თქმისა არ იყოს. წაიღეს ნივთი. რომლის უკან დაბრუნება, ან აღდგენა არ შეიძლება.

მოვიდა ვასოს ცოლი ქმართან და უთხრა:.

— „ვასო, მე ვიშოვე ოთახი აფიცრის ქუჩაზე, მე ის მოვრთე რამდანადაც შემეძლო. იქ თბილა, მაგრამ შენ იქ არა ხარ და ამიტომ მგონია, სასაფლაოზე ვარ, მგონია სიცივით ვკვდები... არ გეცოდები, ვასო? როდის მოხვალ, შე უღმერთო, სახლში?“ ცოლმა ისეთი სინაზითა და სიყვარულით „შეხედა ქმარს თვალებში“, რომ ვასოს „გული აუცახცახდა“, შერცხვა, რომ დაუჯერა ვიღაცის ანონიმურ წერილს მისი ცოლის შესახებ, თვითონვე მოიბოდიშა...

მაგრამ „გამოდგა, რომ ტყუოდა ლიზა, სრულიადაც არ გრძნობდა თურმე მარტოობას და სევდას ახალ ბინაზე... გამოდგა, რომ სტყუოდა ის, ატყუებდა ქმარს“.

დასკვნა ერთია: უთანასწორობაზე დამყარებულმა საზოგადოებამ ქალი ჩამოაშორა მოწინავე მამაკაცთა საღი აზრების მდინარებას, აქცია სიმდიდრის მონად და მსახურად, ნივთად, რომელსაც შეუძლია ერთნაირად ეპსახუროს ყველას, ვინც დაისაკუთრებს. თვითმპყრობელურ-კაპიტალისტურ ქვეყანაში ქალი იგივე საქონელია, რომლის სილამაზე ფულში ჰპოვებს ექვივალენტს. „სიმდიდრე ქალით ვაჭრობს ისე, როგორც ჯიშიანი ცხენით“. კაპიტა-

ლიზმი მშრომელთა სამყაროს აღტაკებს არა მარტო ეკონომიურად, არამედ მორალურადაც, რამდენადაც ხელიდან ართმევს მის მენახევრეს — ქალს, აკნინებს და ანამცეცებს მის სულს. აი გოლოვინის პროსპექტზე გამოეფინენ „სანახევროდ ტიტველი ქალები... მდიდრები ერთი მეორეს ახარბებენ იმათ, ერთი მეორეს აჩვენებენ — აბა, შეხედე, ღირს თუ არა იმ ფულებად, რომელიც დამიხარჯავს ამაზე, ღირს თუ არა იმ სიმდიდრედ, რომელსაც მაგაზე ვხარჯავ, ხომ ლამაზი საქონელიაო. აი, აბა შეხედეთ ამ ლამაზს. ამ ნაზ ქმნილებას, აი ამას, ჩემს საყვარელს შეხედეთ — ჯიღა თვალებით. მოხდენილს, მაღალს და ისეთ მშვენიერს როგორიც ცნობილი ჯიშის ცხენს, ძვირსა და ძნელად საშოვარს... და ის ჩემი სურვილების, ჩემი გარყვნილი ღამეების მონაა, იმიტომ რომ ფულები მაქვს მე". („თეთრი ღამე").

ჰოლას განსაზღვრით ეს დამახინჯებული არსება, „კარგი ჯიშის ცხენი", უსულგულო საქონელი, ხშირად ისწრაფვის იქცეს „სახედ ხვთისად". შეითვისოს ამამაღლებელი გრძნობა — სიყვარული. მაგრამ მას, ფულის ტომარაზე დაყრდნობილს, არ ძალუძს ამაღლდეს ნესტანობამდე, თინათინობამდე, გაუძლოს დუხჭირი ბედის შემოტევას. სიღარიბე, საპყრობილე, დაშორება ყოველთვის ამარცხებს სიყვარულს, ჰკლავს მას, სასაცილოდ და საოხუნჯოდაც კი ხდის ამ უპკნობ მშვენებას — ფეოდალურ ეპოქაში მარად უბერებლად ცნობილ გრძნობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰოლა ლომთათიძე, ხატავს რა უარყოფით ქალთა ტიპებს სხვადასხვა ეროვნების ხალხში (ქართველი, რუსი, სომეხი, უკრაინელი, ებრაელი), აშკარად გვაგრძნობინებს, რომ სიმახინჯის მიზეზებს სოციალურ წყობაში ხედავს და არა ეროვნულ თავისებურებებში. რომ ქალთა საკითხს ინტერნაციონალური პოზიციებიდან აშუქებდა მწერალი, ამას ისიც ადასტურებს, რომ მომავალ ქალთა დადებითი ტიპები მან დაინახა არა მარტო ქართველებში (ხვარამზე, თინა), არამედ რუსებშიც (ელენე), ებრაელებშიც (სალავეიჩიკი) და ა. შ.

ეცნობა რა ჰოლა ლომთათიძის ქალთა ტიპებს, მკითხველი უნებლიედ აყენებს კითხვას: ნუთუ სრულიად დაჭკნა ერთ დროს დამშვენებული საქართველოს ბაღი? დიაღ, სრულიად.

ვისაც შეუძლია გაუსწოროს თვალი ხინამძვილეს, ის ამას ნათლად დაინახავს, ხოლო ვისაც სურს დარჩეს „გულუბრყვილო ბავშვად", მისთვის არსებობს „მშვენიერი სულის" მაჩვენებელი ნიღაბი, რომელიც მოხდენილად ფარავს თანამედროვე ქალის ნამ-

დვილ სახეს, ანგელოზად აჩვენებს მას! — ასეთი იქნებოდა მწერლის პასუხი მისდამი.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ჭოლა ლომთათიძის · „უბედური". ეს პატარა ლირიკული მოთხრობა წარმოადგენს უსტარს, რომელიც ეგზავნება მდიდარ ჯიბილოს ცოლს — ქეთოს; წერილის ავტორი თანმიმდევრულად, გულღიად და ნათლად წარმოგვიდგენს მისი სიყვარულის ისტორიას. დაუფარავად გვიჩვენებს, თუ როგორ აქცია მისმა ფანტაზიამ ჩვეულებრივი პირუტყვი ქალი „დაჩაგრულ გმირად" და როგორ გახდა იძულებული დიდი ხნის შემდეგ მისულიყო ჰეშმარიტებასთან, დაენახა ოცნების კოშკში მცხოვრები „ნესტანის" ნამდვილი სახე.

ჯერ კიდევ მოწაფის მერხზე იჯდა 12 წლის სანდრო, როდესაც მშვენიერი ქეთო მდიდარ ჯიბილოს მიათხოვეს. სანდროს — აღზრდილს ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც, მისი თქმით, ტრადიციულად ჩაგრულთა ინტერესებს გამოხატავს იმდენად, რომ თვით „გრ. ორბელიანსაც კი „მუშა ბოქულაძე" დაუწერია, სძულდა მჩაგვრელები, — მდიდრები, უყვარდა ღარიბები. და აი, როდესაც მეზობლებისგან გაიგონა — ჯიბილოს კი არა იმის ფულებს წაჰყვაო, ვიღაც ღარიბი მასწავლებელი უყვარდა და მისი სურვილის წინააღმდეგ მშობლებმა მდიდრის ხელში ჩააგდესო, — უნახავად შეუყვარდა „დაჩაგრული ქართველი ქალი". ქეთო შევიდა სანდროს გულში, როგორც სიმბოლო, როგორც მიზანი,.. როგორც ტყვე მტრის ბანაკში...პყრობილი ჯიბილო დვალაძის, ქვეყნის მტერი ჯიბილოს ტუსაღი". მან ნათლად დაინახა, რომ ჯიბილო დვალაძემ მოჰპარა მისიანი, მისი კაცი... „ისე უსვინდისოდ, ისე შეუპოვრად, ისე უეცრად, როგორც ქორი იტაცებს ქათამს"... მას წარმოუდგა ს. გუგუნავას „თამარიანში" ასახული სურათები; ნათლად დაინახა ლაშა გიორგი. რომელმაც, ისარგებლა რა თავისი დიდი შთამომავლობით, ელიზბარ ერისთავს წაართვა ელისაბედი; „თამარი, რომელსაც შალვა უყვარდა და რომელიც ძალად სულთანს მიათხოვეს", და გული დაწყდა, რომ არ შეეძლო ჩარეულიყო მათ საქმეში, რადგან „რუსუდანი აღარ იყო, მისი სისხლი აღარ ჩქეფდა"...

დიახ, გული დაწყდა, მაგრამ დარწმუნდა, რომ იგივე ხდება ახლაც, რომ ჯიბილო იმასვე აღწევს ფულით, რასაც მისი წინაპარნი გვარიშვილობით აღწევდნენ... დარწმუნდა და შეიყვარა ქეთო, „როგორც წმინდა ნინო, როგორც ქეთევან წამებული, როგორც დედამისი, როგორც სამშობლო".

იმდენად ძლიერი იყო ეს სიყვარული, ფიქრად რომ მოსვლოდა „ქეთოს გამათავისუფლებლად“ მოვლინებოდა, ჯიბილო შეიძლება მოეკლა კიდეც, ხოლო ქეთო მის „საყვარელ მასწავლებელთან“ მიეყვანა.

ეს სიყვარული მაშინ უფრო გაიზარდა, როდესაც სანდრო მიხვდა, რომ ქეთო არ იყო გადაგვარების გზაზე დამდგარი, უყვარდა მშობლიური ენა.

გავიდა ხანი, დავაჟკაცდა სანდრო. ახლა იგი უკვე 26 წლისაა, განვლო „ძიების დრომ“, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰეშმარიტია მისი გზა, რომ განხორციელდება მისი მიზანი, მაგრამ მაინც უბედურია, რადგან აშკარად დაინახა, რომ ქეთო სრულიადაც არ არის ის, ვინც ეგონა — დაჩაგრული და ტყვექმნილი ქალი. იგი უსინდისო, მრუში დედაკაცია, რომელიც ცხოვრობს ჯიბილოსთან და ტუჩებშიც კი ჰკოცნის მას სიმდიდრისათვის, დროდადრო კი ეკუთვნის სინოს, „იმიტომ რომ ის ახალგაზრდა, ჯანმრთელია და ლამაზი“. ეს მრუში დედაკაცი ახერხებს აიფაროს არაერთი ნიღაბი.„ ჩემი ქმარი ასეთია-ისეთიაო, — ყველას ცუდი ქალი ვგონივარ, მდიდარ ოჯახში რომ ვარო,... უღმერთო, უსვინდისოა ჯიბილო, ცოდვა ვარ იმის ხელშიო“ — შესჩივის ის სანდროს, რომელსაც ხშირად, ეპატიჟება სახლში და ფულსაც კი სთავაზობს „საზოგადო საქმისათვის“.

„პატიოსანი ქალი უსვინდისო ქმარს უნდა განშორდეს, თორემ მეძავეობაა ასეთი ცხოვრება“ — უთხრა სანდრომ და ქეთოს „სწრაფვაც საზოგადოებრივი იდეალებისაკენ“ იმ წუთში დამთავრდა.

ჰოლას დასკვნით, თანამედროვე ქალს არ მიუღია ისეთი საზოგადოებრივი აღზრდა, რომ შეძლოს თავი დადოს წარმტაცი იდეისათვის, დათმოს აწმყო კმაყოფილება მომავალი დიდებისათვის. მის მოქმედებას, უმეტეს შემთხვევაში, ინსტინქტები წარმართავს და მსგავსად ფრინველისა, რომელიც წერილებს ეზიდება, ან სხვის ბუდეში კვერცხებს დებს, ვერ მოგვცემს განმარტებას საკუთარი ქმედების შესახებ. ყველაფერზე უკეთ ქალს თვალით დანახულის აღქმა შეუძლია და თვალსაჩინო მოვლენის მონაა კიდეც.

პოეტის მეგობარ ცოლ-ქმარს გატაცებით უყვართ ერთურთი. ჰყავთ სიყვარულის ნაყოფიც — მშვენიერი ბავშვი. პირველ ქმართან, რომელიც კარგა ხნის გარდაცვლილია, ეს ქალი უნაყოფო იყო. და აი, ერთხელ, დედა-შვილთან სეირნობის დროს, ბავშვთან განმარტოვებულმა პოეტმა ყური მოჰკრა ქვითინს. ქალი ყოფილი ქმრის სასაფლაოზე სტიროდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მიიჭრა ის

ქალთან და, პირობა ჩამოართვა, გაეცა სწორი პასუხი დასმულ კითხვაზე:

„გინდა თუ არა შენი წინანდელი ქმარი გაცოცხლდეს და ისევ შენი ქმარი იყოს ახლანდელის მაგიერ?“ — ასეთი მოულოდნელი და „თავსამტვრევი“ კითხვა დაუსვა მოტირალს. ქალს ფერი ეცვალა. შიშისაგან თვალები გაუფართოვდა, წინ გაიშვირა ხელები, თითქოს თავს იცავდა და წამოიძახა: „ოჰ, არა... არა... გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი...“

„შენ დამპირდი“...? „დამპირდი!“ — „არ ეშვებოდა „ჯალათი“— იმჟამინდელ ქალის არსებას პოეტი ადარებს კაცს, რომელსაც დალაქმა მარწუხი მოსდო კბილებში და შეუბრალებლად ეწვევა, არავითარ ყურადღებას არ აქცევს ავადმყოფის საბრალო გამომეტყველებას;

„ოჰ, რა უსვინდისო ყოფილხარ“! — ამის თქმასღა ახერხებს ქალი და ისტერიულად ქვითინებს. რა თქმა უნდა, ეს პასუხი ვერ აკმაყოფილებს პოეტს და ვერც მკითხველს დააკმაყოფილებს იგი.

მარტო სოციალურ უკუღმართობას როდი უქცევია ქალი ამა-ქვეყნის ძლიერთა და მდიდართა კუთვნილებად. მის სულსა და არსებაშიცაა ეს მოცემული და კაპიტალიზმის დროს ისე ხარობს, როგორც სიმყრალესა და სიბინძურეში მოხვედრილი ჯოჯო.

ასეთია პოეტის დასკვნა. ამიტომ მიმართავს იგი ქეთოს შემდეგი სიტყვებით: „შენ იყავი ჩემი პირველი სიყვარული... მეშინია, ვაი თუ შენვე გამოდგე ჩემი უკანასკნელი სიყვარულიც... მიყვარდი. მაგრამ ჩემთვის მოკვდი, მაგრამ ერთი რამ დამრჩა შენგან, რაც მე მშველის, შენი წყალობით ვიცი მე, თუ რა გარყვნილებაა, რა სიზიზღრობაა, როცა დედაკაცი აღვიძებს მხოლოდ სქესობრიობას... დიდი მადლობა ამისთვის...“

ქეთო დამნაშავეა არა მარტო ჰეშმარიტი სიყვარულის შემძლე მამაკაცების წინაშე, არამედ შთამომავლობის წინაშეც. რადგან მის შვილებს „პატიოსანი დედა აღარ ჰყავთ“. ამიტომ უფრო გულის მომკვლელად გაისმის პოეტის ძახილი: „...დავიღალე... დავიღალე... ქეთო, შენ ახლაც ლამაზი ქალი ხარ. შენ ხომ ისეთი კეთილშობილი სახე გაქვს ... ისეთი... ისეთი... ქეთო, რად ხარ შენ უსვინდისო დედაკაცი? რად ხარ? რად ხარ, ქეთო!“

ქართველი ქალის ამ დაცემამ, გადაგვარებამ დაღალა, მოქანცა, პოეტი. აქვე გაიხსენა მან შიო არაგვისპირელის ნოველა „ჩემი სამშობლო, ჩემი გულია“. ამ ნაწარმოების განხილვისას პოეტის პოზიცია ნათელია — იგი სავსებით ეთანხმება ავტორს:

„როცა ეს მოთხრობა დაიბეჭდა, — დასკვნის ის, — გაწყრნენ:

„ეს ცილისწამებაა, როგორ შეიძლება ესო!“ ერთი კრიტიკოსი სწერდა: „მე ღრმად მწამს, რომ ქართველი ქალი ასეთი არ არისო!“ მაგრამ... მაგრამ... ვსთქვათ გულახდილად, ნუთუ არაგვისპირელმა სიმართლე არ სთქვა ამ მოთხრობაში?“

პოეტის ღრმა რწმენით, მე-19 საუკუნის განმავლობაში ქართველ ქალს შეეძლო დაეძლია სხვისით გატაცება ინიტომ, რომ მას შეაჩერებდა მოვალეობა ქმრის და შვილების წინაშე, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის წინაშე. მაგრამ მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მოვალეობა საზოგადოებრივი მიმართულების წინაშე კი არც მაშინ იცოდა და არც ახლა იცის.

ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა ჭოლა ლომთათიძის საერთო მრწამსი სიყვარულის რაობაზე, დაგვეხასიათებინა მწერლის შეხედულებანი თანამედროვე ქალთა შესახებ, მაგრამ ჩვენი ნარკვევი არ იქნებოდა სრული, აქ რომ დაგვესვა წერტილი. როგორც უკვე აღნიშნეს, ჭოლა ლომთათიძე დედაკაც-მამაკაცის ურთიერთობას და სიყვარულს არ უყურებდა ისე, როგორც ზოგიერთი „ურა სოციალისტი“.[117] მწერალი გადაჭრით იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ ეს „მარად თავსამტერევი“ საკითხი არ მოწესრიგდებოდა ხელის ერთი დაკვრით, დადგენილებით თუ ბრძანებით; რომ საზოგადოების წევრები არ წარმოადგენდნენ უარყოფითი და დადებითი თვისებების მქონე ადამიანების მექანიკურად ჩამოყალიბებულ და ურთიერთისაგან გათიშულ ერთეულებს ან ჯგუფებს, რომელთაც შეიძლება მოუძებნოთ „რაღაც საერთო“ ჩარჩო; რომ სიყვარული წარმოადგენს ისეთ რთულ და ძნელად შესაცნობ კატეგორიათა კომპლექსს, რომელთანაც წინასწარ დადგენილი, წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმით მისული ადამიანი მუდამ მარცხდება.

ამ აზრის ნათელსაყოფად უნდა განვიხილოთ ჭოლას ფილოსოფიური ნაწარმოები „ძე კაცისა“, ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მას შეკვეცილი ფორმით მოუღწევია ჩვენამდე.

„ადამიანის გულში, ისე როგორც ბუნებაში, ათასნაირი სტიქიური ძალები იფარავენ თავს, რომელთაც საკმაოა უცებ ამოჰყონ თავი და ერთ წუთში დავდაყირა აუენებენ ყველაფერს, ნაცარტუტად აქცევენ იმას, რაც ისეთი მძლავრი და შეურყეველი გვეგონა“. ასე იწყება ეს პროზაული ჰიმნი სიყვარულისა. პირველ სტრიქონებშივე ასე ნათლად და გარკვევით გამოთქმულ ამ თეორიულ დებულებას უაღრესად მკვეთრი მაგალითების ჩვენებით გვისურათხატებს ჭოლა.

ჰყვავის და ათასფერად ელავს ველ-მინდვრები, მომაჯადოებელი

---

[117] იხ. ს. ჭ ი ლ ი ა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა.

ფერები ლივლივებენ ზურმუხტ ხმელეთზე, იტაცებენ და ატკბობენ ადამიანის სახედველს. ძე ადამისა დაჰყურებს ამ დიდებულ სურათს და სული მისი სამოთხისებურ ნეტარებას განიცდის, უჭკნობი ბედნიერების სამყოფელში ფარფატებს. მაგრამ, აი წამოვიდა სეტყვა, თუ უეცარი კოკისპირული წვიმა და ბუნების ამ უხეშმა სტიქიურმა ძალებმა ნაცარტუტად აქციეს ყოველივე, დაამახინჯეს აყვავებული ველ-მინდვრები; არე, რომელიც სულ რამდენიმე წუთის წინ ახალგაზრდა დედის კალთაში ჩაგორებული მაძღარი ბავშვივით საღი და ბედნიერი იყო, დაემსგავსა ჭლექიანს.

სიცივისაგან თავის დასაცავად ადამიანმა აიშენა სახლი, საზრდოს მოსაპოვებლად შეკრა ჯგუფები, საზოგადოება, ყოფის გასამშვენიერებლად და შრომის გასაადვილებლად ადამიანმა შექმნა სიმღერა, პოეზია, ხელოვნება.

„რა უჭირს ადამიანს!“ ადამიანმა დაიმორჩილა ზღვა, „შეებრძოლა მანძილს და სძლია იგი“. „ააგო უზარმაზარი ქალაქები“ და „გრანდიოზული მანქანები“! — „რა უჭირს ადამიანს?“ ბრწყინვალე სვლას გაანაგრძობს იგი „ლაღი“, „გვირგვინოსანი“, „ცხებული“, მიდის და „არაფრის ეშინია“. გუშინ ცხოველის მსგავსი იყო, „დღეს ადამიანია, ვინ იცის, რა იქნება ხვალ!“ „რა უჭირს ადამიანს?“ „ბევრისგან ბევრი მიზანი უდევს მას წინ, შეგნებული მიზანი, და სწამს, რომ ყველას განახორციელებს...“ „იბრძოლე, ბუნებავ, იქროლე, ქარო“, „იგუგუნე და იტირე ველზე“, „ჩამოჯექი სახურავზე, გაჰყინე“, — ადამიანმა ყველაფერი დაიმორჩილა, ყველაფერი შექმნა და აი ის ახლა თბილ ქვეშაგებშია გახვეული, არ ეშინია შენი, გუშინ „ის მხეცი იყო“, „დღეს ადამიანია, ვინ იცის, რა იქნება ხვალ“. „დიდი მომავალი აქვს“ მას, მაგრამ... „უცებ ვიღაცამ დახძახა ძირს, დედამიწის გულში, ვიღაც გაიმართა თითქოს იქ წელში, გაიზმორა, გაიწოდინა, ამოიოხრა ვიღაცამ და აი, სახლი დაეტაკა სახლს, კედელი — კედელს... მთა და დაენარცხა ძირს... სადაც ხმელი იყო, იქ ზღვის ტალღები აგორდნენ და სადაც სიცივე და ყინვა მეფობდა. იქ კვამლი და ცეცხლი ამოსკდა. ერთ წამში იცვალა ყველაფერი...“

ყოველ მოაზროვნე ადამიანს უნდა ჰქონდეს თავში გამოსახული „ნათელი, მარტივი სურათი მოსალოდნელი გაჭირობისა — ასეთი მარტივი და ყოველწუთში მოსალოდნელი“, რომ „მხოლოდ ერთი წუთია საჭირო, მხოლოდ ერთი წუთი კმარა, რათა არა თუ რომელიმე ქალაქი, არათუ რომელიმე კუთხე, არამედ მთელი დედამიწა მტვრად გარდაიქმნას და ქაოსად ქცეული გაიფანტოს სივრცეში...“ უეცრად გაჭრება შედეგი მრავალ მეცნიერთა „დაუცხრომელი შრომისა, მრავალ თაობათა შეუპოვარი ბრძოლისა, არავის ეხსომება

არც უდიდესი მეცნიერები, არც უბრალო მოკვდავნი — საკუთარ „მე"-ს რომ დაჰკანკალებდნენ მთელი სიცოცხლე.

„საოცარია ადამიანი, ყველა სულდგმულზე უბედური და საბრალო", როცა წარმოიდგენს ყოველივე ზემოთქმულს, წარმოიდგენს ნათლად და გარკვევით.

და რადგანაც იგივე ხდება გულში, რაც ამ დაუსაბამო და დაუსრულებელ სამყაროში, ცხადია, საკუთარ გულს შეუძლია „მის მფლობელ" ადამიანს თავს დაატეხოს ისეთივე კატასტროფა, როგორსაც ბუნება მოუვლენს ხოლმე დედამიწას. რამდენადაც უძლურია ადამიანთა საზოგადოება ბუნების გრანდიოზულ სტიქიათა წინაშე, იმდენად უძლურია ცალკე ადამიანი საკუთარი გულის წინაშე; როგორც ადამიანთა საზოგადოებას ჰგონია, რომ უკვე შექმნა საჭირო ტექნიკა, დაიმორჩილა და დაიმონა ბუნება ისე, რომ შეუძლია ახლა განცხრომით წამოწვეს მის მიერ აშენებულ სახლში, ისე ცალკე აღებულ ადამიანს ჰგონია, რომ მის მკერდქვეშ არსებობს მისი გული — მონა და მორჩილი, მსახური მისი აზრისა და გონების.

რასაც დედამიწას დაატეხს ხოლმე ბუნების სტიქიონის ერთი წამი, ერთი განძრევა, იმასვე ადამიანს დაატეხს საკუთარი გული ერთი წამის განცდითა და გაგებით.

როგორც კაცობრიობას არ შეუძლია დაიბრუნოს უცვლელად ის, რასაც ბუნების სტიქია ერთის დაკვრით აქცევს ნაცარ-ტუტად, ისე ადამიანს არ ძალუძს დაიბრუნოს „სულის სიმშვიდე", მოერიოს საკუთარ გულს გონებით, იქცეს იმადვე, რაც „გადატრიალების" დაწყების წინ იყო.

ასეთ დიდ სასწორზე ასწონად, ასე დიდი დიაპაზონის გასაზომად იშვიათად თუ ვისმეს დაუდვია პატარა ბრძმედი, ცოცხალი ქურა კაცთა სიცოცხლისა — ადამიანის გული. უფრო ახლოს გავეცნოთ მას.

საპყრობილეშია სოციალ-დემოკრატი გიორგი ადამაშვილი — „საკმაოდ განსწავლული და გათვითცნობიერებული" პიროვნება, თავსამტერევი სოციოლოგიური კითხვების კარგი მცოდნე, ადამიანის ბუნების რთულ საკითხებზე დაფიქრებული. იგი, მაღალგონივრულად, დამაჯერებლად მსჯელობს, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ტუსაღებსა და თვით მეციხოვნეთა შორისაც .

გიორგი ადამაშვილს ტუსაღობის ტვირთს საგრძნობლად უმსუბუქებს გარეთ დარჩენილი ოჯახი — მეუღლე ნინო ერთადერთი შვილით გიორგი გიორგის-ძეთი.

ნინო არის არა მარტო მეუღლე პატივმარი ადამაშვილისა, არა-

მედ პარტიული ამხანაგიც. სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმული მებრძოლი და მესაიდუმლე. საკუთარი შრომით ინახავს ქმარსა და შვილს ძალად „დაქვრივებული“ რევოლუციონერი ქალი. სისტემატურად დადის სატუსაღოში სურსათ-სანოვაგით დატვირთული, მოთმინებით იტანს საზრდოს მოპოვების და პატიმრისათვის მოწოდების მთელ სიმწარეს. უაღრესად ნაზი, ბუნებრივი, თბილი და წრფელია მათი ცოლ-ქმრული კავშირი. ერთურთის გარდა თითქმის არავინ გააჩნიათ ცოლ-ქმარს ამქვეყნად და ეს უფრო ადუღაბებს მათ სულიერ ურთიერთობას.

გიორგი ამაყობს ამხანაგებს შორის თავისი კდემამოსილი, პატიოსანი მეუღლით და თითქმის კმაყოფილიცაა ბედის, რამდენადაც ეს შეუძლებელია სატუსაღოში. პყრობილთა შორისაც არაერთი შენატრის გიორგის ოჯახურ ბედნიერებასა და მყუდროებას.

მაგრამ აი, „ზაფხულის ერთ ცხელ დღეს“, როცა ჩვეულებრივ ინახულა გიორგიმ ცოლი, უხერხულობა და რაღაც დაბნეულობა შეატყო მას. ნინოს აკლდა ჩვეულებრივი ხალისი, ენთუზიაზმი, გაბედული მიხვრა-მოხვრა, ულაზათოდ და უგემურად პასუხობდა ქმარს, რაც ამ უკანასკნელმა დარაჯის შეუმჩნევლად წერილის გადაცემის სიძნელით ახსნა.

ამღერებული გულით დაბრუნდა საკანში გიორგი.

„თქვენ დამატუსაღეთ, ბატონებო, თქვენ დამტანჯეთ. ჩემი გატეხა მოინდომეთ — ვერა, ვერ მოგართვით, ვერა! აი, შემხედეთ. რა მშვენივრად ვგრძნობ თავს, რა მხიარული ვარ!“ ამბობდა მისი ნათელი სახე ცოლის ნახვის სიტკბოებით მოწმენდილი.

ნეტარების მორევში ცურავს ტუსაღი ადამაშვილი: მას არ წაუკითხავს ჯერ წერილი და არც სურს წაიკითხოს, შეიძლება დარაჯი უთვალთვალებდეს ახალხან დაბრუნებულ ტუსაღს. იგი წინასწარ ტკბება საყვარელი ადამიანის მიერ საიდუმლოდ გადაცემული უსტარით, ეს სიტკბოება უაღრესად ინტიმურია და ეგოისტური: აქ, ამ საკანშიც, მას სურს ნინოსთან იყოს და მუსაიფობდეს. ამიტომ უკმეხად პასუხობს ბორკილებში ჩაჭედილ მუშას ქერქაძეს, მაგრამ ჩქარა მოინანიებს თავის საქციელს, რადგან ნათლად წარმოიდგენს თუ რაოდენ ძნელია მეორე პატიმრისათვის ბედნიერი ტუსაღის ცქერა. „გიორგისთან მოდიან, გიორგის წერილს სწერენ, გიორგის ფულს უგზავნიან, ის კითხულობს, ფიქრობს, ის ნაკლებად გრძნობს სიობლეს... „ქერქაძე კი არავის ახსოვს, ქერქაძეს არავინ ეხვარება. და „ბედნიერმა“ ადამაშვილმა დაუყვავა ქერქაძეს, შეეცადა მის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას.

გავიდა საკმაო დრო, გიორგიმ მოძებნა წიგნი, ჩადო შიგ ნინოს

წერილი, გადაჰკრა თვალი და... „იძრა მიწა“. რამდენჯერმე გადაიკითხა ეს „ახირებული“ ბარათი, კითხულობდა და ჰკვირობდა, რომ, აქ, საკანში, ადამიანები დამშვიდებულად და წყნარად სხედან „ახლა ამ დროს“. წერილში ეწერა, რომ ნინო არ არის ღირსი გიორგის სიყვარულისა... უსვინდისო, უნამუსო ქალია ნინო... „ძნელი იქნება შენთვის ამის გაგება, მაგრამ დაფარვა რამის შენს წინაშე ზედმეტი შეურაცხყოფა იქნება შენიო...“

გიორგი მიხვდა, რომ ეს წერილი მისდამი ნინოს სიყვარულის დასრულის მაუწყებელი იყო... მიხვდა და „არაჩვეულებრივმა სიმშვიდემ“ შეიპყრო. მწერალი პატიმრის ამ სიმშვიდეს ადარებს იმ იდუმალ მყუდროებას, რაც ბუნებას ჰოიცავს ხოლმე დიდი მიწისძვრის წინა წუთებში.

რამდენიმე უბრალო სიტყვის შემცველი ეს წერილი წარმოადგენს იმ მაგიურ ძალას, რომელსაც შეუძლია უღრანი ტყის—ადამიანის გულის უბნელესი წერტილების განათება და მზის სინათლეზე გამოტანა, ისეთი მარტივი „საიდუმლოების“ შეცნობა და გამომზეურება, რაც სხვა შემთხვევაში მარადშეუცნობი და ბურუსით მოცული იქნებოდა.

დამაჯერებლად და მკერმეტყველურადაა გადმოცემული ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ თავისი მასშტაბით და შინაარსით უაღრესად დიდი გულისთქმა, რამაც გიორგის არსება მოიცვა წერილის წაკითხვის პირველ წუთებში. მან ცეცხლი წაუკიდა ბარათს, მთლიანად დაფერფლა ხელში და საფურთხებელში ჩაყარა. შემდეგ ჰოუკიდა პაპიროსს, რასაც იგი საერთოდ არ ეტანებოდა, და გაუკვირდა, რომ ასე ეგემრიელა ბოლი. იგი მიუჯდა მაგიდას, მიაშტერდა თავის ბავშვის სურათს კედელზე, მიაშტერდა უაზროდ, დაბეჯითებით და რამდენიმე წუთის შემდეგ მის წინაშე იდგა არა სურათი, არამედ მკვრცხლი ჟორჟიკა. გიორგი გიორგის-ძე, რომელიც ჩვეული სიცელქით ეტიტინებოდა მამას... ეს ლამაზი ფსიქოლოგიური განცდა, სიბინძურიდან მშვენიერებაში გადასვლა დასრულდა, „და უცებ ის ღვიძებს თითქოს. პაპიროსი ჩამქრალა, ბავშვი იდუმალ შემოპარულა მის გულში, სადაც ისეთი სიცივეა, ისეთი გულგრილობა და უჩვეულო სიმშვიდე... და გაჰქრა უცებ მოჩვენება. ყველაფერი მიყუჩდა. გიორგი ისევ მარტო დარჩა...“

გიორგის სურს ჩვეულებრივად მიიღოს ყველაფერი. ჩვეულებრივად განმარტოს და მოისვენოს: მართლაც-და რა მოხდა? მან ხომ ორი წელია დასტოვა ცოლი — აბალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ჯანსაღი ქალი. „ახა, ბუნებას სად წაუხვალ? სიყვარული ხომ „ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაცაა და ისე სჭირია კაცს, როგორც საჭ-

მელი". რომელი ჭკუათმყოფელი ეტყვის კაცს — რაკი ეს საქმელი არ არის, სხვა არ სჭამოო.

რა უფლება აქვს მამაკაცს, მოთხოვოს ცოლს — „გინდა თუ არა, მე გახსოვდეო". თანამედროვე ადამიანები „ორ ველურები ხომ არა ვართ, მიცვალებულ ქმარს რომ ცოლს დააკლავდნენ ხოლმე თაკზე". ისიც ხომ თავისებური მიცვალებულია და რა უფლება აქვს მოსთხოვოს ნინოს სიკვდილის შემდეგაც ჩემი ცოლი იყავიო.

ასე „საღად" მსჯელობს გიორგი. ერთი შეხედვით, სხვაგვარი მსჯელობა „კულტურულ კაცს" არც ეპატიება. განა შეიძლება სრულიად მარტივი ჭეშმარიტება სადაოდ გავხადოთ?

თურმე შეიძლება. თურმე ძლიერ იოლად, საღად და გონივრულად შეუძლია ადამიანს სხვის შესახებ მსჯელობა, შეუძლია ისე, რომ შეცდომასაც იშვიათად დაუშვებს.

— „დღემდე რომ ვისმეს ეთქვა გიორგისათვის ამა და ამ კაცს ცოლი გაშორდა და სხვას გაჰყვაო, ისე გულგრილად მოისმენდა ამას, როგორც უბრალო და ჩვეულებრივ ამბავს. მართლაც-და, ქალს არ სურს ერთი, სტოვებს მას და „მიდის იმასთან, ვისკენაც გული უდევს." განა შეიძლება იყოს რამე „ამაზე ნათელი და მარტივი?" რაც უფრო ძლიერია ქალისა და კაცის ურთიერთმიზიდულობის ძალა და სქესობრივი ლტოლვა, მით უფრო ჯანაღია შთამომავლობა, „რაც უფრო მხიარულად ეძლევიან გრძნობას, რაც მეტ სქესობრივ ენერგიას ხარჯავენ", „მით უკეთესი საზოგადოების გამრავლებისათვის". „არ არის სიყვარული — არ არის ცოლქმრობა" და „სიყვარულიც იმიტომ არსებობს, ვისაც ვინ უყვარს იმასთან იცხოვროს". ეს ჭეშმარიტებაა და ეს ყოველივე კარგად იცის გიორგიმ, მას არ ეშლება, რომ „ორჯერ ორი ოთხია", მაგრამ საკმარისია ეს მსჯელობა შეეხოს არა ვილაცას, არამედ პირადად მას, მის მეობას, მის საკუთარ ცოლს, რათა დარწმუნდეს, რომ „ჭეშმარიტება" ყოველთვის ჭეშმარიტება არაა, რომ ის უაღრესად დამცირებულია და შეურაცყოფილი.

რით არის გიორგი შეურაცყოფილი? იმით, რომ იმის ცოლს „შეუძლია უგიორგოდაც ბედნიერად იცხოვროს".

„რა ძნელია, როცა ადამიანი ხედავს, რომ ის ვინც უყვარს, უიმისოდაც ბედნიერიაო", — ამოიკითხა ერთხელ ყაზბეგის ნაწარმოებში გიორგიმ. მაშინ მან ვერ გაიგო, ახლა კი ადვილად მისახვედრი გახდა ეს მისთვის. შესანიშნავად აღწერს მწერალი გიორგის სულიერ ღელვას, მტვრევითა და მსხვრევით „წინსვლას", „მარტო მე ვარ ასეთი, თუ ყველა ასეთია!" მალიმალ ეკითხება გიორგი თავისთავს და „მიდის წინ", მიდის და ჩირაღდნით ხელში ანათებს უბნე-

ლეს კუპულებს. ისეთ კუნჭულებს, რომელნიც, თუ არა ეს წერილი, ვერასოდეს ისინი მზის სინათლეს ვერ იხილავდნენ.

ეს „წინსვლა“ ყველას როდი ძალუძს, მხოლოდ „დიდბუნებოვანი ადამიანის“ ჴვედრია იგი. შემთხვევით როდი მოაგონდა გიორგის გენერალი, რომელმაც, ბრძოლით გატაცებულმა, ჰკრა მერანს ქუსლი და მარტოდმარტო შეიჭრა მტრის ბანაკში. რაკი ცნობას მოეგო და დაინახა სიკვდილის საფრთხე, მამაცი გენერალი, აკანკალდა, მაგრამ, ჩქარა შემოუძახა საკუთარ თავს: „შენ გეშინია? შენ ჰკანკალებ? ატ, შე დედაბერო შენა! დაიცა, უარეს დღეს დაგაყენებ!...“ და უშიშრად გასწია წინ.

„შენც ასე, გიორგი — იარე წინ.“ გაიფიქრა მან განაგრძო წინსვლა და დაინახა ორი ადამიანი თავის გულში: „ერთი იტანჯებოდა მიყენებული შეურაცყოფის გამო“, მეორეს არ შეეძლო ამ ტანჯვის შემსუბუქება. მეორე შესცქეროდა პირველის „ეგოიზმს, სიმახინჯეს“, „სიტიტვლეს“ და პირველს არ რცხვენოდა მეორესი.

არასოდეს აზრადაც არ მოსვლია გიორგის, რომ მისი ნინო იპოვიდა მასზე უკეთეს მეგობარს, გასცვლიდა მას, რადგან „მარტოდენ თავისი თავი სწამდა“, სჯეროდა, რომ „მასზე უკეთესს ნინო ვერ შეხვდებოდა“, რომ ის სხვა ადამიანებზე „უფრო მაღლა“ იდგა. მაშასადამე, მას სწამდა საკუთარი თავის და არა ნინოსი.

გიორგიმ აშკარად დაინახა, რომ იმ მოწინავე თეორიას, რომელმაც ყოფის მიზანი დაუსახა, ამ მიზნისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა, მხოლოდ გარეგნულად შეუცვლია იგი და არა არსებითად; რომ ის სიმაღლე, რომელზედაც, მისი რწმენით, ავიდა, რათა ზევიდან მოვლინებოდა „უბედურ თანამოძმეებს“ და ისინიც მაღლა აეზიდა, სინამდვილეში არ არსებობს, რამდენადაც გონებას, შეგნებული ქმედების განმსჯელს და წარმმართავს, არ ძალუძს მოერიოს გულს, გრძნობას, დაიმორჩილოს და დათრგუნოს ის. „ანბანური ჭეშმარიტებანი“, რაც მისმა გონებამ კარგა ხანია შეითვისა, გრძნობისათვის რჩება გადაულახავ ზღუდედ. იგი გონების იარაღით უკეთებს რთულ ოპერაციებს საკუთარ გულს და თანდათან რწმუნდება, რომ არცერთი ჭრილობის განკურნება არ ძალუძს.

„ყველაზე მძიმე და ტრაგიკული ადამიანში ის არის, როცა გრძნობა ებრძვის გონებას, როცა გრძნობას სურს ის, რაც გონებას ეწინააღმდეგება“, — დაასკვნის ჭოლა.

გრძნობისა და გონების ეს ჭიდილი ჭოლა ლომთათიძემ წარმოსახა, როგორც ადამიანის ნებისყოფის გარეშე არსებული ძალა, როგორც უდიდესი სიმძიმე, რომლის შემსუბუქება ადამიანს კიდევ დიდხანს, საუკუნეების მანძილზე გაუჭირდება, რადგან შეგნება, განათ-

ლება, წინსელა პროგრესის გზაზე ეხება მხოლოდ გონებას, ხოლო ამ უკანასკნელს გრძნობა არ ემორჩილება. ამიტომაა, რომ შეგნებით ერთმანეთთან მისული ადამიანები უცხონი აღმოჩნდებიან ერთურთისათვის, როგორც კი მათი გრძნობები ერთმანეთს შეხვდებიან. ილიკო სიამაშვილს, „გიორგის უახლოეს მეგობარს", ახარებს ნინოს ღალატი, რადგან ქალზე მისი აზრის დამადასტურებელია ეს მოქმედება; იგი ფრთხილობს, „გიორგიმ არაფერი შემატყოსო და არ იცოდა მან, რომ გიორგიც ასევე გაფრთხილდა, რომ უცებ არ დაენახა ვისმე მისი გული... და თითქმის ისინი დაშორდნენ ერთმანეთს". მაშასადამე, ერთი აზრით შეკავშირებულმა მეგობრებმა ვერ გაიყვეს ერთმანეთის გრძნობა, და ეს ბუნებრივიცაა: მათ არ შეუძლიათ გაიყონ, ან გაიზიარონ ის, რაც მათ ხელთ არ არის.

ეს უაღრესად რთული და თავისებური ხიდჩატეხილობაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების საერთო წინსვლით გადაილახება; ხიდის გაღმა-გამოღმა მოჩანან არა ერთიმეორესადმი ანტაგონისტურად დაპირისპირებული საზოგადოებრივი ფენები ან კლასები, არამედ ერთი ადამიანის ორი ორგანო — თავი და გული, გონება და გრძნობა. მათ შორის წარმოებული დაუნდობელი ბრძოლა დამაჯერებლად აგვისახა ჰოლმ.

წარმოიდგინა რა „ის" ტიტველი და მასთან ერთად ტიტველადეე მყოფი „მისი ნინო", გიორგი მზად არის „იყვიროს, იღმუვლოს, როგორც დასაკლავმა ძროხამ, როგორც მხეცმა". მას იპყრობს, „ფიზიოლოგიური სურვილი" ეცეს ამ ქალს, მოკუმშოს მკლავებში, „ჰკოცნოს, ჰკბინოს, აწამოს..." მან როდი იცოდა დღემდე, რომ ეს „სასიზიზღარი" გრძნობა მასში ყოფილა დაფარული, რომ მას შესძლებია „გააუპატიუროს ქალი".

ის იკრებს ძალას, რათა სძლიოს ეს „პირუტყვული იერიში", მაგრამ არ ძალუძს.

როგორ მოიქცეოდა გიორგი, რომ მხოლოდ წაეკითხა ამგვარი რამ და თვითონ კი არ გამოეცადა?

„არ დაიჯერებდა! ცილისწამებაა, ინსინუაციაა, რეაქციონური კალმის ნაწარმოებია, რომ სახელი გაუტეხოს, დასცინოს ადამიანის ბაქიობას პროგრესის, ზნეობის და საზოგადოდ ადამიანის წარმატების შესახებო", — იტყოდა ის.

— „აბა, რა ვუყოთ, რაც მოხდა, მოხდა. საყვედურს ნინოს რას ვემართლები — დედა ვერ მოუვლიდა ისე კაცს, როგორც ის მივლიდა ამ ორ წელს", — ასე ეუბნება გიორგი ტუსაღს ილიკო სიამაშვილს, გულში კი ჰფიქრობს: — სამაგიერო, სამაგიერო იმას, ვინც ეს ჩაიდინა! სამაგიერო სასჯელი, შურისძიება... სამაგიერო, სამაგი-

ერო მტერს. სამაგიერო!..“ ამ სამაგიეროს იგი გადაუხდის ნინოს მაგდასთან ღალატით, დიახ გადაუხდის. ამ დასკვნამდე მივიდა გიორგი.

პატიოსანი ქალია ნინო. ეს იცის მან, იციან მისმა ამხანაგებმაც, მაგრამ გიორგის არ სურს იყოს ნინო პატიოსანი; ის ვისაც „დედასავით უყვარდა“ წლების მანძილზე ნინო, ეძებს საბუთებს მის გასამართლებლად და დასამცირებლად, ეძებს და პოულობს კიდეც.

„რას ვწუხვარ ყველაზე უფრო; იცი, ილიკო?, — მიმართავს იგი ამხანაგს, — ვინმე ოხერი არ იყოს-მეთქი, რომელიც არ არის ჩვენი ამხანაგი“.

„— არა, არც ამდენი იკვის მიტანა შეიძლება ნინოზე... ჩემის აზრით, ტყუილა შიშობ — ნინოს თუ ვინმე შეუყვარდა, ის ჩვენი წრიდან იქნება“ — „ანუგეშა“ ილიკომ.

გიორგის ამ აზრის განმტკიცება უნდა და არა გაქარწყლება, რადგან მაშინ მიაგნებს ის კუთხეს. საიდანაც შეიძლება თავს დაესხას ნინოს. ნინო ჯანსაღი ქალია. ძლიერად შეიყვარებს. ახალი ქმრის სიყვარული დასჩაგრავს, შეაძულებს წარსულის მუდმივ მოწამეს — ბავშვს. გიორგიმ წარმოიდგინა დაჩაგრული ბავშვი. მას არ აწვენენ ოთახში, „რათა ხელი არ შეეშალოთ“, ეზოში გზავნიან სათამაშოდ, როცა ერთმანეთის ალერსი სურთ; რომ კარგ კაცად გამოგიყვანოს, იმიტომ გცემს მამინაცვალიო, — ეუბნება დედა.

გიორგიმ იპოვა საბუთები ნინოსადმი მტრობის გასამართლებლად: ის მოღალატეა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, აძლევს მტერს საშუალებას გაიხაროს, დასცინოს პატიმარ მებრძოლს; დამჩაგვრელი და დამთრგუნველია საკუთარი შვილის, რომელიც მამინაცვლის ხელში ჩააგდო.

ყველამ, მათ შორის ჯაშუშმაც, „იცის ნინოს ღალატი, დიახ, „ღალატი“ იცის და უხარია ეს... ამიტომ უნდა დაისაჯოს ნინო, მისი მტერი!“ — ასეთია გიორგის მტკიცე აზრი და გადაწყვეტილება, როცა შემდეგ საპასუხო ბარათს სწერს ცოლს...

„ნინიკო, ჩემო კარგო მეგობარო, ეს როგორ გეკადრება შენ? ასეთი მაგარი ნერვების პატრონ დედაკაცს და ასეთი ისტერიული წერილის დაწერა! თითქოს ქვეყანა დაგექციოს, ან იოანე ნათლისმცემლისთვის თავი მოგეკვრას. ძლიერ გამაკვირვა, ჩემო ძმაო საყვარელო, შენმა ასეთმა წერილმა. რისი გრცხვენია, ჩემო ნინიკ, თუ ვინმე შეგიყვარდა, სიყვარული განა სირცხვილია? მე დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც შენ გიყვარს — რად არ მწერ მის სახელს? — ღირსი იქნება შენი სიყვარულისა, შენსავით პატიოსანი და კარგი. რა გაქვს, შენ კაი ქალო, საბოდიშო ჩემს წინაშე? სანამ იყავ ჩემი ცოლი, მართლაც რომ ცოლი იყავი — მეგობარი და ამხანაგი. დიდი

მადლობა შენ ამ ბედნიერებისათვის, რომელიც შენთან ცხოვრებით გამომიცდია. მე იმ დღეებს არაოდეს არ დავივიწყებ და, მაშასადამე, ვერ დაგივიწყებ ვერც შენ, ჩემო ნინიკ! და ჩვენი საერთო შვილი, ჩვენ ჟორჟიკ — გიორგი გიორგის-ძე ადამაშვილი, ჟორჟიკ — ნაყოფი ჩვენი სიყვარულისა ხომ მუდმივი თავდებია, რომ ჩვენ შემდეგშიც კარგი და ერთგული მეგობრები ვიქნებით ერთმანეთის. დაანებე თავი წუხილს, შემხედე თვალებში პირდაპირ — შენ ამის უფლება გაქვს, და როგორც მეგობარს შენსას, მომწერე ყველაფერი დაწვრილებით, თორემ ცნობისმოყვარეობა მძლევს, არაფერი ვიცი კი.

ადამიანს, ნინიკ, სიყვარულის არ უნდა სცხვენოდეს — იგი სხვაა, სიძვა სხვაა! მე რომ ვინმე შემყვარებოდა, მოვიდოდი, ყველაფერს დაწვრილებით გეტყოდი და ოდნავადაც არ შემრცხვებოდა — მერწმუნე ამაში... რა თქმა უნდა, ძნელია ჩემთვის ყველაფერი ეს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მჭონდეს უფლება — შენ გისაყვედურო რამე...

მართლა, ხომ გახსოვს, რომ ერთი ყმაწვილი, სახელად და გვარად გიორგი ადამაშვილი, სცდილობდა შეგეყვარებია, რადგან უყვარდი იმას. ის ყმაწვილი, ჩემი კარგი ნაცნობი, ეხლაც, თუ პირობებმა ხელი შეუწყვეს, განაახლებს ცდას. ეს არის ერთადერთი რამ, რომლის ნებართვას შენგან ის თხოულობს". ცხადია, ამ წერილის ყოველი სიტყვა ყალბია და საზიზღარი.

ამ წერილის დაწერის შემდეგ გიორგიმ კიდევ სიახლე „აღმოაჩინა": ორის ნაცვლად მრავალი კაცი ყოფილა მასში. თვალწინ წარმოუდგა ვიღაც თავადი, რომელსაც მსახურმა სპარსელის სადარბაზო ბარათი მიართვა: „ალა, ბალა, მაშადი, ისკანდერ ოღლი, შამხორ ხოხოლი", — ეწერა ბარათზე. — რამდენი კაცია ბიჭო? — იკითხა თავჭდმა. — ერთი ბატონო. — აქ კი ერთი ათეულის გვარი სწერია— გაიკვირვა მან... დიახ, უამრავი კაცი ყოფილა გიორგის არსებაში დაბუდებული და აქამდე არ სცოდნია.

გიორგის სტანჯავს ის, რომ ნინოს, მის ცოლს, შეუძლია უიმისოდ იცხოვროს. ამ მიზეზით ტანჯული და შეურაცყოფილი კაცი ზის გიორგიში — ეს ერთი.

გიორგის სტანჯავსა ის, რომ მას (გიორგის) სხვა ამჯობინეს, — ეს მეორე. გიორგის სტანჯავს ის, რომ ნინო სურს, როგორც ქალი, — ეს მესამე. გიორგის სტანჯავს ის, რომ მის შესახებ გაიგებენ ცოლმა მიატოვაო, — ეს მეოთხე. გიორგის სტანჯავს ის, რომ მას უნდა ნინო იყოს უსვინდისო ქალი და არავითარი საბუთი კი არა აქვს ამის დასამტკიცებლად, სწყურია სძულდეს ნინო, როგორც

მტერი, სურს კი იგი, როგორც ქალი, როგორც საყვარელი, -- ეს მეხუთე. გიორგის სტანჯავს ის, რომ გონებას არ აქვს საკმაო საფუძველი ნინოს გასაკიცხად, როცა გრძნობს, რომ ჯვარცმისათვისაც კი იმეტებს მას, — ეს მეექვსე. ბოლოს გიორგის სტანჯავს ის, რომ მის გულში ზის კიდევ ადამიანი, ნამდვილი გიორგი, რომელიც დიდი ცნობისმოყვარეობით დასცინრნობს მის გულში და სწავლობს ყველაფერს, ათვალიერებს, სინჯავს, იმახსოვრებს. ამგვარად, გიორგი არის თითქმის ყველაფერი, გარდა იმისა, რაც მას დღემდე ეგონა იყო, რაც გარეშე მაყურებელს ჰგონია, რადაც ის აჩვენებს თავს სხვას და, როგორც გამოირკვა, თავისთავსაც კი.

გიორგის გვერდით მწერალი გვიჩვენებს მეორე სოციალ-დემოკრატს ილიკო სიმაშვილს. იგი „ცდილობს დააოკოს“ გიორგის მდაბალი აზრები ქალისა და სიყვარულის შესახებ გარეგნულად, მოჩვენებითი ჟესტითა და მანერით, ცარიელი. ფუყე სიტყვით, რომლის იქით იფარება ადამიანი მხეცი, მტკიცედ დარწმუნებული იმაში რომ „ცრუ არის ქალი და უპატიოსნო“.

— „გიორგი, შენ ამეტებ, ჩემის აზრით... ნერვების ბრალია ყველა ეს“, — ეუბნება ის გიორგის. მის გულში ჩამჯდარი მხეცი კი იმეორებს: „ცრუ არის ქალი და უპატიოსნო“.

გიორგი იგონებს შუშა ტრუნინს, რომლის ცოლმა ქმრის დაპატიმრების შემდეგ ჯაშუში შეიყვარა, და, როცა „გაბოროტებულმა მუშებმა მისი საყვარელი დასჭრეს, დააჭერინა ყოფილი ქმრის მეგობრები“ და საყვარელთან ერთად სადღაც გადაიკარგა.

„— გიორგი, რას ამბობ? როგორ დაგებადა ასეთი შედარება თავში?“ — ამტყუნებს ის გიორგის, გულში კი კვლავ დაბეჯითებით იმეორებს „ეს იმიტომ, რომ ცრუ არის ქალი და უპატიოსნო“.

„რატომ ქალის შესახებ გაგონდება, გიორგი ეს? რად არ წარმოიდგენ, რად არ მოიგონებ, თუ რას გამოსცდიდა, მაგალითად, აზეფის ცოლი, როცა გაიგო, რომ მისი ქმარი, მამა მისი შვილებისა. გამცემი იყო და მოღალატე? რატომ არ გაგონდება ჩვენი მეგობარი. რომელსაც შეუყვარდა სხვა ქალი, აუხსნა ეს პელოს, მიიღო თავისუფლება დ წავიდა, წავიდა ისე, რომ მისი დიდი ხელფასიდან ერთი კაპიკითაც არ ეხმარება შვილებს? რა პასუხი უნდა გავცეთ იმათ, რომ ასეთი კითხვით მოგვმართონ: თქვენ, პატიოსნებო და კარგო კაცებო, რატომ არავითარი ზომები არ მიიღეთ ჩვენს დასაცავად, როცა ჩვენმა მამამ ულუკმაპუროდ, უპატრონოდ, სამათხოვროდ დაგვტოვა ჩვენ და დედაჩვენიო? რა პასუხი შეგიძლიათ გავცეთ ჩვენ იმათ?“ — ეკითხება ილიკო არა მარტო გიორგის, არამედ

მის ორგანიზმში დაბუდებულ მხეცსაც. „მხეცი კი თავისას გაიძახის: „ცრუ არის ქალი და უპატიოსნო“.

ილიკოს უხარია ნინოს მოქმედება, რადგან, მისი აზრის კიდევ ერთ დადასტურებას ხედავს ამ „ღალატში“. აი ტახტზე წამოწოლილა იგი და გონების თვალით ათვალიერებს ამხანაგთა ოჯახებს.

„სწერს რაღაცას ახალგაზრდა მწერალი, იღება კარი და შემოდის მისი ცოლი, მისი მეუღლე.

— კიდევ ჩხიკნი შენ? არ გიყვარს ცოლი და შვილი? ვაი ჩემს უბედურ დღეს — რეიზა მოისპო ჩემი ბედი, კაცო, რა სარგებლობა მოაქვს, რომ იჩხიკნები შენს სიცოცხლეში! უნდა დეიკლაქო თავი, უნდა დეიავადმყოფო, აბა, რამ მოკლა ნინოშვილი... არ გეცოდება შენი ცოლ-შვილი?...“ „ხა, ხა, ხა! — იცინის ილიკოს გულში მხეცი — „ერთი შეხედე, ერთი შეხედე!“

„წევს გულაღმა ტახტზე ახალგაზრდა კაცი. შემოდის ქალი, ჰკოცნის ტუჩებში და ეუბნება: — თერთმეტ საათზე თავისუფალი ვარ, კრებაზე წავიდა, თვითონ ხომ არ მაქცევს ყურადღებას, აზრადაც არ მოუვა, რომ მე სისხლის და ხორცის პატრონი ქალი ვარ... ხანდახან ისეთ გულზე მოვალ, რომ ნეტავი შემომესწრებოდეს-მეთქი, ვიფიქრებ, კამეჩია ოჯახდაქცეული“.

„ხა, ხა, ხა! იცინის მხეცი, ერთი შეხედე, ერთი შეხედე!“

საყურადღებოა, რომ ილიკოს არ სურს დაინახოს სხვაგვარი ქალები, რადგან, მისი აზრით, ისინი არ არსებობენ.

ამგვარად, ჩვენს წინაშე არიან არა მოწინავე რევოლუციური თეორიით აღჭურვილი მებრძოლი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც იბრძვიან პროლეტარიატისა და, მაშასადამე, ყველა ჩაგრულთა და მათ შორის ჩაგრული ქალის გასათავისუფლებლად, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავი ადამის ძენი, რომელთაც პროგრესული მარქსისტული იდეები ზერელედ შეხებიათ, რომელთაც ეს იდეები მხოლოდ ენაზე აქვთ და თავგზა ებნევათ როგორც კი ცხოვრების სინამდვილე ოდნავ შეახებს ფრთას, სიტყვების ნაცვლად საქმეს მოსთხოვს.

ჰოლას აზრით, გიორგის სისუსტე საზოგადოა და არა პიროვნული, კერძოობითი. მისი თქმით, არც ერთი გრძნობა არ არის ისე უსამართლო და ეგოისტური, როგორც გრძნობა სიყვარულისა, ამის დასამტკიცებლად მან სიყვარულის გრძნობა სოციალ-დემოკრატ გიორგი ადამაშვილისა, დააჯახა მისსავე გონებას და ამ ფონზე ნათელჰყო, რომ არ არის იგი ასული მოწოდების სიმაღლეზე, რადგან არ ძალუძს მოაწყოს პირადი ურთიერთობა ქალთან მის მიერვე აღიარებულ და წმინდათაწმინდად მიჩნეული პრინციპების საწყისებზე. შეზღუდულმა, მახინჯმა ფეოდალურმა და მის წიაღში შობილმა კაპი-

ტალისტურმა ფორმაციამ დაამახინჯა ძე კაცისა და ახლაც, ამ სისტემათა უარყოფის ეპოქაშიც, არ იქმნება ადამიანის სრულყოფისათვის საჭირო პირობები, საჭირო ჰორიზონტი; სანამ არ მომხდარა მთელი საზოგადოების (და არა მარტო ცალკეული პიროვნებების) გარდაქმნა ახალ ბაზაზე, მანამ „რჩეულ გმირთა“ ინტელექტუალური ამაღლება, სრულყოფა მოჩვენებითი და უნიადაგოა, თეორიულად თანამედროვეობის უარმყოფელ, პროგრესულ იდეათა მაღიარებელ პირთათვისაც ქალი რჩება იმად, რაც იყო და არის სხვებისთვის, ყველასათვის: ეგოიზმით გაჟღენთილი ცხოველური ყოფის დატკბობის საშუალებად და დამოკიდებულება მშვენიერი სქესისადმიც ამ პრინციპით ისაზღვრება. ესაა მწარე სინამდვილე, რომლის მაღალმხატვრულ ფერებში გამოხატვა წილად ხვდა ჰ. ლომთათიძეს.

ასე დამაჯერებლად წარმოგვიდგინა მწერალმა მეუმცირესეთა პარტიის სისუსტე, გაორება, მოუმზადებლობა ყოფის თანამედროვე საკითხთა გადაჭრისათვის; შეგნების დაბალ საფეხურზე დგომა, მოჩვენებითი ამაღლება და შინაგანი სიყალბე, აღიარებულ რევოლუციურ მცნებათა ღალატი და გამცემლობა, მაგრამ ამ წარმოდგენით მან ნათელჰყო თავისი სისუსტეც, რამდენადაც მეუმცირესე გიორგის სამარცხვინო მარცხი განაზოგადა და თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის მარცხად დასახა ის.

1905 წლის რევოლუციის დროს და ამ რევოლუციის წინა პერიოდში წარმოებულ ბრძოლებში, როგორც ცნობილია, მცირე როლს როდი ასრულებდნენ ქალები, არც თუ იშვიათად ისინი იარაღით ხელში იდგნენ მამების, ძმების, ქმრების, შვილების გვერდით.

არ შეიძლებოდა ისინი არ შეემჩნია ჰოლა ლომთათიძეს. არ დაეთმო თავის შემოქმედებაში მათთვის სათანადო ადგილი. მწერალი ამტკიცებს, რომ გახრწნისა და დაცემის სურათები „ქართველი ქალის გულში უფრო ადვილად შეძლებს ფეხის მოკიდებას, რად გან, მისი აზრით, ქართველი ქალი უფროა დაცემული და დასახიჩრებული, ვიდრე ქართველი კაცი. ოჯახის განსაკუთრებულმა ერთგულებამ და სიყვარულმა დააშორა ქართველი ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების არენას, ამიტომ ქართველ საზოგადო მოღვაწეს „ყველაზე უფრო ხელს უშლის ქალი“, რამდენადაც „მშვენიერი სქესის კუპი“ ყველაზე მეტად ინელებს „მრავალი ამხანაგის მისწრაფებას, გულისთქმას, იდეას, სიყვარულს, სიხარულს, ახალგაზრდობას და რწმენას“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჰოლა ლომთათიძემ თანამედროვე ცხოვრების რთულ ქსოვილში დაინახა ჯანსაღი უჯრედები, რომელნიც წარმოადგენდნენ საღ ნიადაგს მომავალ ქართველ დედათა აღსა-

ზრდელად. აი რას გვეუბნება ის საერთოდ ქალთა წინააღმდეგ ამხედრებული ილიკო სიამაშვილის შესახებ: „და მოდღესასწაულე მხეცი ამ წუთში ტუქსავს ძეს კაცისას, თვალებზე აფარებს ხელებს და არ აძლევს საშუალებას დაინახოს ის, რაც არ მოსწონს. არ უჩვენებს ქალებს — ტანჯულთ და წამებულთ, შეურაცყოფილთ და დამონებულთ, მუშა ქალებს, პატიოსან ქალებს“ („ძე კაცისა“).

ჰოლა ლომთათიძე მათ ხედავდა. წვდებოდა ფხიზელი გონებით და საღი ფანტაზიით, ამიტომაა, რომ მომავალი ეპოქის ქართველ ქალთა სილუეტები, უალრესად მკრთალნი და უფერულნი მის დროს, სრულყოფილად დახატა პოეტმა, როგორც ღირსეული წევრნი იმ საზოგადოებრივი ფორმაციისა, რომელიც კაპიტალიზმის ნანგრევებზე უნდა აშენდეს.

რევოლუციონერი ქალები „შავთვალა“ ნატაშა და ლიზა მთელი არსებით არიან ჩაბმულნი მოძრაობაში, ისინი დღე და ღამე იღწვიან პროლეტარიატის გამარჯვებისათვის. ნატაშა „მთელი დღე კონფერენციის რეზოლუციებს ბეჭდავდა რემინგტონზე, შემდეგ... ბინა ჯაშუშებმა აიღეს თვალზე და ოთახში ვეღარ მიდის“. პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერებული ლიზა თავისუფლად მსჯელობს ტაქტიკურ საკითხებზე. „წაიკითხე, — მიმართავს ის ამხანაგს, — რას სწერს პლეხანოვი, ბებერი პლეხანოვი, კადეტებს შეუერთდითო — აი რას სწერს იგი; რას სწერს მარტოვი—რევოლუცია პროცესიაო, არც კი გრცხვენიათ — მარტინოვი, ჩერევანინი, აი თქვენი ტაქტიკოსები, აი თქვენი ბელადები...“

სჯერა თუ არა ჰოლა ლომთათიძეს ქალთა რევოლუციური გატაცება, სათანადოდ აფასებს თუ არა მათ? „არაფერი აქ არის იმაზე უფრო სასაცილო, როცა ქალი სერიოზულ ლაპარაკს დაიწყებს“, — დაასკვნის ის. მისი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქალს ჯერ კიდევ არ გააჩნია იმდენი მომზადება, რომ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს, რადგან ჯერ-კიდევ მთლიანად დამოკიდებულია მამაკაცზე, არ არსებობს, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი და მოაზროვნე; აქაც. რევოლუციურ ბრძოლაშიც, დარჩა იგი უალრესად განსაზღვრული, უალრესად შეზღუდული ჰორიზონტის მქონე არსებად. მამაკაცის დამატებად, ეგოისტური მიზნების მსახურ ქმნილებად.

პირადი სარგებლობის, ახლო მომავალში პირადი ბედნიერების მოპოვების თვალსაზრისით ეწევა დღევანდელი ქართველი ქალი რევოლუციურ საქმიანობას. საკმარისია შეხვდეს ოდნავი სიძნელე, დააკლდეს ნელსაცხებელთა სურნელება რამდენიმე თვით, რომ დაიყვიროს: «А ну их к черту, эту политику»! („ძე კაცისა“).

ცბიერებამ, მამაკაცის წინაშე მუდამ ჩუჩყიანი გულით დგომამ, სიცრუემ და მანკიერებამ იმდენად მოიკიდა ფეხი თანამედროვე ქალში, რომ მას არც კი შეუძლია იცნოს ჭეშმარიტი ქალის სახე, თუნდაც მის წინაშე ცხოველ ხატად წარმოდგენილი.

ნინოს, ტუსაღი გიორგის მეუღლეს, არ ეყო ძალა განეგრძო ყალბი ცხოვრება, ევლო ტყუილისა და მრუშობის გზით და მისი სისუსტე, ღალატი მისწერა ქმარს. აი რას ეუბნება მას გამოცდილი მაგდა.

„...დედაკაცმა უნდა იცოდეს, რომ საყვარელ ქმარს ყველაფერი არ ეთქმის, რომ არ ვარგა გულახდილობა... აბა, რას ემგვანება ეს ქვეყანა, რომ უცბად ადამიანი ალაპარაკდეს და შეიძლოს გულახდილად მხოლოდ სიმართლის ლაპარაკი... ნუთუ მართლა გგონია, რომ სიყვარულში შესაძლებელია გულახდილობა და სისწორე?... სიყვარულში, ისე როგორც ყველაფერში ამ ქვეყნად, სიცრუე უნდა მოიშველიო. ყოვლად შეუძლებელია უამისობა. წარმოუდგენელია ამ ქვეყნად ისეთი ქალი, რომელმაც, თუ ფაქტიურად არა, ფიქრში მაინც არ უღალატოს თავის საყვარელს... და ძვირად გაპატიებს მამაკაცი სიმართლეს“... ნინო რომ „პატიოსანი“ არ იყოს, მაგდას თქმით, საქმის გამობრუნება, გიორგის გადარწმუნება შეიძლება.

„—ესე იგი ისევ და ისევ სიცრუე, არა, მაგდა?—ეკითხება ნინო.

— არ ღირს, ღვერთმანი, შენთან ლაპარაკი! შენ, ნინო, მონა ხარ და მეტი არაფერი; შენი ფსიქოლოგია მონური ფსიქოლოგიაა“. („ძე კაცისა“).

თითქოს ყოველივე ზემოთქმულის რეზიუმედ გაისმის ჭოლა ლომთათიძის შემდეგი სიტყვები: „რა ვუყოთ, რომ თანამედროვე ქალი თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერა სდგას!... დავანებოთ ისინი უკეთეს დროს და გარემოებას და ვნახავთ, რომ ქალი ღირსი იქნება თაყვანისცემისა; გული, ქალის გული თავდებია, რომ ისინი მოლოდინს გაამართლებენ“... მწერალს ეს ქალთა განკაცება ესახება სრულიად კანონზომიერ ბუნებრივ მოვლენად და მწვავედ აკრიტიკებს იმათ, რომელთაც „ემანსიპაცია ქველმოქმედება ჰგონიათ.“ („შეყვარებული“).

ამგვარად, მთელი თავისი შემოქმედებით ჭოლა ცდილობს ეჭვმიუტანლად დაასაბუთოს, რომ ჭეშმარიტი სიყვარულისათვის, იმგვარი სიყვარულისთვის, როგორსაც დიადი ჰიმნი უმღერა რუსთაველმა, — თანამედროვე მამაკაცი და დედაკაცი არ არის მზად, რომ უთანასწორობისა და ერთის მიერ მეორის დამორჩილებაზე აგებული საზოგადოებრივი წყობის დროს დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობა, სიყვარულად წოდებული, სინამდვილეში წარმოადგენს შეურაცყოფას ჭეშმარიტი სიყვარულისას და ეს სახელი (სიყვა-

რული) ისევე გვიჩვენებს მის ნამდვილ სახეს, როგორც, ეთქვათ, სახე თავისუფლებისათვის მებრძოლისა გვიჩვენებდა ჯალათის სახეს.

წარმოადგინა რა მის თანამედროვე ქალთა მახინჯი სახეები, ჰოლამ გულწრფელად წამოიძახა: „ოჰ, ქალო, ქალო, მოვესწრები კი იმ ბედნიერ დღეს, რომ ეს ჩემი სიტყვები სიცრუე დარჩეს? მოვესწრები კი იმ სურათს, რომ დედაკაცი აქეზებდეს მამაკაცს გმირულ საქმეზე? ვეღირსები კი იმ დროს, რომ შენი ლამაზი ბაგენი გზას ულოცავდეს მებრძოლთ? მენახა მაინც ამის მახარობელი მერცხალი!“ („ტალღები“).

ფილტვებდახრულ მწერალს არ შეეძლო დაეცადა ჟამთა სვლისათვის, ამიტომ მისმა ცხოველმა სულმა განსჯვრიტა მომავალი და დაინახა იქ შუბლნათელი ქართველი ქალი, ამაყად მდგომი მეუღლის გვერდით, თავისუფალი მამაკაცის თავისუფალი მეგობარი, სულიერად და გონებრივად ამაღლებული. მის გონებაში ისახებოდა „მშვენიერი და მომხიბვლელი სურათი“ მომავლისა და „იმედმოცემული“ მისდევდა მას. მის „თავში შენდებოდა მშვენიერი შენობა, ისეთი ლამაზი, ისეთი მომხიბლავი, სადაც არის ყველაფერი: ბედნიერებაც და უბედურებაც, სიტკბოებაც და სიმწარეც, შენდებოდა შენობა, რომელიც არაფრით არ ჰგავდა „იმ დამპალ შენობას. რომლის ერთი მხრით მხოლოდ სიმწარეა, მეორე მხრით — სიტკბოება“, შენობა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა „ძველსა და დასანგრევად გამზადებული შენობისაგან“. („სიცრუე“). ამ შენობაში ხედავდა ის მომავალი ქართველი ქალის ნათელ სახეს. აი რას ამბობს ჰოლა ამ თემაზე წერის საკუთარი მანერის შესახებ:

„უბედური კაცი ვარ, ქეთო... შემიძლია სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულში ვტყუვდები, ხოლო როცა ვტყუვდები, თავს როდი ვიკლავ, დანაკარგი როდი მსპობს, წელში როდი მტეხს... იმიტომ, რომ ის, ვინც მე მიყვარს, თურმე ჩემივე შემოქმედების ნაყოფია. მე ვაპატიოსნებ... მე ვაკეთილშობილებ... ყველა ღირსებას მე ვანიჭებ უსულო არსებას.. მე, დონ კიხოტი, ვამაღლებ ალდონსას მშვენიერ დულცინეამდე...“

მშვენიერ დულცინეამდე ასამაღლებლად ქართველ ალდონსას თავისი ქვეყნის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნება სჭირდებოდა და სწორედ ამ შეგნებას აძლევდა მის ოცნებაში გამოსახულ მომავალ ქართველ ქალს ჰოლა ლომთათიძე—გამოდიოდა რა რუსთველის გენიალური ყალმით შექმნილ ქართველ ქალთა თვისებათაგან. მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისაკენ მიმავალი ბილიკიდან გადასვლა საშშობლოს

ბედნიერებისაკენ მიმავალ შარაზე — აი როგორ ესახება ჰოლა ლომთათიძეს ამაღლება ქართველი ქალისა.

რათა სიცოცხლის უკანასკნელი წამები არ გაემწარებინა მომაკვდავისათვის, საყვარელი მაროს ბინძური წერილი მეგობარმა ასე წაუკითხა ტუსაღ ლევანს:

„ჩემო ძვირფასო! განა შემიძლია მე შენი დაშორება? განა შემიძლია მე შენი დავიწყება? რა საჭირო იყო ასეთი შეურაცხყოფა? მე რად მინდა უშენოდ ქვეყნიერება... მე ისიც მიკვირს, თუ უშენოდ როგორ გავძელი ამდენხანს! ახლა კი ერთად ვიქნებით და იქ კი არ წამოგყვები? ჯოჯოხეთში ვიყო, ოღონდ შენ კი გხედავდე, შენთან კი ვიყო! რას ჰიქვია დაბრკოლება! ვინ სძლია სიყვარული წინეთ, რომ დღეს სძლიონ ის? გწამდეს, რომ ყოველნაირი ღმერთი კვდება, ყოველნაირი ძალა ეცემა, ყოველნაირი უფლება ირღვევა, არ კვდება მხოლოდ ღმერთი სიყვარულისა, არ ეცემა მხოლოდ ძალა სიყვარულისა, ხელშეუხებელია მხოლოდ უფლება სიყვარულისა... და ნუთუ შენ გგონია, რომ შენი მარო, შენი სიყვარულით შეკრული მარო გიღალატებს შენ? სირცხვილი შენი, თუ ეს გულში გაიტარე! მაგრამ შენ ხომ მაგას არ იფიქრებდი შენს მაოზე?“ („სიცრუე“).

ეს თავისებური სიბრძნეა სიცრუისა. ამ სიცრუეში მწერალმა კარგად სთქვა სიმართლე მომავალი, თავისუფალი ადამიანების მიერ აღზრდილი ქალისა. ასეთ, რწმენით გატაცებულ და მიჯნურისათვის თავდადებულ, ქალებს ხედავს ის მომავალში და ხატავს მათ მხატვრის ფუნჯით.

სიცრუისა და სიმრუშისაგან განბანილი, მებრძოლი და სულით მამაკაცის თანასწორი ქალი იყო ჰოლას ლამაზი იდეალი. რასაც მისი შემდეგი სიტყვებიც გვიდასტურებს:

„მე ვიცოდი იქ ერთი ალაგი, რომელიც მეტისმეტად მიყვარდა ერთდროს. ეს იყო მდინარის ერთ მაღალ ნაპირას, მუხის ძირში... იქ არ იყო, რომ მე ბავშვობისას ერთიან გამომცვალა დიკენტეინის წიგნაკის — „ლუკმა პურის ამბავის“ წაკითხვამ? იქ არ იყო —ლასალის აგიტაციონურმა ბროშურებმა რომ ფიცი დამადებინეს—ჩემი სიცოცხლე მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლაში დამეხარჯა? **და იქ არ იყო, რომ შპილჰაგენის სილვიამ, იბსენის ნორამ, გარიბალდის ცოლმა და „ბიძია თომას ჭოხის“ ავტორმა შემაყვარეს მე დედაკაცი?“** (ხაზი ჩვენია. დ. რ.)

სწორედ ამ ჭეშმარიტად მებრძოლ დედაკაცთა სახეებით არიან შთაგონებულნი რევოლუციონერი ქალები, ჰოლას მადლიანი ნიჭით დანახულნი.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

„შორეულ ჩრდილოეთში“, ფინლანდიაში გადაეყარა პოეტი რუს ქალიშვილს, გენერლის ერთადერთ ასულს — ელენას. „მითხარით, — მიმართავს ის ჩვენს მგოსანს. — ქართულ ენაზე ანბანი არსებობს? ქართულად ლექსი არსებობს... მე კი ქართველის სახელის გაგონებაზე მხოლოდ ხანჯალი მომაგონდება და მეტი არაფერი“...

პოეტს ღრმად შეურაცყოფს ეს გულისამრევი ტიტინი რუსი ქალიშვილისა, მაგრამ მას მაინც იტაცებს ამ ქალში სხვა რამ, სახელდობრ, პრინციპულობა, მიზანსწრაფვა, დასახული მიზნისაკენ სელა ურყევი ნაბიჯებით, ამიტომ სურს მის შესახებ გვესაუბროს „სიყვარულისა და ზღაპრის ენაზე“, ქართულ ენაზე. რომელიც რუსმა ქალიშვილმა არ იცოდა.

აი დაატუსაღეს რევოლუციონერი ელენა. ერთი დღის მოყვანილი არც კი იყო სატუსაღოში, რომ კარცერში უკრეს თავი: „დილის „პროვერკის“ დროს ადგომა არ ისურვა“.

მეციხოვნეებსა და ტუსაღს შორის გამართულ დიალოგში ისახება ამ ქალის საკმაოდ თვითრჯული, უდრეკი ხასიათი, რაც იტაცებს ჭოლას.

„ — თქვენ ვალდებული ხართ, ადგეთ!

— მე არ ვფიქრობ, რომ ვალდებული ვიყო.

— ჩვენ იძულებული გავხდებით, დაგსაჯოთ...

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ მომკალით შიშით...

თქვენ აქ სასტუმროში არ გეგონოთ თავი... აქ სატუსაღოა... თქვენ ფეხზე უნდა წამოდგეთ, არა თუ ზედამხედველის წინაშე. არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა ზედამხედველის ქუდს გამოვკზავნი მხოლოდ, საკანში...

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!...

— ხომ გაიგონეთ, რაც ვთქვი...

მე მგონია. თქვენ დაათავეთ...

— ეს რა ტონია... აქ სამეძაო სახლი როდია...

აქ სატუსაღოა.

— Ду-рак!

— წაიყვანეთ უკან... კარცერში...“

არავითარი რჩევა არ სჭირს ელენაზე. მას არ სურს რაიმე დათმოს. მას არ აშინებს კარცერი, პირიქით, კმაყოფილიცაა რომ ბნელში ზის მარტოდმარტო და „მხეცურ ფიზიონომიებს“ არ უყურებს. იგი ერთგვარის თავგამოდებით იბრძვის „დიდი და მცირე პროტების“ წინააღმდეგ და გამარჯვებასაც აღწევს — ციხის ადმინისტრაცია იძულებულია დაუთმოს.

ელენას კატორღა მიუსაჯეს. მოხუცი მამა მოვიდა და აკანკალე-

ბული ხმით სთხოვა ხელი მოაწეროს თხოვნის ქაღალდს, რათა შეუნცირდეს სასჯელი.

„ — მამა, მამილო. ამას რას ამბობ?...

— ელენა, ელენუშკა... შენ... ის... დამდევი ხათრი ბებერს!

— ტყუილა სწუხარ, მამა, გენაცვალე!... მე კიდევ მესმის, სიკვდილი რომ მომელოდეს, ან გრძელი ვადით კატორღა... რაღაც ხუთი წელი... ხუთ წელს ვიძინებ, მამილო. არც კი გადავბრუნდები.

— ელენა,... უღმერთო... შენ ხომ ჩემი ერთადერთი ხარ... რა ექნა შე ამ სიბერეში?

— შენც ხომ ერთადერთი მყავხარ.. მამა, ჩემო ძვირფასო! მაგრამ, აბა, ერთი მითხარი, შენ რომ თურქებს ტყვედ ჩავარდნოდი, სთხოვდი განა იმათ შებრალებას და პატიებას? რა თქმა უნდა, არ სთხოვდი. და მე განა შენი შვილი არა ვარ?... აბა, ერთი მაკოცე, მამილო!... ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მამა!“

ამ სოციალ-დემოკრატი ქალის რკინის ლოგიკის წინაშე ქედს იხრის ისეთი უსათუთესი გრძნობაც კი, როგორიცაა ერთადერთი ქალიშვილის სიყვარული მოხუცი მამისადმი. ბებერი გენერალი წავიდა „თავის ვეება ტვირთით მხრებზე“, ელენამ განაგრძო ბრძოლა, იგი ხშირად „ახერხებდა“ განრიდებოდა „მხეცურ ფიზიონომიებს“ და კარცერში მჯდარიყო. ელენას ქვეშაგებმა „უცნაური ავადმყოფობა“ იმ დროს განუკურნებული ვენერიული სენი შეჰყარა. „დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ და დემოკრატიული სიფილისი მოიღეს -— ხე! ხე! ხე! ეს კარგია!“ — ჩაიხითხითა ციხის უფროსმა.

ელენამ თავი მოიკლა. მწერალი ესაუბრება მკვდარ ელენას და შინაგანი რწმენით არ ძალუძს გაამართლოს იგი, ამიტომ მას ლაჩარს უწოდებს. მგონიან, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე საპყრობილეში გაატარა, არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ ისეთ პოუწესრიგებელი საზოგადოებრივი წყობილების დროს, როგორც კაპიტალისტურია, შეიძლება დადგეს წუთი, როცა სიცოცხლე შეურაცმყოფელი და, მაშასადამე, შეუძლებელიც აღმოჩნდეს. ასეთ დროს საკუთარი სხეულის ხრწნის ცქერას უსათუოდ ჯობს განერიდო მას. ყველას როდი ძალუძს ეს განრიდება, მცირედის ხვედრია იგი. საბოლოო უღლის მოშორება სიკვდილის გზით, როცა ყველა სხვა გზა გადაკრილია, გმირობაა და არა ლაჩრობა, მაგრამ სიცოცხლის მოტრფიალე ჰოლას ამ იშვიათი გამონაკლისის დაშვებაც არ სურს ბრძოლაში.

მომავალი სრულყოფილი საზოგადოების ჯანსაღი წევრის, ქართველი ქალის ბრწყინვალე სახე ჰოლა ლომთათიძემ მოგვცა ხვარაზეს სახით. („უსათაურო“). ხვარამზე იდეალია მწერლის. მისი შექ-

მწილი, მისივე მონათლული. ხვარამზე — ქართველი ქალის ხვალინდელი დღეა, იგი თავისებური ოთარაანთ ქვრივია, რეეოლუციონერი დემოკრატიის მიერ გააზრებული, ოთარაანთ ქვრივი XX საუკუნის დასაწყისისა. საღი ოცნებით გამოძერწილი ტიპიური სახე მომავალი ქართველი ქალისა ჭოლამ კახეთიდან აიღო, რადგან საყვარელი სამშობლოს ეს წარმტაცი კუთხე, მის მიერ უნახავი, სამართლიანად ესახებოდა ზღაპრულ მხარედ, „სადაც საუკეთესო ღვინო მოდის და მშვენიერი ქალები იბადებიან". საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების პლანზე ესახება მგოსანს ხვარამზე „მის საუბარზე მაგონდებოდა ალაზნის ველი, -- ამბობს იგი, — თვითონ ალაზანი და მიხაროდა, რომ ხვარამზე იყო კახელი და არა გურული. არა იმერელი, თუმცა არ მესმოდა, რატომ იყო ეს კარგი, ან რითი იყო კახეთი უმჯობესი გურია-იმერეთზე."

გულში ჩამწდომი მიმართვა ხვარამზესადმი ყოველგვარ საბურველს ხდის მწერლის შემოქმედების ერთი შეხედვით „ბნელ" მხარეს.

„ვინა ხარ შენ, ხვარამზე, ნაყოფი ჩემი ტუსაღობის ოცნებისა, რომელიც შეგიყვარე მე, და რომელსაც შეგაყვარე თავი, და რომელიც გაიძულე შემდეგ მიგეტოვებიე, რათა დამეცვა შენი თავმოყვარეობა და ადამიანური შეგნება!

ვინა ხარ შენ, ხვარამზე? იცი შენ განა, როგორ მენატრები? იცი შენ განა, რომ ამ ნატვრას ჩემსას ეფარავდი მე ამ ქვეყნად და არ ვამხელდი? მაგრამ ახლა მომაქეს და ამ ფერმკრთალ სტრიქონებში ვამჟღავნებ მას.

შეიძლება ასე არ უნდა მოვქცეულიყავი! არ ვიცი.

შეიძლება ეს საიდუმლო ჩემი ყვავილებისათვის უნდა გამენდო, ტკბილ სურნელებით გაჟღენთილ, სიყვარულით მთვრალ გაზაფხულის ყვავილებისათვის!... არ ვიცი!

ანდა მშფოთვარე ქარის ფრთებზე უნდა დამესვა იქნება ის და ქვეყნიერებისთვის გამეგზავნა!

— წაიღე ეს, ქარო ღრიალა, წაიღე შორს, შორს ჩემგან!
მძიმეა ეს ჩემს გულში და ტარება
მისი მე არ შემიძლია...
არაფერი არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ ერთი, მხოლოდ ის, რომ ეს ნატვრაა ჩემი — ჩემი სევდა... ეს ნატვრა ჩემი — სევდა ჩემი მოვიტანე აქ, ამ მკრთალ სტრიქონებში და აქ დავმარხე...

ის მაწევს სულზე, ის ქეჯნის და ღრღნის მას.

სევდა ჩემი.

მაგრამ ამ სევდაში, ჩემო მეგობარო, ხედავ თუ არა შენს თავს? — მხიარულს, მოცინარს, ბედნიერს?...

გელოდები შენ!...

„ჩაიარე, ჩამცილდი, ღრიალა ქარო, არაფერი არ გამაჩნია შენთვის! რას მიღიმით, ვარსკვლავებო, არ გეყოფათ განა თქვენი სიმდიდრე, რომ ჩემი გინდათ წაიღოთ? თქვენ რაღა გინდათ. გაზაფხულის ყვავილნო, სიყვარულის წყალობით არ ხართ ასე მშვენიერნი? — კიდევ რაღა გინდათ, აი თქვენ გაუმაძღრებო თქვენა!

არავის არ მივცემ ჩემს ნატვრას... იმიტომ, რომ ამ ნატვრაში შენ ზიხარ, ჩემო მეგობარო!..

ის ვინც გიყვარს, კიდევაც უნდა შექმნაო — ამბობს ერთი ბრძენი და ამბობს სრულ ჭეშმარიტებას. — აი რაშია საქმე, თუ ვინმეს გაგიკვირდეს ჩემი ამბავი.

იცნობ, მიაგნებ თუ არა მას აქ, ჩემო მეგობარო?“

არ არის ძნელი პოეტის მიერ შექმნილი ამ სრულყოფილი მომავალი ქართველ ქალის მიგნება. ნატვრა, რომელიც ჭოლას მხოლოდ კაცობრიობისათვის ემეტება, რომელსაც არავის, მათ შორის მის საყვარელ ბუნებასაც, არ ანებებს, რომლის შეცნობისაკენაც გვეძახის, ბორკილაყრილი ქართველი ქალია, ინტელექტუალურად ამაღლებული, ღირსი მომავალ თავისუფალ სამყაროში ცხოვრებისა.

სურამში გაიცნო ვანომ ლიზა, გაიცნო და, მის სანუკვარ ღირსებათა გამო, მალე შეიყვარა იგი. ჭოლა ლომთათიძის მიერ არა ერთგზის გამოთქმული მოსაზრება ერთნაირ გრძნობათა შეერთების თაობაზე, აქ პრაქტიკულად მეღავნდება: მსგავსი სულნი ერთის შეხედვით, უსიტყვოდ სცნობენ ერთმანეთს.

ვანომ უპირველეს ყოვლისა სახელი გამოუცვალა ლიზას, რათა ქართველ ქალს „სახელიც ნამდვილი ქართული“ ჰქონოდა და უწოდა ხვარამზე.

— „ხვარამზე! ხა, ხა, ხა! აი სახელი! — შესთავაზა მან. — ხვარამზე! რა მშვენიერი სახელია, წმინდა ქართული სახელი და ამასთანავე ძვირად შეხვდები ამ სახელს.

— რაკი ასეთია ეს სახელი, იყოს თქვენს სიტყვაზე — დღეიდან მე მქვია ხვარამზე... ეი, ამხანაგებო და მოქალაქენო, გესმით თუ არა, მე ლიზა კი არა, ხვარამზე მქვია, ხვარამ-ზე“, — იყო უყოყმანო პასუხი.

— თქვენ იცინით — მიმართა ვანომ ხვარამზეს, — და მე კი მწამს და მჯერა, რომ ოდესღაც ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით.

— სად, როდის?

— რა ვიცი, სად და როდის?... შეიძლება ასი ათასი წელი იყოს მას შემდეგ... აბა, რა ვიცი...“

არა, სამი წლის წინ როდი უნახავს და შეჰყვარებია ის ვანოს, მას მუდამ უყვარდა ეს ქალი, არსებობის პირველ დღიდანვე. „და თუ იყო ისეთი დრო, რომ მე წინათაც ვცხოვრობდი ოდესღაც, მაშინ, ალბათ, მე მიყვარდა ის და სხვა არავინ“.

როგორ გავიგოთ ეს „თავისებური“ ფილოსოფია?

კაცობრიობის ისტორია და, მაშასადამე, მისი ერთი ნაწილის საქართველოს ისტორიაც, თავისუფლებისა და ადამიანთა სრულყოფისათვის ბრძოლაა ოდითვე. ძე ადამისა — მამაკაცი მარად ცდილობდა ჰყოლოდა გვერდით „სულის ტოლი“, სავალი გზის შუქურა-ქალი, მუდამ ელოდა მას. ეს მარადიული ძიება ნამდვილი ქალისა პოეტური ფანტაზიის წყალობით უხსოვარი დროის ლაბირინტშია გადატანილი:

„... ეს იყო რამდენიმე ათასი წლის წინათ და შემემთხვა მე. და ეს ზღაპარი როდია, სინამდვილეა, ფაქტია, ვიყავი მე მეფე, ბრძენი მეფე სოლომონი, იერუსალიმში... და ხვარამზეს მაშინ სულამით ერქვა. „აღსდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, სიგრილესა მას ქვეშე კლდისასა, მახლობლად ზღუდესა მას, მაჩვენე მე პირი შენი..“ ეს მე ვეძახდი ასე ხვარამზეს მაშინ“.

დიახ, მარადიული ძიების ობიექტია ხვარამზე. ძლიერი და დაუსაბამო, უსაწყისო და უსასრულო სიყვარულის მუდმივი საგანი. მუდამ აკლდათ ის ადამიანებს, რომელნიც სულამითის კართან იდგნენ და ეძახდნენ: „განმიღე მე, დაო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სძალო ჩემო, რამეთუ თავი ჩემი აღივსო ცვარითა და თმანი ჩემი წვეთითა ღამისათა“. ეძახდნენ, რადგან იცოდნენ, რომ დაცემული დედაკაცის აღდგომა-განკაცება მამაკაცსაც გახდიდა სრულყოფილად. მეუფედ თავისა და თავის ქვეყნისა.

და იპოვა ვანომ მარადიული საძიებელი ქართველი ხალხისა — ამაღლებული ქალი.

„რასაკვირველია, ეს ქალი იყო ის, ვინც მე შემიყვარდა. ვისაც მე დავეძებდი, ვინც მუდამ მენატრებოდა, და ეხლა გადავეყარე მას, მადლობა ღმერთს და რა გასაკვირია, თუ პირველივე სიტყვიდან, პირველივე შეხვედრიდან, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები

ვყოფილიყავით, ისე კარგად ვიგრძენით თავი ერთმანეთთან... დიახ, ეს იყო სწორედ ის, ვისაც მე დავეძებდი, ვინც მუდამ მენატრებოდა, ვინც მუდამ მიყვარდა.“ ხვარამზე წარმომადგენელია დიდბუნოვან ქართველ ქალთა ხასიათისა, ნათელი მომავლისაკენ შეუპოვრად მსრბოლი პოეტური ფანტაზიით გამოსახული, სურნელოვანი ვარდივით დანერგილი რეალურ მშობლიურ ნიადაგზე, ქალი, რომელსაც მუდამ ეძებდნენ და რომელმაც მეოცე საუკუნის კარები გაბედულად უნდა შემოაღოს. ახლოს გავიცნოთ იგი.

საშუალო ტანის, ლამაზი, უბრალო და წყნარი ქალია ხვარამზე. მისი „შავი და ღრმა თვალები“, გეგონებათ შორს სადმე იცქირებიანო და ამავე დროს თითქოს არსად არ იცქირებიან, არამედ გაშტერებით შესცქერიან ერთ წერტილს“. მის „სანახევროდ ღია ბაგეში“ მოჩანს „თოვლისფერი, მშვენიერი კბილები“. „ჩაცმულია ჩვეულებრივ სუფთად, უბრალოდ და ლამაზად. და ისეთი ნაზი და მიმტაცია“.

როცა ლაპარაკობდა ხვარამზე, ადამიანი განიცდიდა იმ ძალას, იმ ნაზს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სითბოს ნაპერწკლებს, რომლებიც თამაშობდნენ იმის თვალებში, აშუქებდნენ იმის სხეულს, ოდნავ ხუჭუჭა თმას და მსმენელს იპყრობდნენ. „ლაპარაკობდა ის ნელა, დაფიქრებულად...“ შრომის სიყვარული, ცოდნისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა ახასიათებდა ხვარამზეს. მხიარულად და სიმღერით მიდიოდა წინ, „მღეროდა უმთავრესად ქახურ სიმღერებს, გასაოცარ ხმებს, რომელთაც ან დიდად უბედური, ან დიდად ბრძენი ხალხი შექმნის ხოლმე“. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხვარამზეს უყვარდა ძლიერ ქართული მწერლობა, მაგრამ ყველა პოეტებში ყველაზე მეტად მოსწონდა ილია და ვაჟა, რომელთა ლექსები თითქმის ზეპირად იცოდა ყველა... ხშირად იწყებდა ის დეკლამაციას — ლექსებს ის კითხულობდა კიდევ უფრო ლამაზად, ვიდრე მღეროდა“.

ამგვარად, იდეალური ქართველი ქალის სულიერი სიმშვენიერის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ჭოლა ლომთათიძემ სამშობლო ქვეყნის და მშობლიური ლიტერატურის სიყვარული დასახა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დადებითი თვისებების მქონე რუსი, სომეხი და ებრაელი ქალების სახეთა ჩვენებით ჭოლამ ნათელჰყო, რომ სიყვარულის გაგებაში მისი პოეტური ხედვა გაბედულად სცილდებოდა ეროვნულ-სარწმუნოებრივ საზღვრებს და თავისუფლად დანავარდობდა თვალუწვდენი სამყაროს ყოველ მხარეში. და ერში, მაგრამ სრულყოფილი იდეალის ჩვენებისას მან ხაზი გაუსვა ხვა-

რამზეს ქართველობას და მის სოციალურ მდგომარეობასაც კი. „ხვარამზეს ოხუნჯობაში, — ამბობს მწერალი, — სჩანდა, რომ ის უბრალო ხალხის შვილი იყო. კეთილი იყო ეს ოხუნჯობა მისი. მაგრამ ცოტათი მოუხეშავი და გაბედული, და ამისთვის კიდევ უფრო მიტაცებდა მე ის — ჩემს ძარღვებშიც ხომ გლეხის სისხლი სჩქეფდა“...

ასეთია გარეგნულად ხვარამზე, მარად არსებული და მარად უკვდავი სიყვარულის სიმბოლური სახე, ქალი, რომელიც შეუყვარდა ვანოს უსაზღვროდ და რომელმაც ასე უსაზღვროდ შეუყვარა ის. მათი გულები ერთურთთან მივიდნენ გამოუცნობი შინაგანი ძალით, ისე რომ სიყვარულის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა, მათ ღრმად იგრძნეს ერთმანეთის შეყვარება, არ უგრძვნიათ საჭიროება ამ გრძნობის სიტყვებით გამოხატვისა. მწერალი აღნიშნავს, რომ ხვარამზე გატაცებით უსმენდა რევოლუციონერ ვანოს, მან იცოდა რაღაც განსაკუთრებული ყურისგდება... „დუმდა და ისმენდა.“ მაგრამ ჰქონდა საკუთარი სამყარო — საკმაოდ რთული და ღრმა. იგი ხშირად შორდებოდა გონების თვალით მოსაუბრეს და „მიდიოდა საკუთარ ფიქრებში“.

ვანო უსაზღვროდ ბედნიერი იყო ხვარამზეს სიახლოვითა და სიყვარულით. ხშირად არც კი სჯეროდა, რომ ხვარამზე ეკუთვნოდა მას, იწვა მის გვერდით.

ერთხელ, ღამით, გადაუსვა რა სახეზე ხელი, ვანო დარწმუნდა, რომ ხვარამზე სტიროდა. მან იგრძნო „უსასტიკესი სასჯელი“ იმის გამო, რომ მისი საყვარელი არსება სტიროდა და სტიროდა ისე, რომ ცდილობდა ცრემლთაფრქვევის დაფარვას.

ქმარი უდიდეს ნეტარებას გრძნობს ცოლთან სიახლოვით, ცოლს კი, როგორც აღმოჩნდა, ვერ უამებს გრძნობებს ქმრის სიახლოვე.

— „ხვარამზე, ეს რა ამბავია? ა?“, — მიმართა ვანომ.

— „არაფერია, არაფერია, სიზმარი ვნახე რაღაც ცუდი“. ვანო ვერავითარ ნუგეშის სიტყვას ვერ პოულობს „ვერც მაშინ, ვერც მეორე დღეს“, ამ ცრემლების გამო მან მხოლოდ შიში იგრძნო.

„და აი, ამ წუთიდან, ამ ღამის შემდეგ მტკივა მე გული,—აღიარებს იგი, — მაშინ ვიგრძენი მე საშინელი ტკივილი გულში, ვიღაცამ მწვავედ, მწვავედ მიკბინა მაშინ და ეს იარა აღარ მთელდება. არ ჰქრება მას შემდეგ. და მტკივა მე გული მას შემდეგ, რაც ხელი გავუწოდე მას. რათა სახეზე გადამესვა და დავრწმუნდი კი, რომ ის ტიროდა.“ ეს ტკივილი, ეს სიმძიმე გულში, მისი თქმით, არის ალბათ ისეთი, როგორსაც განიცდის დედა, რომელსაც შვილი მოუკვდა...

რა ისახება ამ, ერთი შეხედვით, ფრიად უბრალო სურათში? რა ატირებდა ხვარამზეს, ან ამ ტირილმა ვანოს გულზე რად დასტოვა ასე ღრმა და წარუშლელი ნაჭდევი?

ხვარამზეს შინაგანი ბუნება და გონებრივი ჰორიზონტის საზღვარ-ფარგალი ისე შორს გაწეულა, რომ მას ვეღარ აკმაყოფილებს, ვერ აძლევს სულიერ საზრდოს თანამედროვე მამაკაცის, თანამედროვეთა შორის მის მიერ საქმროდ რჩეული ვანოს გონებრივი ავლადიდება და სილამაზე, რომელიც „მშვენიერსა სულში მდგომარებს“.

ხვარამზეს იმოდენა ნაბიჯი გადუდგამს წინ სრულყოფისა და გაადამიანების გზაზე, რომ ის მამაკაციც კი მოუტოვებია უკან, რომელიც მუდამ ნატრობდა, ეძახდა და ეძებდა მას. ეს სრულყოფა სისხლხორცეულია, ბუნებრივი, გამოუთქმელად დიდია და ღრმა. იგი სიტყვებით არ გამოიხატება, მას მხოლოდ საქმენი გამოაჩენენ. რადგან ფრიად მაღალია და მას ყველა ვერ მისწვდება.

ქმრისა და მეგობრის გვერდით მყოფი ხვარამზე მარტოდ დარჩა. აი რა ატირებს მას. ეს შეიგნო ვანომ, მაგრამ საკუთარი ნაკლის გამოსწორება, როგორც ქვემოთ ნათლად დავინახავთ, მის ხელთ არ არის. მაშასადამე, მომავალ სრულყოფილ ქართველ ქალს მამაკაცის სრულყოფაც სჭირდება. თანამედროვე მამაკაცი არ არის იმ სიმაღლეზე, რომ მისი მეუღლეობა შეძლოს. აი რატომ დააჩნდა მის გულს მარად დაუხურავი ჭრილობა.

ხვარამზე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში იქცა „ჩვენ ქალად“, მართალია, ჯერჯერობით -ს პევრს არაფერს წარმოადგენდა.. მაგრამ კითხულობდა, მეცადინეობდა, ეცნობოდა საქმესა და იმ კითხვებს, რომელთა ცოდნა აუცილებელი იყო... ის ემზადებოდა მძიმე საქმისათვის, მას მიზანი ჰქონდა და... არ ეშინოდა ამ მიზნის. იცოდა სად მიდიოდა და მიდიოდა ამ მიზნისაკენ სიცილ-თამაშით“.

ქართველი ქალი. ოჯახში ჩაკეტილი, აკვანზე მიჯაჭვული ქართველი ქალი გამოდის სამოქმედო ასპარეზზე, აქვს მიზანი და უნარი დასახული მიზნისაკენ სწრაფვისა, ემსახურება სამშობლოს არა მარტო თავისუფლებისათვის მებრძოლი შვილის გაზრდით, არამედ საკუთარი ნიჭით, ინტელექტით, სამშობლო ქვეყნის ხსნისათვის პრაქტიკული და თეორიული ბრძოლით. ხვარამზე სკოლაში მეცადინეობდა, ჰქონდა კიდევ გაკვეთილები, რაც მისი ცხოვრების სახსარს შეადგენდა, და „პარტიულ მუშაობასაც ეწეოდა“. რა თქმა უნდა, ეს არ არის ის იდეალი, რომელსაც ქართველ ქალს „თერგდალეულები“

უსახავდნენ, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, ახალი, უფრო გაბედული ნაბიჯი ქართველი ქალის გათავისუფლების გზაზე.

ხვარამზე იქცა ეანოს უდიდეს შთამაგონებელ ძალად, გამამხნევებელ, შრომისა და ბრძოლის სიმძიმის შემამსუბუქებელ არსებად. როცა ვანო ისე იღლებოდა, რომ ციხეში მყოფი ადამიანების მოსვენებით ყოფასაც კი შენატროდა, უეცრად წარმოუდგებოდა ხვარამზე... მისი შავი თვალები შავგვრემან სახეზე, მისი ღიმილი, სიარული, სიმღერა და გიჟმაჟი, სიცოცხლით სავსე კისკისი“ და ავიწყდებოდა, აუცილებელი ინტრიგები, დაუმსახურებელი საყვედურები და კვლავ იპყრობდა „სურვილი და წყურვილი სიცოცხლისა, ბრძოლის, თავდადების, გამარჯვების, სიკვდილის“.

სულ უფრო და უფრო შედიოდა ხვარამზე სოციალ-დემოკრატიულ საქმეებში, „გაიჩინა ქალთა წრეები და იძულებული გახდა კერძო გაკვეთილებისათვის თავი მიენებებინა.“ იგი მთელი დღე მეცადინეობდა, საფუძვლიანად ამუშავებდა პოლიტიკურ ეკონომიას, რომ მუშა ქალებისათვის გასაგებ ენაზე გადაცემა შესძლებოდა. მეცადინეობის, კამათის დროს ვანო ხედავდა, „რა მშვენიერი იყო ის, რანაირი ცეცხლით აენთებოდნენ ხოლმე იმისი თვალები იმ წუთებში, როცა იმისათვის პირველად ხდებოდა ხილული რომელიმე უცნობი ცნება, რომელიმე ახალი ჭეშმარიტება, რომელსაც ის ახალ საფეხურზე აჰყავდა, საიდანაც ახალი და უფრო მშვენიერი სივრცე იშლებოდა“.

რევოლუციის ქარიშხალი ახლოვდებოდა. ვანომ გაიარა ქართლი, იმერეთი და ჩავიდა გურიაში. სადაც ხვარამზესთან ერთად, „მრავალრიცხოვან მიტინგებზე, გაშლილი ცის ქვეშ, მებრძოლი პროლეტარიატის დროშის ფრიალის ცქერით სალამი მისცა თავისუფლებას“.

და როდესაც იგი დარბოდა კრებიდან კრებაზე, აუარებელ ხალხს ითანხმებდა, გაეშალათ ჭუჩაში დროშა და ეჩვენებინათ მტრისათვის ძალა, — „ხვარამზე აღტაცებული იყო. იმას ალაგი ვერ ეპოვა... დარბოდა, ფუსფუსებდა, თითქმის მთელ დღეებს უჭმელად აღამებდა, ის უკვე ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი იყო... მიანება თავი სკოლასა და ბავშვებს — სტამბაც მის ხელში იყო, ადრესებიც. წრეებიც“...

ხვარამზეს ზრდასთან ერთად იზრდება მწერლის აღტაცება ქართველი ქალისადმი; რომელიც ასე შეუპოვრად მიდის წინ — თავისუფლებისაკენ. ეს აღტაცება წამოაძახებინებს მას ჰამლეტის ცნობილ სიტყვებს: „შენ კარგად თხრი, თხუნელავ!“.

ერთ-ერთ ჰიტინგზე ხალხის აღტაცება გამოიწვია ვანომ და საღამოთი მიიღო უმაღლესი ჯილდო — მოწონება საყვარელი ქალისა საზოგადოების სამსახურისათვის, რამაც კვლავ წამოაძახებინა ზემოთმოყვანილი სიტყვები ჰამლეტისა.

პოეტი უდიდესი ექსტაზით აღწერს რევოლუციური ბრძოლის ერთ ეპიზოდს — ხელისუფლებისა და მუშების შეტაკებას თბილისში, რამაც ყველას დაანახვა ის სიმაღლე, რომელზედაც ხვარამზე ასულიყო.

„...შუა ქალაქისაკენ მუშათა ჯგუფებმა იწყეს დენა... უცებ ნელი რხევით აიმართა მაღლა დროშა და ისევ ნელა, აუჩქარებლად გასწორდა... სისხლი ადუღდა. გულისცემა კი თითქოს შეწყდა...

— შენს ქვეშ მომკვდარიყო! შენს ქვეშ!..

ახ, მე უკვე ვიცოდი, რა უნდა მეთქვა! ამხანაგებო, აბა, დამიგდეთ ყური, რა გითხრათ!...

მოისმა ცხენების ფეხთა თქრიალი, ყვირილი. და ამ ყვირილს შეეგება სიმღერა.

„უარვყოთ ძველი წესები“!...

დროშა ჯერ კიდევ ისე მშვიდად და აუჩქარებლად იდგა ჰაერში და დაგვცქეროდა თავს მარჭვის მოღიმარი სურათი და თითქოს გვეუბნებოდა:

— ე, მაგრე, ე, მაგრე, ბიჭებო, ამხანაგებო!..

და ნელა, ნელა გაემართა წინ, რხევით გადადგა დროშამ ნაბიჯი და მეგონა, რომ ეს თეთრწვერა მოხუცი წითელ ხავერდზე სალამს გვაძლევდა, გვილოცავდა თავის რაზმს, თავის ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე გამოსვლას.

ძირს! ძირს! ძი-ი-ირს!

— სალამი მომაელის შემქმნელთ! სალამი პროლეტარიატს!

—დაიშალენით, გაიფანტეთ, დაიშალენით, თორემ გესვრით! დაიშალენით!

ძირს! ძი-რს! ძი-ი-რს!

დროშა კი მიდიოდა წინ ნელი ნაბიჯით, დინჯად და მშვიდად დაგვცქეროდა თავს და ჰაღარა მოხუცი უღიმოდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლთ, ამხნევებდა ამხანაგებს.

მაგრამ აი ჯგუფი ცხენოსანთა შემოიჭრა ჯარში, ხმლის ყუისა და მათრახის ცემით გაიკაფა გზა და გაემართა პირდაპირ დროშისაკენ.

დროშა არ მისცეთ, დროშა დაიცავით!

ძირს! ძი-ი-ირს!

ჰაერში დროშის ირგვლივ აიმართნენ მაგარი ბზის ჯოხები, უხილავმა

ხელებმა მოიმარჯვეს ისინი და მოიქნიეს და რამდენიმე ცხენი უმხედროდ გავარდა ჯარიდან.

— ძირს! ძ-იირს!

კვლავ რევოლვერის ლულამ იელვა...

კიდევ და კიდევ!

— არ ისროლოთ! არ ისროლოთ, ამხანაგებო!

— ძირს! ძირს!

დროშა დაეშვა — ის შეინახეს. ხალხმა დაშლა მოინდომა, მაგ გზა შეუკრეს. თან ჰყვიროდნენ:

— დაიშალენით! დაიშალენით, თორემ ვისვრით! უკანასკნელად... დაიშალენით!

იელვა ხიშტებმა — ჯარისკაცებმა თოფები მოიმარჯვეს, ხალხი უკან დაჭანდა, მაგრამ ისევ იძულებული გახდა შეჩერებულიყო — უკან ყაზახები არ უშვებდნენ... და უცებ რაღაცამ იჭექა...

გიჟივით აღრიალდა ხალხი და ერთმანეთს მიაწყდა...

— ჩვენ გვხოცავენ!

—ეს დედაბრები ჩვენ, უიარაღოებს, გვესვრიან!? ეხლა უფრო გაბედულად წამოვიდნენ ჩვენზე, მათრახები უფრო ბეჯითად ამუშავდა, ცხენები თელავდნენ ადამიანებს“...

ვანომ მისდაუნებურად მოუჭირა ხელი ბრაუნინგს და გაისმა საპასუხო სროლა, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც ტყვიები გამოელია და რევოლვერი, როგორც იმჟამად გამოუსადაგარი ნივთი, გადააგდო, მან დაინახა „ხვარამზე, ფერდაკარგული დაკუმშული მუშტით მიიწევდა ვიღაც აფიცრისაკენ, რომელიც ისეთივე ფერდაკარგული და გაფითრებული იყო, როგორც ხვარამზე და რომელსაც რევოლვერი ჰქონდა მომარჯვებული ხელში.

ნელა იხევდა ის უკან გაფითრებული ქალის წინაშე და იმეორებდა:

„ მე თქვენ გთხოვთ! მე თქვენ გთხოვთ!“

ვანომ ოფიცრის თვალებში დაინახა შიში ხვარამზეს წინაშე, „პატივისცემა იმის გაბედულებისადმი, აღტაცება სილამაზისადმი, და ამასთან ერთად მტკიცე შეგნება, რომ თუ ეს ქალი მას თავს არ დაანებებს, ის მოჰკლავს მას.

ხვარამზე კი არ ანებებდა თავს.

— „ჯალათებო! ჯალათებო! ეს რა ჩაიდინეთ! მკვლელნო შეუიარაღებელთა, შერცხვენია თქვენ! მეც მომკალით, ჯალათებო, მომკალით მეც!“

ვანო ეცა ხელში ხვარამზეს და ჩამოაშორა ხიფათს.

„ხომ არ გაგიჟდი შენ, ხომ არ გაგიჟდი!“ ისინი სამშვიდობოს გავიდნენ... დაღამებამდე სდუმდა ხვარამზე, ხოლო საღამოს, როცა ყურს უგდებდნენ „თბილისის შფოთვას“, მან ასე მიმართა ვანოს:

— ხომ არ გგონია შენ, ვანო, რომ ჩვენ მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე საჭიროა? არ გგონია შენ ეს, ვანო!“

— მე არ მესმის, რას ამბობ, ხვარამზე!“ — პასუხობს ის, მაგრამ „გაურკვეველი შიში“ და „ცივი ჟრუანტელი უელის ტანში“.

— გადამეტებული სიყვარული, იმის მაგიერ რომ ცამდე აგვიყვანოს, არ ამდაბლებს, განა, კაცს?“ — კვლავ ჯიუტად კითხულობს ხვარამზე.

ვანო იძულებული გახდა, თბილისს განშორებოდა, მაგრამ, როცა დაბრუნდა, აშკარად დაინახა, რომ მასა და ხვარამზეს შორის „რაღაც გაწყდა“.

და როცა გამოეღვიძა ერთ ღამეს, კვლავ ატირებული ნახა იგი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ხვარამზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახლადშეყრილნი იყვნენ ისინი, ვანომ იხილა ღამით მტირალი. შემდეგ, როცა რევოლუციონერმა ქალმა დაინახა, რომ მისი ქმარი საქვეყნო საქმეს უანგაროდ და მგზნებარედ ემსახურებოდა, მიანიჭა უმაღლესი ჯილდო — მოწონება. და ახლა, როდესაც ბრძოლის ველზე ყოფნის დროს ვანომ თავი ანება საზოგადოებრივ-საკაცობრიო იდეისთვის მებრძოლთა რაზმს და ხვარამზეს გადაეფარა, მხოლოდ ხვარამზეს დამცველ კაცამდე ჩამოქვეითდა, ეს უკანასკნელი კვლავ შეიპყრო მძიმე სევდამ, და ვანომ კვლავ იხილა იგი ღამით მტირალი.

ხვარამზე წავიდა, ვანო მიხვდა რაც მოხდა, მაგრამ ის ამაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდა, საკუთარ თავსაც კი არაფერს უმხელდა. მაინც რა მოხდა?

„საიდუმლოებას“ ნათელს ხდის ვრცელი წერილი, რომელიც კარგა ხნის შემდეგ ხვარამზემ ყოფილ მეუღლეს გამოუგზავნა. ეს წერილი, როგორც დოკუმენტი ქართველი ქალის ამაღლებისა, ჩვენ მთლიანად მოგვყავს:

„ძვირფასო ვანო! ყველა ეს დიდიხანია მინდოდა მეთქვა პირადად, მაგრამ ვერ შევძელი, მაპატიე, ჩემო ვანო! ბევრი ვებრძოლე თავს, მაგრამ ვერას გავხდი. მხოლოდ ერთი რამ მსურს იცოდე შენ, ძვირფასო ჩემო, რომ ამ წერილს არა თუ შენთვის მხოლოდ მოაქვს მწუხარება — მეც შენი ამხანაგი ვარ, ჩემო ვანო... მე ხომ ისევ მიყვარხარ და კვლავაც მეყვარები... მაგრამ ეს სიყვარული ჩემი შენდამი, ეს სიყვარული თხოულობს გამართლებას და გამართლება მისი მე ვერ შევძელი... მე ის მიწიერი მგონია და ჩემი ეშვი ვერ

შევარყიე, და რადგანაც ეს ეჰვი ვერ შევარყიე, ეს სიყვარულიც უნდა უარიყვეს — ესე იგი მე და შენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! ეს მე პირველად ვიგრძენი იმ დღეს, მოედანზე, როცა შენ ძალით გამომათრიე ხალხის ჯგუფიდან. მაშინვე ვიგრძენი მე ეს და საშინელი შიში განვიცადე. მაგრამ ხომ იცი, შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, რაც უნდა მომხდარიყო, დაე მოხდეს... ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! ახ, რად მოხდა ყოველივე ეს!..

შენ მომკიდე მკლავში ხელი, წამიყვანე... შეგეშინდა — შეიძლება მოჰკლანო ხვარამზე. იმიტომ, რომ მე შენი ცოლი, შენი ხვარამზე ვიყავი? რად შეგეშინდა, ვანო, შენ თვითონ ხომ საჯაროდ იდექ — შენ სიტყვას ამბობდი — შენ ხომ უთითებდი მტრებზე — მე კი მხოლოდ, ვიდექი, ვიდექი შენს გვერდით, ბედნიერი და ამაყი შენით!... შემდეგ შენ სროლა დაიწყე — ხომ ადვილი იყო შენ მოეკალი იმათ? მე საშინლად შემეშინდა ამის გამო, მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია, გარეთ გამეყვანე... (დაყოფა ყველგან ჩვენია. დ. რ.). მე ვსდუმდი. შემდეგ მე დამინახე საფრთხის წინაშე... და არ გამიშვი... რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, ჩემი სიკვდილი საჭირო იყო — მეთქი. შეიძლება ის, რასაც მე ჩავდიოდი, არც იყო საჭირო... მაგრამ ვანო... ჩემო ვანო, მარტო მე ხომ არ ჩავდიოდი ამას, რაც შენ არ დამანებე? რატომ მხოლოდ მე შემიშალე ხელი და არა ვინმე მუშათაგანს, რომელიც, ისე როგორც მე, იდგა სიკვდილის წინაშე?

თვითონ შენ რად ისროლე, ვანო, როცა ეს ასე იყო აკრძალული? და იქ, სადაც შენ მიდიოდი სიკვდილზე, სადაც სხვები დაიხოცნენ კიდეც, იქ რად არ შემეძლო, მოვმკვდარიყავი მე? რით განირჩევი შენ იმ აფიცრისგან, რომელმაც ვერ გადასწყვიტა, ესროლა ჩემთვის?

არ მომკლა მე იმან იმიტომ, რომ მოვეწონე. როგორც ქალი, ჩემი სილამაზე დაზოგა მან და არა ის იდეა, რომელსაც მე იმის წინააღმდეგ ვიცავდი... შენც მხოლოდ შენი ლამაზი ცოლი, შენი საყვარელი ქალი გინდოდა გადაგერჩინა, მხოლოდ შენი ცოლი... და რა გამომეტყველება გჭონდა მაშინ შენ — ვერასოდეს მე იმ გამომეტყველებას ვერ დავივიწყებ და იმის მოგონება, რომ ჩვენ კვლავ ერთად ვიცხოვროთ, ჩვენს მომავალ არსებობას მოსწამლავს... შენ ხომ აგრე იცი ხოლმე გმირთა ცხოვრების აღწერა — რად არ ანებებდი შენს ცოლს „გმირობა ჩაედინა? რა უფლების ძალით არ ანებებ, ნება მიბოძე გკითხო? განა საბუთია შენი სიყვარული? მე რომ შენი ცოლი ვარ? შენ რომ უჩემოდ ყოფნა არ შეგიძლია? ეს ხომ, ვანო, ეს ხომ ღალატია საქმის, რომელსაც ჩვენ ორივენი ვემსახურებით? და განა სიყვარულს ღალატისაკენ უნდა მივუყვდეთ, განა ის ტალა-

ხისაკენ უნდა გვწევდეს? ან და შეიძლება მე არ ვარ შენი ტოლი და სწორი? თუ ეს ასეა, სიყვარული ჩვენს შორის საიდან შეიძლება?

დიდი ხანია ვიკრებ ძალას, რომ ამ გზას დავდგომოდი, რომელსაც დავადექი. მე, სუსტი, გაუბედავი, ყოველსავე ტრადიციას მოკლებული ქართველი ქალი ვარ. მაგრამ ქართველმა ქალმაც ხომ უნდა სძლიოს დაბოლოს „ქართველი ქალი“, შედგეს მაგრად ფეხებზე, გაშალოს ფრთები და გაფრინდეს... უნდა გაფრინდეს... და თუ სიყვარული, უშლის ამას ხელს, ძირს სიყვარული? თუ რაიმე უშლის ხელს, ძირს უველა ეს? ეს გადაწყვეტილია და შენ უნდა შეხვდე ამას, ვანო, როგორც აუცილებლობას. და, თუ შეიძლება, ეცადე არ მინახულო ჯერ-ჯერობით მე, მე ამას ძლიერ, ძლიერ გთხოვ... ამისრულებ, თუ არა ამ თხოვნას?... — ხვარამზე.“

ხვარამზემ დაინახა, რომ მისი საყვარელი ადამიანი ვანო სიკვდილის წინ იდგა, „მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია“ გაეყვანა, გადაერჩინა „მისი საკუთრება“, მაშინ, როცა იღუპებოდნენ სხვები.

საერთო საქმის „დიდმა ტრიბუნმა“ და „სოციალიზმისათვის თავდადებულმა“ ვანომ კი ხვარამზეს, მისი სიყვარული ცოლის, საფრთხეში ჩავარდნისთანავე დაივიწყა საერთო საქმე და მხოლოდ თავისთავზე მზრუნველ კაცუნად იქცა. მაშასადამე ხვარამზე დარჩა თავისუფლებისათვის თავგაწირული მებრძოლისათვის შესაფერ კვარცხლბეკზე, ვანო კი დაჭანდა საკუთარი ტყავის „რაინდულად“ დამცველთა ჩვეულ წუმპეში. ჩვენს წინაშე წარმოდგა ქართველი ქალი, როგორც მონოლითური პიროვნება, რომლის სიტყვა და საქმე მკვრივად არის ერთმანეთზე გადაბმული, რომლის გრძნობისა და გონების ურთიერთმიმართებაში არავითარი დისჰარმონია, არავითარი ბზარი არ არსებობს.

ასე მიიყვანა ჭოლამ მისი გმირი ქალი, ხვარამზე, პროლეტარიატის საბრძოლო დროშასთან და აამაღლა ის საზოგადოებრივი იდეალების არსებითად შეცნობამდე. პოლიციისა და რევოლუციონერთა ამ შეჯახებამ დღის სინათლეზე გამოაფინა მეუმცირესე ვანოს დაბოშებული სული. მოვლენების მკაცრმა ანალიზმა ნათელჰყო, რომ ვანო, წინააღმდეგ მისივე გონებისა, საზოგადოებრივის და პირადის დაჯახებისას ვერაფოდეს ვერ დათმობდა მეორეს პირველის სასარგებლოდ.

აი როგორ ამაღლდა ქართველი ქალი და ამაღლდა ისე, რომ მამაკაციც უკან მოიტოვა. აი, როგორ „შეჰკრა მან კამარა, გაშალა ფრთა და გაფრინდა“, შესძლო სიყვარულიც კი უარეყო, როცა ეს უკანასკნელი წინსვლისა და განახლების ბორკილად იქცა.

პოეტმა დაასრულა ძერწვა სულით ძლიერი მომავალი ქართველი ქალისა, რომელიც რევოლუციის ქარცეცხლში უნდა გამოიჭედოს და მისი მძლავრი წინსვლით აღფრთოვანებულმა თავშეუკავებელი სიხარულით კვლავ შექსპირისებურად წამოიძახა:

„შენ კარგად თხრი, თხუნელავ!“

„გაუმარჯოს ხვარამზესა და ძირს ვანო ღუღუნიშვილი, ცნობილი აგიტატორი! თქვენ გესმით თუ არა, ამხანაგებო, **იმიტომ კი არ სტოვებს მას საკუთარი ცოლი, რომ სხვა ვინმე შეუყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მას, ვანო ღუღუნიშვილს, ზნეობრივად დაბლა** თვლის ცოლი, უღირსად და შეუფერებლად.

ვაშა. ხვარამზე! „გაუმარჯოს მძლავრებს. გზა, გზა იმათ!“.

ამ სტრიქონებში ისახება ჰოლა ლომთათიძის ოპტიმიზმიც, ღრმა რწმენა რევოლუციისა და ქართველი ქალისადმი.

ამ ოპტიმიზმის ნოყიერ საზრდოს ის ნათლად ხედავს მომავალში. უკან მიხედვა კი მასში მხოლოდ აუტანელ სევდას იწვევს.

„ფიქრი დავიწყე და ასე მეგონა — სასაფლაო დავათვალიერე, დავიღალე და მოვიქანცე.

ეს იმიტომ, რომ უკან დავიწყე ცქერა.

და დამძიმდა, დამძიმდა გული.

მომინდა შენი ნახვა—ისევ და ისევ“ — მიმართვას პოეტი ხვარამზეს. ხვარამზეს ნახვა კი შეიძლება მხოლოდ მომავალში, ამიტომ მწერალი გადაჭრით აცხადებს:

„...ჯანდაბას ყველაფერი — ასე ვამბობ მე! ყველა სანთლებს დავაქრობ ჩვენს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ დავიწყებ ცქერას.

წინ — იქ თავისუფლებაა, გაშლილი მინდვრები, ყვავილები იქა სჯობია!“

პოეტის აზრით, ვანო მხოლოდ მომავალში მიაღწევს განკაცებას, გახდება ღირსი ხვარამზესი, ამას ადასტურებს მისი შემდეგი თქმა: „მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნება მიბოძეთ ვაღიარო საქვეყნოდ, რომ მე ვერც ეხლა, ამ წუთში მივცემდი ნებას ხვარამზეს, თავი შესწიროს იქ, სადაც მე შევწირავ თავს“ („უსათაურო“).

ხვარამზეს დასაცავადაა თქმული ჰოლას სიტყვები:

„სცდება ბებერი შოპენჰაუერი, როდესაც უარყოფს ქალის მაღალ დანიშნულებას, როდესაც უარჰყოფს ქალში ამხანაგსო“. („სიყვარული“).

ჰოლას აზრით, ქალთა ემანსიპაცია რევოლუციური ეპოქის დიალექტიკურ განვითარებაშია. არავის მოწყალებასა და ქველმოქმედე-

ბას არ საჭიროებს ქალი. იგი თვით დაიკავებს კუთვნილ ადგილს მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში, დამოუკიდებლად, თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობისა და თვითშეცნობის გზით. ასეთი ქალის განსახიერებაა ზვარამზე.

მეორე ქართველი ქალი, — რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული მთელი გატაცებითა და ექსტაზით—არის თინა („პირველი მაისი").[118] შეიძლება ითქვას, რომ თინა იგივე ზვარამზეა, პროლეტარიატის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში მამაკაცებთან ერთად მებრძოლი და პროლეტარიატისათვის თავდადებული, ამიტომაც მის თანდათანობით ზრდასა და წინსვლაზე მწერალი არაფერს გვეუბნება. „პირველი მაისი" ფსიქოლოგიური განცდაა სატუსაღოში მჯდომი რევოლუციონერისა, რომელმაც თვითმპყრობელობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში დაჰკარგა უშიშარი მებრძოლნი და ახლა, ბორკილებში ჩაჭედილი, აღადგენს განვლილი ბრძოლების ლამაზ სტრიქონებს.

ეს სტრიქონები — გმირული ჰეიროიკით და ბრძოლის დაუცხრომელი ჟინით აღსავსენი — კინოლენტის სისწრაფით სცვლიან ერთმანეთს და თითქოს მკითხველებსაც მოუწოდებენ შეუპოვარი ბრძოლისაკენ. აქ ყოველი აზრის ორგანული ნაწილი არის თინა, რევოლუციონერი ქართველი ქალი.

აი, თინა თავის გეგმას აცნობს მის რჩეულ რაინდს ბიქტორ აგიაშვილს. მას ახალი წრე შეუდგენია და ახლებურად სურს გაშალოს მუშაობა.

„ეეჰ, ერთი შენც, — წამოიძახებს ბიქტორი, — ძირს ჭკუიანური ლაპარაკი! ნუთუ ამდენხანს ვერ დაგარწმუნე, რომ ეს ქალის საქმე არ არის?

ვინ ქალი, ძმაო, და ვინ პრინციპი!

დაჯდეს დივანზე, ჰამოს ჭიშმიში."

მრავალი ქალის დამახასიათებელი ეს სიტყვები აღარ შეესაბამება თინას რევოლუციურ ბუნებას, ამიტომაც მწერალი აგდებით იხსენიებს ასეთ აზრთა ავტორებს, მწვავე მათრახებით უმასპინძლდება მათ:

„იცი შენ ვინ ამბობს ამას?... ამას სწერს ქართველი ერის სვიფტი, შჩედრინი და ყოველივე სიკეთე, დიდებული სატირიკოსი მაყაშვილი", — ირონიულად შენიშნავს ის.

რევოლუციონერთა ერთ-ერთ კრებაზე მწვავე კამათია — შეიარაღებული დემონსტრაცია თუ საერთო გაფიცვა? ხმათა დიდი უმ-

[118] „პირველი მაისი" დაიწერა ბათუმის ციხეში 1910 წელს. პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ხომალდში" 1922 წელს.

რავლესობით გადაწყდა შეირაღებული დემონსტრაციის მოწყობა. „თინა დაესწრო კომიტეტის კრებას, სადაც პარტიის წევრების ხმას თვლიდნენ, და იქედან დაბრუნებისას აღტაცებით მიმართა ბიქტორს:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჰიკჰიკითა შემომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამესახა.“

ბიქტორს სურს შეიარაღებული დემონსტრაციის დროს მოსალოდნელი სიკვდილის მოგონებით შეუკვეცოს ფრთა თინას სიხარულს, მაგრამ ეს ახლა შეუძლებელია: მიზნისაკენ მიმწრაფების უზომო სიტკბოება ერევა ამ ქვეყნის დატოვების სასტიკ შხამს. სასაფლაოს პეიზაჟის ფონზეც კი:

„გაიხედე აი, აქით, ხედავ?...
— ეს ქალაქის სასაფლაოა, თინა!
— მერმე და სად არის იქ სიკვდილი?

შეხედე, როგორ ჰყვავის იქ ყველაფერი? სად არის იქ სიკვდილი? შეხედე ამ ჭუჩას, რამდენი ხალხი დადის — სად არის სიკვდილი?...

როგორც არ არსებობს ჭინკა, ქაჯი. ტყისკაცი, არც სიკვდილი არსებობს... სიკვდილი სიცრუეა... სიცრუეა, როცა ამბობენ — აი ესა და ეს კაცი მოკვდაო...“ თინას თვალწინ დგას სიკვდილი, მაგრამ მას არ სურს დაინახოს ის, რადგან ბრძოლა და გამარჯვება სწყურია, მას არ ძალუძს ახსნას ეს მისი სადღესასწაულო განწყობილება. ამიტომაც ჩივის, რომ ადამიანი ვერც ერთ ნათელ აზრს ვერ გამოთქვამს სიტყვით?.

მართალია, თვით ჭოლაც გადაკვრით გვესაუბრება წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენციისათვის დამახასიათებელ წუწუნზე სიკვდილის წინაშე და ბოდიშსაც კი იხდის „მაგარი ნერვების მქონე“ მუშის წინაშე, მაგრამ, ჩვენის აზრით. თინას ბუნდოვან ხილვაში სამყაროს დაუსაბამობისა და მარადიულობის გრძნობა უფრო ჩანს, ვიდრე შიშისა.

ამ გრძნობას ბიქტორ აგიაშვილის სიზმრით კიდევ უფრო აკონკრეტებს მწერალი:

„...და მგონია მძინავს მე და ვხედავ სიზმარს.

ასი ათასი წელი გასულა მას შემდეგ. რაც ჩვენ მოვკვდით და აი ჩვენი ძვლები მოიტანეს ერთი გეოლოგის კაბინეტში... და მათ იცნეს ერთმანეთი.

— თინა, შენ ხარ?

— ხასან, შენ ხარ? ხომ გახსოვარ? ხომ გიყვარვარ?

— სად იყავი, შენ უღმერთო ამდენხანს? მე ისე მიყვარხარ, რომ შენს შემდეგ არ მახსოვს, ვიყავი თუ არა ცოცხალი.

— არც მე მახსოვს, ჩემო სულისდგმავ, ვიყავი თუ არა შენს შემდეგ ცოცხალი!"

ერთის შეხედვით ეს უცნაური გადახედვა დაუსაბამო და უსასრულო სამყაროში იმდენად ლამაზია, ღრმა და თითქმის ბუნებრივი, რომ რეალურობის ილუზიასაც კი ჰბადებს.

თინა ქუჩაშია, მებრძოლი პროლეტარიატის დარაზმულ მუშათა შორის. მას უხარია ისე, როგორც საქორწილოდ მორთულ პატარძალს ქორწინების დღე. „მას უხარია, რომ შესძახებს დღეს მის მტარვალებს — დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთ!" მას უხარია, რომ „ქართველი ქალია და დაძლია ბოლოს-დაბოლოს ქართველი ქალი, მოშორდა აკვანს, გამოვიდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე". ეს სიხარული ისევე უსაზღვროა და ძლიერი, როგორც რწმენა გამარჯვებისა, როგორც სურვილი შემოქმედებისა.

დადგა პირველი მაისიც. თინა ბიქტორთან ერთად გამოვიდა დემონსტრაციაზე.

„ნელა, მაგრამ ლამაზად, ახოვნად გაიმართა წელში წითელი დროშა, ახოვნად გაიმართა წელში, თითქოს თვალი გადააგლო დამცველებს. მერმე კი ცოტათი დახარა თავი წინ და გაცურდა..."

ამ დროშასთან იდგა თინა. იგი „აღარ უცდის" ბიქტორს და „მიდის წინ, წინ!" გაბრწყინვალებული თვალებით ეპალმება ძარღვმაგარ მუშებს და მიდის... დემონსტრანტებს წინ აღუდგა კბილებამდე შეიარაღებული ცხენოსანი კაზაკობა... ბრძოლა დაიწყო...

ამ ბრძოლაში დაეცა მრავალი მუშა, მათ შორის თინაც.

„მე ახლა მესმის, ახლა მივხვდი, რასაც მეუბნებოდი, — მიმართავს ბიქტორი თინას, — არ არის, თინა, სიკვდილი, არ არის სიკვდილი. ჩემო ამედო, სიცრუეა სიკვდილი, ჩემო თინა! სიცოცხლეა მხოლოდ, ამხანაგებო, და ასწიეთ დროშა, ეი, დროშა ასწიეთ-მეთქი... არ დაეცე, არ დაეცე, ბიჭო — სირცხვილია!... აი მე მიჭირავს ხელში წითელი დროშა პროლეტარიატისა — იმის ქვეშ სიკვდილი ჩემი!"

პროლეტარიატის საბრძოლო დროშის ქვეშ შეურცხვენელი სიკვდილი უკვდავებას ანიჭებს თავისუფლებისათვის მებრძოლთ. აი რატომ „არ არის სიკვდილი" და არ მომკვდარა თინაც, რომლის აჩრდილსაც იმქვეყნიდან იწვევს პოეტი:

„ეი, თქვენ, მოკლულო ამხანაგებო, გამომეძახეთ, რამდენი ხართ თქვენ!"

და არასოდეს არ მოკვდებიან ისინი, ვინც საკუთარი სიცოცხლის

ფასად დაუახლოვეს კაცობრიობა აღთქმულ მიზანს — თავისუფლებასა და სრულყოფას.

სანამ არ მომკვდარა დიადი რწმენა და სიყვარული მომავლისადმი, ზიზღი „უსაბუთოდ მოწყობილი" საზოგადოებრივი წყობისადმი, სურვილი და ძიზანი გამარჯვებისა, მანამ არ შეიძლება უწოდო მათ ღამარცხებული.

და საძმო საფლავებშიც გამარჯვებულთა ნეშტი ჰყრია. ამ საფლავების სიყვარული უტყუარი საბუთია გამარჯვებისა. ამ გამარჯვებისათვის ბრძოლის მენახევრე არის ქალი -- ჰეშმარიტი სიყვარულით გამჩირაღდნებელი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის საყვალი ეზისა.

ბუნება ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში

ჰოლა ლომთათიძის სამწერლო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა იმ დროს, როდესაც კრიტიკული რეალიზმის მეთოდს ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, მაგრამ რომანტიზმიც განაგრძობდა არსებობას, როგორც ფართოდ აღიარებული ლიტერატურული მეთოდი. ქართული პატრიოტიზმის აღზრდის საქმეში დიდი როლის შემსრულებელი და თავის წიაღშივე რეალისტური მიმდინარეობის წარმომშობი.

რევოლუციურ-დემოკრატიულ ნაკადს, დაფუძნებულს იმ მაღალ მოქალაქეობრივ ტრადიციებზე, რაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მედროშეებმა დაამკვიდრეს, არ შეეძლო ხარბად არ დასწაფებოდა როგორც რეალისტური, ისე რომანტიკული სკოლების მდიდარ ტრადიციებს, არ დაენახა, რომ „თვით გრიგოლ ორბელიანსაც „მუშა ბოქულაძე" დაუწერია" (ჰოლა).

აქედან, სრულიად ნორმალურად გვესახება ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ბუნების ადგილის გარკვევისას ზოგად ხაზებში გავიხსენოთ რომანტიკოს და რეალისტ ქართველ მწერალთა ბუნებისადმი დამოკიდებულება.

მკვლევარნი სამართლიანად ხედავენ ბუნების დიად ხილვას გრ. ორბელიანს შემოქმედებაში. გრ. ორბელიანის გაგებით, ბუნების მოვხიბვლელი სურათები ადამიანის კეთილ გრძნობათა აღზრდის საქმეს ემსახურებიან, არბილებენ და აფაქიზებენ ადამიანის მკაცრ ხასიათს, ჰკლავენ მასში ჩაგვრისაკენ, სისხლის მსმელობისაკენ მისწრაფებას და, თუ დასახულ მიზანს ვერ აღწევენ, ამაში თვითონ ადამიანია დამნაშავე.

ასახავს რა მომაჯადოებელი დილის სურათს ომის წინ, პოეტი ხაზს უსვამს ადამიანის მანკიერებას ბუნებასთან შედარებით და გაოცებული წამოიძახებს:

„ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს სისხლი კაცისა?“ („სადღეგრძელო“). საქართველოს დიადი ბუნება, გრ. ორბელიანის თქმით, აღაგზნებს „ყოველ სულთა საცხოვრებლად, სასიამოდ, საშვებელად“. („გაზაფხული“). იგი მიუთითებდა ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ შეუსაბამობაზე და შესაძლებლად თვლიდა ტანჯული სულის დავანებას ბუნების წიაღში. „საწუთროების“ ამაოებათა დავიწყების ძალას ხედავდა ბუნებაში მთაწმინდის ბილიკად მიმომავალი ნ. ბარათაშვილი. შავ ყორანთან შერკინებულ პოეტს უყვარს „ყაბახის არე-მარე, თვალად საამო, — მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო“. („ღამე ყაბახზედ“). არსებული საზოგადოებრივი ყოფით აფორიაქებული პოეტი მიეშურებოდა მტკვრისაკენ, რათა იქ ეპოვნა „მყუდრო ადგილი განსასვენებლად“. აწმყოს უარმყოფელი და ნათელი მომავლისაკენ ფეხმალი მერნით მსრბოლი გენიოსი გრძნობდა, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსრულთ შორის“: მართალია, ბუნებასაც არ ძალუძს საბოლოო, ამომწურავი პასუხი გასცეს „არჩეულ სულს“, მაგრამ მასთან მეტი საერთოს მოძებნა შეიძლება ვიდრე ადამიანებთან.

რეალისტებმა უარჰყვეს რომანტიკული ლტოლვა ბუნებისაკენ და პეიზაჟის აღწერა თავიანთ მიზანს, ხალხის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას დაუქვემდებარეს. მათ ბუნებაც მეცნიერული რკვევის საგნად აქციეს. მათთვის ბუნებამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, იქცა იმ ფონად, რომელზედაც ადამიანი გონიერი საზოგადოებრივი წყობილების დასამყარებლად მოქმედებს. გვიხატავს რა კავკასიის ბუმბერაზი ბუნების უბადლო სურათს, ილია ჭავჭავაძე უმალვე სამშობლოსა და ადამიანს აქცევს მის ცენტრში, გვაგრძნობინებს, რომ ბუნების მშვენებას თავისთავად მისთვის ფასი არ აქვს.

„ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალებს,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სად მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს,
იქ ძალუძს კაცსაც ბედნიერება“.

დიახ, პატრონი ამ ბუნებისა აღელვებს ილიას და არა ბუნება თავისთავად. ამ ბუნების პატრონ ხალხს შეუძლია ბედნიერი იყოს და უბედური კია, რადგან „ცის ნიჭი“ — თავისუფლება — წართმეული აქვს. ეს „ნიჭი“ უნდა მოიპოვოს მან და „განკაცდეს“. რამდენადაც

ჩვენი ქვეყნის ბუნება ხელს უწყობს ამ „განკაცებისაკენ“ ძალთა წარმართვას, იმდენად სანუკვარია იგი პოეტისათვის.

წინასწარ დასახული, გარკვეული მიზნით აღწერა ბუნებისა სისხლხორცეული ჩვეულია აკაკისათვისაც.

სამშობლოსათვის თავგანწირულ ქართველთა გმირული ბრძოლის ასასახავად აკაკი ლირიკულ წიაღსვლას მიმართავს „თორნიკე ერისთავში“ („ვითა ეთერი მზეთუნახავი...“), ბაში-აჩუკის ღრმა პატრიოტიზმის დასახასიათებლად ქმნის არაგვის ხეობის თვალწარმტაცი ბუნების დაუვიწყარ სურათს და ა. შ.

ამგვარად, რეალისტები ადამიანთა მოწესრიგებული ყოფისათვის ბრძოლის სამსახურში აყენებენ ბუნებას და გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ახერხებენ კიდეც გამოხატონ სრული ღრმენტობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ბუნების მოვლენებს შორის. ამ ზრით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი ვაჟა ფშაველას პოეტური ეპოსიდანაც. მინდიამ დაჰკარგა ქაჯების კერძის შეშის შეღებად შეძენილი სიბრძნე მას შემდეგ, რაც ბუნების მოღალატე გახდა, ვეღარ შესძლო ხალხის წინამძღოლობა და ქისტების ლაშქრის ცეცხლის მსხვერპლად გახადა სოფელი. თავისი შეცდომის შემცნობი „გამეცნიერებული გლეხი“ თავს იკლავს და ბუნებაც გულგრილად ხვდება საზოგადოებისათვის უსარგებლო სიცოცხლის დასასრულს.

...ნიავი მიდ-მოდიოდა...
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა...
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით. სტვენითა“. — გვეუბნება აქ ვაჟა. ასევე უდრტვინველად შეეგება მშრობლიური სოფლის ბუნება ბრძოლის ველიდან გაქცეული მხდალი წიწოლას თვითმკვლელობას.

„ცა თავისთავად მყუდროდ სდგას,
მკერდ სუფთა, ვარსკვლავიანი...
იორი ყურსაც არ უგდებს.
ნელად აქანებს ტალღებსა.
არ ედარდება, დაობლდნენ,
შამა ალარ ჰყავთ ბალღებსა“ („ბახტრიონი“).

მაგრამ ასევე როდი იქცევა ბუნება, როცა უსამართლო, უხეშად, ძლიერმა ძალამ დაამარცხა თავის საზოგადოებაზე ზნეობრივად და გონებრივად ამაღლებული ალუდა, დაუწვა „საძნო“, დაუნგრია ახლ-კარი და ცოლშვილიანად განდევნა თემიდან.

„შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა“,

ასე გვიჩვენებს ამ სურათის მხილველ ბუნებას ვაჟა-ფშაველა. იგი არაერთხელ მიუთითებს თავის ლექსებში დიადი ბუნების თავისთავადობაზე და ადამიანის დამოუკიდებლად არსებობაზე.

ჭოლა ლომთათიძე პირდაპირი მემკვიდრეა ყოველივე იმისა, რაც ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას ბუნების ასახვის საკითხში შეუქმნია. ამავე დროს იგი უაღრესად ორიგინალურია და თამამად შეუძლია თქვას, რომ თავისი ნაწის შესატყვისად შეასრულა ლეონარდო და ვინჩის შემდეგი დარიგება: „არასოდეს არავინ არ უნდა მიბაძოს სხვის მანერას, იმიტომ, რომ ის ჩაითვლება ხელოვნების მიმართ ბუნების შვილისშვილად და არა შვილად. თუკი ბუნებრივი საგნები ასეთი დიდი სიუხვით არსებობს, მაშინ უფრო მეტად სასურველია და კიდეც უნდა მივართო მათ, ვიდრე ოსტატებს, რომლებიც სწავლობენ მათგან“.[119]

ლირიკულ პროზაში, რომელიც ჭოლა ლომთათიძემ შექმნა მხატვრულად ასახახავად იმ რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც ქართველთა პროგრესული ძალები ეწეოდნენ მე-19 საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების გრძნობას.

ცნობილია დიდი სხვაობა ლიტერატურული სკოლების მწერალთა დამოკიდებულებისა ბუნებისადმი და ამ დამოკიდებულების გააზრებისა ლიტერატურათმცოდნეობაში. ბუნების მშვენება, ადამიანთა ცნობიერებისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა, ერთგვარად არ აღიქმება ადამიანთა გონებაში და ერთგვარად არ აისახება მწერალთა შემოქმედებაშიც.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება ზემოთქმულის მკაფიო დასტურს წარმოადგენს. იგი ერთის მხრივ ასახავს ობიექტურად არსებულ მშვენიერებას — ჩვენი ქვეყნის ბადალუპოვარ ბუნებას, ხოლო, მეორეს მხრივ, საზოგადოების სვადასხვა ფენათა სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას ბუნების მშვენიერებისადმი, რომელიც თავისი არსით, ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევა თვითეული საზოგადოებრივი ფენის ბედნიერი ყოფისათვის.

საქართველოს უაღრესად მდიდარი ბუნება ჭოლა ლომთათიძისთვის, ისე როგორც დიდი ილიასათვის, წარმოადგენს ფონს, ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის გაშლილი ბრძოლის ასპარეზს. ბუნების მოვლენათა სრული ჰარმონია და სიდიადე თვალსა-

[119] იხ. ლეონარდო და ვინჩი - გამ-ბა „Academia“, ტ. I, 1935 წ.

ჩინოდ უჩვენებს ადამიანებს ბედნიერებისაკენ მიმართულ გზას. ამ თვალთახედვის მქონე მწერალში პირდაპირ ანტიპათიურ განწყობილებას იწვევენ ჩლუნგი გრძნობის ადამიანები. „ბუნების ზეიმს“ უაღრესად მოკლე გზით მიეყავართ „ადამიანთა ზეიმისაკენ“. თავისუფლების მადლით მოსილი საზოგადოებრივი ორგანიზმის შექმნის აუცილებლობის შეგნებისაკენ.

მწერლის გაგებით, მშრომელი ფენებია მოქცეული სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ მახინჯი დისჰარმონიაა ჰარმონიულ ბუნებაში და იმდენად არსებობს, რამდენადაც უნაპირო და უსაზღვრო სამყაროში ფრიად განსაზღვრული ადგილი უჭირავთ ადამიანებს. სჭირდებათ თავისუფლებისაკენ, სრულყოფისაკენ წარმოადგენს უმოკლესი გზით სვლას ბუნებრიობისაკენ, ბუნებისაკენ, კლასუპოვართა მოკლებულია თავისთავად სრულყოფილი და ლამაზი ბუნების შეცნობის არამარტო უნარს, საშუალებასაც. რასაც ის თავისუფლების მადლით ეზიარება მხოლოდ.

მსგავსად გასული საუკუნის 80-იანი წლების რეალისტებისა, რომელნიც მოქმედი პირის გვარსა თუ ნაწარმოების სათაურში გმირთა სახეების ნაკვთებს ძერწავდნენ. „გულგრილაძე“ უწოდა მწერალმა ცხოვრების სუფრის თავში მჯდომ კმაყოფილს—მშვენიერი ბუნებას ხილვით აღტაცებულს და მშრომელთა ტანჯვის მიმართ დაბრმავებულს. „მე, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, — მოგვითხრობს გულგრილაძე, — მშვენიერნო მანდილოსანნო და აგრეთვე თქვენც. პატივცემულო საზოგადოებავ, მაინცდამაინც დიდ გრძნობებით არ დავუსაჩუქრებივარ მაღლიდან ღვთის, ასე რომ. მოძმეთა ჩემთა ტირილი ძვირად თუ მოაღწევს ჩემს ყურამდე, და თუ მოაღწია, დიდხანს არ გავაჩერებ“. („ცხოვრების გულიდან“).

გულგრილაძე მართლაც რომ ტიპიური სახეა იმ ქართველებისა, რომელნიც პატრიოტულ „ხარკს“ აზარფეშებით იხდიან, ქვეყნის თავისუფლების მოპოვების სურვილს ტკბილ სადღეგრძელოში ახშობენ და ბედნიერებას მაძღრისად ჭამაში ხედავენ. ისინი მსგავსად ლოთისა, რომელსაც შეუძლია „მდუღარე ცრემლით დაიტიროს ქათმის გახრული ბარკალი“, თვალთმონამულნი ახსენებენ ერეკლე მეორეს — „სულცხონებული ლუარსაბის“ მიერ ერთ დროს ტკბილად ხსენებულ მხედარს. ჰეშმარიტად, ცხოვრების გულიდანაა ეს სახე ამღებული.

გამაძღარ „პატრიოტს“ მწერალმა დაუპირისპირა უთუწყობელი საზოგადოებრივი „ცხოვრების მსხვერპლი“—ტვირთმძიმე. „ღმერთის მაძიებელი „მეღამურა ადამიანი“ ქუჩაში გამოსული შვილებისათვის საკვების მოსაპოვებლად. ამით ჭოლამ პირდაპირ და დაბე-

ჯითებით შიუთითა თანამედროვე მავსულ შვილურ საქმეზე ამ „სამშობლო ქვეყნის მოყვარეს“ — „ტანჯვის სამეფოში მცხოვრებს“ ბედნიერს, რომელსაც მშვენიერი ბუნების ხილვა კმაყოფილებას ჰგვრის, ხოლო მოუწყობელი საზოგადოებრივი ორგანიზმის წყლულებს არ აგონებს.. „გადაწმენდილი, ხშირი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, — განაგრძობს გულგრილაძე, — ხალისიანად ვადმოგვცქეროდა თავზე და რაღაც ერთნაირ გრძნობას გვიღვივებდა გულში — გამოურკვეველ გრძნობას ბედის კმაყოფილებისას, თუ რაღაც ამგვარს“.

მშვენიერი ბუნების ხილვით ტრფობა იმ დროს, როცა ბუნების გვირგვინი ადამიანი — არსებობის მინიმუმს მოკლებული შვილების დედა ქუჩაში დაძრწის სხეულის ფასად ლუკმის საშოვრად—აი რა იწვევს პოეტის ანტიპათიას გულგრილაძისადმი. ჭოლას იტაცებს მღვიძარე სული, რომელიც ღრმად შეიგრძნობს ბუნების მშვენიერებას და ასევე ღრმად გამოსთქვამს უკმაყოფილებას ადამიანთა ცხოვრების მოუწყობლობის გამო, მძიმე სევდას ბუნებასა და ადამიანების ცხოვრებას შორის არსებული მკვეთრი დისჰარმონიით გამოწვეულს.

მშვენიერი ბუნების ფონზე ჭოლა მუდამ დაეძებს არა ადამიანს საზოგადოდ, არამედ ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის უღელქვეშ მოქცეულ თანამემამულეს, ბუნების მშვენებით სწორუპოვარ საქართველოს მკვიდრს. მომაჯადოებელ პოეტურ ფერებში ასახული ბუნების მშვენიერება კი მაშინ იწვევს არა აღტაცებას, არამედ სევდას, რის სიხარულად შეცვლა მხოლოდ ჩაგრულთა გათავისუფლებას მოჰყვება.

ჭოლა ლომთათიძის პირველსავე მხატვრულ ნაწარმოებში („დავითი“) გამოჩნდა სამყაროსადმი დამოკიდებულება შემოქმედისა, რომელიც ცხოვრების სუფრის ბოლოზე მოქცეულთა მძიმე ბედნიერზე ფიქრის გამო „ვერ ამჩნევს“ ბუნების სილამაზეს და მახინჯადაც კი ეჩვენება ის, როცა მის წიაღში მცხოვრებ კაცს გაწამებულს ხედავს.

თავისთავად ლამაზი „მთვარე და ვარსკვლავები, ნამუსახდილ ქალივით ულაზათო და მშვენებადაკარგულია“ მისთვის, როცა „ყოველმხრივ უიმედობა, სიტიტვლე, მოსაწყენი სურათებია მხოლოდ“.

არსებობის ყოველგვარ სახსარს მოკლებული დავითი სპეციალური სასწავლებლის ბაღის დარაჯობაში აღებული გროშებით იბრუნებს სულს და, გაწამებული „დერეხტორ“-მასწავლებელთა შორის ინტრიგანული დამოკიდებულებით, საგუშაგოზე ტოვებს. პოეტი წუხს, რომ ციურ მნათობთ არც კი სურთ იგრძნონ ადამიანის

ტანჯვა, შემჩნევის ღირსადაც კი არ თვლიან საერთოდ ამ ქვეყნის მკვიდრთ. „ვინ იცის, — ამბობს ის, — შეიძლება ის მთვარე და ის უთვალავი ვარსკვლავები სრულიადაც არ ფიქრობენ ჩვენი პაწაწკინტელა პლანეტის ხათრისათვის თავის მშვენებას რაიმე ჩამოაკლონ“.

„შობა მაცხოვრისა შეადგენს ერთ უდიდებულეს მომენტს კაცობრიობის . ისტორიაში... გარეშე ქრისტიანობისა არ არის და არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტება და ბედნიერება, — ქადაგობს დირექტორი, როდესაც მას მოახსენებენ: „ბატონო, ბაღის მცველი გაყინული ვნახეთ..“

„— ჰო, და წაიღეთ, დადევით სადმე! შემდეგ დამარხვა უნდა! პასუხობს ის“.

„— სად წავიღოთ, არ ვიცით, ბატონო!

„— ჯანდაბას! ... დაიღრიალა დირექტორმა, -- აბა ახლა დარაჯის გულისთვის ხომ არ ჩამოვიხრჩობი“!

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი მახინჯი სურათების ჩვენება მშვენიერი ბუნების ფონზე დამახასიათებელია ჭოლას შემოქმედებისათვის.

მწერალი ეტრფის საქართველოს ბუნებას, რომელიც მისი თქმით, „ბუმბერაზი რამეა“, მაგრამ ისევე „გულთბილია“ ჩაგრულთა მიმართ, როგორც ზემოთ მოხსენებული „დერეხტორი“. ჩანს, ჭოლა არც ეძებს „ადამიანისადმი თანაგრძნობას“ ბუნების მოვლენებში, როგორც ამას ბევრი მისი წინამორბედი (განსაკუთრებით კი ალ. ყაზბეგი) ფიქრობდა. მას შეუძლებლად მიაჩნია მაშვრალთა „განსასვენი ალაგის“ მოპოვება ბუნების წიაღში, რაკი საზოგადოებაში არ არის ის. ამასთან, ბუნების სილამაზის ასახვისას, ბუნებასთან ჩაგრულთა ბედის შეპირისპირებისას ჭოლა უშუალოდ ამოდის დიდი ილიას შემოქმედებიდან.

საქართველოს მომჯადოები ბუნების ფონზე დაყრდნობით ხატავდა ილია მთავალი „შრომის სუფევას“ სურათს, ხედავდა ქართველი მშრომელის განკაცების ხვალინდელ დღეს. ჭოლამ თავისი ეპოქის შესაბამი რევოლუციური გაგება შეიტანა მასში, ორიგინალურად განსაზღვრა ამ განკაცების გზაზე სვლა, ნათელჰყო, რომ ლამაზსა და მდიდარ ქვეყანას „მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ“, რომ „წართმეული ნიშის“ დაბრუნება, მშობელი ქვეყნის ბუნების პატრონად გახდომა შეიძლება მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით, ეროვნულ-სოციალური თავისუფლების მოპოვებით. ადამიანის ბედისადმი ბუნების თანაგრძნობა კი ჭოლას ესახება, როგორც ზმანე-

ბა, როგორც ჩვენება. მისი სიტყვით, „ასეთია ადამიანის ბუნება: რომელსაც მას არაფერი აქვს სამხიარულო. ყველაფერი თავის სულიერი მდგომარეობისდაგვარად უჩანს, ეხატება". ბუნების მშვენება ვერ მოუტანს სულის სიმშვიდეს ჩაგრულთა ფენას.

რა ითქმის ჰოლას ერთ-ერთი გმირის კოლია დროზდოვის შესახებ? „ახლა უცბად რომ გამანთავისუფლონ ციხიდან, — ამბობს ის, — ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში, არც სოფელში, არც ერთ ნაცნობს არ ვინახულებ, არც დედა ჩემს... წავალ, წავალ უღრან ტყეში, წავალ შორს, მოვნახავ დაბურულ ალაგს, სადაც მხოლოდ ზეცა მოჩანს, გამოვარჩევ უზარმაზარ ხეს და იმის ძირში მოვღობავ ჭოხს და იქ დავბინავდები... ათასი წელი რომ გავძლო, ერთხელაც არ ამოვიღებ ხმას, ერთი სიტყვაც არ წამომცდება. ვიქნები მუნჯი, მხოლოდ ვარსკვლავებით მოეჭდილ ცას დავინახავ, ვარსკვლავებს გავუღიმებ... და დავუგდებ ყურს ტყის დუმილს, ღმერთმანი, მგონია სწორედ ასე მოვიქცევი".

ეს აზრი იმავე წეიძლება მივაკუთნოთ ჰოლა ლომთათიძეს. როგორც ლუარსაბის შეხედულება სწავლა-განათლებაზე—ილია ჭავჭავაძეს. ჯერ ერთი, დროზდოვი ეს „ხანდახან ჰგონია" მხოლოდ. მოთხრობის პოლოსაც შენიშნავს ჰოლა, გაექცევა თუ არა ადამიანებს. წავა თუ არა ტყეში, ამის შესახებ არაფერს მწერსო, და, მეორეც, კიდევ რომ ასე მოიქცეს დროზდოვი, ჩვენი ავტორის სოფლმხედველობას ის მაინც არ გამოხატავს. აშკარაა დროზდოვი ტიპიური განსახიერებაა რეაქციის პერიოდში მოწუწუნე ინტელიგენტებისა, რომელნიც ჩაჰმოშორდნენ რევოლუციურ მოძრაობას, სხვადასხვა ესთეტიკურ მიმდინარეობებში გაითქვიფნენ და მისი შეხედულებების ავტორისეულ ფილოსოფიად გასაღება შეცდომა იქნებოდა.

იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ ავტორი ამქვეყნიური ცხოვრებით გაწამებულ ადამიანებს ბუნების წიაღში გაბედნიერების ძიებისაკენ არ მოუწოდებს, ჰოლას რამდენიმე ნაწარმოებს მივმართავთ.

აი რას ამბობს მჩაგვრელებით გარშემორტყმული საერო გადასახადით და სასულიერო გამოსაღებებით ღვთის გმობამდე მისული გოგია:

— „მოდით, მოდით, აბა! გამყიდეთ, შემჭამეთ, თუ მაგის კანონი არის, ქენით, რაც გინდებიან..." ბუნება კი ამ დროს გვერდში ამოდგომია მძარცველებს, ისიც ძარცვავს და აპარტახებს გოგიას. „ქარი კი ჰქრის, — გვეუბნება ჰოლა — კვნესის ბუნება, თითქო თანაუგრძნობსო გოგიას კვნესას, მაგრამ ასეა ეს? არ ვიცი, მხოლოდ გოგიას ყურძენი კი სანახევროდ ჰყრია ძირს (ქარისაგან. დ. რ.), გოგიას ყანა სანახევროდ გათელილი და ჩაფლულია ტალახში, (ქარისაგან. დ. რ.)

ვითომ თანაუგრძნობს მას ვინმე?" ყველა სასტიკად ეპყრობა დაბეჩავებულს. „გოგიას მიერ შეურაცხყოფილი" მონაზონი მთავრობის წინაშე აბეზღებს მას, მამასახლისი ჯათრახით ცემს „დაშნაშაენ" გლეხს. ბუნებაც „სასტიკობს და სასტიკობს. ბლიერი ქარი ებრძვის გოგიას სახლს... და სევდა, გაუვალი შავი სევდა იპყრობს გოგიას, მის ცოლს, მის ოჯახს..."

ადამიანისა და ბუნების სისასტიკემ იმსხვერპლა გლეხი. მისი ბავშვების შიმშილის გრძნობა აუტანელი სიცივის გრძნობამ დაფარა. დედამ ჭერი ჩამოიღო და ცეცხლი დაანთო. „ბუნება კი სასტიკობდა. და სასტიკობდა, თითქო გული მოსდიოდა ბავშვების მხიარულებაზე. ცივი. ძველებამდი გამტანი ქარი კი საიდუმლოდ ეუბნებოდა: დამაცადეთ. ეს ცეცხლიც ჩაქრება, ეს ჭერებიც დაილევა, მე კი ისევ ისეთი ცივი და სასტიკი ვიქნები, როგორც დღეს ვარ და გუშინ ვიყავიო" (ცხოვრების გულიდან").

მწერალი აშკარად მიუთითებს, რომ ბუნების თანაგრძნობა კი არა. მონობისაგან განთავისუფლება იხსნის ჩაგრულებს. ალეგორიულად ამას გვანიშნებს ის, როცა გვეუბნება: „მოუსწრებს იმათ გაზაფხული, გათბებიან ობლები? არ ვიცი, მხოლოდ ჯერ კი ქრის და ქრის. ჯერ კიდევ სცივათ სამშობლო ქვეყნის ობლებს." („ცხოვრების გულიდან").

წამოყენებული დებულების კიდევ უფრო ნათელსაყოფად მოვიშველიებთ ჭოლას ერთ ლექსსაც გრაფიკულად პროზის სახით დაბეჭდილს:

„ივი ივს მოსდევს, სევდა-სევდას, ფიქრები-ფიქრებს, ვერ დავალწიე იმის კლანჭებს სნეული თავი. აგერ კი, ცაში, რა მაცდურად გადმოკიდულა მხიარული და მოციმციმე ნაზი ვარსკვლავი.

მითხარ, მიამბე შენ, ვარსკვლავო, მისი ამბავი, შენ ხომ დასცქერი მშვენიერსა ჩემსა იმედსა! გეცოდინება, თუ რასა იქმს, რა გადაუშრია მსი ბოროტ ხვედრსა! მიამბე-მეთქი, გეეედრები, მისი ამბავი!

ის კი იცინის და ციმციმებს ცისა ციაგში, მიწისა შვილის, როდი ესმის ხვეწნა-მუდარა, მას არ აწუხებს აქაური ჭირი, ვარამი და ჩირად უჩანს შეძახილი, ჩვენი მუქარა. ოჰ, ვიცი, ვიცი. ცის ვარსკვლავი და ცისა მთვარე, აბა, რას არგებს დედამიწის ზურგზე მდგომარეს!...

ისევ მარტო ვარ, მთა მაღალი, მთა მიუწვდომი, უთანაგრძნობოდ. გადმომცქერის მწუხრის თაზედა და არე-მარეს მიძინებულს.

სხვა სიზმარში მყოფს, დარდი არა აქვს, თუ რას ვჩივი მომავალზე-და.“[130] („ამონაკვნესი“).

აქ უაღრესად მკვეთრი დაპირისპირებაა მოცემული: ერთის მხრივ — „მხიარული და მოციმციმე ნაზი ვარსკვლავი“, მეორეს მხრივ — კაცთა უბედური ხვედრის კლანჭებით დაბასრული „სნეული თავი“; „ცისა ციაგში“ მცინარი ვარსკვლავი სრულიად უგულვებელმყოფელია „დედამიწის ზურგზე“ მდგომის ბედის, მომავალზე ფიქრით აღძრული მკვნესარე გულისა.

როგორც ვხედავთ, ჭოლა უაღრესად გასაგებად და სრულიად შეუფერავად გვეუბნება, რომ ბუნების მშვენებას არ შეუძლია მოახდინოს ცხოველმყოფელი კეთილი გავლენა ადამიანზე, რომელსაც ეროვნულ-სოციალური უკუღმართობა ტანჯავს. მაშ, როდის უჩანს ადამიანს „თავის სულიერი განწყობილებისდაგვარად“ ბუნება? როცა ეს უკანასკნელი ტირის, კვნესის, იღუშება და იკუპრება; იგი შესანიშნავად ეწყობა მსგავს განწყობილებათათვის მარადმზადმყოფ ჩაგრულის სულს. აქ ბუნება და ადამიანი ერთ არსებად ნივთდებიან, ერთმანეთს ერწყმიან და ერთმანეთის განმასხვავებელ ნიშნებს თითქმის სრულიად კარგავენ. თხოვნაზე „იმღერე, ძმაო, რამე, იმღერე, ოღონდ შოსაწყენი იყოს, სევდიანი,“ ტუსაღი მღერის: „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი...“ „მე კი — განაგრძობს პოეტი — სულგანაბული ყურს ვუგდებდი ამ ათასჯერ გაგონილ ხმებს, ვიჭერდი თვითეულ მის ჰანგს და ვსტკბებოდი იმიტომ, რომ ამ ყვავილის ისტორიაში ჩემი საკუთარი ისტორია იყო ჩაქსოვილი, ჩემი თავგადასავალი იყო აღწერილი...“ „ყვავილი ისევ იყვავილებდა...“ და მერე არა თუ? შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო პოეტო, რომ ეგეც გითქვამს. განა კი არ ვიყვავილებდი? მაგრამ ყველა ყვავილს ხომ თითო მატლი, თითო უშიზნოდ მომწყვეტი ჰყავს! და მეც გამოჩიჩნდა იგი, მეც დიდი ხანია ჩამიძვრა გულში და მღრღნის ნელნელა, დარწმუნებული, რომ ჰიზანს მიაღწევს.“ („მატლი“).

როცა წვიმა „ნაღვლიანად სისინებს“, „არემარე ბურუსს მოუცავს, ჭარი სევდის მომგვრელი ზუზუნით დაჰჭრის ტიალ მინდორში... დაჭრილი ადამიანის კვნესით გაეკვრება მინდორსა და ტირის, ტირის“, მაშინ მე მგონია, — გვეუბნება ჭოლა, — რომ სადღაც შორს, ჩემი გულის ერთ-ერთ კუნჭულში, მახლობელი, უხილავი,

---

[130] იხ. „საბჭოთა მწერლობა“, 1922 წ. № 12. არც 1925 წ. გამოცემულ ორტომეულსა და არც 1956 წ. გამოცემულ ერთტომეულში ეს ნაწრმოები შეტანილი არ არის.

მაგრამ მარად განუშორებული ადამიანი მიმჯდარა იქ და მწარედ, მწარედ ქვითინებს". აღწერს რა ზაფხულის ბუნების შეცვლას შემოდგომის ბუნებით, მხიარულ სანახაობათა ნაცვლად „უმიზნო ადამიანივით" მოწყენილი სურათების გაბატონებას, ნელი წვიმის „სისინს", ჭოლა დაასკვნის: „ტირის ბუნება, ტირის ჩუმად, წუნარად, მაგრამ გულწრფელი და დაღონებული ტირილით კი ტირის ის. და მეც მინდა ტირილი, მეც მინდა ცრემლები გადმოვღვარო, მეც მინდა ავქვითინდე ისე წუნარად, ისე ჩუმად, მაგრამ ისე გულწრფელად და დამაღონებლად კი მინდა ვტიროდე". („მატლი").

გაძარცული ბუნების ოხვრა-ვაება ადამიანში ანალოგიურ განწყობილებას ჰბადებს, რასაც გარკვევით ამბობს პოეტი:

„მიყვარს გატიტვლებულ-გაძარცული უღრანი ტყის ცქერა, მისი ხმა, როცა ის ქარს უბრძვის, მისი ოხვრა და ყრუ გამოძახილი. გინახავთ, თუ როგორ ძრწის ის, როგორ იკლაკნება, როგორ ხრის კენწეროს, თითქოს მორჩილებას აცხადებს, რად გრძნობთ ამ დროს სევდასა და სიმძიმეს, რად გგონია ამ დროს თავი ობოლი და მარტო მთელ ქვეყანაზე? რად გგონია, რომ იქ, ტყეში, ტყე კი არ კვნესის, ის კი არ მღერის ნაღვლიან სიმღერას, რომ ის კი არ ჰხრის თავს? რატომ გგონია, რომ ჰაერი გაჟღენთილია უთვალავი სულიერებით· რომ იქ, იმ ტყეში, თავი მოუყრია უამრავ ქვრივსა და ობერს, მთელი ქვეყნის ოხვრასა და ტანჯვას. რომ ეს ისინი ოხრავენ, მათ ამოუღიათ ხმა და ისინი ჩივიან ისე გულდაწყვეტით, ისე გულწრფელად, ისე ღრმად და ისე უნუგეშოდ. და იღვიძებს გულში უთვალავი ჭრილობა, გაგონდება შეურაცხყოფა და დაცინვა, დატყუება და ღალატი. და მიუხედავად ამ შავი და მწარე ფიქრებისა, მაინც გსურს დიდხანს, დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში, დიდხანს გრძნობდე ტკივილებს, მარტოობას და სულის ობლობას. („სიცრუე").

საკმარისია ჭოლამ ერთგვარი თავისებური ექსკურსი მოახდინოს ბუნების სამყაროში, მხოლოდ ერთი წუთით მიაპყროს მას სივრცეში გაშტერებული გონების თვალი, რათა ჩვენს წინაშე წარმოდგეს მარად დაუძლეველი და მიუწვდომელი, დაუსაბამო და დაუმთავრებელი უსასრულობა; მასთან შედარებით ჩვენი პლანეტა, მისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით, გაუთავებელი ომებითა და კლასთა ბრძოლებით, მოგვეჩვენოს ჰაერში აფარფატებული ფოთლის პაწაწკინტელა ნაგლეჯად, რომლის გაქრობა, და უფსკრულში ჩანთქმა ბუნებას სულ ადვილად შეუძლია, მაგრამ ამას არ ჩადის, რადგან არაფრად აგდებს, არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს მის ფარფატს უსასრულო სივრცეში.

—„იცი თუ არა შენ, ჯარისკაცო, მიმართავს ჰოლა სატუსაღოს მცველს, — რომ ის, რაც თვალით მოჩანს, იმასთან შედარებით, რაც დაფარულია მხედველობისათვის, მხოლოდ ერთი პაწაწკინტელა წერტილია და მეტი არაფერი? იცი თუ არა შენ რომ ის ქვეყანა, რომელზედაც შენ დგახარ, მსოფლიოსთან შედარებით ერთი უჩინარი პაწაწკინტელა რამ არის?... იცი თუ არა, რომ ასეთი ქვეყნები უთვალავია მსოფლიოს მორევში, იმის გაუთავებელ სივრცეში?... აბა შენ თუ იცი, გაუთავებელი სივრცე რა არის? რომ იარო ათასი, ასი ათასი, უთვალავი მილიონი წელი, მაინც ვერ გაივლი მას, სივრცეს მაინც არაფერი მოაკლდება, ის ისეთივე გაუთავებელი სივრცე იქნება, და აი, ამ გაუთავებელ სივრცეში გაფანტულია ურიცხვი, უთვალავი პლანეტა-ვარსკვლავები, მზეები, უთვალავი და უზარმაზარი ქვეყნები. იცი თუ არა შენ, რომ ეს ვარსკვლავები, შენ რომ ხედავ, მზეებია, რომ ზოგი მათგანი ისე შორს არის ჩვენგან, რომ იქედან წამოსული სინათლე ათი და ათჯერ ათიათას წელს შემდეგ აღწევს ჩვენამდე, სინათლე კი წამში გარბის ორასორმოცდარვაათას ვერსს — აი რა სიშორეზე ყოფილა ჩვენგან ვარსკვლავები: ვთქვათ, შენ მოინდომე იმ ვარსკვლავზე წასვლა, რომელიც ყველა ვარსკვლავზე ახლოა დედამიწიდან. თუ შენ საათში გაირბენ ორმოცდა თექვსმეტ ვერსს, იმ ვარსკვლავზე მიხვალ სამოცდაცამეტ მილიონ წელს შემდეგ — აი რამდენი უნდა იმოგზაუროო, ჩემო კარგო...“

უსასრულობაში ამ წუთიერი ექსკურსის შემდეგ პოეტი მზერას მიაპყრობს ადამიანთა საზოგადოებას და მზად არის მის უბადრუკობაზე და არარაობაზე გულიანად გადაიხარხაროს. კაცთა ცხოვრებას შეხედოს ისე, როგორც ჩვენ შევხედავდით. ალბათ. ვეება სპილოების. ლომების და ვეფხების ფეხებთან მცოცავ ჭიანჭველებს. რომელნიც მბეცთა სამყაროს დაპყრობისა და დამორჩილების გეგმით აღჭურვილან.

ამ დროს მას ყოვილივე ეჩვენება არარაობად, სიბრიყვედ. სისულელად და მის ცინიზმს არა აქვს საზღვარი, ისევე როგორც თვითონ სამყაროს. ამ დროს იგი, „შეგნების მწვერვალზე“ მდგარი, პირზე ღიმილით დაჰყურებს ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებთ, მათ ისტორიას, ხელოვნებას, მეცნიერებას, ისე როგორც ჩვენ დიდებული სასახლის აივნიდან შევხედავდით, ალბათ. ეზოში მოთამაშე ბალღებს, რომელთაც ეს-ეს არის სათამაშო წისქვილი ააბრუნეს, ან ნაჩუქარი ბზრიალა დაატრიალეს და ჰგონიათ უდიდეს გამარჯვებას მიაღწიეს. ჰოლას აზრით, საკმარისია, მისი თვალით შეხედონ სამყაროს, რომ მჩაგვრელები ასე აღარ მოიქცეოდნენ. მაგრამ რამდე-

ნადაც შეუძლებელია მათი აყვანა ამ დონემდე, იმდენად უგნურებაა ველოდოთ მათგან ნებაყოფლობით დათმობას. „შენ კი, — მიმართავს ჰოლა ჯარისკაცს, — დგახარ მანდ, გიპირავს ხელში ვინტოვკა და გგონია წამართვი ზეცა .. ჰო და, ერთი მითხარი, რას უნდა წარმოადგენდეს მსოფლიოსთან შედარებით ჩვენი ქვეყანა და მერმე ამ ქვეყანაზე—ადამიანი. ადამიანებში კი მე და შენ, ჯარისკაცო, შენ კი გგონია, დიდ საქმეს აკეთებ, ისე, როგორც მე მგონია, რომ დიდი საქმისთვის ვზივარ აქ“.

როგორც ვხედავთ, ბუნების უსასრულობასა და სიდიადესთან შედარებით, ჰოლას არარად მიაჩნია კაცობრიობის პროგრესი. მისი აზრით, ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ თითქოს „მიაღწიეს მიუღწეველს“ და ინტელექტუალურად ამაღლდნენ, ნამდვილად ცხოველობიდან გამოსასვლელ კარებთან დგანან და ჯერ კიდევ იმაზე კამათობენ არის თუ არა ორჯერ ორი ოთხი: ეკუთვნის თუ არა კაცს მისი ნაშრომი. ისინი დიდ მეცნიერად სახავენ ამ „ანბანის“ გამომგონებელს, საპყრობილეებში გზავნიან მის მომხრეთ.

„მხიარულ ხასიათზე ვდგები და თან ფასი ეკარგება ყოველივე ღირებულებას ამ ქვეყნად. რა სისულელია: კლასთა ბრძოლა. ისტორია, რა სისულელეა! იცით თუ არა, რისთვის უწოდეს მას კაცობრიობის ბელადი, ბედნიერების გზის მაჩვენებელი? იმისთვის, რომ... იმისთვის, რომ მან — ხედავთ? მეცნიერულად დაამტკიცა. მთელი სიცოცხლე შეალია მის დამტკიცებას და დაამტკიცა, რომ აუცილებლად დადგება დრო, როცა ადამიანი თავის ნაშრომს დაეპატრონება, როცა მისი ლუკმა სხვის პირში არ ჩავარდება. დაამტკიცა ეს, მაგრამ დღემდე ბევრს არ სჯერა ამის სისწორე... და რადგან ბევრმა ეს არ დაიჯერა... ამიტომ ააშენეს სატუსაღოები. გამოიგონეს თოფები, დაგეშეს ადამიანები და ერთი მათგანი ვინტოვკით ხელში დამიყენეს მეც, რადგანაც მეც მწამს, რომ დადგება „ბედნიერი“ დრო და საჭიროც არის, რომ ეს დრო მოვიდეს. ხოლო, როცა ჩვენ ამ ჭეშმარიტებას ვავრცელებთ და იმის გარშემო ვკრებთ მასას, ვამწკრივებთ საბრძოლველად, როცა დიდ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენი აზრით, ამ დროს საკმაოა ერთი რომელიმე პლანეტა შემთხვევით დაეტაკოს ჩვენს დედამიწას და ნაცარ-ტუტად აქციოს ის. ალარ იქნება არც ქვეყანა, არც ძეგლები, არც არაფერი. საკმაოა ვილაცის უხილავი კაპრიზი, რომ ყოველივე არარად იქცეს...“ („ჩემი დღიური“).

ასეთია ჰოლას მიერ დახატული სურათი ბუნებასთან შედარებით ადამიანის უბადრუკი ყოფისა. ეს გონების ჰოგრით ცქერა სამყაროში აძლევს მას სარკასტული ხარხარის საბაბს:

„ეჰ, მეცნიერებო, ფილოსოფოსებო, კანონმდებლებო, მორალისტებო და სხვებო და სხვებო, შეგაჭამეთ ცოცხი“. („ჩემი დღიური“). მეცნიერული სოციალიზმის თეორიით აღჭურვილმა პოეტმა კარგად იცის, რომ შედეგად იმ ბრძოლისა, რაც ახლა წარმოებს, ადამიანი მიაღწევს სრულყოფას — მოწესრიგებული საზოგადოებრივი ორგანიზმის შექმნას, სადაც ადგილი არ ექნება ექსპლოატაციას, კლასთა ბრძოლას, ჩაგვრას, მაგრამ ბუნების სიდიადესთან შედარებით ესეც არარად მიაჩნია მას.

„ადამიანი შესწყვეტს ადამიანთან ბრძოლას, — განაგრძობს ის და მთელი თავისუფალი ძალით შეებრძოლება ბუნებას, წაართმევს მას საიდუმლოებას და მოიხმარს თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად — აი რას იზამს ადამიანი! მინიმუმი ტანჯვით ის მაქსიმუმ სიამოვნებას მიაღწევს. ის ჭამს საკმაოდ, ჩაიცვამს საკმაოდ, ისწავლის, რამდენიც უნდა, ივლის თეატრში, ისმენს მუსიკას. იფრენს ჰაერში, იცურავებს ზღვაში — არ უჩანს დასასრული მას, თუ რას იზამს ადამიანი. მერმე, ბატონებო, ვის რად უნდა ეს? ადამიანი იზამს ამას, ადამიანი იზამს იმას, ადამიანს ეს ექნება და ის —მერმე. ბატონებო? ადამიანმა გაიგო ახალი საიდუმლოება, ადამიანი სულ მეტად და მეტად იმორჩილებს ბუნებას— მერმე, ბატონებო? ვისთვის და რისთვის ყველა ეს? იმისათვის, რომ ბატონი ადამიანი კარგად გრძნობდეს თავს? ვთქვათ, ის კარგად გრძნობს თავს, მაგრამ მერე? მერე?... ეჰ, საწყალო ადამიანო, შეგაჭამე ცოცხი“ („ჩემი დღიური“).

ბუნების სამყარო დიადია, უსაზღვრო, უძლეველი და საათის მექანიზმივით მოწყობილი, მოწესრიგებული. უაღრესად განსაზღვრული შესაძლებლობა ადამიანთა საზოგადოებისა, ბუნების უმცირესი ნაწილაკისა, წარმოადგენს ერთ ფრიად მკრთალ სხივს სამყაროს ჩირაღდანში. ბუმბერაზი ბუნება ვერც კი ამჩნევს მის ერთ-ერთ უმცირეს ნაფლეთს — ადამიანთა საზოგადოებას, მაგრამ თვით ადამიანები ისწრაფვიან ბუნებისაკენ და ზოგჯერ თავიანთი განწყობილების მოზიარედაც კი ესახებათ ის .ბუნების სიდიადის შემცნობს, ბუნების მოუწვდომელი მშვენების აღმქმელ ადამის ძეს ურვა მართებს და არა აღტაცება, ის უნდა ტიროდეს იმის გამო, რომ ადამიანს, რომელსაც თავისთავი ბუნების გვირგვინად ესახება, ვერ მოუწესრიგებია ცხოვრება, ვერ გაუხდია ის ისეთივე მშვენიერი, ძლიერი და ლამაზი, როგორც ხელთუქმნელ ბუნებას გაუკეთებია ეს.

ასე გვესახება ჩვენ ძირითადად ჰოლას შეხედულება ბუნებისა

და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ეს შეხედულება მარქსისტული, მატერიალისტური ფილოსოფიის დონეზე ვერ დგას, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ სცნობს ადამიანის შესაძლებლობის განსაზღვრულობას, უარყოფს „საგნებს თავისთავად“ და ეჭვმიუტანლად ასაბუთებს, რომ ყოველი „მიუწვდომელი“ დღევანდელი საიდუმლოება მისაწვდომი გახდება ხვალ და საგანი, არსებული „თავისთავად“, იქცევა საგნად ჩვენთვის. ცხადია, ბუნების რაობის მხატვრულად აღქმისას ჭოლა უკავშირდება გასული საუკუნის სამოციანი და ოთხმოციანი წლების დიდ ქართველ მწერალთა კონცეფციებს და არა ჩვენი დროის მოწინავე ფილოსოფიურ სისტემას — მარქსიზმს. ესეც ამჟღავნებს ჭოლას შეხედულებათა ჩამორჩენილობას მის დროსთან შედარებით.

ჭოლას შეხედულებანი ბუნებაზე ძლიერაა დავალებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით, სადაც ასე ზვიადად წარმოგვიდგება ბუნების მოვლენათა ჰარმონიულობა, თავისთავადობა და სიდიადე.

„ბევრი რამ ხდება ქვეყნადა
შიგ ცოდვა მადლი დიდია;
ბუნება წარბსაც არ იხრის,
მაინც მშვიდი და მშვიდია“.

(„სისხლის ძიება“)

ან კიდევ:

„...მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია...
ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხევსა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ;
ყვავილნი-მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გადმომდინარე“.

(„ღამე მთაში“).

ბუნების სიდიადით აღტაცება და ადამიანთა საზოგადოების უბადრუკობით გამოწვეული „შავი სევდა“ წითელი ზოლივით გასდევს ჭოლას მთელ შემოქმედებას. ამ სევდით იგი თავისებურად ეხმაურება ქართულ პოეზიაში სევდის ყველა მწერალზე ძლიერად გამომხატველ ნ. ბარათაშვილს, რამდენადაც ამ სევდაშიც არის უკმარობა გაღვიძებული სულისა, ბრძოლისა და სრულყოფისაკენ მოწოდებელი.

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი...“
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

ასე უძიროა ნ. ბარათაშვილის სევდის საყრდენი ფუძე და ამ უკანასკნელის გენიალობა სწორედ მასშია, რომ მან აქ წერტილი არ დასვა, ცხოვრების უარმყოფელი იდეები უკუაგდო და მოქმედებისკენ მოუწოდა კაცობრიობას.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოკხალი მკვდარსა ემსგავსოს.
იყოს სოფელში და სოფლისთვის არარა იზრუნოს“.

ჰოლას რევოლუციური რომანტიზმის სიდიადესაც ჩვენ სწორედ იმაში ვხედავთ, რომ მას ბუნების სრულყოფილობისა და უსასრულობის გვერდით ადამიანთა საზოგადოების მოუწესრიგებლობის, უბადრუკობისა და ცხოველური დონის დახატვასთან არ დაუსვამს წერტილი, თანამოძმეებს მოუწოდა ბრძოლისა და წინსვლისაკენ, სამყაროში უაღრესად განსაზღვრული შესაძლებლობის ჰქონე მდაბალი ყოფიდან ბუნების მეუფედ გახდომისაკენ.

შეიძლება ჰოლას შემოქმედების ეს პარალელი ბარათაშვილის შემოქმედებასთან შეუსაბამოდ გვეჩვენოს ეპოქათა დიდი განსხვავებულობის გამო, მაგრამ ამ სხვაობის ახსნასთან ერთად შეუსაბამობის შთაბეჭდილებაც ჰქრება.

ბარათაშვილის გენიამ გაჰკვეთა არსებული წყვდიადი და მოუწოდა უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის საჭიროებისაკენ საერთოდ, რაც იმ ხანისათვის უდიდეს პროგრესს წარმოადგენდა, ჰოლა ლომთათიძემ კი, 90-იანი წლების რევოლუციური ეპოქის შესაბამისად, ასახა არა ბრძოლის ზოგადი იდეა, არამედ რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა მემამულურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს დასანგრევად და მოწესრიგებული საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის დასამყარებლად.

იმ რომანტიკოსთაგან განსხვავებით, რომელნიც „განსასვენებლად“ მიიღტვოდნენ ბუნებაში და მშვენიერი ბუნების იდუმალი მიაჩნდათ თავიანთი ამქვეყნიური არარაობისაგან შეძრწუნებული სულიერი განწყობილების შესატყვისად და თანამოაზრედ, — ჰოლა ლომთათიძის რევოლუციური სულისკვეთება ვერავითარ სანუგეშოს ვერ პოულობს ქვეყნის მიღმა არსებულ ძალებში იმ დროს, როდესაც მშრომელთა დიდი ნაწილი შიმშილისა და სიღატაკისათვისაა განწირული. იგი აღტაცებულია მშვენიერი ბუნების ხილვით, მაგრამ ეროვნული და სოციალური უკუღმართობის ფონზე ეს უკანასკნელი ესახება „გულგრილად“, სინამდვილიდან მოწყვე-

ტილად. მწერალი მიუთითებს ბუნების ძალთა თავისთავადობასა და სიდიადეზე, ხედავს, რომ „ცის ვარსკვლავი და ცისა მთვარე“ არარას ირგებს დედამიწის ზურგზე მდგომარეს“, სრულიადაც არა სცალია მისთვის, ამიტომ პოეტი ცდილობს მიმართოს მშრომელთა საბრძოლო ენერგია ისეთი საზოგადოებრივი წყობის დასამყარებლად, სადაც კაცს უფლება და საშუალება ექნება იყოს ბედნიერი, ბატონ-პატრონი საკუთარი შრომის ნაყოფისა, ისეთივე დიადი და თავისუფალი როგორიც ბუნებაა.

ცხადია, ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე რომანტიკოსები ასეთ გაგებამდე ვერ მივიდოდნენ. ჩვენი პოეტი კი აქ ძლიერ გასცდა რომანტიზმის ფარგლებს და ამ მიმართულების ჩარჩოში მისი ჩატევა შეუძლებელი ხდება.

სწორედ აქ, ადამიანის სრულყოფილი თავისუფლების იდეასთან, სცილდებოდა ჭოლა ს. დ. მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთას, რომელიც, პოეტის შემოქმედების არსის გახსნის უნარს მოკლებული, ანარქისტად და უზნეო ინტელიგენტად ნათლავდა მას.

ნათელი პოეტური ფერებით მდიდარი და თავისებურია ბუნების ის განცდა, რასაც ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ვხვდებით. ბუნების საღ მოვლენებთან ჭოლა მიდის წინასწარ დასახული მიზნით, მათი რევოლუციურ ძალთადმი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით. ჭოლას ლირიკულ პროზაში უხვადაა მიმობნეული საქართველოს მომაჯადოებელი ბუნების სურათები, სხვა ქვეყნების ბუნებასთან მათი შეპირისპირებული განხილვა, ყოველის მომცველი და მარად დაუძლეველი ბუნებრივი კატეგორიების მაღალმხატვრული წვდომა, აღტაცება ისეთი მოვლენების ხილვით, რომელთა სახელებიც კი სიამოვნების გრძნობას იწვევენ, განახლების უშრეტ ენერგიას შეიცავენ, აკეთილშობილებენ ადამიანს, კეთილი გზით წარმართავენ მის აზრებსა და მისწრაფებებს, ხელს უწყობენ კაცობრიობის პროგრესს, სწრაფვას ნათელი მიზნისაკენ; ამასთან მწერალი გამოხატავს თავის ანტიპათიურ დამოკიდებულებას ბუნების ისეთი მოვლენებისადმი, რომლებიც შლიან და ანადგურებენ ადამიანში შთანერგილ ყოველივე სალსა და ნათელს, აღვიძებენ მასში მხეცურ ინსტინქტებს, დაცემისა და განადგურებისაკენ მიმსწრაფ ძალებს (სიცივე და სიბნელე, ეკალი და ზამთარი, ქარი და ქარაშოტი, ფოთოლთ ცვენა, უდროო სიკვდილი და სხვ.).

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ჭოლამ მოასწრო თითქმის ყველაფრის ნახვა და განცდა. მან მოიარა რუსეთის იმპერიის და სახღვარგარეთის ქვეყნები. იყო ლონდონში, შვეიცარიაში, პარიზში,

ფინეთში. ეს აძლევს მას სტიმულს, გამოავლინოს ერთგვარი სიამაყე და პატრიოტული სული ბუნების გაგების საკითხში. ასახავს რა დედაქალაქის მშვენიერ ღამეს, „რომელიც თბილისის ლაპლაპა სიცხეს მოჰყვება ხოლმე“, „ბაგეგაშლილ მთვარეს, რომელიც ისეთი სიდინჯით მიცურავს ცაზე, როგორც „ოცდახუთი წლის ლამაზი, რომელსაც უკვე შეგნებული აქვს თავისი სილამაზე“, — პოეტი დაასკვნის:

„...ბუმბერაზი. სწორედ ბუმბერაზი რამეა საქართველოს ბუნება და მოდი ამის შემდეგ ნუ აგიტოკდება გული, ნუ შეგიყვარდება შენი სამშობლო.., მოდი და ნუ გიყვარს ეს ჩვენი ქვეყანა... მოდი და ნუ იამაყებ, რომ ამ ქვეყნის შვილი ხარ“.

საქართველოს ბუნება ჭოლასათვის ერთადერთია ამ ქვეყნად. მას არსად უნახავს, არსად ეგულება მისი მსგავსი და ბადალი. პოეტში სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა იწვევს საშინელ სევდას, რომლის დამაამებელ ნელსაცხებელთ პოეტი ბუნებაში ვერ პოულობს, მაგრამ საქართველოს შემკული ბუნება აიძულებს მას სწორედ აქ იბრძოლოს უკეთესი მერმისისათვის.

— „შობელო ქვეყანავ! შობელო ქვეყნის უძირო და შემკულო ზეცავ, დიდო მთებო, ანკარა წყლებო და მგალობელნო ფრინველნო! სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა! და მარტო ვარ, მარტო ვარ! სად წავიდე სად? სად წავიდე, როცა დედამიწას ვერ ავცდები, ვიცი, ხოლო დედამიწაზე კი შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქვეყანავ.

ჩემო საყვარელო და შემკულო მხარევ...“ („აღრჩევა სულისა“).

ავადმყოფურად ძლიერია პოეტში სიყვარული სამშობლო ბუნებისა, მაგრამ რაგინდ უცნაური და უაღრესად ორიგინალური არ უნდა იყოს ეს განცდა, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, წერისათვის ჭოლას აღაგზნებს ამ ბუნების ხილვა-განცდის შეუძლებლობა და არა თვითონ ხილვა-განცდა. მის მღვიძარე სულს ეპატიჟება, ეძახის შრავალფეროვანი გაზაფხული მშობელი ქვეყნისა, ჯალათი მეფე კი სატუსაღოს კარებს არ აღებს, არ აძლევს უფლებას „გულში ჩაეკრას“ მშობელი ქვეყნის წარმტაც წალკოტს; პყრობილი პოეტი კალამს ჰკიდებს ხელს ამ გაზაფხულის გადასავიწყებლად და არა ასასახავად, სწერს სტრიქონებს, რათა ოცნებით განშორდეს ამ გაზაფხულს მშობელი ქვეყნისას, არ გაიგონოს. „მისი ძახილი, იმის ჯადოქრული სიმღერა“, შობელი ქვეყნის მომაჯადოებელი ბუნების „დავიწყების“ ეს სურვილი კი პოეტში იწვევს შემოქმედის ბუნებასთან შენივთების, შერწყმის ცხოველ სურათებს. უბრალო ფუნჯით და კიდევ უფრო უბრალო საღებავით დახატულ

სურათს, თითქოს დასამცირებლად, უწოდებს ჭოლა „რაღაცას“, მაგრამ ეს „რაღაცა“ დიდად მკერმეტყველია.

— „ვწერ კი რაღაცას, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მსურს დავივიწყო, გარეთ რომ გაზაფხულია, რომ მტკვარი მთვრალია და გიჟი, მსურს დავივიწყო ყველაფერი და ისიც, რომ ხანდახან მგონია, თითქოს მტკვარი სდის არა იქ, სადაც სდის, არამედ ამ ჩემს ძარღვებში“. („უსათაურო“).

ამ დავიწყების სურვილს ჭოლა დაუვიწყარ სტრიქონებში ძერწავდა, ქართულ გაზაფხულს, მსგავსად დიდი წინამორბედის დ. გურამიშვილისა, ცხოვლად ასახავდა არა მარტო საქართველოს, არამედ შორეული ქვეყნების სატუსაღოებში ჯდომის დროსაც, „ეუზიარ მაგიდას, — წერს ის სპყრობილეში, — და ვფიქრობ, რაღაცას ვწერ — გაზაფხულს ხომ არ ვიგონებ, ჩემი ქვეყნის გაზაფხულს, ქართულს, მშობლიურს... აბ, რა კარგია ახლა იქ, სადაც დავიბადე...“ („თეთრი ღამე“).

აღტაცება საერთოდ, ზოგადად ბუნებით ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში არ გვხვდება. ყველგან, სადაც კი ბუნების მოვლენებს ეხება, იგი ხაზგასმით აღნიშნავს მხურვალე დამოკიდებულებას მშობლიური ქვეყნის ბუნებისადმი და არსად, არცერთი სტრიქონით არ გვაფიქრებინებს, რომ სხვა ქვეყნების ბუნებაც ასეთსავე განწყობილებას იწვევს მასში. იგი არცერთი სიტყვით არ ახსენებს მის მიერ დავლილი ევროპის ქვეყნების ბუნებას, რუსეთში კი, სადაც ვერ ხედავს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მისი გული კვნესის. „როცა პეტერბურგის დამპალ ზეცას შეეხედე, — გვეუბნება გადასახლებიდან იქ ჩასული ჭოლა, — ტირილი მომინდა. სადღაც, ოდესღაც რაღაც ამგვარი მენახა თითქოს და იქ მე ვიტანჯოდი, ვიტანჯოდი. პეტერბურგის ზეცამ ეს დიდი ხნის წარსული გააღვიძა ჩემში, — სადღაც ოდესღაც სწორედ ასეთი ზეცის ქვეშ ვიყავი მე მარტო, სულით ობოლი, განწირული და ვიტანჯოდი, მაგრამ სად იყო ეს? როდის იყო? და უცებ ქუჩაზე მოცინარე ბავშვის სახე დავინახე, ძლიერ გამიკვირდა — ნუთუ პეტერბურგშიც იცინიან?“ („თეთრი ღამე“).

ჭოლა აღტაცებას გამოთქვამს მშვენიერი ბუნებისადმი, რომელიც ადამიანს ამხნევებს და ახალისებს, მაგრამ იგი ადიდებს და აიდეალებს ისეთ ძალებსაც, რომელთა დამორჩილება, ან თავის ნებასურვილისამებრ მიმართვა ადამიანებს არასდროს არ ძალუძთ.

ბუნების იმ მოვლენებში, რომელთაც შესწევთ იდუმალი ძალა ადამიანთა საზოგადოებაზე ბატონობისა, რომელნიც ქედს არ უხრიან კაცთა გონების არავითარ მიღწევას, არც ერთ ეპოქასა და სა-

კუნეში, ურყევად ატარებენ გამარჯვების ალამს, ყოველივეს იმორჩილებენ და არასდროს არ არიან დამორჩილებულნი — პირველი ადგილი უჭირავს დროს.

დრო უცვლელი კატეგორიაა, მარადიული სიცოცხლის უნარის შემცველი, ყველაფრის შემქმნელი, გამავითარებელი, დამმორჩილებელი და მომსპობი, განუყრელი თანამგზავრი ყოველი არსისა, ცხოველი როგორც პრომეთეს ცეცხლი, ცივი, როგორც ჯალათის ხელი, ყოველივეზე მოუშორებლად გადაჯაჭვული, მიუკარები ყოველივესი და უგრძნობელი, დაუსაბამოდან მომდინარე და დაუსრულებისაკენ მსრბოლი, კეთილი თუ ბოროტის ჭიდილის მარადი მოწამე და აღმრიცხველი, თვით უსიცოცხლო და ხელთუქმნელი.

დრო თვით დაუსაბამო და უსასრულო სამყაროზეც კი მაღლა დგას თავისი არსით, რამდენადაც იყო მოწამე მისი შექმნისა, იქნება მომსწრე მისი მოსპობის. თუნდაც აურაცხელი წლები დასჭირდეს ამ ჟამის დადგომას, იგი თავის უზარმაზარ და უჩინარ ჟამის აღსარიცხავ დავთარში აღნიშნავს ამ გონებაუწვდენელი მომავალი აღსასრულის ჟამს, თვით კი განაგრძობს სვლას ისევ ისე ახალგაზდა, როგორც ქვეყნის შექმნის პირველ დღეს, თვით უდღეო და დღეუკლები, უხორცო და ხორცუკლები; იგი ყველაფრის აკვნის დადგმის მახარობელი, ყველაფრის გვირგვინი, ყველაფრის მოსპობის მოწმე და კუბოა.[121]

„მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო... ეჰ, ჩქარი ნაბიჯით მიდის ის წინ, მიდის და უკან სტოვებს სიყმაწვილეს, იმედებს, სიყვარულს, სიძულვილს, ფართე რთულ გეგმებს და ფიქრებს... გულგრილი და გულქვაა ის, მისი კუპჭი ყოველთვის ნთქავს და ინელებს— სიყვარულსა და სიძულვილს, აღმაფრენასა და გატაცებას, ახალგაზრდობასა და იმის სიზმრებს... ნთქავს, ყლაპავს, ინელებს ყოველივეს და მიდის, მიდის წინ, მას ვერც შავი თვალები დააინტერესებს, ვერც მოღერებული ყელი, ვერც ქარის მიერ ათამაშებული ოქრონარევი თმა, ეშხიანად გადმოყრილი ლამაზ სახეზე, მისი გული არ ძგერს სიყვარულით. ის ყლაპავს სიყვარულსა და სიძულვილს, სიხარულსა და მწუხარებას, გულგრილი და გულქვაა, ის ერთნაირად უცქერის ავსა და კარგს დინჯად, გულდამშვიდებით კაფავს ყველაფერს და მიდის წინ, მიდის შეუჩერებლად, უხმო, უსიტყვო და უკვალო, ყრუ და მუნჯი, უგრძნობი და შეუბრალებელი...

და ცივია მისი სისხლი... ის მიდის, ის მიდის, ის მიდის! და არ

---

[121] უნდა აღინიშნოს, რომ დროის დაახლოებით ამგვარი გაგება ჰოლაზე ადრე ი. ზურ ზიშვილმა მოგვცა (იხ. „მოამბე", 1900 წ., № 2).

იცის მან ვის ვინ უყვარდა, ვინ ვისთვის იტანჯებოდა, ვინ ვისკენ ილტვოდა, არაფერი არ იცის მან და, რაც ყველაზე უარესია, არც სურს იცოდეს! ოდნავადაც არ სურს იცოდეს ის... ის ჯალათია...“ („სახრჩობელას წინაშე“).

ამ საკმაოდ მოზრდილი ადგილის ციტირება ჩვენ განგებ შევაჩერეთ აქ, რათა გვეთქვა, რომ დროს, ბუნების ამ „შავ და რთულ მოვლენას“, ჭოლა არ იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ძოწყვეტილად, განყენებულად. შეუბრალებლობის, ავისა და კარგისადმი ერთგვარად დამოკიდებულების თვალთახედვით. იგი ამ მსახვრალის ბადალს პოულობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯალათის სახით. ამიტომ უშვებს პოეტი არ არსებულ გამონაკლისს — დაუდგრომელი დროის შეჩერებას ერთ არსებასთან — ჯალათთან.

„მიდის დრო, მიდის დრო, მიდის დრო... მიდის და სახრჩობელას წინაშე ჩერდება... და მოდის სიკვდილი, შავი, ახმახი ბებერი, რომელიც წარსულსაც დასცინის და მომავალსაც, რომელიც ყველაფერს ნთქავს და ინელებს, დედის ცრემლებსა და ჯალათის ხორცს, შეყვარებულის ალერსსა და ჯაშუშის თვალებს.“

ყველგან, სადაც კი ადამიანს დაუყვია დრო, რჩება მისი ნაწილი, მისი ნაგლეჯი, რომელსაც ის ვერასოდეს ვერ დაიბრუნებს, ვერასოდეს ვერ აღადგენს?! ამიტომ არის მძიმე გამოთხოვება დროებიდ — სხვაგან წასვლისას, გამოთხოვება სამარადისო — ამქვეყნიდან გამგზავრებისას.

სასაფლაო დროის დაუდგრომელობისა და სისასტიკის უტყვი მოწმეა — ბოროტისა და კეთილის ერთგვარად გაჭრობის პერიოდულად შთამაგონები. იგი ყველაზე ორგანული ნაწილია ბუნებისა საერთოდ და დროისა განსაკუთრებით. ლამაზი გარეგნულად, რთული და მიუწვდომელი, როგორც თვით ბუნება. რამდენადაც სასტიკია და საზარი სასაფლაოს დანიშნულება—იყოს აკვანი მარადიული სიჩუმისა და მტვრად ქცევისა, იმდენად შვენის მისი ბუნება, ათასფერად მოელვარე და მარადმწვანე, რადგან ყველგან, განსაკუთრებით კი საქართველოში, იგი მოთავსებულია ულამაზესი ბუნების ფონზე, შინაგანი არსით კი საიდუმლოებით მოცულია-მკვდართა სამკვიდრო, სურათი მახინჯი სიკვდილისა, „ბერძნული ენის გამოშტერებული მასწავლებლის“ მსგავსი ძეგლებით „დამშვენებული“.

ჭოლა ლომთათიძის ეს შეხედულება დროის კატეგორიაზე მარქსისტულ ფილოსოფიას, ცხადია, არ ეთანხმება. რამდენადაც იგი არ ცნობს დროს, როგორც მატერიის ფორმას, მიიჩნევს მას მატერიაზე მაღლა მდგომად, რაღაც იდუმალი, ღვთაებრივი ძალის შემცველად,

ამდენად სცილდება იგი ამ საკითხში მარქსისტული მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძვლებს და უახლოვდება იდეალიზმს.

სასაფლაო, როგორც ბუნების უძლეველობის და კაცთადმი მისი დაუნდობლობის ყველაზე მეტყველი ადგილი, იტაცებს ჭოლას, ბუნების ფრიად თავისებურ მგოსანს. აქ შეუყვარდა მას ძლიერ ბუნება, აქედან ჩაებეჭდა მას გონებაში ბუნების სიმშვენიერე ისე ღრმად. ისე ძლიერად, რომ არ შეუძლია წარმოიდგინოს ეისიმე საფლავი, რომ ამ საფლავთან ერთად არ იდგეს მის გონებაში ბუნება „მისი სილამაზითა და ჯადოსნური მიმზიდველობით“.

ძალზე არაბუნებრივი იქნებოდა, ჰაბუკი მგოსნის ეს ლტოლვა სასაფლაოს აჩრდილებისაკენ აგვეხსნა საზოგადოებრივი ბრძოლებიდან გაქცევის სურვილით, ქვეყნისა და მშობლიური ხალხის მომავლისადმი პესიმისტური დამოკიდებულებით, მაშინ, როცა თვითონ პოეტი ამას სრულიად ბუნებრივად, ნათლად და მარტივად ხსნის:

„ნეტავი რად მიტაცებდა სასაფლაო, რად მიყვარდა იქ ხეტიალი და ძეგლების თვალიერება... რა გაუგებარი ძალა მიტაცებდა მე იქ?... ალბათ, ბავშვობისას, როცა დედა მომიკვდა, აქედან დამჩემდა მე ეს ჩვეულება... გაზაფხულზე დაასაფლავეს დედაჩემი და მეც ხშირად ავდიოდი იქ, პირველად ბებიაჩემთან ერთად, მერმე კი, როცა გავთამამდი და შევეჩვიე — მარტო“....

ეს განწყობილება ძლიერია 1901-1903 წლებში დაწერილ ნაწარმოებებში, მაშინ, როცა საზოგადოებრივ ყოფაში პესიმიზმის არავითარი სიმპტომიც კი არ არსებობდა, როცა ირგვლივ მხოლოდ ნათელი მომავლის ბრწყინვალედ შედგენილი გეგმები შრიალებდა, როცა თვით ჭოლაც სისხლსავსე სიცოცხლით ცხოვრობდა, „კრებიდან კრებაზე“ გადადიოდა, სალამს აძლევდა თავისუფლებას. მაშასადამე, ცდა ჭოლას შემოქმედებაში სასაფლაოს პოეზიის ახსნისა რეაქციის გამო გამოწვეული საყოველთაო გულგატეხილობით, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის საერთო უკანდახევითა და „ღირებულებათა გადაფასებით“ — საფუძველს მოკლებულია.

თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების ზიზღით აღძრული უკმარობის გრძნობის და ბავშვობისას განცდილი სულიერი ტრამვის უშუალო შედეგად მიგვაჩნია ჩვენ, აგრეთვე, ბუნების „შავი და რთული“ მოვლენის — სიკვდილის ის ღრმა განცდა, რაც მის ნაწარმოებში ასე მუქი ფერებით „ანათებს“ და სიადუმლოებით მოცულ „ველურ გრძნობებს“ იწვევს. ჭოლა არ განიხილავს სიკვდილს როგორც ერთგვარს, ერთი სახის კატეგორიას. მისთვის სიკვდილი

ორი სახისაა: პირველი—ბუნებრივი, დროული, ლოგიკური, გამართლებული და მეორე -- არაბუნებრივი, ძალდატანებითი, გარეგანი უხეში ძალის ჩარევით გამოწვეული. პირველი სახის „სიკვდილი დიდებული აქტია ბუნებისა.. ლამაზია, პოეტური მოვლენაა,“[122] „ბედნიერებაა, რადგან უსათუოდ არის ბედნიერი ის, ვინც შეასრულა თავისი დანიშნულება,“ „გაზაფხულზე მიიღო თესლი და შემოდგომაზე ნაყოფი მოიტანა, ერთიათად გადიხადა მიბარებული ტალანტი, იცხოვრა, ისე, როგორც უნდა ეცხოვრა, „დასტოვა საღი შთამომავლობა და მოკვდა.“ ამ თვალსაზრისით ჭოლა ერთნაირად უყურებს ორგანულ და არაორგანულ ბუნებას, მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს.

სულ სხვაა მეორე სახის სიკვდილი — რაღაც იდუმალზე იდუმალი, შავი, ახმახი არსება, ყოველივე იმაზე მეტი, რისი წარმოდგენაც კი ადამიანის სალ გონებას შეუძლია. აი ჩვენს წინაშეა „კაცი — მოქალაქე, მებრძოლი... ხან მოცინარი, ხან აღელვებული და... მიცვალებული, რომელზედაც არაფერი, არაფერი არ ჩანს, არაფერი არ აწერია სახეზე, არაფერზე გული აღარ შესტკივა.“ უყურებ ამ „სახეს, რომელზედაც არც სიყვარული სწერია, არც სიძულვილი, არც სიხარული, არც ტკივილი, არაფერი არ სწერია... ის მიცვალებულია, მხოლოდ, საიდუმლოებით მოცული მიცვალებული!“ უყურებ და „გიკვირს, არ გჯერა, რომ შენც ამას უნდა დაემსგავსო („სახრჩობელას წინაშე“). ბუნებრივი სიკვდილი არავითარ სულიერ დრტვინვას არ იწვევს, იგი მოდის დროულად და ლამაზადაც კი. არაბუნებრივი, ძალდატანებითი სიკვდილი კი პოეტისათვის არის „ეელური აზრი,“ რომელთანაც „ვერასოდეს ვერავინ ვერ შეარიგებს.“ ძალდატანებითი სიკვდილის რაობას ჭოლა რევოლუციური ბრძოლის ფონზე განიხილავს. აი ჩამოხრჩობა მიუსაჯეს 25 წლის ჭაბუკს, რომელიც სიცოცხლისათვის იბრძოდა. დგება სიცოცხლის უკანასკნელი საათი მაშინ, როცა მისი „თავი მუშაობს ისე, როგორც არასოდეს, გული კვლავ განაგრძობს სიყვარულსა და სიძულვილს, არცერთი ყვავილი არ დამჭკნარა იქ, ყველაფერი ცოცხლობს და ჰყვავის, სურს იცოცხლოს...“ „თუმცა ვიცი, — ამბობს ჯეირანი, — რომ მომკლავენ, მაინც ვერ გამიგია, ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ყოველივე ეს ერთ დილას უნდა შეწყდეს, ეს საათივით აწყობილი მექანიზმი უნდა სამუდამოდ შედგეს, შენობა უნდა დაინგრეს.. ამას ვერასოდეს ვერ

---

[122] იხ. ჭ. ლომთათიძის „სიკვდილი“, გაზ. „საქმე“, 1910 წ., № 23.

შეურიგდება ჩემი გონება. ეს აზრი ისეთი ველურია, გაუგებარია.“ („სახრჩობელას წინაშე“).

ღრმა ხედვის უნარით დაჯილდოებული მგოსანი ამ არაბუნებრივ სიკვდილთან მივიდა უფრო ახლოს, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთ შეუძლიათ ეს. მივიდა და „აღმოაჩინა“, რომ ერთნაირად როდი ძალუძთ ადამიანებს უცქირონ მოსალოდნელ სიკვდილს სხვისას და სიკვდილს თავისას. პირველ შემთხვევაში მათ შეუძლიათ „იმსჯელონ საღად“, ჩამოაყალიბონ მაღალი აზრები გმირობის, თავგანწირულების, სიცოცხლის არად ჩაგდების შესახებ, მაგრამ სულ სხვაა იგივე ცნება, როდესაც საკუთარ „მე“-ს შეეხება, როდესაც საკუთარ სიცოცხლეს აეტუზება წინ.

ამ თეორიის დასამტკიცებლად ჭოლამ გამოიყენა უშიშარი, მებრძოლი ჯეირან ვარდოსანიძე, რომელსაც არ უგრძვნია შიში, როცა გვერდით მოუკლეს ამხანაგი, იგი ბრძოლის ველზე ტყვიების ზუზუნში წარმოთქვამდა მგზნებარე სიტყვებს და არად აგდებდა სიცოცხლეს, მამაცურად შეხვდა მეფის სასამართლოს და „გველ-ბაყაყნი“ უწოდა «военное присутствпе»-ს, უმაღლეს ჩინოსანთ. ჯეირანი, მაღალი რევოლუციური შეგნების მქონე, განვლილი რევოლუციური გზის ოპტიმისტურად შემფასებელი და მომავალი ბრძოლებისაკენ მგზნებარედ მომწოდებელი პიროვნება — უყოყმანოდ აცხადებს, რომ იცხოვრა ისე, როგორც ესმოდა და თავიდან რომ დაიწყოს ცხოვრება, ისევ აქ მოვა, მაგრამ აეტუზა თუ არა წინ „შავი სიკვდილი“, აღმოჩნდა, რომ იგი რაღაც მეტი ყოფილა, ვიდრე ეგონა, და „დასაკლავ ძროხასავით აკანკალდა.“ „რაღა ბევრი გავაგრძელო, გავტყდი,“ — აღიარებს ჯეირანი, თვითონვე ძნელად იჯერებს ამ „გატყდომას“ და იგონებს ერთ ამბავს: ხუთი საუკეთესო ამხანაგი შეცურდა ზღვაში. ნავი დაზიანდა და ხუთივე იხრჩობოდა. გადარჩნენ.

„იმ ღამეს, — ამბობს ჯეირანი, — როცა ჩვენ მხიარული, გუზგუზა ცეცხლის წინ ვისხედით და თავიანთ შთაბეჭდილებას ვუზიარებდით ერთმანეთს, ერთმა ჩვენთაგანმა იკითხა: — გახსოვს თუ არა ჩემი კითხვა: ცურვა ვინ იცისო? — და, როცა მიიღო პასუხი, რომ გვახსოვდა, განაგრძო: აი, როცა მე გავიგე, რომ დათიკოსა და შენ, — ბან ჩემკენ გამოიხედა, — ცურვა არ გცოდნიათ, იმ წუთსავე გადავჯექი მეორე მხარით, რომ ზღვაში ჩაცვენის დროს, რომელიმე თქვენთაგანს ჩემთვის ხელი არ შეეშალა და მეც თქვენთან არ დავმხრჩვალიყავი... არავისი დარდი არ მქონდა, ოღონდ გადავრჩენილიყავი“. („სახრჩობელას წინაშე“).

რისთვის დასჭირდა მწერალს აქ სიკვდილ-სიცოცხლის ჰიდილისა და შეუპოვარი მებრძოლი რაინდის ვარდოსანიძის „გატყდომის“ დროს მოეგონებინა ეს ამბავი?

მიზანი ცხადია: ჯანსაღი სიცოცხლის სიყვარული თვისებაა ადამიანის სულისა. რამდენი თეორიაც არ უნდა ჩამოაყალიბოთ სიცოცხლის უყოყმანოდ გაწირვის აუცილებლობის შესახებ, რამდენჯერ და რამდენადაც არ უნდა დაარწმუნოთ თავისთავი იმ „ანბანურ ჭეშმარიტებაში“, რომ საკაცობრიო, საერთო იდეებისა და უკეთესი მერმისისათვის აუცილებელია სიცოცხლის გაწირვა. საკმარისია წინ აგეტუზოთ სიკვდილი, რომ მთელი ეს წინასწარ შემუშავებული მორალური სენტენციები დაიმსხვრეს, თუ ადამიანს დაფიქრების დრო და საშუალება ექნება. რატომ ხდება ეს? სიცოცხლე ბუნებრივი თვისებაა სულის, მასთან შენივთებული, მისი ორგანული ნაწილია. „აი, ასეთია სიკვდილი — ეს შავი და რთული მოვლენა.“ არასოდეს არ შეიძლება „ობიექტური“ მსჯელობა მის შესახებ, მისი განსაზღვრა, როცა ჯერ კიდევ შორსაა, ან სხვის კარებზეა დაჩოქილი. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ჯეირანის საბრძოლო ენერგიაში, როცა ის ამბობს: „შორიდან უბრალო რამ მეგონა სიკვდილი, მაგრამ რამდენადაც პირისპირ ვუდგები მას, რამდენადაც ვუახლოვდები და ვგრძნობ მის ცივ ჭშენას, იმდენად ვრწმუნდები, რომ ის ზედმიწევნით რთული ყოფილა, უფრო რთული, ვიდრე თვით სიცოცხლე, მისი მრავალფეროვნებითა და სხვადასხვაობით.“ („სახრჩობელის წინაშე“). ჯეირან ვარდოსანიძე აღიარებს, რომ „სიკვდილი ახირებული რამ არის... სულ სხვა ხრიკი...“ მივიდა თუ არა იმის კარებთან, მიადგა თუ არა მკერდით მას, სანამ კარს გააღებდა, დაფიქრდა და გამოდგა, რომ „ის რაღაცა მეტი ყოფილა იმაზე, რაც ეგონა.“ მწერლის აზრით, მხოლოდ მაშინ შეუძლია ჯანსაღ ადამიანს სწორი წარმოდგენა იქონიოს არაბუნებრივი სიკვდილის რაობაზე, როცა თვითონ დადგება მის წინაშე. მაშინ, მხოლოდ მაშინ გაიგებს ის, თუ რა ძნელი ყოფილა „გეთსიმანიის მწვანეზე მუხლის მოდრეკა“, როცა ირგვლივ ყველას სძინავს“ და ღამის დუმილში ბეჯითი, ამაყი სიტყვების თქმა: აღსრულდეს ნება შენი, მეუფეო!“ („სახრჩობელას წინაშე“).

„მართალი ხარ შენ, დიდებულო გიოტე, ჩვენ არ შეგვიძლია მიუდგომელი ვიყოთ!“ — წამოიძახა ჭოლამ მთელი ხმით („საპყრობილეში“). აქაა მოცემული სიკვდილ-სიცოცხლის ჭოლასეული გასაღები, მისი ღრმა რწმენით, საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას არ ძალუძს ობიექტური იყოს.

„სიყვარული ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, ის სჭირდება

კაცს, როგორც საჭმელი. რომელი ჭკუათმყოფი იტყვის აბა—რაკი ესა დაეს მასალა საჭმლისა არ არის, მეორე არ იხმაროო!... არა, ვერც ქალი შეძლებს ამდენ ლოდინს, მით უმეტეს ვერც კაცი... — ვისაც ვინ უყვარს, მას უნდა გაჰყვეს, რაც უფრო ძლიერია სქესობრივი ლტოლვა, მით უფრო ჯანსაღია მომავალი თაობა," — ასე მსჯელობს შეგნებული სოციალ-დემოკრატი გიორგი ადამაშვილი და, როცა საქმე ამხანაგსა და ამხანაგის ცოლს ეხება, ვერც კი წარმოუდგენია სხვაგვარად მსჯელობა, მაგრამ აი, აცნობა საკუთარმა ცოლმა, რომ მას „სხვა შეუყვარდა" და... და გამოირკვა, რომ ასე მარტივი არ არის ეს საქმე, რომ „ორჯერ ორი ყოველთვის არ არის ოთხი." შეეხო რა „საკუთრად მას," მის საკუთარ ცოლს, გიორგისთვის მოხდა არაჩვეულებრივი .რამ... „იძრა მიწა" („ძე კაცისა").

„შიშია ეს?" — კონკრეტულად დააყენა ჭოლამ საკითხი და უპასუხა: „არ ვიცი, შეიძლება შიშია, შეიძლება არ არის შიში." ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლობის უფლება არა აქვს არცერთ კრიტიკოსს, ვინც კი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებას განიხილავს. და აი, კრიტიკოსები ერთხმად დაასკვნიან, რომ სწორედ „შიშია ეს," .რომ „წვრილბურჟუაზიული" წუწუნი, მებრძოლი რევოლუციონერის უკანდახევა და დაცემა, პესიმიზმი და ბრძოლის ველიდან გაქცევაა ეგი.

ჩვენის აზრით, აქ სიცოცხლისაკენ მომწოდებელი ზარის ხმა უნდა გავიგონოთ, და არა დაცემული მებრძოლის კვნესა, რაინდი უნდა დავინახოთ, და არა შვილდდახრილი მხდალი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჭოლამ ერთმანეთისაგან განასხვავა ორგვარი სიკვდილი: ბუნებრივი და არაბუნებრივი, გარკვევით აღიარა ბუნებრივი სიკვდილის სილამაზე და მშვენიერება, რომ ასევე აღტაცებით და სიხარულით ეგებებოდეს ის სიცოცხლის გაქრობას, უდროო სიკვდილის მოახლოების წუთებს, განა ოპტიმიზმი და რევოლუციური შემართება იქნებოდა ეს? ნუთუ სადაოა, რომ სწორედ ის არის პესიმისტი, ვინც ადვილად სთმობს „ცით ბოძებულ ნიჭს" — სიცოცხლეს? ეღირებოდა კი ბრძოლა სიცოცხლისათვის, რომელიც იმდენად გაუფასურებულია და საზარელი, რომ მისი გაქრობის მოახლოება არ იწვევს სევდასა და ნაღველს, კვნესას?! რად უნდა იბრძოდნენ კაცობრიობის პროგრესული ძალები იმისათვის, რომ მომავალში ერთი არ კლავდეს მეორეს, არ გზავნიდეს შავ მიწაში ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ ორგანიზმს, თუ იმ ქვეყანაში გადასვლა აღმაფრთოვანებელია და არა ამაზრზენი? ჭეშმარიტად

გაუგებარია და საოცარი, რატომ მოითხოვენ ჭოლას ებრძოლი გმირებისაგან ამ ქვეყნიდან უდრტვინველად, ტაშის ცემით წასვლას!

აქ არ თავდება სიკვდილ-სიცოცხლის ჭოლასეული გაგება. ის უფრო ღრმად იჭრება სიკვდილის საიდუმლოებაში, მწერალი ძალდატანებითი და უდროო სიკვდილის უარყოფის თეორიას აერცელებს არა ცოცხალ ბუნებაზე და თავისებური კუთხით უახლოვდება ვაჟას. „მას შემდეგ ხორცი არ მიჭამია, — წერს პოეტს უცნობი, რომელსაც დედ-მამამ დაუკლა ძმასავით შეზრდილი მეგობარი თიკანი, — და როცა შენი წერილები წავიკითხე, ახლა მე მსურს, შენ მოგწერო ამის შესახებ. აი კაცის კვლის წინააღმდეგ ხარ და ქებადიდება შენ, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ქათმს ჰკლავენ შენს გასაძღომად, ძროხას კლავენ? მწვადი მცვრიანი გიყვარს?“ („წერილი“).

მეფის სათათბიროში ყოფნის დროს ჭოლა ლომთათიძეს შეეძლო უშუალოდ გაცნობოდა ილ. ჭავჭავაძის სიტყვას ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ სიტყვის გავლენით წერს „წერილს“, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი ყურადღება ამ საკითხზე წერის ორგინალობამ არ მიიპყროს. ჭოლა არა მარტო აყალიბებს თავის მოსაზრებებს საზოგადოდ მოკვლის წინააღმდეგ, არამედ ხატავს ცოცხალ სურათს: „წერილის“ ავტორი-მკითხველი ირწმუნება, რომ მან თიკნის დაკვლისას გარკვევით გაიგონა შველის მთხოვნელი ხმა — „მიშშ...“. უფრო მეტიც, იგი მზად არის დაგვიფიცოს, რომ გაიგონა თავისი სახელიც. როცა შეჩვეული პირუტყვის დაკვლის არაერთხელ ნახულ სურათს წარმოვიდგენთ, მზად ვართ დავიჯეროთ ყოველივე ეს, ასე მხატვრულად გამოთქმული პოეტის მიერ.

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მთლიანობაში წარმოდგენის საკითხში ჭოლა ლომთათიძე უსათუოდ ენათესავება ვაჟა ფშაველას. „წერილის“ ავტორის აზრების შორეული ნათესაობა მინდიას („გველის მჭამელი“) აზრებთან ძნელი შესამჩნევი არ არის.

ამგვარად, ჭოლა ლომთათიძემ სიკვდილ-სიცოცხლის „მარადთავსამტვრევი“ კითხვის ღრმა წვდომა გვიჩვენა, დაგმო ადამიანთა ძალდატანებითი. არაბუნებრივი სიკვდილი, დიადი ჰიმნი უმღერა სიცოცხლეს და თანამებრძოლთ ამ უკანასკნელის დაცვისაკენ მოუწოდა. მისი მართებული გაგებით, ცდებიან სიკვდილზე შეყვარებული დეკადენტები, ამ ქვეყნიდან გაქცევაში რომ ეძებენ ხსნას.

„აი, სისულელე და სიცრუე! — წამოიძახებს პოეტი მათი მოწოდების პასუხად, — რა უნდა დაანახვო სიკვდილს, როცა ის ბრმაა,

რა უნდა უთხრა მას, როცა ის მუნჯია და რას მიხვდება, როცა ის უგრძნობია? რა უნდა უთხრა მას, როცა ის სიკვდილია? არა! სიცოცხლეს სალამი, სიცოცხლეს გაუმარჯოს, მან გაიგოს ყველაფერი, მან შეაღოს საიდუმლო კარები, მან ჩაიხედოს გულში და მან განსაჯოს ყოველივე. ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ! სიცოცხლისაკენ გასწიოს ყველამ, ის გაამდიდრეთ, ის შეამკეთ, ის შეაყვარეთ ყველას! დეე, ნუ დაამძიმებს ის ნურავის, დეე, ნუ იხილავს ის ცრემლებს ცოცხალთა! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ! იქ ყველაფერი კარგი უნდა იყოს, ის უნდა მოეწყოს, მოწესრიგდეს! მაშ, ასწიეთ, მაღლა ასწიეთ, დროშა სიცოცხლისა და ბრძოლა სიკვდილს! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ, ამხანაგებო, დაუტოვეთ სიკვდილი მკვდართ. ასწით, მაღლა ასწით ზარი სიცოცხლისაკენ მომწვეევი და მედგარად, ამაყად შემოჰკარით მას, შემოჰკარით მას, რომ ყველამ ისმინოს, ყველამ გაიგოს, ყველამ იქეთ ჰქნას პირი! ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ და ბრძოლა სიკვდილს!“ („სახრჩობელას წინაშე“).

დეკადენტები და სიმბოლისტები სიკვდილის სილამაზეზე, სიკვდილის მშვენიერებაზე, სიკვდილისაკენ ლტოლვის მომხიბვლელობაზე ღაღადებდნენ; ჭოლამ კი გამოთქვა ღრმა სევდა ცუდად მოწყობილი საზოგადოებრივი ცხოვრების გამო, სადაც სიკვდილი თავისუფლად თარეშობს; ესაა სიცოცხლის სიყვარული და ბრძოლა ცხოვრებიდან გაქცევის უცილებლობის მომღერალთა წინააღმდეგ.

აი როგორ გადმოგვცა სიცოცხლის მძაფრი სიყვარული, ეს უაღრესად ბუნებრივი, ადამიანური გრძნობა, სიკვდილმისჯილმა ტუსაღმა:

„და მე შემიპყრო გიჟურმა სიყვარულმა — ცოცხალი ვარ! ცოცხალი ვარ! სიცოცხლე. მინდა და სხვა არაფერი!... სიცოცხლეს ხომ მხოლოდ ერთხელ განიცდის ადამიანი, მხოლოდ ერთხელ! ნუ მართმევთ სიცოცხლეს, ის ისეთი მშვენიერებაა! ყველაფერი ფეხებზე მკიდია, მხოლოდ სიცოცხლე დამანებეთ, დამანებეთ ვისუნთქო და მშვენიერებას ვუცქირო“... („თეთრი ღამე“). ჭოლას აზრით, სიცოცხლის გაიაფებამ, ადამიანის „მე“-ს გაბიაბრუებამ გამოიწვია სწრაფვა ირეალური „ბედნიერებისაკენ“ რეაქციის პერიოდში:

„ეჰ, ახლა მესმის მე ის ვაკხანალია, ის გარყვნილი ქეიფი, რომელმაც მოიცვა საზოგადოება რეაქციის შავ დღეებში... და მე მრცხვენია“, — ამბობს ის („თეთრი ღამე“).

ჭოლა ღრმად აკვირდება ადამიანს, ეძებს ადამიანის სულის დაბოშებისა, გარყვნილებისა და ცხოვრების უარყოფის გამომწვევ ობიექტურ ძალებს. მისი გამორკვევით ადამიანის სულიერ დაცე-

მაში დიდი წილი უძევს სიკვდილის წინაშე შიშს. ამიტომ დაბეჯითებით ამბობს: „მე მეშინია შიშის, მეშინია შიშის იმიტომ, რომ ის სტიქიურია, მეშინია იმიტომ, რომ ვფიქრობ ოდესმე უალაგო ალაგას მომაკწრებს ის, მომწყვეტს წელსა და მიწასთან გამაკწორებს“... ამ შიშმა ნაწილობრივ მოუსწრო მებრძოლს რეაქციის დროს, როცა „ერთ საღამოს დასწვეს სადგური ნატანები“, მეორე საღამოს ოზურგეთი აინთო და გურია განათდა“, როცა გურიის ღამეებმა ცეცხლის თვალებით დაიწყეს ცქერა“, როცა მან და მისმა მეგობარმა ცილი დასწამეს უშიშარ რევოლუციონერ გურულ გლეხს სანადირაძეს. ბუნების საზიზღარი მოვლენა, ადამიანის დამახინჯებელი, კაცობრიობის ნათელი აზრის მტერი — შიში დაეუფლა „მურავიოვის ჰალსტუხებით დამშვენებულ“ ერს და წარმოიშვა სიმბოლიზმი, დეკადენტობა. ასეთია ჭოლას დასკვნა

სიკვდილის შიშით შეპყრობილი დეკადენტები და სიმბოლისტები რეაქციის დროს „გარყვნილ ქეიფს“ მიეცნენ, ისინი უარყოფდნენ სიცოცხლეს, ამქვეყნიურ ყოფას აცხადებდნენ მოჩვენებად და ზმანებად იმ ქვეყნისა; ქადაგებდნენ ცხოვრებიდან გაქცევას და ა. შ. ჭოლა კი ამქვეყნიური ცხორების მოუწესრიგებლობის გამო გამოთქვამს სევდას, დასტირის ჯალათების ხელში ჩავარდნილ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა ბედს, ილაშქრებს ადამიანის ტანჯვა-დახრჩობის წინააღმდეგ და სიცოცხლისაკენ მომწოდებელ ზარებს რეკს ორივე ხელით, მთელი ენერგიით. ესაა რწმენა ადამიანის მომავლისადმი და არა პესიმიზმი, რეალიზმია და არა სიმბოლიზმი, პროგრესული მისწრაფებაა და არა დეკადენტობა.

„იმათ სწერონ ლექსები და პოემები, იმას სთხოვონ მოწყალება გამარჯვებულთ... ეს იმათი საქმეა — შეუნდევით დანაშაული, ნუ წაართმევთ ადამიანს სიცოცხლეს!.. იმათ აქციონ სიკვდილით სასჯელის გაუქმება ზნეობრივ საკითხად, მოწყალების გრძნობაზე ააშენონ თავიანთი მოთხოვნილება. ბურჟუაზიულმა შარლატნებმა იარონ და იმოქმედონ აგრე, მე კი მოვკვდები, როგორც დამარცხებული სოციალისტი.. ჰე, ჯალათო, მზათა კისერი.“

ჯერარ ვარდოსანიძის (და თვით ჭოლა ლომთათიძის) მოწამებრივი და გმირული სიკვდილი ბედნიერი სიცოცხლისათვის ბრძოლისას, სამშობლოს მერმისის ღრმა ოპტიმისტური რწმენით მისვლა პირდაღებული სამარის კართან, უაღრესად თვალსაჩინო დოკუმენტია იმის დამამტკიცებელი, რომ ჭოლას შემოქმედებაში „წვრილბურჟუაზიულ წუწუნთან“, ცხოვრებიდან გაქცევისა და ბრძოლის უარყოფის ცდებთან არა გვაქვს საქმე, რომ სიკვდილ-სიცოცხლის დრამას ჩვენი პოეტი უყურებს თავისებურად და ამ აზებედით კითხ-

ვან სიცოცხლის სასარგებლოდ წყვეტს, რევოლუციური თვალსაზრისი შეაქვს მასში, ასაბუთებს, რომ სიცოცხლე ადამიანებმა ბრძოლით უნდა დაიცვან მოძალადეთა ხელყოფისგან.

ჭოლა ლომთათიძის გაგებით, ბუნებასთან და მის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ფაქტორთან, დროსთან, შედარებით საცოდავად მოჩანს თვით „ყოვლის შემქმნელი ხელთალმპყრობელიც კი," თუმცა სიცოცხლის დაცვის ბუნებრივი ინსტინქტი ზოგჯერ მასთან კავშირსაც კი ამართლებს.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა შემდეგი სცენა: მომაკვდავმა დედამ მოაგონა ქოჩორა ბიჭს „განკურნების ერთადერთი გზა" — ლოცვა. „გამიკვირდა, რომ ეს უებრო საშუალება ამდენხანს არ მომგონებია... ისე მწამდა ღმერთი, ისე მიყვარდა და ერთხელაც არ გამივლია აზრად, დედაჩემის შესახებ შეეკედრებოდი... უნდა ვილოცო, უნდა ვთხოვო!.."

ბიჭი გაშოვიდა გარეთ და მიაშტერდა ზეცაარსის ცამყოფელს! „უთვალავმა ვარსკვლავებმა" გაუღიმეს, ცომცმით ანიშნეს— ელოცა. „აურაცხელი თვალებით მიცქერდა ზეციდან ანგელოზთა გუნდი,. ჩვენ რომ ვარსკვლავებს ვეძახით, მიცქერდა და მეუბნებოდა:

„ილოცე, ბავშვო, მაღლით ყურს გიგდებს
ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი,
წვეთ-წვეთად ითვლის შენს წმინდა ცრემლებს,
არ დაგეკარგვის მასთან არცერთი!"[128]

ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ხელგაშლილი დავეცი მუხლებზე. ღმერთი რომ მართლა იყოს, იმდამინდელი სურათით იამაყებდა, თავს მოიწონებდა, არაფერი მსგავსი მას შემდეგ არ გამომიცდია, ასეთი გატაცება არ მახსოვს, მე ხომ ის საკუთარი თვალით დავინახე. ის სულ ახლოს მოვიდა ჩემთან, მე ვამჩნევედი იმის თვალებში ცრემლს, ის მიცქერდა და თავს მიქნევდა...

— ოჰ, მუდამ, მუდამ შენი ყმა ვიქნები, შენი მონა, მომირჩინე დედა! ჩემს უკან მოშორებით კი ისევ ისმოდა: „შვილო, დედა! დედა! შვილო!

— ბებია, სუ, ნუ სტირი, მორჩება დედა... მე ვიცი, მორჩება! — მინდოდა დამეძახა, მივსულიყავ მასთან და სახლში წამეყვანა, ყველაფერი მეამბო, რომ უცებ შევკრთი... სახლში საშინელი ყვირილი და ჟრიამული ატყდა, ღრიალი და კივილი ტრომპანეთში ჰირია, საიდანღაც ყმუილით წამოიჭრა ნაძინარევი ძაღლი და შეშინებუ-

---

128 ეს ლექსი სათაურით „ილოცე, ბავშვო" აკაკის ეკუთვნის.

ლი ყეფით ჰიშკრისკენ გაიქცა, მეზობლების ძაღლებიც აყეფდნენ, ყველაფერი შეირხა, შეწრიალდა.

დიდხანს, დიდხანს შემდეგ შეველი სახლში, მოველი ლოგინთან და დაეიძახე:

დედა! დედა! დედა!

მაგრამ უძრავი იყო დედაჩემი!!.. („სახრჩობელას წინაშე").

ვრცლად მოვიყვანეთ ჩვენ ეს ადგილი, როგორც ყოველდღიურის, უბრალოსი და ჩვეულებრივის პოეტური ხილვის შესანიშნავად გადმოცემის ნიმუში, როგორც ბუნების სიდიადისა და „ყოვლის შემქმნელი ღმერთის" არარაობის „თვალსაჩინოების მეთოდით" დასაბუთება.

ასეთია ყოვლის მომწყვლელი და ყოვლისმომცველი დრო თავისი ფორმებითა და კატეგორიებით ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებით ფილოსოფიაში გააზრებული. მაგრამ სრული არ იქნებოდა მისი დახასიათება, თუ არ აღვნიშნავდით ერთს: დაუმორჩილა რა ყოველივე უსაზღვრო და უნაპირო დროის კატეგორიას, ჭოლამ დაიტოვა ერთი რამ, ერთი წმინდათა წმინდა ცნება, — დაუმორჩილებელი დროის მიერ—ენერგია მარადუკვდავი, ყმაის ურჩი და უძლეველი. ეს ენერგია, ეს ძალა მამულისა და სამშობლოსადმი სიყვარულია, ადამიანის კეთილ ნებასა და სათნო გრძნობებში ჩაქსოვილი.

„ტყუილი უთქვამთ.. რაც გშორდები, უფრო ახლოს ხარ,
და რაც დრო გადის, ატყვევებ ჩემს გულს;
ტყუილი უთქვამთ, თითქოს კლავდეს დრო და მანძილი
ერთხელ ანთებულს, ერთხელ შობილს გულში სიყვარულს".

—ასე მიმართავს ჯამშობლოს ჭოლა.

მისი განმარტებით, ვისაც ეს ლექსი უძღვნა, აღარ არის ის, რაც იყო ოდესღაც, აღარც ავტორია ის, რაც მაშინ, ამ ლექსის შექმნისას იყო, მისგან დარჩა „მხოლოდ ლექსის ნაწყვეტი", მაგრამ ისევ არის და „ყველაფერი მის გარშემო ისევ ისე დიდებულია იქ, „იმის" სამშობლოში.. ისევ ჰყვავის იქ ვარდი და ია, ისევ ჩქეფს ამაყი და გიჟი მთის მდინარე, ისევ დასცქერის მას უზარმაზარი მთა, ყველაფერი ცოცხალია..." და მარად ცოცხალი იქნება სამშობლო, სიყვარული სამშობლოსადმი, — მსახერალი დროის ხელმიუწვდომლად არსებული და პოეტის ოცნებაში უძლეველად წარმოსახული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ჭოლას შემოქმედებაში განსაკუთრებული პოეტური ფერებითაა ჯახული ბუნების ის საგნები და მოვლენები, რომელნიც ადამიანის კეთილ ნებას ზრდიან და სასურველი მიზნისაკენ წარმართაენ.

მათ შორის უწინარეს ყოვლისა, ვხედავთ ჩვენ რევოლუციური ბრძოლის ამსახველ ბუნებრივ მოვლენებსა და საგნებს. რასაც ირონიონ ევდოშვილისათვის წარმოადგენს გრიგალი ან ქარიშხალი, იგივეა პოლასათვის ზღვა და ტალღა.

პოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ტალღა სიმბოლური სახეა რევოლუციური ბრძოლისა და შემართებისა, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა და შეუპოვრობისა. პოეტი ბედნიერად გრძნობს თავს, როცა „ტალღა ტალღას ეჯახება, ღელვა მატულობს და მისი მედგარი ხმა მკაფიო გუგუნით იფანტება ჰაერში, ამოძრავებს გაჩერებულ სივრცეს და სადღაც შორს შავი და მიუვალი ხეე-ხუვი აძლევს მას ყრუ გამოძახილს". („ტალღები"). იყო დრო, როცა სძაგდა ის პოეტს, რადგან არ ესმოდა მისი ფასი, არ იცოდა, რომ, რაც უფრო ძლიერია ტალღა, მით უფრო მეტი რიოდენობით გამოაქვს ნაპირზე სიბინძურე. ტალღის გამოჩენისთანავე ჰქრება სიმშვიდე და სიწყნარე, ერთ ადგილზე გაყინვა და რუტინა. „რას ამპირებთ?" — ეკითხება პოეტი მყუდროებას ტალღის დანახვისთანავე. — არაფერს, — ღებულობს პასუხად და აღტაცებით წამოიძახებს:

„მადლობა უფალს! ინსაც მოვესწარი, რომ ყოვლისშემძლემ თავის სისუსტე აღიარა! მე კინაღამ მოვიხარე მუხლი ტალღების წინაშე. ოჰ, დიდებულო ტალღავ, რა მიყვარხარ შენ! მოდი სანატრელო!" მყუდროება, სიმშვიდე და კმაყოფილება მოძრაობის, წინსვლისა და განახლების საპირისპირო მოვლენებია, ზღვისა და ტალღის მტრებია. აი როგორი ეპითეტებით „ამკობს" პოეტი კმაყოფილებას:

„კმაყოფილებავ", შე წელკავო კაცობრიობის, მოსისხლე მტერო კეთილშობილთ გულისტკივილთა, სატანის შვილო, მომწყმვლელო ჩვენი ცხოვრების, შავ ძალთა მიერ ამა ქვეყნად წარმოგზავნილო ღვთის დიდი მცნების — სიყვარულის შესამსხვრავად, შენ დაავიწყე დიდებულ ზღვას დიდი მიზანი — დედამიწისთვის მიეწვდინა სასმელი წყალი". („ზღვა").

რით დაიმსახურა პოეტის ასეთი წყრომა „კმაყოფილებამ?" მან დაავიწყა თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა „ზღვას, მედგარს, ძლიერს, ჰოუსვენარს, მუდამ მღელვარეს." იგი მიეპარა ზღვას და ტკბილი სიტყვებით უჩურჩულა: „რა გენაღვლება, რატომ იწუხებ, შე საბრალო, ასე ძლიერ თავს, შენ რა დარდი გკლავს, რომ ქვეყანას წყალი სჭირია?... შედექი ერთი, დაანებეთ თავი ღელვასა..." დაუჯერა ზღვამ დამამდაბლები სიტყვები, „თვლემას მიეცა ყველაფერზე ხელაღებული, დაწვა გულალმა, დედამიწას აქცია ზურგი". შედეგი?

„მიჰქრა საცოცხლის ჟრიამული ბედშავ მიწაზე. ტიალ უდაბნოდ გადაიქცა ქვეყნიერება. აღარ ისმოდა მასზე არც კვნესა უბედურთა და არც კისკისი ბედნიერების".

„ქმაყოფილება" ბოროტი მტერია კაცობრიობის, მისი პროგრესის, მღელვარე ზღვა — ნათელი სახეა მებრძოლი ბუნების, მაგრამ იგი მოძრაობაში უნდა მოიყვანოს ცოცხალმა სიტყვამ, ააჩოქმედოს და ააშოძრაოს საზოგადოებრივი ყოფის სასარგებლოდ. ეს ცოცხალი სიტყვა მართალი რევოლუციური სიტყვაა, გაყინვისა და შეჩერების დაუძინარი მტერი და მარად წინმსრბოლი. ამიტომ მიმართავს ვას მგოსანი:

„ცოცხალო სიტყვავ. ქმაყოფილთა მოსისხლე მტერო, სად იყავ, სადა. დიდებულო მშვენებავ კაცთა, რომ არ აუწვი ზღვას სირცხვილით შუბლისა კანი?" „სიწითლე სირცხვილისა" ცხოვრების კანის ულამაზესი პერანგია, საძირკველია პატიოსნების, გამნათებელი „სინდისის საკვალი გზისა", იგი „კარგი შვილია ცოცხალ სიტყვის". „ქმაყოფილებამ" — დააძინა რა მღელვარე ზღვა, დაამარცხა ის — „სანატრელი მერცხალი ცისა".

ზეცის მნათობმა მთვარემ „მოიყვანა გონზე" ზღვა, ჩაანათა სიღრმეში და დაანახა უმოქმედობის გამო იქ დაგროვილი „სიბინძურე და სივაგლახე". შეკრთა ზღვა, შეიძრა, ამოძრავდა, აბობოქრდა, „წელში გასწორდა, გაიწია, გაიზმორა, შეანძრია მძლავრი ფაფარი... ნაპირებს მიაჩქეფა თავისი წყალი... ამოყარა მისი სიღრმიდან, რაც სიბინძურეს მოეყარა ძილის დროს თავი, უბრძანა ტალღებს — გაეტანა ის ნაპირს გაღმა". დარცხვენილმა ზღვამ, რომ დღის სინათლეს არ ენახა ძილის დროს დაგროვილი ნაგავი, ღრუბლებს სთხოვა გადაფარებოდა, ასეც მოხდა. ის ამოძრავდა, გაიწმინდა და მისი გული „ერთხელ ბუდე სიბინძურისა" იქცა „წმინდა ნავად სიყვარულისა".

უმოქმედოდ გაწოლილი ზღვა — სიმბოლური სურათია თვითმპყრობელური რუსეთის მოდუნებული ცხოვრებისა. რევოლუციურ აბობოქრებას, რევოლუციის გზით სოციალური და ეროვნული განახლებისადმი ლტოლვას გამოხატავს ზღვა, — ფაფარაშლილი და თვითგამწმენდელი, ტალღის ტალღაზე დამჯახებელი.

ჰოლა ხშირად უპირისპირებს მოძრავ ბუნებას — მოდუნებულ საზოგადოებრივ ყოფას. მისი მღელვარე სული მოითხოვს ზღვასავით ღელავდეს მშობელი ქვეყნის ჩაგრული ხალხი. მას, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ჩასულს ფოთში, ქალაქის მყუდრო ცხოვრება ზღვის ღელვასთან შეუთავსებლად ეჩახება. მე — ამბობს ის, — ყოველთვის სიზმარი მეგონა შავი ზღვა №-ის განაპირას, სიზმარი მგონია ახლაც. რაღაც არ შეეფერება №-ის მოდუნებულ

ყოფას მისი სიგიჟე და სიმარდე... დიდებული რამ არის აქ ის, როცა გადაიყრის აქეთ-იქით თავის ფაფარს, გაწვება გულალმა და სპეტაკ ტალღებზე სხივებს ათამაშებს. შეუდარებელი რამ არის ის თავის მრავალფეროვანებით და შეუფერებელი №-ის ერთფეროვნებასთან. მე ყოველთვის სიზმარი მეგონა ის აქ, №-ის განაპირას, მოჩვენება, ოცნება მეგონა და მგონია ახლაც". („საპყრობილეში"). „თეთრ ღამეში" აბობოქრებულ ტალღას პოეტი ამკობს სასიყვარულო ეპითეტით („ვაჟკაცი"), მის ხმაურში ის მსოფლიოს სალამს ისმენს და უახლოვდება თვით ღმერთსაც კი.

„კეკლუცი მთვარე ნაზი ღიმილით
სხივებს მიბნედილს აფენს დიად ზღვას,
ვხედავ, ხელებს შლის ტალღა ვაჟკაცი,
რომ გულს ჩაეკრას მეორე ტალღას!
თვალ გადაუწვდენ უძირო სივრცეს
შეჯიბრებია ოკეანე ცის...
ზვირთთა შრიალში, ვარსკვლავთ ცქრიალში
თითქოს მსოფლიოს სალამი მესმის.
შორს, შორს მიტაცებს ოცნების ფრთები,
ასე მგონია ახლოს ვარ ღმერთთან,
გული კი მაინც მარტოობას გრძნობს,
ჩემო სულიდგმავ, შენ არ ხარ ჩემთან".

1905 წლის რევოლუციური აზვირთების მზადებისას ჰოლა ლომთათიძე გონების თვალით იცქირებოდა წინ და შორიდან ელოლიავებოდა ზღვის ტალღებში შეცურებულ ნავს, რომელსაც თავისუფლების სიყვარული უიალქნებდა, წაიყვანდა წმინდა იდეალისაკენ — მომავალი სოციალისტური საზოგადოებისაკენ.

— „ხომ გახსოვს, ჩემო, ერთი ნავით რომ მივცურავდით ზღვის შეუპოვარ ბომღელვარე სასტიკ ტალღებში და სიყვარული, იალქნობდა რა ჩვენსა ნავსა, ღონეს გვაწვდიდა სტიქიონთა მწარე ბრძოლაში და ჩვენი ნავი დაუვიწყარ სიყვარულისა, დიადთა აზრთა, დიად მიზანთ მატარებელი, გახსოვს, მერცხალო, რა ნანინას გვეუბნებოდა?". („კვლავ ფიქრი, ფიქრი").

ამ ნაწარმოებში ხედავს ის ცხოვრებიდან გაქცეულთ, მომავალ დეკადენტებს და სიმბოლისტებს. მან იცის, რომ ბრძოლაში იქნება შეირყეს „წმინდა ნავი სიყვარულისა", რომ იქნებ ბევრმა ვერ გაუძლოს სასტიკ ბრძოლებს, ჩამოსცილდეს, ან ზღვის უფსკრულში გადაიჩეხოს, მაგრამ ის მზადაა თუნდაც მარტომ განაგრძოს ბრძოლა, ეკლიანი ბილიკი არ გასცვალოს „ვარდით ფენილ" ფართო შარაზე. აი

როგორ მიმართავს ის წინასწარვე „სატრფოს“, რომელიც დღეს იბრძვის, მაგრამ შეჰხაძლოა მომავალში ვერ გამოიჩენს სულის სიმტკიცეს და ბრძოლის ნარ-ეკლიან გზას ადვილად გაცვლის ტკბილ ცხოვრებაზე.

„მერმე ხომ გახსოვს, ერთი ტალღა რომ დაგვეჯახა და შეარყია ჩვენი ნავი სიყვარულისა, შენ იმა ტალღამ ზღვის უფსკრულში გადაგიძახა და შთანგთქა მძლავრმა ზღვისა დენამ, სატრფოვ გულისა.

და აი მაშინ, მაინც კარგო, ამაღე ხელი, მარტო-ღა შევრჩი იმ ოცნებას და სიმღერასა, მარტო ღა ვიბრძვი, ნავზე მარტო მიტოვებული. მაგრამ იმედი მაინც არ სწყვეტს სიმთა ჟღერასა, დიდი მიზანი სიყვარულის ნავში მჯდომარეს, დღესაც ლამაზი, მშვენიერო, მინათებს სვლასა, და, დამერწმუნე, ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში — მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა“.

სულის სიმტკიცე, შეუპოვარი სვლა დახახული იდეალისაკენ და ქვეყნისთვის ტანჯვა ყველას როდი ძალუძს, ის გესლია სულმდაბალთათვის, ხოლო გოლგოთისაკენ მიმავალ გმირთათვის გვირგვინი:

„დაე, ვიტანჯო, ამა ქვეყნად ვინ არ ტანჯულა, თუ სიყვარულზე გაფურჩქვნილა მისი მიზანი, ეს გვირგვინია გოლგოთელთა, ეკლის გვირგვინი — გმირთათვის ძალა, სულმდაბალთა გესლია შხამი.“ („კვლავ ფიქრი, ფიქრი“. 1903 წ.).

ადამიანთა საზოგადოებასთან შეღარებით ბუნების სრულყოფილობის, თავისთავადობისა და სიდიადის აღიარება, უარყოფა იდენტობის, რასაც რეალისტები ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებას შორის ხედავდნენ, ჭოლა ლომთათიძეს ხელს არ უშლის გამოთქვას აღტაცება ბუნების იმ მოვლენებისადმი, რომელნიც ადამიანში ბრძოლასა და სიხარულს იწვევენ (ტალღა და ქარიშხალი, სინათლე და სილამაზე, დღე, მზე), ხოლო ანტიპათიით განიმსჭვალოს ბუნების იმ მოვლენებისადმი, რომელნიც ადამიანის სულს აჯინებენ და ამძიმებენ (ღამე, შიში, ქარი, სიცივე, ზამთარი, ფოთოლთ ცვენა და სხვ.).

უაღრესად ბუნებრივია ის აღტაცება, და მხატვრულობის თვალსაზრისით ადვილსაწვდომი, რასაც პოეტი გამოთქვამს საერთოდ სინათლისადმი. მისთვის სინათლე ღვიძლი შვილია განთიადისა, თავისუფლების შეცნობილი აუცილებლობაა, ხოლო სიბნელე — თვითმპყრობელური ჩაგვრისა და მონობის სიმბოლოა. ჭოლა კარგად გვიხატავს ეპოქას, როცა აგვიწერს თუ ზამთრის ბნელი ღამით გულშეწუხებული ადამიანები განთიადის მოლოდინში როგორ თავდავიწყებით იბრძოდნენ ბედნიერებისათვის, „მაგრამ ავი ღმერთი სიბნელისა, ღმერთი, რომელსაც დაეპყრო ბნელეთი, ხელს უშლიდა ამ კანო-

. ნიერ ცდას. ეზოში მიმალული ის ელოდებოდა სინათლის გამოჩენას, რომ იმას გაეღო კარი და შევარდნილიყო შიგ", „აქრე სანთელი, აქრე, მე მაინც ავანთებ მას", — ჯიუტად იმეორებდა გენიოსი — სინათლის ღმერთი „და სადაც კი სიბნელის ღმერთი, ხალხთა დასაჩაგრავად, მკვარებს აქრობდა, იქ... აჩაღებდა ცეცხლს... ანათებდა არა თუ შარტო ქოხს, არამედ ქოხს გარეთაც სწვავდა ხეების მწვერვალებს და იმათ ყინვისაგან გათეთრებულ ტოტებს აწკრიალებდა".

სინათლისა და სიბნელის ღმერთთა ეს შერკინება სინათლის ღმერთის გამარჯვებით და სიბნელის საბოლოო დამარცხებით დამთავრდა („აქრე სანთელი, აქრე, მე მაინც ავანთებ მას").

ჰოლას თქმით, მას შემდეგ რაკი ძე კაცისა გამტყუნდა, „დამარცხდნენ „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი", ბნელი უკუნი იცავს ქვეყანას, ეხსნება ფართო გზა ქვეწარმავალთა, კიდით კიდემდე გაისმის სატანის ჯოჯოხეთური ხარხარი". („ნაზარეველი აღსდგა").

გაზაფხული და მზე პოეტში სიხარულსა და სიყვარულის ნაზ გრძნობებს აღძრავენ, ჯანსაღ შედარებებს იწვევენ თვით სატუსაღოშიც კი. „ახლა გაზაფხულია, — ამბობს პატიმარი პოეტი, — მშვენიერი ბრჭყვიალა გაზაფხულის დილის მზე ისე უღიმის დედამიწას, როგორც დედის კალთაში ჩაგორებული, გამაძღარი, ჯანსაღი ბავშვი დედამისს. ახლა გაზაფხულია და ყველაფერი ისეა მორთული, როგორც გაზაფხულს შეშვენის." („უსათაურო").

სოფლის ლაზათიანი ბუნება, „ეს ფართო ველები, ეს მთები, ეს ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, მორცხვი კლდემამოსილი ყვავილები" პოეტში აძლიერებს სიყვარულის წმინდა გრძნობას, აძლევს მას სანუკვარი სახის უკეთ აღქმის საშუალებას. თუ სიბნელეში მისი სული კვნესის მონობისა და დაცემულობის შეცნობით შეპყრობილი, სამაგიეროდ „ბრჭყვიალა მზის სხივებში, ჩიტების ჭიკჭიკში, საკუთარი გულის ცემაში" შეცქერის იმ იმედებს და მომავალს", რომლითაც ხვალინდელი კაცობრიობა უნდა გაბედნიერდეს („უსათაურო").

ამ დროს ექსტაზში შესული პოეტი თავის მხატვრულ შემოქმედებასაც ბუნების მოვლენათა ზეგავლენით ხსნის:

„როცა პატიმრად მყოფს გაზაფხული მეწვია, „მერცხალმა რამდენჯერმე შემომძახა — შემოიჭღურტულა ჩემს ოთახში, პატიჟი დამიწყო, მტკვარი დათვრა და გიჟური ღრიანცელით მოაქანებს მღვრიე ტალღებს... ისიც მეძახის ფართო მინდვრებისაკენ... საჭირო იყო ყველა ამაებისათვის ყურადღება არ მიმექცია, საჭირო იყო რამეთი გამერთო აღრჩეული სული. ამიტომ დავიწყე წერა" („უსათაურო").

ბუნების მეჯლისში ჰოლა ხედავს ნეტარებას, სრულყოფილებას, კანონები და საზოგადოებრივი ნორმები, მისი დასკვნით, ადამიანს აცილებენ ბუნებრიობას, ამონებენ და აბეჩავებენ მას. რამდენადაც ძე ადამიანისა ამ ნორმებსა და წესებს ვერ იცნობს ბავშვობის ასაკში, იმდენად ახლოსაა ის ბუნებასთან, იმდენად ბედნიერია იგი. მას შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს არავის, იმღეროს, როცა მოესურვება, „წაიქცეს და გადაკოტრიალდეს“ როცა უნდა, გამოხატოს სიხარული შინაგანი მოწოდებისამებრ, მიუხედავად იმისა, შეიძლება თუ არა ეს ამ დროს, „ვიღაც კანონმდებლის მიერ“ დადგენილი ადათ-წესების თვალსაზრისით.

„აბა, კითხეთ ბავშვს, თუ რად გაიქცა, რად გაშალა ხელები და ჭკრიალა ხმით შეიძახა, როცა მინდორში გავიდა და ყვავილები დაინახა. აბა, კითხეთ, რათ წაიქცა ის და გადაკოტრიალდა, რად ეაუბრწყინდა მას თვალები. არც კიცხავთ ხომ და არც დასცინებთ!“ („უბის წიგნიდან“).

ადამიანი — შემქმნელი ოჯახის, საზოგადოების წესების და ნორმების დამდგენელი — იმავე დროს მონაა საკუთარი ქმნილებებისა, ამით სცილდება ის ბუნებას, ამიტომ არ არის ის მშვენიერ ბუნებასავით ბედნიერი და ლაღი იმ დღიდან, როგორც კი გასცდება ბავშვობის ასაკს და „დაჭკვიანდება“. „რად არ უნდა ვიყოთ, ჩვენ, დიდები, ისე როგორც ბავშვი, — სვამს კითხვას პოეტი, — რად არ სცინით პაწია ხუმარა კვიცს, როცა მხიარული ჭიხვინით ყრის ის კვინტებს, გადადის ბუქნას ბუქნაზე, დგება წინ ფეხებზე და შემდეგ მიფრინავს?.. რად არ სცინით ბავშვს, როცა ის გალობს შარა-გზაზე, რად არ უნდა ვიყოთ ისე, როგორც შაშვი, როგორც ფრინველი, როგორც ყველა სულიერი? რა მაკავებს ახლა მე, რომ სურვილი სისრულეში არ მომყავს?... მე მსურს ახლა ავიდე აი იმ მაღალ ხეზე, გადმოვაჯდე მის წვერში და გადავძახო იქიდან, რამე ლექსი ვთქვა, — რად არ შემიძლია მე ეს, რა მიშლის! მე მსურს გზა შევუკრა იმ პაწია რუს, შევგუბო წყალი, შემდეგ გავშალო ის და ყიყინით გავდიო მღვრიე ტალღებს. მე მსურს, ავაგო პაწია წისქვილი და ჩალის ბორბალი ავატრიალო — რათ არ შეგვიძლია ვიყოთ ისე, როგორც ბავშვი“?

მაშასადამე, ბუნებასთან შენივთებაში, შერწყმაში ხედავს ჰოლა კუდმოუკვეცელ, ვიღაცის მიერ დაკანონებულ წეს-ადათებით და ზნე-ჩვეულებებით დაუმძიმებელ ბედნიერებას. აქედან, გასაგებია, მისი სწრაფვა ბუნებასთან შენივთებისკენ. „ვიარო მინდა მე ახლა, ვიცქირო მინდა გარშემო, შევუერთდე მინდა ბუნებას, გავქარწყლდე, გავქრე შიგ, ნიავივით გავიფანტო“. ასეთია სრულყოფილი ბედ-

ნიერება, ბუნების სიმშვენიერით თრობა ჰოლა·ლომთათიძის გაგებით. ამ ბედნიერებისაკენ მოუწოდებს ბუნების მშვენიერებით მთვრალი პოეტი ადამიანებს, რომელთაც მარადპირმოქუფრული ყოფნა სიბრძნედ მიაჩნიათ და მხიარულება—სისულელედ:

„ეჰ, ძმებო, კეთილებო, მეგობრებო, ნუ დაგიშვიათ ცხვირები, არ არის სირცხვილი ცხოვრებით აღტაცება! არ არის სირცხვილი სიცილი და მხიარულება, არ არის სირცხვილი თამაში!“ ადამიანის ბუნებისაგან დაშორებას, დამონებას და სულიერ დაცემას უშუალო კავშირი აქვს თვითმპყრობელური წყობილების არსებობასთან, მაგრამ ეს კიდევ არ არის საბუთი იმისა, რომ ადამიანს ადამიანობა არ ეტყობოდეს: თავისუფლებას, წართმეულს მტერთაგან, გვიბრუნებს ჩვენი ქვეყნის ლაღი ბუნება, ჩვენი ქვეყნის მზე, იგი არ გვაძლევს უფლებას, ვიყოთ მოწყენილი, ცხვირდაშვებულნი: „რა დროს დარდია, სალამი, დიდება მზეს, რა დროს დარდია, ქებათაქება მზეს... გული იშლება, იფურჩქნება, გული ცელქობს...“ „რა ვუყოთ, რომ დღესდღეობით ცუდად გვაქვს მოწყობილი ცხოვრება, — განაგრძობს ჰოლა, — რომ ტანჯვა მეფობს ამ ქვეყნად, ჩვენ ხომ ვებრძვით მას! ჩვენ ხომ არ ვზოგავთ სიცოცხლეს, ჩვენ ხომ უკან არ ვიხევთ! და თუ შეგხვდეთ შემთხვევა, სიცოცხლეს გამოსწუწნოთ სიტკბოება, გაბედულად და აღტაცებით დაეწაფეთ მას, ნუ შეგრცხვებათ! ითამაშეთ, იმღერეთ, იცეკვეთ! აკოცეთ იასა და ვარდს, დატკბით ყვავილებით, გამოდით მინდვრად და დაუარეთ, დატკბით. ციებითა და სენით გაჟღენთილ ჭაობში იზრდება მშვენიერი ყვავილი შროშანი და უფრო ბინძურ ალაგას კიდევ უფრო მშვენიერი და მიმტაცი ორხიდეია!... გამოდით მინდვრად და დატკბით, იმხიარულეთ, იმღერეთ! გაბავშვდით, ეს არ არის სირცხვილი — ცხოვრება მშვენიერებაა და აღტაცებაა საჭირო იმის წინაშე“ („უბის წიგნიდან“).

თავისუფალი ცხოვრებისაკენ ეს ომახიანი მოწოდება რეაქციის დროს ნაპკურებია იმ დიდი ოპტიმიზმით, რომელიც მუდამ ახასიათებდა ქართული ლიტერატურის საღ ნაკადს.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მენშევიკური პროგრამით აღიარებული „თავისუფლება“, ეს სრული, ყოველმხრივი და ყოვლისმომცველი თავისუფლებაა ფიზიკური და სულიერი ძალების გამშლელი და ამყვავებელი, ეს ისეთი თავისუფლებაა, რომლის წარმოდგენის უნარიც კი არ ჰქონდათ ჰოლას „პარტიულ ამხანაგებს“, რომელნიც სრულყოფილობისაკენ პოეტის ამ ძახილს ანარქიზმად ნათლავდნენ, ჰოლას ანარქისტს უწოდებდნენ და აიძულებდნენ მას ამ მოძღვრების ანბანი ეკითხა.

ოდნავადაც ვერ გამოვხატავთ ჰოლას დამოკიდებულებას სამშობლო ქვეყნის ბუნებისადმი, თუ ვიტყვით, რომ იგი ძლიერ ახლოს მივიდა ბუნებასთან, ძლიერ მწვავედ განიცადა და ასახა ის, შეეცადა მკითხველისათვის დაენახვებინა დაუნახავი, მანამდე არ დანახული კუთხითა და საზომით. თუკი შევძლებთ წარმოვიდგინოთ, როგორ აქცია ჰოლამ საქართველოს ლამაზი ბუნება საკუთარი სულის ხატებად, როგორ დაათვალიერა „ყოველი ბუჩქის ძირი საქართველოში“, გამოჰკითხა თავისუფლებისათვის ბრძოლის ამბავი „ყველა ბალახ-ბულახს“, ნახა „ყველა ქვა, ნანგრევებიდან გადმოგორებული და სისხლის წვეთები დათვალა ზედ“, — ძნელი არ იქნება დავინახოთ იავარქმნილი ივერიის ბუნება, დავიჯეროთ ჰოლას მიერ სამშობლოს სახელით ნათქვამი: „ჭარი, მზე, ტყის შრიალი, ჩუხჩუხა წყარო, ეს ნაზი ყვავილები, — ყველა მესაუბრება მე, მეუბნება: „შენ, თავს იცავდი, თავი უნდა დაიცვა შენ! დაღალვა შენი, სიკვდილია შენი. შენ თავი უნდა დაიცვა!“... დავრწმუნდეთ მისსავე წინასწარმეტყველებაში, რომ სამშობლოსათვის თავგანწირულთა „გამხმარნი ძვალნიც“ კი „შეისხამენ ხორცს, ძარღვებს“, გაცოცხლდებიან და ჩაებმებიან ადამიანის გაადამიანებისათვის რევოლუციურ ბრძოლაში.

ჰოლასათვის უცხო არაა ბუნების განპიროვნება, არაცოცხალა საგნის დასახვა სულიერად და გულითადი საუბარი მასთან. მაგრამ, აქაც ადვილად შეინიშნება განსხვავება წინამორბედ მწერალთა მიერ ხმარებულ განპიროვნებათაგან: ბუნების ყოველ საგანს ერთნაირად როდი ესაუბრება ჰოლა. იგი მხოლოდ კეთილი ნების აღმძვრელ ბუნების ლამაზ მოვლენებთან ჰიკჰიკობს უდარდელი ბავშვის გულწრფელობით. ნიავს ეტიკეტიკება და არა „ღრიალა ქარს“, მშვენიერ ყაყაჩოს უცინის, შეყვარებულის ლოყების მსგავსს, და არა სულის შემხუთველ ნისლსა და ბურუსს.

— „რას მიცინიან ნეტავი ეს ყაყაჩოები? რად აწითლებიათ აგრე ლოყები? მიცნობთ? გინახავართ ოდესმე? მნახავთ კიდევ? ახ! ეს ვინ მოიტანა აქ, ეს თვალები? ჩემი ნაცნობი თვალებია ეს! რა უნდოდათ აქ, რა უნდოდათ, რად მიცქერით თქვენ ასე ნაზად და ასე მოწყენილად? ეს ცრემლები რა არის? იტირეთ განა? ვის ტიროდით? ვინ გაწყენინათ, თქვენ მშვენივრებო, რას გერჩოდათ? თუ შეყვარებული ხართ, რად სტირით? აკი მეც შეყვარებული ვარ, მაგრამ არ ვტირი მე. თუ არ უყვარხართ იმას, ვინც თქვენ გიყვართ, რად სტირით, მე რად არ მომბაძავთ? გიხაროდეთ უნდა, განა ყველა ტკივილი მწარეა? განა ყველა ტანჯვა სადარდებელია? ნუ სტირით, მოიწმინდეთ ცრემლები, ასეთ დილას განა ცრემლები შეჰ-

ფერის? რას აქნევთ თავს? ეს ვინ შრიალებს, ვინ ფურჩულობს? ნიავია ეს თუ სხვა ვინმე? აბა, დაუგდეთ ყური, რას ამბობს ის?...“ („უბის წიგნიდან“).

პოლას არ შეუძლია ჩაუაროს იას, არ მიესალმოს მას, არ აკოცოს, არ მოიკითხოს და, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის გაქრობა ელის, იაც ელოდება და ესალმება მას.

— „რა თქმა უნდა მე მელოდებოდა, მე მიცდიდა ის ია, რომელიც ბუჩქის ძირას შევამჩნიე მამადავითის ახლო. მისი ცისფერი თვალებით ჩემს მისვლას ნატრობდა ხანში შესული კეკლუცი, სალამით დავწვდი მას და მოვგლიჯე“, — გულწრფელად ამბობს პოეტი და, ეჭვი ეპარება რა თავისი საქციელის სისწორეში, მთელი გრძნობით წამოიძახებს: „მაპატიე, თუ ცოდვა არის ეს, წმინდაო მამაო დავით!“

ბუნების მრისხანე მოვლენები ისევე ამწარებენ ლამაზ საგანთა ცხოვრებას, როგორც ადამიანისას. ამიტომ მათი გამოჩენისას ბუნების მშვენიერი საგნები იძულებულნი არიან თავიანთი რიგები დაწყონ და დაირაზმონ თავდასაცავად:

როდესაც ცა მოიღრუბლა და მთის გადალმიდან წამოვარდა დაუნდობელი შავი ღრუბელი „ეს გარემოებამ დააფიცურა, ააღელვა პურით ამწვანებული ფერდო, ყაყაჩოები და პურის თავლები ერთმანეთისკენ გადიახარხენ და ოათბირი გამართეს, კაკაჩამა ტყეს მიაშურა, ბეღურებმა ჟივილ-ხივილი მორთეს“ („უბის წიგნიდან“).

— „ქარი შემომჯდარა სახურავზე და რაღაცას ლაპარაკობს გაუგებარ ენაზე“, „ბაყაყები შეკრებილან და რაღაც საკითხზე გაცხარებით მსჯელობენ“, შავებში გახვეული ღამე აკეთებს წრეს და „აწვება ოთახის კარებს“, - ასეთ მხატვრულ სახეებს, არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით პოლას ლირიკულ პროზაში.

პოლა ლიმთათიძის ქნარილებათა ყოველი სტრიქონი თავისუფალი აზრის თავისუფლად გაპოეტების იშვიათი ნიმუშია. ჯგუფარიტად, იგი „წერს, რაც კალმის ქვეშ მოყვება“, მაგრამ, წერს სრულიად სადად ძალადაუტანებლად. ამავე დროს მაღალმხატვრულად. ცარიელი ფრაზა, ცარიელი ადგილი საერთოდ მის ნაწარმოებში არ არის, თითქმის ყოველ ნაწარმოებში გვხვდება ბუნების განუმეორებლად ნაძერწი პოეტური სახე. დიდ საგანზე სალაღობო მანერით წერის იშვიათი ნიმუშია ბორჯომის ხეობის, ბუნებაზე დაყრდნობით „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობისა და მისი ავტორის ვინაობაზე მსჯელობა. „თავისუფლების ძიებით“ დაჭანცულმა პოეტმა გაიყოლია „ძმასავით შეზრდილი სონა-კაბეჩის“ დაკარგვით დამგლოვიარებული გლეხი იოსებ ზაზაძე და ბორჯომის მოქარგული ხეობის დასათ-

ვალიერებლად წავიდა. „უცებ ცა მოიღრუბლა და მოქუშა". მგზავრებმა საყუდარი ბინახეს და შეაფარეს თავი. „დასუქეა... დაელვა, სულ ახლოს დაიკლაკნა ცეცხლის გველი... მაგარი, მახვილი, მახვილი წვიმა აშხაპუნდა" და მისდიუნებურად წასცდა პოეტს: „ვიშ, გულო, რა კარჯია, ღენაცვალეთ!"

„აგრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა", — უცებ მოაგონდა მას რუსთაველის „ხელიხელ საგოგმანები" პოემის ერთი სტრიქონი და ჯიბისკენ წაიღო ხელი. „სწორედ ამ დროს,— ამბობს ჭოლა, — ერთმა მსხვილმა წვეთმა გამოატანა კარავში, გამოძვრა ფოთლებში, გამოძვრა, დაეკიდა, ერთი აკანკალდა და მოწყდა, მოწყდა და შიგ გვირგვინში დაეცა რომელიღაც ველურ ყვავილს, რომელიც ობლად ამოსულიყო კარავს ქვეშ. დაეცა და მუხლი მოაკეცია მას, ჩააჩოქა. ცოტათი ვგრძნობ ტკივილის მსგავსს გულში, მაგრამ მაგონდება, რომ ხელში მიჭირავს „ვეფხისტყაოსანი" და ვუწყებ მას ფურცელას, მინდა საჩქაროდ დავხედო ნაცნობ სტრიქონებს.

„მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანის:,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათი პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროსტანისა..."

ერიჰა-ა. მე ერთი აზრი მებადება თავში, მე ვფიქრობ, რომ ეს ლექსი ამტკიცებს. რომ რუსთაველი სწორედ ამ კუთხიდან არის. მიაქციეს თუ არა მკვლევარებმა ამ ლექსს ყურადღება? თუ არა, ძალიან კარგი, მე ვიქნები პირველი. ამის შესახებ დაწერ მე, ქვეშ მივაწერ საკუთარ გვარსა და სახელს და დავბეჭდავ. და გამიხარდება, როცა ჩემს გვარს დავინახავ დაბეჭდილს". პოეტის მიერ გაკეთებული დასკვნა ასეთია: „ეს კუთხე ციცი კუთხეა. აქ გვიან იწყება გაზაფხული, აქ გაზაფხულის დასასრულს მწვანდება ქვეყანა, გვიან იშლება ვარდი, და როცა პოეტს დასჭირდა ბუნების გაცოცხლების აღწერა, ძალაუნებურად იმ ქვეყნის გაზაფხული აწერა, რომელსაც იცნობდა ბავშვობიდან. თუ არა ეს, არ იტყოდა ზაფხულის მიწურულში დაიწყო ქვეყანამ ამწვანებაო, არა, არ იტყოდა. ხომ ხედავთ, მოსაზრება არ ნაკლია მე, — აუცილებლად დავწერ ამის შესახებ წერილს, მოვაწერ სახელსა და გვარს და დავბეჭდავ. მაშინ მიყურეთ მე, რა ამაყად წამოვაგდებ ხოლმე ხელს წამისწამს გაზეთის იმ ნომერს, სადაც ჩემი სახელი და გვარი იქნება დაბეჭდილი...! მე მესმის რუსთაველის ხმა და მას ვუგდებ ყურს:

„აგრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა,
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა".
უბრძანა: „გაუვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ, თქვენთანა საუბარითა".

დიახ, აქაურია, აქაური რუსთაველი, ჩვენი დიდი პოეტი, ამ ბუმბერაზ ბუნების შვილია ის, სადაც ასე სასტიკად სჭექს ზეცა და ასე ნაზად იცქირებიან ყვავილები. სწორედ აქ ცრის ღრუბელი ბროლის ცვრებს და აქ მინდა ვპოვო მე აი იმ ყვავილს, ეგერ რომ გაშლილა, პირისახე დაუბანია და არ შეუმშრალებია. თქვენ გგონიათ იქნება ეს ალეთანღილმა აკოცა მართლა ვარდს თინათინის სანაცვლოდ! სრულიადაც არა, ეს თვითონ რუსთაველი იყო. გრგვინვა წამოეპწრო შაჰ სეირნობის დროს, სადმე ხის ძირში შეაფარა მან თავი ბროლის ცვრებს და სტიქიონის მძაფრი ღრიალის დროს გაახსენდა მისი მზეთამზე, მისი თამარ, გაახსენდა, დაიხარა ძირს და აკოცა ვარდს!... ეს აუცილებლად ასე იყო, მენდეთ მე, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, მეც მაგონდება ახლა ერთი ვინმე, მეც ხშირად ვკოცნი ხოლმე ყვავილებს, ვესაუბრები მათ და ვეუბნები: „მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბართა“-მეთქი. ღმერთმანი, ასე ვიქცევი და რა ფსიქოლოგიური სიმართლეა აქ! ცა გრგვინავს, ღრუბელი ცრის ბროლის ცვრებს, შენ კი გულისწინაზით გევსება, ის გაგონდება, ვინც ყველას გირჩევნია, ნუთუ არ გამოგიცდიათ თქვენ ეს? განა როდის უნდა გაგახსენდეს კაცს გულის ტოლი, თუ არა ამ დროს! თქვენ, თქვენ იცოდეთ, თქვენ იცოდეთ, რომ მეც მაგონდება ის, ვინც მიყვარს... მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა!“ („უბის წიგნიდან“).

რასაკვირველია, ჩვენ აქ არ ვაპირებთ სიტყვა ჩამოვაგდოთ „ვეფხისტყაოსანზე“ ჭოლას შეხედულების მეცნიერულ ღირებულებათა შესახებ, მაგრამ, თითქმის შეუმოკლებლად მოვიყვანეთ ციტატი, რათა ნათლად ვაჩვენოთ, თუ როგორ ახლოს მიდიოდა ჭოლა საამაყო რუსთაველის უკვდავ ქმნილებასთან, როგორ მტკიცედ იდგა იგი მშობელი ერის ფესვმაგარ ნიადაგზე და, აზვირთებული რევოლუციური ბრძოლა, რასაც ის უყოყმანოდ სწირავდა სიცოცხლეს, სრულიად სამართლიანად მიაჩნდა ლოგიკურ გაგრძელებად ყოველივე იმისა, რაც ჩვენი ერის გენიას საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. ამჟამად უმარტივეს ჭეშმარიტებად ქცეული ეს აზრი თავის ეპოქაზე ამაღლებული სულის გამობრწყინებად გვესახება იმ დროს განსაკუთრებით, როცა ვითვალისწინებთ, რომ პოეტის არა ერთი თანამედროვე სერიოზულად „ამტკიცებდა“ კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორიის შეუთავსებლობას გარდასული ხანის ეროვნულ დიდებასთან და ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალებიდან ორი ათეული წლის შემდეგაც კი რუსთაველს თვლიდა „რაღაც ბავშვური ზღაპრის“ მთხზველად, ყოვლად უმართებულოდ უპირისპირებდა მას დანიელ ჭონქაძესა და ეგნატე ნინოშვილს, რათა ამ უკანასკნელთა შარავანდედში „გაექრო“ „ვეფხისტყაოსნის“ „ზღაპრული ამბები“.

თავისი ხატისთვის თავგანწირული პატრიოტი მგოსანი, ჭეშმარიტი მოყვარე მთელი სახატისა, ილიას, ვაჟას, აკაკის განხორციელებული ტრფიალი და დიდი ილიას ერის ამამოძრავებელი ნიჭის განსაკუთრებით მოთაყვანე, ნათლად ხედავდა იმ მწვერვალებს, რომლებიც ასეული წლების წინ დაიპყრო რუსთაველმა მხატვრული სიტყვით, სწორად აფასებდა ამ სიტყვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ეროვნული ხისათვის.

ამაშიც ვხედავთ ჩვენ ჭილა ლომთათიძის დამსახურებას ერის წინაშე.

უსათუოდ ცალკე განხილვის ღირსია ჭოლას დამოკიდებულება ღამის სიბნელისადმი, დიდმა ილიამ „მგზავრის წერილებში“ ჩამოაყალიბა თავისი ღრმა ესტეტიკური სიბნელისადმი, რომელიც თვალზე ეფარება კაცს, ფართო ასპარეზს უშლის ქურდსა და ავაზაკს, ბორკილების ყოველ შეხედვის. „წარიღეთ ეს ბნელი ღამე თავის სიზმრებითა და მოჩვენებებით, მომეცით დღე, დღე ნათელი და მოუსვენარი“ — ამბობს ის.

სახელოვანი წინაპრის ეს შეხედულება ამოსავალია ჭოლასათვის, მისთვის ბნელი ღამე „საზიზღარია, როგორც „შავი სიკვდილი“, ერთადერთი წყეული დრო, როცა შესაძლებელი ხდება თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ფიზიკური და სულიერი წამოჩოქება, „გატყდომა“.

დიდი ილია ფილოსოფიური სიდინჯით მსჯელობს, რომ ღამე ხელს უწყობს ბნელ ძალებს, აშინებს და ამონებს ადამიანის გონებას, ჭოლა კი ცოცხალი ფაქტების საშუალებით გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ეს.

ჯეირან ვარდოსანიძე („სახრჩობელას წინაშე“) ამაყად წარსდგა თვითმპყრობელობის სასამართლოს წინაშე. აზრადაც არ მოსვლია მას ერთი ნაბიჯითაც უკანდახევა. თუნდაც ტაქტიკური მოსაზრებით.

მან საბოლოო სიტყვაშიც უკან არ დაიხია და მამაცურად შეხვდა „დამსახურებულ სასჯელს“: „იცოდა, რომ სხვანაირი ბოლო არც ელოდა და, მაშინ, როცა სხვები ღელავდნენ თვითონ ამაყად იდგა სახრჩობელას წინაშე. და აი, დგება ბნელი ღამე, სიბნელე ეფინება არა მარტო გარე სამყაროს, არამედ ადამიანის სულს, გონებას. გარეთ ბნელა, იქ ვერაფერს ხედავს თვალი ჩამოხრჩობა მისჯილია, ამიტომ საკუთარი გულის სიღრმისაკენ მიიმართება იგი, იხსენებს განვლილ სიცოცხლეს, ტკბილ-მწარე წუთებს და აღმოაჩენს, რომ დღის სინათლე ადამიანს არ აძლევს საბაბს ჩახედოს სამარეს.

არც ჯეირან ვარდოსანიძეს ჩაუხედნია იქ არასოდეს, მხოლოდ ბნელმა ღამემ ჩაახედა სიკვდილის მისჯის შემდეგ, ჩაახედა და გასტე-

ხა—პირუტყვად აქცია, დაამონა, ტახტის ქვეშ შეძრომა აფიქრებინა.

რამდენადაც ქრებოდა ჩიბნელე და ახლოვდებოდა დღის სინათლე, იმდენად მარცხდებოდა გრძნობა მხოლოდ თავდაცვისა და იმარჯვებდა რევოლუციური უდრეკი ნება. ბრძოლა ბნელ და ნათელ აზრებს შორის ჯეირანის ეონებაში ეშმარიტად წარმოადგენს სიბნელისა და სინათლის, დღესა და ღამეს შორის შერკინებას, რაც სინათლის, და მასთან დაკავშირებულ ნათელ აზრთა, გამარჯვებით თავდება. ამ გამარჯვებამ აღაფრთოვანა ჯეირან ვარდოსანიძე, აიყვანა მეშვიდე ცაზე, პროკურორზე და პიროვნულ ზრახვათა ყარაულად მდგომ ყოველ ადამიანზე მაღლა.

დღის სინათლეზე გაბრწყინებული გონებით გაზომა ჯეირანმა შრომასა და ნაშრომის ბიმთვისებელთა შორის არსებული უფსკრული, მხატვრულად ჩამოაყალიბა ანტაგონისტურ კლასთან შეურიგებლობის ცნობილი თეორია, „ასი ათასი ენით“ ნატყორცნი „ანათემა“ გაუგზავნა ექსპლოატატორთ და ნათელი მომავლისადმი ლრმა რწმენით შთაგონებული გაშორდა საწუთროს.

ჰოლასათვის „ღამის“ ცნება წარმოადგენს ტალახის, ჰუჰყის, უარყოფითი და უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების სიმბოლოს, „დღე“ კი მისთვის მომავალი ბედნიერი ცხოვრების და თავისუფლების სახეს ქმნის. კონკრეტული ფაქტებით გვიმტკიცებს ჰოლა, რომ „მოუსვენარი დღე“—ილიას ტრფობის საგანი—თვით შეიცავს უკეთესი ნერმისისაკენ წინ წამწევ ძალას, რამდენადაც ის გარეობიექტურ სამყაროს ხედვის და, მაშასადამე, მოძრაობის საშუალებას იძლევა. ადამიანი „მარტო, სულ მარტო“ რჩება ღამე და მაშინ ეუფლება მას „ხევდა! სევდა! და მარტოობა! მარტოობა!“; მხოლოდ ღამის სიბნელე ჰყენებს მასში ყოველ გრძნობაზე მაღლა იმ აზრს, „რომ სიკვდილის წინაშე ყოველივემ ქედი უნდა მოიხაროს“. ამიტომ იმეორებს ჰოლა დაჟინებით ერთსა და იმავე სიტყვებს:

„ღამეა კაეშნიანი,
თვალი ვერ ხედავს ვერასა...
ქარი ჰქრის, ქარი ღრიალებს,
ქარი დასტირის ბნელასა“.

(„თეთრი ღამე“).

ღამე შეუძლია იგრძნოს ადამიანმა, თუ როგორ „შეიპარა ვიღაცა სულში, შეიპარა და გაიხედ-გამოიხედა.“ ეს „ვიღაცა“ იგივე ბოროტი სულია, დაპირისპირებული საკუთარი ძალისა და ქვეყნის ბედნიერი მომავლისადმი. ის ცვლის დღის სინათლეზე მოელვარე სიმტკიცესა და შეუპოვრობას „დასაკლავი საქონლის კანკალით“ („თეთრი ღამე“).

მებრძოლი პოეტი საბოლოოდ არასოდეს არ რჩება უმწეობაში და უიმედობის ტყეობაში. ეს სევდა და წუწუნი ბრძოლის პროცესში წარმოშობილი სიძნელისა და უხეში ძალის მიერ კეთილ ძალთა დაშცირების შედეგად იქმნება მუდამ, ხოლო შედეგი ამ ბრძოლისა მხოლოდ სინათლე და ოპტიმიზმია. როგორც ყოველ ღამეს დღის ნათელი ცელის, ისე ყოველ პესიმისტურ განცდას ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ძლევს გაბედული და სალი აზრი.

ჯერ კიდევ 1903 წელს დაწერილ ესკიზში „აქრე სანთელი, აქრე. მე მაინც ავანთებ მას“, ჩამოაყალიბა ჰოლამ „სინათლის გენიოსი ღმერთის“ სიბნელის ბოროტ ღმერთზე გამარჯვების ურყევი აზრი და არასდროს უღალატნია იმ აზრისათვის; უკან არ დაუხევია იმ რწმენისაგან, რომ მშრომელთათვის დამკვიდრდება მუდმივი ნათელი და მჩაგვრელებს დაჯჩრჩობთ მათ მიერ დაღვრილი სისხლი“. ამ ნანატრი წამის დადგომამდე მეფობს გულის საძირკვლამდე შემაძრწუნებელი თეთრი ღამე. ჰოლას „თეთრი ღამე„ საუკუნეობრივი ტანჯვაა საქართველოსი, რომლის შეილებს თვითმპყრობელობა საპუსაღოებში აშთობს, რომელსაც, ნაცელად ჩვენი ჭაბუკისა მზისა, „მკვდრის მზე უნათებს“.

„თეთრი ღამე“ — ეს ჰოლას მთლიანი ნიჭით შექმნილი სიმფონიაა, ერთგვარი სიმბოლოა ქვეყნის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისა და გაჟღენთილია მისი გამოხსნისაკენ დაუცხრომელი მისწრაფებებით. მართალია, ამ გამოხსნისათვის წარმოებულ ბრძოლაში ჰოლა ლომთათიძის გმირები ზოგჯერ ამჟღავნებენ სულის კრთომას, ეხვევიან კოშმარულ ფიქრებშიც, რასაც პოეტი მკვეთრი ფერებით გვიხატავს, მაგრამ ისინი მუდამ ახერხებენ წარმოიდგინონ გამარჯვების დროშა, რომელზედაც ოქროს ასოებით სწერია: „ეს წვიმა, ეს ტალახი, ეს ბნელი ღამე, ყველაფერი ეს ჯადოსნურად განათდება კაშკაშა მზის სხივებით... იმედი და სულ იმედი დაისადგურებს“.

ცხადია, ჰოლა ლომთათიძის გმირები (ისე როგორც თვით ჰოლაც) ხშირად იბნევიან სოციალიზმთან მისასვლელი გზის ძიებაში, რასაც აშკარად გვიჩვენებს ბუნებისადმი დამოკიდებულებაც მწერლისა, მაგრამ თვითმპყრობელობისადმი უსაზღვრო სიძულვილი და მშრომელთა თავისუფლებისაკენ შათი გულწრფელი სწრაფვა უაღრესად მნიშვნელოვანია. ის ორიგინალური და თანაც რეალისტური ასახვა ბუნების შეგრძნებისა, რასაც ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ვხედავთ, არ იძლევა საფუძველს პასიურ რომანტიკოსად მისი აღიარებისათვის.

დეკადენტურ-ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობანი რეაქციის დროს და ჰოლა ლომთათიძე

„მალე მოკვდები!... მაგრამ სიკვდილი იგი არ იქნება დეკადენტური — ასეთი, როგორსაც სოლოგუბი და შნიცლერი გვიხატავენ, — არამედ მძლავრი... რეალური, რომლისაც არავის არ უნდა ეშინოდეს, რადგან სპეტაკი და მომხიბლავია".

ჰოლა

ჰოლა ლომთათიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ობიექტური ანალიზი უფლებას არ გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მარცხის შედეგად გამეფებული რეაქციის დროს მწერალმა ურყევად შეინარჩუნა ის სულიერი სიმტკიცე, რევოლუციური უდრეკი ნება და შინაგანი მონოლითურობა, რაც მის პიროვნებას ადრე ახასიათებდა; მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მწერლის სრულ იდეურ დაცემას, განიარაღებას, ფორმალისტურ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლების მესვეურებთან მისვლას არ ნიშნავს.

რომ ჰოლა ლომთათიძეს საერთო არაფერი აქვს ანტირეალისტურ ბურჟუაზიულ ხელოვნებასთან, ეს იმდენად ნათელია, რომ მასზე მსჯელობა ზედმეტად უნდა მიგვეჩნია, მაგრამ ზოგიერთ უცხოელ და ქართველ კრიტიკოსთა მიერ მისი დაკავშირება სიმბოლისტურ სკოლასთან უსათუოდ მოითხოვს სათანადო განმარტებას[124].

რომ ჰოლა ლომთათიძის შემოქმედება არც თუ იშვიათად ეხმაურება რევოლუციურ, მებრძოლ რომანტიზმს, რომელიც ადამიანთა სასიცოცხლო ენერგიის განვითარებას განაპირობებს და ხვალინდელ ნათელ დღეებზე საღ ოცნებას შეიცავს, — ეს ნათლად წარმოგვიდგება „უსათაუროს", „ჩემი დღიურის", „ძე კაცისას", „სახრჩობელას წინაშეს" განხილვისას, მაგრამ მისი დაკავშირება სიმბოლიზმთან მოკლებულია რეალურ საფუძველს.

როგორც ვიცით, ქართველი სიმბოლისტები, გამოვიდნენ რა მწერლობის განახლების პრეტენზიით და ანტი-დემოკრატიული, ანტი-საზოგადოებრივი თეორიებით, ჩვენი კლასიკური მწერლობის და ამ უკანასკნელის მემკვიდრე რევოლუციურ-დემოკრატიული

---

[124] იხ. შალვა რადიანი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, 1951 წ. გვ. 331; „მნათობი", 1957 წ., № 4, ნაწყვეტი ლუი არაგონის წიგნიდან — „საბჭოთა ლიტერატურა" და სხვ.

ლიტერატურული სკოლების წინააღმდეგ ლაშქრობისას დაეყრდნენ ვერლენის, მეტერლინკის, ედგარ პოს, ბალმონტისა და ბლოკის ანტირეალისტურ შემოქმედებას..

ქართველი სიმბოლისტების ბუნდოვანების ბურუსით მოსილი მხატვრული სიტყვა, ხშირად თვითმიზნური ფორმალისტური ვარჯიშის შედეგი და მისაწვდომი შინაარსის, ნათელი მიზნისა და მერმისის რწმენის უარმყოფელი — უპირველეს ყოვლისა მიმართული იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართული აზროვნების მწვერვალების — ილიასა და აკაკის წინააღმდეგ, რომელთაც სიტყვაკაზმულ მწერლობას ერის სამსახური და მშობელი ქვეყნის ეროვნულ-სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა დაუსახეს წმიდათა წმიდა მიზნად. ილიასა და აკაკის მათ ბრალად დასდეს „ჭეშმარიტი მწერლობის“ ღალატი, პოეზიისა და პროზის „სამიტინგო ძალად“ გადაქცევა.

„აზრის, იდეის არარაობა, გაუგებარი სიტყვების სიჭარბე, უცნაური თავის ქება, ჭანდიდების მანია და იეროგლიფებით წერა და ბოდვა“ — ასეთია სიმბოლისტთა „ღვაწლის“ მართებული დახასიათება თანამედროვეთა მიერ.

დაუშვებელია, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ვეძებოთ ქართული სიმბოლიზმის დამახასიათებელი რაიმე თვისობრივი ნიშანწყალი შემდეგ მოსაზრებათა გამო:

ა) როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და თანამიმდევარი მოღვაწე, ჭოლა ლომთათიძე, ბევრ მის თანამედროვეთაგან განსხვავებით, მჟიდროდ უკავშირდებოდა „მესამოციანელებს“ და ხანმოკლე სიცოცხლის მთელ მანძილზე აგრძელებდა მათი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს — ბრძოლას ქვეყნის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის. (იხ. „აღსარება“, „კვლავ ფიქრი, ფიქრი“, უსათაურო“, „უბის წიგნიდან“ და სხვ.).

ბ) სიმბოლისტთა მიერ გადაჭრით უკუგდებული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული სკოლის პრინციპები ჭოლასათვის ბოლომდე დარჩა წმინდათა წმინდად და არცერთ ნაწარმოებში ამ პრინციპებისათვის მას არ უღალატნია.

გ) სიმბოლისტების ინდიფერენტიზმს, ან სიძულვილს ამქვეყნიური ცხოვრების წინაალმდეგ არა აქვს გარკვეული აზრი და საგანი. ისინი ზიზღით უყურებენ ყოველივე მიწიერს, როგორც ყალბ ასლს ირეალური (მათთვის კი ნამდვილი) სამყაროსას. ჭოლა ლომთათიძისთვის უცხოა უსაგნო მიზანსწრაფვა, ლტოლვა გაურკვეველი,

უხილავი სამყაროს შეცნობისაკენ, რადგან უთანასწორობაზე დამყარებული ცხოვრების ახლებურად მოწყობის აუცილებლობის შეგნებამდე იგი იმთავითვე მივიდა და მაღალმხატვრულად ასახა არა უარყოფა ამქვეყნიური ყოფისა საერთოდ, არამედ ზიზღი და გმობა ამქვეყნად არსებული ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისადმი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისადმი. ჰოლამ გატაცებით უმღერა მომავალი თავისუფალი საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრებას, რომელიც აწმყოსთან ჰიდილში იბადებოდა. წინააღმდეგ სიმბოლიზმისა, რომელიც იდეურ პოეზიას ასე აშკარად ჰგმობდა, ჰოლა ლომთათიძემ პოეზია ბასრ საბრძოლო მახვილად აქცია, ბრძოლის გზით მოუხმო ჩაგრულთ ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვებისაკენ და უალრესად კატეგორიული ტონით უარყო ყოველგვარი ხუცობა — ბედნიერების მოსაპოვებლად ცისკენ ლტოლვა. დეკადენტური სკოლის მწერლობის წინააღმდეგ, ჰოლა ლომთათიძე პოეზიას მთლიანად ამქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგებისათვის ბრძოლის ინტერესებს უქვემდებარებს და სიმბოლიზმისაგანაც მას ღიამეტრულად ეს ანსხვავებს.

დ) ჰოლა ლომთათიძემ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეთაგან აითვისა და რევოლუციური ეპოქის შესადარ სიმაღლეზე აიყვანა არა მარტო მათი ძირითადი იდეა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლისა, არამედ თვით ბრძოლის ტაქტიც, სახელდობრ ის, რაშიც ილიასა და აკაკის მთავარ ბრალს სდებდნენ სიმბოლისტები — პოეზიისა და პროზის გადაქცევა „სამიტინგო ძალად“, ლიტერატურის გამოყენება პრაქტიკული საჭიროებისათვის, ყოველდღიური ბრძოლისათვის.

ე) ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია არა „აზრის, იდეის არარაობა“, არამედ ძალზე ნათელი აზრი, გარკვეული იდეა მშრომელთა გათავისუფლებისა ძალადობაზე დამყარებული რეჟიმის რევოლუციური ძალით დამხობის გზით. არა „გაუგებარი სიტყვების სიჭარბე“, „იეროგლიფებით წერა და ბოდვა“, არამედ უარყოფა ყოველგვარი ბუნდოვანებისა, სრულიად შეუფერავი, საგნის არსის გამოსახატავად იერიშით ჯიქურ მოსული მხატვრული სიტყვა, რომლის იქით არა არის რა დაფარული და გამოსაცნობი. არ შეიძლება „იეროგლიფებით ბოდვაჲ“ ვხედავდეთ შემოქმედებაში, სადაც ვერ ვიპოვით ვერცერთ ნართაულად ნათქვამს და

ბუნდოვან სიტყვას. პირიქით, ზედმეტი სიცხადე, გარკვეულობისა და შთაბეჭდილებათა გაძლიერების მიზნით ერთი და იმავე აზრის რამდენჯერმე დაბეჯითებით განმეორება შეგვეძლო გვესაყვედურნა ჰოლასთვის. „სიმბოლო არაფრად არ ღირს, — ამბობდა ფ. ბრიუნეტიერი — თუ მას არ გააჩნია ფარული აზრი, ე. ი. არ გადმოგვცემს პლასტიკურად რაღაც მიუწვდომელს, აზრის სიღრმეში მდებარეს“. საგანზე მინიშნება — სიმბოლიზმის არსის განმსაზღვრელია, საგანთან უშუალოდ მისვლა და მასზე დაუფარავი მსჯელობა ჰოლას შემოქმედების ძირითადი ნიშანდობლივი თვისებაა. „დაასახელო საგანი — ნიშნავს სამი მეოთხედით შეამცირო პოემით ტკბობა, რაც თანდათანობით გამოცნობის სიხარულში მდგომარეობს; შთააგონო — აი ოცნება“,—ამბობდა სტეფან მალარმე. მაშასადამე, ყველას აქვს უფლება თავისებურად გაიგოს სიმბოლისტურ ნაწარმოები და, იმ ბუნდოვანების წყალობით, რაც ასეთ ნაწარმოებს გააჩნია გაჰჩხრეკის სუბიექტური განწყობისა და ინტელექტის პროპორციულად, ყველა გაგება თანაბრად მართებული ან არამართებული იქნება, მაშინ, როდესაც ჰოლა ლომთათიძის ნაწარმოებებში არ მოიძებნება ფარული აზრის შემცველი არცერთი წინადადება, ამასთან ყველა მის ნაწარმოებს, მკაფიოდ გამოხატული ტენდენციურობის გამო, აქვს მხოლოდ ერთი განსაზღვრული და გამოკვეთილი შემეცნებითი მნიშვნელობა, რომლის არა მწერლისებურად აღქმა ყოველგვარი შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. ჰოლა პირდაპირ ამბობს იმას, რასაც გრძნობს, ამიტომ მის ნაწარმოებებში აშკარად ჩანს არა მარტო გმირის სახე, არამედ ფსიქოიდეოლოგია თვით მწერლისაც, რადგან იგი ყოველ დადებით გმირთან სულიერად შერწყმულია, ფიზიკურად შენივთებულია და სტრიქონებს შორის საძიებელს არაფერს ტოვებს. (შდრ. ბალმონტი: „იკითხეთ სტრიქონთა შორის, საიდუმლო სტრიქონები წამოიწევიან, და მეტყველურად გამოგელაპარაკებიან თქვენ).“

თუ სიმბოლისტები გვერდს უვლიან, ან არარად თვლიან, არარსებულად სახავენ ამ ქვეყნად ხილულად არსებულ საგნებს, მოვლენებს, „სინამდვილეს“ ეძებენ ამ საგნების მიღმა, მათი გაგებით, იმიერ ქვეყნად არსებულ „ნამდვილ“ სამყაროში, ჰოლა ლომთათიძე შორს არის ასეთი ძიებისაგან, რამდენადაც მისთვის ხილული, წინამდებარე საგანი არის ერთადერთი რეალობა, ერთადერთი ჭეშმარიტება, რომლის იქეთ გახედვა მისთვის აბსურდია.

ე) ჰოლა ლომთათიძის ამაზრზენი უძირო სევდა, მაშინდელ რეაქციულ ძალთა სიმცირის შეცნობითი ნაკვები და მომავლის ღრმა რწმენით ნაპკურები, დაეყრდნო და შეუნივთდა არა ვერლენის, მე-

ტერლინკის, ბალმონტის რეაქციულ ყოვლის უარმყოფელ სიმბოლისტურ მსოფლმხედველობას, არამედ ბნელეთის წინააღმდეგ რევოლუციურ ძალთა ამბოხების მაუწყებელ ტიტანს—ჰაინრიხ ჰაინეს, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, ჯერ კიდევ ბავშვობისას შემოეყარა და შეუსისხლორცდა უკეთესი მერვისათვის აღძრული პოეტის მებრძოლ სულს.

ჰოლა გარკვევით მიუთითებს მის სულიერ კავშირზე რომანტიკოს ჰაინრიხ ჰაინესთან, როდესაც ამბობს: „აქვს სიყვარულს ერთი დიდი შეურყეველი კანონი. ეს კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ის, ვინც გიყვარს, მუდამ გიყვარდა გგონია, რომ ეს სიყვარული დაიბადა შენთან ერთად, რომ შენ სიცოცხლეში, გგონია, არ ყოფილა ისეთი წამი. როცა ის, ვინც შენ გიყვარს, არ გყვარებოდეს... და სწორედ ასეთი სიყვარულით მიყვარდა და მიყვარს დღესაც დიდი მგოსანი მსოფლიო სევდისა, **დიდი მგოსანი სიყვარულის მიერ შობილი ტანჯვის**, გერმანელების დიდებული პოეტი ჰეინე. არ მახსოვს როდის შევხვდი პირველად იმას, რომელი იმის ლექსი წავიკითხე პირველად, როდის დაიწყო ჩემი მისდამი სიყვარული — დღეს მგონია, რომ ის იმთავითვე იჯდა ჩემს გულში და გალობდა“[125].

რეაქციის პერიოდშიც რჩებოდა ჰაინე ჰოლას სათაყვანო პოეტად, ხოლო იმ დროს „აღმავლობის გზაზე შემდგარი“ სიმბოლიზმი მასში სიბრალულნარევი ზიზღის მაგვარ განწყობილებას ბადებდა. „გიჟივით მეხასიათება ჰეინეს კითხვა, — სწერს ის პეტერბურგის სატუსაღოში. — ციხეში მაინც სენად მექცა ეს“. ხოლო ადრე მისი სათაყვანო ანდრეევის შესახებ კი იქვე შენიშნავს: „დღეს წავიკითხე ანდრეევის «Тьма». მიდის უკან ანდრეევი, ეხვევა სიმბოლიზმის ბურუსში“[126].

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სევდის დაუსრულებლობა, სიმბოლისტთა შემოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი, უცხოა ჰოლასათვის, რადგანაც უსაზღვროდ და დაუსრულებლად არ მიაჩნია მას ის, რაც ამ სევდას ასაზრდოებს — ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა მშრომელი ერისა.

ზ) სიმბოლიზმის ემოციონალურ და ესთეტიკურ არისტოკრატიულ ინდივიდუალიზმს ჰოლამ მკვეთრად დაუპირისპირა დემოკრატიული ტენდენციები და, მიუხედავად ერთგვარი მერყეობისა რეაქციის პერიოდში, რაც გამოიხატა ეროვნული საკითხის გადაჭრისას

---

[125] იხ. ჰ. ო ლ ი ა, ჰეინრიხ ჰეინეს ლექსების თარგმნები, ბარ. ხელაძის სტამბა, 1913 წ.

[126] იხ. ჰ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს „დღიურები“, „ცნობა“, 1934 წ.

ე. წ. „საერთო ნიადაგისაკენ“ გადახრაში, არჩეული გზიდან რადიკალურად არ გადაუხვევია.

მაგრამ თუ მკვლევარნი მაინც „პოულობენ“ სიმბოლიზმის რაღაც ელემენტებს მწერლის შემოქმედებაში, ამისი მიზეზი, უსათუოდ ჭოლა ლომთათიძის ლირიკული პროზის არასწორ გაგებაში უნდა ვეძიოთ; რადგან ჭოლას პროზის მთავარი გმირი, ავტორის „მე“ უალრესად ტიპიურია და მთელი კლასის, მთელი ფენის დახასიათებას შეიცავს და არა ინდივიდუალისტური განწყობილებებით გამსჭვალული პიროვნების მხატვრულ ორეულს.

მართალია, სიმბოლისტებმა „წინა პლანზე წამოსწიეს სუბიექტური ლირიკის საწყისები, პიროვნული უკმაყოფილებისა და სევდის მოტივები“[127], მაგრამ მათ ინდივიდუალისტურ, უსაზღვრო მისტიკით ნაკვებ, რევოლუციურ-დემოკრატიული შემმართებელი პოეზიის გადაჭრით უარმყოფელ სევდას საერთო არა ჰქონდა რა ჭოლა ლომთათიძის სევდასთან, რომელიც ქვეყნის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალთა მარცხის შედეგებით იკვებებოდა; ამიტომ „ჩვენ უფლება არა გვაქვს არ განვასხვაოთ ეს სევდიანი სტრიქონები სიმბოლისტური სკოლის თვითმიზნური მისტიციზმისაგან“[128], მითუმეტეს. რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის. საერთოდ ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, მისი გამოცხადება მირაჟად და ირეალური სამყაროსაკენ სწრაფვის აპოლოგია ჭოლა ლომთათიძეს არცერთ ნაწარმოებში არ მოუცია.

მხოლოდ ერთ ნაწარმოებში („ჩემი დღიური“) მიაპყრო ჭოლამ თვალთა ისარი დაუსაბამო სივრცეს, მაგრამ აქაც მოგვცა უალრესად რეალისტურ-პლასტიკური სურათი თვალითხილული სამყაროსი და არა მისი სიმბოლისტურ-მისტიკური ბუნდოვანი ასლი:

„შენ ბრიყვი ხარ, ბიძია — ასე მიმართა ტუსაღმა იაშვილმა ჯარისკაცს, — შენ არაფერი იცი. აი ახლა მე ვწევარ აქ გულაღმა... ვხედავ მთელ ზეცას მოუედილს ვარსკვლავებით, და მათ შორის დინჯად მოცურავ მთვარეს, ამ ყინვის ალს, როგორც ამბობს შელლი. მე ვხედავ, რაც თვალით მოჩანს და იმასაც, რაც არ მოჩანს თვალით. იცი თუ არა შენ, ჯარისკაცო, რომ ის, რაც თვალით მოჩანს, იმასთან შედარებით, რაც დაფარულია მხედველობისათვის, მხოლოდ, ერთი პაწაწკინტელა წერტილია და მეტი არაფერი? იცი თუ არა შენ, რომ ის ქვეყანა, რომელზედაც შენ დგახარ, მსოფლიოსთან შედარებით, ერთი უჩინარი, პაწაწკინტელა რამ არის?... რომ ასეთი ქვეყნები უთვა-

[127] იხ. ს. ჭილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, 1955 წ., გვ. 34.

[128] იქვე.

ლავია მსოფლიოს მორევში, იმის გაუთავებელ სივრცეში?... აბა შენ ოუ იცი გაუთავებელი სივრცე რა არის? რომ იარო ათასი, ასი ათასი, უთვალავი მილიონი წელი, მაინც ვერ გაიცლი მას, სივრცეს მაინც არაფერი მოაკლდება, ის ისეთივე გაუთავებელი სივრცე იქნება და აი ამ გაუთავებელ სივრცეში გაფანტულია უთვალავი ურიცხვი პლანეტა-ვარსკვლავები, მზეები, უთვალავი და უზარმაზარი ქვეყნები. იცი თუ არა შენ, რომ ეს ვარსკვლავები, შენ რომ ხედავ. მზეებია, რომ ზოგი მათგანი ისე შორს არის ჩვენგან, რომ იქიდან წამოსული სინათლე ათი და ათჯერ ათიათას წელს შემდეგ აღწევს ჩვენამდე, სინათლე კი წამში გარბის ორასორმოცდარვაათას ვერსს — აი რა შორზე ყოფილა ჩვენგან ვარსკვლავები... შენ კი... დგახარ ჰანდ. გიპირავს ხელში ვინტოვკა და გგონია წამართვი ზეცა".

რამდენადაც მოწინავე, პროგრესული მეცნიერება აღიარებს ადამიანის მიერ ჯერ კიდევ მიუწვდომელის და შეუცნობელის, მაგრამ თავისთავად არსებული საგნების შეცნობას, ამდენად არ შეიძლება დეკადენტურ-სიმბოლისტური მსოფლმხედველობის გაზიარებად ჩავთვალოთ მწერლის მიერ ბრძანების მონა-მორჩილისა და გონებაჩლუნგი ჯარისკაცის ყურადღების მიპყრობა ამ საგნებისადმი. ამჯერად, ადამიანურ შესაძლებლობათა შედარებით განსაზღვრულობასთან მიუწვდომელ სამყაროს კოსმიურ საიდუმლოებათა შეპირისპირება იმდენად რეალისტურადაა ნაჩვენები, რომ, მიუხედავად ამქვეყნიური ცხოვრებისადმი ავტორის ერთგვარი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, მის სიმბოლიზმზე მსჯელობა სრულიად უნიადაგოა.

სიმბოლიზმთან ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების დასაკავშირებლად მოჰყავთ სხვა საბუთიც: კერძოდ, ასახელებენ მის მიერ რუს და დასავლეთევროპელ რომანტიკოს მწერალთა შეხედულებების მიღებას სიტყვის უძლურების შესახებ, ე. წ. დუმილის ფილოსოფიის გაზიარებას.

მართლაც. ჭოლა ლომთათიძე უაღრესად ნათელი რეალისტური მსჯელობით, ცოცხალ ფაქტებზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოზღვავებული წრფელი გრძნობანი ყოველთვის არ გაიზომება სიტყვიერი მარაგის ძალით, რომ ინტელექტუალურად ამაღლებული ადამიანის ღრმა გრძნობები მუდამ სჭარბობენ გამოსახვის საშუალებებს — ამ გრძნობების გამომხატველ სიტყვათა მარაგის მნიშვნელობას და უაღრესად მჭერმეტყველ ადამიანსაც კი არ ძალუძს გადასცეს სხვებს ის შეგნება, რაც დასრულებული სახით მის გონებაში ასე მკაფიოდ გამოსახულა.

პატიმარი პოეტი დაჰყურებს სატუსაღოს ეზოში აღმართულ სახრ-

ჩობელას. „ისე ნათლად, ისე უბრალოდ დავინახე, რომ ეს (ადამიანის დახრჩობა დ. რ.) უაზრობაა, ამბობს ის—რომ ეს შეუძლებელია, რომ ადამიანის მოკვლა არ ვარგა, რომ... საკმაო იყო იმათთვის ამეხსნა ყველაფერი ეს ისე, როგორც მე მესმოდა და ისინი გაიღვიძებდნენ, თვალებს ამოიფშვნეტდნენ, დიდი განცვიფრებით შეაჩერდებოდნენ სახრჩობელას, ზურგზე ხელებგაკრულ ადამიანს, ჯალათს, გაწითლდებოდნენ, იტყოდნენ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ბინძური სიზმარია და მეტი არაფერი, და წავიდოდნენ სახლში შვილებთან, საყვარელ არსებებთან... საკმაო იყო გამეღო პირი და მეთქვა იმათთვის, ის, რასაც ვგრძნობდი, რასაც ვხედავდი...

მაგრამ გავაღე თუ არა პირი, დავიწყე თუ არა ლაპარაკი, ახირებული რამ მოხდა.

— შენ რას იგინები, შე... — მომესმა მე პასუხად: — შენ თვითონ რამდენი ხანია ჩამოსახრჩობი ხარ!.. — ღმერთს უნდა მადლობდე და... — გამიგონეთ, თქვე მხეცებო, ჯალათებო!...“

ასე ნათლად წარმოადგინა მწერალმა სიტყვის უძლურება გრძნობასთან შედარებით და დაასკვნა: „ახ, მეგობრებო, რომ შეიძლებოდეს თავისი ფიქრების სწორად გადაცემა; რამდენი ადამიანი დაძმობილდებოდა ამ ქვეყნად!... ადამიანი კი თავისთავს მეტყველს ეძახის“ („უსათაურო“).

დაფიქრდა რა სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე, რევოლუციონერ ქალს თინას სურს გადასცეს თანამებრძოლს თავისი ღრმა განცდა მაღალ-იდეური, სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ადამიანის უკვდავების შესაძლებლობის შესახებ, გადასცეს არა ისე, როგორც მან ეს სიტყვებით გამოხატა, ან ჩვენ აქ ამ სტრიქონებით ვთქვით, არამედ ისე ცოცხლად, ნათლად, ხილულად; როგორც მას ესმის, როგორც მან აღიქვა ეს, მაგრამ... კარგა ხნის საუბრის შემდეგ იძულებული გახდა დაესვა კითხვა: „მიხვდი“? რაზედაც მიიღო პასუხი: „ვერაფერსაც ვერ მივხვდი!“ და ამ პასუხმა გამოიწვია მისი კვნესა: „რად, რად არის ადამიანი ასეთი უტყვი, ასეთი სუსტი?.. ვერც ერთ რთულ გრძნობას, ვერც ერთ ნათელ აზრს ის ვერ გამოთქვამს სიტყვით... ამას სჯობდა სრულებით მუნჯი დაბადებულიყო ის — ეგების რაიმე სხვა საშუალება ეშოვა მაშინ მას გრძნობათა გამოსახატავად! მე ასე ნათლად ვხედავ ჰეშმარიტებას და შენ ვერ გეუბნები მას“ („უსათაურო“).

რაკი სიტყვა, საერთოდ მეტყველება მიჩნეულია გრძნობის სხვაზე გადაცემისათვის გამოუსადეგარ, ანდა უაღრესად სუსტ იარა-

ღად, ცხადია, უპირატესობა ენიჭება დუმილს, როგორც ორი სულის ერთმანეთთან დაახლოების ერთადერთ საშუალებას.

ჰოლა ფიქრობს, რომ დუმილით უფრო მეტის თქმა შეიძლება, ვიდრე სიტყვებით, რომ ერთმანეთთან უსიტყვოდ მისული ორი სული ისე კარგად, ისე აშკარად და გასაგებად მეტყველებენ, რომ არავითარ მჭერმეტყველებას არ შეუძლია შესცვალოს იგი. აი რას გვეუბნება მწერალი შეყვარებული წყვილის შესახებ, რომელიც მან ქალაქის ბაღში იხილა:

„მთელი ერთი საათი ვუცქერდი იმათ და ამ დროის განმავლობაში არცერთი, არც მეორე არ განძრეულა, არც ერთსა და არც მეორეს ერთი რა არის, ერთი სიტყვა არ წამოსცდენია... დუმდნენ და... საუბრობდნენ ისინი, დიახ საუბრობდნენ. ვიწ, რა გულახდილად, რა გულწრფელად, რა გარკვევით ამბობდნენ ისინი იმას, რასაც გრძნობდნენ!... ღმერთმანი შემეხარბა მე ეს სურათი! ერთხელაც, ერთხელაც არ გვისაუბრია მე და ჩემ ცოლს ასე, ერთხელაც არ გვიჩვენებია ერთმანეთისათვის ჩვენი გული, ჩვენი სული, ჩვენი ფიქრები... ერთხელაც კი არა!“ („დუმილი“). ამ „საუბარში“ პოეტს ესმის სიყვარულის, ანუ ორ სულთა ერთ არსებად ქცევის, მთელი პოემა, ადამიანთა ენით გამოუთქმელი და მეჩსამე პირისათვის სრულიად გაუგებარი.

რა მიმართულებაშია ჰოლას მოსაზრებანი სიტყვის უძლურებისა და დუმილის უპირატესობის შესახებ რუს და ევროპელ რომანტიკოსთა და სიმბოლისტთა მოსაზრებებთან?

„სიტყვა, — ამბობდა მეტერლინკი, — არასდროს არ გამოხატავს ნამდვილ ურთიერთობას ორ არსებას შორის... რამდენად ნაკლებ მონაწილეობს სიტყვა ადამიანთა ურთიერთობაში, იმდენად უფრო ნათლად იციან ადამიანებმა ერთმანეთი: ბაგეს, ენას იმდენად შეუძლია განახორციელონ სული, რამდენადაც კატალოგის წარწერას, ან ნომერს — სურათი, მაგრამ როდესაც ჩვენ ნამდვილად გვინდა რამე გავაგებინოთ ერთმანეთს, იძულებული ვართ ვდუმდეთ“.

„ო, საბრალო ხელოვნებავ, — ამბობდა ლუდვიგ ტიკი —როგორ ბავშვივით უმწეოა შენი ბგერები ბუნების... სიმღერასთან შედარებით“. „იმ უხილავს, რაც ჩვენ გვევლინება, სიტყვები ვერ გადაიტანენ ჩვენს სულში“, — ამბობდა გერმანელი რომანტიკოსი ვაკენროდერი.

როგორც ვხედავთ, ჰოლა ლომთათიძის ცალკეული თქმები სიტყვის, როგორც განცდილი გრძნობის ასახვისა და გადმოცემის საშუალების უძლურების შესახებ, ძლიერ ენათესაება და ძირითად

ხაზებში ემთხვევა კიდეც ამ საგანზე ევროპელ რომანტიკოსთა და სიმბოლისტთა მოსაზრებებს; მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ერთგვარ ორიგინალობას მაინც ინარჩუნებს აქ იგი.

ასე მაგ.: ჰოლა ლომთათიძე გრძნობს სიტყვის უძლურებას „დიდთა აზრთა, სულის დიად ღელვათა“ გამოხატვისას, მაშინ, როცა, მეტერლინკის თქმით, „სიტყვა არასოდეს არ გამოხატავს ნამდვილ ურთიერთობას“...

თუ ტიუტჩევისათვის, ვისთან ნათესაობასაც ხედავენ ჩვენი მწერლის შემოქმედებაში, „წარმოთქმული აზრი არის სიყალბე“, „Мысль изреченная есть ложь—Silentium“; ჰოლა ლომთათიძის გაგებით, იგი ზედმიწევნით სწორი, ზუსტი, საღი და, ნამდვილია, მაგრამ არასაკმარისი იმ სინამდვილის სხვაზე გადასაცემად, რომელსაც „აღრჩეული სული“ გრძნობს და ითვისებს.

ცხადია, საგნების სიტყვით გამოხატვის შეუძლებლობის შესახებ რომანტიკული გოდება და სრულიად გარკვეული მიზეზით გამოწვეული დიდი სულიერი დრტვინვის გადმოსაცემად ლექსიკური მარაგის უკმარობის გამო წუხილი — ერთი და იგივე არ არის.

ცნობილია, რომ დიდგულისთქმათა შედეგად ტარიელი დამუნჯდა, დაბნდა, დაეცა, ვერ მოახერხა სიტყვის თქმა. ილია ჭავჭავაძემ აქ დაინახა სინამდვილის რეალისტურად ასახვა, უაღრესად დიდი ბუნებრიობა და არა რომანტიკული გოდება, ან გამოსახვის საშუალებათა სიღარიბე. ჰოლას მიერ სიტყვის უძლურების შეცნობას წმინდა ეროვნულ-სოციალური საფუძველი აქვს, ამდენად რეალისტურია იგი და არა რომანტიკული. აი რას ამბობდა ჯეირანი:

„...ჩვენი კარები გარედან იკეტება და გასაღები მათ ხელშია, როცა უნდათ, მაშინ გააღებენ, შემოვლენ, გადაგვიხსნიან მკერდს და შიგ სინდისში ჩაგვაფურთხებენ, შეგვიკრავენ ხელთ და მერე გვცემენ. მაგრამ მე ვერ ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ, ყველა ეს უფერულია და მცირე იმ დიდი შეურაცხყოფის წინაშე, რომელიც მოგვაყენეს“ („სახრჩობელას წინაშე“).

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ჰოლა მის მიერ დუმილის ფილოსოფიის გაზიარებას რეალიზმს უკავშირებს და არა რომანტიზმს. „ერთ ალაგას ბალზაკი ამბობს, — წერს ის, — რომ დუმილი შეიძლება ადამიანმა გაიგონოსო. როცა ეს ამოვიკითხე, მე ძლიერ მიამა. ბალზაკი დიდებული მწერალია, ჯანმრთელი, საღი ნერვების პატრონი კაცია, დინჯია, ჭკუიანია და, როცა იმისაგან გაიგონე, — დუმილის გაგონება შეიძლებაო, მიამა, მესიამოვნა. საქმე იმაშია, რომ წინათაც, უბალზაკოდაც ვიცოდი მე ეს, ჩემით ვი-

ცოდი, და აი, უცებ ასეთი დიდებული კაცი შეგიძლია იმოწმო შენი რწმენის სინამდვილეში! ბალზაკი ხომ ნერვებაშლილი, დასნეულებული, ატავისტი დეკადენტი არ არის, რომ სირცხვილი იყოს მისი მოყვანა“ („დუმილი“).

პროზად დაწერილ ლექსში — „კვლავ ფიქრი, ფიქრი“, ეკითხულობთ: „მაგრამ, სიტყვებო, საცოდავო ჩემო სიტყვებო, არა თქვენ არ ხართ ჩემთა ფიქრთა გამომეტყველი... თქვენ ვერ იტყვით ფიქრთა შინაარსს, სჯობს, რომ დადუმდეთ“. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ ნაწარმოების დაწერისას (1903 წ.) მწერალი ჯერ კიდევ არ იცნობდა ბალზაკს, ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მან მართლაც „უბალზაკოდ“ და შეიძლება ურომანტიკოსებოდაც, მოზღვავებული გრძნობის ქაღალდზე გადატანილთან შეპირისპირებით მიაგნო „დუმილის ფილოსოფიას“[129].

მაგრამ, თუ ამ ერთი შტრიხით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთგული მწერალი ერთგვარად მაინც ენათესავება რომანტიკული სკოლის მწერლებს, მისი სიმბოლიზმთან დაკავშირების ცდები იმდენად ხელოვნურია და ანტიმეცნიერული, რამდენადაც სიმბოლისტებმა უკიდურესობამდე განავითარეს რომანტიკოსთა თვითმიზნური სწრაფვა ირეალურისაკენ, გამოუთქმელისა და მიუწვდომელის რაიმე საშუალებით გამოხატვის გზების ძიებისაკენ, ე. ი. თავიანთი შემოქმედებითი მეთოდის სწორედ ის მხარე, რომელმაც ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში დიამეტრალურად საპირისპირო გამოძახილ ჰპოვა.

ცნობილია, რომ სიმბოლისტებმა უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს სიტყვას, ერთადერთ რეალობად დასახეს იგი. მათი აზრით, ხელოვანი იმდენად ძლიერია, რამდენადაც მოქნილად შეუძლია მოხმარება სიტყვიერი მასალის, ახალი ფორმის შექმნა სიტყვების ჯადოქრული „გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით“, ახალი სიტყვების მეშვეობით გარეგნული ეფექტის მიღწევით.

---

[129] დუმილის ფილოსოფიის დაკავშირება დასავლეთევროპულ რომანტიზმთან ჩვენ მხოლოდ ეროვნული კულტურის ისტორიაში ღრმად ჩაუხედაობის შედეგად გვესახება. აზრი დუმილით სულთა ჰეშმარიტი მეტყველების შესახებ ქრისტიანული რელიგიიდან მოდის საერთოდ, და, ცხადია, ქართველი მოაზროვნეები ევროპაში რომანტიზმის განვითარებამდე კარგა ხნით ადრე იცნობდნენ მას. ქრისტიანულ მოძღვრებას (და არა ევროპულ რომანტიზმს) ეყრდნობოდა ნ. ბარათაშვილი, როცა ამბობდა: გულთა მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე: შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად? მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად“ („ჩემი ლოცვა“).

სიმბოლისტების რწმენით, ობიექტური სამყაროს საიდუმლოებაში შესვლისათვის საკმარისია ახალ სიტყვათა კომპლექსის შექმნა, სიტყვათა თავისებური წარმოება. მათი გაგებით, სიტყვას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, საკუთარი ღირებულება, მაგიური ძალა — შემცნობი შეუცნობელთა, მიმწვდომი მიუწვდომელთა. თუ ფლობს სიტყვათა წარმოების საიდუმლოებას, პოეტი განუსაზღვრელად ბატონობს უსასრულო სამყაროს წვდომისა და დაუფლების საიდუმლოებასაც (იხ. ანდრეი ბელი, „სიმბოლიზმი“, 1910).

ცხადია, ერთგვარი, თუმცა ფრიად თავისებური, უსუსური და უსაგნო დასაყრდენი მაინც ჰქონდა კრიტიკოსს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ნათლად, რეალისტურად ჩამოყალიბებულ კონცეფციას სიტყვის ძალისა და ძლიერების შესახებ სიმბოლიზმს უკავშირებდა, მაგრამ ჭოლა ლომთათიძის მიერ სიტყვის უძლურების აღიარების სიმბოლიზმად დასახვას არავითარი გამართლება არა აქვს. შემოქმედი, რომელიც არაორაზროვნად და არაერთგზის ამტკიცებს, რომ უაღრესად მხატვრულ სიტყვასაც კი არ შეუძლია გამოხატოს სუბიექტური და ობიექტური სამყარო, რომ ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მუნჯად დაბადებულიყო ადამიანი, რადგან მაშინ, შესაძლოა, მოსძებნიდა ნაგრძნობის გამოსახვის რაიმე უმჯობეს საშუალებას, ვიდრე სიტყვაა, — ამ „საბუთის“ მოშარჯვებით არ შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც სიტყვის უსაზღვრო ძლიერებას უდავო ჭეშმარიტებად რაცხს. სიმბოლისტისათვის პოეტური სიტყვა ყველაფერია, ჭოლა ლომთათიძისათვის — არაფერი; სიმბოლისტი სიტყვის საშუალებით „სამყაროს საიდუმლოებას სწვდება“, ჭოლას კვნესას კი ის იწვევს, რომ სიტყვით არაფრის თქმა, არცერთი ღრმად განცდილისა და ნააზრევის წვდომა არ შეიძლება; სიმბოლისტების მთელი ფილოსოფია სიტყვის მაგიურ, ჯადოქრულ სიძლიერეს ეყრდნობა, ჭოლა ლომთათიძე ყოველგვარი მჭერმეტყველური სიტყვის უძლურებაზე ჰგოდებს.

პოეზიისადმი, საერთოდ ხელოვნებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც არ შეიძლება ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებასა და სიმბოლიზმს შორის რაიმე საერთო ნიუანსის დანახვა. ცნობილია, რომ სიმბოლიზმი პოეზიას მიიჩნევს საკუთარ სულში იმთავითვე არსებული სევდის კიდევ უფრო გამძაფრების, გაძლიერების საშუალებად, რეალისტისა და რომანტიკოსისათვის კი პოეზია შეცნობილი უკუღმართობით აფორიაქებული სულის დამშვიდების, სევდისაგან თავდაღწევის საშუალებაა; სიმბოლისტებისათვის პოეტური ხილვა სულიერი დრტვინვის გამაღიზიანებელი და გამამწვავებელი საშუალებაა, რომანტიკოსისათვის კი — დამამშვიდებელი.

რომანტიკოსთათვის ტიპიურია ნ .ბარათაშვილის თქმა — „წარ-
ვედ წყლისა პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად!“ ჭოლა ლომთა-
თიძის დამოკიდებულებაც პოეზიისადმი მთლიანად ემთხვევა რო-
მანტიკულ გაგებას და არა სიმბოლიზმს.

აი რას ამბობს მწერალი: „და ვზივარ ახლა მაღალ, მაგარ
კოშკში, ცალკე ოთახში, და თან კიდევ ეს გაზაფხული გვეწვია, მერ-
ცხალმა რამდენიმეჯერ შემომძახა — შემომჟღურტულა ჩემს ოთახ-
ში, პატიჟი დამიწყო. მტკვარი დათვრა და გიჟური ღრიალით მია-
ქანებს მღვრიე ტალღებს შორეული კასპისაკენ. ისიც მეძახის ფარ-
თო მინდვრებისაკენ... საჭირო იყო ყველა ამისათვის ყურადღება
არ მიმექცია, საჭირო იყო რაჰეთი გამერთო აღრჩეული სული.

ამიტომ დავიწყე წერა“ („უსათაურო“).

ცნობილია, რომ ევროპულ ლიტერატურას სიმბოლიზმი მოევ-
ლინა, როგორც ბურჟუაზიული კულტურის დეკადენსის, კაპიტალიზ-
მის სიკვდილის მოახლოების მაუწყებელი ლიტერატურული მიმ-
დინარეობა. ი. ფანცხავას და მის თანამოაზრეთა პესიმისტურ დამო-
კიდებულებას ქართული ლიტერატურის აწმყოსა და მომავლისადმი[130]
ჭოლამ მოუძებნა კლასობრივი ნიადაგი ჯერ კიდევ 1901 წ. და ნათ-
ლად მიუთითა იმ ძალებზე, რომელნიც ოპტიმიზმით გაჟღენთილ
დემოკრატიული ტენდენციების შემცველ ლიტერატურას შექმნი-
დნენ.

„დღემდის ჩვენს ლიტერატურას, — ამბობს ჭოლა, — არისტო-
კრატიის ინტელიგენტი ნაწილი ფლობდა, მკითხველიც იგივე არის-
ტოკრატია იყო, — მაშასადამე, იმათ ერთმანეთის ესმოდათ... მაგრამ
დრო შეიცვალა, ცენტრი ხალხისკენ გადაიწია და იმის შუაგულში
მოიკალათა. სწავლა-განათლება არისტოკრატიიდან ხალხში, დემო-
კრატიაში გადავიდა, ამან მოსპო არისტოკრატ-ინტელიგენტთა მონო-
პოლია... ისინი იმიტომ კი არ სტირიან, რომ ლიტერატურა თითქოს
დაქვეითებულიყოს, არამედ იმიტომ, რომ ლიტერატურამ მათი იდე-
ალები უარჰყო და ახალი წამოაყენა და, რომ ქვეყანას თვალი აუხვი-
ონ. თავიანთ სატირალს საერთო ხასიათს აძლევენ და გაიძახიან:
„გვიშველეთ, ვიღუპებითო!“... მათი ნებაა, იტირონ რამდენიც სურთ!
У всякого свое горе, ჩვენ კი... სასიხარულოს გარდა, სამწუხარო
არაფერი გვაქვს“[131]...

---

[130] იხ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. № 1389.
[131] იხ. „ჯვალი“, 1901 წ. № 14, გვ. 230.

დეკადენტურ-პესიმისტურ ლიტერატურული სკოლების შესახებ 900-იან წლებში შემუშავებული შეხედულებების ბოლომდე ერთგული დარჩა ჭოლა. 1911 წელს დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებში მან ზუსტად გაიმეორა ზემოთმოყვანილ პუბლიცისტურ წერილში გადმოცემული მოსაზრებანი.

„ისინი მოკვდებიან, — ამბობს ის გაბატონებულ კლასთა შესახებ — და ისე მოკვდებიან, რომ ჰარისუფლები, დამტირებლებიც არ დარჩებათ ამ ქვეყნად. ისინი კვდებიან უმემკვიდროდ, აი რატომ არის, რომ ისინი წინდაწინ ბადებენ ისეთებს, რომლებიც დღეს დასტირიან მათ მომავალ სიკვდილს, მდიდართა კლასის გაქრობას... წინდაწინ იცმენ შავს, წინდაწინ დასტირიან თავის მომავალს და ამ გლოვას ჩვენ ვისმენთ პესიმისტების ნაწერებსა და სიტყვებში — ამ მომავალი მათი სიკვდილის წინამორბედია მოსაწყენი ხალხი-დეკადენტები, გულგატეხილი ფილოსოფოსები და მოქეიფე ბიჭები. ღვინოსა და ბოზებში, გარყვნილებასა და ღალატში ახრჩობენ ისინი თავიანთ დარდსა და მწუხარებას აუცილებელი მომავლის გამო“ („თეთრი ღამე“).

გვიჩვენა რა რეალისტურ ფერებში გულგატეხილთა და სულმოკლე მოწუწუნეთა ტიპიური სახეები რეაქციის დროს (კოლია დროზდოვი, ნოე ქერქაძე), ჭოლა ლომთათიძემ „ძე კაცისაში“ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება იმ ყოფილი მებრძოლებისადმი, რომელთაც „ღვინოსა და ბოზებში“ დაიწყეს ხსნის ძიება. „გული არა გაქვს შენ, თუ როგორ არის შენი საქმე, ბიჭო, ნანგრევებზე ვდგავართ, ნანგრევებზე, და ეს რა არის! უარესი ის არის. რომ გუშინდელი მოყვრები დღეს აფურთხებენ ამ ნანგრევების ქვეშ მოყოლილ იმედებს, ამ ნანგრევების ქვეშ მოყოლილ მებრძოლებს, ამ წმინდა საფლავებს“, — აი როგორი წერილი მიიღო ამხანაგისაგან გიორგიმ, რომელიც ნაწარმოებში მწერლის პროტოტიპია მხოლოდ, და გაუკვირდა, რომ ასე „ტიროდა და ტიროდა წერილში მისი ამხანაგი, რომ ასე გაუტყდათ ადამიანებს გული. ეპიდემიას, უბედურებას, შავ-ჭირს, ხოლერას უნდა შეებრძოლო. რა ატირებს ადამიანს! ეს ისეთი მარტივი და უბრალო რამ იყო მისთვის, რომ ვინიცობაა მისულიყვნენ იმასთან და ეთქვათ — შენს მეტი, გიორგი, არავინ დარჩა ამ ქვეყნად შენი აზრისა, ახლა რას იტყვიო, ის უბრალოდ მიუგებდა: „რა ვუყოთ, მე მართალი ვარ, სხვები სცდებიან. მე მაინც ჩემი გზით ვივლი, ვიცი, რომ გამარჯვება ჩემია...“

მას უყვარდა ნიცშეს კითხვა, თუმცა ნიცშეს მიმდევარი არ იყო და ხშირად მოიგონებდა ერთს იმის აფორიზმს: „თუ თქვენ ვერ შე-

იძულით დიდი საქმეები, განა ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ თვითონ არ ვარგოდეთ? და თუ თქვენ არ ვარგიხართ, განა ეს ნიშნავს იმას, რომ არ ვარგა თვით ადამიანი? და თუ არ ვარგა ადამიანი — რა ვუყოთ, მაინც წინ" — ამბობდა ის და განაგრძობდა ლოდინს — „ამასაც ბოლო მოეღება და ისევ ძველი გზით გავსწევთ ახალი ქვეყნისაკენო" („ძე კაცისა", 1912 წ.).

თავისი მორალურ-პოლიტიკური კრედოს ასე მკვეთრად განსაზღვრა რეაქციის დროს დამახასიათებელია ჰოლა ლომთათიძისათვის, როგორც რეალისტი შემოქმედებისათვის, რომელიც შეგნებული ცხოვრების მთელ მანძილზე გადაჭრით ემიჯნებოდა რეაქციულ-დეკადენტურ მიმდინარეობას.

წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ტიპები ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში

ის შერცხვეს, ვინც მოღალატე გამოდგეს

ჰოლა

ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებას გაბედულად შეიძლება ვუწოდოთ ცხრაასიანი წლების საქართველოში წარმოებული რევოლუციური ბრძოლების მხატვრული მატიანე, რამდენადაც მასში მკვეთრი ასახვა ჰპოვა ამ მოძრაობის სიდიადემ და სისუსტემაც. 1905–1907 წლების რევოლუციის დროებითმა მარცხმა და რეაქციის გაბატონებამ გამოიწვია იდეურ-მორალური დაქვეითება წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის დიდი ნაწილისა, რომელიც რევოლუციის აღმავლობის პერიოდში პროლეტარიატს მიჰყვებოდა.

რეაქციის გამარჯვებით დამფრთხალმა წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენტთა უმრავლესობამ, სცნო რა რევოლუციის დროებითი მარცხი საბოლოოდ, ზურგი შეაქცია მარქსისტულ ფილოსოფიას, მოახდინა ღირებულებათა სრული გადაფასება. პათოლოგიური შიში, გულგატეხილობა და ცხოვრების სინამდვილიდან გაქცევის სურვილი დაეუფლა რევოლუციის შემთხვევით თანამგზავრებს, იოლი გამარჯვებების იმედის მქონე ინტელიგენტებს.

ჰოლა ლომთათიძის შემოქმედება მოწუწუნე წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენტთა ცხოვრების, მათი ფილოსოფიის უბადრუკობის, მხდალი ბუნების ასახვაშიც ინარჩუნებს მთლიანობას.

პროლეტარიატის საბრძოლო ძალისადმი უნდობლობა, გამარჯვებისადმი იჭვი, რაც რეაქციის დროს გულგატეხილობასა და ინდივიდუალისტურ გოდებაში გადაიზარდა, იმთავითვე განსაზღვრავდა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სულისკვეთებას და ასევე აისახა იგი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში.

ყოველთვის ზუსტად როდი გამოხატავს სინამდვილეს იმის თქმა, რომ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეური გადაგვარება და სხვადასხვა რეაქციულ-დეკადენტური მიმდინარეობებთან დაახლოება მხოლოდ 1905-7 წლების რევოლუციის შემდეგ გამეფებული რეაქციის დროს მოხდა.

მებრძოლი მწერალი 1905 წ. რევოლუციის დაწყებამდეც კარგად იცნობდა „ჰკუიანთა“ და „კმაყოფილთაგან“ არც თუ შორს ვდგომარ, სუსტი ნებისყოფის ინტელიგენტებს, ბრძოლის ველზე რიდითა და კრძალვით გამოსულთ.

ჯერ კიდევ 1902-3 წლებში დაწერილ ნაწარმოებებში („მატლი“ „კვლავ ფიქრი, ფიქრი“) უაღრესად მუქი საღებავებით ხატავდა ჭოლა ბრძოლისათვის „საჭირო პირობების“ მაძიებელთ და რევოლუციის ბოლომდე ერთგულთა სახელით სავსებით ემიჯნებოდა მათ. „მატლში“ ერთმანეთს უპირისპირდება უდრეკი რევოლუციონერი სანდრო („მე“), და ვანო („ის“) არსებული საზოგადოებრივი ფორმაციის უკუღმართობის შეცნობით აკვნესებული და წვრილბურჟუაზიული სულისკვეთებით მოწუწუნე ინტელიგენტი. „მე მეგონა, რომ ჩემს დარდსა და ვარამს მივანდობ მაგას, ვეტყვი ყველაფერს, ერთი ამის წინ გადმოვშლი დიდი ხნის შეგუბებულ ნაღველს და ცოტათი მაინც გულს მოვიფონებ, ცოტათი მაინც დავმშვიდდები“. — ასე ფიქრობს ვანო და წუხს, რომ სანდროს „არ სწამს ბედის სამდურავი“.... მატლისაგან (შიმშილისაგან) შეწუხებული ვანო კვნესის, რადგან დაეხეტება „ვეებერთელა ქალაქში ხან აღმა, ხან დაღმა, ხან წინ, ხან უკან, შიშველ-ტიტველი... მშიერ-მწყურვალე“ და „ყველგან ერთი და იგივე პასუხი ესმის: „არ გვჭირიხარ, უშენოდაც ვკმარვართო“. შრომა უნდა და ფეხქვეშ თელავენ, ენერგია აქვს და მისი გამოყენების საშუალებას არ აძლევენ, — აი რა ატირებს ვანოს.

„— და მერე მაგითი გსურს თავი შემაცოდო? ამაებს რომ ხედავ. უნდა იტირო?....

. ტირილით და ვიშით ისე ვერას გააწყობ, როგორც ჩვენ ბატონებთან ვერ დაამტკიცებ, რომ ეს გვჭირია და არა ის, რასაც ისინი გვაწოდებენ. მაგის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგანაც საწინა-

ალმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს?

— კი, მაგრამ როგორ უნდა იბრძოლოთ მშიერი კუჭით, როდესაც ისე გაქვს გადაფარებული თვალებზე ნისლი, რომ ცხვირის წინ საგანი ვერ გაგირჩევია.

— არაფერია! ეშმაკი არც ისეთია, როგორც გვიხატავენ! თუ კი გსურს, რომ რაიმე გააკეთო, თუ კი გსურს, რომ სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნიო — კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს... სამაგიეროდ გული უნდა ასაზრდოვო, გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდმივ უნდა გუზგუზებდეს და, აი მაშინ, დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება“ („მატლი“).

ამ დიალოგში აშკარად მოჩანს საზოგადოების ორი ფენა, ორი მსოფლმხედველობა, ორი ერთმანეთის დიამეტრალურად საპირისპირო მსოფლშეგრძნება: მებრძოლი პროლეტარიატი, რომლის შეჩერება, სწორი რევოლუციური გზიდან აცდენა და გადახვევა არავითარ „ობიექტურ“ მიზეზს არ შეუძლია, და მოწუწუნე და მხდალი წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენცია; გულში ჩამწვდომად ჟღერს აქ ფრთაასხმული მხატვრული სიტყვა. კონტრასტებში მოცემულია ორი ორგანო ერთი ორგანიზმისა — კუჭი და გული. მწერლის გაგებით, პირველის გაღმერთება ზრდის „ჭკუიანებს“, სიკვდილამდე კლავს ადამიანს, მეორე კი „ისეთი საიმედოა, როგორც დედის სიყვარული და ისეთი მძლე, როგორც უკვდავება“: პირველის გაღმერთებისაკენ მიისწრაფვის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, მეორეს ეყრდნობა მებრძოლი პროლეტარიატი თავისი თანმიმდევრულად მებრძოლი ინტელიგენციით.

რეალისტურია „მატლის“ ფინალიც. რევოლუციონერმა სანდრომ დაამარცხა მოწუწუნე ვანო, რომელმაც იგრძნო, რომ მის „ძარღვებში იმატა სისხლის დენამ“. რაღაცა ძალამ გასწია ის უსაზღვრო და უძირო სივრცისაკენ და დაუბადა „ძლიერი წყურვილი მის ტალღებს გადარეოდა მაგარი მხარულით, ძლიერ ტალღებთან ბრძოლა გაეწია“. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ერთჯერადია, სანდროს მჭევრმეტყველების შვილია იგი მხოლოდ და მტირალას მებრძოლად გარდაქმნას სრულებითაც არ ნიშნავს. ვანო გრძნობს სანდროს სიმართლეს, მაგრამ რჩება იმადვე, რაც იყო — მერყევ ინტელიგენტად, რასაც ასე ნათლად გვიჩვენებს რეალისტი მწერალი ვანოს შემდეგ სიტყვებში: „ვფიქრობდი და ამ ფიქრში მაგონდებოდა ძვე-

ლი ზღაპარი, როდესაც ერთ მგზავრს ორკაპი გზა დახვდა წინ, სადაც წარწერა ამბობდა: „წახვალ ინანებ. არ წახვალ, მაინც ინანებო“.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში ჭოლა ლომთათიძე მთელი შეგნებით, გაასკეცებული ენერგიით უპირისპირდებოდა არსებული საზოგადოებრივი ფორმაციის სიმახინჯის შეცნობის შედეგად აკვნესებულ უნიათოებს, მამხილებელი და მომწოდებელი სიტყვით მიმართავდა მათ: „თქვენ მხდალნი ხართ, თქვენ ყველაფერი გაშინებთ... თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიც კი აგიტეხთ გულის კანკალს“ („აღსარება“). იგი მთელი ხმით ეძახდა მებრძოლ მეგობარს, რომელიც ურყევად დადგებოდა პროლეტარიატის საბრძოლო დროშის ქვეშ: „მეგობარო. შენ სად ხარ ამ დროს? რატომ არ გამამხნევებ. რატომ არ შემომიდგები მხარში, რატომ არ შემიმსუბუქებ მძიმე ტვირთს, რომელიც ვიკისრე?.. რატომ, ჩემო მეგობარო, რატომ?“ („აღსარება“). ეს ძახილი ინდივიდუალისტური როდია, მწერალმა იცის. რომ „ამ გზაზე შემდგართ ჰყავთ უამრავი მეგობრები“. რომ ის არ არის გამონაკლისი“, მაგრამ ამ უამრავთა რიგის შემდგომ გაძლიერებას ისახავს მიზნად.

1902 წელს გამოქვეყნებულ „მატლში“ ჭოლა ლომთათიძემ „ლამაზი სიტყვების ჭურჭლები“ უწოდა მერყეულ რევოლუციონერებს. რევოლუციის დროებით თანამგზავრ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტებს. აი როგორ ახასიათებს იგი მათ: „გამოძერებიან ეს ბატონები, ამბობენ ლამაზ სიტყვებს, ზრდილობიანი რეერანსით დაგრკვავენ თავს და მიდიან. სად? — ეკითხები შენს თავს, რა უნდოდათ. რად იწუხებდნენ თავს, რად ხარჯავდნენ ამ სიტყვებს, ან სად დაიკარგნენ მერმე? და აი ეს ურიცხვი ნაცნობები შენს წინ შეჯგუფდებიან უცბად, მაგრამ ჯერ რაღაც გამოურკვეველი სახით. შემდეგ ნელნელა ირკვევა მათი სახე, აკვირდები მათ და ნაცნობების მაგიერ თვალწინ გიდგება ერთი ვეებერთელა ციფრი — მეოცე რიცხვი. ეს წყეული რიცხვი — ოცი — ნთქავს ამოდენა ლამაზ სიტყვებს. როგორც ლამაზ ქალებს ნთქავს ხოლმე სხვადასხვა მოდები და ტკბილეულობა“ („მატლი“).

აღმავალი რევოლუციის მჩქეფარე ტალღებს ადევნებული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის უკან დახევა. მისი შთანთქმა მღელვარე ზღვის მიერ, პირველი სერიოზული დარტყმისთანავე დასახული გზიდან გადახვევა ჭოლამ კარგად განსჭვრიტა 1903 წელს დაწერილ თეთრ ლექსში „კვლავ ფიქრი, ფიქრი“.

აზვირთებულ ზღვასთან შებმულ ხომალდში მარტოდ მიტოვე-

ბული მგოსანი ბრძოლის ველიდან გაქცეულთ აგონებს იმ დროს, როდესაც ისინი „ერთი ნავით“ მიცურავდნენ „ზღვის შეუპოვარ, მომღელვარე სასტიკ ტალღებში“, „სიყვარული იალქნობდა რა ამ ნავს, ღონეს აწვდიდა „სტიქიონთან მწარე ბრძოლაში“ და ეს ნავი, „დიდ-თა აზრთა, დიად მიზანთა მატარებელი“ ნანინას ეუბნებოდა მებრძოლთ, რომელთაც მომავალზე, ნათელ იდეალზე სიმღერა „ტალღების ჭექას“ ავიწყებდათ. შემდეგ მწერალი იხსენებს, თუ როგორ დაეჯახა ამ ნავს სიყვარულისას (პროლეტარიატის რევოლუციურ შემართებას) ერთი ტალღა, თვითმპყრობელურ-მემამულური იმპერიის ძლიერი მუშტი, ჩამოაშორა მებრძოლთა რიგებს მერყეევი თანამგზავრნი და გადაისროლა ისინი „მეოცე რიცხვში“.

„მერმე ხომ გახსოვთ, ერთი ტალღა რომ დაგვეჯახა და შეარყია ჩვენი ნავი სიყვარულისა. შენ იმა ტალღამ ზღვის უფსკრულში გადაგიძახა და შთანგთქა მძლავრმა ზღვისა დენამ, სატრფოვ გულისა. და აი მაშინ, მაინც კარგო, ამაღე ხელი... დავშორდით და დავეკარგეთ ერთმანეთს ჩვენა...“ საგულისხმოა, რომ პოეტის ოპტიმისტურად აყღერებული ქნარი წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენტთა რევოლუციური გემიდან გადავარდნას ასახავს, როგორც სამწუხარო მოვლენას და არა როგორც საბედისწერო ფაქტს და პროლეტარიატისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეს. იგი დაბეჯითებით იმეორებს, რომ რევოლუციური ბრძოლა გაგრძელდება საბოლოო გამარჯვებამდე. „მარტო-ღა შევრჩი იმ ოცნებას, იმ სიმღერასა, მარტო-ღა ვიბრძვი, ნავზე მარტო მიტოვებული, მაგრამ იმედი მაინც არ სწყვეტს სიმთა ჟღერასა. დიდი მიზანი, სიყვარულის ნავში მჯდომარეს დღესაც ლამაზი, მშვენიერი, მინათებს სვლასა“ — დაასკვნის მწერალი.

რა თქმა უნდა, უმართებულო იქნებოდა პირდაპირ გაგვეგო მხატვრული თქმა „მარტო-ღა ვიბრძვი“. იგი გამომდინარეობს ჰოლას წერის მანერიდან — „მე“-ს ასპექტში წარმოგვიდგინოს საზოგადოების მთელი ფენა, გამრავლებული „მე“.

ამ ნაწარმოებში („კვლავ ფიქრი, ფიქრი“) ჰოლა ლომთათიძე არ კმაყოფილდება შეხედულებათა მსწრაფლ გადამფასებელ, წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ინტელიგენტთა სახის ჩვენებით. იგი ზურგს აქცევს მათ და მიმართავს „ცხოვრების ბუშებს“, — ციხე-დარბაზების მშენებელ, ოქრო-ვერცხლის მომპოვებელ, პურ-ღვინის მომყვან და არაფრის მქონე მშრომელებს: „თქვენთვის, ჰაერო და ფილტვებო არსებობისა, თქვენთვის მიძღვნია ჩემი სული და ჩემი გული“.

ღრმა სევდის შემცველი ნაწარმოებია „კვლავ ფიქრი, ფიქრი“, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვის სიმცირე ასულდგმულებს ამ სევდას. კაპიტალიზმის მიერ ქუჩაში გამოყრილი ლუმპენ-პროლეტარების, ყველაფრის შემქმნელი დ-თან „ცხოვრების ბუშად“ ქცეული ადამიანების „მოწყენილი და ლამაზი სახეების“ ცქერა მწერლის „დაძმარებულ გულს ეკვრის და აღარ შორდება“. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულთა შორის ბევრს არამკითხეს, არამედგარს, თავისი მოვალეობის ზერელედ შემცნობს ხედავს მწერალი და ამიტომაა, რომ მისი მწარე ფიქრები „როგორც ისარნი, წვერ-მოშხამულნი“ მიმოქრიან „გულის სივრცეში“.

მერყევ რევოლუციონერთა შორის დაინახა ჰოლამ აგრეთვე რევოლუციის მხარეზე 900-იან წლებში აქტიურად მებრძოლი ქალები საერთოდ და აქ მოსწყდა იგი კიდეც კლასობრივ ნიადაგს. ალეგორიულად ტალღაში გულისხმობდა რა აზვირთებულ რევოლუციურ გაქანებას, ჰოლას ღრმად სწამდა, რომ „ქალის სიყვარულს უარი უთქვამს ძლიერი ტალღისათვის“ და, „ოდნავი წინააღმდეგობის შეხვედრის შემთხვევაში, დედათა სქესი არა თუ თვითონ გაეთიშება რევოლუციურ ძალებს, არამედ „მეოცე რიცხვისაკენ“ თან გაიყოლებს მიჯნურ მამათა სქესის დიდ ნაწილს, რადგან „თუ გიყვარს ქალი, უარყო უნდა სუყველაფერი, ძლიერი ტალღაც, თავისი თავიც... დასთმო უნდა გარეშე ქვეყნიერება“ (ტალღები“).

ასეთ ქალთა წინამორბედის სახითაა მოცემული „სიცრუეში“ რევოლუციონერის მიჯნური სულმდაბალი მარო, რომლის ორსტრიქონიანი წერილი ლევანისადმი ასე კარგად ახასიათებს მთელ მის ფენას, მის საზოგადოებას

როგორც ვხედავთ, თავის ადრეულ შემოქმედებაში ჰოლა ლომთათიძემ საკმაო სიძლიერით გამოსახა მომავალი მოწუწუნეთა მკაფიო სახეები. ჯერ კიდევ 900-იან წლებში გვესმის მწერლის გამაფრთხილებელი ძახილი: „ის შერცხვეს, ვინც ჩვენს შორის მოღალატე გამოდგეს!“ („სიცრუე“).

1905 წლის რევოლუციის მარცხმა რომანტიკული გატაცების საბურველი ჩამოაცალა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის საკმაოდ დიდ ნაწილს. თუ რევოლუციამდელ საზოგადოებრივ ყოფაში ამ ინტელიგენტთა სახეების შორეული კონტურები მოსჩანდა მხოლოდ და ასევე ზერელედ აისახებოდა რეალისტი მწერლის მხატვრულ ქმნილებებში, რეაქციის დროს დასრულებული სახით გა-

მოჩნდნენ ისინი და შექმნეს უდიდესი შესაძლებლობა ამ სახეთა სრულყოფილად გამოძერწვისა. ამგვარად, მოწუწუნე ინტელიგენტთა წარმომადგენლები, ჰოლა ლომთათიძის მახვილი თვალით ადრევე დანახულნი, მარტოოდენ ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში კი არ „ჩნდებიან“, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, არამედ რეაქციის დროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავლდებიან და შემდეგ მათემატიკური სიზუსტით აისახებიან რეალისტი მწერლის მხატვრულ ქმნილებებში. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ფსიქო-იდეოლოგიას ამომწურავად გვიხატავს მწერალი კოლია დროზდოვის სახით („საპყრობილეში“).

როგორც ჯეირანის სახეშია თავმოყრილი დადებით რევოლუციონერ გმირთა მრავალი სახე, ისე წვრილბურჟუაზიული მოწუწუნე ინტელიგენციის ტიპიური ბუნებაა გამოძერწილი დროზდოვში.

1905-7 წლებში რევოლუციისათვის მებრძოლ უშიშარ გმირთა რიგებს ამშვენებდა დროზდოვი. გამარჯვებულმა რეაქციამ სიკვდილი მიუსაჯა მას, მაგრამ „კაცთმოყვარე“ გენერალ-გუბერნატორმა სიცოცხლე აჩუქა — სამუდამო კატორღით შეუცვალა უმაღლესი სასჯელი.

ის მკაცრი ბრძოლა ერთ „მე“-ში არსებულ ორ ძეთა შორის, რაც ასე დეტალურად ჯეირან ვარდოსანიძის სახეში გვიჩვენა ჰოლამ, ბუნებრივია, დროზდოვშიც მოხდა, მაგრამ ამ მოთხრობაში („საპყრობილეში“) მწერალი თვით ბრძოლის შედეგს იძლევა და არა პროცესს. მწერალი ხელმძღვანელობს ორი მოსაზრებით, ჯერ ერთი, აქ ორი „მე“-ს შერკინების ასახვა განმეორება იქნებოდა მხოლოდ, მეორეც, ამჯერად ერთ „მე“-ში ჰოთავსებული ორი „მე-“ს შერკინება ადამიანის შინაგან პროგრესულ ძალებზე რეგრესულ ძალთა გამარჯვებით დამთავრებულა და მწერალს მისი გამოფენა არც თუ სახარბიელოდ მიაჩნია: როცა დროზდოვის შესახებ იწყება თხრობა, ამ უკანასკნელში „ძე საზოგადოებისა“, რომელიც მის პიროვნებას წინ უძღვოდა რევოლუციის აღმავლობის დროს, უკვე მკვდარია, ხოლო „ძე ადამისა“ (კაცისა) თავის გამარჯვებას ზეიმობს.

„შვიდი წელი თუ აქ გავატარე, მერე ვისაც უნდა იმას ჰქონდეს თავისუფლება, დამილოცნია! მე კი...“ — დაბეჯითებით იმეორებს დროზდოვი და სწორედ ეს „მე“ არის ახლა მისი ერთადერთი საზრუნავი საკანი და არა „ის“-წმინდათაწმინდა იდეალი, რასაც ადრე ასე გატაცებით ემსახურებოდა[134].

კოლია დროზდოვის ცხოვრების ყოველი შტრიხი, მწერლის მიერ ასახული. ემსახურება წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მქონე დამფრთხალი ინტელიგენტის ხასიათის გახსნას. ბუნების მშვენიერებაზე გაუბა მან საუბარი ახლად გაცნობილ რევოლუციონერ ქართველს მაშინ, როცა ზერელედ და აგდებით მოიხსენია ის „საერთო საქმე“. რის ერთგულებამაც ისინი ამ „საზოგადო სახლში“ შეჰყარა. საქართველოს ბუნების მშვენიერება იტაცებს მას და არა რომანტიკა იმ რევოლუციური ბრძოლებისა, რომელიც იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ბობოქრობდა. საგულისხმოა, რომ დროზდოვი იკვით უყურებს არა მარტო წარსული რევოლუციური აზვირთების პერსპექ-

---

[134] არასგზით არ მოხერხდება კოლია დროზდოვისა და მოთხრობის ავტორის გაიგივება, როგორც ამას ლიტერატურათმცოდნენი დღემდე ცდილობენ. ჯერ ერთი, ავტორი აქ გარკვეით გვესაუბრება საკუთარ „მე“-ზე. რომელიც მთელი შეგნებით უპირისპირდება დროზდოვს, მეორეც, ჭოლა ლომთათიძის ცხოვრება და შემოქმედება სრულებითაც არ იძლევა უფლებას მოვათავსოთ იგი პიროვნებაში, რომელიც სინამდვილიდან გაქცევის გზას დაადგა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რამდენადაც გიორგი აღამაშვილის („ძე კაცისა“) და ჯეირან ვარდოსანიძის („სახრჩობელას წინაშე“) ცხოვრების გზები უახლოვდება ავტორის ბიოგრაფიას, იმდენად სცილდება მასვე დროზდოვის ცხოვრებისეული დეტალები. გვაცნობს რა თავის პიროვნებას ამ ნაწარმოებში, ჭოლა მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან უნდა გაატაროს სატუსაღოში „შვიდი წელი“, „შვიდი, შვიდი“ და ამ დროსაც „ჭლექი შეუმოკლებს“, დროზდოვს კი სამუდამოდ კატორღა აქვს მისჯილი. დროზდოვს ჰყავს დედა — ტანჯვის დუმილით ამტანი, ტიპიური რუსი მშრომელი ქალი, მწერლის ყოველი პროტოტიპი კი ყველაფერზე მწვავედ დედით ობლობას განიცდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია პატრიოტ ქართველ მწერალს თავისი „მე“ მოეცა სხვა ეროვნების ადამიანში, ვისაც საქართველო თვალით არ უნახავს, დღენიადაგ მის ნახვაზე ოცნებობს და, ვინც ჩვენი ქვეყნის შესახებ არა იცის რა, გარდა იმისა, რაც პუშკინის ლექსის ერთ სტროფში ამოუკითხავს. და ბოლოს, თუ დროზდოვია თვით ჭოლა, მაშინ ვინღა არის ის, ვინც დროზდოვს გაეცნო და ამ უკანასკნელის შესახებ მსჯელობს, განა შეიძლება „მე“-ში მოვაქციოთ ის ანარქისტები, მკვლელები და სხვანი, რომელთა სახეებსაც მწერალი ამ ნაწარმოებში იძლევა? ანდა რა უფლებით ვცნობთ ავტორს დროზდოვში და არა სხვა ანარქისტ — ინდივიდუალისტებში, თუკი იგი ისე გავს ამ უკანასკნელთ, როგორც დროზდოვს?

ტიულობას, არამედ საზოგადოდ სამართლიანობასაც კი. მისი აზრით, მეფის ხელისუფლება ზოგჯერ სჯობია კიდეც რევოლუციონერებს მოწინააღმდეგისადმი ჰუმანური მოპყრობით, რევოლუციონერები კი, არც თუ იშვიათად, თავიანთი სისასტიკით აჭარბებენ მათ. ამ დებულების დამტკიცებას ლამობს დროზდოვი რევოლუციონერის მიერ ღალატში ეჭვმიტანილ უდანაშაულოთა ჩამოხრჩობის ერთეული ფაქტის მომარჯვებით და ადამიანის მიუდგომლობის შეუძლებლობის შესახებ გოეთეს მოსაზრებებზე დაყრდნობით ცდილობს ერონაირად წარმოადგინოს მეფის მთავრობისა და რევოლუციონერების მოქმედება. „წარმოიდგინე, რამდენად ჩვენზე, ეგრეთწოდებულ რევოლუციონერებზე, უფრო გულწრფელი და აშკარაა, მთავრობა... როცა ისინი სჯიან, სჯიან მოწინააღმდეგეებს, მტრებს, გამცემლებს, ისე როგორც აი იმ „ჯალათმა“ დასჯა თავისი გამცემელი... ჰკითხეთ მათ რა ჰქვიათ ივ კაცებს, რომელთაც სისრულეში მოჰყავთ განაჩენი — ჯალათი ჰქვიანო გეტყვიან. დიახ, აშკარად, ნათლად დაარქმევენ სახელს. ჩვენ კი...“

ნაცვლად ანტიპათიისა მეფის მოხელეთადმი, დროზდოვი ეთანხმება კიდეც მათ, როცა მისთვის სიკვდილის კატორღით შეცვლის გამოცხადებისას მოესმის შემდეგი სიტყვები: „წაიყვანეთ უკან დროზდოვი... თვითონ ჰკლავენ სხვებს, ხოლო როცა მაგათ მოუნდომებენ სამაგიეროდ მოკვლას, მაშინ წინააღმდეგნი არიან სიკვდილით სასჯელის, მაშინ სიკვდილით სასჯელი ბარბაროსობაა, ჰოტენტოტების ფილოსოფია“...

რევოლუციონერი „ჯალათი“ სერგეი სუდაკოვი, რომელმაც „ბაწარი წაუჭირა ყელში“ და დაახრჩო ორი ადამიანი (მათ შორის ერთი უდანაშაულო). ამაყობს კიდეც თავისი საქციელით; მეფის დაჭრავებული ჯალათი კი, რომელიც „25 მანეთად ახრჩობს დამნაშავეს“, სირცხვილის გრძნობით „მალავს. თავის ხელობას, ის ცოლშვილს უმალავს თავის საძაგელ ხელობას“. იდეურად ღრმად არის დაქვეითებული კოლია დროზდოვი და ამიტომაც სრულიად ბუნებრივად გვესახება მის მიერ რევოლუციური ბრძოლის გზის უარყოფა, რაც ასე დამაჯერებლად და ბუნებრივადაა ნაწარმოებში გადმოცემული: „ხანდახან მე დავფიქრდები იმაზე, თუ როგორ მოვიქცეოდი. მაგალითად, რომ უცებ გამიღონ კარები და მითხრან: ნიკოლაი დროზდოვ! შენ თავისუფალი ხარ, აიკარი გუდა-ნაბადი და გასწი აქედანო. და მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ერთ წამსაც არ გავჩერდები ქალაქში, არც სოფელში, არც ერთ ნაცნობს არ ვინახულებ, არც დედაჩემს... წავალ, წავალ უღრან ტყეში, წავალ შორს, მოვნახავ დაბურულ ალაგს, სადაც მხოლოდ ზეცა მოსჩანს, გამოვარჩენ უზარმაზარ

ხეს და იმის ძირში მოვღობავ ჭოხს და იქ დაებინავდები.. ათასი წელი რომ გავძლო, ერთხელაც რა არის, ერთხელაც არ ამოვიღებ ხმას...“

„სატყვრობილეში“ რექციის დროინდელი იმპერიის სატუსაღოს ცხოვრების მატიანეა — პოლიტიკურ ასპექტში გააზრებული და მხატვრულ სახეებში გამოკვეთილი. პატიმართა ფსიქოიდეოლოგიისადმი დამოკიდებულებაში ისახება თვით მწერლის იდეურ-მორალური კრედოც.

დროზდოვი იდეურად სამუდამოდ განიარაღებული და მკვდარია, რაზედაც მიუთითებს მისივე სიტყვები: „ახლა კი მე კეთილი ადამიანი ვარ, მხოლოდ კეთილი, არა, ღმერთმანი არ ვხუმრობ, რომ ეხლა უცებ გამათავისუფლონ, ტყეში დავიმალები; უღრან ტყეში, სადაც ადამიანის ხმას ვერასოდეს ვერ გავიგონებ, უზარმაზარი მუხის ქვეშ მოვღობავ ჭოხს და დავმუნჯდები“... მაგრამ, აღსანიშნავია, რომ პოლა ლომთათიძე მაინც ერთგვარი სიმპათიით ეპყრობა ბრძოლის ველიდან გაქცეულ და დამარცხებულ მებრძოლს, ებღაუჭება მას, საბოლოოდ ვერ იმეტებს „მეოცე რიცხვში“ შესაყვანად. ამას ნათლად გვიჩვენებს დროზდოვის წასვლა ეკლესიაში და კვლავ ათეისტად, დაბრუნება, ამასვე გვიდასტურებს მწერლის ბოლო თქმა: „...იანვარში ერთი წერილის ნაგლეჯი მივიღე, რომლითაც გავიგე, რომ კოლია დროზდოვი ზის მ-ვის „ცენტრალკაში“ და ჩვეულებრივ ოცნებობს, ვახსოვარ მე და არ ჰკარგავს იმედს, რომ ჩემთან ერთად საქართველოს ინახულებს. მოკლე წერილი იყო და ამიტომ არაფერი ეწერა იმის შესახებ — წავა თუ არა ის უღრან ტყეში, გაექცევა თუ არა ადამიანებს“.

რევოლუციის დამარცხებით გულგატეხილებს და რეაქციის დროს ბრძოლის ველიდან გაქცევის მსურველთ მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის რიგებში როდი ხედავდა ჭოლა. დროზდოვის პარალელურად მან მდიდრული მხატვრული ფერებით დახატა სახე გლეხის ნოე ქერქაძისა, რომელიც რევოლუციის აღმავლობის დროს „ათი კაცის დონს“ ჰყვიროდა, ახლა კი 4 წლის კატორღას ისე გაუტეხია, რომ, „სარჩენთა“ სიმრავლის მომიზეზებით, მზად არის უარი თქვას მთელ თავის წარსულსა და მომავალზე („ძე კაცისა“). რათა უფრო თვალნათლივ ეჩვენებინა მისი სისუსტე, მწერალმა ნოე ქერქაძე მოათავსა ისეთ საკანში, სადაც „შემთხვევით თავი მოეყარა კაჟის გულის პატრონ კაცებს, გამოწრთობილთა და გამოცდილთ და აქაც, სატუსაღოშიც, მსგავსს ეძებდნენ“. კამერაში , სადაც დროზდოვი ზის, ათასი ჯურის ხალხია, იქ მრავლად არიან ინტელიგენტები, ამიტომ თანამგრძნობებს უხვად პოულობს ის, ქერქაძე კი გარიყულია პატიმართა მიერ და ეს გარიყვა მწერალმა ასე ახსნა: შეუპოვარ მუ-

შებს „გაუტეხელი გულის პატრონი კაცი უნდოდათ გვერდში და ვინც არ იყო ასეთი — ასეთი კი არ იყო ქერქაძე — იმას ისინი ზეზეურად, აგდებით უცქეროდნენ“ („ძე კაცისა“).

მიუხედავად იმისა, რომ ქერქაძეს კარგი რევოლუციური წარსული აქვს და ამის გამო ბორკილი ადევს, მწერალმა გვიჩვენა მუშების მტრული განწყობა მისდამი და გაამართლა კიდეც იგი. „ასეთ კაცებთან, ნამდვილ მებრძოლ მუშებთან, ტყუილად ფიქრობს გულჩვილი, ტანჯვაში შემკრთალი, წარბდახრილი კაცი საამხანაგო გზის პოვნას. თუ საზოგადოდ მებრძოლ კაცებს რ სცალიათ საძიძაოდ, მუშებს მით უფრო. ის, ვინც ყოველ წუთში მზად არის არ დაზოგოს სიცოცხლე რწმენისათვის, ის მხოლოდ მსგავსს აფასებს — ასეთი კი არ იყო ნოე ქერქაძე. ის შეაშინა, გაუტეხა გული მას ბორკილმა, ოთხი წლის კატორღამ, მოძრაობის მიერ ჩათრეული ქარტეხილში იმ დროს, როცა მოძრაობის ტალღები ყველგან სწვდებოდნენ თითქმის, ის ვერ შერჩა მოძრაობას ბოლომდე. და რა გასაკვირია, რომ ამ მოძრაობის ნამდვილ შვილები, მასთან შეზრდილი და მასზე შეწირული ტუსაღი მუშები ვერ იქნებოდნენ ამხანაგები ნოე ქერქაძისა“ („ძე კაცისა“).

მუშები შემდეგს „ურჩევენ“ ქერქაძეს: „მიეცი თხოვნა... დიდი თავი ევიგდე, ჩემი ბატონ-პატრონების წინააღმდეგობა რომ გავბედე. შემინდვე. მაპატიე და მითამჟამში თქვენი მონა და მორჩილი ვიქნები-თქვა... და გაგიშვებენ საბალახოზე ვითარცა ვირს“...

მხოლოდ ერთი თანამგრძნობი იპოვა სატუსაღოში ქერქაძემ. ეს იყო „უდრეკი ნების“ მქონე გიორგი, რომელიც პირადმა უბედურებამ (საყვარელი ცოლის ღალატმა) ოცნების მწვერვალიდან ოჯახური დრამის წუმპეში გადაისროლა.

ამგვარი სახეების პარალელურად მწერალი გვიხატავს იმ „რევოლუციონერების“ სახეებს, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ რევოლუციასთან, მოძრაობის ტალღებს პირადი სარგებლობის მიზნით აჰყვნენ, ან შეუგნებლად ემსახურებოდნენ იდეას, რომლის არსშიც არასოდეს არ ჩაუხედავთ. ესენი არიან „მკვლელები და ყაჩაღები“, რომლებიც პოლიტიკურებად სთვლიან თავს“, „ანარქისტები“, რომელთაც „თეორეტიულად“ არა გაეგებათ რა ამ მოძღვრებისა და სინამდვილეში ეკუთვნიან იმ შარლატანების რიცხვს, რომელთაც რევოლუციის გათავებასთან ერთად ანარქისტების დროშის ქვეშ წამოჰყვეს თავი და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი“, თეორიულად მომზადებული ანარქისტები, რომელნიც მუშათა კლასის ყველაზე დიდ მტრად აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატებს და ა. შ.

იმ დიდ უსახო მასაში, რომელიც რევოლუციის ბორბლებს სხვადასხვა მხრით ეტმასნება, მწერალი აქა-იქ ამჩნევს „მუშა ხალხის მოყვარე კაცებსაც“, რომელთა შეგნების დონე იმდენად დაბალია, რომ პროლეტარიატის დიქტატურა „პროლეტარიატის მიწასთან გასწორება, მშრომელთა „ჯვარცმა“, ან რაიმე ამგვარი“ ჰგონიათ, ამიტომ „სასტიკსა და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებენ სოციალ-დემოკრატებს“.

ჭოლა ასეთ „მებრძოლთადმი“ სიბრალულს ამჟღავნებს და არა მტრობას, როცა მოგვმართავს: „შეუნდე, ამხანაგო მკითხველო, რამეთუ თვით არ იციან, რა უსამართლოდ იქცევიან!..“.

ბრძოლის უარმყოფელ, წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების მოწუწუნე ინტელიგენციას ჭოლა ლომთათიძე ამავე ნაწარმოებში („საპყრობილეში“) უპირისპირებს თავისი ისტორიული მისიის შემცნობ ძარღვმაგარ მუშას — კაპიტალიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბოლომდე თანმიმდევარ და ურყევ მებრძოლს. „ძვირფასო ამხანაგო მუშავ! — ასე მიმართავს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის სახელით მწერალი მას, ნუ გაგეცინება, ძამია! მე ვიცი, სიკვდილის წინა დღეს შენ საკვდილოდ ემზადები და ასეთ ლაპარაკს არ დაიწყებ, მე ვიცი, რომ შენ სიცოცხლე გიყვარს, მაგრამ სიკვდილის შნოც იცი. მე ვიცი, რომ შენ ნერვები მაგარი გაქვს, შენი ტვინი არ არის დამძიმებული მავნებელი ტვირთით, მაგრამ იცნობ თუ არა შენ ინტელიგენტს? მე ვიცი, რომ ისტორიამ იცოდა, რას შობდა, როცა შენ გბადებდა და გეუბნებოდა — შენ უნდა გამოიყვანო კაცობრიობა სირცხვილიდანო. ამიტომ შენ ნუ გაგეცინება, ჩვენ სუსტი კაცები ვართ, ამხანაგო, ჩვენ როცა ვკვდებით, წინა დღით ვტირით — ხვალ უნდა მოვკვდეთო! შენ კი ძლიერი ხარ, ღონიერი ხარ, გმირი ხარ შენ და, რადგანაც სულგრძელობა გმირთა ბუნებაა, ამიტომ იყავი სულგრძელი შენ, გოლიათო, და ნუ დაგვცინებ, თუ სიკვდილის წინა დღეს ცოტა წარბი ჩამოვყაროთ და რომ ვიტიროთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო! იყავი სულგრძელი და ნუ დაგვცინებ სიკვდილს!“ („პირველი მაისი“).

შეცდომა იქნებოდა რეაქციის გამარჯვებით დამფრთხალი ინტელიგენტის ტიპიური სახე დაგვენახა ილიკო იაშვილშიც („ჩემი დღიური“). რამდენადაც რევოლუციის მარცხით გამოწვეულ სევდას და კვნესა-ვაებას მასში ძლევს რწმენა სოციალიზმის საქმისადმი, იმდენად შეუძლებელია იგი გვერდში ამოეუყენოთ დროზდოვს, რე-

ბოლშევიკური ბრძოლის უარმყოფელ ინდივიდუალისტს, ან ნოე ჭერქაძეს, მხოლოდ საკუთარი ოჯახის ბედით დაღონებულს. რევოლუცია დამარცხებულია. თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები, რომელნიც მწერალს ალეგორიულად ულამაზესი ყვავილის კესანეს სახით ჰყავს წარმოდგენილი, ჯალათებს გაუთოკავთ, სცემენ ჯოხით, ამწყვდევენ „კარცერში, სადაც ისე ბნელა, როგორც რეაქციონერის თავში, როგორც სამარეში“, გარეთ მყოფი ადამიანები კი აღარ ფიქრობენ მიეშველონ დამარცხებულთ, მათ აღარ სურთ „დაანთონ ცეცხლი ბუხარში“ და სწორი გზა უჩვენონ წყვდიადში მყოფთ. ასეთია საფუძველი ილიკო იაშვილის სევდისა. მართალია, იაშვილი გადმოგვცემს თავისი ნერვების ავადმყოფურ თრთოლვასაც,, გულახდილად გვესაუბრება იმის თაობაზე, თუ როგორ ელანდებიან მას ეშმაკები, მაგრამ იქვე დაასკვნის, რომ მის სევდას პირადი უბედურების შეცნობა იწვევს და არა ფიქრი სოციალიზმის საქმის უპერსპექტივობაზე. იაშვილის ამონაკვნესში ნათლად გამოსჭვივის ღრმა რწმენა რევოლუციის გამარჯვებისაღმი, სევდა — ნასაზრდოები პირადი უბედურებით, იმის შეგნებით, რომ თვითონ ვერ მოესწრება ამ ბედნიერ დროს.

„მე სოციალისტი ვარ და მწამს, რომ სოციალიზმი დამყარდება“. ამისთვის იბრძვით და იბრძოდით თქვენ, ამხანაგებო, მე კი არ უნდა ვიდგე თქვენს გვერდში? რად მტკივა თავი და რად, რად ვარ ავად“! („ჩემი დღიური“). ასეთია ბოლოსიტყვა ილიკო იაშვილისა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოლა ლომთათიძე თავს ესხმის ბრძოლის ველიდან გაქცეულ ჯანმრთელ, ცოცხალ ადამიანებს და არა მკვდრებს ან ჴომაკვდავებს, რომელთაც არაფერი მოეთხოვებათ; ილიკო იაშვილი კი მან წარმოგვიდგინა, ჯერ როგორც „კარგი ბიჭი, კარგი ამხანაგი, დიდი ერთგული საყვარელი საქმისა — სოციალიზმისა“, შემდეგ კი „კაცი, რომელიც გაგიჟდა და ისე მოკვდა, რომ გონებაზე არ მოსულა“. ჰოლას არც ერთი იდეურად მკვდარი გმირი (დროზდოვი, ჭერქაძე) ფიზიკურად განადგურებულად არ დაუსახავს.

უეჭველად ზერელე შესწავლის შედეგია ჰოლა ლომთათიძის მთელი შემოქმედების აღიარება მოწუწუნეთა და მერყეე რევოლუციონერთა ცხოვრების პანორამად. საყოველთაო გულგატეხილობა და დაცემულობის განწყობილებანი, რაც რეაქციის დროს წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების ადამიანებს დაეუფლათ, მწერალმა მხოლოდ კოლია დროზდოვისა და ნოე ჭერქაძის სახეებში გადმოგვცა და, როგორც „უკიდურესი ტენდენციურობის მომხრე შემოქმედ-

შა“, „ძე კაცისაში“ ზუსტად განსაზღვრა თავისი ანტიპათიური და-მოკიდებულება მათდამი.

ამხანაგის წერილი გიორგისადმი, რომელიც ნაწარმოებში („ძე კაცისა“) მხოლოდ მწერლის პროტოტიპს წარმოადგენს, და ამ უკანასკნელის მიერ წვრილბურჟუაზიული ფსიქო-იდეოლოგიის მართებული შეფასება ზემოთქმულს უდაოდ ადასტურებს. აი ეს წერილიც:

„გული არა გაქვს შენ, თუ როგორ არის შენი საქმე, ბიჭო, ნანგრევებზე ვდგევართ და უარესი ის არის, რომ გუშინდელი მოყვრები დღეს აფურთხებენ ამ ნანგრევებს ქვეშ მოყოლილ ივედებს, ამ ნანგრევების ქვეშ მოყოლილ მებრძოლებს, ამ წმინდა საფლავებს! მოყავთ, ბიჭო, ტიტველა ქალები, მოყავთ მთვრალი ქალები და თვითონაც მთვრალები და ტიტვლები ამ ნანგრევებზე გარყვნილებას ეძლევიან. ხე არ ყოფნისთ ჯვრების ასამართავად და ჯვრები არ ყოფნით ჯვარზე საცმელად. და შენ იხევ და იხევ მხიარული ხარ, როგორც საბერძნეთის ღმერთი, რის გული გაქვს, რკინაა ის თუ ჩვეულებრივი გული“.

წერილის ხაზგასმული სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ გიორგის დამოკიდებულებას მოწუწუნეთადმი, მაგრამ მისი პასუხი ამხანაგისადმი, რომელიც ასე „ტიროდა და ტიროდა წერილში“, ნიადაგს აცლის იმ მოსაზრებას, რომელიც ჰოლას წვრილბურჟუაზიული სულისკვეთების მატარებელ ადამიანად აღიარებს. „უკვირდა გიორგის — გვეუბნება ჰოლა, რომ ასე გაუტყდათ ადამიანებს გული. ეპიდემიას, შავ ჭირს, ხოლერას უნდა შეებრძოლო. რა ატირებს ადამიანს! ეს ასეთი მარტივი და უბრალო რამ იყო იმისთვის, რომ ვინიცობაა მოსულიყვნენ იმასთან და ეთქვათ — შენს მეტი, გიორგი, არავინ დარჩა ამ ქვეყნად შენი აზრისა, ახლა რას იტყვიო, ის უბრალოდ მიუგებდა: რა ვუყოთ, მე მართალი ვარ, სხვები სცდებიან, მე მაინც ჩემი გზით ვივლი, ვიცი, რომ გამარჯვება ჩემია. და სწამდა მას, რომ მისი გული ოდნავადაც არ შეკრთებოდა, მას უყვარდა ნიცშეს კითხვა, თუმცა ნიცშეს მიმდევარი არ იყო და ხშირად მოიგონებდა ერთს იმის აფორიზმს: თუ თქვენ ვერ შეიძელით დიდი საქმეები, განა ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ თითონ არ ვარგოდეთ? და თუ თქვენ არ ვარგიხართ, განა ნიშნავს ეს იმას, რომ არ ვარგა თვითონ ადამიანი? და თუ არ ვარგა ადამიანი — რა ვუყოთ — მაინც წინ!“... — რა ვუყოთ მაინც წინ! — ამბობდა ის და განაგრძობდა ლოდინს — ამასაც ბოლო მოელება და ისევ ძველი გზით გავსწევთ ახალი ქვეყნისაკენო“ („ძე კაცისა“).

ამგვარად, ჭოლა ლომთათიძის ლირიკულ პროზაში შესანიშნავად აისახა სინამდვილე, გარეობიექტური სამყარო, საზოგადოებრივ კლასთა და ფენათა ტიპები, ხოლო თვით მწერალი რეალიზმის ნიადაგზე იდგა და ბოლომდე დარჩა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერად.

უარყოფით გმირთა სახეები ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში

[illegible] მითხარით, იმიტომ ხომ არ ყარს ბაღლინჯო, რომ ადამიანის სისხლით იკვებება?

ჭოლა

ჭოლა ლომთათიძემ თავისი შემოქმედება მახინჯ საზოგადოებრივ ფორმაციათა მიერ დაკნინებული ადამიანის მორალურად გაჯანსაღების ძიებას მიუძღვნა.

„ღვთით ბოძებული“ სასიცოცხლო ენერგიის ჩაყენება ქვეყნის მოკეთეთა ან მტერთა სამსახურში! მესამე გზა არ არსებობს მისთვის.

ჭოლა ლომთათიძე მთელ საზოგადოებას ორ კატეგორიად ყოფს: ნამდვილ ადამიანებად და ადამიანის სახის მქონე პირუტყვებად, ღორებად.

მწერლის განსაზღვრით, პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომელნიც ყოველგვარი საშუალებით იბრძვიან სამშობლო ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის და ამ ბრძოლის ინტერესებს უქვემდებარებენ მთელ თავიანთ ცხოვრებას, ყველა ვიწრო-პიროვნულ გრძნობას, ხოლო მეორე კატეგორიას — არა მარტო სისხლიანი მონარქიული რეჟიმის მსახურნი, არამედ ისინიც, ვინც „თავსატეხ კითხვათაგან“ განზე გამდგარან“ და ნებივრობენ მაშინ, როცა „უჭკუონი“ ცივ ციმბირში იტანჯებიან. პირველნი არიან ჭოლას ნაწარმოებთა დადებითი გმირები, მეორენი კი — უარყოფითი.

პირველთ ეკუთვნით მწერლის გულიდან ზღვად მომდინარე „ტრფობა კაცისადმი“, მეორეთ — უსაზღვრო ზიზღი და შეჩვენება, რადგან მხოლოდ „სიყვარული და სიძულვილი — ეს ორი ნიჭი წერს ისტორიას“.

ცხრაასიან წლებში კლასობრივ ნიადაგზე მდგომი ქართველი შემოქმედნი ერთმანეთის მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა ჰიდილის ასახვით ქმნიდნენ კოლიზიას. ჭოლა ლომთათიძეს ამ გატკეპნილი

გზით არ უელია. ღრმად იწამა რა პროლეტარიატის გამარჯვების შედეგად საზოგადოების ყველა ფენის ჰუმანური პროგრესი, ჭოლამ წრფელი გულით უმღერა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და გამოხატა ზიზღი არა მარტო მშრომელთა მოწინააღმდეგე კლასებისადმი, არამედ იმ მშრომელთათდმიც, რომელნიც ამ ბრძოლაში ჯერ კიდევ არ ებმებოდნენ და პირად „მე“-ში იკეტებოდნენ.

ამგვარად, ჭოლამ ქვეყნის „მტერსა და მოკეთეს“ შორის მდგომ უზარმაზარ მასასაც „მიაგნო“, საშუაგულო ადგილიდან განდევნა იგი, მტერთა რიცხვში ჩარიცხა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მას. ამაშიცაა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების ერთერთი თავისებურება.

ჭოლა ლომთათიძეს იმდენად უყვარდა ადამიანი, რამდენადაც სძაგდა თვითმპყრობელურ-პოლიციური რეჟიმი, როგორც ბუნებით ბოძებული კაცური ენერგიის დამთრგუნავი უხეში ძალა. იგი ალ. ყაზბეგივით არ გვიხატავს დადებით და უარყოფით თვისებათა შემცველ ხასიათებს, ღია და მუქ საღებავებს არ ახამებს ტიპთა ძერწვისას და ამ მხრივ არაფერს სტოვებს მკითხველთათვის გასარკვევსა და გასასჯელს.

ჭოლას მოთხრობათა უარყოფითი გმირები, როგორც თვითმპყრობელობის ველური რეჟიმის სამსახურში აშკარად მდგომნი, ისე მშრომელნი, მოკლებულნი არიან პირად ცხოვრების საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სრული დაქვემდებარების „ცით ბოძებულ“ უნარს და არავითარ დადებით თვისებას არ ამჟღავნებენ.

ბუნებრივია, რომ პატიმრობით განაწამები მწერალი უარყოფით გმირთა შორის განსაკუთრებული მუქი საღებავებით მეცხოვნეთა სახეებს გვიხატავს, რადგან ეს უკანასკნელნი, თავისუფლების მადლის უმეცარნი, ძაღლური ერთგულების გრძნობით დარაჯობენ უკეთესი მერმისისათვის მებრძოლთ და ტუსაღობით მოწამლული სისხლის უკანასკნელ საღ წვეთებს სწოვენ მათ.

ჭოლა ლომთათიძე — მხატვარი, როგორც ადამიანის შინაგანი ბუნების ღრმა მცოდნე ფსიქოლოგი, მიძვრება სულის ხვეულებში და გაოცებული წამოიძახებს: „რამდენად მხეცია თურმე ადამიანი! ეინ უწოდა მას ძე კაცისა, როცა ის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არის მხეცისა?!“ („ძე კაცისა“.)

მწერალი თითქმის ხილულად ქმნის უხილავს, როცა დაასკვნის, რომ გარეგნულად „ძე კაცისად“ ფორმირებულ ყოველ სხეულში ადამიანთან ერთად ბუდობს უსახელო პატარა მხეცი, რომელიც

შესაფერი ამინდის დადგომის შემთხვევაში, სახელს იძენს, იზრდება და ძლიერდება. სუკინი, გადინი, ზოსიმოვი, ზახარჩუკი, ბედუინი და დადუნოვი ერთი მხეცის სხვადასხვა სახელებია, მეფის რუსეთის პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმი კი მათი მხეცური ინსტინქტების გამომჟღავნებელი საშუალება. მწერალი დროს არ კარგავს უარყოფით გმირთა ხასიათების ჩამოყალიბების მიზეზების ძიებაზე, რადგან ერთი ცხოვრებისეული შტრიხით, მახვილივით ბასრი ფრაზის ერთი მოქნევით ახერხებს იგი მათი შინაგანი სიცარიელის. სულიერი არარაობის გამოფენას და თვალნათლივ წარმოგვიდგენს იმ საზოგადოებრივი შენობის ბნელ ჯურღმულებსაც, რომელშიც ეს ხასიათები ჩამოყალიბდნენ.

„სპილენძის ბაბუა“ შეარქვეს ტუსაღებმა ბოროტს და მაბეზღარს ზედამხედველს ზოსიმოვს. საიდან აიღეს მათ ეს სახელი?

რევოლუციის აღმავლობისას ზოსიმოვმა „ქალაქში ვიღაცას სპილენძი მოჰპარა, ხალხმა ნაქურდალი ზურგზე აჰკიდა მას, ზედ „სპილენძის ბაბუა“ დააწერა და ქუჩა-ქუჩა ჩამოატარა.

აი ვისთვის ჩაუბარებია ადამიანთა ბედი სახელმწიფოს, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას იჩემებს. უსინდისო, გაიძვერა და ფლიდია სუკინი. ამ გონებაჩლუნგ მეციხოვნეს სხვა ვერა მოუგონა-რა, გარდა თეთრი ძაფით ნაკერი ხერხისა — ტუსაღებთან აძაგოს ციხის ადმინისტრაცია, რათა „საჭირო მასალები“ დასტყუოს მათ. ადამიანის მორალური გახრწნის სურათი ისახება სუკინის გადადგმულ ერთ ნაბიჯში: „დასტყუა რა სასურველი წერილი ტუსაღს“, იგი პატრონის საამოდ აწკმუტუნებული ლეკვივით მიიჭრა ციხის უფროსთან, რომელიც ტუსაღის წინაშე ხსნის ძაფით შეკრულ ქაღალდს და წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას. „რა სულელი მნახეთ, ბატონო ციხის უფროსო, რომ გეგონათ სუკინისთანა მხეცს ვენდობოდი. მე შეურაცხყოფილად მიმაჩნია ჩემი თავი. გთხოვთ შემდეგ არ იფიქროთ ასე“. — ამოიკითხა ციხის უფროსმა წერილში და სუკინს დაუყვირა „Пошел вон!“

ცხოვრების ერთადერთი სტრიქონი ხსნის ზედამხედველი ზახარჩუკის შინაგან ბუნებასაც. მას გულწრფელად უხარია, რომ საკანი, რომელსაც ის ემსახურება, კარცერად აქციეს, ტუსაღებს ქვეშაგები და სადილი წაართვეს. აღფრთოვანებული ზახარჩუკი ხშირხშირად მიდის დარკინულ კარებთან, ტუსაღებს „სასჯელს ულოცავს“ და თან ჩიფჩიფებს“! ტუსაღს დღეში ორჯერ მაინც უნდა სცემდნენ,

თორემ, თუ მას ბატონად გაიხდი, როცა კარში გავა, ისევ განაგრძობს ცუდ საქმესო.“

ზედამხედველი დურუნოვის („მორდა“) სოციალ-პოლიტიკური მრწამსი და ფიზიკური სიმახინჯეც დაგვანახა მწერალმა ერთი სურათით:

„თქვენო კეთილშობილებავ, მაგი პოლიტიკურია. მიწას ურიგებს გლეხებს, მხოლოდ თავისას კი არა, სხვის მიწას, სხვის ნაკვდავს, გლეხებს არყისთვის არ ყოფნის თავის მიწაო. ხე! ხე! ხე!“ ხვიხვინებს იგი და ახშენს კბილებს“ („სატუსაღოში“).

შედარებით ფართოდ ჭოლა ციხის უფროსის თანაშემწე გადინზე ჩერდება, რომელსაც მეტ სახელად ბედუინი ეწოდება. მისი თქმით, „ნამდვილი აღა-მაჰმად-ხანია“ იგი, “ზედმიწევნით მხდალი ვინმე და უსინდისო“. ოდესაში ებრაელთა დარბევის დროს გადაუდგამს გადინს გაბედული ნაბიჯები მხეცობისაკენ, რისთვისაც „პროპორშჩიკობა“ მიუღია კიდეც. ახლა, მართალია, ქალაქში აღარა აქვს მისი სადარი საქმე, მაგრამ „მთელი კვირა სატუსაღოში ზის“ და წამდაუწუმ ცდილობს ავნოს რაიმე ტუსაღებს, დასაჯოს, აწყენინოს“.

მწერალი ადვილად ამზეურებს მეციხოვნეთა სულიერ მოძრაობის უხილავ ძაფებს“ ხელისუფლებისადმი მათი უსაზღვრო ერთგულების, უფროსთა ყურადღების დაბეჯითებით ძიების, პყრობილთა დამცირებისადმი მისწრაფების მკაფიო, ფსიქოლოგიურად მართალი სურათების ჩვენებით.

მხდალი ბუნების მქონე ადამიანების თვითდაზღვევის დასამახსოვრებელი სურათი წარმოადგინა მწერალმა „ივანე გარგანელში“.

ორ დარაჯს მიჰქონდა კუბოში ჩასვენებული ივანე გარგანელის ცხედარი. როცა ჭიშკართან მიიტანეს კუბო, ძირს დადგეს. მეკარე ზედამხედველმა ახადა კუბოს თავი, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო მკვდარი მიჰქონდათ თუ ცოცხალი. ამოიღო რევოლვერი მან და შუბლზე მიადო. — „შენ, გეიგონე... თქვი თუ ცოცხალი ხარ. ჩაგაძაღლებ, გესვრი რევოლვერს და მაინც მოგკლავ, გიჯობს თქვა, ხარ თუ არა ცოცხალი“.

ჭოლა ლომთათიძე საპყრობილის მსახურთა მორალურ დაცემას სრულად ვერ ასახავდა, რომ მისთვის ჩვეული სიმახვილით არ მოეცა ასევე ეპიზოდური, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი სახეები ციხის უფროსებისა. ამ უკანასკნელთა მოქმედების ცალკეული აქტები აშკარად ცხადჰყოფენ, რომ ისინი ზედამხედველებზე ისევე მაღლა დგანან მხეცობით, როგორც ჩინით. ამ მხრივ

მათი ქმედება უფრო შეგნებული და დასრულებულია. თუ ზედამხედველები უფროსთა გულის მოსაგებად ტანჯავენ ტუსაღებს, ციხის უფროსებმა იციან, რომ კლასობრივი მტრები ჰყავთ ხელთ და ათასგვარ ხერხებს და მეთოდებს იგონებენ მათ შესავიწროებლად. ციხის უფროსთა სახეების გამოკვეთისათვის ბევრ სალებავს არ ხარჯავს მწერალი: საკმარისია გადმოგვცეს რომელიმე მათგანის ერთადერთი განკარგულება, რათა ჩვენს თვალწინ გააშიშვლოს იგი. ივ. გარგანელის ცემით სიკვდილის („ივანე გარგანელი“), საკანში იის გასრესის, დილის „პროვერკის“ („საპყრობილეში“), გრამაფონის ჩაჩუმების („გრამაფონი“) მაგვარი თვითეული სახასიათო დეტალით მწერალი ცხადყოფს, თუ სადამდე აუყვანია ადამიანში დამალული მხეცი მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიციურ რეჟიმს.

საგულისხმოა, რომ მაღალი ჩინის კლასობრივ მტრებს (პროკურორი, გენერალი, მოსამართლე) ჭოლა მეციხოვნეების დარ მხეცებად არ წარმოგვიდგენს. უფრო მეტიც, სასიკვდილო განაჩენის კითხვის დროს ბებერი გენერლის კანკალზე მითითებით მწერალი იმასაც კი გვანიშნებს, რომ ამ უკანასკნელში ჯერ კიდევ შერჩენილა სათნოების სიმები. ცხადია, ხანგრძლივმა პატიმრობამ მიიყვანა მწერალი იმ გაგებამდე, რომ ტუსაღებს სისხლის უშუალო მწოველნი თავიანთი სულიერი სიმახინჯით ზედმიწევნით ემსგავსებიან ბაღლინჯოს.

სატუსაღოს მსახურთა მორალური გახრწნის და თავისუფლებისათვის თავგანწირულთა აუტანელი ტანჯვის ნათელსაყოფად მწერალი მხატვრული სახეების ჩვენებით არ კმაყოფილდება და პუბლიცისტურ პირდაპირობასაც მიმართავს. „წარმოუდგენელია ის მძიმე შთაბეჭდილება, ამბობს ის, — რომელსაც ახდენს ხელებში ბორკილებშეყრილი ადამიანის დანახვა.

რამდენი ტანჯვა, რამდენი დამცირება, რამდენი გაჭირვება უნდა სდევდეს ამას შედეგად! მათ შეუძლიათ პირთან მიიტანონ ხელები, შარვალი ჩაიცვან, დანარჩენი კი არაფერი არ შეუძლიათ. ვერც პერანგს გაიძრობენ, ვერც რამეს ჩაიცვამენ, ვერც ზურგს მოიფხანენ, როცა აქაური ბაღლინჯო უკბენს მათ... და ასე უნდა გაგრძელდეს შვიდი წელიწადი... მთელი შვიდი წელი უნდა ატარონ მათ ეს, დღით და ღამით, განუწყვეტლად. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება მათი ძილი, მათი მოსვენება, მათი ნერვები. წარმოიდგინეთ წუთები, როცა მათ მიეძინებათ, ძილში კი იგრძნობენ, რომ სული ეკმევათ, რომ გულაღმა დაწოლილთ მოუნდებათ ნებიერად გაშალონ ხელე-

ბი... ამის მაგიერ კი რკინა ბოროტად კბენს მკლავში. გაჯავრებული ხმაურობს"... და ამ ტირადას მწერალი გამანადგურებელი სარკაზმით ამთავრებს: „წარმოიდგინეთ ეს! მოიხარეთ ქედი იმათ წინაშე, ვინც ეგრე იცავს მყუდროებას და ეგრე სჯის თქვენს მტრებს, დაძნაშავეებს... ქედი მოიხარეთ მათ წინაშე! ოსანნა მათ! („საპყრობილეში").

როდესაც ჭოლა ლომთათიძე სატუსაღოს ადმინისტრაციის ლოიალურ დამოკიდებულებას საზოგადოების ნამდვილ მტერთადმი (ყაჩაღი ჩიგოგიძე და სხვები „ძე კაცისაში") წინა პლანზე სწევს, ეს სარკაზმი კიდევ უფრო ძლიერდება. პორტრეტების ხატვით არ კმაყოფილდება მწერალი და იმაზეც მიუთითებს, როგორ უნებურად აცხოველებენ მეციხოვნეები არსებული წყობილების ძალით დამხობის სურვილს.

„რაც მეტად გამცირებენ, რაც მეტად გამდაბლებენ, დასცინიან შენს თავმოყვარეობას. შენს იმედებს, შენს სათაყვანოს, რაც უფრო მეტად ადამიანები, ადმინისტრაციის ტანსაცმელში, ააშკარავებენ პირუტყვულ მხარეებს ადამიანში დამალულს, რაც უფრო მეტად რწმუნდები, რომ გარშემო გახვეულა ჯალათები, ადამიანურ გრძნობას მოკლებული პირები... მით უფრო გინდა იცოცხლო.. იტანჯო და იბრძოლო („საპყრობილეში").

ამ ტანჯვის მწვერვალად. „გულმკერდის გადახსნად და სინდისში ჩაფურთხებად" გათოკილი მწერალი თვლის არა სიკვდილით დასჯას, არამედ ცემას, ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვას, რის წინააღმდეგაც ზარიფით რეკავს რევოლუციონერ-დემოკრატის ალმოდებული ძახილი: „ნუ გალახავთ ნურავის, მოჰკალით სჯობია!" („ჩემი დღიური").

საპყრობილის მსახურთა გვერდით ჭოლა ლომთათიძის ნაწარმოებებში უარყოფით გმირთა რიგებს ავსებს ექიმთა დასამახსოვრებელი სახეები. მწერალმა მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობა გამოიყენა, რათა მკითხველისათვის წარმოედგინა მათი მორალური უბადრუკობა. მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ექიმი საპყრობილის ადმინისტრაციის სამსახურში მდგომ დიპლომიან მხეცს. ისინი აქ კეთილშობილურ პროფესიას ამოფარებიან და კაცური იერით ნიღბავენ თავიანთ უკაცურ ქმედებათ, ჰუმანურ სამოსელში ახვევენ ბარბაროსობას.

სატუსაღოს ექიმები ადმინისტრაციისაგან განირჩევიან წოდებით და არა საქმიანობით, ისინი დანაშაულის კატეგორიის მიხედ-

ვით სვამენ დიაგნოზს, სასჯელის ვადის მიხედვით ნიშნავენ „მკურნალობას“ საილუსტრაციოდ ორიოდე სცენას გავიხსენებთ.

„რამდენ წელს უნდა იჯდე? — მეკითხება ექიმი. — ხუთი წლის კატორღა აქვს, თქვენო კეთილშობილებავ! — აძლევს ჩემს მაგიერ პასუხს დურუნოვი.

— არა, არ შემიძლია შენი საავადმყოფოში გაგზავნა, რომ გაიქცე, მერე რაღაი!“ ტუსაღის შენიშვნაზე, რომ მისი საქმეა მკურნალობა და არა დარაჯობა, ექიმი პასუხობს: „ხე! ხე! ხე! რატომ ამბობ ასე, განა მე არა ვარ მოსამსახურე მეფისა, მე რევოლუციონერი ხომ არ გგონივარ“. ამ სიტყვების შემდეგ არ შეიძლება გადაჭარბებულად მივიჩნიოთ მწერლის დასკვნა: „არავინ, არავინ ისე არ მძულს, ისე არ მეზიზღება, როგორც ეს ექიმები... არავინ, არავინ!“

აი მეორე თეთრხალათიანი ჯალათი ციხის უფროსის თანდასწრებით სინჯავს ჭლექიან ტუსაღს. ალბათ, შიმშილით გინდა ჭლექის ბაცილების დახოცვაო—იოხუნჯებს ის, თანაც ტუსაღს უცქერის და „ულვაშებში იცინის“.

„შენს სიტყვებზე მე ერთი პასუხი მაქვს, აი ეს!“ — აფურთხებს ტუსაღი ექიმს და დასძენს: — „მიიღე ეს ნიშნად ღრმა ზიზღისა, ხოლო თუ არ მოკვდები, ყოველთვის ასე მოგესალმები“.

ჰოლას ნაწარმოებებში არ გვხვდება სატუსაღოს სხვა მსახურთადმი ასეთი მიმართვის არც ერთი შემთხვევა, მიუხედავად იმ ღრმა ზიზღისა, რასაც მწერალი ამ უკანასკნელთა მიმართ ამჟღავნებს, ექიმ-ჯალათთან ყოველი შეხვედრა კი მიფურთხებით მთავრდება. ამ ფაქტშიც მჟღავნდება მწერლის დამოკიდებულება ტახტის ერთგული ინტელიგენციისადმი, რომლის უსაძაგლეს ნაწილს მეფის სამსახურში ჩამდგარი „მკურნალნი“ შეადგენდნენ.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ჰოლა ლომთათიძე მომავალი თავისუფალი საზოგადოების ბედნიერებას ხედავს თვითმპყრობელური სახელმწიფოს და არა მის მსახურთა ძალით დათრგუნვაში. „რას ვიზამდი „ისინი“ რომ ხელში ჩამვარდნოდნენ? — უნებლიედ აყენებს იგი კითხვას და თვითონვე პასუხობს; არაფერს. მხოლოდ ძალაში მოვიყვანდი, ერთ იოტის ოდენად არ შევამსუბუქებდი იმ კანონებსა და ცირკულარებს, რომლებიც იმათ ტუსაღების საწამებლად და დასამცირებლად შეუმუშავებიათ“. ამ სიტყვის „ისინი“ ბჭყალებში ჩასმით მწერალი, ცხადია, გვაგრძნობინებს, რომ შურისძიების ისარს საზოგადოებრივ წყობილებას უმიზნებს.

ორიოდე სტრიქონის შემდეგ იგი აღფრთოვანებით უარყოფს არაადამიანური ქცევისათვის სამაგიეროს არაადამიანურადვე მიზღვის ფიქრსაც კი. „ერთი შითხარით — შეიძლება ამაზე შორს წას-

ვლა, მეტი გახრწნა?. კაცი ოცნებობდე და ამ ოცნებაში ნატრობდე სატუსაღოს უფროსობას! მხოლოდ სატუსაღო და მისი თეთრი ღამეები გახრწნის ასე კაცს, „მხოლოდ სატუსაღო". („თეთრი ღამე").

ამგვარად, საპყრობილის მსახური პერსონალის სახეებით ჭოლა ლომთათიძემ დაგვიხატა შეუნიღბავი კლასობრივი მტრები, რომლებსაც საბოლოოდ დაუკარგვეთ ადამიანური სახე და არც ცდილობენ სხვაგვარად ეჩვენონ ქვეყანას, მაგრამ უარყოფით გმირთა გალერეას მწერალი მეცნიერულებით არ განსაზღვრავს. იგი მათ გვერდით აყენებს უზარმაზარ „მე-20 რიცხვს"—კლასობრივი თვალთახედვით უსახო მასას, რომელიც „წესიერ" ცხოვრებას ეწევა, ჰკუიანებს, რომელნიც შესანიშნავად „დაძვრებიან ცხოვრების ხერელში" და კლასთა ჭიდილში „არ ერევიან". ეს მასა არც საზოგადოების პარაზიტებისაგან შედგება და არც ბოროტთაგან. „ოფლითა თვისით" ეძიებს დღიურ ლუკმას და „სხვის საქმეში" არ ერევა.

მწერლისათვის რევოლუციური ეპოქის დროინდელი თათქარიძეების მასაა ეს და ახლა, მერმისისათვის მედგარი ბრძოლის დროს, უფრო მეტად დანაშაულებრივია მისი ქმედება, ვიდრე დანაშაულებრივი იყო თავის დროზე უსაგნო ყოფა გულუბრყვილო ლუარსაბისა. ჭოლას შემოქმედებაში მთავარია უარყოფით გმირთა ეს მასა — მოცემული უგვაროდ და უსახელოდ, ქვეყნის ბედუკუღმართობისადმი გულგრილობა არის მისი საერთო სახელი. ამ მასაში მოაქცია მწერალმა სამშობლო ქვეყნის ბედისადმი ყველა გულგრილი, ყველა არა მებრძოლი გლეხი, მუშა და ინტელიგენტი, ყველა ობივატელი, მონათლა რა ისინი საერთო სახელით „ღორი".

რბილი საწოლი და თბილი საბანი წარმოგვიდგება, როგორც ბედნიერების სიმბოლური საგნები, რაშიც არსებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი შერიგებულნი თავისუფლებისათვის ბრძოლას სცვლიან.

„გამწარებული გულის მგოსანი" ცინიზმით სავსე სტრიქონებს უძღვნის ამ მასას და ისევე საზიზღრად სახავს მას, როგორც საპყრობილის მსახურებს — ზედამხედველებს, ციხის უფროსებს, ექიმებს.

ჭოლა შეუდარებელი ფსიქოლოგიური სიმართლით წარმოგვიდგენს მის ეგოისტურ ბუნებას. „რამდენი წელია ვზივარ აქ, — ფიქრობს ტუსაღი, — ირგვლივ კი ასეთი საშინელი ღამეა და თუ ახლა ამ წუთს ვისმეს არ ძინავს გარეთ, ვინც უნდა იყოს ის, მტერი თუ მოყვარე... ის მომიგონებს მე, ტუსაღსა და დასჯილს, და იტყვის: „იგი შენ! ასე გეკადრება! ასე იტყვის ის და უფრო თბილად გაეხვე-

ვა საბანში და იგრძნობს განსაკუთრებულ სიხარულს, რომ მე ვზივარ სატუსაღოში და არა ის... ის ზის და არა მე! ის და არა მე! რამდენჯერმე გაიმეორებს ის და უფროდაუფრო შემოიხვევს საბანს და იმისი საბანი კი ისეთი ლბილია და თბილი, ისეთი მსუბუქი და სუფთაა, ისე ესალმუნება იმის სხეულს, ისე ანებივრებს! ისეთი, ისეთი ძვირფასი საბანია მისი საბანი!...“

ზედამხედველებზე მორალით დაბლა მდგომ სატუსაღოს ექიმებთან ათანაბრებს მწერალი „თბილი საბნის“ ადამიანებს, როცა ამბობს: „ამ სტრიქონების დამწერი წამოიჭრა ზედ, წამოიჭრა და გადააფურთხა...

მან გადააფურთხა ყველას იმათ, ვინც იმ ღამეს თბილსა და მსუბუქ საბანში ნებივრობდნენ, ყველას — მტერსაც და მოყვარესაც, მოყვარეს კიდევ უფრო გულდაგულ... „რად წევხართ და რად დასცინით იმას, რად დასცინით — ფუ თქვენ!“ („თეთრი ღამე“).

ამ „მოყვრებში“ თავსდება გლეხთა ის ნაწილი, რომლის შეგნების დაბალი დონე და პატივმოყვარეობა არც თუ იშვიათად გზას უკაფავდა ქვეყნის მტერს.

ასეთ გლეხთა ტიპიური (თუმცა უსახელო), განზოგადოებული და კოლორიტული სახე მოხაზა მწერალმა პატარა ესკიზში „მამასახლისი თუაძე“.

პროგრესულად განწყობილმა ახალგაზრდებმა მოახერხეს აემხედრებინათ საზოგადოება მექრთამე მამასახლის თუაძის წინააღმდეგ. დაინიშნა გადარჩევის დღეც. გაქნილმა მამასახლისმა კრებაზე საკმაოდ „დიპლომატიური“ სიტყვა წარმოსთქვა. ჯერ თავისი „გმირობა“ გაახსენა საზოგადოებას და შემდეგ თვით ითხოვა მინდობილ თანამდებობიდან გათავისუფლება. ამ დროს — ამბობს მწერალი, — „ვიღაცა მელიასავით გამოძვრა ხალხიდან, აირბინა კანცელარიის მოაჯირზე და მთელი ხალხის წინაშე გადაეხვია გურგენ დუაძეს, გადაუწია თავი და ზედიზედ ჩაჰკოცნა.

—ვის ევირჩევთ, ძმებო, ჩვენ ამაზე უკეთეს მამასახლისს ვის ევირჩევთ... ვინ გვასახელებს ჩვენ ამის მეტი? ვთხოვოთ გურგენს, ვთხოვოთ და არ გაგვაწბილებს!

— ვთხოვოთ! ვთხოვოთ! გურგენის მეტი არავინ გვინდა ჩვენ! გაისმა სხვადასხვა კუთხეში“. გურგენი ერთხმად „აირჩიეს“[135].

---

[135] ჰოლას თანამედროვენი ზუსტად მიუთითებენ გურგენ თუაძის პროტოტიპზე. ამ სახის შესაქმნელად მწერალს გამოუყენებია რეალური პიროვნება — მისივე მეზობელი აზნაური გურგენ ელიაძე. ეს უკანასკნელი მამასახლისად არასოდეს აურჩევიათ, მაგრამ მეზობლებთან შედარებით ძლიერ შეძლებული, ის

აქ კარგად არის მინიშნებული ყველაფერი ის, რასაც ზოგიერთი იმდროინდელი მონატურალისტო მწერალი, ალბათ, მთელ რომანს მოანდომებდა. ამ ერთი შტრიხით იხსნება ტიპიური სახე და ასეთ უბრალო, მხატვრულად სრულყოფილ და სხარტ მინიშნებაში ჰოლა უსათუოდ ჰეშმარიტი მხატვრის სიმაღლეზე ადის.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ კლასობრივი შეგნების დაბალ დონეზე მდგომ არამებრძოლ გლეხობას მწერალი უყურებდა მტრული და არა სიბრალულის თვალით. მისი ღრმა რწმენით, ეკონომიური მოღონიერება, ანუ „გასუქება“ კი არ გარდაქმნის მას, არამედ სრულყოფილი საზოგადოება გაჭბანს ზნეობრივად, შემოაცლის ეგოისტურ ნაჭუჭს და საზოგადოებრივი ინტერესების გაგებამდე აამაღლებს. ეს აზრი მწერალმა გადმოგვცა შემდეგ დიალოგში:

„ — ერთი ეს მითხარი, კნიაზო, ღარიბი კაცი, რომ ცოტათი სულს მოითქვამს, ღმერთი რათ ავიწყდება?

— როგორ ფიქრობ, ივანე, შენ — მჭლე ღორი რომ გაასუქო, გამოიცვლება ის ამით?“ („ივანე გარგანელი“).

თანამოძმეთა ბრძოლისადმი გულგრილი გლეხები ცოტანი როდი იყვნენ იმათ რიცხვში, რომელნიც სიკვდილმისჯილ ჯეირანს მიმართავდნენ: „აკი გეუბნებოდით, აკი გაფრთხილებდით!.. მე შენ სიძედ მინდოდი, ფულებს მოგცემდი, ლამაზ ქალიშვილს... რად წაიხდინე თავი... ვინ დაგიკავებდა შენ ადგილსა და ჯამაგირს... ახლა კი შენს თავს დააბრალე ყოველივე, შენს თავს დაემდურე!!.. „მათ სახეში კითხულობდა მწერალი ჭუჭყით წარწერილს: „მადლობა ღმერთს, ჩვენ არავინ დაგვახრჩობს!..“

ჰოლას უარყოფით გმირთა პლეადას ავსებს აგრეთვე ყველა გამცემი და მოღალატე, რევოლუციის ყველა პირდაპირი და ფარული მტერი, თვით სექსუალურ საკითხებში თავშეუკავებელი ცოლები და საყვარლებიც კი, რომელნიც მორალურად სცემენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ (ტრუნინის, ვასოს, გიორგის, ქერქაძის ცოლები, ლოლა დაიძე და სხვა).

რადგან ჰოლა ლომთათიძემ უარყოფითი გმირები დაგვიხატა, როგორც სულიერად, გონებრივად და ზნეობრივად დაცემული პიროვნებანი, იგი მათი დაცემის მიზეზებსაც უნდა შეხებოდა. ცხადია, ადამიანის შინაგანი ბუნებით დაინტერესებული მწერალი საკითხის მხოლოდ სოციალ-ეკონომიური გადაჭრით არ კმაყოფილდება და

ყოყლოჩინა და ტრაბახა ყოფილა. ამასთან, კამათი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რაც „მამასახლის თუაძეშია“ ასახული, სწორედ ამ გურგენ ელიაძესთან მოსულა ჰოლას.

ფსიქოლოგიურ სფეროში იპრება. „ვიღაცა უსულგულომ დაგვამახინჯა, ჩვენ, ვიღაცამ სამუდამოდ შეგვიბოჭა სული. შეგვიბოჭა თავისუფლება“—ამბობს ის („საპყრობილეში“). კაცთა ფსიქიკის დამკნინებელი ეს „ვიღაცა უსულგულო“ არის ადამიანის გულში ოდითვე ჩანერგილი შიში. ამ მხრივ უურადღებას იქცევს ჭოლას ნაწარმოები „შიში“. ეს პატარა, მაგრამ ფსიქოლოგიზმით დამძიმებული მოთხრობა ისე კარგად წარმოგვიდგენს ადამიანის სულიერი გადაგვარების მიზეზს, რომ თითქოს ხილულ, ხელშესახებ საგნად ხდის მას.

ორმა დევნილმა რევოლუციონერმა თავი შეაფარა ნაცემბირალი გლეხის ივანე სანადირაძის ოდას. სიამოვნებით მიიღო სანადირაძემ ამჟამად არასასიამოვნო სტუმრები. (მათ შორის ერთი დისშვილი), დააპურა, დააპვენა და თვითონ დაუდგა ყარაულად. მეორე დღეს ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარე სტუმრებმა გაიგონეს, თუ როგორ დაეთანხმა მასპინძელი სოფლის თავკაცებს ერთის წაყვანაში და კატეგორიული უარი სთქვა მეორის გადაცემაზე. შიშის მარწუხებში მოქცეული დევნილები დარწმუნდნენ, რომ დისშვილს იცავდა ივანე, მეორეს კი ჯალათებს აძლევდა ხელში და აღშფოთებული საბრძოლველად მოემზადნენ. მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ივანეს საუბარი მხოლოდ ხარებს შეეხებოდა. დარცხვენილმა მებრძოლებმა უსიტყვოდ დატოვეს მასპინძლის სახლი.

დატყვევების შიშმა დაამახინჯა რევოლუციონერები, ეშმაკად მოაჩვენა ადამიანი. ეს შიში ჭოლასათვის არ არის ერთდროული სულიერი მოძრაობა. ისტორიული კატეგორიაა იგი, საუკუნეების სიღრმეში ფესვგადგმული და ძნელადდასაძლევი. რეაქციის დროს გამეფებული შიში „სავსე ზღაპრული საშინელებით, კაცისმჭამლებით, მოღალატეებით, უიმედობით“, მისთვის „სავსეა მწარე წარსულის მოგონებებით, ბეჩავი ქართველი კაცის უბედური მოგონებით იმ დროიდან, როცა ის, დამარცხებული, ტყეში ეძებდა საფარს და ტყეშიც ვერ პოულობდა ბინას, გამოქვაბულებს მიმართავდა და იქაც ვერ იმალებოდა, როცა ის გარბოდა, გარბოდა გაპარტახებული ველმინდვრებიდან“.

ბევრი მწერალი შეეცადა აესახა ავარიელი ჯალათის მიერ ჩვენი ქვეყნის აოხრება, მაგრამ რაგინდ დიდი ესთეტიკური სრულყოფილებით არ გამოესახათ იგი, მაინც ჩადენილი მრავალი ბარბაროსობის ძარტოოდენ ერთ-ერთ ეპიზოდად რჩება. ჭოლა კი გვერდს უხვევს ამ საკითხზე პირდაპირ საუბარს და დაშინებული ადამიანების ფსიქიკის ჩვენებით გვაყენებს იმ სიმაღლეზე, საიდანაც ყველაფერს ვხედავთ ისე, რომ წინ არ გვიდგას არც ერთი გამათრახებული კაცი, არც ერთი აღმოდებული ოდა.

„შიშმა მოიცვა ქვეყანა, შავმა, საზარელმა შიშმა. შედიოდა შიში გაძარცვულ ტყეში და კრთოდა, კანკალებდა, განწირულად ღმუოდა და გმინავდა ტიტველი ტყე. შეშინებული ტყე. ტიალ მინდორს თავს ესხმოდა შიში, შავი შიში იგრძელებდა კლანჭებს, იქოჩრებოდა და შლიდა ფაფარს, გულმოსულად სცემდა თათებს, აყენებდა კორიანტელს და ღრიალით ძიებარობდა წინ — ეძებდა სოფელს, ეძებდა ადამიანს! ..

ადამიანს თავს ესხმოდა შიში და მახინჯდებოდა ლამაზი ადამიანი. მახინჯდებოდა მისი სახე, მისი სიტყვა, მისი მიხვრა-მოხვრა... მახინჯდებოდა ჭკუისა და კეთილი ფიქრების გამომხატველი თვალი, ჯადოსანი, სასწაულმოქმედი თვალი ადამიანისა... მისი მშვენება. მისი სიამაყე. და საშინელი იყო შემოხედვა მისი, საშინელი იყო ადამიანის თვალი ისე, როგორც საშინელი იყო მისი ღიმილიც. ღიმილი შეშინებული ადამიანისა... საშინელი იყო.

კეთილი ანგელოზებისაგან დაიცალა ზეცა, გაყინული ზეცა, იმიტომ კრთოდნენ, იმიტომ კანკალებდნენ ისე მარტოხელად ობოლი ვარსკვლავები, იმიტომ იყო ისე უსიცოცხლო, ისე უმედო და ცივი შეშინებული მთვარე...

ის, ბეოცნებე შეყვარებულთა სიმღერის ნაცვლად, შეშინებულ ძალთა ყეფას იბძენდა...

შავი შიშით გაიყინთა ქვეყანა. და მას, ზარდაცემულს, წელმოწყვეტილს, ყოველივე სჯეროდა, და სჯეროდა დაუჯერებელიც.

გაუმაძღარი ყოფილა შიში, ისე როგორც სიკვდილი, როგორც სიკვდილი შიშიც სჭამს თურმე ყველაფერს — სიყვარულს, რწმენას, იმედს, მიმართულებას და, როგორც სიკვდილი, შიშიც ვერ ძღება თურმე"... (შიში").

შიშის ძალა და სილრმე აქ ემოციური მხატვრული სიტყვით არის გამოთქმული.

ოდითვე დაშინებული ადამიანის გონება სტიქიურად ემორჩილება, მისდაუნებურად ემონება შიშის გრძნობას, რის გამოც ხშირად შიშით კროის ისიც კი, ვისაც სიცოცხლე არად უღირს და ყოველ წუთს მზად არის მის გასაწირად.

შიში ადამიანის სულიერად დამახინჯების ერთერთი უმთავრესი მიზეზთაგანია.

შიში ადამიანის სახით დაბადებულს ქმნის მონად. მეციხოვნედ. ჯაშუშად, მხოლოდ პირადობაზე მზრუნველ ლორად.

შიშმა დაამახინჯა კაცთა გონება, დაეუფლა მას და იქცა სტიქიურ ძალად, რის დაძლევაც ზოგჯერ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება.

„მე მეშინია შიშის, — დაბეჯითებით იმეორებს მწერალი, მეშინია შიშის იმიტომ, რომ შიში სტიქიურია. მეშინია იმიტომ, რომ ვფიქრობ ოდესმე უალაგო ალაგას მომისწრებს ის, მომწყვეტს წელს დამიწასთან გაბასწორებს.“

შიშით „წელმოწყვეტილი“ ადამიანები ეროვნულ-სოციალურ ჩაგვრასთან არიან შეგუებულნი; არამებრძოლნი, მოღალატენი, ჯაშუშები არიან ყველა ისინი, რომელნიც სიცოცხლის ორიოდე დღით გაგრძელებისათვის ამქვეყნად „ღორის“ სახელს სტოვებენ. მართალია, ჯეირანმა („სახრჩობელას წინაშე“) დაამარცხა შიში, მაგრამ ეს გმირთა ხვედრია მხოლოდ, მასის გათავისუფლებისათვის კი საჭიროა ქვეყნის გათავისუფლება შიშის გრძნობისაგან, ადამიანისათვის სრული თავისუფლების მინიჭება.

როცა წოდებათა შორის ხიდჩატეხილობის საკითხს ეხებოდა, ილიამ არჩილს ათქმევინა: „მე გლეხებს გუშინდელ ბალღივით კი არ შევხარი ანგელოზია-მეთქი. მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჰკუადამჯდარი მგლოვიარე, დავსტირი ჩემს დაკარგულს ნახეარსა“ (ოთარაანთ ქვრივი“).

ჰოლა ლომთათიძის მთელი შემოქმედება დემონსტრირებაა თავისებური ხიდჩატეხილობის, რომელსაც ადამიანებში ქმნის წოდებრივი უთანასწორობის შედეგად ოდითვე დანერგილი შიში. ჰოლაც ილიასებურად დასტირის შიშის გამო საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებას ჩამოცილებულ ადამიანთა მასას; „და გული ჩემი ტირის, რად ტირის ის, ვინ მოუკვდა? შენ ხომ არ მომკვდარხარ, ჩემო კესანე? ანდა შეიძლება მე მოვკვდი და მე დავტირი ჩემს თავს, ანდა შეიძლება მე ვდგავარ დაჩოქილი ჩემი ცხედრით სავსე კუბოს წინაშე და ვიღვრები ცრემლად, დავტირი განსვენებულ ილიკო იაშვილს?“ („ჩემი დღიური“).

გაცილებით ნაკლები იქნებოდა ჰოლა ლომთათიძის მხატვრულ ქმნილებათა შემეცნებითი მნიშვნელობა, რომ მას შიშით გამოწვეული სულიერი ვითარების გვერდით, არ ეჩვენებინა სამშობლო ქვეყნის მერმისისათვის თავგანწირული მებრძოლების, ნამდვილი იდეალი.

მართალია, დადებითი გმირი მწერალმა მხოლოდ ჯეირან ვარდოსანიძისა და ხვარამზეს სახეებით წარმოგვიდგინა, მაგრამ სხვა მებრძოლ გმირთა მოქმედებაშიც საკმაოდ მხატვრული სიძლიერით ჩააქსოვა წინმსწრაფი საზოგადოების ნამდვილი წევრის უმაღლესი სინდისი, რომელიც თანამედროვეობაში ჩანასახის ფორმით მოცემული, ხვალინდელი დღის უდიდეს სიწმინდედ ესახებოდა.

ეს უმაღლესი სინდისი ხელშესახებია კონტრასტული ფერების

ფონზე, რომელიც მწერლის მთელი შემოქმედების მთლიანობაში აღქმის შემდეგ მოჩანს და არა მარტოოდენ კონკრეტული მოვლენების ასახვისას.

ეს უმაღლესი სინდისი, დაპირისპირებული საკუთარ „მე“-ში ჩაკეტილი გმირების სულიერი ბუნებისადმი — მიმობნეულია ჰოლას ყველა ნაწარმოებში და წარმოგვიდგება, როგორც ეიწროპიროვნული ინტერესების კატეგორიული და შეგნებული უარყოფა, როგორც მშობელი ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლის გზით პირადი ბედნიერებისაკენ ძლევამოსილი სვლა.

„ჰკუიანებსა და გამოცდილთ“, მებრძოლთა რიგებიდან გამოთიშულ ფართო მასებს მწერალი უპირისპირებს პირადულის სრულიად უარმყოფელ და მთელი არსებით საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გასულ მებრძოლთა მორალურ კრედოს.

ურჩ ტუსაღებს ახალი სატანჯველი დაუნიშნა სატუსაღოს უფროსმა: წიგნები და ქვეშაგები წაართვა, ცარიელ პურზე დასტოვა. მცირიშვილზე კი, როგორც სნეულზე, ეს მრისხანება არ გავრცელებულა. „ყველაფერი — წიგნები, საწოლი, სადილი, მიეცით — ბრძანა მის შესახებ ჯალათმა. მე თქვენ გითხარით, ნუ იწუხებთ თავს სულერთია, ისე ღორულად მე არ მოვიქცევი, თვითონ ვისადილო და სხვებს თვალებში ვაცქერინო“ — ასეთია მცირიშვილის პასუხი. ტუსაღები არწმუნებენ მცირიშვილს, რომ მათ არ ეწყინებათ, თუ იგი მიიღებს სადილს, ავადმყოფი ორგანიზმი ცარიელი პურით კვებას ვერ აიტანს. სატუსაღოს მსახურნი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მცირიშვილი მხოლოდ თავისი „ნამუსის“ მოსაწმენდად ამბობს უარს. მათ შეაქვთ საკანში „ბორშჩი“, მაგრამ მცირიშვილი დერეფანში ღვრის სადილს, დღიურში კი აღნიშნავს: „ხახა გამშრალი მაქვს, მესამე დღეა თითქმის არაფერი მიჭამია, არ შემიძლია ვჭამო ეს მყავე პური, მწერებით სავსე, ხოლო მივიღო სხვა რამ, სანამ სხვები მოკლებულნი არიან ამას, მე არ შემიძლია, თუმცა ტუსაღები მაჯერებენ, რომ მათ ეს არ ეწყინებათ. განა ის კი არ კმარა, რომ მე მეწყინება ეს, მე არ მიმაჩნია შესაძლებლად?“ ამის შემდეგ „წესრიგის დამრღვევი“ მცირიშვილი კაბინეტში მოითხოვა ციხის უფროსმა. „გადაეცით მას, როცა ხელსა და ფეხს შემიკრავენ, მხოლოდ მაშინ გამიყვანენ აქედან“ — უპასუხებს ის. მცირიშვილის ცხოვრებაში საბედისწერო წამი დადგა, რადგან მან იცის, რომ იქ საცემად მიჰყავთ და ამის ატანა არ შეუძლია.

მან გადაწყვიტა, თუ კიდევ დაუძახებენ, ყელი გამოიგლიჯოს, ან კედელს თავი მიახეთქოს და ისე გადაურჩეს მოსალოდნელ დამცი-

რებას მაგრამ, რა დაინახა, რომ მთელმა კამერამ გადაწყვიტა თავი დასდოს მისთვის, უმალვე საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო.

„მე გადავწყვიტე, წავიდე კანტორაში, რომ მოსალოდნელი კატასტროფა ავაცდინო ჩემს ამხანაგებს და მეც წავედი", — ამბობს ის. ამის შემდეგ გასაგებია ის გრძნობა, რომელსაც შეუბორკავ მცირიშვილში იწვევს შებორკილთა დანახვა: „გულში მწყინს, გულში იღვიძებს საყვედური, რომ მე, მაგალითად, შვიდი წელი უნდა დავყო ციხეში... ხოლო ეს კი, ეს კოლია დროზდოვი მუდამ სატუსაღოში უნდა იყოს" („საპყრობილეში"). ეს წყენა შემდეგ სირცხვილის გრძნობაშიც კი გადადის. მცირიშვილს „რცხვენია იმათ მაგიერ, ვისაც ქვეშაგებში სძინავს" და მოძმეთა ტანჯვას არ იზიარებს. ეს „სირცხვილის გრძნობა „ხშირად სცილდება საერთო-საზოგადოებრივი მწვავე კითხვების სფეროს და უაღრესად ინტიმურ გრძნობათა დამორჩილებასაც ლამობს. „სადღაც ისევ გამოჩნდა ჩემი პაწია ბიჭი...— ამბობს ოცნების სხივს დადევნებული ტუსაღი — ბაჯ-ბაჯით, ჭშენით მოდის ის ჩემსკენ. მოდის, მეთამაშება. რა კარგია, რა კარგია იმის გვერდში ყოლა, რა კარგია იმასთან თამაში... არც კი მრცხვენია, რომ ის უფრო მიყვარს, ვიდრე სხვა ამ ხნის ბავშვები, არც კი მრცხვენია!"... („საპყრობილეში"). ეს ფილოსოფია უცხოა ჭოლას ნაწარმოებთა უარყოფითი გმირებისათვის. იგი დაწერილია მათთვის უცხო საზოგადოებაში, სრულიად უცნობი და უცნაური ასოებით და რამდენადაც გაუგებარია პირველთათვის, იმდენად მახლობელი და ორგანულია მეორეთათვის — საზოგადოებათა იმ ნაწილისათვის, რომელშიც თვითეული შებორკილი ადამიანის დანახვა სინდისის ქენჯნას იწვევს, „ყველა დაბორკილია ჩემს მეტი, — ამბობს ახალ საკანში გადაყვანილი ტუსაღი; — შემრცხვა, როცა ამდენ ადამიანში მე ერთი ვიყავი უბორკილოდ... ჟიმეორებ მე შემრცხვა მათ წინაშე, როცა მარტო ჩემი თავი წარმოვიდგინე უბორკილო ამდენ დაბორკილ ადამიანებში, შემრცხვა და თან რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარი ვიგრძენი — თითქოს სხვათაშორის მეც დამნაშავე ვიყო იმაში, რომ ისინი იტანჯებიან. ესეც კია, რაც თავი მახსოვს, ეს გრძნობა, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე სხვების ტანჯვისა, ყოველთვის იღვიძებს ჩემში, როცა ვისმეს დავინახავ დაჩაგრულს, ან დამცირებულს. მახსოვს ერთხელ ქუთაისში რკინიგზის სადგურის ახლო ტუსაღების ეტაპს გადავეყარე და ისე შემაწუხა სინდისმა, რომ საჩქაროდ გადავუხვიე გზაზე და გავშორდი მათ. ეს არ იყო შებრალება, სრულიადაც არა, ეს იყო სინდისის ქენჯნა". („საპყრობილეში"):

სინდისის ქენჯნას აძლიერებდა ისიც, რომ ჭოლა ლომთათიძეს

ჯერ კიდევ არასაკმარისად მიაჩნდა არსებული წყობილების დამხობის დასაჩქარებლად თვითეული მებრძოლისაგან გაღებული წვლილი. მეტს მოითხოვდა მისი სული, მისი დაუცხრომელი ბუნება. საპყრობილეში შებორკილი მებრძოლის კვნესის სულმდაბლობად, სამარცხვინო მოქმედებად გამოცხადებით მწერალი გარკვეით მიუთითებდა არა მარტო იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ქვეყნის თავისუფლებისათვის თავგანწირულნი აჰყავდა მის ოცნებას, არამედ იმ წუმპეზეც, რომელშიც ადამიანის საზოგადოებრივი როლის შეცნობის უნარმოკლებულნი ნებივრობდნენ. „სულმდაბალი! სულმდაბალი! — ასე მიმართავს მცირიშვილი საკუთარ თავს; — რა სატანჯველი შენ შეგხვდა, რომ ვერ აიტანო!.. რა მოგივიდოდა შენ ზოგიერთების ბედში რომ ჩავარდნილიყავ... განა ეს სატუსაღოა? განა აქ ტანჯავენ ვინმეს? აქ დედას შეგაგინებენ, შეიძლება გცემონ... რას ნიშნავს ეს იმ დიდებულ ტანჯვასთან, რომელსაც დღითიდღე, წლიდან-წლამდე, ოც-ოცდახუთ წელს განიცდიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები პეტროპავლოვსკში, შლისსელბურგში, ციმბირში... აი რას წერდა ერთი მათგანი იქიდან, აი რას სწერდა ის გარეთ დარჩენილ თავის ამხანაგებს:

«Крест тяжелый пришлось вам принять,
Легкий, жребий мне выпал на долю:
Трудно жить и бороться за волю.
Но легко за нее умереть».

აი რას სწერდა ის! მე კი... სულმდაბალი! სულმდაბალი! სულმდაბალი! სირცხვილი შენ!“ („საპყრობილეში“).

ყველაფერი დადებითი, — არსებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი შეურიგებელი მებრძოლი სული, რაც მის ოცნებაში ნაზ, ლამაზსა და მშვენიერ სახეს ატარებს, უმაღლესი იდეალი, რისთვისაც ამქვეყნიური კაცური ყოფის გაწირვა ღირს, — მწერალმა გააერთიანა ერთ ზოგად სახელში — „კესანე“, ყველა ვინც არსებულის დამხობასა და მომავალი სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის არ იღწვის, ვისაც ამქვეყნიური ცხოვრების უმაღლეს იდეალად პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა დაუსახავს, მისი გაგებით, ქვეყნისა და უმაღლესი ზნეობის მტერია, მაშასადამე, ყველა კესანეს მტერიცაა.

თავისუფლების, სრულყოფის და კეთილშობილების იდეალი, განსახებული კესანეში, სხვადასხვაგვარად წარმოუდგება მწერლის ოცნებას და ეწევა წინ, აღთქმული ქვეყნისაკენ, შეცნობილი თავისუფლებისაკენ.

„ახლა გაზაფხულის დილაა და ჩემი ფანჯრის გადაღმა ბეღურა ჩიტი საკენკს დაეძებს, დახტის მიწაზე, ვიშ, გენაცვალე, რა მიყვარს მე ეს ბეღურა ჩიტი! შენ კესანე არ იყო ბეღურა ჩიტის სახით? („ჩემი დღიური“).

ამგვარად, უარყოფითი გმირები ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში წარმოსდგებიან, როგორც უმდაბლესი არსებანი, როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე აგებული მახინჯი საზოგადოებრივი წყობის პროდუქტი, როგორც დიამეტრალურად საპირისპირო სახეები იმ წმიდათა წმიდა იდეალისა, რომელიც მწერალმა თავისუფალი მთის წიაღში მოღაღანე მშვენიერი ყვავილის — კესანეს სახეში განაზოგადა.

ჭოლა ლომთათიძე და ქართული კლასიკური ლიტერატურა

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების წყაროების ძიებას ქართული ლიტერატურის მდიდარ სამყაროში შევუყავართ.

მართალია, რომელიმე ქართველ მწერალთან პირადი დამოკიდებულების განმსაზღვრელი არც ერთი ნაწარმოები არ მოუცია ჭოლას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფსიქოლოგიურ მოთხრობას „შიშს“, რომელიც ავტორმა შიო არაგვისპირელს მიუძღვნა), მაგრამ საკმარისია მის მხატვრულ ქმნილებათა ზერელე გადათვალიერებაც კი, რათა აშკარად დავინახოთ მშობლიური ლიტერატურის კორიფეებისადმი მისი დიდი მოკრძალება და პატივისცემა.

ჭოლა ლომთათიძეს, მიუხედავად გამოსახვის საკუთარი საშუალებებისა და ფრიად ორიგინალური პოეტური ხერხების ძიებისა, ღრმად ათვისებული და გააზრებული აქვს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შოთა რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მემკვიდრეობა, მათი პროგრესული იდეები და მისწრაფებანი. „ქართველ ბულბულთა“ მრავალრიცხოვანი ოჯახისადმი უსაზღვრო მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა უხვადაა მიმობნეული მთელ მის შემოქმედებაში.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ის ეროვნულ-სოციალური პროგრესული იდეები, რომლებიც 900-იანი წლების რევოლუციური ეპოქის შესაფერ სიმაღლიდან იქადაგა ჭოლა ლომთათიძემ, დადუღაბებულია მე-19 საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მკვიდრ საფუძველზე, ჩაკირულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის გულისმომწყვლელ ისტორიაში, წარმოადგენს ბუნებრივ გაგრძელებას და შედეგს ყვე-

ლა იმ სამართლიანი ბრძოლისას, რასაც ქართველი ერის ღირსეულმა შვილნი ათასეული წლების მანძილზე აწარმოებდნენ.

ჭოლა ლომთათიძის ლირიკული პროზისა და პოეზიის ერთ-ერთი მთავარი გმირი — „მე“, რომელიც ზოგიერთმა კრიტიკოსმა ყველა მისი ნაწარმოების მთავარ გმირად დასახა, დაუფარავად მოჩანს მხოლოდ აქ — მწერლის დამთკიდებულებაში ქართული კლასიკური ლიტერატურის მარადთავსატეხი ეროვნულ-სოციალური მოტივებისადმი და ჩვენც შედარებით ვრცლად შევჩერდებით მასზე.

„ძე კაცისაში“ ჭოლა ლომთათიძე ასეთ, ფრიად თავისებურ, მაგრამ ფსიქოლოგიურად დამაჯერებელ სურათს ასახავს: დანაღველიანებული გიორგი ყურს უგდებს ნაღვლიან მელოდიას, „მაწანწალას“ სიმღერას, რომელსაც ვიღაც ტუსაღი მღერის:

«Бродяга к Байкалу подходит,
Рыбачью он лодку берет...

ეს ჰანგები ესალმუნება მის სევდიან განწყობილებას და იმდენად იტაცებს, რომ მაშინალურად აგრძელებს თვითონ, მაგრამ... „გამოდგა, რომ რუსული სიტყვების მაგიერ ის ამბობდა ქართულ სიტყვებს, ქართულ ლექსს ნიკოლოზ ბარათაშვილისას:

„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს.“

ეს შტრიხი წააგავს ჭოლა ლომთათიძის მთელ შემოქმედებას. რამდენადაც გაბედული ნაბიჯებით მიემართება იგი საერთო (ინტერნაციონალური) იდეალებისაკენ, იმდენად უახლოვდება მშობლიური ქვეყნის ეროვნულ-სოციალური ტკივილებით ნაშობ საკითხებს და ყოველთვის აღმოჩნდება, რომ არ შეუძლია დასცილდეს ქართული კლასიკური ლიტარატურის კორიფეთა მიერ დასმული საკითხების რკალს.

ჭოლა ლომთათიძე, როგორც პოეტი, მოხიბლულია შოთა რუსთაველის წერის მანერით, პოეტური ხერხებით, ნიჭით. რუსთაველი მისთვის მიუწვდომელი სიდიდეა. მხოლოდ მას მიმართავს ჭოლა დიდი სასოებით, მხოლოდ მას ერთს უწოდებს „ჩვენს დიდ პოეტს“ („უბის წიგნიდან“).

„ვიცი მე წიგნები, — ამბობს იგი, — რომლებიც იმდენად ახლოა ჩემთან, რომ ხანდახან მიკვირს, რომ ისინი ჩემი დაწერილი არ არის, მიკვირს, რომ სხვამ მომასწრო მათი დაწერა. ერთი ასეთი წიგნი „ვეფხისტყაოსანია“.

ასე ორგანულად, უშუალოდ უკავშირდებოდა მწერალი მსოფ-

ლიო პოეზიის გენიას, ცდილობდა შეეცნო მისი სიდიადე და შეძლებისდაგვარად აწმყოს იდეალად დაესახა „ვეფხისტყაოსანში“ ასახული გმირობის, მამაცობისა, სიბრძნისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითები. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მწერალი ამბობს: „თუ რუსთაველი ქმნიდა მას, მეც სულს ვუდგამ თინათინს, ავთანდილს, ნესტანს, ტარიელს, ნურადინ-ფრიდონსა და ფატმანს“.

ჰოლას მიერ „სულჩადგმული“ ნესტან-ტარიელები მე-20 საუკუნის ქაჯეთის წინააღმდეგ ამხედრებული რევოლუციონერები არიან.

უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი საზოგადოების აღზრდის თვალსაზრისით მიდის ჰოლა „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ქალებთან. პატრიოტიზმი, „ცით ბოძებული“ ყველა მადლის (მათ შორის სიყვარულის გრძნობის) სამშობლო. ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე უყოყმანოდ მიტანის ნიჭი იტაცებს მათში, დანატრის პოეტს, რომელსაც მშობელი ქვეყნის მტკიცე ორგანიზმი ასეთ მშვენიერ მასალას აძლევდა და ცდილობს თავის ოცნებაში გამოსახულ აწმყოსთან გადააბას იგი უხილავი ძაფებით. 900-იანი წლების რევოლუციურ ძალთა მოძრაობაში, სადაც ქართველი ქალიც თამაშობდა გარკვეულ როლს, პოეტი სამართლიანად ხედავს რუსთაველის მაღალი პატრიოტიზმის თავისებურ გამობრწყინებას. მართალია, „რუსთაველი ბედნიერი კაცი იყო, — ამბობს ის, — მისი ნაცნობი ქალი ასე ეუბნებოდა სატრფოს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
ჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“...

მაგრამ არც მე ვარ უბედური. მეც მინახავს ასეთი ქალები, მე ვიცნობ მათ, მე მეგობრები მყავს იმათ რიცხვიდან, მაშ, ისინი გმირებს ეძებენ — ჩემი მეგობრები ისინი როდი მისტირიან ომში მიმავალ ვაჟკაცებს, კალთაზე როდი ეკიდებიან, არამედ მხარში უდგებიან, ეხმარებიან, ისინი იზიარებენ ჭირსა და ლხინს, ისინი ცოცხლობენ და კვდებიან მათთან ერთად. ხმალით ხელში ნახავ იმათ და ბორკილებით ფეხებზე კიდევ. საწერ მაგიდასთან და პაწია ბავშვებთან ანა-ბანით ხელში, ფაბრიკა-ქარხნებში და ტრიბუნებზე გადაეყრები მათ... მე ვიცნობ ასეთ ქალებს, ისინი ჩემი მეგობრებია, ამხანაგებია ჩემი და მიხარია, მიხარია მე ეს, მე ბედნიერი ვარ, მე ძლიერი ვარ“... („უბის წიგნაკიდან“).

ჰოლა ლომთათიძე ლაღად, ჰისთვის ჩვეული პირდაპირობით მსჯელობს თამარ მეფის ეპოქაზე, იმ სიამაყის გრძნობაზე, რო-

მელსაც მასში საქართველოს დიდებული წარსული და ამ წარსულთან განუყრელად გადაჯაჭვული რუსთაველის გენიალური ქმნილება იწვევს. წინააღმდეგ იმდროინდელი „ურა სოციალისტების“ მოსაზრებებისა, რომელთაც „პარტიული ამხანაგის“ პატრიოტული შენედულებანი „უზნეობად“ ესახებოდათ, ჰოლას ეს გრძნობა სრულებით არ მიაჩნია სოციალ-დემოკრატიულ იდეებთან შეუთავსებლად. „მე კი. მე მიხარია, ვიყო უზნეო,—თითქოს და მათი გამოსაჯავრებელი ბავშვური ჟინიანობით წამოიძახებს პოეტი, — რა ვუყო, თუ ასეთი ვარ მე. მე ყველაფერი მიხარია ახლა. მიხარია, რომ აქ ვდგავარ... და მიხარია აგრეთვე ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ქვეყანაზე დიდი პოეტი რუსთაველი და რომ ის იყო ქართველი და მეც ქართველი ვარ... მე მიხარია კიდევ. რომ თამარ მეფე ჩვენი მეფე იყო. ჰო. მართლა, მე და მეფეები ვერ ვართ მოწყობილი, მაგრამ მაინც მიხარია. რომ თამარი იყო ქართველი მეფე. რომ ახლა ის მეფობდეს... დედობრივი თვალით არ შემხედავს, მაგრამ მე რა მედარდება ეს, ის იყო ოდესმე და იმიტომ მე მიხარია ეს, მე ის მიყვარს... ნეტავი ყველა მეფეები წარსულში იყვნენ. მე მიხარია, რომ ეს ქვეყანა ჩემი სამშობლოა, შეიძლება აქ ოდესმე გაუვლია თვითონ რუსთაველს და მეც იმ სურათებს ვუცქერი ახლა, რომლებსაც ის უცქერდა! შეიძლება ის მაშინ ფიქრობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე? და აი. მეც მიჭირავს ხელში მისი წიგნი და მეც ამ წიგნის გმირებზე ვფიქრობ ამ წუთს“ („უბის წიგნიდან“). რამდენი უშუალობა. სამშობლო ქვეყნის წარსულისადმი რაოდენ წრფელი, ნათელი, სპეტაკი დამოკიდებულება ისახება ამ უბრალო. ნატიფ სტრიქონებში, პოეტურ ექსტაზში, რომლის გადმოსაცემად მწერალს თითქოს მხოლოდ ორიოდე სიტყვისთვის მიუგნია და აღტაცებული იმეორებს: „მიხარია“, „მიხარია“. „მიყვარს“, „მიყვარს“. ან კიდევ: „შეიძლება სიყვარულით ვიყო ასე ბრმა, მაგრამ ტფილისი ულამაზესი ქალაქი მგონია ამ ქვეყნად. მიყვარს მისი დაკლაკნილი, ოღრო-ჩოღრო ქუჩები, სადაც თამარ მეფემ იქორწინა, მიყვარს იმ სისხლის გამო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დაუღვრია ჩემს ძველებს მის დასაცავად, წმინდა, ქართული სისხლის გამო“.. („თეთრი ღამე“).

მაინც რას ფიქრობდა რუსთაველის გენიით მოჯადოებული მგოსანი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე? ფრიად ორიგინალურია ეს „ფიქრი“. იგი სცილდება ჩვეულებრივი დაფასების, ლიტერატურულ-ესთეტიკური განხილვის, თუ მშრალი აზროვნების ყოველგვარ

ფარგლებს და წარმოგვიდგება, როგორც ხორცსხმული რეალობა, თვალწინ მიმდინარე ცხოვრება. მასში ნესტან-ტარიელები ლიტერატურული ნაწარმოების გმირებად კი არ ჩანან, არამედ ცოცხალ, ჩვენს წრეში მოქმედ ადამიანებად, რომელნიც მზად არიან მოგვისხდნენ გვერდით, ჭირი და ლხინი გაგვინაწილონ. აი ასეთი „ფიქრის“ ერთი ნიმუში: „მე ვიცნობ ფატმანს და მიყვარს მე ის. ასე მგონია, აი, ეს არის გამოვა-მეთქი ის სტრიქონიდან და დაირით ხელში გამოჩერდება წინ, აიფარებს ეშხიანად დაირას სახეზე, ეშმაკურად ჩამიცინებს, ჩამიკრავს ცალ თვალს და მსუქანი თითებით დაჰკრავს დაირას, გააღვიძებს ლხინს“... („უბის წიგნიდან“).

ჭოლა ლომთათიძისთვის „ვეფხისტყაოსანი“ არის არა მარტო ფეოდალური საქართველოს კულტურული სიძლიერის ამსახველი მხატრული ქმნილება, ერის ხელიხელ საგოგმანებელი საუნჯე, არამედ ყოველდღიური სინამდვილეც, მთელ საქართველოზე გადაფენილი მშვენება, განუმეორებელი სილამაზე, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს და ატკბობს ყველა იმას, ვისაც მისი დანახვა ძალუძს. აი ერთი ნიმუში პოეტის მიერ ამ მშვენების განცდისა ბორჯომის ხეობაში გაავდრების პროცესის ხილვისას: „მოკუმშული და შავი ჯაჯა დასწოლია სოფელს თავს და სჭექს და ჰქუხს... არემარე დამათრობელ სუნს უშვებს, პირდაბანილ ყაყაჩოებს უსაზღვროდ აწითლებიათ ყურები, ბეღურები ჟივილ-ხივილით ცმუკავენ. მარგალიტივით დაკიდული წვეთები წვიმისა მიმტაცად კიანთობენ და... მე მესმის რუსთაველის ხმა და მას ვუგდებ ყურს:

„აგრგვინდა ცა და ღრუბელი ცროდეს ბროლისა ცვარითა,
ვარდთა აკოცა ბაგითა. მითევე ვარდისა დარითა,
უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა, გულტკბილად შემხედვარითა,
მისად სანაცვლოდ მოვილხენ შენთანა საუბარითა.“

დიახ, აქაურია, აქაურია რუსთაველი, ჩვენი დიდი პოეტი, ამ ბუმბერაზი ბუნების შვილია ის, სადაც ასე სასტიკად სჭექს ზეცა, და ასე ნაზად იცქირებიან ყვავილები. სწორედ აქ ცრის ღრუბელი ბროლის ცვრებს და აქ მინდა ვაკოცო მე იმ ყვავილს, ეგერ რომ გაშლილა, პირსახე დაუბანია და არ შეუმშრალებია...

თქვენ გგონიათ იქნება ეს ავთანდილმა აკოცა მართლა ვარდს თინათინის სანაცვლოდ! სრულებითაც არა, ეს თვითონ რუსთაველი იყო, გრგვინვა წამოესწრო მას სეირნობის დროს, სადმე ხის ძირში შეაფარა მან თავი ბროლის ცვრებს და სტიქიონის მძაფრი ღრიალის

დროს გაახსენდა მისი მზეთა-მზე, მისი თამარ, გაახსენდა, დაიხარა ძირს და აკოცა ვარდს... მეც ხშირად ვკოცნი ხოლმე ყვავილებს, ვესაუბრები მათ და ვეუბნები: „მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა-მეთქი“, ღმერთმანი, ასე ვიქცეოდი და რა ფსიქოლოგიური სიმართლეა აქ! ცა გრგვინავს, ღრუბელი ცრის ბროლის ცვრებს, შენ კი გული სინაზით გევსება, ის გაგონდება, ვინც ყველას გირჩევნია...“

ცხადია, რუსთაველის დიად ფრთებქვეშ იშლებოდა ჭოლა ლომთათიძის ნიჭი, ყველაზე მეტად რუსთაველისგანაა დავალებული ის მხატვრული სახეები, მართალი ფსიქოლოგიური ხილვანი, რაც ერთი შეხედვით, მხოლოდ თანამედროვეობის ჰაერით სუნთქავს და მეფის რუსეთის სატუსაღოს კედლებით იფარგლება.

ასევე ორიგინალურად უკავშირდება ჭოლა „ბესამოციანელებსაც“. როგორც ცნობილია, „თერგდალეულების“ მებაირახტრენი მშრომელი ხალხის უანგარო სამსახურს მოითხოვდნენ მწერლისაგან, საზოგადოების სარგებლობის თვალთახედვით ზომავდნენ ხელოვნებას საერთოდ, თავიანთი შემოქმედების ცენტრში აყენებდნენ მშობელი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისათვის მედგრად მებრძოლ გმირს. მოქალაქეს, რომელსაც უნარი შესწევდა წინ გაძღოლოდა ერს მოწესრიგებული საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ეპოქამ განაპირობა „მესამოციანელთა“ ეს პროგრესული შეხედულებანი და, რაც უფრო მძლავრად ირყეოდა ძველი სამყარო, მძლავრი სოციალური ძვრების შედეგად. მით უფრო ახალ, მაღალ მწვერვალებს იპყრობდა ის და 900-იანი წლების რევოლუციური აზვირთების შემდეგ, ყოველივე ამან ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში კულმინაციური წერტილი ჰპოვა.

უტილიტარული თვალთახედვით განიხილავდა მწერლობას ჭოლაც. თუ ილია და აკაკი განსაცდელში ჩავარდნილ, ჭაჯეთის ციხეში გამომწყვდეულ მშრომელთა გამოსახსნელად გმირებს უხმობდნენ (მოიგონეთ ილიას სიტყვები;

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისათვისც ვტირი“.

აგრეთვე აკაკის შეძახილი: „გმირებს უძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა“), ჭოლა ლომთათიძემ, რომელმაც იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ მშრომელთა გათავისუფლება თვით მათივე საქმეა, მშობელ ხალხში იპოვა მიძინებული გოლიათი, მძლავრად შემოჰკრა მის გასაღვიძებლად აღერებულ ზარებს და, აი მის შემოქმედებაში ყალყუ-

ზე დგანან კლასობრივი ინტერესების დამცველი გმირები. ისინი მხვნელ-მთესველთა წიაღიდან და ფაბრიკა-ქარხნებიდან,არიან გამოსულნი და პირში ახლიან კაპიტალისტურ- მემამულური სახელმწიფოს ერთგულ დარაჯებს: „და დამერწმუნე: ვარდით ფენილ შენს ცხოვრებაში, მოვკვდები მაინც არ გაგიცვლი ცხოვრების გზასაა“. („კვლავ ფიქრი, ფიქრი“).

ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა ფშაველა. გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებდნენ სევდის, კვნესის მიზეზის პირდაპირ დასახელებას, თავიანთ მსოფლშეგრძნების მკითხველთან მიტანის საშუალებად იყენებდნენ ალეგორიებს, პოეტურ ქარაგმებს; ჭოლა ლომთათიძის ეპოქა კი შენიღბვას არ მოითხოვს, ამიტომ მწერალი იარაღით ხელში დგას ბრძოლის ველზე კლასობრივი მტრის წინააღმდეგ და დაუფარავად მიმართავს მას: „ასიათასი ენა რომ მქონდეს, ასიათასი ენით შეგძახებდით მე თქვენ: სიკვდილი თქვენ, მკვლელებო, ბრძოლა თქვენ. ქურდებო და ავაზაკებო... ანათემა თქვენ, ანათემა აწ და მარადის...“ („სახრჩობელას წინაშე“).

რა თქმა უნდა, ეპოქა განსაზღვრავს ამ მოქმედებას და არა განსაკუთრებული ბუნება მწერლისა!

ილია და აკაკი აიდეალებდნენ ხალხის მხსნელ გმირს, ხოლო თავისავე კლასს, ცხოვრების სუფრის თავში გამოჭიმულ ფეოდალურ არისტოკრატიას, ჰკენწლავდნენ; ისინი ერთგვარი სიბრალულით უცქერდნენ საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებულ მშრომელ ხალხს, რომელსაც მათი გაგებით, გმირობამდე ამაღლება ჯერ კიდევ არ შეეძლო; ჭოლა ლომთათიძე კი სამარცხვინო ბოძზე აკრავს თავისი კლასის მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც ვერ მაღლდება საზოგადოებრივი ინტერესების გაგებამდე და ქვეყნის ხსნისთვის ბრძოლას პირად ინტერესებში სცვლის, არსებულით კმაყოფილდება და თავისი მოქმედებით აძლიერებს მტრების ბანაკს („ძე კაცისა“).

ჭოლასათვის მშრომელი ხალხის ეს ინერტული ნაწილი ისეთივე საზიზღარია, როგორც მტრის ბანაკში მყოფი მოკეთე, რომელიც სანამლავით მოშხამულ ისრებს საკუთარ ძმებს ესვრის. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს ილიას და აკაკის, არ დაუხატავთ მშრომელთა წრიდან გამოსული უარყოფითი გმირები. თუმცა არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ გლეხთა კლასი ყოველთვის, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ,

იდეალურ პიროვნებებს არ იძლეოდა. ჭოლამ, როგორც ამ კლასის შვილმა დაურიდებლად გვიჩვენა სუკინები, გადინები, ზახარჩუკები. ჯიბილოები და ჯამულეთები, მშრომელი ხალხის მცირე, მაგრამ მაინც საგრძნობი ნაწილი, რომლის შესახებაც „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი ამბობდა: „გლეხკაცისთანა, გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როდესაც თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაახრჩობს, მიწასთან გაასწორებს:“

„თერგდალეულები“ გმირთა საუკეთესო ზნეობრივი და მორალური მაგალითების ჩვენებით აპირებდნენ საზოგადოების სასურველი მიმართულებით წარმართვას, აღზრდას. ამიტომ მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა მშრომელთა წრის მანკიერი მხარეების გამომზეურებას. ჭოლას ორმა რჩმენით კი მომავალი მოწესრიგებული საზოგადოებრივი წყობილება თვით მშრომელებმა უნდა შექმნან, მათვე უნდა მოამზადონ ნიადაგი საუკუნეების მანძილზე დამახინჯებული ყოველი ფენის ადამიანთა ფსიქიკის გაჯანსაღებისათვის. ამიტომ არ შეეძლო მას არ ემხილებინა ჯამულეთ-ჯიბილოები. არ ებრძოლა მათ წინააღმდეგ. არ დაეყენებინა ისინი იმ საძულველი საზოგადოების გვერდით, რომელმაც მათი წარმოშობა განაპირობა. 80-90-იან წლებში გამძაფრებულ სოციალურ ბრძოლათა შედეგად უკიდურესობამდე გამახვილებული კლასობრივი შეხედულებანი ჭოლასი, მის მიერ დახატული პატრიოტიზმის მადლით მოსილი გმირების სახეები ქართული კლასიკური ლიტერატურის უბეში წარმოიშვნენ. ამაზე თვითონ მწერალი ვიგვითითებს: „მე ერთი ვიცოდი — ჯიბილო მდიდარი კაცი იყო. ცოტათი წარმოდგენა მქონდა სიმდიდრე-სიღარიბეზე და მთელი ჩემი პაწია ჭკვითა და გულით ღარიბების მხარე მეჭირა, მაშასადამე, მძულდა ჯიბილო, როგორც მდიდარი, როგორც მტერი. ქართული ლიტერატურის სასახელოდ, მას არასოდეს არ შეეძლო მკითხველში ასეთი გრძნობა არ გაემაგრებია, გრიგოლ ორბელიანსაც კი „მუშა ბოქულაძე“ დაუწერია...“ („უბედური“).

ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა და თითქმის ყველა ქართველი კლასიკოსი თავიანთ შემოქმედებაში წამყვან ადგილს საზოგადოების აღზრდას, დამოძღვრას უთმობდა. საზოგადოების ყოველ წევრში კეთილშობილური თვისების დანერგვა, საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ ეგოისტურ მისწრაფებათა ჩაკვლა, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის წინ-

სვლისა და მოწესრიგებული სახელმწიფო ორგანიზმის შექმნისათვის, მათი შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ისიიი მიზანს აღწევდნენ დადებით და უარყოფით გმირთა ხასიათების დახატვით, რისთვისაც საჭირო მასალას უხვად იღებდნენ საქართველოს მდიდარი ისტორიიდან. (გავიხსენოთ „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „აჩრდილი“, „სადღეგრძელო“, „ბედი ქართლისა“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში აჩუკი“, „ბახტრიონი“ და სხვა მრავალი). ჩვენი კლასიკოსები მომავალი ბრძოლისათვის ამზადებდნენ ხალხს, თუმც ამ ბრძოლების გადამწყვეტი საათის ზარის რეკა ჯერ კიდევ არ ისმოდა.

სულ სხვა იყო ჭოლას ეპოქა, ამიტომაც სულ სხვაა მის მიერ გამოყენებული გამოსახვის საშუალებანი.

მას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ბრძოლის და არა ბრძოლისათვის მზადების დროს მოუხდა. აქედან გასაგებია, რომ იგი გმირთა ხასიათის საძერწავად ყოველთვის ვერ იცლის (არც მიაჩნია ზოგჯერ ეს ეფექტურ საშუალებად). თვით დგას სატრფოს — სამშობლოს — წინაშე და პირდაპირ, ეზოპეს ენის მოუშველიებლად. სხვაგვარად ჰგალობს იმასვე, რასაც ქართული კლასიკური ლიტერატურის ბულბულები გალობდნენ; „დაანთეთ, ამხანაგებო, დაანთეთ ცეცხლი ბუხრებში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და თუ ვერ ანათებს შზე, იმიტომ რომ ღამეა, თუ წვიმს და ბნელი ბურუსი ახვევია მიდამოს, დადგით, ამხანაგებო, სინათლე ფანჯრებთან და გამოაშუქეთ ქუჩაში. გამოაშუქეთ ქუჩაში. იქ კაცი დგას, იქ დგას ადამიანი, იმას ქუდი მოხდილი აქვს, იმას აწვიმს, სცივა იმას და უჭირს ბნელაში სიარული. ის იცქირება გარშემო და ეძებს სინათლეს, რომელიც მას მიეხმარება... იმას უყვარხართ თქვენ, ის თქვენ დაგეძებთ. თქვენთან უნდა მოსვლა, თქვენთან უნდა სიკვდილი — დაანთეთ, ამხანაგებო, ცეცხლი ბუხარში, დადგით სინათლე ფანჯრებთან და გაანათეთ!..“ („ჩემი დღიური“). ამ პირდაპირ პუბლიცისტური სიმახვილისა და იერის მატარებელ სტრიქონებს არ აკლია მხატვრული ღირსება, ფერები, საღებავები. პირიქით, აქ პოეტური სახეების სიუხვე და სინარნარე შერწყმულია მკაფიოდ გამოკვეთილ იდეურ მიზანდასახულობასთან.

ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის შედეგად თანამოძმეთა მორალური დაცემის ასახვაშიც ჭოლა ლომთათიძე გასული საუკუნის 60—80-იანი წლების ქართველ რეალისტთა მოწაფეა (გავიხსენოთ „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „სურამის ციხე“, „ჯორ-ზაქარა“...),

მაგრამ თვითმპყრობელობის მიერ ადამიანური უფლებების, ადამიანის სინდისის, პიროვნების დაწიხვლის, გაქცევის მკვეთრი, შემაძრწუნებელი სურათების ხატვაში მას ბადალი არა ჰყავს.

ცხადია, რამდენადაც გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი, იმდენად ცხარე ხასიათი მიიღო კლასობრივი ბრძოლის მდინარებამ, იმდენად გამხეცდა ადამიანი, — დასაღუპად განწირული კლასების შვილი, — იმდენად დაბოშდა ამ კლასების სამსახურში მყოფ ერთგულთა სული და ასევე აისახა ეს ნიჭიერი მწერლის მხატვრულ ქმნილებებში, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მწერლის წარმატება აგრეთვე განაპირობა საკუთარი განცდის სიუხვემ. პირადმა გამოცდილებამ.

ჭოლამ, როგორც თავისი კლასის და ერის ერთგულმა შვილმა, საკუთარ ზურგზე გამოსცადა უფლებამოსილი და გამხეცებული ბიუროკრატიული რეჟიმის მათრახები, მათი ზუილი მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოებში ისმის. რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებისათვის ამ პირად გრძნობას, ამას ვაჟა ფშაველას შემდეგი სიტყვები გვიჩვენებს: „ვისაც რომელიმე გრძნობა სიყვარულისა, თუ სიძულვილისა თვით არ უგრძვნია, არ გამოუცდია პირადად, იმ გრძნობის მგოსნად ვერ ვიწამებთ, ვერც აღწერს იგი ამ გრძნობას ისე, რომ მსმენელთა ყური დაამონოს და ათქმევინოს: „რა მშვენიერებაა!“ მგოსნის შემოქმედებასაც მასალა სჭირია, არარაიდან მხოლოდ არარა იქნების, მასალა კი თვით ცხოვრებაშია, გარეშე ცხოვრებისა და ბუნებისა კი სრული არარაობაა“[138].

ჭოლა ლომთათიძეს კარგად ესმოდა პირადად განცდილის ფასი შექმნისა და შექმნილის გაგების პროცესში. ამიტომ იყო, რომ ცარიზმის პირობებში დამცირებული ადამიანის ფსიქოლოგიის ყველაზე უკეთ ამსახველი მისი ნაწარმოები („სახრჩობელას წინაშე“) უძღვნა „ყველას, ვისაც უგრძვნია და გამოუცდია“, ამიტომ იქცა გრძნობა მისი შემოქმედების ორგანულ ნაწილად.

მე-19 საუკუნეში ლირიკული შედევრებით მხოლოდ ბარათაშვილი მისწვდა ეროვნული გულისთქმის სიღრმეს, ხოლო დიდთა „გულის თქმათ“, დიდთა აზრთა მატარებელმა რეალისტებმა ეპიურ ჟანრს მიმართეს.

მხოლოდ ერთი, მხატვრულობის თვალსაზრისით არც თუ ორიგინალური, ეპიური ნაწარმოების („დავითი“) შექმნა მოახერხა ჭოლა

---

[138] იხ. ვაჟა-ფშაველა „მცირე რამ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. საქ. ცსრ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 5317.

ლომთათიძემ. მთელი თავისი მხატვრული ნიჭი მან ლირიკულ ჟანრს მიუძღვნა.

ცხადია, ლიტერატურის ისტორიისათვის ძალზე განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ლირიკულ ნაწარმოებში გამოხატულ ისეთ გრძნობებსა და განწყობილებებს, რომელნიც მოცემულ ეტაპზე, ან საზოგადოდ, ერის პროგრესულ მისწრაფებებს არ შეესატყვისებიან და მხოლოდ მწერლის პირად „მე“-ს ასახავენ. ეს მარტივი ჭეშმარიტება უსათუოდ კარგად ესმოდა ყველა იმას, ვინც ჰოლა ლომთათიძის მღელვარე ლირიკული პროზა ინდივიდუალისტურად, პესიმისტურად გამოაცხადა. მწერლის „განწირულ სულისკვეთებაში“, სევდაში, „რომელსაც თმის ბალანიც კი გრძნობს“, დაინახა არა ამხედრება ქვეყნის დამთრგუნველ ბნელ ძალთა წინააღმდეგ, არამედ პიროვნების კვნესა-ვაება საკუთარი უბედობის შეცნობის გამო. მაგრამ, მარტოოდენ პირადი სევდის ამსახველი სტრიქონები არ გვხვდება ჰოლას შემოქმედებაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ჰოლა ლომთათიძის სევდიან განწყობილებათა მიზეზი ერთია — სამშობლო ქვეყნის ძნელბედობა, და მათ შორის განსხვავება გამოსახვის საშუალებათა სხვადასხვაობაში, წერის მანერასა და ესთეტიკურ ხარისხშია მხოლოდ.

განა ჰოლა ლომთათიძის „აღრჩეული“ სული ბარათაშვილივით საწუთროების იქით არ ეძიებს სადგურს, „ზენაართ სამყოფს, რომ დააშთოს აქ ამაოება“ და მასავით არ ჰგოდებს, რაკი დარწმუნდება, რომ „ვერ სცნობენ გლახმოკვდავნი განგებას ციურს!?“ მოვუსმინოთ მას: „ქეთო ცისკენ ეძებს გზას. მას სკრიპკა აქვს და ამ სკრიპკის შემწეობით სურს ცაზე ავიდეს. იღებს ხელში სკრიპკას, გადახრის განზე თავს და გაუსვამს სიმებს. ჩამოჰკრავს სიმებს და ატუსაღებს ჰაერში გაბნეულ თავისუფალ რითმებს, ხმებს, ატუსაღებს იმათ და ალაპარაკებს — ჰგონია: ისინი ეტყვიან, თუ სად არის ცისკენ მიმავალი გზა. ეკითხება ის თავის ტუსაღებს, ემუდარება. ტუსაღნი კი (ქეთოს მიერ დატუსაღებული თავისუფალი სიმები, ხმები-დ. რ.) თავის ტუსაღობას ტირიან: „ჩვენ დაგვატუსაღეს. რამდენიმე მავთული გაჭიმეს უშნო, ჯორის თავიან ჯოხზე („სკრიპკაზე“. დ. რ.) გაგვიბეს მახე, გაუსვეს და გამოუსვეს ზედ და ჩვენ ახლა ტუსაღები ვართ. და ახლა ჩვენ ვტირით: თავისუფლებავ! ზეცავ! თავისუფლებავ! ქეთო სთხოვს პასუხს, ისინი კი ტირიან, იმათ თავისუფლება დაჰკარგეს“ („აღრჩევა სულისა“).

„აღრჩეული სული“ „სკრიპკის“ „საშუალებით“ ვერ აღწევს „ზე-

ნაარსთ სამყოფს". „ცისკენ მიმავალი" გზის პოვნის ნაცვლად სკრიპკა ატუსაღებს იმასაც, რაც დღემდი თავისუფალი იყო—„ჰაერში გაბნეულ თავისუფალ რითმებს, ხმებს" და გვესმის მწერლის გულსაკლავი მუდარა: „ისმინეთ! ისმინეთ, მეგობარო, მე შენ გეძახი, შენ დაგეძებ, სად მოგნახო შენ!"

ქვემოთ მოყვანილ ამონაწერში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მწერლის მარტოობასა და მიუსაფრობას, სამშობლო ქვეყნის ბედუკუღმართობით აღძრულ მებრძოლ სულს, რომელიც „ცისკენ ეძებს გზას" და რომელსაც არსებული საზოგადოებრივი ყოფის მყრალი გუბე, მის გარშემო მოფუსფუსე სულმდაბალი არსებანი ვერ აკმაყოფილებენ, ვერ ასაზრდოებენ: „და თუ მე ჩემს ირგვლივ ვერ გიპოვი შენ (ერთადერთ მეგობარს, დ. რ.), მაშ, სადაური ვარ მე? საიდან მოვსულვარ? ვისი ბოროტი ხუმრობით მოვქცეულვარ აქ. ამ უცხო ქვეყანაში? და თუ აქაური არ ვარ მე, მაშ, რად მიყვარს მე ყველაფერი ეს ასე ღრმად, ასე ძლიერად, ასე უსაზღვროდ! რად მიყვარხართ მე თქვენ, სამშობლო ქვეყნის ზეცავ და მთებო, თქვენ, მინდვრებო და ტყეებო, რად მიყვარხარ მე შენ, შავო ზღვავ!.. და თუ ეგრე მიყვარხართ მე თქვენ, რად ვარ მე აგრე მარტო, აგრე ობოლი. აგრე უბედური? მითხარი, ვისაც გესმის, რად-მეთქი, ჩემო საყვარლებო. ჩემო ძვირფასებო!.. და თუ მე, ადამიანის სახით მოვლენილი თქვენში. ადამიანის მონათესავე არა ვარ, რად მიყვარს მე ადამიანი, რად მიყვარს? და თუ მიყვარს, რად ვარ მე ასე მარტო, ასე ობოლი და ასე უბედური, რად, რად?" („აღრჩევა სულისა"). ან რა უნდა გვესმოდეს ქვემოთ მოყვანილ იმ სულიერ დრტვინვაში, რომელსაც მწერალი თავისუფლების მადლის შეცნობის უნარმოკლებული მახინჯი საზოგადოებრივი ცხოვრების, თავისუფლებისათვის ულირს ადამიანთა სახეების შეცნობის შედეგად განიცდის? „სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა და ელის ვიღაცას, რომელიც მას უყვარს. ელის და ვერ ეღირსა მის ნახვას. სად წავიდე მე, სად წავიდე მე, რომ დავისვენო, რომ გავიძღო ჩემი სულის შიმშილი, რომ მოვკლა მისი წყურვილი, სად წავიდე მე? მშობელო ქვეყანავ, მშობელო ქვეყნის უძირო და შემკულო ზეცავ, დიდო მთებო, ანკარა წყლებო და მგალობელნო ფრინველნო, — სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს, სული ჩემი მღვიძარეა! და მე მარტო ვარ, მარტო ვარ! სად წავიდე მე? სად წავიდე, როცა დედამიწას ვერ ავცდები ვიცი, ხოლო დედამიწაზე კი შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქვეყანავ, ჩემო საყვარელო, და შემკულო მხარევ" („აღრჩევა სულისა").

იმ დროისათვის მეტად უცხოდ ღაღადებს აქ მწერლის შინაგანი სამყარო, პირადი „მე“. მწერალს თითქოს ეჭვი ეპარება სევდიანი ლირიკის დროულობაში და ასეთ დიალოგს მიმართავს:

— „საჭირო იყო თუ არა ყოველივე ეს?

— არ ვიცი.

ვიცი მხოლოდ, რომ სევდა იყო — ეს სევდა ალაპარაკდა... სევდა ალაპარაკდა, რომ ცოტათი დამშვიდებულიყო“. („უსათაურო“). „სევდა ალაპარაკდა!“ ამ ორი სიტყვით იხსნება ჭოლას მკვნესარე სტრიქონების „საიდუმლოება“. უფლებააყრილი და სახრჩობელებით მოფენილი სამშობლო ქვეყანა აღძრავს „აღრჩეული სულის“ პოეტში იმ საშინელ გრძნობას, რომლის დაოკება მის ოპტიმისტურად მოაზროვნე გონებას აღარ ძალუძს. მწერლის სული ვერ პოულობდა „მყუდრო სავანეს“ იმ საზოგადოებრივ გარემოში, რომელშიც ცხოვრობდა, ვერც „თანამოაზროვნეთა“ იმ წრეში და ორგანიზაციაში, რომელსაც ოფიციალურად ეკუთვნოდა.

ზემოთქმულს ნათლად გვიდასტურებს მწერლის მიერ თავისთავთან გამართული შემდეგი დიალოგი: „ვიბრძოლო? მაგრამ მე ხომ ვიბრძვი! ვიშრომო? — განა არ ვშრომობ? ვიტანჯო? — მაგრამ განა შეიძლება მეტი ტანჯვა?...“ და შემდეგ ისევ: „...სული ჩემი სწუხს, სული ჩემი შფოთავს,სული ჩემი მღვიძარეა...“ („აღრჩევა სულისა“).

როგორც ვიცით, ქვეყნის ბედუკუღმართობით ნაკვები სევდა სძლია უგზოუკვლოდ მსრბოლი მერანის გენიოსმა მხედარმა. საღი რწმენით გაჰფანტა კაეშნის ღრუბლები და „შავი ყორნის“ ფრთებით გვემულ ერს უჩვენა „ცისკენ მიმავალი გზა“.

თუ ამ კუთხიდანაც გადავავლებთ თვალს ჭოლა ლომთათიძის მღელვარე ლირიკის სანაპიროებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ მისი სევდით ჩაბნელებული გზა დიდ სიმაღლეს აღწევს, და თითქოს შავი უფსკრულის ხილვით შეძრწუნებული „ცისკენ მიმავალი“ პოეტი სასწრაფოდ უბრუნდება ხილულ სამყაროს, რათა მშობლიურ ქვეყანას გაბედულად ჩასძახოს: „ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია, გაივლის, გამოიდარებს, იმედი და სულ იმედი დაისადგურებს“ („თეთრი ღამე“).

„მარტო სულ მარტო“ პოეტი თავს გრძნობდა აწმყოს სულის შემხუთველი ჰაერით მოწამლულ გარემოში და ზეადამიანური ენერგიით მიისწრაფოდა „წინ, მხოლოდ წინ“, რათა იქ, თავისუფალ სამყაროში, ეხილა ბორკილაყრილი სამშობლო ქვეყანა. ასახავდა რა ბრწყინვალე მომავლისაკენ ჯიქურად მსრბოლი გმირის იდეალს,

ჭოლა დაჟინებით იმეორებდა: „ჯანდაბას ყველაფერი“ — ასე ვაშ-ბობ მე: ყველა სანთლებს დავაქრობ ჩემს უკან და მხოლოდ წინ, მხოლოდ მომავლისაკენ დავიწყებ ცქერას, მხოლოდ წინ! წინ, იქ თავისუფლებაა, გაშლილი მინდვრები, ყვავილები, იქა სჯობია!“ („უსათაურო“).

ამ მომავალს ხედავდა იგი თვით სევდაშიც კი და ამიტომ ელო-ლიავებოდა, ეალერსებოდა მას, ამ სევდას: „ის მაწევს სულზე, ის ქეჯნის და ის ღრღნის მას — სევდა ჩემი. მაგრამ ამ სევდაში, ჩემო მეგობარო, ხედავ თუ არა შენს თავს?.. ხედავ თუ არა შენს თავს?.. მ ხ ი ა რ უ ლ ს, მ ო ც ი ნ ა რ ს, ბ ე დ ნ ი ე რ ს. ამ ჩემს სევდაში ზიხარ შენ!

და ამიტომ კურთხეული იყოს სევდა ჩემი ამიერიდან და უკუნი-სამდე კურთხეულ იყოს, ჩემო მეგობარო...: და ამიტომ, არავის იმას არ მივცემ, არავის!... არავის არ მივცემ ჩემს ნატვრას, რომელიც სევდაა ჩემი, იმიტომ, რომ ამ ნატვრაში შენ ზიხარ, ჩემო მეგობარო! კურთხეულ იყოს ის აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე: კურთხეულ იყოს!.. („უსათაურო)“.

სევდიანად დასცქეროდა რა გონებით მისაწვდომ მწვერვალიდან მის „დანგრეულ მშვენიერ ქვეყანას“, პოეტს ღრმად სწამდა. რომ მომავალში თავისუფლების მოპოვებით ეს ქვეყანა გახდებოდა მისი და, მაშასადამე, თანამოძმეებისაც, და ამ დიადი მომავლისაკენ ტრიუმფალური სელის სიმფონია ჟღერს მოთხრობაში „უბის წიგ-ნიდან“. „მაღლობზე ვდგავარ მე, მზე მკოცნის და გულს მითბობს. დავცქერი ჩემს დანგრეულს და მშვენიერ ქვეყანას და გული ჩემი ბედნიერია... მე ვიცი, რ ო მ ი ს ჩ ე მ ი ი ქ ნ ე ბ ა და შენ კიდევ, ჩემო ძმაო... ვიცი მე, რომ დავცქერი ჩემს სამშობლოს, მაგრამ შ ო რ ს ა რ ი ს ი ს ჩ ე მ გ ა ნ და შ ე ნ გ ა ნ კ ი დ ე ვ, ჩემო ძმაო. დავცქერი ჩემს სამშობლოს, გული ჩემი მძლავრად სცემს და იქითკენ მიწევს, სამშობლოსკენ — წავიდეთ წინ და ვიკვლიოთ გზა. წავიდეთ და ვკაფოთ... გული ჩემი ჩქარობს, გული ჩემი ხარობს. ჩემს გულს არ ეშინია და ბედნიერ შეუვარებულს, იმედით საავსეს, მას აღარ სურს დასვენება. ის მიდის...

მზე მხურვალედ გვკოცნის ჩვენ, ნიავიც გვკოცნის, ყვავილები გვიცინიან, წყარო გზას გვილოცავს, სამშობლოსკენ მივდივართ მე და ჩემი გული, ბედნიერი ვართ ჩვენ...“ „გული ჩემი ამაყობს, გული ჩემი სცემს მედგრად, მას არ ეშინია, ის გაბედავს..“

და ამ სიმფონიაში ჩვენ შეგვიძლია მთლიანად ამოვიკითხოთ მე-13 თავი ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ „შრომა აწ, ქვეყნად ტყვედა პყრობილი“.

ბედნიერებისაკენ — სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისაკენ ძლევამოსილი სვლის რომანტიკა არის ჭოლა ლომთათიძის გულწრფელი ლირიკული პროზის ძირითადი თვისება და სილამაზე, მისი არსის გამსაზღვრელი და წამმართველი. ცხადია, უსამართლობა იქნებოდა ამ შემმართებელ ძიებაში არ დაგვენახა „მერანის“ მხედრის დაუდგრომელი სულის სიმშვენიერის უკუფენა 900-იანი წლებისათვის შესაფერი ფორმით: მებრძოლ რომანტიკოსთა ლირიკული შედევრების გმირებს, თავიანთ ეპოქაზე ამაღლებულთ, იმავე ეპოქის განსაზღვრულობის გამო, არ შეეძლოთ გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდათ იმ უკეთეს მერმისზე, რომლისკენაც ისინი შეუპოვრად მიისწრაფოდნენ; რევოლუციონერ-დემოკრატ პოეტს კი „მომავლის კლიტე“ უპყრია ხელთ და ხედავს იმ ადგილს, სადაც სამშობლო ქვეყნის ტანჯული ხალხი, დღესა თუ ხვალ, ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის საბოლოოდ უღელს მიიტანს და დაამსხვრევს, რათა არასოდეს დაიდგას იგი. „მე სოციალისტი ვარ და მწამს, რომ სოციალიზმი დამყარდება!“ ასეთია ყველა მისი ლირიკული წიაღსვლის ბოლოთქმა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სოციალური წინააღმდეგობების გამწვავება, რაც კაპიტალიზმის სწრაფმა აღმავლობამ განაპირობა, ძალზე მკვეთრ სახეს იღებს.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში „მესამე დასელთა“ იდეური გავლენის სფეროში მოქმედ მწერალთა შემოქმედებაშიც სოციალური მოტივი გაბატონდა, და ეროვნული მოტივისადმი უყურადღებობა თვალსაჩინო ფაქტად იქცა. ისიც ცხადია, რომ რევოლუციურ-დემოკრატ მწერალთა უმრავლესობა, რომელიც „მესამე დასელთა“ უმრავლესობის გავლენას ექვემდებარებოდა, ეროვნული და ინტერნაციონალური საკითხების ურთიერთმიმართებაში წარმოსახვას არც თუ ადვილად ახერხებდა.

„თერგდალეულთა“ ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებისადმი მარქსისტული იდეოლოგიის დაპირისპირებამ, რასაც „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთა არაიშვიათად მიმართავდა, ეროვნული და ინტერნაციონალური იდეების ურთიერთობის გარკვევა გააძნელა.

რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერალთა შორის პირველია ჭოლა ლომთათიძე, რომელიც ილიასავით მთლიანობაში განიხილავს მშრომელი ერის ეროვნულ-სოციალურ ბრძოლას, გაბედულად უახლოვდება მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთა ეროვნულ-სოციალურ პროგრესულ იდეალებს, მისი ეპოქისათვის

შესატყვისი სიმაღლიდან ეყრდნობა მას და მუშათა და გლეხთა გამათავისუფლებელ კლასობრივ ბრძოლაში ხედავს ბუნებრივ გაგრძელებას იმ ბრძოლისას, რასაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მოახმარეს „მესამოციანელებმა“ და რასაც ოდითვე აწარმოებდა ქართული მხატვრული ლიტერატურა.

თუ რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერალთა ერთი ნაწილი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი (ზოგიერთი მათგანი თვით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან ათეული წლის გასვლის შემდეგაც კი), — ჰოლა ლომთათიძე თავისი ტენდენციური იდეურ-მხატვრული კონცეფციით აშკარად გამოდიოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე ტრადიციის გამგრძელებლად და ამ მხრივ მის თანამედროვე სოციალ-დემოკრატ ქართველ მწერალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალთაობის დიდმა მედროშემ ილია ჭავჭავაძემ მაღალიდეურ, ესთეტიკურ სიმაღლეზე აიყვანა ქართველი ხალხის ეროვნული იდეალი. იმ დროს მხოლოდ „მესამოციანელებმა“ (ერის ისტორიული წარსულისადმი სწორი დამოკიდებულებით) და აწმყოს მართებული გაანალიზების საფუძველზე შესძლეს წარმოსახვა ბრწყინვალე მომავლისა.

შემთხვევითი არაა, რომ ჰოლა ლომთათიძე, რომელსაც 90-900-იან წლებში გაჩაღებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის წარსულში წარმოებული ბრძოლების ბუნებრივ გაგრძელებად ესახებოდა, თავის პატრიოტულ მისწრაფებებს ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირებს. ისიც, შთაგონებული ილია ჭავჭავაძის პროგრესული იდეებით, ქვეყნის სახსნელად რაზმავს ყველა საიმედო ძალას, მაგრამ თუ „მესამოციანელები“ ხსნას ბატონყმური ურთიერთობის მოსპობასა და წოდებათა გათანასწორებაში ხედავდნენ, ჰოლა ლომთათიძე კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის სოციალისტური ფორმაციით შეცვლაში ხედავს.

„უბის წიგნიდან“ ერთგვარი პატრიოტული აღსარებაა, რომელშიაც სიყრმიდანვე გულში ნატარები სათუთი გრძნობის — მამულის უსაზღვრო სიყვარულის — მხატვრული გამოთქმის .გულწრფელი ცდაა მოცემული. ამ ნაწარმოებში სამშობლო ქვეყნის გმირული წარსულის, სავალალო აწმყოსა და ბრწყინვალე მომავლის სურათი დახატა ჰოლამ, სურათი მისდროინდელ სინამდვილიდან მოწყვეტი-

ლი, აბსტრაქციაში გადატანილი, მაგრამ მაინც მომხიბლავი და რეალური. ეს სურათი ავტორს მკითხველის წინ მოაქვს ერთგვარი განმარტებითი შესავლით, სადაც აშკარად მიუთითებს საკუთარი შემოქმედების ფესვებზე.—დედის გვერდით აყენებს რა იმ მწერლებს, რომელთაც ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ვნებით ალაგზნეს იგი.

ავტორის თქმით, პოეტს არ ახსოვს ვინ შთააგონა ამ სურათის შექმნა — დედამ, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხემ“ თუ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის უყურადღებობამ დიდი ილიას შემოქმედებისადმი. „მე არ ვიცი, როდის ვნახე... ამბობს ის... შეიძლება დედაჩემმა მიამბო, ან ვინმე ისეთმა, რომელსაც მე ისე ვუყვარდი, როგორც დედაჩემს. მე არ ვიცი, შეიძლება მაშინ მომელანდა ის, როცა მე „სურამის ციხე“ წავიკითხე... ანდა შეიძლება მაშინ, როცა ერთი ქართველი ინტელიგენტის ოჯახში ილია ჭავჭავაძის პირველი ტომი გაუპრელი ვნახე“ („უბის წიგნიდან“).

ეს სურათი პოეტმა წარმოსახა, როგორც მისი არსების ორგანული ნაწილი, როგორც ხორცშესხმული „თანამდევი უკვდავი სული“, რომელსაც ხედავს მას შემდეგ, „რაც თავი ახსოვს“ და საკმაოა წარმოიდგინოს იგი, „რომ გული სიხარულით, სიცოცხლითა და დაუსრულებელი ბრძოლის სურვილით“ აევსოს, თავი ბედნიერად იგრძნოს „რაგინდ უიმედო, რაგინდ ცუდ მდგომარეობაში იყოს!“

რა შინაარსის შემცველია ეს „ცოცხალი ხატება“, რომელიც პოეტის განუყრელ თანამგზავრად ქცეულა და, რომელსაც როგორც თვითონ ამბობს, „არაოდეს, არაოდეს“ დავიწყების ფერფლს არ მიიკარებს.“?

„სადღაც ერთ ფართო და მშვენიერ ველში, რომელიც ყვავილებითა და ია-ვარდით იყო მოცული, სადაც მწიფე, დატვირთული ტოტები უცნაური ხეებისა დამათრობელ სურნელებას გამოსცემდა, სადაც პაწია ბავშვი, მშვენიერი დედის მკლავებში, ცალი ხელით დედის ძუძუს ეპოტინებოდა, მეორეთი კი ქარვასავით მოკიაფე ყურძნის მტევანს, — ამ უცხო ველში იჯდა ერთი ვიღაცა... — მას ჰქონდა უფლება ჩვენება ჩამოერთმია ყველა სულდგმულისათვის... და აი იმის წინაშე წარსდგნენ სხვა და სხვა ერები და ქართველიც...

— შენი სახელი? — გაისმა მისი კითხვა ქართველისადმი.

— ქართველი, — იყო პასუხი.

— წლოვანება?

— ორი ათასზე მეტი წლისა ვარ.

— რას აკეთებდი ამდენხანს ქვეყნად?

— თავს ვიცავდი.

— სულ მუდამ?

— დიახ, სულ მუდამ.“ („უბის წიგნიდან“).

შემდეგ მწერალი თვალწინ გადაგვიშლის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გამუდმებული ბრძოლის სისხლიან ფურცლებს და იშვიათი მხატვრული ერუდიციით ცხადყოფს, რომ ჩვენი ერის მთელი ისტორია სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა დაუსრულებელ, ხანგრძლივ ბრძოლას თავდასაცავად.

„თავს ვიცავდი... დიახ სულ მუდამ. — განაგრძობს „განმკითხველის“ წინაშე მდგომი ქართველი. — ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკედონელის ლაშქრისაგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ოსმალოს, სპარსეთს„ ვებრძოდი ლეკებსა და კიდევ სხვებს, — ურიცხვია ჩახელი ჩემი მტრების. მე ჩინგის ხანს ვებრძოდი, აღა-მაჰმად-ხანს, შაჰაბაზს და ლანგ-თემურს ვებრძოდი მე, რომ თავი დამეცვა. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე ბრძოლაა თავის დასაცავად. ვებრძოდი უთვალავ მტერს — შინაურსა და გარეულს. მე ვიყავი ყმა თავადაზნაურისა და სამღვდელოებაც ჩემს დაპატრონებას ცდილობდა. ყველას უნდოდა ჩემი გახრა, ჩემი შეჭმა. მე მართმევდნენ ყველაფერს. ერთხელ ხუცესმა და ბერებმა „ვეფხისტყაოსნის“ წართმევაც მომინდომეს მე...“ („უბის წიგნდან“).

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშე ახალი ძალ-ღონით, შემართების ახალი ენერგიით, ახალი ლექსიკით წარმოსდგა მყინვარზე მდგომი „მოხუცებული“, რომელიც ახლებურად იმეორებს ადრე თქმულს:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.“ („აჩრდილი“),

მართლაც, „უბის წიგნიდან“ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ დიდ გავლენას განიცდის. უფრო მეტიც, იგი „აჩრდილის“ იდეების ახალ ფორმაში წარმოსახვაა, ახალი ინტერპრეტაციაა მხოლოდ. რა ვუყოთ, რომ ეს გავლენა „შეუიარაღებელი თვალით“ არა ჩანს, რომ იგი დღემდე არავის შეუნიშნავს. დიახ, ჭოლას ჰქონდა უნარი მშობლიურ მიწაზე ორივე ფეხით დგომისა და მისი წიაღიდან ამოღებული საუნჯის ფრიად ორიგინალურად ხატვისა.

ქვემოთ მოგვყავს ქართველის პასუხი „ყოვლისშემძლის“ მიერ დასმულ კითხვებზე; მწერალი ცხადყოფს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა („ის არის მხოლოდ ის... მაგალითი სხვა არსად არის“), რომელმაც ორი ათასი წლის უთანასწორო ბრძოლას

გაუძლო, არ აღიგავა პირისაგან დედამიწისა და შეინარჩუნა თავისი მეობა, „ერის განძი“ — მდიდარი ენა, სულიერი სიმხნევე, კაცთმოყვარეობა და სხვა ერებისადმი პატივისცემა:

— „მე ახლაც თავს ვიცავ. განაგრძობს ქართველი,—მტერი ახლაც ბევრი მჯხვევია გარს, მოდიან ჩემზე ხმლითაც და მოქარგული ენითაც, სიყვარულსაც მიცხადებენ, რომ დამძლიონ... ახლაც ბევრი მტერი, შინაური და გარეული, და მე ვებრძვი მათ, თავს ვიცავ.

— არ დაიღალე?

—დაღალვა ჩემი სიკვდილს ნიშნავს ჩემსას, არა, არ დავღლილვარ, სიცოცხლე მწყურია მე და ვერ ეძღები სიცოცხლით. არა, არ დავღლილვარ.

— არც გაბოროტდი ამდენი ბრძოლით, გრძნობები არ დაგიჩლუნგდა, სისხლი არ გიყვარს?

— არც გავბოროტებულვარ. ვინც თავს იცავს და იმისათვის იბრძვის — შენ თითონ იცი, ის არ გაბოროტდება, შენ თითონ იცი ეს.

— გძულს შენი მტერი?

— მე თავის თავი მიყვარს და ვიცოცხლო მსურს მე. მე არ ვიცი, მძულს თუ არა მტერი. მე ვებრძვი მას. მე თავს ვიცავ, იმიტომ რომ თავი მიყვარს, რა ვიცი მე, მძულს თუ არა ჩემი მტერი!“ კითხვაზე— „და ელი კი გამარჯვებასა?“ ასეთი პასუხი გასცა ქართველმა: „რათ უნდა დავმარცხდე, მე თავს ვიცავ... და ახლა მე მარტო არა ვარ — ყველა ერში და ყველა ქვეყნის კუთხეში იზრდება და მძლავრდება იმათი რიცხვი, რომლებიც თავს იცავენ და ისინი მომეშველებიან მე, როგორც მე იმათ, რათ არ უნდა გავიმარჯვოთ, მე თავს ვიცავ...“

ამ მშვენიერი სურათის ხილვა ქართველი ერის მომავალი გამარჯვების ურყევი რწმენით გვირგვინდება. მწერალი დაასკვნის, რომ ოდითვე თავისუფლებისათვის შებრძოლი ქართველი ხალხი, ამჟამად „თავდამცველ“ ერებთან ერთად მჭიდრო კავშირში მყოფი, საბოლოო მიზანს მიაღწევს და კუთვნილ ადგილს დაიკავებს განთავისუფლებულ სამყაროში. ეს რწმენა სიმბოლურად ასე გადმოგვცა მან:

„ და წამოდგა ფეხზე ის, ვინც იჯდა, გაშალა მკლავი და გადაეხვია ქართველს, და გადაკოცნა ის. მოსწყვიტა მწიფე ყურძენი და აჭამა მას, და კიდევ აჭამა მას თაფლი. და შეჰკრა გვირგვინი ია ვარდისა და ყვავილებისაგან და შეამკო თავი მისი და მისცა მას ხმალი ხელში და უთხრა: — წადი, განაგრძე და კურთხეულ იყოს გზა შენი ფრიად მძიმე და ფრიად სახარბიელო! წადი განაგრძე!“ („უბის წიგნიდან“).

ამ ნაწარმოებში ქართველი ერის უკდავების ოპტიმისტური სურათი დახატა ჭოლამ. მას ეპიგრაძად წამძღვარებული აქვს სტრიქონები ავთანდილის წერილიდან ტარიელისადმი:

„იგი მზე ქაჯთა მეფეს ჰყავს, ქაჯეთის პატიმარია,
მუნ მისვლა მიჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია!“

ცხადია, მწერალი რუსთაველის მიერ მინიშნებულ აზრს აცლის ამ სიტყვებს და გადატანით მნიშვნელობას ანიჭებს მათ. აქ „ქაჯთა მეფე“, „ქაჯეთი“, „მზე“, იგივე ცნებებია, რაც „ცხრაკლიტული“, „გაიძვერა მოყვარე“ და „მშვენიერი სატრფო“ აკაკი წერეთლის შემდეგ ლირიკულ შედევრში:

„მშვენიერო, შენ გატრფი
შენი მონა ერთგული...
მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე,
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე...“

ილია ჭავჭავაძის გულიდან გადმონაყონი, სისხლით ნაპკურები სტრიქონებისადმი ქართველი ინტელიგენციის ნაწილის გულგრილობა ის თოფწამალი აღმოჩნდა, რომელმაც ჭოლა ლომთათიძის გულში ყველა პატრიოტული წერტილი აღაგზნო. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეძლო ჭოლა ლომთათიძემ ლირიკული პროზის ნაჭედ, უაღრესად განსაზღვრული რაოდენობის სტრიქონებში გადმოცემა „აჩრდილის“ ისტორიული ნაწილისა, ჩვენ ამ ადგილს მთლიანად მოვიყვანთ: „მაღლობზე ვდგევარ და გადავცქერი ჩემს დანგრეულ ქვეყანას. — გვეუბნება იგი. — მე მაღლობზე ვდგავარ და ჩემს წინ ქვევით მოჩანს ძველი სიმაგრის თავპირდამტვრეული სურათი. მე მაღლობზე ვდგავარ და დავცქერი დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეულ სურათი სავსეა გაუთავებელი და ამოუშრეტელი შინაარსით...

— მე თავს ვიცავდი! — მოაქვს ჩემთან ხმა ნიავს.

— მე თავს ვიცავდი! — მესმის ფოთოლთ შრიალი.

— მე თავს ვიცავდი! — ვკითხულობ დაბლა მტკვრის ტალღებში.

— მე თავს ვიცავდი! — ჩუხჩუხებს მთის მდინარე.

— მე თავს ვიცავდი! მე თავს ვიცავდი! მესმის ირგვლივ და ჩემს გულშიც მეუბნება მე ვიღაცა: ჩემი სისხლით მორწყულია ჩემი მიწა-წყალი. ჩემს სისხლს ღვრიდა გარეშე და შინაური მტერი —

თავს ვიცავ მე, თავი მიყვარს მე, სიცოცხლე მწყურია მე და ამიტომ თაფს ვიცავ..

მაღლობზე ვდგავარ მე და გადავცქერი ჩემს დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეულ ნანგრევში ბუდობს არა მარტო ბუ და ნატამალი, არამედ დიდებული, მიმტაცი და მშვენიერი მოგონება — ბრძოლა თავის დასაცავად... აქ მუშაობდნენ დედამიწის გულში ჩამალული შავი და მძაფრი ძალები — ვულკანები და ძვრანი და აქ მუშაობდნენ ადამიანის გულში დაბუდებული მხეცობა, შავი გულისთქმანი, — ყველა ესენი აოხრებდნენ ჩემს ქვეყანას. და აქ მუშაობდა გულისთქმა და მარჯვენა თავდასაცავად, სასიკვდილოდ გამოსული, აქვე მუშაობდა თავგანწირვა, სიყვარული და იმედი. აქ სიკვდილი უკვდავებას ნიშნავდა და აქვე სიკვდილი სამარცხვინო სიკვდილი იყო, აქ კლავდნენ, იმიტომ, რომ თავს იცავდნენ და აქვე ჰკლავდნენ. იმიტომ, რომ თავს რად იცავო. თვითეული ნაბიჯი აქ სავსეა დიდი შინაარსით და მე ვკითხულობ ყველაფერს, მე დიდებულ წიგნს ვკითხულობ და ვამაყობ, რომ ეს წიგნი ჩვენი, ქართველების, დაწერილია, რომ არც ჩვენ ვმჯდარვართ უსაქმოდ ცის ქვეშ, ჩვენც თავს ვიცავდით".

ჰოლა ხედავდა რაოდენ ღრმად იცქირებოდა დიდი ილია ერის საამაყო წარსულში. გრძნობდა რამდენად საჭირო იყო ეს ზომავალი თავისუფალი საზოგადოებრივი წყობის შენებისათვის და თავისი ბუდის კვლავ მხილველი მერცხლის ექსტაზით დაჟღურტულებდა თავს „გარდასული დიდების" მოწამე ყოველ კენჭს.

„მაღლობზე ვდგავარ მე და ვერ ვძღები ცქერით, მინდა ყველა ბუჩქის ძირი დავათვალიერო, ყველა ბალახ-ბულახს გამოვკითხო ამბავი, მასთან ერთად გავიხსენო ჩემი საკუთარი თავგადასავალი, მინდა ყველა ქვა ნანგრევებიდან გადმოგორებული — ენახო და სისხლის წვეთები დავთვალო ზედ, იქ ცხოვრობდნენ არა მარტო ბუნი და ნატამალნი, ღამურა და ხელიკები, იქვე ცხოვრობს დრამა ჩვენი ცხოვრებისა, მიუწვდომელი იდეალიზმით გაჟღენთილი მოგონებანი".

მწერალი — საქართველოს დასაცავად აგებული ციხეების, ჩვენივე ქვეყნის საუკეთესო შვილთა დამონების საშუალებად გადაქცევის უშუალო მოწმე — ცხოვრობს ამ იდეალით გაჟღენთილ მოგონებებში. ცხოვრობს საქართველოს მდიდარ ისტორიასთან ერთად ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის „თანამდევი უკვდავი სული", როგორც ერის „ბედის მუდმივი მდევარი", როგორც მრავალჯერ პატივაყრილი, ნაწამები, ცეცხლში დამწვარ-დაფერფლილი, მაგრამ მაინც ცოცხალი და იმედიანი.

კავკასიის ქედზე მდგომი მოხუცებულის ღრმა პატრიოტიზმით გაჟღენთილი სიტყვები:

„მარად და ყველგან, საქართველოვ მე ვარ შენთანა,

მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული,
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა...
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო შენი წარსული...“

ახალი პოეტური ინვენტარით გვევლინება მოთხრობაში. „იქ (საქართველოს ისტორიაში დ. რ.) მეც ვცხოვრობ. გადამაქვს თვალი სურათიდან სურათზე, მოგონებიდან მოგონებაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ. კვალდაკვალ, მხარდამხარ დავდევდი ჩვენს ბედს, რომ ბევრჯერ ვომკლეს და ბევრჯერ მაწამეს. რომ ღორის ხორცის ჭამა ამიკრძალეს მე და ზარების რეკა, რომ შოთა რუსთაველს და მე ერთად გვწვავდა ცეცხლში ფანატიკოსი ბერი. რომ ჩემს ცოლს, ჩემს დას, ჩემს ქალიშვილს მიუპატიურებდა ფეოდალი. რომ მეძებარ ძაღლში მცვლიდა ის მე და ხშირად უღელში მაბამდა ხარის მაგიერ... მელანდება მე ჩემი თავი სპარსთა ბანაკში ტყვედ და აგრეთვე ხმლით ხელში ბრძოლის ველზე თავის დასაცავად. მელანდება ქეთევან დედოფალი და თამარ, მელანდება ჯოჯოხეთი და სამოთხეც მელანდება მე“ (უბის წიგნიდან“).

საქართველოს ძნელბედობის ამსახველ ამ ლირიკულ ნაწყვეტში მწერალი შინაგანი წრფელი განცდით იმდენად უახლოვდება ერის ბედს, რომ მთლიანად ინთქება მასში.

„მაღლობზე ვდგავარ მე. — ამბობს ჰოლა — გარინდებული ვდგევარ და მღვიძარე სიზმარს ვხედავ მე. და იღება ჩემს წინ ფართო კარები, მკიდებს ხელს და გავყავარ ფართო ველზე. და ველი ესე ადამიანთა გამხმარი და გამოფიტული ძვლებით არის სავსე, და მესმის ხმა:

— ძეო კაცისაო, გაცოცხლდებიან თუ არა ესენი.

— ადონაი უფალო. შენ უწყი ვეუბნები მე.

და მესმის მე:

— ძეო კაცისაო, უწინასწარმეტყველე ამ ძვლებს და უთხარი: „ძვალნო გამხმარნო, ისმინეთ სიტყვა უფლისა, ასე იტყვის ადონაი უფალი: „აჰა მოვიყვანო თქვენზედა სული სიცოცხლისა!“

და შევძახე მე ძვლებს სიტყვა უფლისა და ვხედავ — ძვალნი წავიდნენ ძვლებისაკენ, მოისხეს მათ ძარღვები და შეეწებნენ ერთ-

მანეთს და ხორცი აღმოცენდა გარშემო და შემოერტყა მათ ტყავი, შევიდა შიგ სული და ადგნენ, გაცოცხლდნენ ისინი"[137].

ასე წარმოიდგინა მწერალმა საქართველოს აღდგენა, რაც დიდმა ილიამ სამშობლოს ცაზე გამოსახული უჩვეულო მშვენების ცისარტყელით გვამცნო.

საქართველოს აღდგომის მომდევნო სურათის ხილვა ნათელყოფს, თუ როგორ ესახებოდა მშობელი ქვეყნის ეს აღდგენა-განახლება რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის პოეტს.

„ვდგევარ მაღლობზე და თითქოს მივდივარ, მივიკაფავ მთას. თავს ვიცავ და იკარგება საზღვარი, განსხვავება და მხვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი. ინგლისელი და იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ვაძლევ მათ ხელს და ძმურად, ამხანაგურად ვკოცნი მათ" („უბის წიგნიდან")

„უბის წიგნიდან" ეპიური, „აჩრდილის" შთამაგონებელი იდეებით გაჟღენთილი ლირიკული მოთხრობაა. საშობლო ქვეყნის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრის ერთგვარი წარმოსახვა არის დიდი ილიასი და ჭოლას პატრიოტულ ნაწარმოებთა საერთო ფონი.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ნაწარმოებთა ცალკეული ადგილებიც ზოგჯერ პირდაპირ ემთხვევიან ერთმანეთს. საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმეზე მივუთითებთ:

„მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას ჰამულის ტრფობა"
(„აჩრდილი" მე-20 თავი).

„ვინც თავს იცავს და იმისთვის
იბრძვის — შენ იცი თვითონ — ის არ
გაბოროტდება, შენ თვითონ იცი ეს."
(„უბის წიგნიდან").

„მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი..." („აჩრდილი", თავი 21-ე).

თავს ვიცავდი... დიახ სულ მუდამ ქრისტეს დაბადებამდე და ქრისტეს დაბადების შემდეგაც თავს ვიცავდი მე. თავს ვიცავდი მე მაკედონელის ლაშქრობისაგან, მე ვებრძოდი მურვან ყრუს, ვებრძოდი ოსმალოს, სპარსეთს... („უბის წიგნიდან").

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება, მტვრად გარდაქმნილა ძოვანი იგი ცხოვრება... ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან

---

[137] წინასწარმეტყველი ეზეკიელი, თავი 37, ლექსი 1–10.

აღდგომილა, ხან შური, მტრობა ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა, რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შობილა... („აჩრდილი", თავი მე-20) — „მაღლობზე ვდგავარ მე და გადავცქერი ჩემს დანგრეულ სამშობლოს... აქ მუშაობდნენ დედამიწის გულში ჩამალული შავი და მძაფრი ძალები... და აქ მუშაობდნენ ადამიანის გულში დაბუდებული მხეცობა — შავი გულისთქმანი, — ყველა ესენი აოხრებდნენ ჩემს ქვეყანას" და ა. შ. „აჩრდილში" ვკითხულობთ:

„თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაყანგებულს დიდხნის ბორკილსა
და ქართველობა სჩადულად როდის ექნება
. ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა".

ჭოლა ლომთათიძე კი დაბეჯითებით იმეორებს: „და მიხარია აგრეთვე ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ქვეყანაზე დიდი პოეტი რუსთაველი და რომ ის იყო ქართველი და მეც ქართველი ვარ". ამ სიტყვებში არ შეიძლება არ დავინახოთ ილია ჭავჭავაძის ოცნებით წვდომილი წმინდათა წმინდა იდეალის განმხორციელებულ სინამდვილედ წარმოსახვის სურვილი. საკმარისია სიტყვა „მიხარია" შევსატყვისი სიტყვით შევცვალოთ „აჩრდილიდან" („ვამაყობ"), რათა ილიას სურვილი და ჭოლას მიერ ასახული სანამდვილე სრულიად ერთგვარად წარმოგვიდგეს...

„აჩრდილში" კონკრეტული პიროვნებების, მოქმედი გმირების სახით არ არის წარმოდგენილი აწმყოში ისტორიის შემოქმედი ძალა — ხალხი, თუმცა ის მედგარი ბრძოლა ქვეყნის ეროვნულ-სოციალური თავისუფლებისათვის, რის პოლოგიაც ნაწარმოები შეიცავს, მხოლოდ ხალხს მიეწერება, ამასთან ტერმინი „ხალხი" წარმოადგენს ერის სასიცოცხლო ინტერესების შემცნობი და ერისთვის თავდადებული ყველა კლასის საერთო ნაწილის და არა რომელიმე კლასის, ან ფენის გაგებას. ამ სიბრტყეზეც მთლიანად ემთხვევა „აჩრდილს" ჭოლას „უბის წიგნიდან". აქაც „ხალხის", „ერის" გაგება ამ ტერმინების ილიასეულ გაგებაზე შორს არ მიდის. კლასობრივი ბრძოლის ის გრიგალი, რომელიც ჭოლა ლომთათიძის ეპოქაში ბობოქრობდა, აქ მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლად წარმოგვიდგება და მწერლის მკვეთრი კლასობრივი შეგნება (მისთვის ასე დამახასიათებელი) „მესამოციანელთა" იდეალებს ექვემდებარება.

საშობლოს წარმოდგენა განუყრელი სატრფოს სახით, რაც აღრევე ახასიათებდა ქართველ მწერლობას და ასე ლამაზ პოეტურ

ფერებში წარმოსახა აკაკი წერეთელმა, უცხო არ არის ჭოლა ლომთათიძისათვისაც. აქ იგი ძნელად ახერხებს მისთვის ჩვეული ორიგინალობის შენარჩუნებას და, როდესაც თავის შემოქმედებაზე საუბრით გვამცნობს შეხედულებას საერთოდ ლიტერატურის, როგორც ხელოვნების ერთერთი დარგის, დანიშნულების შესახებ, იმეორებს აკაკის, ილიას, ვაჟას შეხედულებებს სატრფო — სამშობლოზე, როგორც ცრემლთა ღვრის ერთადერთ მიზეზზე.

ჭოლა ლომთათიძე დიდი ნიჭისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით გვესაუბრება საკუთარი შემოქმედების „არარაობაზე", გვიმტკიცებს, რომ ის მწერალი არ არის და კალამს ხელი მოჰკიდა იმ ანდაზის ძალით, რომ „ტყვილა ჯდომას ტყვილა შრომა სჯობია", და ბოლოს დასძენს: „ამას გარდა კიდევ ერთი რამ... დღე-მუდამ ამ ბოლო ხანში მე მაგონდება ჰეინეს პოემის ერთი ადგილი, რომლისთვისაც მას მგონი ერთ დროს რეაქციონერი უწოდეს.

«Да сидеть я буду, плача,
Целый день на той могилс,
Где возлюблепная скрыта
Возле стен Ерусалима..
А прохожие евреи
Станут думать, что я плачу
О погибшем нашем храме
И святом Ерусалиме».

დაე!.. დაე, რაც უნდათ, ის იფიქრონ „ებრაელებმა", მხოლოდ თქვენ ნუ, ჩემო ამხანაგებო, თქვენ ნუ იფიქრებთ ისე, როგორც „ებრაელები". მე ჯერს იცოდეთ თქვენ მაინც, რომ მე დავსტირი „ჩემს სატრფოს" („საპყრობილეში").

სამშობლოს ხსნისათვის თავდადების აპოლოგია, მისთვის მუდმივი გოდება და ცრემლთა ფრქვევა არის ძირითადი და წმიდათა წმიდა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებისათვის, როგორც 1905 წლის რევოლუციამდე, ისე რეაქციის დროს. მწერალმა ქაჯეთში გამომწყვდეული სატრფო-სამშობლო, აკაკის ნესტანდარეჯანი, მთის მშვენიერი ყვავილის, კესანეს სახით წარმოგვიდგინა და თავის უკეთეს ფიქრთა ობიექტად აქცია იგი.

კესანე — უმნიშვნელოვანესი იდეალი და სილამაზე პოეტის მარადიული ძიებისა და სიყვარულის საგანი, მის მდიდარ ფანტაზიაში გაცხოველებული და გაფაქიზებული უმაღლესი მშვენება — თვითონაც დაეძებს საყვარელს, მისთვის თავდადებულ ერთგულ შვილს, ინტელექტუალურად ამაღლებულს და მტერ-მოყვარის შემცნობს.

კესანესაც უყვარს ის, ვინც მისი დიდების აღდგენისა და გათავისუფლებისათვის იბრძვის, და ეს მებრძოლი რაინდი ისევ უცნობია მისთვის, როგორც თვითონ ამ რაინდისათვის.

აკაკი და ილია უხმობენ ნესტანდარეჯანის მხსნელ გმირებს და სამშობლოსათვის თავგანწირვას სახავენ მათი ცხოვრების უმაღლეს იდეალად. მათი გაგებით, ამ გმირთა პირადი ცხოვრება იგივეა სამშობლოსათვის, რაც ფოთლები — ხისათვის, რადგან „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ოღონდაც თვით საბაღნარო არ აოხრდეს და გატიალდეს.

ამ საკითხში ერთგვარ ორიგინალობას იჩენს ჭოლა. იგი, ასე ვთქვათ, სამშობლოსა და მისთა შვილთა ურთიერთთავდადებაზე, ურთიერთსიყვარულზე აძლიერებს მახვილს. მის ნაწარმოებებში სამშობლო ქვეყანა წარმოდგენილია ცოცხალ ორგანიზმად და ისევე წუხს და კვნესის მისთა შვილთა ბედუკუღმართობით, როგორც შვილები მისთვის.

„მე ვუყვარვარ მას და მე არ ვიცი ვინ არის ის. — ამბობს მწერალი. — ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული — მე იმას ვუყვარვარ, ის მე მელოდება, უთვალავ ნაცნობებში, ქუჩებში მეძებს ის მე, მე კი აქ ვარ სატუსაღოში... მე ვუყვარვარ მას, ჩემს ძვირფასს და მისი სახელია კესანე..."

სამშობლოს ხსნისათვის თავგანწირული გმირობა და სატრფო — კესანეს სიყვარული პოეტმა ასახა. როგორც დედაშვილური სიყვარული — ურთულესი და უნაზესი გრძნობა — ანგარების უმცირესი ნასახითაც კი შეუბღალავი და უმწიკვლო, როდესაც დედა წუხს რაკი მისდაუნებურად გრძნობს, რომ სადღაც შორს მის პირმშოს დიდი გასაჭირი ადგას, ხოლო ერთგული შვილი ზეადამიანურ გასაჭირს იტანს, რათა იცოცხლოს და ეს სიცოცხლე, საჭიროების შემთხვევაში, უყოყმანოდ შესწიროს დედას. „მშვენიერი ყვავილია კესანე — ამბობს ჭოლა — და მშვენიერია ეს ლექსიც (ლაპარაკია ბაჩანას ლექსზე" — „მითხარ, კესანე, შენი კვნესამე. დ. რ.), მაგრამ ჩემი კესანე, რომელსაც მე ვუყვარვარ, ის ყველაზე უკეთესია. ის მუდამ ჩემზე ფიქრობს, მე მელოდება... აი, ახლაც ის ბუნდოვანად გრძნობს, რომ ეიღაცას, რომელიც მას უყვარს, უჭირს რაღაცა და მას სევდა ეპარება გულში, ის წუხს სახეზე ეტყობა, რომ წუხს და ეკითხება მაჯ ვინმე, რომელსაც ხურს წამართვას მე ჩემი: „კესანე, რად მოგიწყენიათ?"

„ის უარს ამბობს.. ნუ, ნუ უარობ კესანე, სთქვი, რომ მოწყენილი

ხარ.. სევდიანი ხარ და ეს მე ვარ შენი სევდის მიზეზი...“ („ჩემი დღიური“).

მთელი ხმით, წმინდა, ბროლივით გამჭვირვალე გრძნობით მოუხმობს პატიმარი შვილი კესანეს: „მოდი ჩემთან, მოდი სატუსაღოს კარებთან და იკითხე: — სად არის ის, ვისაც მე ყველაფერს ვურჩევნივარ? მანახეთ ის, ვინც ყველას მირჩევნია! — და თუ უარი გითხრან, ნუ მოშორდები კარებს, იცადე... გაიგებ მე და მოვახერხებ გნახო — დამინახავ მე, შენს მოყვარულს, შენს მოტრფიალეს, შენ ჩემი და ხარ, ჩემი მკვიდრი ხარ“...

კესანე პოეტისათვის სრულყოფილი მშვენიერების — სამშობლოს განსახიერებაა. კესანეს ხედავს იგი ყოველ ეშხიან, მიმზიდველ საგანსა და არსში: ჭოთანში ჩარგულ პაწია ყავაილში, რომელსაც დილაობით თვალის გახელისთანავე ესალმება, ცივ წყალს აპკურებს და პირს ბანს; გრძნობა სათუთ ქალიშვილში, რომელსაც ებრაელების დამრბევი შავრაზმელი ხულიგნები ატირებენ; ბეღურა ჩიტში, რომელიც ფანჯრის გადაღმიდან ესალმება, ეალერსება და სურს იცოცხლოს მანამ, სანამ მას „სამშვიდობოზე გასულს“, თავისუფალს დაიგულებდეს:

„სანამ ატირებენ კესანეს, არა, არ მინდა მე სიკვდილი, ამხანაგო ძამია, მე მინდა თავი შევაკლა იმათ, ვინც ისე მიწუხებს ჩემს კესანეს. თუ მოვკვდი, რით გადავუხადო კესანეს მტრებს?“ წამოიძახებს ის („ჩემი დღიური“).

ოცნება კესანეზე — ეს არის უმაღლესი ბედნიერება, რომელიც კი ოდესმე წილად რგებია მიწყივ დევნილ პოეტს. ამ ოცნების დროს განიცდის ის სიმშვიდეს, ნეტარებას, რასაც კესანეზე ფიქრის შესაძლებლობა იწვევს და საკმარისია ეს ნეტარი წუთები ვინმემ წარსტაცოს, რომ იგი აფთარივით გაავდეს.

კესანესადმი სიყვარულის ნექტარი პოეტს ათრობს, თავს ავიწყებინებს, სიმღერის ხასიათზე აყენებს, პოეტურად განაწყობს. „მე არ ვიცი სიმღერა, თორემ ვიმღერებდი ახლა, ვიმღერებდი იმის შესახებ, თუ როგორ მიყვარხარ შენ, როგორ მენატრები. მე არ ვიცი ლექსების წერა, თორემ...

მაგრამ მოდი ვცდი, იქნებ გამოვსთქვა....

კოკობი ვარდი, ფერმიხდილი, ნაზი შროშანი,
ფართო მინდორზე ამოჭრილი ბალახი მწვანე,
ერთად შეკონე თაიგულად და მოგიტანე,
ჩემო კესანე!

არა, მე არ ვარ პოეტი, თორემ მე ვიცი, რას გეტყოდი შენ...
გაუმარჯოს სიყვარულს!

მე მიხარია და ამ სიხარულის ნიშნად წიხლს ვცემ კარცერის კარებს — რახ! რახ! დღეს ჩემი სიყვარულის დაბადების დღეა და რადგანაც მეფეა ჩემი სიყვარული, ამიტომ ათასჯერ უნდა ურტყა წიხლი კარებს, სალუტი უნდა მივცე მას“.

„მეფეა ჩემი სიყვარული!“ ამაზე უკეთესად ვერა კრიტიკოსი ვერ დაახასიათებს ჭოლა ლომთათიძის პატრიოტიზმს. ამ „მეფეს“ მიმართავს პოეტი ჰაინეს ლექსით, რომელსაც, გონებაში ზეპირად წარმოდგენილს, ზეპირადვე „თარგმნის“.

ვით ზვირთნი ზღვისა, ათამაშდა გულიც ჩემს მკერდში,
სევდამ ძლიერმა შემიბოჭა, შემიპყრო სული...
შენი ბრალია, მშვენიერო, შენი, რომელიც
თვალწინ მიდგახარ, ვერ გიშორებ მე ვერასოდეს.
შენი ხმა მესმის, როცა კვნესის ეს ჩემი გული.
ჯოხით დავწერე ზღვის ნაპირას სპეტაკ სილაზე.
„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“...

პოეტის გონებაში გარდაქმნილ ლექსში აგნესას ადგილს ერთის დაკვრით იჭერს კესანე და ჰაინეს სატრფოსადმი ძახილი
— სამშობლოსადმი მიიმართება· (Agnes ich liebe dich)[138]

ხელით ძლიერით უღრან ტყეში ნორვეგიისა
მე ამოვგლიჯე ახოვანი, ტანადი ნაძვი
და შთავაწვე ის ცეცხლმოდებულ ეტნის გულმკერდში.
და იმ კალამით ანთებული, უზარმაზარით,
მე დავაწერე შავი ზეცის შავ კამარაზე:
„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“

მას შემდეგ არის, დაღამდება თუ არა, ცაში ნაზ ვარსკვლავებად ციმციმებენ ცეცხლის სვეტები

და კითხულობს მას, ჩემს დანაწერს, კაცობრიობა:
„ჩემო კესანე, მე მიყვარხარ შენ!“
(„ჩემი დღიური“).

ჭოლა ლომთათიძის თრობა კესანეს — სამშობლოს სიყვარულის უკედავი გრძნობით არასოდეს არ სცილდება ქართული პროგრესუ-

[138] აგნეს, მე მიყვარხარ შენ!

ლი ლიტერატურის საამაყო ტრადიციას, არც ერთი წუთით არ უაბ-ლოვდება შოვინიზმს. პირიქით, მწერალი ერთგვარ თვითკონტროლს მიმართავს მუდამ, რათა არ დაკარგოს ზომიერების გრძნობა, არ აცდეს წინაპართა სწორ გზას. მან კარგად იცის, რომ ჰეშმარიტი პატრიოტიზმი სამშობლო ქვეყნის არსებული ღირსების მართებუ-ლად წამოსახვაშია და არა უსაგნო ზვიადობაში. „ტყუილად ხომ არ მიკითხავს იმდენი შოვინისტური, ბაჭიაური ლექსები, რომლებიც ამ-ტკიცებდნენ, რომ გმირთა-გმირი ჩვენ ვართ მხოლოდ, ქართველები, დანარჩენი კი, მათ რიცხვში სომხებიც, ლაჩრები და ნაცარქექიე-ბია“ — ამბობს ის სომეხ ქალთან თავის ურთიერთობის განსაზღვრი-სას და ამ სიტყვებში არ შეიძლება არ დავინახოთ ილიაჲ ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების დიდი გავლენა. („ქვათა ღაღადი“ და სხვა). ჭოლა ლომთათიძისათვის, ისე როგორც მე-19 საუკუნის 60-იან და 80-იანი წლების რეალისტებისათვის, სამშობლო ხატია მხოლოდ იმ დიდი სახატისა, რომელსაც დედამიწა ეწოდება. ამიტო-მაა, რომ ბედნიერების წუთიერი განცდისთანავე პოეტი მიეშურება ფოსტისკენ, რათა უცნაურ ადრესასტს; მთელ მსოფლიოს მოჰფინოს დეპეშით თავისი სურვილი — „გისურვებთ ბედნიერებას“ („თეთრი ღამე“). მოსალოდნელი იყო, რომ ერის სასიცოცხლო ინტერესები-სადმი პატივისცემის, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა-ლები,— ოდითვე დანერგილი ქართულ კლასიკურ ლიტერატურა-ში, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ღრმად გამოიხატებოდა და ასეც მოხდა. მე-19 საუკუნის 60—80-იანი წლების ქართველი რეა-ლისტები ნამდვილად ხეჭავდნენ ორ ერს ყოველ ერში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ რომანოვების მონარქიას, დიდმპყრობელურ შოვინიზმს, იღწვოდნენ მოწინავე, პროგრესულ რუსეთთან მარადიული მეგობრობისათვის, მაგრამ მხატვრულ ლი-ტერატურაში პროგრესული და შავრაზმული რუსეთის ტიპიური განსახება არცერთ მათგანს არ უცდია. მათი აზრები ზეპირ განცხა-დებებს ან, უკეთეს შემთხვევაში, პუბლიცისტურ წერილებს არასო-დეს არ გასცილებია. ჭოლა ლომთათიძე პირველი ქართველი მწერა-ლია, რომელმაც ქართველი და რუსი ხალხის ბედი ერთ ასპექტში გაიაზრა, მხატვრულ ნაწარმოებებში მოგვცა როგორც მებრძოლი რუსი მშრომელების (დროზდოვი, ვოინოვი, ელენე...), ისე მშრო-მელთა კლასობრივი მტრების (ზახარჩუკი, ბედუინი, სუკინი) კოლო-რიტული სახეები.

ჭოლამ სიყვარულით დახატა რუს მშრომელთა ტიპები, მაგრამ

ერთი დანაშაული — ქართული ენისადმი უსულგულო, ერთგვარი ქედმაღლური დამოკიდებულება ვერ აპატია მათ და ეს „ვერ პატიება“ გამოხატა როგორც გულწრფელობით გამსჭვალული მწარე საყვედური საყვარელი ძმისადმი, რომლის ენისა და ლიტერატურის ცოდნათაც თვითონ ამაყობს.

„ჩემი ზღაპარი“ უწოდა პოეტმა რკინისებური ნებისყოფის მქონე რუს ქალიშვილს, რადგან ზღაპრისეთი დაუჯერებელი უცოდინარობა გამოაშკარავნა მან, როცა მეგობარ ქართველს კითხვით მიმართა — „მითხარით, ქართულ ენაზე ანბანი არსებობს? — და „სიყვარულისა და ზღაპრის ენაზე“, ქართულად აამეტყველა იგი.

მწერალი რუსული კლასიკური ლიტერატურის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს არა მარტო ცალკეული ლექსების ციტირებით, არამედ ღრმა კრიტიკული მსჯელობითაც („დღიურები“), ხოლო ქართული კულტურისადმი მოწინავე რუსთა ერთი ნაწილის მხრივ ინტერესის უქონლობას ასახავს როგორც ფაქტს. სწუხს, რომ ამით იქმნება ერთგვარი ზღუდე ერთ უღელში შებმული ორი ერის მეგობრობის გზაზე და ამ ჰეშმარიტების უმეცართ სიბრალულით უცქერის.

„პირველად მეწყინა ეს, პირველად გამიკვირდა და პირველად ვიგრძენი მე რაღაც კედელი, რაღაც ზღვარი მე და იმას შორის... მე ვიცი ქართული, იულიამ არ იცის... თითქოს მე ეჭამდე რაიმე ტკბილ, გემრიელ საჭმელს, იულიასაც უნდოდა ის და არ შეეძლო ეჭამა“, ამბობს იგი სალავეიჩიკის შესახებ, როდესაც ამ უკანასკნელმა ხელნაწერი დაუბრუნა და უთხრა: „ვერაფერს ვერ გავიგებ, არ ვიცი მე შენი ქართული ენა“ (თეთრი ღამე“).

ქართული კლასიკური ლიტერატურისადმი თავის პირად დამოკიდებულებას ჭოლა ლომთათიძე გვაცნობს სხვადასხვა მოთხრობებიდან და ლექსებიდან ადგილების მოტანით (ციტირებული ჰყავს რუსთაველი, თეიმურაზი, დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ბაჩანა...). ამ ციტატებს, როგორც უმაღლეს აზრთა გამობრწყინებას, იგი შთაბეჭდილებათა გასაძლიერებლად, საკუთარ მოსაზრებათა უკვდავსაყოფად იყენებს. ასე მაგალითად: როდესაც ღვინით სავსე ყანწში ქართული პატრიოტიზმის ჩაკვლაზე გვესაუბრება, მწერალი დაასკვნის, რომ „ყოველ ქართველში ზის ნაწილობრივ ლუარსაბ თათქარიძე როგორც ტარტარენ ტარასკონელი — ყოველ ფრანგში“; ასახავს რა მშრომელი ხალხის გათელვას თვითმპყრობელის უხეში ჩექმით, მოხდენილად იყენებს აკაკის სიტყვებს:

„გაჭრეს ბარემღა ეს ჟამი, ნეტავი რას იგვიანებს“.

ჯეისაუბრება რა საქართველოს ბუნების სიდიადეზე, იქვე ურთავს ადგილს ბარათაშვილის პოემიდან („ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო„...); ქართველ ქალზე საუბრისას კი მწერალი გონებაში აღადგენს შიო არაგვისპირელის ნოველას „ჩემი სამშობლო, ჩემი გულია“, ეთანხმება ავტორს, ეკამათება მის კრიტიკოსთ და ჯ. შ. თვით ლექსების არა სიზუსტე ცხადყოფს, რომ პოეტი ზეპირად იგონებდა მათ. ეს გასაგებია: პატიჟარს როდი ჰქონდა საშუალება ჩაეხედნა წიგნებში, კონტროლი გაეწია საკუთარი მეხსიერებისათვის.

ამგვარად, რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის დიდი მესიტყვე 900-იანი წლების რევოლუციური ეპოქის ნიადაგზე ღრმა შთაგონებით ნერგავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეთა დიად იდეებს, მთელი ქართული პროგრესული ლიტერატურის მიერ დამკვიდრებული დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის ტენდენციებს, ამავე დროს ინარჩუნებდა იშვიათ ორიგინალობას და შეუპოვრად აგიზგიზებდა იმ ცეცხლს, რომელსაც ტანჯვის სამეფო უნდა გადაებუგა.

ჰოლა ლომთათიძის პოეზია

ჰოლა ლომთათიძე ბუნებით პოეტი იყო, მისი პოეტური სახეები ხასიათდება უაღრესი სიმარტივით, სინაზით და ცხოველმყოფელობით. ისინი მოკლებული არიან ხელოვნურობასა და ნაძალადეობას[139]. ლექსებს ჰოლა სწერდა სალაღობოდ. საკუთარი შემოქმედებისადმი ერთგვარი ახირებული, აგდებული დამოკიდებულებით, „მთვარე ამოვიდა და... ხა! ხა! ხა! ხა! მე ლექსი გამოვთქვი“... — ასეთი ხუმრობის ქვეშ წერს იგი სამყაროს სიდიადის ამსახველ შემდეგ სტრიქონებს:

„ქეკლუცი მთვარე ნაზი ღიმილით
სხივებს მიბნედილს აფენს დიად ზღვას...
ვხედავ, ხელებს შლის ტალღა-ვაჟკაცი,
რომ გულს ჩაეკრას მეორე ტალღას!
თვალგადაუწვდენ უძირო სივრცეს
შეჯიბრებია ოკეანე ცის...

[139] მხედველობაში გვაქვს ლირიკული პროზა. სამწუხაროდ თვით არ ითქმის ჰოლას მრავალ ლექსზე, რომელთაც ნაძალადეობის უდაო ბეჭედი აზის.

ზვირთთა შრიალში, ვარსკვლავთ ცქრიალში
თითქოს მსოფლიო სალამი მესმის.
შორს, შორს მიტაცებს ოცნების ფრთები,
ასე მგონია ახლოს ვარ ღმერთთან...
გული კი მაინც მარტოობას გრძნობს —
ჩემო სულისდგმავ, შენ არ ხარ ჩემთან!“ („თეთრი ღამე“).

ჭოლას ლექსები, ორიგინალური და თარგმნილი, უხვადაა მიმობნეული მის პროზაულ ნაწარმოებებში („სახრჩობელას წინაშე“, „თეთრი ღამე“, „ჩემი დღიური“...), იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ისინი უსათუოდ დგანან მის თანამედროვე ცნობილ პოეტთა შემოქმედების სიმაღლეზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰაინეს ლექსების თავისუფალ თარგმანებს, რომელიც 1913 წელს გამოქვეყნდა.

1908 წელს ჭოლა ცალკე ლექსების ბეჭდვას იწყებს „ნიშადურში“; აქ იგი გამოდის აკაკის, ვაჟას, ბაჩანას და სხვათა გვერდით, ეროვნული საკითხის სოციალ-დემოკრატიულ გაგებას „თერგდალეულთა“ კრედოს უპირისპირებს და კლასთა ბრძოლის ფეორიას „სამშობლოს გამოხსნის“ პრობლემაზე ცვლის. ამ მხრივ საინტერესოა მისი „დედინაცვლის ნანა!“.

„მისთვის გარწევ, შე სამიწევ,
მსურს რომ დაგაძინო;
დაგავიწყო დედა თამარ,
ქეთევან და ნინო.
დედის ნაცვლად მე გიყვარდე.
ჩემებრ გატიტინო;
მსურდეს ცრემლი გაღვრევინო
მსურდეს მოგალხინო.
პირი კარგად შეგიბუდრე,
მკლავი გაგიკონე,
საუკუნე ასე გარწევ
და ვერ დაგიმონე.
კიდევ დედა გაგონდება,
კიდევ მისკენ იწევ?
განა დედის მაგივრობას?..
მე კი ვერ გაგიწევ?..
მე გპატრონობ, მე გბატონობ,
სხვა რალა გსურს ნეტავ?

ამოგიყვან მაგ აკვნიდან,
სიპ ქვას მიგაწყვიტავ“[140].

მეფის რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება „მესამოციანელთა“ პოზიციებიდან, „სამშობლოს ხსნის“ ლოზუნგით, მოცემულია აგრეთვე ლექსში „ძალად მაცხონეს“, რომელიც „ნიშადურის“ № 22-ში გამოქვეყნდა (1908 წ).

„რას ჩაგვაცივდი, „პატრონო“,
აღარ გვსურს გვყავდე პატრონად,
შენ იპარპაშო და ჩვენ კი
გეყოლოთ მუდამ ყმა-მონად.
რომ მოზრდილს გვხედავ, რად ჯაერობ,
გსურს ისევ დაგვაპატარო?
გრძნობა დაგვიხშო, დაგვჯაბნო
და შენს ჭკუაზე გვატარო?

მაგრამ იკმარე, რაც გეტანჯე,
რაც ფლანგე ჩვენი ქონება!
სრულწლოვანი „ბავშვები“
კვლავ ვეღარ დაგემონება“.

ჰოლა ლომთათიძეს სამშობლო ქვეყანა ამ დროს წარმოდგენილი ჰქვს არა დიდი რუსეთის იმპერიის ნაწილად, რომლის მშრომელმა ხალხმა რუს მშრომელ ხალხთან ერთად უნდა გამოსჩედოს მომავალი ბედნიერი ცხოვრება, არამედ, „დაბმულ ლომად“, რომელიც თავის ასაშვებად იბრძვის. ამ სიმბოლურ ლექსში მათემატიკური სიზუსტითაა პერიფრაზირებული აკაკის „ავადმყოფი“, გამეორებულია მისი ლექსიკა, შინაარსი და თვით მეტრიც კი:

„დინჯადა წევს ძველი ლომი,
მუხის ძირზე მიჯაჭვული,
ფვალებს ხუჭავს, მაგრამ ბოლმით
აღსილია მისი გული.
გრძელტყვეობით დაჩაგრულსა
ყველა ურცხვად ზედ ალაჯებს,
ზოგი ყურზედ უპარტყუნებს
და უსინჯავს ღონით მაჯებს.
ლომი თითქოს გატრუნულა
იხედება მედიდურად,
გულში ამბობს: „ნუ მიბრიყვებთ!
გამიფრთხილდით, გირჩევთ ძმურად!

[140] „ჟურნალი „ნიშადური“. 1908 წ., № 26.

რა ხანია ბოლმა მახრჩობს!
ალვსილია მთლად ფიალა,
და თუ ერთხელ გადმოჩქეფა, —
მას ვერ შეწყვეტს ვერა ძალა!
მუხას ძირში ამოვგლეჯავ.
ჯაჭვს დავამსხვრევ, ვითა მინას,
არ მომკვდარა ძველი ლომი
ტყეეობაში მხოლოდ სძინავს"[141].

აკაკის ცნობილი ლექსის („გამოცვლილი დროება") პერიფრაზირებას წარმოადგენს აგრეთვე ჭოლას „გადარეული ხანა". აქ ვკითხულობთ:

„აწინდელი დრო, უნდა ვთქვა,
გასაგებად ძნელი არის,
ყველამ როლი შეიცვალა,
ყველა თვისებურად ჩხავის...
ჩაგრულთა და მჩაგვრელთ შორის
ძალა არის ადვოკატი,
შევარდენი ვისღა ახსოვს,
როს ნავარდობს მაღლა ბატი!..
კიბო წყლიდან ხეზე ადის,
დაცუნცულობს ხალხში მელა,
ყვავ-ყორნები პატივშია,
მხეცს შეჰხარის ახლა ყველა.
მგელი ცხვრებში დასეირნობს
საქმეს არიგებენ ერთად,
არამზადა საძაგლები
ხალხს გაუხდა შემწე-ღმერთად;
დაეკარგა ყველას ალღო,
აირია მონასტერი!
ჰკვიანები ჩუმად სხედან,
„საქმიანობს" ყველა შტერი"[142].

მეფის რუსეთის ბრჭყალებიდან საქართველოს დახსნა პოეტს ესახება, როგორც სამშობლო ქვეყნის განთიადი და ამ განთიადისაკენ სწრაფვას იგი მთელი ხმით უმღერის ლექსში „ნაწყვეტები".

„დღე დღეს მისდევს, თვენი-თვესა,
დრო მიჩოჩავს ნელა-ნელა,

---

[141] გაზ. „საქართველო", 1908 წ., № 9.
[142] იხ. ჟურნალი „ნიშადური", 1907 წ. № 21.

მაგრამ ჯერაც განთიადი
ვერ გვეღირსა, არ გვეშველა.
ზოგჯერ თითქოს გაიალვებს
განთიადის წინმორბედი,
მაგრამ ჩვენ კი გაღიმებას
არ გვიპირებს ჯერაც ბედი.
სიტყვ როდის გვეღირსება,
რომ განთიადს ვეამბოროთ
და წყვდიადის შავი ძაძა
ჩვენც თავიდან მოვიშოროთ"[143].

„განთიადი", „რიჟრაჟი", „ტალღა" დ სხვა ამგვარი — რევოლუციური შემართების ამსახველი ლექსიკური მარაგი, ამ პერიოდში უხვადაა გამოყენებული ჭოლას მიერ „მესამოციანელთა" ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეის გამოსახატად. „ნიშადურის" № 55-ში (1908 წ.) ვკითხულობთ:

„ნეტავ იმ დროსა, როს ჩვენი ძალათ შაცხონე
მოიკალათებს სოროში, გამოლეული ძალღონე,
კიდევ ვინატრებ სანატრელს, კიდევ ვინატრებ ერთ რამეს,
რომ განთიადი, რიჟრაჟი, მალე შეჰყროდეს ბნელ ღამეს".

„ნიშადურში" გამოქვეყნებული ლექსების იდეური ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს აგრეთვე, რომ რეაქციის პერიოდში ჭოლა „თერგდალეულთა" სოციალურ კონცეფციებსაც დაუახლოვდა და, ნაცვლად კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრებისა, ე. წ. „საერთო ნიადაგის", „ეროვნული მთლიანობის" თეორია გაიზიარა, რაც შეუფერავადაა გადმოცემული ლექსში „ნეტავ".

„ნეტავ შეევსწრო იმ დროსა, აზნაურ-თავადებია,
გრძნობდნენ, რომ გლეხნი მათთვისა
ჰირში და ლხინში ძმებია
გლეხმაც არ იგრძნოს მათდამი შური და მტრობა წოდების,
თანასწორობა, მერწმუნეთ, უსისხლოდ მალე მოხდების"[144].

ამასთან, საბრძოლო სულისკვეთებასაც არ არის მოკლებული რეაქციის დროინდელი პოეზია ჭოლა ლომთათიძისა. ალეგორიულ ლექსში „მარტი" პოეტი გამოთქვამს რწმენას, რომ თვითმპყრობელობის რეაქციული ძალები ვეღარ დაძლევენ გაღვიძებულ ხალხს, ვერ შეაჩერებენ მზის ამოსვლის დიდებულ პროცესს.

---

143 იხ. ჟურნ. „ნიშადური".

144 ჟურნალი „ნიშადური", 1958 წ., № 35.

„შენ უწყალო და უმსგავსო,
უდიერო, გიჟო მარტო,
გსურს რომ ყველა დაგვამწუხრო,
შენღა დარჩე მარტოდ მარტო.
უქრი ძალზე, ისერი თოვლქუას,
გსურს ზამთარი განაახლო,
მაგრამ ტყვიად — გაზაფხული
არ გეშვება, მოვდევს ახლო".

ფრიად ორიგინალურად გვეხახება რევოლუციურ ძალთა შემართებით მისუსტებული თვითმპყრობელობის შედარება მარტთან, რომელსაც, მიუხედავად სუსხიანი დღეებისა, უცილობელი გაზაფხული მოსდევს. ეს შედარება უფრო ოპტიმისტურად ჟღერს, ვიდრე რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობისთვის ჩვეული განსახება თვითმპყრობელობისა ბნელ ღამესა და სუსხიან ზამთარში.

პოეტის თქმით, მარტი „შიშისგან სუნთქვაგაძნელებულია", რადგან გრძნობს, რომ „ფიდრიან დღეთა რიცხვი უშოკლდება ნელა-ნელა".

„დე, იქროლე, იგიჟმაჟე,
დაგვიღონე ყველას გული,
ვეღარ დაგვძლევ, ვერას გვიზამს
შენი ქცევა ვურაგული".

ასეთი გაბედული რწმენით თავდება „მარტი".

რეაქციისდროინდელი საქართველოს რეალისტური სურათია ასახული ლექსში „აღდგომა" („ნიშადური" № 39, 1908 წ.).

ეკლესიის ზარების სააღდგომო ზუზუნში პოეტს ესმის „ტანჯულთ კვნესა, გლოვის ზარი", თვალწინ უდგას „სახრჩობელა და წამების მძიმე ჯვარი". იგი თვალწათლივ ხედავს ქვეყანას, სადაც

„ღუდები მაბეზღრობენ,
ჯალათებს მკლავები სწყდებათ...
ძალადობას თაყვანს სცემენ,
ქრისტეს მცნება ავიწყდებათ.
არვინ ფიქრობს მაცხოვარზე,
გაჟღენთიათ შურით გული,
ყველგან მტრობა, ძალადობა
და სიმართლე ხელშეკრული".

დაუძლეველ სევდას მოუცავს პოეტის გული, რადგან ხედავს, რომ

„აღარ არის ქვეყნად ძმობა,
სათნოება, სიყვარული...
გოლგოთაზე კვლავ გაისმის
ტანჯვა-კვნესა დაუსრული“.

რეაქციის მძვინვარებით სულშეხუთული ვგოსანი ნატრობს იქცეს ბულბულად, მოსცილდეს ამაზრზენ წუმპეს, „ზევიდან დასახულის“ უშიშრად თქმის უფლებით მოსილი აფრინდეს ხალხლა, რათა „ძირს დასცეს სახრჩობელები“. მისი დაუცხრომელი სურვილია თავს დაჰკიდოს „ჰოძულე ტურა-ველასა», რომ მათი ოინ-თარეში არ უშხამავდეს ლხენასა“.

„რომ შესძლებოდა მოსპობა
სიდუხჭირ-სივაგლახისა,
ძირფესვიანად ამოთხრა
ხალხის შემხუთველ მახისა“,

ეს რჩება ჰოლა ლომთათიძის მუდმივ ოცნებად რეაქციის პერიოდშიც.

ცნობილია, რომ დემოკრატიული ტრადიციების მოღალატეებმა რეაქციის დროს უარჰყვეს სინამდვილის ასახვის შესაძლებლობა და აუცილებლობა, მისტიციზმზე და სიმბოლიზმზე გაცვალეს მშრომელი ხალხის სამსახურში ჩაყენებული ნათელი რეალიზმი.

ჰოლა ლომთათიძის პოეზიაში კი ამ დროს კიდევ უფრო მტკიცდება სინამდვილის ასახვის ტენდენციები, ახალ, მისთვის მანამდე უცნობ სიმაღლეებსა და ჰორიზონტებს იპყრობს იგი. ასე, მაგალითად, ჰოლას პოეზიაში მკვეთრად აისახა პროლეტარულ მოძრაობასთან მიტმასნილი წრე, რომელიც პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლას სოციალისტური ლოზუნგებით ფარავდა, საკუთარი ოჯახისათვის თავგანწირვას სამშობლოსათვის თავდადების ალებაევებით აფერადებდა:

„შინ ვეზიდები ბაჯაღლო ოქროს,
სოფლად აღვმართე კარგი სასახლე,
პროლეტარობით ჩემი ცხოვრება
გავაფართოვე და გავაახლე,
რაკი ახალი ცხოვრება ვნახე,
ძირს კერძოობა და გაუმარჯოს
საერთო საქმეს შეც შემოვძახე.
სხვა რა მეხარჯვის ამ სიტყვის მეტი,
ერთი მითხარით, თუ გწამთ უფალი...
ჩემს საკუთრებას, ოჯახს, მამულსა
დღითიდღე ვმატებ და მწყალობს ღმერთი!

სანამ ერთობა დამყარდებოდეს
და პროლეტარის დიქტატორობა,
დიდი დროც წავა, მანამ იცრუე;
აქე ცენტრი და დაგმე ერობა!“

ასე ალაპარაკებს იგი გამდიდრების გზაზე შემდგარ ჰაკნელ „პროლეტარს“. რეალისტურად ჟღერს აგრეთვე ლექსი „უსაქმოდ დარჩენილი“ („ნიშადური“, 1908 წ. № 35). უმუშევრობის პრობლემას ეხება აქ პოეტი.

„მკითხავენ: რამ დაგაღონა, სახე რამ მოგიღუშა, განა არ იცით. ვინ ვარ? მე ვარ უსაქმო მუშა!

ლუკმა პურზე ჯანს ვყიდი, მაგრამ არვინ იყიდა, საქმეს ვერსად ვშოულობ, ტანჯვა მით გამიდიდდა“[148], ჰგოდებს უმუშევარი.

უსაქმოდ დარჩენილმა მუშამ ვერც დამქირავებლისაგან „გაიმართა ხელი“ და ვერც ნაცნობ ნათესავისაგან. ვერც სამუშაო იშოვა და ვერც მოწყალება მიიღო. „ვინც ჩემსას ვერ გაიგებს, ღმერთმაც კი შეარცხვინაო“, — ათქმევინა მას პოეტმა და ამ თქმაში გამოჩნდა კიდეც მისი დამოკიდებულება მშრომელთა დუხჭირი ბედისადმი რეაქციის თარეშის დროს.

ჭოლა ლომთათიძის მოღვაწეობა „ნიშადურში“ უსათუოდ ცალკე შეფასებას მოითხოვს. თვით ფაქტი მისი თანამშრომლობისა ჟურნალში, რომელიც მარქსიზმის დიამეტრიულად საპირისპირო თვალსაზრისზე იდგა, რეაქციის პერიოდში მწერლის იდეურ დაქვეითებაზე მეტყველებს, მაგრამ ამ დაქვეითების ფარგლები ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ განსაზღვრული არაა.

როგორც ვიცით, რეაქციის გამარჯვების შედეგად ნაციონალისტური ბურჟუაზია მეტად გააქტიურდა. ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კაპიტალიზმის მეხოტბეებმა (არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით) მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს ბურჟუაზიული ნაციონალისტური იდეოლოგია დაუპირისპირეს. ისინი კლასობრივ ზავს ქადაგებდნენ და პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას გაბატონებული კლასების წინააღმდეგ „კლასთა თანამშრომლობის“ იდეით სცვლიდნენ. სოციალ-ფედერალისტებმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის 60-ანი წლების მოღვაწეთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები წამოაყენეს. მაგრამ თავის დროზე უაღრესად პროგრესული ეს იდეები ახალ ისტორიულ ვითარებაში ეწინააღმდეგებოდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ქართველი ერის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლების ერთადერთ სწორ გზას.

[148] „ჰაკნელი, პროლეტარის საიდუმლო“, „ნიშადური“, 1908 წ. № 30.

სოციალ-ფედერალისტებმა თავისი პროგრამა აქციეს სწორედ იმის ბორკილად, რასაც თერგდალეულები ესწრაფვოდნენ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

„კლასთა თანამშრომლობის“, „საერთო ნიადაგის“ თეორია—გარკვეული მიზნით წამოყენებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი დროშის ქვეშ ფედერალისტების მიერ, შემდეგნაირად დაახასიათა ლენინმა: „როდესაც ბურჟუაზია თავისუფლებისათვის იბრძოდა ხალხთან ერთად, მშრომელებთან ერთად, იგი იცავდა ერთა სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას... ახლა ბურჟუაზიას ეშინია მუშების, ეძებს კავშირს პურიშკევიჩებთან. რეაქციასთან, ღალატობს დემოკრატიზმს, ნაციონალისტური ლოზუნგებით რყვნის მუშებს... ასეთია ყოველი ლიბერალური ბურჟუაზიული ნაციონალიზმი—არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც“.

დამკვიდრებული ტრადიციით, 1905-7 წლების ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის მარცხის შემდეგ გამეფებული რეაქციის დროს უკანდახეულ მებრძოლ შემოქმედთა მთელი პლეადა ბურჟუაზიის ბანაკში თავსდება. ჯ. ლომთათიძეც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციიდან ნაციონალისტური ბურჟუაზიის პოზიციამდა დაშვებულ შემოქმედად ითვლება, მაგრამ ობიექტური სინამდვილის ჭეშმარიტი ანალიზი მოითხოვს მის გამიჯვნას ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მწერალთაგან. როგორც ზემოთ ვნახეთ, მებრძოლი პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შემცნობი ჭოლა, იზიარებდა რა რევოლუციის გზით გათავისუფლებულ ხალხთა მეგობრობის იდეას, ეროვნული საკითხის „თერგდალეულთა“ გაგებას ვერ შორდებოდა, რითაც იგი სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას საგრძნობლად სცილდებოდა. სოციალ-ფედერალისტთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გაზიარებამ მიიყვანა იგი „ნიშადურში“, აადაც „საერთო ნიადაგის“ თვალსაზრისზე მდგომ ნაციონალისტურ ბურჟუაზიას შეხვდა. ეროვნულმა გულისტკივილმა დააწყებინა სოციალ-ფედერალისტების ორგანოში თანამშრომლობა ჭოლას. სიმპათიები საქართველოს ავტონომიისა და ფედერაციისადმი, რაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა პროლეტარულ-ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ წამოაყენეს, ხიბლავდა პატრიოტ პოეტს, რომელმაც ვერ გაიგო, რომ საქართველოს ავტონომიის ბურჟუაზიულ-მემამულური მოთხოვნა იწვევდა პროლეტარიატის რევოლუციური ძალების გათიშვას, აჩლუნგებდა კლასობრივ შეგნებას, ასუს-

ტებდა და არღვევდა მშრომელთა სოლიდარობას, წარმოშობდა მათ ეროვნულ განცალკევებას, აღვიძებდა შოვინისტურ სულისკვეთებას.

„ნიშადურში“ ჭოლა ლომთათიძე ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე ჯერ კიდევ მოქმედ „მესამოციანელებთან“ ერთად აქვეყნებდა ლექსებს, რომელნიც ასახავდნენ შიშველ აგიტაციას საქართველოს ავტონომიის უარმყოფელთა წინააღმდეგ. ასეთია მისი „ულაპისტების თეორია“, „ვაი ჩვენი ცოდვის ბრალი“ (1907 წ. № 18), „ჰაკნელი პროლეტარის საიდუმლო“ (1908 წ. № 30) და სხვა. ამ ლექსების გვერდით დასტამბულია აკაკის, ვაჟას, ბაჩანას ლექსებიც („ვინა ვარ“, „პასუხი“, „ვინა სთქვა“). ყველა ამ ლექსის ეროთმანეთთან შედარება ნათელყოფს, რომ მათ შორის განმასხვავებელი ხაზის პოვნა არ შეიძლება არც ფორმისა და არც შინაარსის თვალსაზრისით. ცხადია, იმდენად უმაოთებულო იქნებოდა ნაციონალისტური ბურჟუაზიის პოლოგეტად ჩაგვეთვალა რეაქციის დროს „თერგდალეულთა“ სოციალ-პოლიტიკურ კრედოსთან დაახლოებული ჭოლა, რამდენადაც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად არ ვთვლით „მესამოციანელთა“ მოღვაწეობას ამ დროს.

არჩილ ჯორჯაძე და სოციალ-ფედერალისტთა სხვა მეთაურნი, „თერგდალეულთა“ დროშას ამოფარებულნი ისახავდნენ გარკვეულ მიზანს-პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ჩაკვლას და ბურჟუაზიის აზიციების განმტკიცებას; აკაკის, ვაჟას, ბაჩანას, ჭოლა ლომთათიძეს, რომელნიც ამ დროს ერთიანი პლატფორმით გამოდიოდნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ გამხდარიყვნენ „ბურჟუაზიული შარლატანების“ მსახურნი, არსებული „ბინძური საზოგადოებრივი ფორმაციის ლაქიები“. პირიქით, „მესამოციანელებთან“ იდეურ კავშირში ჭოლა ქართველი ხალხის ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან ხსნას ხედავდა, რადგან „საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც სჩატიკად აბრობდა ქართველი ხალხის კულტურას და ყოველნაირად ისწრაფვოდა ძალდატანებით გარუსებინა იგი, ამავე დროს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლაც იყო“[148].

ამით აიხსნება, რომ „პირველი მაისის“, „თეთრი ღამის“, „ივანე გარგანელის“, „შიშის“, „ჩემი დღიურის“, „მოღალატის“ პარალელურად იქმნებოდა ლექსებიც: „დედინაცვლის ნანა“. „ჰაკნელი პროლეტარის საიდუმლო“, „ძალად მაცხონე“, „აღდგომა“, „მარტი“, „ნეტავ ვიყო“ და სხვა.

ცნობილია, რომ რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურული

---

[148] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957 წ., გვ. 144.

სკოლის ფუძემდებელი და პროლეტარიატის მგზნებარე მესიტყვე ირ. ევდოშვილი, სოციალ-დემოკრატიასთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, იდეურად დაუპირისპირდა გუშინდელ სალოცავს, დაიწყო ბრძოლა პროლეტარული მოძღვრების წინააღმდეგ, როგორც პრაქტიკული საქმიანობით, ისე მხატვრული შემოქმედებით.

ჭოლა ლომთათიძეს არ დაუგმია სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება, არ შეუქმნია ბჭობრული ნაწარმოებები. მიმართული რევოლუციური პროლეტარიატის, მეცნიერული სოციალიზმის წინააღმდეგ, ბოლომდე დარჩა იგი კაპიტალიზმის შეურიგებელ მტრად, უთანასწორობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმაციის უბადლო მოძულედ.

მართალია, ეროვნული საკითხის მარქსისტული გაგების ჰეშმარიტებაში ოდითვე დაეჭვებულმა ჭოლამ რეაქციის პერიოდში უარჰყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დაქვემდებარება პროლეტარული ბრძოლისადმი, მაგრამ ისიც სწორია, რომ საძულველი თვითმპყრობელობის რევოლუციური გზით დამხობა დარჩა მის წმინდათა წმინდა იდეალად. ამდენად, უმართებულოა გვერდში ამოუყენოთ იგი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების იდეოლოგებს, რომელნიც „თავიანთი ანგარებითი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გაეცალკევებინათ ბალხები, შეეზღუდათ მათი რევოლუციური ბრძოლა ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით. ამით მოეწყვიტათ ქართველი ხალხი კავკასიისა და მთელი რუსეთის სხვა ხალხებისაგან, ხელი შეეშალათ მათი ერთობლივი ბრძოლისათვის ცარიზმის დასამხობად, მემამულური მიწათმფლობელობის მოსასპობად“[147].

1913 წელს ჭოლა წერდა: „ბევრ ალაგას ჩემი გული დღეს პარტახს წარმოადგენს (ხაზი ჩვენია, დ. რ.). იქ, სადაც მას ჟამსა შინა ჰყვაოდა რომელიმე ძვირფასი ყვავილი, დღეს ყვავილის საფლავი-ღა დარჩენილა ჩემს გულში. იქ, სადაც დუღდა და ცელქობდა რწმენა ადამიანისადმი, სიყვარული მეგობრობისადმი, იქ ახლა ჩემი გული ტირის, ან მწარედ იცინის, ან და დიდი ქართველი პოეტის მშვენიერ ლექსს ღიღინებს:

„ნეტავ ვისთვის შენ კისკისობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა, —
შენი რაა, რო? ამშვენებ
შენს დამღუპველ ოსმალეთსა.“

---

[147] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957 წ., გვ. 144.

ძნელია, შეგობარო მკითხველო, როცა „დამღუპველი ოსმალეთის“ ბანაკში ხედავ იმათ, ვინც შენთან ერთად ერთ დროს ოსმალეთს ებრძოდა — იმათ ხომ ერთ დროს ეალერსებოდი! ძნელია, როცა ტკბილი მოგონება უცებ საზიზღარი რენეგატის სახეს დაგიყენებს წინ“[148].

გულის „ბევრ ალაგას“ პარტახზე (და არა სრულ გაპარტახებაზე) მითითებით და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მებაირახტრის ი. ჭავჭავაძის „იანიჩარის“ სტრიქონების მომარჯვებით, პოეტი დაუფარავად გვამცნობს „თერგდალეულების“ კონცეფციებთან თავისი შეხედულების ნათესაობას ეროვნულ საკითხში. ციტირებული ადგილი ამასაც ცხადყოფს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თანმიმდევრულად დამცველნი და საქართველოს ავტონომიის უარმყოფელნი ჭოლას მიაჩნდა რენეგატებად, „დამღუპველი ოსმალეთის“ ბანაკში გადაბარგებულ ადამიანებად. **ეს იყო მისი შეცდომა და არა ღალატი.**

მამაცი ჯარისკაცი, რომელსაც ამხანაგები დაბურულ ტყეზე მიმავალი ბილიკით სამშვიდობოს მიჰყავდა და შენიღბულ მტერს წააწყდა, რომ შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ მეგზურ იუდას, რომელმაც თანამებრძოლნი ჩასაფრებული მტრის სადგომს მიაყენა.

იმდენად დიდია ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების შემეცნებითი მნიშვნელობა, რამდენადაც იგი მეფის რუსეთის იმპერიის მიერ ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური ბრძოლით გათავისუფლების პერსპექტივებს ეძღვნება. მაშასადამე, მხოლოდ იმდენად ადგება ჩრდილი ამ შემოქმედებას რეაქციის პერიოდში, რამდენადაც ეროვნულ საკითხში მისი შეხედულებანი ნაციონალისტური ბურჟუაზიის მისწრაფებებს ხვდებოდა, რამდენადაც მან წინა პლანზე წამოსწია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები, რომელთაც სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაში პროლეტარულ მოძრაობისადმი დაქვემდებარებული ადგილი ეჭირათ.

---

148 ჭ. ო ლ ი ა, ჰაინეს თარგმანების წინასიტყვაობა. 1913 წ., ბარ. კოლაძის სტამბის გამოცემა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	5
ცხოვრების გზა	10
ჰოლა ლომთათიძე — რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერალი	93
ჰოლა ლომთათიძის შემოქმედება 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში	104
ჰოლა ლომთათიძის შემოქმედება 1907-14 წლებში	132
ქალისა და სიყვარულის პრობლემა ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში	157
ბუნება ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში	225
დეკადენტურ-ფორმალისტური ლიტერატურული მიმდინარეობანი რეაქციის დროს და ჰოლა ლომთათიძე	270
წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ტიპები ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში	284
უარყოფით გმირთა სახეები ჰოლა ლომთათიძის შემოქმედებაში	298
ჰოლა ლომთათიძე და ქართული კლასიკური ლიტერატურა	314
ჰოლა ლომთათიძის პოეზია	344

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ა ვ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ე. ფ ა რ ქ ო ს ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 7.3.1960; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.8.1960; ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆; საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,6; საავტორო ფურცელი 20,31; ქაღალდის ფურცელი 11,06; სასტამბო ფურცელი 22,12;
შეკვეთა 541; უე 03947, ტირაჟი 1.500.

ფ ა ს ი 12 მან.

1960 წ.—1 მან. 20 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат „Коммунист“ Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14